

1951/6



გნატობი

114/6

34

8

აზვინტო



1951

მნათობი



უცხოელთა ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შუახალი

სტატიებისა და საბჭოთა მწიგნობის კავშირის თაბანს

წელიწადი ოცდამეცხე

8

*

ა ბ ვ ი ს ტ ო



19

სახელგამი
თბილისი

51

5411



პარტიის სიბრძნით გაუმჯობესებული გზით



არსად და არასდროს ლიტერატურა და ხელოვნება, ისე როგორც იდეოლოგიის სხვა ფორმები, არ ქცეულა საზოგადოებრივი განვითარების ისეთ ძლიერ ფაქტორად, როგორც ჩვენს სოციალისტურ ქვეყანაში იქცა.

არსად და არასდროს ლიტერატურასა და ხელოვნებას არ აუწევია გონების, ქვეყნობის, ჰუმანიზმის, თავისუფლების, ხალხთა მეგობრობისა და მშვიდობის დროშა ისე მაღლა, ისე მტკიცედ და ისე ქმედითად, როგორც საბჭოთა ლიტერატურამ და ხელოვნებამ.

საბჭოთა ლიტერატურა არა მარტო ასახავს ყველაზე მაღალი ტიპის სოციალურ გარემოს, არამედ იგი აქტიურადაც მონაწილეობს ყველაზე გონივრული საზოგადოებრივი წყობის შექმნაში, ადამიანთა ყველაზე მაღალი და მშვენიერი სულიერი თვისებების გამომუშავებაში.

ამიტომ არის საბჭოთა ლიტერატურა ყველაზე მოწინავე ლიტერატურა მსოფლიოში. ის თვისობრივად სრულიად ახალი და მაღალი საფეხურია კაცობრიობის მხატვრული აზროვნების განვითარებაში.

საბჭოთა ლიტერატურის ყოველი ახალი ნიშნისა და თვისების შთამაგონებელი და გამსაზღვრელი არის ლენინ-სტალინის ბრძენი პარტია — სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელი, ხელმძღვანელი და წამმართველი ძალა.

პარტიის გადაწყვეტილებები ლიტერატურისა, ხელოვნებისა და საერთოდ იდეოლოგიის საკითხებზე მარქსიზმ-ლენინიზმის ყოველმძღველ ძალას გადასცემს იდეოლოგიური ფრონტის ყოველ უბანს, სწორი გზით წარმართავს მათ განვითარებას და განაპირობებს ყველა მათ წარმატებას.

საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების ახალი აღმავლობისა და განვითარების საქმეში უდიდეს როლს ასრულებდა და ასრულებს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 14 აგვისტოს დადგენილება ჟურნალების „ზეზნისა“ და „ლენინგრადის“ შესახებ და დადგენილებები თეატრისა, კინოსა და მუსიკის შესახებ.

ამ დადგენილებებში მოცემულია ის ძირითადი პრინციპები, რომლებითაც განუზრუნვლად უნდა ხელმძღვანელობდეს ყოველი საბჭოთა მწერალი, ყოველი საბჭოთა ხელოვანი. მათ შორის უმთავრესი და უპირველესია საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების მაღალიდებულობის პრინციპი.

პარტია დაუნდობელ ბრძოლას უცხადებს ლიტერატურისა და ხელოვნების აპოლიტიურობის, უიდეობის ყოველგვარ გამოვლენას. ეს კი ნიშნავს ლიტერატურის როლისა და მნიშვნელობის აყენას უდიდეს სიმაღლეზე.

რეაქციული თეორიის — „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ — ყოველი სახეობა არსებითად ბურჟუაზიული პარაზიტიზმის უღრმესი გამოხატულებაა.

საბჭოთა ქვეყანაში, კომუნისმის მშენებელ ქვეყანაში კი ლიტერატურა და ხელოვნება არ შეიძლება იყოს მოცილილი, უსაქმო და შემოკლებების ნებადაკარგულ ადამიანის უშინაარსო თავშესაქცევი, მისი ეგოისტურ-ინდივიდუალისტური ენის გამაღიზიანებელი. ლიტერატურისა და ხელოვნებისათვის უბრალო გასართობისა და თვითმინობრივი ესთეტიკური ტკბობის ფუნქციის მიკუთვნება, არსებითად, მათ დაენიებასა და საცდელს მოასწავებს.

საბჭოთა ლიტერატურას არაფერი არ შეიძლება ჰქონდეს საერთო გაბრწინილ ბურჟუაზიულ ლიტერატურასთან. საბჭოთა ლიტერატურა კომუნისმის მაღალ სულიერ ღირებულებათა დიდი სამკვდლოა. იგი მასების კომუნისტური აღზრდის უძლიერესი იარაღია.

ცხადია, თავისი საზოგადოებრივ-გარდამქმნელი როლის შესრულებას საბჭოთა ლიტერატურა შესძლებს მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი განუზრუნვლად

ინტელექტუალურებს ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკით, იმ პოლიტიკით, რაც საბჭოთა წყობილების სასიცოცხლო საფუძველს შეადგენს. ლიტერატურა პოლიტიკის გარეშე, ხალხის საარსებო ინტერესების გარეშე მხოლოდ მიიღწევა რასაც შეუძლია გზაკვალი აუბნოს ადამიანებს და თვითაც უკვალოდ გაქრეს.

„საბჭოთა ლიტერატურის, მსოფლიოში ყველაზე მოწინავე ლიტერატურის ძალა, — ნათქვამია საყ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 14 აგვისტოს დადგენილებაში, — მდგომარეობს იმაში, რომ ის წარმოადგენს ისეთ ლიტერატურას, რომელსაც არ აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს სხვა ინტერესები, ვარა და ხალხის ინტერესებისა, სახელმწიფოს ინტერესებისა. საბჭოთა ლიტერატურის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ დაეხმაროს სახელმწიფოს ახალგაზრდობის სწორ აღზრდაში, პასუხი ვასცეს ახალგაზრდობის მოთხოვნილებებს, აღზარდოს მხნე ახალი თაობა, რომელსაც ექნება თავისი საქმის რწმენა, რომელიც არ შეუშინდება დაბრკოლებას და მზად იქნება გადალახოს ყოველგვარი დაბრკოლებანი“.

არ შეიძლება არსებობდეს ლიტერატურის ამაზე უკეთესი მდგომარეობა და უმშვენიერესი მიზანი.

პარტია საბჭოთა ლიტერატურისაგან მოითხოვს არა მარტო დღევანდლობის ასახვას, არამედ იმასაც, რომ მან ხვალინდელ დღეშიც გადაახედოს საბჭოთა ხალხი, პროექტორით გაუნათოს წინმიმავალი გზა.

კომუნისმის იდეები — აი ერთადერთი უმრეტეი წყარო, რაც შეიძლება ასაზრდოვებდეს საბჭოთა ლიტერატურასა და ხელოვნებას მთელ თავის მრავალფეროვნებაში. მხოლოდ ამ იდეებით უნდა იყოს გააზრებული და ნაწრთობი საბჭოთა მწერლისა და საბჭოთა ხელოვნების ქმნილების ყოველი ელემენტი, — სიტყვა, სახე, ფერი, ბგერა.

საბჭოთა მწერალს, რომელიც ადამიანის სულის ინტინარად არის აღიარებული, უფლება არ აქვს სწეროს მიშვებულად, სწეროს როგორმე და როგორც მოუხერხდება. ის ყოველთვის უნდა იყოს გამსჭვალული უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით ხალხის წინაშე, სოციალისტური სახელმწიფოს წინაშე.

ყველაფერი ხალხის ბედნიერებისათვის, ყველაფერი კომუნისმისათვის — აი ეს არის ჩვენი დიადი ეპოქის დედააზრი. ოდნავი გადახვევაც კი ამ წმიდათაწმიდა ცნებისაგან დანაშაულია ხალხის წინაშე, კაცობრიობის ბედნიერი მომავლის წინაშე.

ამიტომაც არის, რომ პარტია და საბჭოთა საზოგადოებრივი აზრი ყოველთვის მრისხანედ ირახმება ყოველი ისეთი მოვლენისა და ფაქტის წინააღმდეგ, რომელშიაც მქდავდება კაპიტალიზმის რაიმე გადანაშთი, უცხო იდეოლოგიის რაიმე გავლენა, საბჭოთა იდეოლოგიისაგან ოდნავი გადახრა. კი. მოუთმენელია ჯანსაღი კომუნისტური მსოფლმეგრძნების ახკარა მდინარეში გაბრწყინებული რეალური შეგნების თუნდაც ერთი წვეთის შერევა.

პარტია, მთელმა მოწინავე საბჭოთა საზოგადოებრიობამ დაუნდობლად ახილა ბურჟუაზიული იდეოლოგიის აგენტები ჩვენი ლიტერატურაში — უგაერთმოდო კანონპოლიტიკები. ჩვენი პარტიული პრესა, უწინარეს ყოვლისა კი, გაზიტი „პრავდა“ თავის ფურცლებზე უღმობელი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს უდიდობის, აპოლიტიურობის, ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ყოველგვარ გამოვლენას; მზის სინათლეზე გამოაქვს ყოველი ჯურის ვულგარობის მავნე და წყალწყალა თეორიების სრული უსაფუძვლობა და უმწეობა.

პარტია და პარტიული პრესა უდიდესი მზრუნველობით შველის საბჭოთა მწერლობას თავისი ცალკეული შეცდომების გამოსწორებაში.

პარტია საბჭოთა ლიტერატურაში განუწყვეტლივ აღვივებდა და აღვივებს კრიტიკასა და თვითკრიტიკას, როგორც მთელი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების და, მამასადავამ, ჩვენი ლიტერატურის განვითარების ძირითად კანონს. კრიტიკისა და თვითკრიტიკის გარეშე, წარმატებისა და ამომავლის, ძველისა და ახლის ბრძოლის გარეშე, შეუძლებელი იქნებოდა ჩვენს ქვეყანაში წინსვლა და განვითარება.



იდეოლოგიური საკითხების გამო საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებები საფუძვლად დაედო საბჭოთა ლიტერატურის აღმავლობასა და წარმატებებს.

მარტო ის ფაქტი, რომ ომის შემდგომ პერიოდში საბჭოთა მწერლობის 150-ზე მეტმა საუკეთესო ნაწარმოებმა სტალინური პრემია დაიმსახურა, მოწმობს საბჭოთა ლიტერატურის უდიდეს წარმატებებს. და რაც მთავარია, საბჭოთა ლიტერატურის ამაღლებული იდეები და ამაღლებული გმირები უკვე მტკიცედ იქცნენ საბჭოთა ხალხის, საბჭოთა ახალგაზრდობის განუყრელ მასწავლებლებად და თანამგზავრებად მათ ბრძოლასა და შრომაში კომუნისტური სათვის. საბჭოთა ადამიანები ძალიან ბევრ რამეს სწავლობენ საბჭოთა მხატვრული წიგნებიდან; ისინი ცდილობენ დაემსგავსონ თავიანთ საყვარელ გმირებს ყოფა-ქცევაში, შრომაში, სოციალისტური საშობლოსა და კომუნისტური სათვის თავდადებაში. ღრმავაზროვანი, მაღალი იდეური, მაღალმხატვრული საბჭოთა ლექსი და სიმღერა მუდამ თან დაჰყვება საბჭოთა ადამიანს; იგი ამხნევებს და აკეთილშობილებს მას, იგი ამაღლებს მის სულიერ სამყაროს, აყვარებს სიცოცხლესა და სიღამაზეს.

საბჭოთა ადამიანების შესანიშნავი მორალური თვისებები ჩვენი სინამდვილიდან გადადიან საბჭოთა მწერლების წიგნებში და იქედან დახვეწილი, ამაღლებული და ტრინიზირებულ სახით კვლავ ბრუნდებიან და მკვიდრდებიან ადამიანთა ურთიერთობაში, ყოფა-ცხოვრებაში, შეგნებაში.

საბჭოთა ქვეყანაში, სადაც საზოგადოებრივი განვითარების ყველა შინაგანი კანონი ბოლომდე შეგნებული და პარტიის აზრისა და ნებისყოფის მორიხი ლეზაშია მოქცეული, უადრესად დიდია ადამიანთა კომუნისტური შეგნების როლი, როგორც წინსვლითი განვითარების უძლიერესი ფაქტორისა. ეს შეგნება ახლა სასწაულებს ახდენს. ჩვენს ქვეყანაში გაჩაღებული ბუნების გარდაქმნა და კომუნისტური დიდი მშენებლობები დიდი სტალინის, ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხალხის შემოქმედი აზრისა და ნებისყოფის შექარა ობიექტურ სამყაროში. სოციალისტური საზოგადოების აზრი და ნებისყოფა ქმნის და აწესრიგებს ბუნებისა და ცხოვრების დიდებულ ფორმებს. და ამ საქმეში მეტად დიდი და საპასუხისმგებლოა საბჭოთა ლიტერატურის როლი.

საბჭოთა მწერლობის სახელოვან რაზმს კარგად ესმის მხატვრული სიტყვის დიდი საზოგადოებრივ-გარდამქმნელი ძალა. ამ მხრივ განსაკუთრებით თვალსაჩინოა დიდი რუსული საბჭოთა ლიტერატურის როლი. იგი ყველა მოძვე ერის საბჭოთა ლიტერატურის მასწავლებელი და ტონის მიმცემია.

საბჭოთა ხალხის დიდ სულიერ სიმდიდრეთა შექმნის საქმეში ქართული საბჭოთა ლიტერატურა უკვე უდალ დირსეულად უდგას მხარში მოძვე საბჭოთა ერების ლიტერატურას. იმ საუკეთესო საბჭოთა ნაწარმოებებს შორის, რომლებიც სტალინური პრემიით არიან ონიშნული, არის საუკეთესო ქართული საბჭოთა მხატვრული წიგნებიც. ამ ხუთი წლის განმავლობაში სტალინური პრემია მიენიჭათ შემდეგ ქართველ მწერლებს: გ. ლეონიძეს, ს. ჩიქოვანს, ს. შანშიაშვილს, ი. გრიშაშვილს, ი. მოსაშვილს, გ. აბაშიძეს და ა. ქვიშვილს.

ქართული საბჭოთა პოეზია სამართლიანად ითვლება დიდი საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთ უძლიერეს ნაკადად.

თვალსაჩინოა ქართული საბჭოთა პროზის წარმატებებიც. ქართველი საბჭოთა მკითხველის სულიერ ბიოგრაფიაში უკვე მტკიცედ არის შესული ახალი მოწინავე იდეების მატარებელი ბევრი გმირი ქართული საბჭოთა პროზისა.

მაგრამ ქართულ საბჭოთა ლიტერატურას ჯერ კიდევ აქვს ჩამორჩენილი უბნები და სერიოზული ნაკლოვანებანი. დღეს ქართული საბჭოთა მწერლობის უმთავრესი ამოცანაა მთელი ძალების მობილიზაცია სწორედ ამ ნაკლოვანებებისა და ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად.

თუ დიდ რუსულ საბჭოთა ლიტერატურას, მიუხედავად თავისი უდიდესი წარმატებისა, მაინც უსაყვედურებენ ცხოვრებისაგან ჩამორჩენას, — მით უმეტეს ჩვენ არავითარი საფუძველი არ გვაქვს დამწვიდებულ ვიყოთ ქართული საბჭოთა ლიტერატურის მდგომარეობით, განსაკუთრებით ქართული საბჭოთა პროზის და ქართული მხატვრული კრიტიკის მდგომარეობით.

ჯერ კიდევ 1949 წელს საქართველოს ბოლშევიკების XIV ყრილობაზე ამხანაგი კანდიდ ჩარკვიანი აღნიშნავდა ქართული საბჭოთა პროზისა და განსაკუთრებით ქართული კრიტიკის სერიოზულ ჩამორჩენას. მართალია, საბჭოთა პროზამ მას შემდეგ გადადგა ნაბიჯები წინ, მას ახალგაზრდა ნიჭიერი ძალებიც შეემატა. მაგრამ ჩამორჩენა მაინც გრძელდება. ქართული საბჭოთა პროზა ჯერ კიდევ ვერ არის საკმაოდ გამსჭვალული კომუნისმის მშენებლობის იმ დიდი პათოსით, რომლითაც მოცულია მთელი ჩვენი ქვეყანა ომის შემდგომ წლებში. ქართულმა პროზამ ჯერ კიდევ ვერ დაგვიხატა ქართველი პატრიოტი, ქართველი ტუტარინოვი, ქართველი ბორტნიკოვები და სხვა ამაღავარი გმირები. ამავე დროს ქართული პროზის ძალები ჯერ კიდევ საკმაოდ იხარჯება ისტორიულ და სხვა არააქტუალურ თემებზე.

და განა ქართულ საბჭოთა პოეზიაშიც არ გაისმის ჯერ კიდევ ხმლებისა და ფარების ტრიალი, ემიგრაციული მოვლენებისა და ნიეთების ხმაური? განა არ ვგრძობდგავს ზოგჯერ ხელოვნურად გართულბული, გაუცნაურბული და დადარბინილი სახეები, მეტაფორები და სურათები, რომელთა აზრი, — თუ კი ასეთი რამ გააჩნიათ მათ, — გაუგებარია ხალხისათვის? უეჭველად, ქართულ საბჭოთა პოეზიაშიაც მოიძებნება ერთგვარი აბსტრაქტული პატრიოტიზმის მოტივები, ისეთი მოტივები, რომლებშიც სამშობლოსა და სამშობლოს სიყვარულის ცნება დაცლილია კონკრეტული სოციალური შინაარსისაგან.

ქართული საბჭოთა ლიტერატურული კრიტიკა ხომ მეტად ზანტად მუშაობს. იგი ვერ უწევს საჭირო დახმარებას ვერც მწერლობას — საბჭოთა ლიტერატურის აქტუალური პრობლემების გამჭეებით — და ვერც მკითხველთა მასას — მხატვრულ ნაწარმოებთა ღრმა და ყოველმხრივი ანალიზით. ისეთი კრიტიკული წერილები კი, რომლებიც ორიოდღე ზოგად დებულებას, რამდენიმე ნაწარმოების ანოტაციურ დახასიათებასა და მწერალთა გვარების ჩამოთვლას შეიცავენ, — საქმეს ნაკლებად შევლიან.

ამავე დროს არ შეიძლება ითქვას, რომ ქართულ საბჭოთა კრიტიკაში ამოფხვრილია მწერალთა შემოქმედების შეფასება პირადი მეგობრობის მიხედვით. არაბრინციადი კრიტიკა დიდად ვნებს ლიტერატურის განვითარების საქმეს. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 14 აგვისტოს დადგენილება პირდაპირ მიუთითებს, რომ ისეთი ლიბერალიზმი, რომლის დროსაც ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესები მსხვერპლად ეწირება მეგობრულ დამოკიდებულებას და კრიტიკა იზშობა, — იწვევს იმას, რომ მწერლები აღარ ზრუნავენ წინსვლაზე და ჰკარგავენ პასუხისმგებლობის შეგნებას ხალხის წინაშე, სახელმწიფოს წინაშე.

არაბრინციადი, არაობიექტური კრიტიკა, რანაირი ხმაურიანიც უნდა იყოს ის, არსებითად დაუსაბუთებელი კრიტიკაა. ასეთ კრიტიკას კი ზიანის მეტი არაფერი შეუძლია მოუტანოს საქმეს. იგი აბნევს მწერალსაც და მკითხველსაც.

ჩვენმა ქართულმა საბჭოთა კრიტიკამ აქამდე ვერ წამოაყენა და ვერ გააშუქა მხატვრული ოსტატობის ვერც ერთი საკითხი. ჩვენს კრიტიკულ წერილებსა, რეცენზიებსა და ბიბლიოგრაფიებში იშვიათად შეხვდებით ნაწარმოების გამომსახველობითი საშუალებების, სტილის, კომპოზიციის, სიუჟეტის და ფორმის სხვა ელემენტების განხილვას. ხშირ შემთხვევაში ნაწარმოების მთელი გარჩევა ამოიწურება მისი შინაარსის მეტად მშრალი და მოსაწყენი მოყოლით.

ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ საესებით სამართლიანია ჩვენი პარტიული პრესის მიითება ჟურნალ „მნათობის“ კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაზე. კიდევ მეტი, ჟურნალ „მნათობს“ საერთოდ სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს. იგი ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ პასუხობს იმ ამოცანებს, რომლებიც მის წინაშე დგანან. ჟურნალის მუშაობის ერთ-ერთ მტკიცეულ მხარედ აქამდე რჩება სარედაქციო კოლეჯის თითქმის სრული უმოქმედობა.

საქართველოს საბჭოთა მწერლობის გამგეობასა და მის პრეზიდიუმს უკვე ვეღარ შეუძლია მართლმართლობის, მშრომლობის და მშვიდობის ხელშეწყობისათვის თავისი ორგანოს მიმართ.

ქართული საბჭოთა მწერლობა გარემოცულია საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის შეუხელეხებელი მხრულველობითა და ყურადღებით. ნიჭიერ ქართველ მწერლებს ყველა პირობა აქვთ იმისათვის, რომ სრულად გაშალონ თავიანთი შემოქმედებითი ძალები და შექმნან უფრო მეტი და უფრო სრულფასოვანი ნაწარმოებები.

ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში არსებული ნაკლოვანებებისა და ჩამორჩენის მიზეზები უაღრესად სუბიექტურია. მათი სათავე თვით მწერლებშია.

საბჭოთა ლიტერატურის შემოქმედებითი მეთოდის — სოციალისტური რეალიზმის ძირითადი მოთხოვნებია ცხოვრების სიმართლის ასახვა მხატვრულ სახეებში, ცხოვრების სიმართლის გადაქცევა მხატვრულ სიმართლედ.

მწერალი ვერასჯობთ ვერ შექმნის დამაჯერებელსა და ცხოველყოფელ მხატვრულ ნაწარმოებს, თუ მის განკარგულებაში არ არის ცხოვრების, სინამდვილის უმდიდრესი მასალა.

ზოგჯერ ზოგიერთ მწერალს ჰგონია, რომ მან ცხოვრება კარგად იცის, და კმაყოფილდება იმ ცოდნით, რომელიც წარსულში — თუნდაც გუშინ ან გუშინწინ — მიუღია, — და ავიწყდება, რომ ჩვენი ცხოვრება საოცარი სისწრაფით მიდის წინ, საოცარი სისწრაფით იცვლება. ზოგჯერ ჰგონიათ, რომ ადამიანთა ისეთი გრძნობები, როგორცაა შრომის, ადამიანთა ურთიერთობის, მეგობრობის, ერთგულების, სიყვარულის, ოჯახის და სხვა გრძნობა, — იმავე შინაარსისა და იმავე ხასიათისაა, როგორც ოდესმე ყოფილა, — ავიწყდებათ, რომ სოციალისტური შრომის და ადამიანთა სოციალისტური ურთიერთობის პირობებში ეს გრძნობები იხვეწებიან, მდიდრდებიან და იცვლებიან კიდევ.

განა ის მწერალი შესძლებს ცხოვრების სიმართლის ჩვენებას, რომელიც დღეს, ვთქვათ, საბჭოთა ადამიანების მეგობრობას დავეხატავს როგორც ურთიერთის ნაკლისა და შეცდომების დაფარვას? ამავე დროს ასეთი შეზღუდულობა მეგობრობაზე საკმაოდ ფეხმოკიდებული იყო წინათ გარკვეულ წრეებში, — და, შესაძლოა, რომელიმე მწერალს დღესაც იგი აქიდებული ჰქონდეს ძველ ბარჯად.

ერთი სიტყვით, ამა თუ იმ მწერლის შემოქმედებითი მარცხისა თუ ჩამორჩენის მიზეზი უნდა ვეძიოთ, პირველყოვლისა, ცხოვრების უცოდინარობაში, იმაში, რომ მწერალი ყოველდღიურად არ სწავლობს და არ უკვირდება ცხოვრებას.

მაგრამ საკმაოა თუ არა მართო ცხოვრების მასალების ცოდნა?

იმისათვის, რომ გაერკვეთ სინამდვილის მოვლენებში, გაერკვეთ ცხოვრების აურაცხელ დეტალებში, მისწვდეთ ამ დეტალების აზრს, მიაგნოთ განვითარების კანონი და მამსადაამე, ხელი ჩასჭიდოთ ცხოვრების სიმართლეს, — საჭიროა თქვენ გქონდეთ მტკიცედ ჩამოყალიბებული სწორი თვალსაზრისი, სწორი მსოფლმხედველობა.

ცხოვრების სიმართლე მოვლენათა ზედაპირზე არ ცურავს, ის სიღრმეშია, ის უამრავი მიმართებათა კვანძს შეადგენს. ამ კვანძის მიწვდომა და გახსნა მხოლოდ ისეთი დროა მეცნიერულ-რევოლუციური მსოფლმხედველობით შეიძლება, როგორცაა მარქსიზმ-ლენინიზმი.

მხოლოდ იმ მწერალს შეუძლია შექმნას მაღალიდებური საბჭოთა მხატვრული ნაწარმოები, რომელიც დგას ჩვენი დიდი სტალინური ეპოქის მოწინავე იდეების სიმადლეზე.

საბჭოთა მწერლობამ უნდა იბრძოდეს რაპოვშჩინის ყოველგვარი რეციდივების წინააღმდეგ, ლიტერატურისა და ხელოვნების სპეციფიკის მიჩქმალვის

ყოველგვარი ცდების წინააღმდეგ. მაგრამ ამავე დროს მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ მწერლის იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებას, მის მხივრე შარქისიტულ-ლენინური თეორიის დაუფლებას, მთელი მისი მსოფლშეგარებითი გამსჭვალვას საბჭოთა იდეოლოგიით — გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ მან შექმნას ისეთი ნაწარმოები, რომელიც ნამდვილად იქნება ჩვენი ხალხის, ჩვენი ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებისა და მაღალი გემოვნების აღმზრდელი.

საბჭოთა ლიტერატურა მოწოდებულია შექმნას მაღალსულიერ ღირებულებათა სიუხვევ, რასაც კომუნისტური საზოგადოების ასაგებად არანაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მატერიალურ ღირებულებათა სიუხვევს.

ამ მოწოდების შესრულების გზაზე ქართული საბჭოთა მწერლობა შესძლებს ახალ-ახალი წარმატებების მოპოვებას მხოლოდ ბოლშევიკური პარტიისა და დიდი სტალინის ბრძნულ მითითებათა განხორციელებით!

პირისპირ

რომანი *

წიგნი მეოთხე

ბოლო

„ჩემთან მოდიან უგონონი და გონიერნი, ნათელი და შეზღუდული გონების შქონენი, ბავშვები, ჰაბუკები, მოწიფულნი და სანდაშულნი. ყველა ესენი მიაშობენ მე შას, რაც შათ სულსა და გულში მოეპოვებათ, მიაშობენ, რასაც ფიქრობენ, როგორ ცხოვრობენ და მოქმედებენ და გამოცდილებით რაც მიუღიათ, მე კი ვაღდებული ვარ ყოველივე ეს დაეჭირო და ის მივიშკა, რაც სხვებმა დათესეს ჩემთვის“.

გოთე თე: „საუბრები“.

★

1

კორნელის დაპატიმრების ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელ ქალაქს. იგი მეხვიით დაატყდა თავზე კორნელის ღედას — ტერეზას, ღეიდას — ელენეს, ძმას — სტეფანეს, ტერზას მვილობილს — მარგოს და ყველა ნათესავ-მეგობრებს. ყველა თავისებურად განიცდიდა და აფასებდა კორნელის დაპატიმრებას და პირველი მაისის ბოლშევიკურ დემონსტრაციაში მის მონაწილეობის მიღებას.

ქურნალის რედაქციაში პოეტი რაფაელ ახვლედიანი, ლეკადენტური პოეზიის მიმდევარ თავის მეგობრებს — პლატონ მოგველაძეს, ლეონარდო ტაბაძეს, ვარლამ შევარდნაძეს და თეოფილ გოთუას ეუბნებოდა:

— მდიდარი ბნობრაფია აქვს იმ ქაბუკს: მიჯნურობა, მწერლობა, ვარჯიშობა, მუსიკა-კრივი, ომი, ჭრილობა, პოლტიკური ბრძოლა, პატიმრობა.

— მართლაც, — დაუდასტურა გოთუამ.

— არ დახვრიტონ ან ჩამოახრჩონ, ის უბედური, — შეიცოდა კორნელი მოგველაძემ.

— ჩამოახრჩობის წინ, ვაი თუ ფრანგი პოეტის — ფრანსუა ვიიონის მსგავსად ცინიკურად წააწეროს მან ციხის საკანის კედელს: „და ეგ საუდლომი რასაც იწონის, ხვალე გაიგებს ჩემი კისერი“, — ეშმაკური ღიმილით შენიშნა თეოფილ გოთუამ. ლეონარდო ტაბაძეს კორნელის ციხეც კი შემწურდა და მეგობრება უთხრა:

— უცნაური ხალხი ხართ თქვენ: რა შუაშია ფრანგი პოეტი ფრანსუა ვიიონი, და კორნელი მხეიძე?!

— რატომ, — შეედავა რაფაელი. ამან ლეონარდო ტაბაძაძე უფრო გააბრაშა:

— ვერ გამიგია, მართალს ამბობ, თუ ხუმრობ? ჰკითხა ლეონარდომ.

— მართალს მოგახსენებ, — მიუგო რაფაელმა. თეოფილ გოთუა ამან წაათამაშა და ლეონარდოს უთხრა:

— მაგ ბიჭის ცხოვრება რაღაცათი წაავაგეს ფრანსუა ვიიონის და რემბოს ცხოვრებას:

— არაფერიც არ გცოდნია. უვიცი ყოფილობა რა საერთო აქვს დახილ კონქაძეს, ეგნატე ნინოშვილს, ილა ქაჩავაძის და პროვინციელი „ლხოსანი“ ჩვენი მწერლების მიბაძვით გლეხებისა და მუშების გაჭირვებაზე და მათ ბრძოლა-ქიდილზე მჯობნელ. შინგამოზრ-

დღე ქართველ ახალგაზრდა ბელეტრისტს, ვიღაც კორნელი მხეიძეს, რომელიც საქართველოს არ გამოარჩებია, უცხაურ, მოხეტიალე, დაუდგრომელ და გენიალურ ფრანგ ჰუმბოლთან — არტურ რემბოსთან? რემბომ მთელი ქვეყანა მოიარა, იგი პოლანდიის არმიის ჯარისკაცი, სტოკჰოლმის ცირკის კონტროლიერი, კუნძულ კვიპროსზე ანტრეპრენერი, ხარარში ვაჭარი, აფრიკაში ტყავიულის გამყიდველი, მუღამ მოუსვენარი, დამცინავი, პოეზიის უარყოფელი, ხრწნისა და ლუქისის სილამაზის მოტრფიალე იყო. მან პოეზიის შედეგში — „მთვრალ ხომალდში“ მთელი ქვეყანა დაიტრია... ისღა გვაქვია, კორნელი მხეიძე არა მარტო რემბოს, არამედ არაჩვეულებრივ, დემონურ, დიდ და გიჟურ გენიის მქონე ჰუმბოლს ისიდორე დიუკასს — თავად ლოტრეამონსაც შევადაროთ, რომელმაც თავისი მალდაროის და გომბეშოს სახით, მთელი სამყარო და ადამიანის მოდგმა გამოიტრია?

ლონარო ტაბადაძის ასეთი თავდასხმის შემდეგ თეოფილ გოთუა სახტად დარჩა და ლონარდოს უპასუხა:

— ნეტავ ენა მომტეხონდა და ფრანსუა ვიიონი არ მიტყუებინა? მე ის ფრანგი პოეტი იმით მომაგონდა, რომ ჩვენი მწერალიც მასავით ობიექტი ჩაადგეს... შენ კი მთელი წირვა-ლოცვა გამოიყვანე.

მიუხედავად თეოფილ გოთუას პასუხისა, ლონარდოს სიტყვის შემდეგ ევროპის და კერძოდ საფრანგეთის დოქტორულ პოეზიის წინაშე ქედმოხრილ და გადაგვარებულ ქართველ პოეტებს რემბოსთან, ლოტრეამონთან და ფრანგ სხვა პოეტებთან შედარებით, კორნელი მხეიძე აბლა კაცუნად ეჩვენებოდათ.

მაყაშვილთა ოჯახში, ნინოს გამოკლებით, ყველამ ერთხმად ჩაჰქოლა კორნელი. ეგრე ეკადრებოდა, თქვეს. წინ წყალი, უკან მეწვერი უსურვეს. ნინომ კარგად იცოდა, კორნელი რომ ბოლშევიკებს იბეკდოდა და იმ ადამიანებთან ერთად იბრძოდა, რომლებიც ძველ საქართველოს დამხობას და საზოგადოებრივ ასპარეზიდან თავადთა და მზაურთა და, მაშასადამე, ნინოს და მისი შრობების გაძევებასაც აპირებდნენ. მიუხედავად ამისა, კორნელის დაჭრისა და დაპატიმრების შემდეგ, იგი ნინოსათვის არა ნაკლებ უცხაურ, უჩვეულო, მომავლოებელ და დიდ ადამიანად

იქცა, ვიდრე ლონარდო ტაბადაძისათვის რემბო და ლოტრეამონი.

გ. კ. კ. კ.

2

კორნელის დაპატიმრების ამბავი დღე და ელენემ გვიან, მხოლოდ ნასადილევს გაიგო, როდესაც მზარეულმა ქალმა კატიამ სუფრა ააღაგა. ის ამბავი ელენეს, ტელეფონით ესტატე მაყაშვილის მეუღლეს — ვარლამ ახარა, ახლაც მიხვდა ელენე, თუ რად იჯდა მაგიდასთან მუხაჯად და გლოვით მოკლული მისი მეუღლე — გიმნაზიის დირექტორი დათა მიქელაძე. ქმარს საქმელისათვის ხელიც არ უხვია. ის მისი მოადგელები ინსპექტორი — დიმიტრი ჯანელიძეც, თავისი მოწაფეებიც, დემონსტრაციებზე იყვნენ და კორნელის დაპატიმრება იქვე შეიტყეს, მაგრამ დათა ვერ პედავდა ცოლისათვის გაეცხადებინა ეს ამბავი.

ელენემ იცილა და მერე მოთქმით ტირილი გააბა. როდესაც ტირილსა და ქვივს მორჩა, გამხდარმა და ჩია ქმარმა მგლოვიარე და დახშული ხმით ჩაილაპარაკა:

— თავი დაიღუპა იმ ბიჭმა, და ჩვენც დავეღუპა.

— ჩვენ რა შუაში ვართ? — გაოცებით ჰკითხა ნამტირალევმა ცოლმა.

— როგორ თუ, რა შუაში ვართ! კორნელი ხომ ჩვენი ნათესავია და ჩვენთან ცხოვრობს!

— მერე რა?

— რამიშვილს გაუგია, კორნელის და მიტოს რომ მიუბეგვით კედის აგენტები და მენშევიკების გვარდიელები და თვითონაც დასახირობულან და თავი კინაღამ არ წაუგვით, — უთხრა ცოლს ქმარმა და დასძინა: — რამიშვილს უთქვამს, რატომ აგენტებმა იქვე ქუჩაში არ ჩააძლეს ბოლშევიკების მიერ მოსყიდული ის მწერალი მხეიძე და ხელგაზი ნიკეაძე?!

— თვითონ უნდა ჩააძლონ ის ოხერი, სატანა, — აენთო ელენე.

— რას ამბობ, ქალო? — გაოცდა დათა.

— საქმეს მოგახსენებ. შენ თვითონ არ უწოდებ რამიშვილს ჯალათი და მტარვალი? — მიუგო ცოლმა.

— აბა, ეს საიდან მოიგონე? შარზე ხომ არა ხარ? გინდა დამღუპო? — შეშინდა კარიერის მოყვარული დირექტორი დათა მიქელაძე, მოკლე და დაკვირ-

ქნილი შავი წვერის გრეხას, წიწკნას და გლეჯას მოჰყვა. იგი ღელავდა.

მოდი და, ნუ იღვლეები! შინაგან საქმეთა მინისტრი — ნოე რამიშვილი მრისხანე და დაუნდობელი კაცი იყო. მას „საფრთხოებლას“ უწოდებდნენ, იგი შიშის ზარს სცემდა მენშევიკური წყობილებით უქმყოფილო მუშებს, მოსამსახურეებს, განსაკუთრებით მე-ლითონეები და მასწავლებლები ათთავ-ლინსენა მან. რამიშვილი აუტყმებდა და აპატიმრებდა ბოლშევიკურად განწყობილ პროფკავშირების გამგეობას, ხსნიდა სამსახურიდან კომუნისტებს, თანამდებობის პირებს. სკოლების გაფიცვის დროს, დათა მიქელაძის გიმნაზიის მასწავლებლობა მოწინავეთა რიგებში იყო და დირექტორს ეშინოდა, რამიშვილმა არ მომხსნასო. ელენე კი ქმარს არ ზოგავდა ახლა:

— შენ არ მოთხარი ამას წინათ, ამ საშინელო სიძვირისა და შიმშილის დროს რამიშვილი მასწავლებლებს თვეობით არ გვირიგებს ჯამაგირს, ხელფასის მომატების ნაცვლად, გაფიცულ მასწავლებლებს სამსახურიდან დათხოვნილ და დაპატიმრებით გვემუქრებაო!

— მე ბევრი რამ მითქვამს შენთვის, — მიუგო ქმარმა, — მაგრამ, შენ დალოცვილო, შინ რასაც ვეტყვი, ის ხალხში კი არ უნდა ვაიტანო.

— რამიშვილის და მენშევიკების ძვირს ყველგან ვიტყვი და ვიყვირებ, — არ ცხრებოდა ენაქართალა ცოლი და ისეთი რამ თქვა, რომ ქმარს თმა კინალამ ყალყზე დაუდგა: — ძალი მიაცვია მენშევიკებს და რამიშვილს კისერში! ხელახ, სანამდე მიიყვანეს ქვეყანა?! მალე შიმშილით ამოფეყლებით, ყველა მათხოვრებს დავემსგავსებით და შიმშელ-ტიტველი ვივლით. რისიცი გაყიდვა შეიძლებოდა, ყველაფერი გავყიდეთ. აწი რა გვეშველება? არ გვაცვია და არ ვგაზურავს. ასე უნდა დავიფიქროდე შენ — ელენე მდივნის ქალი? შეგხედე, — დაიძახა გაანჩხლებულმა და წონასწორობიდან გამოსულმა ქალმა და კაბა კინალამ არ წამოიხადა.

— რამ გვაგებია? — დაუყვირა დათამ, — დაწყნარდი. შეწყვიტე რამიშვილისა და ჩვენი მთავრობის ლანძღვა-გინება! დააყენე მდივნების ეგ საქამლავი ენა!

— არა, არ დაეაყენებ... როგორ არ ვაგინო რამიშვილი, კორნელის ჩაძაღვლებას თუ აპირებს! გავლანძვავ კი

არა, დღესვე მივეუარდები და თვალებს ამოვთხრო! — ძუ ვეფხვევით იმირიზა ელენე, გაბრაზდა და მოციხეფრო თვალები დაუბრიალა ქმარს: ჩინა და შმიშარა ქმარი შავი და დიდრონი თვალებით მიამტერა ცოლს და მისი დამშვიდება დაიწყო. მან იცოდა, ასეთ დროს გაირიდება და დათმობაზე წასვლა რომ სჯობდა:

— ჩაძაღვლებს კი არა, ის არ გინდა!.. ეს გაბრაზების დროს წამოცდა რამიშვილს.

— დღესვე გამოუშვას კორნელი, იმ შენმა რამიშვილმა, თორემ შავ დღეს დაეაყენებ, — ისევ უყვირა ცოლმა, თითქოს რამიშვილის მიერ კორნელის განათვისუფლება დათაზე იყო დამოკიდებული. დათა ისევ შეშინდა და წყნარად ლუთხრა:

— მიკვირს შენი ამბავი. მენშევიკების აგენტების და გვარდიელების დასახიჩრებისათვის, კორნელის და მიტოს რომ დააპატიმრებდნენ, არ იცოდი? თავის თავს უნდა დააბრალოს კორნელი.

— განა კორნელი ტყუის, მენშევიკებს რომ აგინებს! — შენიშნა ელენემ. დათა დადუმდა. ფიქრებს მიეცა და უაზროდ ჩაილაპარაკა:

— ამბობენ ინგლისელები ბათუმის დანაც მოლიან და შიგ ჩვენი ჯარი უნდა შევიდეს და ქალაქი და ბათუმის ოლქი დაიკავოსო...

ელენემ აზრის დამთავრება არ აცალა, გაოცდა და ჰკითხა:

— მერმე კორნელის და მე რა, ბათუმში თუ ჯარი შევიდა!

— როგორ თუ რა? — განუმარტა ქმარმა, — რამიშვილი მე კარგად მიცქერის. მას ჩემი დაწინაურება და ბათუმში ჩემი გავზავნა გადაუწყვეტია აქარის განათლების განყოფილების გამგედ უნდა დამნიშნოს, აქარაში თურქებისა და რუსების გავლენას რომ შევებძოლო, ხომ ხედავ, მენშევიკებმა ჩვენთან — ფედერალისტებთან უკვე კავშირი შეჰკარეს, ისინი ჩვენ გვეხდობან და საპასუხისმგებლო ადგილებზეც გვგზავნიან და გვნიშნავენ. მაგრამ რად გინდა მერმე შენ? ახლა რამიშვილი გაიგებს, კორნელი ჩემი ნათესავი რომ არის, ჩემთან ცხოვრობს და აქარაში განათლების გამგედ კი არა, სკოლის უბრალო მასწავლებლად, დარაჯადაც არ დამაყენებს. და, კორნელისთან ერთად.

საქართველოდან რუსეთში გადასახლებს... აი, რა გვიყო კორნელი! აი, როგორ დავგლეჯა!

— აი, როგორი კაცი ყოფილხარ შენი აი, რა მუცლის გერემა გქონია შენი შენ შენს კარიერას მისტირი თურმე, და არა კორნელის უბედურებას. ფუი! — გააფურთხა განჩხლებულმა ცოლმა. მტკიცე ხასიათის მქონე, ჯანსაღი ქალის მიერ გათელილმა, სუსტმა და გამბადარმა კაცმა მტირალის ხმით წაილულულა და ჰკითხა:

— აბა, შენ თვითონ განსაჯე, ელენე: რა დიდ ეროვნულ საქმეს მავალეზდა რამიშვილი და, ახლა მშრალზე უნდა დავრჩე?! რა დავიშავე, რომ მათურთხებე კიდევ?

ელენემ დათას შეხედა, ქმარს თვალზე ცრემლი შენიშნა, შეეცოდა, გაფითრდა და ვერაფერი ვერ მიუგო.

„ეროვნული საქმე“ და „სახოგადობრივი მოვალეობა“ ნაკლებ აინტერესებდა ელენეს. მისთვის ნათესავების კარგად ყოფნა, ქმრის დაწინაურება და ქონებრივი მომძლავრება იყო მთავარი, ძალიან იდეალისადმი სწრაფვა და რომანტიკული გატაცება სრულიად არ ახასიათებდა მას.

ელენე ორ ცეცხლს შუა იწოდა: დისწულას და ქმრის სიყვარული უნდა დაედო! სასწორზე. ბოლოს კორნელის სიყვარულმა დასძლია. კორნელის განთავისუფლებაზე ფიქრი დაიწყო და ქმარს დამშვიდებით ჰკითხა:

— ვის მიემართოთ პროტექციისათვის?

— ისევ პროტექცია, ქრთამი, ძღვენი და დავიდარაბა. — ჩაიქნია ხელი დათამ და დასძინა: — რა ვიცი, ვის მიემართო?

— ესტატე მაყაშვილის მეუღლეს ვარდოს ზომ არა? იგი ესტატეს ეტყვის. ესტატე გეგუქორის მეგობარია.

— შეიშალე? ვანა ესტატე მაყაშვილი თხოვს გეგუქორის ბოლშევიკი განთავისუფლებო? სხვა არა იყოს რა, ესტატეს კორნელისგან თავისი ქალის — ნინოს შეურაცხყოფა ჯერ კიდევ ვერ მოუწონებია, — შენიშნა ქმარმა.

ქმრის მოსაზრება ჰკუთავი დაუჯდა ელენეს და თავი ჩაკვიდა. უცებ, ფიქრში წასულ ქალს შედვირის აზრი დაებამა, დათას თანამშრომელს — ინსპექტორ დიმიტრი ჯანელიძისათვის მიემართნა. ელენემ თავი ასწია და ქმარს უთხრა:

— ჩვენი დიმიტრი ჯანელიძე კედისას ცოლის ძმა არის, კედისას გაგვივებით უყვარს დიმიტრი. დიმიტრი კედისას გაათავისუფლებინებს საპატიმროდან კორნელის.

— კედია კიდევაც რომ ეცადოს, რამიშვილი ბოლშევიკის განთავისუფლებაზე არასოდეს ხელს არ მოაწერს, — ცივი წყალი გადაასხა ცოლს ქმარმა. ცოლმა შენიშნა:

— შენ ისე ლაპარაკობ, თითქო კორნელი მართლაც ბოლშევიკი იყო!

— მაშ, ვინ ვახლავს „მოჯახპირის“ და „არკადი ელბაქიძის“ ავტორი? — ჰკითხა დათამ.

— მწერალი. მენშევიკების კრიტიკა, ჯერ კიდევ არ ნიშნავს ბოლშევიკობას, — მიუგო ელენემ.

— მე არ ვიცი, კომუნისტური პარტიის წევრი არის თუ არა კორნელი, მაგრამ იგი რომ ბოლშევიკების მხარეზე დგას და იმათი პოზიციებიდან გვებძვის, ეს კი აშკარაა, — განაცხადა დათამ.

რაც უფრო უხშობდა ქმარი კორნელის განთავისუფლებისათვის გამოსამუშავებელ გზას თავის ცოლს, მით უფრო საზრიანი და ხერხიანი ხდებოდა მისი მეუღლე.

— ქალი არ ვიყო, ტერეზას ჩამოსვლამდე კორნელი თუ არ გამოგაშვებინო ციხიდან, — იცეცხნიდა ელენე.

— აღდგომა და, ხვალაო, — მიუგო დათამ და შენიშნა: — თუმცა, ვინ იცის! მდივნები, განსაკუთრებით ქალები: ტერეზა, შენ, თამარი ხერხიანი, მონღომებული, ენინიანი და პრაქტიკული გონების მქონე ადამიანები ზართ. თქვენი ძამია ოტიასი კი, რა მოგახსენო!

— შმიშარა, უფხო და უნებისყოფო შენ ნათესავს — ბოლკოვნიკ მიქელაძეს რომ ვგავდე, შენც და მეც, მისი ცოლივით, სოფელში გავიქცევოდით, ახლა იქ ექნებოდით და ჩვენი მათებარ დაფაქვებოდით შშობლებს კისერზე. კარგი რომ მიქელაძეებს არა ვგვივართ მდივნები და არც შენ და არც მე შშობლები არა ვგვაყავს, — დასცინა მიქელაძეებს ელენე მდივნის ქალმა.

ელენეს მდგმური, სიღარიბის გამო წილში მოხრილი, გაჩანაგებული და უდროოდ ღრმად მოხუცებული ბოლკოვნიკი მიქელაძე, მართლაც თავისი გიჟი ცოლით მამამისს კულაშიში მიაღვა კარზე და მიქელაძეების სახავ-სათესის სავარეულო მამულს — „მელოურის“

წილი მოსთხოვა და მისი გაყიდვა მოინდომა.

ახლა მხოლოდ რუსეთიდან გამოქცეული ხიზნები — მათრი ბოგოლოუბოვი და მისი ცოლი იყვნენ ელენეს მღვმურები, მაგრამ ჩრდილო კავკასიაში და განსაკუთრებით კი ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ამათაც წყალი შესდგომოდათ და ახლა ბათუმში გაქცევას აპირებდნენ.

3.

3 მაისს, ნასადილევს ელენეს ტარეზას ნაშვილები მარგო ფრუიძე და კორნელის მეგობრები — იუნკერი სანდრო ხორტივაი და სტუდენტი კუქური ზარანდია ესტუმრნენ და ცეცხლოვებული ქალის დამწვინება დაიწყეს.

სანდროს არა სჯეროდა, კორნელი ბოლშევიკების გამოსვლებთან დაკავშირებით რომ იყო დაპატიმრებული...

იგი მანამდე, და მით უფრო ახლა, სამხედრო სკოლაში შესვლის შემდეგ საბჭოთა რუსეთის მიმართ მენშევიკების და ნაც. დემოკრატების უმსგავსო ქორებით და აგიტაციით იყო მოწამლული. მას მართლა სჯეროდა, რომ საბჭოთა რუსეთი და მისი წითელი არმია ქართველი ხალხის ჩასაყლაბად და მისი დოვლათის გასანადგურებლად კალიასავით სამხრეთისაკენ მოემართებოდა.

— მიკვირს, რამ აიძულა კორნელი ბოლშევიკებს მიჰყვებოდნენ, — უკვირდა სანდროს. კუქური ზარანდია ამუხსნა:

— კორნელი ფიქრობს და მეც იმ აზრისა ვარ, რომ ღენიკინის ლაშქრის დამარცხება რომელსაც ვეროზის ძლიერი სახელმწიფოები ასე შევლოდნენ, ანტანტის სისუსტეს მოასწავებს და საბჭოთა რუსეთის ძლიერებაზე ღაღადებს. მომავალი საბჭოთა რუსეთს ეკუთვნის.

— ეს ბოლშევიკების მიერ შემინებელი ფილისტერების მოსაზრებაა, — შენიშნა სანდრომ, — თქვენც მათებრ ბანიკას მისცემიხართ. ამის გამო ხომ არ მიჰყვებოდნენ კორნელი ბოლშევიკებს!

— მაგას ნუ იტყვი, — დაიცვა კორნელი კუქურიმ, — კორნელი ჩემზე და შენზე უფრო უშიშარი და მამაცია.

მარგომ მკაცრად შენიშნა იუნკერს:

— შიშის გამო არ შეუცვლია მრწამსი კორნელის. იგი კომუნისტური იდეის უპირატესობაში არის დარწმუნებული.

— თუნდაც ასე იყოს. აქაც ცუდად უნდაგარიშნია, რადგან კომუნისტი ილუზია არის. კომუნისტური საზოგადოება კიდეც რომ დამყარდეს, იგი პირიქედნობისათვის დამღუბველი იქნება... მაგრამ ამას თავი გაავიხრეთ. საბჭოთა რუსეთის წყობილება და მისი წითელი არმია რუსეთს ვერ გამოარდება, — მიუგო იუნკერმა მარგოს.

— თუ არ გამოარდება, შეხედვ: წითელმა არმიამ უკრაინა, ბელორუსია, ჩრდილო კავკასია, აზრებაიჯანი მოიკრა, იქ საბჭოთა ხელისუფლება დაამყარა. — ახლა უკვე დამცინავი ღიმილით შენიშნა მარგომ, მაგრამ იუნკერი არ ცხრებოდა და შეიტევაზე გადადიოდა.

— ანტანტა ისე არ დაეცემა, რომ დაქვდა ბათუმში საბოლოოდ საბჭოთა რუსეთს და ლუთმოს. ვერასოდეს ბოლშევიკები და მათი წითელი არმია ვერ დაიპყრობენ საქართველოს. რაღა დავგრჩა ჩვენ იუნკერებს? კიდეც ერთი წელი და ოფიციალურად გამოგვიშვებენ. ერთი წლის შემდეგ კი ჩვენ ისეთი და იმდენი ოფიცრობა და ჯარი გვეყოლება, თინაც ვეროზის ქვეყნები ისეთ დახმარებას აღმოგვიჩვენენ, რომ საბჭოთა რუსეთი ვერასოდეს საქართველოში ფეხს ვერ შემოდგამს. — იყვენინდა მამლახიწა იუნკერი, მაგრამ ის იუნკერი იმ დღეებზე დარწმუნდა, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება არა გარედან მოსული ძალის საშუალებით იყო მოსალოდნელი, არამედ შიგნიდან: ბოლშევიკებს ყველაფერი გაეკეთებოდა იმისათვის, რომ საქართველოს მუშებს და გლეხებს, დღეს თუ ხვალ, მენშევიკური საბელმწიფო შიგნიდან აეფეთებოდა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დაემყარებოდა.

სანდროსა და მარგოს შორის კამათმა მწვავე ხასიათი მიიღო. ელენეს თავისი დარდი აწუხებდა, ცეცხლი ეღებოდა და წყენით განაცხადა:

— რა უბედურებაა: შეიყრებით თუ არა ახალგაზრდები, მაშინვე პოლიტიკურ საკითხებზე ასტეხთ დავას. გაანგებეთ თავი ამას, ახლა ისა სჯობია, დამეხმაროთ და მასწავლოთ, რა საშუალებას მივმართო იმისათვის, რომ კორნელი ციხიდან გამოვიხსნა.

სანდროს და კუქურის ძალიან გაუკვირდათ, გინახავთ დირექტორის — დათა მიქელაძის ცოლი კორნელის სამშველად მათ რომ მიჰპარებოდა.

უნიდადგო, დიდი ბჭობის შემდეგ ელენემ ნაღვლიანად განაცხადა:

— ასეა ყოველთვის. საცოდავი ჩემი კორნელი, ყველას ეხმარება და შევლის, მას კი — არავინ... განა მან არ გაათავისუფლებინა, მარგო, შენი ძმა — მიხა? თავისი სომეხი ამხანაგი — ლეონ მერაბიანციც მან არ გამოიხსნა?!

მარგომ თავი ჩაჰკიდა.

— ლეონ მერაბიანცი მარგარიტა ლეტცს გაათავისუფლებინა კორნელიმ. — შენიშნა ელენეს კუკურიმ. სანდრომ დასძინა:

— მართლა... მარგარიტა კედისას

განგებო რაზმის აგენტებში დაძვრება. მას ყველაფერი შეუძლია

— მიშველეთ, — იყვირა — ვლენემ და სკამიდან წამოიჭრა, — მანახვეთ ის გერმანელი ქალი... სად არის მარგარიტა? მარგარიტა, მარგარიტა მალე!

მარგოს არ ესიაშვინა, ზნედაცემული გერმანელი ქალის საშუალებით რომ აპირებდა ელენე კორნელის გაათავისუფლებას. კუკურის მოაგონდა და ელენეს უთხრა:

— ლევან ქორიძე რამიშვილის მეგობარია. მას მივმართავ...

სამხედრო სასწავლებელში

„მ მისს სიღამოს სახალხო სახლში თავს იყრის მენშვეიკური მთავრობის მთელი შემადგენლობა, რომლის დაპატიმრება ჩვენი ერთგული ჯარის ნაწილის საშუალებით ადვილი მოსახერხებელია“. სამხედრო კომიტეტის ხელში მისული ცნობიდან.

სანდრო ხოტივაიარი და კუკური ზარანდია დათა მიქელაძის ბინიდან საღამოს კირკის ქუჩაზე გამოვიდნენ. სანდრო სამხედრო სასწავლებელში საღამოს ამოკითხვაზე მიიჩქაროდა, მაგრამ სახალხო სახლს რომ მიუახლოვდა, კუკური ზარანდიამ შეაჩერა.

მოზღვავებულ ხალხით სავსე სახალხო სახლის წინ მანქანიდან ნოე ჟორდანიას, ნოე რამიშვილი და ევგენი გეგეჭკორი ჩამოდიოდნენ. სახალხო სახლში შესასვლელ კარებთან და ტროტუარზე ათიოდე გვარდიელი იღბა და წესრიგს იცავდა, მათ შორის კუკურიმ ფერმკრთალი და ქალარა გვარდიელი, ბათუმელი ერთი ყოფილი მუსა — ანტონ გვათუა იცნო და მას მიესალმა. მალე კიდევ მოვიდა მანქანა. ახლა იქიდან ჩხვიძე და წერეთელი ჩამოვიდნენ. კუკურის გაუკვირდა და იქვე მდგომ გვარდიელს ანტონ გვათუას ჰკითხა:

— მთელი მთავრობა ხომ არ იკრიბება დღეს სახალხო სახლის თეატრში? ნეტავ რა ამბავია?

— დღეს სახალხო სახლში საგანგებო თათბირი ტარდება. მიმდინარე საკითხებზე ნოე ჟორდანიას და ნოე რამიშვილი გამოვლენ სიტყვით, — აღტაცებით მიუგო გვათუამ.

— რამიშვილი რომელია? — ჰკითხა სანდრომ კუკურის და სახალხო სახლის კარების წინ ჟორდანიასთან მოსაუბრე პირებს მიაშტერა.

— აგერ, წვერიანი, მალაღობი და გამხდარი კაცი, ჟორდანიას და გეგეჭკორის რომ ესაუბრებდა, — მიუგო კუკურიმ.

— ის არის რამიშვილი? — ისევ მიაპიტად ჰკითხა სანდრომ.

საკვირველი იყო, რომ ჟორდანიას გარდა, მთავრობის არც ერთი წევრი არ ენახა მანამდე სანდროს. არც ერთ მათგანს არ იცნობდა იგი. გვარდიელმა გვათუამ ეჭვის თვალთ შეხედა სანდროს, სახე მოლუსა და კუკურის ხმაძალა და ამრეზით ჰკითხა:

— საქართველოში ცხოვრობს ეს კაცი, თუ თურქეთში?

სანდროს ეწყინა გვარდიელის აგდებული ტონი და შეუტია.

— თურქეთში შენ მიბრძანდი.

— ჟორდანიას და რამიშვილს თუ არ იცნობ, ბიძია, საქართველოში რა განდა?

— რამიშვილს თუ არ ვიცნობ, ამიტომ თურქეთში უნდა გადავსახლდე?

— თუ გინდა საბჭოთა რუსეთში გადასახლება. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ცხოვრების ღირსი კი არ ყოფილხარ.

გვარდიელი ვერ ურიგდებოდა იმ აზრს, რომ საქართველოში მცხოვრებ ადამიანს არ სცოდნოდა, ვინ იყო რამიშვილი. მით უმეტეს სამხედრო პირს. ამის გამო ანტონ გვათუა და სანდრო ხოტივაიარი ერთმანეთს დაეჯახნენ... კუკურიმ ძლივს დააშოშმინა თავისი ნაც-

ნობი გვარდიელი და თავისი მეგობარი იუნკერი.

ქორდანია, რამიშვილი და თათბირის სხვა მონაწილენი სახალხო სახლის თეატრში შევიდნენ. სანდრო კუკურის დაეშვიდობა და უთხრა:

— იმ საკლდე, გვაჯა გვარდიელს, რამიშვილზე უფრო დიდი კაცი ძვეზნად არ ეგულვება.

— იგი ქორდანია და რამიშვილით მოჯადოებული მენშევიკა, რამიშვილი არ მინახავს და არ ვიცნობო, რომ თქვე, ან გააკოცა, — შენიშნა კუკური.

— დიდი ამბავი მომხდარა! მაგასთან კამათი, სამარცხენოდ მიმანია, — იუკადრისა იუნკერმა.

— გაანებე თავი ძალაუფლება ახლა მენშევიკების ხელში, — ურჩია კუკური მის მეგობარს.

— იმტომაც ასე უკუღმართად მიდის ჩვენი საქმე, — შენიშნა სანდრომ, კუკურიმ ისევე გააფრთხილა:

— მე მაინც გირჩევ თავი გაანებო რამიშვილს და მენშევიკებს, თორემ დაიღუბები. მენშევიკები გზას დაგიზოგებენ, ცხოვრებიდან გაგრიყავენ, დაგაბატონებენ, რუსეთში გადაგასახლებენ ან ისე გაგაქობენ, რომ შენ კვალს ვერაინ ვერ მიაგებებს. ძალა აღმართსა ხნავს. ზომ ხელავ შენ, მენშევიკების სიტყვილია და მათთან ბრძოლამ კორნელი სანამდე მიიყვანა?

— შენ ძალიან ფრთხილი კაცი ყოფილხარ. წინასწარ გეტყვი: შენ დიდ კარიერას გააკეთებ. რაც შეეხება კორნელს, იგი უკიდურესობაში გადავარდა. ბოლშევიკების პოზიციებიდან ებრძვის მენშევიკებს. მე კი სხვაგვარად ვმსჯელობ: ჩვენ ქვეყანას მანამდე არაფერი არ ეშველება, სანამ მის სათავეში ნაციონალ-დემოკრატები არ ჩადგებიან. — დაადგინა იუნკერმა სანდრო ხოტივარმა.

— მაგის იმედი დაიკავე, — შენიშნა ლიმილით ყოველგვარი პარტიის გარეშე მდგარმა, მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტმა კუკური ზარანდიამ.

— ვნახოთ, — მიუგო სანდრომ, ხელი ჩამოართვა და სამხედრო სასწავლებლისაკენ ჩქარი ნაბიჯით გასწია.

მთელი კვარტალი ექირა. გრძელად გაქმული, სასმართლოანი მისი მთავარი კორპუსი ფასადით პლენხანოვის პროსპექტზე გადიოდა. მარჯვნივ და მარცხნივ შენობას ქალაქის სახლების დახურული, უფანჯრო კედლები ეკვროდნენ. შიდა, დიდ ეზოს კი ავტორის მაღალი ღობე ერტყა და უკან მტკვარი ჩაუდომდა. პლენხანოვის პროსპექტიდან ეზოში შესასვლელი ალაყაფის დიდი რკინის ჭიშკარი იყო. რკინის ჭიშკარი ჰქონდა აგრეთვე ეზოს მარცხენა მხრიდანაც რომელსაც დიდმთავრის ქუჩა ებჯინებოდა. უკანა ჭიშკრიდან, რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით, დიდმთავრის ქუჩაზე პასტერის სახელობის ინსტიტუტის ერთსართულიანი დაბალი შენობა იწყებოდა. ამ შენობის კუთხიდან, მარჯვნივ მტკვრისკენ, პასტერის ქუჩა უხვევდა და მაღალ ნაპირიდან ბორახისაკენ ჩამავალ კიბეს ებჯინებოდა.

სამხედრო სასწავლებლის შენობას და ეზოს ფხიზელი დარაჯები ეღვნენ და უცხო კაცისათვის შიგ შესვლა ადვილი საქმე არ იყო.

სამხედრო სასწავლებლის უფროსი, ერთი შევეგრემანი, შევეწერა, დაბალი, ფართობექებიანი, გამხდარი და უშნო კაცი — პოლკოვნიკი ჩხეიძე დაულალავი მუშაკი, მხნე, გონიერი და მამაცო ოფიცერი იყო, მან მსოფლიო ომში თავი ისახელა და წმ. გიორგის ჯვარი მიიღო. იგი ომის დროს, ფრონტზე გენერალ კვინიტაძის კორპუსის ერთ-ერთ დივიზიას მეთაურობდა. ამიტომ, როდესაც კვინიტაძე ქართული ჯარების სარდლად დაინიშნა, მან ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ უადვილოდ დარჩენილი და საქართველოში ჩამოსული თავისი ფრონტელი მეგობარი სამხედრო სასწავლებლის უფროსად მოიწვია. გენერალი კვინიტაძე და პოლკოვნიკი ჩხეიძეც სამხედრო სასწავლებლის შენობაში მუშობლად ცხოვრობდნენ. კვინიტაძემ, როგორც სამხედრო სასწავლებლის უფროსად, აგრეთვე კურსის ოფიცრებადაც მცოდნე, მხედრები შეარჩია.

სამხედრო სასწავლებლის უფროსი და მისი კურსის ოფიცრებიც რუსეთის მეფისდროინდელი, ყოფილი იუნკრები და ოფიცრები იყვნენ, ძველ სამხედრო ტრადიციებზე აღზრდილნი და თავის თუნკრებსაც მას უნერგავდნენ. მკაცრ დისციპლინას აჩვენდნენ, ღლეღლამ წრთენიდნენ და უბრალო დანა-

ალექსანდრეს სახელობის თბილისის სამხედრო სასწავლებლის ოთხკუთხედ შენობას დიდი ფართობი — თითქმის

შეუღოსათვისაც კი სასტიკად სჯიდნენ. ისინი პრუსიული სკოლის მიმდევარნი იყვნენ, მხედრულ მოყვანილობას, წარმოსადგობას, ფართო ნაბიჯით სიარულს, სალაშის მიცემას და სამხედრო წყობილებას წინა რიგში აყენებდნენ. სასწავლებელში მეფისდროინდელი ყაზარმის სუსები ტრიალებდა. იუნკრებად, უმთავრესად, თავდაზნაურთა, შიგადაშიგ კი — მდიდარი გლეხების — ბობოლები და ვაჟკრების შეილებიც იყვნენ.

იუნკრებს რიერაზე აყენებდნენ და მთელი დღე წრთებიდნენ და ავარჯიშებდნენ. სკოლაში იუნკრებს მასწავლებლები სამხედრო საგნებში აქვედინებდნენ, ოფიცრები კი ეზოში ან ქალაქგარეთ გაიყვანდნენ და სამხედრო წყობილებას, თოფისა და ზარბაზნის სროლას, ომში ბრძოლას, გადაბუნებსა და იერიშზე მისვლას ასწავლიდნენ.

საარტილერიო განყოფილების იუნკრებს მეტი ჯაფა აღვათ, რადგან სხვებთან შედარებით ისინი მათემატიკურ საგნებს უფრო ვრცლად გადიოდნენ და ამავე დროს ზარბაზნებზე მუშაობა და ცხენების წმენდა და მოვლა უხდებოდათ. მთელი დღე შეუსვენებელი მეცადინეობისა, ვარჯიშობისა და შრომის გამო, არაქათამოცილი იუნკრები, სალაშის ბუკისა, ამოკითხვისა და ვახშმის შემდეგ ფეხზე ძლივს დგებოდნენ, ყაზარმაში თავიანთ საქმეებელ ოთახებისაკენ ისწრაფოდნენ, საჩქაროდ წვეებოდნენ და მკვდარივით იძინებდნენ.

3.

ბნელი ღამე იყო. სამხედრო სასწავლებელში სიჩუმე სუფევდა. იუნკრები ორმა ძილს მისცემოდნენ. სამხედრო სასწავლებლის მორიგე ოფიცრის მიერ ღამის დარაჯების გასინჯვის შემდეგ, პლენანთვის პროსპექტზე, სასწავლებლის შენობის ალაყაფის კარებს ორმა ოფიცრმა — მაიორმა და კაპიტანმა ჩუბარეს. კარებთან ხმლითა და ნავანით მდგარი გუშაგი — წარმოსადგო, ახოვანი და ღამაზი იუნკერი ნოდარ ახვლედიანი გასწორდა, ოფიცრებს გაეკეპა და სალაში მისცა. მაღალი, უღვაშიანი ქერა კაცი — მაიორი შეჩერდა და გუშაგს ჰკითხა:

— მთავარსარდლის ბინაში შესასვლელი კარები რომელია?

გუშაგმა იქვე პატარა კარებზე მიუთითა. მაიორი და კაპიტანი იმ კარებს მიაღწენ. მაიორმა ზარის ღიღის თითი მიაღო, თითქო ზედ აჭერს და რეკავსო. ცოტა ხნის შემდეგ ოფიცრები ისევ დაბნეულ და განცვიფრებულ გუშაგთან მივიდნენ. მაიორმა გუშაგს ჰკითხა: — ზარი მოშლილია... მთავარსარდლთან შესვლა მგონი სამორიგო ოთახიდანაც შეიძლება. ვინ არის დღეს სასწავლებელში მორიგედ?

— პორუჩიკი შონია, — მიუგო გუშაგმა.

— აა, ჩვენი შონია? — გაიღიმა მაიორმა, თითქოს დიდი ხნის მეგობარი ყოფილიყო იგი შონიასი, და მერმე შეეგვრემან და ჯმუხ კაპიტანს უთხრა: — მაშ, მასთან შევიდეთ.

მაშინვე მაიორთან სამი ნიშანაყრილი, სამხედრო ტანსაცმისში გამოწყობილი კაცი მივიდა. უცნობებმა რაღაც უთხრეს მას „საჭიროა გუშაგის დაუყოვნებლივ მოხსნა“, — გაიფიქრა მაიორმა და იუნკრს მიუბრუნდა:

— ესენი აქ დაგვიციდიან, სადღურზე უნდა გავიდეთ.

— კეთილი, — მიუგო გუშაგმა და სამი უცნობი კაცი უნდობლად შეათვალიერა. ერთს პატარა ჩემოდანი ეჭიდა.

ქერა, მაღალი მაიორი და შავგვრენი, ჯმუხი კაპიტანი ალაყაფის კარების მახლობლად მოთავსებულ პატარა კარებში შევიდნენ. დერეფანი გაიარეს და სამორიგო ოთახს მიაღწენ. დერეფანში არავინ არ იყო. სამორიგო ოთახში ნაგავითა და ხმლით სამხედრო სასწავლებლის მორიგე ოფიცერი პორუჩიკი შონია იჯდა, თავზე ქუდი ეხურა და გაზეთს კითხულობდა. მას ახლახან ვაესინჯა სამხედრო სასწავლებლის ღამის დარაჯები და ახლა დამშვიდებული იყო. მაგრამ გვიან ღამით დაუბატოებელი და უცნობი სტუმრების ვიზიტი ძალიან გაუკვირდა. იგი ფეხზე წამოდგა და ოფიცრებს მიესალმა. მაიორმა გაუღიმა, ჩქარი ნაბიჯით მივიდა მასთან, ხელი ჩამოართვა, მაგრად მოუჭირა და არ გაუშვა. კაპიტანმა მორიგეს შუბლზე ნაგავი მიაყენა. შონია შეკრთა. გაფითრდა და მარჯვენა ხელის გამოტაცება და გათავისუფლება სცადა, მაგრამ მაიორი გოლიათი ძალის პატრონი კაცი აღმოჩნდა და მშვიდად უთხრა:

— ამოდ გაძალდებით, პორუჩიკო შონია. თავს წააგებთ, სხვა არაფერი.

მაიორმა მარცხენა ხელით ბუდიდან ნაგანი ამოუღო შონიას და ხმალიც ახსნა.

— დაჯექით, — უბრძანა მან იარაღ-აყრილ მორიგეს და მერმე კაპიტანს მოუბრუნდა: — შემოიყვანე გუშაგი. უთხარი, მორიგე გიძახისსთქო.

კაპიტანი წავიდა. კარები გააღო, ქუჩაში თავი გაჰყო და კიშკართან მდგარ გუშაგს გასძახა:

— იუნკერო, მოდიოთ აქ. მორიგე ოფიცერი გიძახით.

გაოცებული გუშაგი დერეფანში შევიდა. უკან ის სამი კაცი გამოჰყვა. მყისვე წინ კაპიტანი გადაუდგა და ოთხმა კაცმა ნაგანები მიაღირეს, გაანიბარლეს და სამორიგოში შეიყვანეს.

მაიორმა პორუჩიკ შონიას გვერდით დაჯდომა უბრძანა გუშაგს და ორთავეს ღინჯად და ჩუმად გამოუტყდა:

— ჩვენ სამხედრო-რევოლუციური შტაბის სახელით ვმოქმედებთ. თბილისის გარნიზონის ჯარის ნაწილები სამხედრო-რევოლუციურ შტაბს უძველესად ახლა სამხედრო სასწავლებელს ვიკავებთ. გაბრძოლება მხოლოდ მსხვერპლს გამოიწვევს, რადგან სასწავლებელი ალყაშემორტყმულია და მენშევიკური მთავრობა კი მთლიანად დაპატიმრებული. — მაიორმა შონიას უბრძანა: — მოიტათ სამორიგო ოთახის გასაღები:

თავზარდაცემულმა შონიამ მაგიდის ყუთი გამოისწია და გასაღები კაპიტანს გადასცა. ამის შემდეგ მაიორმა ნიშანაყრილ ერთ დაბალ კაცს უბრძანა:

— წადი, უთხარი ჩვენებს: შეიძლება დაიწყოს. — დაბალი კაცი მაშინვე ქუჩაში გაეარდა. მერმე მაიორმა შონიას და იუნკერს მიმართა:

— სიფრთხილისათვის, იძულებული ვარ დროებით ხელები გაგიოყოთ. ნიშანაყრილმა, სამხედრო ტანისამოსში ვამოწყობილმა კაცმა პატარა ჩემოდანი გახსნა და თოკი ამოიღო. პორუჩიკი შონია და იუნკერი ახვლედიანი გაძალდნენ და პროტესტი განაცხადეს. მაიორმა ტუჩზე მიიფარა ხელი, მრისხანე თვალები დაუბრიალა მათ და უთხრა:

— ხმა არ ამოიღოთ, მხოლოდ ჩემს გაგათავებთ.

კაპიტანმა და ჩემოდანიანმა კაცმა მორიგე ოფიცერს და გუშაგს ხელები გაუთოკეს. „მაიორმა“ და „კაპიტანმა“ განიბარალებულთა ნაგანები წაიღეს და წავიდნენ.

ნიშნებაყრილმა, სამხედრო ტანისამოსში გამოწყობილმა ორმა კაცმა სამორიგო ოთახი შიგნიდან ჩაჰკეტეს და გასაღები ჯიბეში ჩაიღეს. ერთმა ხელეზგათოკელ ტყვე ოფიცერს და იუნკერს გამოუტყდა:

— ხმა არ გაიღოთ და ჩუმად იყავით, თორემ დაგზოცავთ, ამ ფანჯრებიდან გადავხტებით და მოვუდგამთ, ვერც წვევა ენახავთ ხეირსა და ვერცა თქვენ.

პორუჩიკი მიხეილ შონია გულშემოყრილი იჯდა მაგიდასთან და თავზარდაცემულ და გაოგნებულ გუშაგს, იუნკერს ნოდარ ახვლედიანს ჩურჩულოთ უუბნებოდა:

— ვაი სირცხვილო, ეს რა დაგვემართა! დავიღუპეთ, ნამდვილად დავიღუპეთ... ქუჩაზე გამვლელს, თუნდაც ოფიცერი, გენერალი იყოს იგი, ვანა გუშაგი საუბარს გაუმართავს? ან სადარაჯოდან მოიხსნება? სასწავლებელში რად შემოუშვი უცნობი პირები? საბუთები რად არ გაუსინჯე? იცი თუ არა, რა ჩაიღინე შენ? რა მიყავი მე? —

— ვიცი, ბატონო პორუჩიკო. დასახერხეცი საქმე ჩავიღინე. წავხდი და თქვენც წაგახდინეთ. თავი მოგჭერი მეგობრებს, მთელ სასწავლებელს. ოხ, — ამოიგმინა ახვლედიანმა, — როგორ გამაცურეს, როგორ მოგტყუედიო რად არ დავზოცე მომზღურნი? რად არ შევავკედი? ოხ, ოხ, — აქვითინდა იუნკერი ნოდარ ახვლედიანი.

დარაჯებმა დატუქსეს და პორუჩიკს და იუნკერს ჩურჩულოთ ლაპარაკის ნებაც არ მისცეს.

ირველი გულისდამლონებელი სიჩუმე იდგა.

ასე დაიწყო 3 მაისს ღამით თბილისში შეიარაღებული აჯანყება.

4.

პირველ მაისის ბოლშევიკურმა დემონსტრაციამ დიდად დააფრთხო მენშევიკები. მენშევიკურ საქართველოს ხელისუფალნი არ მოელოდნენ, ბოლშევიკები დემონსტრაციაზე იმდენ მუშას და მოსამსახურეს თუ გამოიყვანდნენ. მათ აშკარად დაინახეს, იატაკქვეშ მყოფ ბოლშევიკურ ორგანიზა-

411



ციას დიდი თანაგრძობით რომ ეკიდებოდა მუშათა კლასი. იგი დარწმუნდა, რომ არალევალურ პირობებში ჩაყენებულ და პრაქტიკურ დარბეული პარტიის ორგანიზაციას ამჟამადაც უნარი შესწევდა მშრომელი მასების ხელმძღვანელობისათვის, რომ მას შეეძლო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის შეიარაღებული აჯანყების მოწყობა. მართლაც, ბოლშევიკების კავკასიის სამხარეო კომიტეტმა გადასწყვიტა სამ მაისს, ღამით თბილისში შეიარაღებული აჯანყება მოეხდინა. პირობები აჯანყების მოსახდენად და მენშევიკური ხელისუფლების დასამხობად, თბილისის კომიტეტის აზრით, ხელსაყრელი იყო. მუშებისა და ჯარისკაცების ძირითადი მასა აჯანყებას მხარს უჭერდა. მიუხედავად იმისა, რომ კავკასიის სამხარეო კომიტეტის ბევრი წევრი დაბატონებული იყო, სერგო ქავეარაძე, ვანო მახათაძე და სხვანი ჯერ კიდევ საბატონროს ვარეთ იმყოფებოდნენ. იატაკქვეშ მუშაობდნენ და წარმატებით ხელმძღვანელობდნენ იქიდან პარტიულ ამხანაგებს. თბილისის ორგანიზაციის წევრები მზად იყვნენ შეიარაღებულ მოქმედებისათვის, ისინი 3 მაისს ღამით ფეხზე იდგნენ. პარტიულ ორგანიზაციას ამ საქმეში დიდ დახმარებას უწყევდა ახალგაზრდათა კომკავშირი — სპარტაკელები.

აჯანყების მოსაწყობად გამოყოფილი იყო სამხედრო-რევოლუციური შტაბი, რომლის თავმჯდომარედ სერგო ქავეარაძე, ხოლო წევრებად ვანო მახათაძე, ნიკო გოცირიძე და სხვანი იყვნენ.

რატომ მიანცდამინც სამი მაისი იქნა მიჩნეული მიზანშეწონილად აჯანყების მოხდენისათვის? ბოლშევიკების კავკასიის სამხარეო კომიტეტს მიღებული ჰქონდა უტყუარი ცნობა იმის შესახებ, რომ 3 მაისს საღამოს სახალხო სახლში ტარდებოდა მენშევიკების პარტიის ცენტრალური კომიტეტის თათბირი, რომელსაც მთავრობის მთელი შემადგენლობა დაესწარებოდა. თათბირზე ორი საკითხი იდგა: შინაპარტიული და საბჭოთა რუსეთთან საზავო, ხელშეკრულების დადება.

ბოლშევიკების კავკასიის სამხარეო კომიტეტმა არ იცოდა მაშინ, საბჭოთა რუსეთთან მენშევიკები საზავო ხელშეკრულებას რომ დებდნენ და 3 მაისს

აჯანყების მოწყობა მიზანშეწონილად მიჩნია. ამ საქმისათვის გამოყოფილი სამხედრო-რევოლუციური შტაბი, ვანო მახათაძის ნაწილების საშუალებით, მენშევიკური მთავრობის დაბატონების განხორციელებას შეუდგა.

3 მაისს, საღამოს სახალხო სახლში მენშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და მთავრობის წევრებმა იწყეს მოსვლა. თათბირი სახალხო სახლის თეატრის დარბაზში უნდა ჩატარებულყოფიყო. სახალხო სახლს უამრავი მენშევიკი მიაწყდა.

მეხუთე ქვეითი ლეგიონის და საყარაულო ბათალიონის ჯარისკაცებს, ვანო მახათაძის მეთაურობით, სახალხო სახლისათვის ალყა უნდა შემოერტყათ და მენშევიკური მთავრობის მთელი შემადგენლობა დაეპატიმრებინათ. ამ მიზნით, მოსული მეხუთე ქვეითი ლეგიონის ასეული სახალხო სახლის უკან, მკორე ვეთა გიმნაზიის ეზოში ფარულად შევიდა და იქ დაბანაკდა, ხოლო საყარაულო ბათალიონის ასეული ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის უკან გაშენებულ ბაღში — ვერის ხილთან. ყოფილი ბოლშევიკი ოფიცრებისა და ჯარისკაცებისაგან შემდგარი ერთი რაზმი ალექსანდრე მახათაძის მეთაურობით, პასტერის სახელობის ინსტიტუტის შენობაში და მის მახლობლად, მტკვრის პირას განლაგდა.

მუშათა შეიარაღებულ რაზმებს ქალაქის სხვა მნიშვნელოვანი დაწესებულებანი უნდა დაეკავებინათ და საბჭოთა ხელისუფლება გამოეცხადებინათ.

ყველაფერი მზად იყო. აჯანყებულნი ნიშანს ელოდნენ: საარტილერიო ბრიგადის მოედანზე ზარბაზნის გასროლას. მაგრამ დანიშნულ დროზე ზარბაზნის გასროლას აგვიანდებოდა.

მენშევიკების საგანგებო რაზმის აგენტებმა, კელიას მამებრებმა, აჯანყების მოსალოდნელობა იყინეს და მის კვალსაც თითქმის მიაგნეს. აგენტებმა მეორე ვეთა გიმნაზიის ეზოში და ვერის ხილთან ბაღში მეხუთე ქვეითი ლეგიონისა და საყარაულო ბათალიონის ასეულების დაბანაკების მიზეზის გამოძიება დაიწყეს. ასეულების მეთაურებმა უპასუხეს: თათბირის უზრუნველსაყოფად და მოსადგენლად გამოსვლით გასაფრთხილებლად მოვედით. მაშინ ჯარების სარდალს შეეკითხნენ. სარდალმა განაცხადა, ასეთი განკარგულება არაგის არ გაუციოთ და თბილისის გა-

რნიშონის უფროსს აღნიშნული ასეულებების ყაზარმაში წაყვანა უბრძანა. მტკვრის პირას სათითაოდ ღამით მისული და იქ ჩასაფრებული რაზმელები კი არავის არ შეუმჩნევეია. ატყდა ერთი განგამი. მენშევიკების გვარდიის უფროსის ვალიკო ჯულელის განკარგულებით, სახალხო სახლის წინ და მის მახლობლად მდებარე ქუჩებში ჯავშნიანი მანქანები ჩადგნენ და გვარდიის ჯარის წაწვლიც მოვიდა.

ამრიგად კარგად მომზადებული და ხელსაყრელ პირობებში ადვილად შესასრულებელი აჯანყების გეგმა ვერ განხორციელდა და მენშევიკური მთავრობა დაპატიმრებას გადაჩია. მაგრამ მამაცმა და უშინაბრმა ბოლშევიკებმა, ყოფილმა ოფიცრებმა, გრიმით სახეშეცვლილმა „მაიორმა“ ნიკო გოცირიძემ და ალექსანდრე მახარაძემ სახალხო სახლის დასაცავად ჯავშნიანი მანქანებისა და გვარდიელების მისვლაზე ადრე მოახდინეს სამხედრო სასწავლებელზე თავდასხმა.

5

სამხედრო სკოლის სამორიგო ოთახიდან „მაიორის“ — ნიკო გოცირიძის მიერ გაგზავნილმა კაცმა დიდიმთავრის ქუჩაზე ჩასაფრებულ რაზმის უფროსთან, ყოფილ ოფიცართან ალექსანდრე მახარაძესთან მიიჩრება და შეატყობინა: „შეგძლია სამხედრო სასწავლებელზე თავდასხმა დაიწყოს“.

ალექსანდრე მახარაძეს თბილისის სამხედრო სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული და მის ეზო-გარემოს, შენობებს და შენობებში ოთახების განლაგებას კარგად იცნობდა. მან სამხედრო სასწავლებელი 1915 წელს დაამთავრა და ფრონტზე იმავე წელს გაემგზავრა. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა, მენშევიკებს ებრძოდა და მერმე, საქართველოში აჯანყების დამარცხების შემდეგ, საშა გეგეჭკორის პარტიზანულ რაზმთან ერთად ჩრდილო-კავკასიაში გადავიდა, იქ ბიჩრახოვის და დეიჯინის პანდებთან ბრძოლაში სახელი გაითქვა. იგი შეგნებული და მამაცი ბოლშევიკი იყო. ამ ფიცხ და მამაც მებრძოლს მეგობრები „მაჭახლას“ ეძახდნენ. იგი შეგვერმანი, მეტად ლამაზი „პატარა“ მაგრამ კოხტა ტანის კაცი იყო. იმჟამად 26 წლისა თუ იქნებოდა.

სამხედრო სასწავლებლის ეზოში, მტკვარზე გადამდგარი ერთი შენობის კორპუსში უნტერ-ოფიცერთა ათასეული იყო მოთავსებული. ათასეული სამხედრო სკოლის უფროსს პოლკოვნიკ ჩხეიძეს ემორჩილებოდა. ამ ათასეულის ჯარისკაცები თედო მეტონიძე, მაქრო ვერელი და ვანო ბურღული ვანო მახათაძესთან და ნიკო გოცირიძესთან, მიტო ჩიკვაძემ დააკავშირა. მიტო ჩიკვაძე და მსოფლიო ომიდან დაბრუნებული ჯარისკაცი — თედო მეტონიძე ერთ ბატარეაში მსახურობდნენ ოდესსავე და ჯავახეთში — ასპინძის ბრძოლაში ერთად იყვნენ, რომელშიც თურქებმა კორნელი მხეიძის და ბატარეის ბეჭების საყვარელი მეგობარი — პოეტ გრიგოლ ცაგურიშვილი დასჭირეს და მოკლეს.

ფრონტზე, ბრძოლაში ნამყოფ ჯარისკაცთა შორის, თედო მეტონიძის გარდა, მიტო ჩიკვაძის ნამდვილ მეგობრებად დარჩნენ კორნელი მხეიძე, გიგა ხუციშვილი და გალაქტიონ გელაშვილი. სხვები როგორღაც დაიქსაქსნენ და ყველა თავის ჭზას გააყვია.

დიდიმთავრის ქუჩიდან სამხედრო სასწავლებლის ეზოში შესასვლელ რკინის დიდ ქიშკართან უნტერ-ოფიცერთა ათასეულის ჯარისკაცი ვანო ბურღული იღმა გუშაგად — ქერა, ჯანიანი, მთიელი ვაჟაკი. 3 მაისს ღამით სამხედრო სასწავლებლის ეზოს ქიშკართან ვანო ბურღულის დანიშვნა გუშაგად მაქრო ვერელმა და თედო მეტონიძემ მოახერხეს.

ალექსანდრე მახარაძემ რაზმელები დიდიმთავრის ქუჩაში დააყენა, თვითონ ქიშკართან მდგარ გუშაგთან მივიდა და უთხრა:

— შანდალი.

— ავანთოთ, — მიუგო გუშაგმა ვანო ბურღულმა. როდესაც ნიკო გოცირიძე სამხედრო სასწავლებლის მორიგე ოფიცერს შონიას და პლუხანოვის პროსპექტზე ალაყაფის კარებთან მდგარ გუშავს ახვლენიანს აპატიმრებდა, — მაქრო ვერელი, თედო მეტონიძე და მათი ბეჭები სამსწავლებლის ეზოში მუშაობდნენ; ეზოში დაყენებულ დარაჯებს ხსნიდნენ. ისინი სასწავლებლის გუშაგთა ოთახში შეიჭრნენ და როგორც გუშაგები, აგრეთვე მათი უფროსი და გამრიგებელი დაპატიმრეს და ყველგან თავისი კაცები დააყენეს, მათ შორის დიდიმთავრის ქუჩიდან ეზოში შესას-

ვლელ ჰემკართანაც. ის გუშაგი სწორედ ვახო ბურდული იყო.

გუშაგმა საითთაოდ შეუშვა მახარაძის რაზმელები ეზოში. ისინი ღობისა და სასწავლებლის კედლის გასწვრივ წავიდნენ და ბნელ ღამეში ქსენოთან, თავლასთან და მტკერის ნაპირებზე ჩაესაფრნენ. მახარაძეს და მის იმ რაზმელებს, რომლებიც მასთან ერთად უშუალოდ სასწავლებელში უხდა შესულიყვნენ, ოფიცერების ტანისამოსი ეცვათ და ნავანები ეკიდათ. უფროს ლეიტენანტის ხარისხზე ნაკლები არავინ იყო მათ შორის. იმ რაზმელებს კი, რომლებიც მათ იცავდნენ და ეზოში და ეზოს გარეთ ჩაესაფრნენ, ჯარისკაცების ტანისამოსი ეცვათ და თოფები ჰქონდათ.

მახარაძემ 12 „ოფიცერი“ ოთხ ჯგუფად დაჰყო და სასწავლებლისკენ წაიყვანა. თვითონ მას კი სამი ოფიცერი: ლადო ზარდიაშვილი, დათა თოთიბაძე და რუბენ კაკალოვი ახლდა. ოთხივე ჯგუფი ჩუქად ავიდა კიბეზე, სასწავლებლის დერეფანში შეჩერდა და მერმე პირველ, მეორე, მესამე ასეულის და საარტილერიო განყოფილების იუნკრების საძინებელ ოთახებისაკენ გაეშურა.

მახარაძე, ზარდიაშვილი, თოთიბაძე და კაკალოვი მეორე სართულის დერეფანში შევიდნენ და მას გაჰხედეს. ელემტრონის მბეჭდები ღამით ოდნავ განათებული, ბნელი დერეფნის ბოლოს ფახვარასთან პატარა მავიდა იდგა. მავიდასთან მორიგე იუნკერი იჯდა. წინ პირველი ასეულის იუნკრების სია და ეურნალი ელო. წიგნი გაეშალა და ტომოგრაფიას და ფორტიფიკაციას ამზადებდა. ირვლივ დიდი სიჩუმე იდგა. ყველას მკვდარივით ეჩინა. მხოლოდ საძინებელ დიდ ოთახის ღია კარებიდან მოისმოდა პირველი ასეულის იუნკრების გულდაგული ხერხინის ხმა.

მახარაძე, ზარდიაშვილი და თოთიბაძე მორიგისაკენ ფეხპაკრეფით წავიდნენ. კაკალოვი კიბისა და დერეფნის სადარაჯოდ დარჩა. მორიგემ სამი ოფიცერი რომ დაინახა, წამოდგა, მხედრული სალაში მისცა მათ და მიეგება. მან იცნო მახარაძე.

— სძინავთ ბიჭებს? — ჰკითხა მახარაძემ.

— დიახ, ბატონო კაპიტანო, — მიუგო მორიგემ.

— რა გვარი ხარ?

— ნაკამიძე. მე თქვენ გიცნობთ.

— საიდან? — ჰკითხა მახარაძემ. და მაინცდამაინც არ მოსწონებოდა ეს ვარკვეობა, თუმცა იუნკრის წარმოდგენა არ ჰქონდა იმის შესახებ, თუ რას აკეთებდა რევოლუციის შემდეგ მახარაძე.

— ოზურგეთიდან, — მიუგო იუნკერმა.

— ჰოო... — გააბა ჩუმად მახარაძემ და ღიმილით უთხრა: — მეც ამ სასწავლებელში ვსწავლობდი... მეც შენსავეთ ემორიგეობდი აქ ოდესღაც. წელზე ნაგანი მეკიდა შენსავეთ და თავი ნამდვილი გმირი მეგონა. — მახარაძემ ისევ გაუღიმა გუშაგს და ჰკითხა: — რომელი წლის გამომშვებია შენი ნაგანი?

კაპიტნის გულისხმიერებითა და თავზიანობით მოჯადოებული იუნკერი დაინდა და მიუგო:

— კარგად არ მახსოვს, ბატონო კაპიტანო...

— არა გრცხვენია, ბიჭო. შენი იარაღის გამოშვების წელი და მისი ნომერი რომ არ იცი? აბა მაჩვენე.

მორიგემ ბუდიდან ამოიღო ნაგანი და მახარაძეს გადასცა. მახარაძემ შეათვალიერა, მერმე იარაღი არ დაუბრუნა და უთხრა:

— ახლა წამოდი, ვნახოთ როგორ სძინავთ ბიჭებსკ.

როცა მახარაძემ მორიგეს იარაღი ჩამოართვა, ზარდიაშვილი და თოთიბაძე საძინებელ ოთახში შევიდნენ და წინა კედლის გასწვრივ ხარაჩოში ჯოჯგინად დადგმულ შამხანებთან გაჩერდნენ.

მეტად ფართო საძინებელ ოთახში რკინის საწოლზე იუნკრებს ეძინათ. სასთუმალთან პატარა თეთრი კარადებიც და ტამბურეტები ედგათ. თეთრ ბალიშებზე თეთრ საცკლებში გამოწყობილი ჰაბუკების, თავადთა და აზნაურთა შვილების გადახზორილი და გაპარსული თავები თეთრ გოგარებივით ელაგა. ოთახში სანატორიული სიუფთოვე სუფევედა. წინა კედლის გასწვრივ ხარაჩოში ჯოჯგინად და ჩამწკრივებულ, კარგად მოვლილ და გაკრიალებულ შამხანებსა და საწოლებს შორის მანძილი ათი ნახიჯი იქნებოდა.

მახარაძის, ზარდიაშვილის და თოთიბაძის ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ გამოღვიძებულ იუნკრებს ეს მანძილი არ გაღმოელახათ და შამხანები ხელთ არ ეგდოთ.

მახარაძე და მისი ამხანაგები სიკვდილს ეთამაშებოდნენ.

მახარაძემ ოთახში მორიგე იუნკერ-
რი — ნაკაშიძე შეიყვანა: ნაკაშიძემ ნა-
განებინა ოფიცრები შაშხანებთან რომ
დაინახა, გაშტროდა და მაშინვე მიხვდა,
რამიც იყო საქმე. მახარაძემ უთხრა:

— ნელა, ფეხბაკრეფით მიდი უკანა
კედელთან და ხმა არ ამოიღო, თორემ
მაშინვე ვაგათავებ.

ოთახში ორმოცი საწოლი იდგა. ორი
მწკრივი მარჯვნივ და ორიც მარცხნივ.
შუაში გასასვლელი იყო. მორიგეც ის
გასასვლელი ჩუმად და ფეხბაკრეფით
გაიარა და ოთახის უკანა კედელთან გან-
წირული სახით დადგა. ჯერ არც ერთ
იუნკერს არ ვაპოვიძნია. მაგრამ მალე
წინა საწოლზე ერთმა ქერა და მწითურმა
იუნკერმა ბორგვა დაიწყა. ყელში
ხარტინმა მოუსწრო, თითქოს უქმურ-
რიან სიზმარს ხედავდა, მკერდზე მაჯ-
ლაჯუნა აწეებოდა და ახრჩობდა. ამო-
იგმიხა და მერმე თოფნაკრავივით წამო-
იჭრა საწოლზე. შაშხანებთან ამოლე-
ბულ ნაგანებთ ოფიცრები დაინახა და
გოყივით მიაშტროდა მათ. ვერ გაიგო
ვინ იყვნენ ისინი, სად იყო თვითონ, რა
ხდებოდა მის ირგვლივ. თვალები თუმ-
ცა გახელილი ჰქონდა, სიზმარი კვლავ
გრძელდებოდა. მერმე აზრზე მოვიდა,
საწოლზე დაჯდა, ნელა დაუშვა შიშვე-
ლი ფეხები იატაკზე და ოფიცრებს
კითხა:

— ვინა ბრძანდებით? რა ამბავია?

— მშვიდობა, — მიუგო მახარაძემ.

— ოთარ, გახტანჯ, — გასძახა მწი-
თურმა იუნკერმა მიხნარ ამხანაგებს.

— ჩუმად, — გააფრთხილა მახარაძემ
და ნაგანით დაემუქრა.

უმალ წამოჰყვეს თავები იუნკერებმა.
ზოგმა ჩაცმა დაიწყო. ზოგმა ოფიცრე-
ბისაყენ წამოსვლა დააპირა.

— შესდევ — შესძახა მახარაძემ, —
ნათიჯი არ გადმოღდათ... აი, იმ უკანა
კედელთან მიდით.

მახარაძემ, ზარდიაშვილმა და თითო-
ბაძემ საცვლების ამარა წამოჭრილ
იუნკერებს ნაგანები დააღერეს. იუნკ-
რები უკანა კედელთან მივიდნენ და იქ
შეჭიდნენ.

მახარაძემ ღერეფანში გაიხედა და
კაკალოვს ხელი დაუქნია. უმაღლე მო-
ირბინა კიბესთან მდგარმა კაკალოვმა.
მახარაძემ უთხრა:

— წადი ეზოში, მოვიდნენ ჩვენი ბი-
ჭები და გატანონ შაშხანები.

კაკალოვი ღერეფანში გავიდა.

ამავე წესით უნდა ჩაეკეტათ საძინე-
ბელ ოთახებში იუნკრები და ჩამოერთ-
მოათ მათთვის იარაღი მახარაძეს სხვა
რახმელებს.

6.

როდესაც მეორე ჯგუფის რაზმელე-
ბი პორუჩიკი ზაუტაშვილი, არაშაძე
და ბევიძვილი საარტილერიო განყოფი-
ლებების იუნკრების საძინებელ ოთახ-
ში შევიდნენ, მორიგე გაანაჩარაღეს, შა-
შხანებს დაეპატრონენ და საცვლების
ამარა წამოჭრილი იუნკრები უკანა კე-
დელთან მიდნენ, სანდრო ხორტივარმა
ჯავახეთში ასპინძის ბრძოლის მონაწი-
ლე ქვეითი ჯარის ოფიცერი, პორუჩი-
კი ზაუტაშვილი იცნო და მზისაგან შა-
ვად გატრუსულ ვაჟაკს ლაღო მეტ-
რეველს წამურჩულა:

— ვერ იცანი, ასპინძაში ჩვენი ბატა-
რის მფარავი, რაზმის უფროსი პორუ-
ჩიკი ზაუტაშვილი?

მეტრეველმაც იცნო იგი, ვერ მოით-
მინა და შესძახა:

— პორუჩიკო, ზაუტაშვილო, მე
თქვენ ასპინძის ბრძოლაში გენახვებით,
ვერა მცნობთ? ჩვენ ხომ იქ დავმეგობ-
რდით?

ზაუტაშვილმა კედელთან საცვლების
ამარა მდგარ შეეტუხა და თავგადასოზ-
რილ მეტრეველს შეხედა, იცნო იგი და
მიუგო:

— გოცანი, მაგრამ ახლა ენა დააყენე.
გაჩუმდი.

მეტრეველი აენტო.

— არ გაჩუმდები. ვერ შეგვაში-
ნებთ. დაგვხოცეთ, ჩვენ მხედრები
ვართ და არა ლაჩრები...

იუნკრები შეტევაზე გადავიდნენ.
ყველამ ერთბაშად დაიწყო ყყყანი...
ზოგნი წინ იწევენ.

— უკან, — უყვირა მათ ზაუტაშვი-
ლის ამხანაგმა, ღაბაღმა, ცხენოსანივით
ფეხებმოღუნულმა და ჩასკენილმა
„ოფიცრმა“ სტეფანი ქილარჯიშვილმა
და ნაგანი მიადიდა.

— უიარაღო ხალხს გვემუქრები, —
შესძახა მას იუნკერმა ზურაბ მაჩაბელ-
მა, — ვალი გაიეთ, ძაღლისშვილო.

— გავცივალე, შე შენი... — გასძახა
მეტრეველმა ქილარჯიშვილს, ტაბუ-
რეტს მოავლო ხელი, მთელის ძალით
მოიქნია და ესროლა. ქილარჯიშვილმა
ხელი ასწია, ტაბურეტს შეაშველა და
თავი დაითვარა, მაგრამ ჩახმახზე შეყი-

ნებელი ნაგანი უნებურად გაისროლა. ნაგანის გასროლა ზარბაზნის გასროლის ხმად შემოესმა ალექსანდრე მახარაძეს სამხედრო სასწავლებლის ტერიტორიაზე შუალადით გამეფებულ სიჩუმეში და ავად ენიშნა იგი.

7.

თავის ცოლთან და ცოლისძმასთან სასადილო ოთახში ვახშმად მჯდარი სამხედრო სასწავლებლის უფროსი პოლკოვნიკი ჩხეიძე შეკრათა.

სასწავლებლის სარდაფში დამალული ერთი უნტერ-ოფიცერი ვარლამ იოსავა პოლკოვნიკის ბინაში შევარდა და სამხედრო სასწავლებლის უფროსს მოახსენა:

— ბატონო, პოლკოვნიკო, სასწავლებელს თავს დაეხსენ სამხედრო პირები. ბოლშევიკები...

— როგორ შემოვიდნენ ისინი სასწავლებელში? სად იყო მორიგე ოფიცერი? სად იყვნენ გუშაგები? სად იყავით თქვენ? — უყვირა იოსავას განრისხებულმა პოლკოვნიკმა და წამოიჭრა.

კიდევ გავარდა ნაგანი სასწავლებლის შენობაში. პოლკოვნიკი ჩხეიძე კაბინეტში შევიდა. კედლიდან იაპონური მოკლე კარაბინი ჩამოიღო. მისმა ცოლმა, მალაშა და ქერა პოლონელმა ქალმა, აღელვებით შესძახა:

— სად მიდიხარ, კოტე? არ გაბედო.

— იყუჩე, — გაუჯავრდა შავწყვარა, ჯუჯა და გამხდარი კაცი. მაშინვე გენერალ კვინიტაძის ბინიდან ბავშვის კვილი შემოესმა. კვინიტაძე შინ არ იყო.

— აიღეთ ის შაშხანები და მიდით. სარდლის ბინა დაიცავით, — უბრძანა პოლკოვნიკმა უნტერ-ოფიცერს იოსავას და ნაჯრისფერ კოსტუქში გამოწყობილ თავის ცოლისძმას, ყოფილ თეთრგვარდიელს, ახოვან. გაპარსულ და ქერა კაცს. ჩხეიძე გვერდის ოთახში გავიდა და ნელა და ფრთხილად გააღო კარები. მისი ბინა სასწავლებლის კორპუსს ეკვროდა და მის გაგრძელებას წარმოადგენდა. გვერდის ოთახის კარები პირდაპირ სასწავლებლის ერთ-ერთ დერეფანში გადიოდა. პოლკოვნიკმა იმ დერეფანს გაჰხედა.

არაფერ არ სჩანდა. მაშინ მან თავის მოკლე კარაბინს კონდახში წაავლო ხელი და ლულა დაბლა დაუშვა. მიუხედავად იმისა, რომ პოლკოვნიკი დაბალი კაცი იყო, კარაბინი იატაკს მაინც არ

სწვდებოდა. თოფი ძალზე მოკლე იყო. ჩხეიძემ უკან დაბალა იგი და დერეფანს ფეხაკრებით, კედელ-კედელ გააყვავა მაშინვე საარტილერიო განყოფილების იუნკრების საქინებელ ოთახიდან ქოთქოთი და ყვირილი შემოესმა. ჩხეიძე კედელს გაეჭრა.

როდესაც ქილარჯიშვილმა მეტრიველის მიერ გამოსროლილ ტაბურეტს ხელი შეაშველა და ჩახმახზე შეყენებული ნაგანი უნებურად გაისროლა, იუნკრებმა მომხრეთა არევ-დარევით ისარგებლეს, ტაბურეტებს, ჯაგრისებს, ჩქქმებს, ყველაფერს, რასაც კი მისწვდებოდნენ, ხელი მოავლეს და ზუტაშვილს, ქილარჯიშვილს და ბეგიშვილს ესროლეს და მისცხეს.

ქილარჯიშვილმა ნაგანი შესაშინებლად პაერში გაისროლა, მაგრამ ვააფთრებულ იუნკრები ვერ შეაჩერა და ძინი ადგილიდან დაიძრნენ. ბეგიშვილმა პირდაპირ იუნკრებს ესროლა ახლა და იუნკერი ზურაბ მაჩაბელი დასჭრა. მაჩაბელი საწოლთან ჩაიკეცა. მაშინ იუნკრები უფრო ვააფთრდნენ და გაგვიყდნენ. ბალიშები, ლეიბები, საწოლებიც კი აიღეს და ესროლეს მომხთურთ. ზღვის ტალღასავით წამოვიდნენ კარებისკენ.

ქილარჯიშვილი დერეფანში გამოვარდა, მას ბეგიშვილი და ზაუტაშვილიც მიჰყენენ. მაგრამ კბემღე მირბენაც ვერ მოასწრეს. დერეფანში კედელს გაკრული ჩხეიძე დაინახეს. ქილარჯიშვილმა შესძახა:

— ასწი ხელები!

ჩხეიძემ ხელები მალა ასწია. კერისსაყენ ლულამიშვერილი კარაბინი კონდახით ხელში ეჭირა.

— დააგდე თოფი, — უყვირა ჯუჯა და ჩასკინილმა ქილარჯიშვილმა.

ჩხეიძემ მარჯვენა ხელის მტევანი ერთბაშად მოსწყვიტა, კარაბინი პაერში შეავლო, ვადმოიღო და მაშინვე მეერდში დაახალა ქილარჯიშვილს ტყვიან. ქილარჯიშვილი კიბის ჩასასვლელთან დაეცა. ბეგიშვილმა ჩხეიძეს ნაგანი ესროლა, მაგრამ ააცდინა. შეკრდის დრო აღარ იყო. მომხდურთ უკან იუნკრები მისდევდნენ.

ჩხეიძემ საყიკო გამოსწია და კარაბინს ტყვიან პირში მისცა. მერმე კარაბინი გაისროლა და ახლა ბეგიშვილი მკლავში დასჭრა და ნაგანი დაავადებინა. დაჭრილმა ბეგიშვილმა და ზაუტაშვილმა დერეფანში წაქცეული ქილარ-

ჯიშვილი მიტოვეს, კიბეზე დაეშვენ და ეზოში გაცვივდნენ. ასე გასცივდნენ ეზოში სხვა ასეულებზე თვალმსხმელნიც და უწესრიგო სროლა ასტეხეს.

იუნკრებმა შამხანები აიღეს, საცვლების ამარა თავდამსხმელებს გამოუდგნენ, ეზოში გაიფანტნენ, მიწაზე წაწვივნენ და უწესრიგო სროლა ასტეხეს. აღამა უწის, ვინ საით ისროლა ამ ბნელ ღამეში! მახარაძე და მისი რაზმელები სროლითვე უპასუხებდნენ და ასე იხევდნენ უკან. კარგა ხანს ისროდნენ იუნკრები ეზოში და მერმე ეზოდან გავიდნენ და სროლით დაპყვენ პლეხანოვის პროსპექტს, დიდმთავრის ქუჩას და მტკვრის ნაპირებს.

სარღალმა სამხედრო სასწავლებელზე თავდაბმის ამბავი თბილისის გარნიზონის ნაწილებს შეატყობინა. ამათაც თადარიგი დაიჭირეს, თოფებით გამოვლდნენ კარში და სროლა ასტეხეს. ახლა მთელ ქალაქში ატყდა სროლა: სამხედრო სასწავლებლის ეზოში, მახლობელ ქუჩებში, საბურთალოზე, ავღამარში, ქალაქის შუაგულში... ასე იფიქრებდით, მთელი დღეები იბრძვიანო. ხომსაკალივით სცივდნენ სახლების რკინის საბურავებზე ტყვიები, სტყენით, ზუილით და წივილით მიფრინავდნენ ისინი ჰაერში.

ღათა მიქელაძე, ელენე, ყოფილი მაიორი ბოგოლიუბოვი და მისი მეუღლე, გიმნაზიის კანცელარიის საქმის მწარმოებელი, ლოთი კაცი ასათიანი, მისი მეუღლე და შვილები, მზარეული ქალი კატია, ყველანი იატაკზე იყვნენ და შიშისაგან კანკალებდნენ, მხოლოდ კატას ქმარი, მოხუცი მეგზოვე გაბრიელ დოლენკო დადიოდა ეზოში და ტყვიების ზუზუნში თავის მეგობარ ძალს ეცსავით მიჰმართავდა:

— შეხედე შენ, როგორ სტყვენ ტყვიები?! აი, გესმის, ისევე აი, ისევე ანმდვილად ვაგოდა ხალხი. საკვირველია, როგორ არ მოსწყინდება ხალხს ომი! ჩვენ კი არავის არ ვახსოვართ, ჩემო მურია... წამო, ჭიშკარი დაეკეტოთ, თორემ ქვეყანა იქცევა. — ბუზოუნებდა ყველასაგან მიტოვებულა ბერიკაცო.

სხვაგვარად შეფთავდა ამ ღამით პატიმრები გაქცეული მეტრები. ალავიძე, სლარაძე, დალაქიშვილი, მიტო ჩიკვაიძე, კორნელი მხეიძე და სხვანი ერთ

კამერაში იყვნენ. მიტოს გარდა, ყველანი ფანჯარასთან იდგნენ, ვერის ხიდი-საკენ გაფაციცებით იცქირებოდნენ და მათ კარგად იცოდნენ, რომ ამ ღამით ქალაქში ბოლშევიკების შეიარაღებული აჯანყება მიმდინარეობდა და აჯანყების შედეგი აინტერესებდათ.

— მოშორადი ფანჯარას, — უთხრა მიტომ კორნელის, — ხედავ, რა ახლოს გაიზუზუნა ტყვიამ.

კორნელი წელმოწვეტილი მოშორდა ფანჯარას, ძლივს მაღწია ნარებს და ისიც მიტოს გვერდით ტახტზე დაწვა. საშინლად ტვირთა ტერფში დაჭრილი, ახლა უკვე გასივებული და გალურჯებული ფეხი. ჩხუბში მარჯვენა მუშტის ძლიერი შემოკვრისათვის მთელი ტანის სიმძიმის მარტყენა ფეხზე ვადატანამ და დაჭრილ ტერფზე დაბჯენამ ჰრილობა და მოტყეხილი ძვალი გაუშიშურა. ტერფს კარგად მანამდეც ვერ ხრიდა და ამოძრავებდა იგი და ახლა კი, ოდნავი შერბევაც კი საშინელ ტკივილებს ჰგვრიდა. თანაც მაგრა ნაცემი იყო. თვალთან და ყვრიმალზე კანქვეშ სისხლი ჩაქცეოდა და სახე გალურჯებოდა. ყურის ძირში გახეთქილ კანზე სისხლი მიჰხმობოდა.

— ჩემი ბრუნინგი ვასო მარუაშვილმა წაიღო. ნეტავ კედლის აგენტი, ან გარდაცილი მაინც მოჰკლას ამალამ, — უთხრა კორნელმა მიტოს.

— ამალამ ჩვენები ყველანი ფეხზე დგანან, — გულდაწყვეტილ მთუგო მიტომ. ეტყობოდა დარდობდა, ისიც რომ მათთან არ იყო. სროლა ძლიერდებოდა. „ნეტავ რა ამბავია ქალაქში? დააპატიმრეს თუ არა ჩვენებმა სახალხო სახლში მენშევიკური მთავრობა? — ფიქრობდნენ პატიმრები.

ამასვე ფიქრობდა მუშტაილის ბაღთან, მტკვრის პირას ჩასაფრებულ ალექსანდრე მახარაძე, იგი გულმოკლული იყო, მის მიერ სამხედრო სასწავლებელზე მოწყობილი თავდასხმა რომ ჩაგარდა, საბურთალოს მალობებზე გამუნებულ საარტილერიო ყაზარმებს ტანჯვით გასცქეროდა და ფიქრობდა: „რად არ გაისროლეს ზარბაზანი? დაავიანეს, თუ ვერ მოახერხეს ჩვენებმა ზარბაზნის გასროლა? რა მოხდა სახალხო სახლში? დააპატიმრეს თუ არა ჩვენებმა წყურული ეორდანიას და რამიშვილის მთავრობა?“

ახადგაზრდა მწერალთა შემოქმედება

ბ. ნახაშვილი

მეფოლადე ზღვასთან



სად შევხვედრივართ?..
იქნებ, მახსოვს, კარპატის მთებში,
ან მოვეყვებოდით
სამშობლოსკენ ერთად ეშელონს.
მინდა ნაცნობმა
სურათებმა იეღვონ ჩემში
და მოგონებას წამოეშელონ...
იქნებ, ის ვნახე
მემანქანედ, მემალაროედ,
მიაქროლებდა
ვაგონებად დაძრულ მარგანეცს?..
იქნება ქვეყნად
არც მენახოს იგი აროდეს
და უნებურად ვინმეს ვამგვანე?..
ნაცნობი არი,
ფართოდგამლილ გულმკერდის
სუნთქვა,
ჩემში ფიქრები
ტალღებოვით უცებ მოვარდნენ.
როცა ოცნება
უსწრაფესი გადაწვდა რუსთავს,
უმაღ ვიკანი მე მეფოლადე...
გაჰყურებს სივრცეს,
თვალი მისიღვის როინის ღრუბელთა.
ეს მზე ჩავიდა
თუ ამუქებს შორით ზომალდი?
ცის კიდე ელაგს;
ის თითქოს დგას ნაცნობ ღუმელთან,
ჰგაგს ზღვაზე შუქის დაღერას ფოლადის.
იქ, ზღვის ვადალმა
ვილატას სურს მას განუმზადოს
თმი, სიკვდილი,
განსაძლევი უნდო და მკაცრი,

იქითკენ რისხვით
იყურება მშვიდი, უზადო,
შრომისმოყვარე ქართველი კაცი.
დგას შეუპოვრად,
ვით ქანდაკი მყარი გრანიტის.
განა ისურვებს
ნაპირები ცეცხლით გადახმეს
იგი ბავშვოვით
გაზაფხულის მოსვლას განიცდის,
მრისხანე მშერით ეტყვის გადაღმელა:

— შეჩერდი, თორემ
სინანული დაგჩივბა გვიან.
ნათლად ცხოვრებით
შენც დაგიტევეს ვრცელი სამყარო.
გინდა, უშვიდეს ადამიანს
მესროლო ტყვია
და თავზე ცეცხლი გადმომაღვარო.
ნუ თუ გაბედავ
აგი ზოახვით ხელის ამართვას.
მე შეგაგებებ უშიშარი
წარბებს შეუხრულს.
შენ გულით გინდა
სიხარული ჩემს ბავშვს წაართვა
და აატირო ჩემი მუულღე.
შეჩერდი:
ნუ გსურს ეს მზით საგე სივრცე
ბოლაგდეს.

სიკოცხლის კანონს
შენ სიკვდილით ვერასდროს შეცვლი.
შეჩერდი, თორემ
ეს იცოდე, რომ მეფოლადეს
არ ემინია დანთებულ ცეცხლის.

მიხეილ სანიქიძე

სიბრძნის წყარო



გადავფურცლავ სიბრძნის წყაროს,
სტრიქონებში ელვა ჩნდება,

ცისკაროვით ილიმება
შიგ სამშობლოს გამარჯვება.



შიგ ელვარებს სიდიადე
 გენიოსის დანახული,
 გაფურჩქნულა მის ფურცლებზე
 ჩვენი ქვეყნის გაზაფხული.
 იგი არის საფუძველი
 ამ ცხოვრების სილაპაპის,
 მტრის ბანაკზე დაძვრებულ
 ლახვარსა ჰკავს ყველა აზრით.
 მზე მზეობს და შუქი მისი
 ამილია ხელში წიგნად.

შიგ ბობოქრობს ქარიშხალი,
 შიგ სამშობლოს აწმყო ბრწყინავს.
 გადაეფურცლა სიბრძნის წყაროს,
 გულს ნათელით ამოვიგებს
 და მაისზე უფრო მზიბლავს
 მე ამ წიგნის სიმაისე.
 ჩემს ოჯახშიც უხვად არის
 მისი შუქი მოფენილი,
 ჩაღვრილია შიგ სიმაართლე,
 აწერია ხედ — ლენინი.

კომუნიზმის ნათურები



უკუნს გული დაეუფლითე,
 სპილენძს დაეჭარ ოქროს კვესი,
 დღიდან ყველამ დამიძახეთ
 ბედნიერი სოფლის ჰესი.
 გამარჯობათ, აქ მშვიდობა,
 გამარჯობათ, დებო, ძმებო,
 თქვენთვის მოველ, გემსახუროთ
 უნდა, ჩემო საყვარლებო.
 მნათობივით ვიკაშკაშებ,
 არ ჩაეჭრები, ნათელს ვფიცავ,
 მე პარტიამ გამოიმგზავნა
 ლენინის და სტალინისამ.
 ღამეს ყელი გამოგეჭერი,
 ხევში ჩაეკალ გიმრისფერი;

და შრომელი ხალხის ბინებს
 შუის სხივებად მოეფენე.
 ხომ არ გიკვირთ ჩემი მოსვლა?
 არ მელოდით, ძმებო, განა?
 მე სოფლებშიც ვიელვარებ
 კომუნიზმის ჩირადანად.
 მთვარეს ვსძლიე, ღამის ღამპარს,
 დავაჩოქე სხივთა თქეშით,
 ელვის ფრთებით გაფრენილი
 დღის ვედრები სიხათლეში.
 მსურს ავაგოს სიხარულით
 თქონი კერის ფართი უბიო,
 თუ ქალაქი მფლობდა დღემდე,
 დღეს სოფელსაც დავეუფლე.

სამგორელების სალაში



სალაში საქართველოდან, სალაში, ძმებო, შორიდან,
 სამშობლოს რკინის კაცებო, დაუღლელებო შრომითა.
 ასე რამ გაგიფოლადათ მკერდექვეშ მჩქეფარი გულები,
 რომ ვერ გაშინებთ ვერც ელვა და ვერც ქუხილი ბუნების.
 ჩვენ აქ მომავლის აფრები სამგორის ველზეც ვავეშლეთ,
 თქვენ მანდ ვოლგა-დონს ჩაუდგამთ მღვრიე ტალღებში კაშხალებს.
 დღეს, სადაც გვალვით გადამწვარ მიწაზე ხავსიც არ არის,
 რომ იქ ხვალ პურის ყანებმა გაშალონ მწვანე დალალი.
 და განა მარტო ყანებით დაიფარება სერები?
 თქვენს შექმნილ არხში იცურებს მშვიდობის კრეისერები.
 სამგორელების სალაში, სალაში, ძმებო, შორიდან,
 თქვენ მართლა რკინის კაცებო, მოუქანცველნი შრომითა.
 ვერც აქ გაგიძლო ბუნებამ, ჩვენს ძლიერებას თავს უხრის
 და მალე სახელს გაითქვამს ქართული ჯიშის თავთუხიც.
 თქვენ პუშკინისა და ჩვენ კი რუსთაველის მიწას ვამშვენებთ,
 მგერამ ერთი გზით მიედევართ, კომუნიზმს ერთად ვამშვენებთ.
 დე, შვილთაშვილსაც შეერგოს ეგ ჩვენი შრომა მდღვარი,
 მოსავლის ბელად ვაქციოთ მამულის ყველა პექტარი.



ავთანდილ სვანი

ის სიყვარული სისხლით დაწერა



როცა ბავშვობის ნაზი ასაკი
ჩვენ გვიხატავდა ოცნებას ფერადს,
მეტყობდი სურვილს გულის ცახცახით:
„ხეტავ ვნახავდე მშობლიურ ბელადს.
ჩვენი ლამაზი ქართული ენით
აღტაცებულნი ვეტყობდი ამას,
თუ როგორ გვიყვარს სამშობლო ჩვენი,
თუ როგორ გვიყვარს სიცოცხლის მამა“.
ის სიყვარული ყველას აჩვენე,
რასაც ხატავდა შენი ბავშვობა.
შენ საკუთარი სისხლით დაწერე
ბელადისა და სამშობლოს ტრფობა.
და როცა მძიმე ტყვიელს ითმენდი,
აღმათ, მაშინაც მამულს ლოცავდი.
შეაჭვნებოდა ბავეს სიტყვები:
„სტალინისათვის, სამშობლოსათვის!“
ყველას სახელებს იცნობს ბელადი,
ვინც დიდ სიყვარულს თავი შესწირეს.
იქ შენც ხარ, მამო, როდესაც ამბობს:
—„სამარადისო დიდება გმირებს!..“

—

ილო ბაკოშვილი

ათი შვილის დედა



დგას ტრიბუნა, აღმართული ფართე,
ზედ ქალი დგას, მთელ სამყაროს ხედავს.
მოუსმინეთ, რასაც იტყვის გწამდეთ,
სიტყვას ამბობს ათი შვილის დედა.

შვილის ტრფობა მშობელს მატებს ძალას,
შვილის ტრფობა წყლულსაც დაგვიამებს.
„ათ აკვანთან მიმღერია ნანა,
ათი წელი მიტეხია ღამე.“

ათს ვაწოვე დედამ ტყბილი ძუძუ,
ათივენი დღეს ცოცხლები მყვანან.
მტრედებოვით დაიწყებენ ლულუნს,
როცა ხამგლით ესევიათ ყანას.

ფრონტზე დარჩა ერთი ხელი უფროსი,
სხვებსაც ჰქონდათ ჭრილობები მკერდზე,
დამბრუნდნენ, გამამაყდნენ უფრო,
იზეიმეს გამარჯვება მტერზე.

დედის გრძნობას ვერაფერი ჰყინავს,
ის პირველი პირმშო არის მზისა,
და არც არსად ისე არვინ ბრწყინავს,
როგორც დედა, დედა სიცოცხლისა.

არც კაცია, არც ხე ფეხზე მდგომი,
რომ უღედოდ თვალი ახელოდეს
და ნუ გიკვირთ, რომ მძვინვარე ლომიც
თავის ლეკვთან სიყვარულით თრთოდეს.

ბევრი სისხლი დაქცეულა ღვარად,
ვით მთებს ნისლი გულზე გვაწევა სევდა...
ეს ყოველი წარსულია, კმარა,
მშვიდობა სურს, მშვიდობა სურს დედას.

დედა ვარ და მე სიცოცხლე ვშობე,
დედა ვარ და მე სიცოცხლეს ვიცავ.
შევებმები მტარვალს, ხალხის მპყრობელს,
და კაბაზე ბექთარს გადავიცვამ.

მართალია, ოდნავ მოვიხარე,
ჟაკე შავად დამელარა ლაწვი,
წელთ სიმრავლე ვერ მილიბრავს თვალებს,
იქნებ ვერ სცნობ, მტერო, დედა არწივს!

ათი ვშობე, ათ-ათს თვითონ ზრდიან,
დე, გამრავლდეს ჩვენი მოდგმა-გვარო,
ჰე, საშობლოვ, მტრის ჯავრს ამოგყრიან,
თუ ასტეხეს ომი შესაზარი“.

ქალს შვე მანდილს უფრიალებს ქარი,
ტრიბუნიდან იყურება მხნედა,
— კმარა, კმარა სისხლის ნიაღვარი! —
— იმეორებს ამაგდარი დედა.

ნანი კილასონია

წვიმა სოფელში



გარეთ წვიმს და ტირის მთები,
სახლში გული არ ისეიგებს,
რა შეილივით დღე უცდებათ
ამ წვიმაში აბისელებს.
ზოგჯერ ქვეყნის ამბებს ყვები,
ზოგჯერ ფიქრი გაგიტაცებს,

ახალ შარას გაუყვები
გზად შეხვდები სახლგაყვებს.
რომ არ დარჩეს სახლში ობლად,
გლეხი გარეთ ეშურება.
და პატარა მახარობლად
წინ გაგვისწრეს ბელურებმა.

კანტორასთან, სოფლის ბოლოს,
ნაწვიმარი ეზო გველის,
და თამბაქოს კვამლში ბოლავს
ჩვენი კარის მეზობელი.
დადის, ოხრავს ბრიგადირი,
პირშიმთქმელი, პირდაპირი,
ზოგი ითვლის შრომა დღეებს,

ზოგს ბაასი უფრო მოსწონს,
მაგრამ ის სულ სხვა საქმეა,
აქედან რომ უსმენ მოსკოვს,
უსმენ ქვეყნის გამარჯვებას,
სიხარული გაგვიტაცებს,
რომ მოსკოვის მაღლი სწვდებათ
აქ ამ ჯმუხა სახლიკაცებს.

მკობა აბრამიშვილი

მ კ ლ ბ ა



მახსოვს, გნახე და მდურვა არ ვთქვი ბედის ეტლისა,
მტრედისფრად გაშლილ შენს დინებას გაჰყვა ოცნება, —
ვოლგავ, ჰე, ვოლგავ, უღიადეს მიზანს ქვეყნისას
გადუხსენ მკერდი, შენ მოგელის სხვა საოცრება!

- მარად სიკეთის მშენებელი და უმარდესი
ადამიანის ხელი შექმნის მზის მსგავს მანქანებს;
ვოლგავ დიადო, შენ იქნები უღიადესი,
როცა ისინი უკანასკნელ წყვილიადს შთანთქავენ.

მოვა ამაყად შემართული კაცი, მძლე გულით,
დაიწყებს პირქუშ ბუნებასთან ჭიდილს, შეტევას
და გიგანტები, შენს გულმკერდზე დაფუძნებული,
აენტებიან კომუნიზმის ნათელ სვეტებად.

ის თვით ანთია, ვინც ნათელი მოგვეცა სამოსლად,
შენი მომავლის ცეცხლი ქვეყნად ააგიზგიზა, —
ვარსკვლავი არა, შენ იქნები სხვა მზის ამოსვლა
და გათენება კომუნიზმისა!

მივი გარამიძე

რობსონი მღერის



ყველა ტირანის ბოროტ გულს სერავს
თაღისუფლების მკუქარე პანგი.
მსოფლიო ისმენს, მსოფლიოს სჯერა, —
სიმაართლეს მღერის მამაკი ზანგი.
სიმაართლეს მღერის, მშვიდობას მღერის,
ხალხის მტრებს გულზე მეზივით ახლის,
რომ შეუძლია კაცს — შაეიფერის —
აუოს მედროშე წაგრული ხალხის.



რობსონი მღერის და იმის ხმაში
 ისმის კორეის მიწის ზანზარი,
 რობსონი მღერის და ჩაგრულ ხალხში
 მტკიცდება ძალა უზარმაზარი.
 — კმარა ამდენი სისხლისღვრა მეტი,
 თორემ მსოფლიო ცეცხლი იალებს,
 თუმცა მშვიდია მშვიდობის მტრედი, —
 განრისხებული უხმობს გრივალებს.

დოლარის მონებს სისხლი სწყურიათ
 და მსოფლიოზე სურთ ბატონობა,
 სურთ ჩაჩუმონ, მოსპონ სრულიად,
 ვინც ებრძვის ქვეყნად ხალხთა მონობას.
 ჯალათებისთვის ხარის დამცემი
 სიმღერა გრგვინავს, ცეცხლი ვარვარებს, —
 და ხანჯალივით გულში ჩამცემი
 ძრწოლას გვრის ჩაგრულ ხალხის მტარვალებს.

რობსონი მღერის, მშვიდობას მღერის,
 ხალხის მტრებს გულზე მეხვიით ახლის,
 რომ უყვარს დროშა წითელი ფერის,
 დროშა საბჭოთა დიადი ხალხის.

იოსებ ნასარიძე

წირილი ამერიკის კონგრესს.



მე, ზვიადა ლობჯანიძის შთამომავალს,
 გულიც მერჩის, მუხლიც მომდევს, მკლავში ღონეც.
 როცა ვხედავ ჩემს სამშობლოს წინ მიმაჯალს,
 მე ვმღერი, და ეს სიმღერა თქვენ გაღონებთ.

ჯანა ძველი ამბავია, მოიგონეთ:
 ძაუგიდან ბრძოლით ჩაველ ბერლინამდე,
 მე მშვიდობა სისხლის ფასად მოვიპოვე
 და სიკვდილი მიეუსაჯე ავის ჩამდენს.

თუ ეცდებით მოგვახვიოთ ომი თავზე,
 რომ კვლავ ცეცხლი სწვაედეს მიწას, ზეცის თაღებს,
 ჩვენ ბერლინის გასაღებთან მოვითავსებთ
 უოლ-სტრიტის შავ უასაღებს.



ფოლადი

რომანი

მეორე ნაწილი



I. ბუნება და ადამიანი

მზის ამოსვლას დაასწრო ადგომა ტარიელ ბარველიძემ. სასტუმროში აღარ დაუყოვნებია, მხოლოდ ეზოში ჩასვლამდის მკირე ხნით აივანზე ვადაღა და მკრთალად განათებულ ქუჩას გახედა.

ორი დღის წინათ ჩამოვიდა აქ, ღონბასში, და თუძეა შორი მგზავრობით დაღლილი იყო, მაგრამ სადგურიდან ქალაქში არ შეუვლია, ჩემოდანი შესანახად მიიბარა და ქარხანას მიაშურა. გზაში, მატარებელი აქეთ რომ მოაქროლებდა და უკრაინის ველებს გაჰყურებდა, აღტაცებული იყო: არსად, არც ერთი ნაკვეთი მიწა დაუმშავებელი აღარ დაჩრჩინლიყო, ყველგან ახალი სიცოცხლე ბრწყინავდა.

მოიშუშა მიწამ ომისაგან მიყენებული ქრილობები, აღორძინდა, დამშვენდა: აუხვად იძლიერებდა მთარაობები ქვიანახშის, ხოლო მეტალურგიული ქარხნები — თუჯსა და ფოლადს.

არათუ იცის ეს ტარიელმა, მთელს მის არსებაში გამჯდარია რწმენა, რომ ყოველი ახალი დღე ახალ ძლიერებას მიანიჭებს მშობლიურ ქვეყანას. ამიტომ არა ეპარა მოპოვებული, უკვე შექმნილი, არც ის, რასაც ყოველ დღე აკეთებს, — ახალს ეძიებს მისი გონება, ახალი იტაცებს. იცის: უსაზღვროა სარბიელი, რომელზედაც მარად წინ ივლის ადამიანი. ამ წამს რომ გგონია, მიჯნაზე ვდგავარო, ხვალ იქ წარმოტაცი პორი-ზონტი გადაიშლიება.

ხანდახან ტარიელს წარმოუდგება, თითქოს მწვერივალზე ადის, სვანეთში მოგზაურობისას რომ იხილა, ისეთ მწვერივალზე, და მზის ამოსვლას ესწრება.

ჯერ ისევ ქუფრი ნისლი ჰპურავს თხემებსა და მყინვარებს; მზე სადღაც უსახო ქაოსში იშმუშნება, ნელინელ ღვივიან შორი სხივები, ბურუსს არღვევენ, ღვინისფრად იღვრებიან ღრუბლების კიდურებზე; თვალჩაუწყვეტელ ხეობებს ქედიდან ქედამდის თეთრი მარმარილოსებური ტალღები გადაჰყენიან და არა აქვს დასასრული ცისიერში გაშლილ სპეტაკ სანახებს. მზე ოდნავ ამოიწვერა. შეიბრუნნე ოქროსფრად მოვარაყებული ღრუბლები. გრილმა ნიავემა დაუბერა. ერთიმეორეზე ულამაზესი სურათი იხატება. გინდა გაშალო ფრთები, მთაგრეხილებს შემოუქროლო, პიტალო კლდეებიდან ჩახედო სიღრმეს, იქაც დაადგა ფეხი, სადაც ჯერ მხოლოდ ჯიხვსა და არჩეს გაუფლია, არაფერი არ დაგრჩეს აუთვისებელი, არც კეცყვად მოჩქრიალე რისიფერი ჩანჩქერი, არც უღრანი ტყე; არც მოუტალი მყინვარი. დაუღვივლია სიმდიდრე დიდამიწისა, ხოლო ადამიანი მისი უგონიერესი შვილია, მისი მზიური შემოქმედების ნაყოფი.

მოსახვევში ნაბიჯი შეანელა ტარიელმა, ბალის გასწვრივ ომის დროს მტრის მიერ დანგრეულ დიდ შენობას მოაელო თვალი. ნაიარევივით შერჩენოდა ქუჩას ეს აღუდგენელი სახლი. ტარიელის განწყობილებაშია შეიბრბა მტკიუნელი სიმა. განჯლილი წლების სიმძიმე იგრძნო, მაგრამ ნაღველს როდი დაემორჩილა, თავი ასწია და არეს ისე გახედა, თითქოს შორს, ზღვის მიღმა, მეტად მიმზიდველი საველეო წარმოესახაო.

ქალაქი მადლობზე იყო გაშლილი. ფერღობზე დაქანებულ სწორ და გა-

ნიერ პროსპექტს მაღალი ხეები ამშვე-
ნებდა. ის იყო, მზემ ცის კიდურზე
შეჯარულ ღრუბლებში გამოიხედა და
გარემოს ნათელი ელფერი მოეფინა.

ქუჩაში ჯერ სიწყნარე სუფევდა;
ტრამვაის ვაგონმა ჩაიჭრა, ისიც
თითქმის ცარიელი იყო.

ტარიელმა ამ დილით ეს ბაღნარიანი
ქალაქი ქუთაისს შეადარა, თითქოს
მალღობზე დგას და რიონის ქალებს
გასცვივროს. მხოლოდ აგერ, ხელმ-
ძარცვივ, შექლურჯად რომ მოჩანს,
იქ ნიავე ჯეჯილს როდი არხევეს, ზღვის
ქველები ლივლივებს. მაინც რაღაც
ძალიან საამო მოგონებდა დაკავშირე-
ბული ამ სუფთა ქალაქთან, თუმცა
აქ არასოდეს არ უცხოვრია. მხოლოდ
გზად გაუვლია. ორი დღეა აქ არის და
გულში იდუმლად ულოლიავენს ამ
წმინდა გრძნობას. თითქოს სხვა ქამისა-
თვის აქესო იგი შემონახული, რომ
მოიცალოს და ღრმად ჩაუკვირდეს.
ჯერ კი დრო არა აქვს, ქარხნისაკენ
მისსწრაფის, რადგან აცვილებით უფრო
რთული აღმოჩნდა ის საქმე, რომელიც
რამდენიმე დღეში უნდა მოეგვარებინა.

გზაჯვარედინზე მაღალმა, გულ-
მკერდასეუ ქალმა გადმოუხეია.

ტარიელისაკენ აჰყვა აღმართს. თავ-
შიშველი იყო, ქერა სახეს წაბლისფერი
თმის კულულები უშკობდა. ეტყობოდა,
ფიქრში იყო გართული, გარემო მის-
თვის იმ წამს საკუთარი ქვეყნიერების
ჩარხო იყო მხოლოდ; აგერ ვიღაცას
ოდნე გაუღიმა, დიდრონი თვალები
გაუნათდა, ტარიელს ანგარიშმიუცემ-
ლად ახედ-დახედა, გზა განაგრძო.

ტარიელი შეჩერდა, ქალს კი არ გაა-
ყროა მზერა, თავის არსებობაში ჩაიხედა
და მარინა სერგეევნა დაუდგა თვალიწინ.
არიშიდან რომ მოდიოდა, მარინა გა-
საცილებლად გამოჰყვა. საქმეზე საუბ-
რობდნენ. მარინას საესებით გათვალის-
წინებული ჰქონდა ის დიდი მიზანი,
რომელიც ტარიელმა დაისახა. უკანას-
კნელი ორი თვის განმავლობაში, ტა-
რიელი დღიურ სამუშაოს რომ მო-
თავებდა, მთელი საათობით გატაცებით
არკვევდა მარინასთან ერთად, თუ რამ-
დენად შესაძლებელი იყო თეორიულად
უკვე დახუსტებული პროექტის პრაქ-
ტიკული შესრულება. მარინას მამი-
საგან ბეგრი რამ სიმეორად ასეთ საქმე-
ზე, დედაარსში ადვილად ერკვეოდა,
თავის მდიდარ ფანტაზიას იშველიებდა
და ტარიელს ფრთას ასხამდა.

ასეთ წუთებში სრულიად გადახა-
ლისდებოდა ხოლმე მარინა, მის ცის-
ფერ თვალებში ფარული სევდის კვა-
ლიც აღარ რჩებოდა, თეთრი სახე ისე
დაუშმწერდებოდა, თითქოს ზედა ტუჩ-
ზე ოდნავ შესამჩნევი ბუსუსების ნაც-
ვლად, სიხარულის სხივები თინათინო-
ბენო.

მისი შემხედვარე ტარიელიც ქაბუჯ-
დებოდა, სააზროვნო ძალა ემატებოდა.
ეს იყო ისეთი გულითადი ურთიერთო-
ბა, რომელიც სიტყვით გამოთქმას არ
საჭიროებდა. მხოლოდ ერთხელ წამო-
ცდა ტარიელს:

— იცი, მარინა სერგეევნა, თქვენ,
აღბათ, წარმოდგენილი არა გაქვთ, თუ
რა ძალას მანიჭებთ...

მარინას სახეზე ბურუსი დაეფინა,
თავი დახარა, მერე ტარიელს ახედა,
ისე წრფელად, ისე გულდამნობი-
ლად ახედა, რომ ტარიელმა სიტყვის
გაგრძელება ზედმეტად მიიჩნია.

ზამთრის მიწურულში ტარიელს რამ-
დენიმე დღით არიშიდან წასვლა მო-
უხდა. შინ რომ დაბრუნდა, თეოლინეს
მოწყენილობა შეამჩნია.

— დედა, შენ რაღაც გაწუხებ. რა-
ტომ არ შეტყვი?

— არაფერია, შვილო...

— მაინც?

თეოლინე შეილთან მივიდა, ყელსახ-
ვევი გაუსწორა, მოფერებით უთხრა:

— გულთან ნუ მოიტან, შვილო...

ისე კი დროა აწი, მითავე ის საქმე,
მოიმორე თავიდან...

ტარიელი მყისვე მიხვდა, თუ რა საქ-
მეზე ელაპარაკებოდა დედა, სახე მოე-
ღრუბლა.

— არ ისვენებს, დადის, ჰორების
ქსელს ხლართავს. ამის უნარი კი აქვს,
სხვაი რამე თუ არა, — განაგრძობდა
თეოლინე. — ვიცი, გეძნელება, მარა
ერთი მოიცალე და ბოლო მოუღე ამ
მითქმა-მოთქმას.

— რა, ახალია რამე?

— ახალი რა უნდა იყოს, შვილო,
მარა იმ ბოროტის ამბავი ხომ იცი, რას
არ შეთხზავს, რას არ გამოაბამს კულს,
მერე კიდევ იმ პარტისან ადამიანსაც
აწუხებს თურმე. დარეჯანისთვის
უთქვამს: ქალი არ ვიქნები, თუ მაგი
აქურობას არ მოგაშორავ.

ტარიელს ხმა არ დაუძრავს, პორტ-
ფელი აიღო და გარეთ გავიდა. მუდამ
ასე ემართებოდა: ნელის რომ მოაგო-
ნებდნენ, ცუდ გუნებაზე ღვებოდა,

მცირდებოდა საკუთარი თავის წინაშე, ისეთი გრძნობა იპყრობდა, თითქოს ორმოში მომწყვდიულობას და ზევით ასვლა აღარ შეეძლოს ფრთებდაშვებულს. დედა მართალს ეუბნებოდა, განმორება უნდა გაეფორმებინა, მაგრამ როგორც ეს წარმოიდგინდა, რომ ამისათვის საჭირო იყო რაღაც განცხადება, სამოსამართლო ძიება, ყველაფერი შეეზიზღებოდა და ხელს ჩაიქნევდა; ცდილობდა, სრულიად არ ეფიქრა ამასზე, რომ მუშაობაში ხელი არ შეშლიდა. თანაც კიდევ ხანდახან რაღაც სიბრაღის მაგვარი გრძნობა ვაულებდა, იტყოდა: ზურგიკოს მშობელი დედებო, უმწურო ადამიანი, არაფრის შექმნა მას არ შეუძლია, თავს ვერ გაიტანს, საზრდო უნდა მიეწავლიათ. ამას რომ იტყოდა, გულზე მოეშვებოდა, საქმეში გაერთობოდა, გამთელდებოდა.

— კი, მაგრამ იმ ადამიანთან რა უნდა? რატომ არ ისვენებს? — გაიფიქრა შინიდან გამოსულმა ტარიელმა. — იქნება კიდევაც იყო მასთან. ვინ იცის, რა უთხრა, რა იცბიერა!

ამ ფიქრმა მწვავედ დასუსხა. ბევრი რამ უნდა აიტანოს, რაკი წილად ზედა, მხოლოდ მარინას თვალიში თავს ვერ დაამციკრებინებს, ამის ნებას არ მისცემს.

თავის კაბინეტში შევიდა, მაგიდას ხელი დააყრდნო და ქაღალდებს დაეცქერა. შუბლი შეიკრა, ეწყინა, პირადი საგონებელი რომ აქამდის მოჰყვებოდა; წამსვე მოიშორა იგი, მაგრამ შემდეგ მუშაობის დროს, მაინც ვაჰკრავდა ხოლმე ბრკვალს, სწორედ ისე, შდინბარის პირად გულმოდგინედ მომუშავე კაცი რომ თავს ასწივს, ირგვლივ მიმოიხედავს და უცებ ჩაწვდება ყურში დაქანებული ზვირთების გაბმული ჩერბილი.

ნაშუადღევს ჩვეულებისამებრ სამქრობებში შეიარა. ზის პირად კვამლისაგან გამუქებული თოვლი აქა-იქ გამდნარიყო. ხანდახან მზე გამოჩნდებოდა ნაცრისფერ ღრუბლებში, მაგრამ იგი მთავრეს უფრო ჰგავდა, იმდენად სხივდამცხრალი იყო. ამ ღრუბლებს დღეში არის მინდორზე აღმართული ვეება კორპუსები და მალაღი ჩონჩხედები მკრთალად მოჩანდა, ღრმა თხრილებისა და არხების პირად გაყოლებუნი ოღროჩოღრო ზვინულებიც თოვ-

ლით იყო დაფარული, მაგრამ მშენებლობის სწრაფი წინსვლა მაინც იგრძნობოდა. ისე, როგორც მშობელს თვალი შეჩვეული აქვს და ვერ ამჩნევს ბავშვის ყოველდღიურ ზრდას, ტარიელსაც, რაკი მცირე ხანს აქ არ იყო, უფრო ნათლად დანახა, თუ რა ბევრ რამ გაეცვალა უკანასკნელი დროის განმავლობაში.

დაბალი შენობისაკენ შეუხვია, ბნელ დერეფანში შევიდა. ასეთ პატარა და მოურთავ სახლებში მუშაობენ უმთავრესად უდიდესი საამქროების მშენებლები, ინჟინერ-ტექნიკოსები. შეჩვეული არიან სიეწროვს, ხმაურს.

კარი შეაღო.

გრძელ მაგიდასთან მარინა სერგეევნიჯდა, მაგიდის პირდაპირ ფართო თაროებზე დაგრაგნილი ნახაზები ეწყო. კუთხეში თუნუქის მრგვალი ღუმელი იდგა.

მარინას თავი არ აუწვივია, შეჩვეული იყო კარის გაღებას, ხშირად შემოდინდნენ და გადიოდნენ თანამშრომლები, წინ ნახაზი ჰქონდა გაშლილი და მუშაობით იყო გართული.

— მარინა სერგეევნი!

— აჰ, ტარიელ ზურაბოვიჩი!.. არ გელოდით! — თქვა მარინამ და წამოდგა. მსოლიფერი გეშა გახსნილი ჰქონდა, მაინც თითქოს მამაკაცურად იყო ჩაცმული. მხოლოდ ტარიელს რომ შეეცქერდა და ნათელი სახე ოდნავ წამოეფაკა, მაშინ დაამშვივდა მეტად მიმხიდეღმა ქალურმა სილამაზემ.

— არა, ისეც ის არის, არავითარი ცვლილება არ ემჩნევა, — გაიფიქრა ტარიელმა და მყისვე გაჰქრა აქამდის მოყოლილი დამამციკრებელი გრძნობა, ღიმილი მოერია.

მარინამ უსიტყვოდ ამოიკითხა ტარიელის გამომეტყველებაში, რომ მას აქ მოსვლამდის რაღაც აწუხებდა, ახლა გაჰქრა ეს წუხილი; ამას ეუბნებოდა იღუმალი სიმი, რომელიც დაუკითხავად გაეხა მათ შორის და გულს ნახად ენამატებოდა.

— ეს, მგონია, რაღაც ახალია...

— ჰო, ის არის, რაზედაც ამას წინათ ესაუბრობდით. ძალიან გამიტაცა. მართალია, დიდი არაფერია, პატარა დეტალი, მაგრამ იმის გრძნობა კი არ მშორდება, რომ დიდ საქმეს გყრებოდა საფუძველი.

— რა თქმა უნდა, — დამოწმმა ტარიელი და მარინას ახედა, გულმა მოსთხოვა, თუ სიტყვით არა, თვალით მაინც მიალერსებოდა ამ დაუცხროსელ ქალს, მაგრამ ისე დინჯად, ისე შთაგონებით დაკუყურებდა იგი მაგიდაზე გაშლილ ნახაზს, რომ ტარიელის ყურადღებაც მყისვე საქმის შინაარსმა მიიპყრო.

ასე იყო მუდამ, ასე იყო რამდენიმე დღის უკან, როცა მარინამ სადღურზე გამოაცალა დონბასში მიმავალი ტარიელი: მარტოოდენ საერთო საქმით იყო შემოფარგლული მათი მისწრაფებანი. მხოლოდ როცა მატარებელი დაძრა და მარინამ ხელი ასწია, მაშინ ააღზნო ტარიელი მწვავედ მოზღვავებულმა გრძნობამ, რადგან კი არ მოეჩვენა, ნამდვილად დაინახა, რომ მარინას ტუჩები შეერბა და დიდრონი თვალები დაეწაშა. რაღაც ჰაეროვნად იყო თითქოს იმ დღეს მოსილი მარინა იერგვევსა. თალხი აბრეშუმის კაბა ეცვა, თეთრფოთლებიანი, მზე ოდნავ მოცილებოდა.

აქარადა მატარებელი, მარინა თვალს მიეფარა. ტარიელს გული შეეკუმშა, ისეთმა გრძნობამ შეიპყრო, თითქოს მეტად დიდ განსაცდელში სტოვებდეს სრულიად უმწეო ადამიანს. «ოცდევაა, — გაივლო გუნებაში, — არაეინ არა ჰყავს ანლობელი. არც მშობლები, არც ქმარი, არც შვილი...» გაკყვა ამ ფიქრს და თავისდაუნებურად ინატრა: ნეტავი რაიმე საფრთხეში დავჭირდებოდე მარინას, რომ მისთვის თავი დაეღო, სამშვიდობოზე გაეიყვანო. დიდი ხნის წინათ, როცა ტარიელი ჯერ კიდევ საშუალო სასწავლებელს ამთავრებდა, მაშინ იაყოლოებდა ხოლმე ასეთი ოცნება, ახლა კი... ნუთუ ისევ დაუბრუნდა აღრინდელი სიკაბუჯი?

და როგორც უცნობ ქალს, იმ წამს რომ გვერდით ჩაუჯარა, ტარიელსაც თავისდა შეუქმნიველად გაეღიმა, ნაბიჯს აუჩქარა.

ხეივანს გასცილდა და მაღლობიდან გახედა ვრცლად გაშლილ მეტალურგიულ ქარხანას, ალტაცებამ შეიპყრო.

ოცოდენ წლის წინათ მთელი ეს თვალუწედენელი ზეგანი, იგი როგორც არიშის უდაბნოდ ქვეული ველი, სრულიად უკაცური იყო, მეთევზე ან მონადირე თუ გაივლიდა გზად. დღეს კი, ხედავ, რა დიდებული სანახაობაა, რა მწვერვალზე ავიდა მეცნიერული

და ტექნიკური აზროვნების განვითარებამ აგერ ვეება ჩანგებებით... მოჩანან უქაბუკიოდ შედღებულნი ბრძენების თხემები, აირსადენი მიღებით შემოვარაგნილი; კაუპერები გოლიათების მასრებივით ურთიერთს მიჭლობიან, ხოლო მარტინების გრძლად ჩამწკრივებული კვამლსადენებიდან ამომავალი ბოლი ამ დილით ხან მურისფერია, ხან აღნარევი, ხანაც თეთრად მოციმციმე ფთილებად იფანტება, ფერს იცვლის და ღრუბლებს რომ უერთდება, გეგონებათ, რაღაც ქსელია გაბმული ცასა და დედამიწას შორისო.

გზა მოკლედ მოსჭრა ტარიელმა. როცა ქარხნის ქიშკარი მიუახლოვდა, უკვე მოდიოდნენ დილის ცვლაზე მუშები, ზოგი აეტკომობილით, ზოგი ფეხით; ეს იყო შემადგენელი ნაწილი იმ უწყვეტი ნაკადისა, რომელიც გამუდმებით ამოქმედებს, სულს უდგამს უამრავ მაქქანას, ბრძმებს, მარტენს, ბლუმინგს.

ეზოში, საგანგებოდ გაშენებულ ხეების მახლობლად, აღმართული იყო კამარაშემოვლებული ფართო დაფა, სადაც მოწყობილი იყო შიშისა და ინჟინერტექნიკოსების პორტრეტები გამოყოფინათ. აგერ, მხარმარჯვნივ, რა მიმზიდველად გამოიყურება ახალგაზრდა მეფოლადე, დონბასელი ჭაბუკი.

ტარიელმა წინაღობაც მიაქცია ყურადღება ამ მეფოლადეს, მაგრამ ახლა უფრო მეტი რამ ამოაყიოთხა მის სახეში.

II. ბულთმისანი

მარტენის საამქროს უფროსი, ტანმორჩილი, პირმარგალი, ქერა ინჟინერი სათათბირო ოთახში იჯდა მაგიდასთან და რვეულს ათვალეირებდა. ლამენათევი მეფოლადენი დინჯად ისხდნენ გრძელ მერზებზე; რამდენიმე კაცი ფეხზე იდგა, მხარით კედელს მიყრდნობოდნენ. ხანდახან ერმანეთს თუ გაუღიძობდნენ, ან თვალებით გაესაუბრებოდნენ, თორემ ისე ხმას არ იღებდნენ, ელოდნენ, თუ ვის გამოიძახებდა საამქროს უფროსი.

ფანჯრიდან დარბაზში დილის მზემ შეიხედა, ზოგ მეფოლადეს პირქუში სახე გაუნათდა, ზოგს უფრო დაეტყო მუშაობის დროს წაცხებული მერი.

უფროსმა თავი ასწია. თმა შეთხვლებოდა, თითქმის გამელოტებულიყო, ამ კაცს რაღაც ისეთი მადლი ჰქონდა

რომელიც უცებ დავიანლოვებს, გაგიშინაურებს. პირველი და მეორე ბრიგადის ხელმძღვანელებს გაესაუბრა, წარდგინილი ცნობები დაახუსტა, მერე კვლავ რვეული გადაფურცლა, ღრმად ჩამჯდარი თვალბინი ოდნებ მოქუტა, შუა მერხზე, განაპირას მჯდარ ახალგაზრდა მეფოლადეს მიაცქერდა, მკაცრად შეეკითხა:

— რაშია საქმე, ამხანაგო კირიჩენკო, ასე რატომ ჩამორჩით?

კირიჩენკო წელა წამოდგა. მაღალი, პირხმელი ტაბუკი იყო. დიხჯად წამოიწყო:

— ლეონიდ ალექსიევიჩი, ყველაფერი წესრიგზე მიმდინარეობდა, ჩატივით-ვაც, საჭირო ტემპირატურის დაცვაც... ვერ გამორკვივია...

— საქმეც იგაა, რომ ვერ გაგირკვევით, — შეაწყვიტინა ლეონიდ ალექსიევიჩმა. — რამდენიმე დღეა ალარის მიხაილოვი და...

მიხაილოვი, ახალგაზრდების ბრიგადის მეთაური, სწორედ ის მეფოლადე იყო, რომელსაც ქარხნის შესასვლელთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმ დღით ტარიელმა. ეს ტაბუკი არაჩვეულებრივი ნიჭით იყო დაჯილდოებული. მან ძალიან ადრე გამოიმუშავა ის თავისებური ალღო, რომლითაც გამოცდილი ოსტატი შეუცდომლად არკვევს ხოლმე, თუ როგორ მიმდინარეობს ღუმელში ფოლადის დნობა.

— თქვენ ხომ სწავლა ერთად დაამთავრეთ, ერთად დაიწყეთ მუშაობა, — განაგრძობდა ლეონიდ ალექსიევიჩი, — მაშ რატომაა თქვენთვის გაურკვეველი ეს ჩამორჩენა? მიხაილოვი ჯადოქარი ხომ არ არის, ისიც თქვენისთანა ახალგაზრდაა.

კირიჩენკოს მახლობლად ისხდნენ ერთი თვის წინათ არიშიდან მოვლინებული ვასო სიამაშეილი და ფაიოზ დარჯანიანი. ესენი ახალგაზრდათა მოწინავე ბრიგადაზე იყვნენ სავარჯიშოდ მიმავრებული.

ვასო ჩაფიქრებული იყო, ფანჯრიდან სიერცეს გაჰყურებდა, თვალწინ ედგა მაღალ ბოძებზე დაყრდნობილი მსხვილი მილები, მომოხენე საამქროების კორპუსები; ყველგან რკინისა და ჟანგისფერი სჭარბობდა.

უცებ სიერცეს თვალი მოსწყვიტა ვასომ, ლეონიდ ალექსიევიჩის მიაშტერდა, მერე თავის გვერდით ფეხზე მდგარ კირიჩენკოს ახედდახედა. ეტყობოდა

რალაც მოსაზრება არ ასვენებდა, თანაც აქაურებში თავს ჯერ იმდენად დაახლოვებულად არა გრძნობდა, რომ მოთურიდებლად ელაპარაკნა.

— როს გაჩუქებულხარ? — შეეკითხა ბოლოს ლეონიდ ალექსიევიჩი კირიჩენკოს. — ნუთუ ვერ უხდა გავრკვევით რაში გიხარჯება ზედმეტი დრო, სად ირღვევა საჭირო თანმიმდევრობა? კირიჩენკოს სახე ისეთი გაუხდა, თითქოს სათქმელი კი აქვს, მაგრამ ლეონიდ ალექსიევიჩის მკაცრი ტონით ნაწყენია და ჯიუტობსო.

ერთმა ხანდაზმულმა ოსტატმა გაცუებით შეავლო კირიჩენკოს თვალი, მასთან მუშაობდა ხელკვეითად, იცოდა, ენაწყლიანი ბიჭი იყო, ახლა რამ დაამუხჯაო?

კირიჩენკომ იგრძნო, რომ ყველამ მას მიაქცია ყურადღება, თავი დახარა, უხერხული დღემილი ჩამოვარდა.

მაშინ მოწაფესაგით ასწა ხელი ვასომ და ლეონიდ ალექსიევიჩის მიმართა:

— ნება მიბოძეთ, ამხანაგო უფროსო!

ლეონიდ ალექსიევიჩი ჯერ შორიან-ლო იცნობდა ვასოს, მის ცოდნასა და მუშაობაზე გარკვეული წარმოდგენა არა ჰქონდა; გამომცდელად მიაცქერდა და უთხრა:

— გთხოვთ.

ვასო რომ წამოდგა, კირიჩენკომ ხელი ოდნებ ჩაიჭინა, მერხზე დაეშვა და ვასოს პირქუშად ახედა.

— ჩვენი ცვლა, — დაიწყო ვასომ, — ერთი შეხედვით ჩვეულებრივად მუშაობს. მაგრამ ჩვენ გვაკლია სწორედ ის თვალი და ის გულისყური, რომლითაც მიხაილოვი უძღვევობდა საქმეს... მთავარი აი, რა არის...

საამქროს უფროსი მყისვე დაინტერესდა; გარეგნულადაც თვალში მოხვდა ეს ახოვანი ქართველი, მოეწონა მისი მახვილი თვლები, ხორბლისფერი ლაწვები და კეხიანი ცხვირი.

ვასო აუჩქარებლად, დალაგებულად ლაპარაკობდა, მხოლოდ კილოს უქცევდა ოდნავ; თავისი ოსტატი ანდრეი კუზმიჩი ედგა თითქოს გვერდით, ის ამხნევებდა, მოყოთობდა მთავარსა და არსებობზე, ნამდვილი მეფოლადის იმ თავისებურ ხელოვნებაზე, რაც მისგან შეითვისა.

— ამხანაგი კირიჩენკო, — დასძინა ბოლოს ვასომ, — რამდენადაც მას ვიცნობ, უთუოდ უნარიანი მეფოლადეა.

მონდომებაც არ აკლია, მხოლოდ მე მგონია, ამ ბოლოს მაგას რაღაცა აწეხებს; იმ დროს, როცა მთელი არსებით დუმელში მიმდინარე პაროცესით უნდა იყოს შეპყრობილი, მას უნებლიეთ სხვა რაიმე აგონდება... არ ვიცი, იქნებ ვცდები... აქ დიდად დახელოვნებული ოსტატები იშყოფებიან და კარგად იციან: რამდენადაც უკვე დახუსტებული არ უნდა იყოს ამათუ იმ ხარისხის ფოლადის გამოდნობა, ყოველ ცალკეულ გამოშვებას რაიმე თავისებურება ახასიათებს. ჰოდა, თუ ამ თავისებურებას დროზე შეიცნობ, ერთი სიტყვით, თუნდობს პაროცეს ბრმაღ კი არ მიპყვება, არამედ საჭიროებისამებრ წარმართავ, მაშინ დროსაც მოიგებ და ხარისხიც წუნდაუღებელი იქნება...

— მართალი ხართ, — დაემოწმა საამქროს უფროსი, — ეგ ანბანური ტემპარიტება, მეფოლადეს ეგ მუდამ უნდა ახსოვდეს. ერთი თვისება უნდა აშვეენებდეს კიდევ მეფოლადეს, — მისი სიტყვა და საქმე ერთი უნდა იყოს. დარწმუნებული ვარ, ამხანაგო სიამაშელო, თქვენ სიტყვის კაცი ხართ. ამიტომ ზელოსათვის ბრიგადის ხელმძღვანელობას თქვენ გავაუბებ.

ვასოსთვის ეს მოულოდნელი იყო, შეცბა, მერე პირქუშად თავდაბრილ კირიჩენკოს დახედა, მორიდებულად ჩილაპარაკა:

— მე რატომ? აგერ ამხანაგი კირიჩენკო...

— დამაცადით! — შეაჩერა საამქროს უფროსმა, — კირიჩენკოც ჩაუკვირდება. თქვენ კი საქართველოდან იმისთვის როდი ხართ აქ გამოგზავნილი, რომ სხვების მეშობას უცქიროთ, არა, თქვენ თვითონ უნდა შეეზარდოთ საქმეს, ოსტატობის მაღალი კლასი უნდა აითვისოთ!

ლეონიდ ალექსევიჩმა ეს ბრძანების კილოთი სთქვა, მერე იმ ოსტატს მიმართა, რომელსაც ყველაზე მეტად ეხერხებოდა ახალგაზრდებისათვის გამოცდილების გაზიარება:

— ამხანაგო კუზნეცოვო, თქვენ გნიშნავთ შეფად, გაუწიეთ ხელმძღვანელობა ამხანაგ სიამაშელოს!

თათბირი მალე დამთავრდა. გარეთ რომ გამოვიდნენ, გაიოზმა ვასოს ხელი გამოდო, ცალკე გაიყოლია, თითქოს სილღუმლო უნდა გაანდოსო, მერე წარბშერკვით ახედა და მოსაყვედურებით უთხრა:

— მიკვირს, ვასო, შენი ამბავი რატომ ჩაეჩხირე, რომ არ ვიცი შეხედლე, როგორ მოწყენილად მიდის კირიჩენკო... ვინ იცის, რას ფიქრობს. არ ამბობენ, თორემ სხვებიც, ალბათ, მეტიჩრობად სთვლიან, ბრიგადის ხელმძღვანელობა რომ იყოს. რა ჩვენი საქმეა მერე კიდევ, რომ არ გამოგვიდეს, მაშინ რას იზამ, ხომ მოგვეპრა თავი!

ვასომ კირიჩენკოს თვალის გააყოლია. მართლაც ისე მოშებულად, ისე გულჩათხრობილად მიდიოდა ეს მაღალი, ტანადი ჰაბუკი, თითქოს მთელი სხეული გამოუთქმელი ნალველით დამძიმებულია. ვასო თავისი თავით უკმაყოფილო იყო ახრადაც არ მოსვლია, თუ მის გამოსვლას ასეთი შედეგი მოყვებოდა. ერთი თვეა აქ არის და ამხანაგები კარგად არ იცნობენ. იქნებ იფიქრონ, თავის გამომჩენა ალაპარაკებდა და არა საქმის სიყვარულით.

— არა, ძმაო, არა, — ეუბნებოდა გაიოზი, — გაეგებით მახეში. ვაი თუ არამკითხე მოამბესავით მოგვევიდეს. ხუმრობა ხომ არაა, ას ორმოცდაათი ტონა ფოლადია...

ვასო შეჩერდა, გაიოზს მკაცრად დააცქირდა სახეზე.

— რა მოგივიდა, ბიჭო? რამე გავიტეხა გული? მე აგერ ის მაწუხებს, ამ ახალგაცნობილმა ამხანაგებმა სხვანაირად არ იფიქრონ-მეთქი, თორემ...

უცებ სახე გაუნათლა ვასოს, გაიოზს მხარზე ხელი დაადო, მტკიცედ უთხრა:

— დარდი ნუ გაქვს, შევძლებთ! მერე კიდევ, საიდანაა ეს ყალბი გრძობა, ვითომ სხვის საქმეში ვერჩებოდეთ! შენ ხანდახან გჩვევია რაღაც კერძომესაკუთრობრივი თავაზიანობა. თუკი ძალა შეგწევს და რაიმეს შექმნა შეგიძლია, ვისი უნდა გერიღებოდეს? განა, არიშში ხარ, დონბასში, თუ ურალში, ყველგან ჩვენი საქმე არ კეთდება?

გაიოზს იმედი მიეცა, ვასოს ეშმაკურად ახედა, გაუღიმა, მერე წელზე ხელი მოხვია.

— შენ, მგონია, მართლა გვასახელებ, — უთხრა ალერსით და გზა განაგრძეს. — იცი, როგორ გაეხარდება ჩვენს ტარიელს! სწორედ კარგ დროს ჩამოვიდა. აუცილებლად დავისწროთ ფოლადის გამოშვებაზე... თუმცა, ვაი თუ არ გამოგვივდა. დღეს მუცა გავაგებინებთ, ზევისთვის მოვწვივით... ხუმრობა ხომ არაა, ვინ იცის, როგორ წავა საქმე. გულთაზრი უნდა იყო კაცი,

რომ გაგანია ღუმელში რა ხდება, ყველაფერი დაინახო. სულ მცირე რამ რომ ვერ შეამჩნია, მორჩა, ყველაფერი ოხრად ჩაივლის... არა შენი იმედი კი მაქვს, კი. შეც მოგყვიბი, ნუ გეშინია. საქმეს რომ გადაკეთებთ, ამხანაგებს გულსაც მოვიგებთ. კარჩინეყო ჩემზე იყოს, მე მოველაპარაკები. ნახავ აგერ, როგორ დავმეგობრდებით...

ქარხნის გასასვლელთან საბატო დამ მიიბურა მათი ყურადღება. ვასო ისეთი გრძობით მიაცქერდა მიხაილოვის პორტრეტს, თითქოს ამ პირნათელ ქაბუცს ხელთ ეპყრა იმ საიდუმლო კარები გასაღები, რომელიც მას აუცილებლად უნდა გაეღო.

— ჰო, ჰო! — თითქოს ემოწმებო, ისე ჩაილაპარაკა გაიოზმა: — ბიჭი ვარო, მაგას შეუძლია თქვას. ნამდვილი მეფოლაღია. ხუმრობა ხომ არაა, გამობრძმედილ ისტატებს გვერდში ამოუღდა!



კომკავშირელთა საერთო საცხოვრებელი, დიდი, სამსართულიანი სახლი მდლობზე იყო წამოდგმული. იგი ახალი აგებული იყო და შიგ სანიმუშო წესრიგსა და სისუფთავეს იცავდნენ. აქ ჰქონდათ გაიოზსა და ვასოს პატარა, ნათელი ოთახი, ლამაზად გაწყობილი. ფართო ფანჯარას მზე აღგებოდა და ზედ გრძელი ფარდა იყო ჩამოკიდებული. როცა ბინაში დაბრუნდებოდნენ, იგი ყოველთვის დაკრიალებული დახედებოდათ. ლოგინები ლამაზათ იყო ჩაღებულნი, მაგიდაზე წყლით სავსე სურა იდგა, იქვე იწყო რამდენიმე წაგნი და ახალი გაზეთები.

სასადილოში ისაუბრეს. აღარ დაუყოვნებიათ, ბინაში ავიდნენ და გამოსაძინებლად ლოგინში ჩაწვენენ.

ვასომ წიგნი აიღო, ერთხანს იკითხა, მერე იგი მკერდზე დაიდო და თვალი გაუშტერდა.

— იცი, გაიოზ, ჩვენ მართლა დიდ საქმეს შეიგებით, — ფიქრობოდა და დაიწყო ვასომ, — ახლა რომ ვუყვირდები...

გაიოზს გახედა, — მას უკვე ჩაძინებოდა, ხელი თავიკეშ ამოეღო და მშვიდად სუნთქავდა.

ვასოც გადამრჩუნდა, თვალი დახუჭა. მაინც თითქოს რაღაც ნათელმა გაიყოლია მისი შინაგანი ხედვა და...

აგერ ოდის წინ, მოლზე დაბანჯნობს ასია, ისეთი ნახი და ჰაეროვანი...

უცებ კოშკარი იღობა, რუსიკო ბავშვს მიაშურებს, აიტაცებს, მყვარდზე მიიხუტებს...

რა უთხრას ვასომ ახლა რუსიკოს, როგორ გაესაუბროს?.. მაინც უნდა მივიდეს. მაგრამ ელვასავით შეასწროთ თვალი რუსიკომ, ბავშვი უმაღლე ძირს დასვა და არც კი მოუხედა, ისე მიიმალა...

ერთი დღე დარჩა მშინ სოფელში ვასო და რუსიკოს აღარ შეხვედრია, ისე წავიდა არიშში. ახლა აქ არის, ამ შორეულ ქალაქში. დიდი პასუხისმგებლობა იყისა დღეს. არა სცალოა, აყვეს ოცნებას, მიახლოვოს ყველა, ვინც ენატრება. ისევე ჩასწივის თითქოს ყურში ჩანჩქერისებური ჩქრიალი და ვეება ღუმელში ციხლადქეული თუჯის. რკინისა და ფოლადის ნიაღვარს თვალს ვერ ამორჩებს. აი ნელინელ იცულის ფეფერს მზისფერი შენადნობი, სასურველად ვარვარებს; ვასოს კმაყოფილებს გრძობა იპყრობს, თითქოს გრილმა ნივთმა დაუბერა და ციხლოვანი ფერების ნაცვლად საამოდ მოკამკამე ლაქვარდს გააყურებს, მშვიდდება, ღრმა ძილი ეუფლება.

გადახრილი მზის სხივები შეიჭრა ფანჯარაში. ოდნავ გაიოზა ნაცრისფერი ფარდებში; ნაქულ სურაში აღმასისფერი წინწყლები აბრჩყვიალდა.

გაიოზმა თვალი გაახილა, მყისვე წამოხტა. ვასო რომ არ გაეღუძებინა, ფეხბერეფით გავიდა საბანჯანოში, შხაპი მოუშვა, ცივი წყლის ქვეშ მკვირცხლად ამობრავდა. მერე საგარეოდ გამოეწყო. ამ ახალ კოსტუმში, რავე ჩვეულებისამებრ ჩქემა არ ეცემა, ოდნავ დამალი მოჩანდა. ამასთან მთელი მისი დადინჯებული გამომეტყველება, მისი ცისფერი თვალები, საკმაოდ წამოზრდილი, სულ მცირედ შეკრეპილი წაბლისფერი უღვაშები, ყველაფერი ცხადყოფდა, რომ იგი უკვე დათვალმეობულთა ახალგაზრდა კაცი იყო.

ვასოს დახედა, არ გააღვიძა. გაზეთი გადაათვალიერა. მერე ფანჯრიდან ოდნავ დაქანებულ ეზოს თვალი მოავლო.

ხის ძირას, ახალგაზრდა დედა იჯდა და ბავშვს ეალერსებოდა. უწინარეს ყოვლისა, იმათ მიიპყრეს მისი ყურადღება.

იშვიათი იყო ისეთი წამი, რომ მის გულში რაიმეს მიეჩქმალოს შინადას გამოყოლილი სახე ყველაზე ახლობელი ადამიანისა; თავდადებულად მუშაობდა თუ ამხანაგებში ერთობოდა, იცინოდა თუ მღეროდა, — მუდამ ახსოვდა იგი, მუდამ განუშორებელი იყო, როგორც საკუთარი მაჯისცემა, მაგრამ ახლა, დედა-შვილი რომ დაინახა, დღეს თითქოს პირველად მოაგონდა დარეჯანი.

ჯერ კიდევ ორი თვე უნდა გაატაროს აქ, როდის გაივლის ეს დაუღლებელი დრო? სამოც დღეზე მეტია, ხუმრობა ხომ არ არის. მერე როგორ ენატრება გაიოხის დარეჯანი, როგორ სწყურია მისი მზიარული სახის ხილვა, ბუდეშური თვალების მოალერსე ციმციმი. ვახანხულდა თუ არა, ლოყებზე არიშის მცხუნვარე მზე მოეკიდა დარეჯანს, თანაც ოდნავ შესამჩნევი ჭორჭლი ამოჰყარა ეს იმიტომ, რომ ფეხმძიმედლა. ხსიათივც თითქოს შეეცვალა, სრულიად უმნიშვნელო რამესაც კი ღრმად განიცდის. როგორ ცდილობდა, არ შეეშინია წყნილი გაიოხის წამოსვლის დროს, მაგრამ ბოლოს ველარ შესძლო, ცრემლი მოერია.

— არ გრცხვინია, დარეჯან? მხოლოდ სამი თვით მიდღერა და ამისთვის უნდა შეწუხდე? — უსაყვედურა მაშინ გაიოხმა.

— არა, როდი ვწუხვარ. ისე... ენა დაბედა დარეჯანს, სიტყვა ვერ იპოვა თავისი უძირო განცდის გამოსათქმელად. თავზე მოხვია ხელი გაიოხს, მიიზიდა, ლოყა ლოყაზე მიაყრდნო, თითქოს ამით ეწადა იგრობინებინა, რაც იმ წამს მასში ხდებოდა: ამოდიოდა, გულს უჩქროლებდა უცნაურად სანატრელი, სისხლბორცეული, თანაც საესებით უცნობი არსება; ჯერ სრულიად უსახო იყო იგი, უმწეო; ეს იცოდა დარეჯანმა, მაგრამ უფრო მეტად სჯეროდა, ჭეშმარიტად სწამდა, რომ მის მთელ ჭეშმარიტებაში ჰქონდა გადმებული ფესვები, რომ მასთან ერთად ყოველად ძლიერი სიცოცხლე იბადებოდა.

— მიხვდი ახლა? — დიდმნიშვნელოვნად თქვა დარეჯანმა, თავი გადასწია და გაიოხს შეაკვირდა; ტუჩები შეუთრთოლდა, ცრემლებით დასაშულ თვალებში ღიმილი გაიმორთა.

— ვიცი, ვიცი, — უპასუხა გაიოხმა, თუმცა ძალიან ბუნდოვნად წვდებოდა

მომავალი დღის სასოებასა და მრავალსახოვან ზმანებებს.

მერე გაიოხის გაეკაცვებინა ზეღომაში ტანა გულთან დარეჯანმა, დიდად მანუგეშებელი ძლიერება იგრძნო, — სრულიად არ მოჰგონებია, რომ იმ წამს თავის დედას მოხადა: სწორედ ასე მოიქცა მელანო, როცა ქმარს ომში ისტუმრებდა, მისი ნაჯაფი ხელი მკერდზე მიიხუტა და მღელვარე ხმით უთხრა:

— ავრემც შენ იყოცხლე, როგორადაც ჩემი გული თან მოგყვება... შენ იცი, ლეჰო, ბალები არ დაიმობლო...

გული დაუმდულრა მაშინ დარეჯანს დედის მწუხარებამ, სახლის კუთხეს მიეფარა და მწარედ ატირდა.

ახლა რამ ააცრემლა? მალე მოწყვეტებს დათხოვინ. ტერეზი მოაკითხავს, — ერთი სული აქვს, სანამ რაღას შინ წაიყვანდეს, ოჯახს გააცნობდეს. აგვისტოს მიწურულში გაიოხიც დაბრუნდება. შემდეგ მოახლოვდება მშობიარობა...

კვლავ შეუთრთოლდა ტუჩები დარეჯანს, გული აუჩვიოდა, რადგან არაეინ მთელ ქვეყანაზე, არც დედა, არც დედამთლი, ისე ახლობელი, ისე აუცილებელი არ იყო იმჟამად მისთვის, როგორც გაიოხი.

— კარგი ახლა დამშვიდდი! — უთხრა გაიოხმა და ნიკაპზე მოუსვა ხელი, — კეთილ იყავი, იცოდე, რამეს ფეხი არ წამოკრა, არ დაეკე.

არაფერი ისე არ გაახარებდა დარეჯანს, როგორც ეს დარეგება, ეს ყურადღება იმ უსაზღვროების შემცველი მოლოდინისადმი, რომლითაც იგი შეპყრობილი იყო. აღფრთოვანდა, დამშვიდდა...

პოდა, ამ წამს, თანჯრიდან რომ ეზოს დაჰყურებს გაიოხი, ასე ჰგონია, თვალნათლივ ხედავს მომზიბლავი ღიმილით სახეგანათებულ დარეჯანს, ხედავს და სიმღერის გუნებაზე ღვება, თითქოს შორეულს ხმა უნდა გააგონოსო.

თავი ასწია. გასოს ისევე ეძინა. ოთხი ევიწროვა, დერეფანში გავიდა. აქაც სიწყნარე დახვდა. ყველა ბინის კარი დახურული იყო, არაეინ ჩანდა. წითელი კუთხისაკენ გაემართა. ეს ფართო დარბაზი დერეფნიდან ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით იყო. ამიტომ ახლა მზე შიგ ალარ იხილდებოდა. მაინც ძალიან ნათელი იყო იგი. გრძელ მაგიდაზე გახეთები ეწყო, მახლობლად — ქადრა-

კი; კედლებზე — ბელადების სპორტრეტები, დიაგრამები, პლაკატები.

აქაც არ ესიამოვნა გაიოზს მარტოობა, ერთი ვინმე ესაბა, გასაუბრებოდა. ღია ფანჯარასთან შეჩერდა. თვალწინ გადაეშალა ქალაქის ერთი მხარე და მუშათა უბანი თავისი თითო-სახლეობით. მხარმარჯვნივ მდინარის პირად, ქარხნის ნაწილი ისე მუქად მოჩანდა, თითქოს სქლად დაგრაგნილი კვამლის ჩრდილი გადაჰფენიყო.

დერეფანში კარი გაჭრაილდა. გაიოზმა ირიბად გახედა. ჩასასვლელ კიბესთან შეჩერდა პირდაპანილი, სუფთად გამოწყობილი ვიქტორ კირიჩენკო. ქედლი არ ეხურა, რბილი თმის კულუნი შუბლის ერთ მხარეს წარბამდის ჩამოშლოდა. აშკარად ემჩნეოდა, რომ რაღაც ნაღველნარევი ფიქრით იყო შეპყრობილი.

ანაზღად განაპირა ოთახის კარი გაიღო, ერთი ცქრიალა ქალიშვილი მოხდენილი სიცილით გარედ გამოიჭრა, მეორე დაეწია, ხელი მოხვია და ხმაშლლა უთხრა:

— კმარა, ელეგი, ნუ ცელები!

ელეგიმ სიცილი ძლივს შეიკავა და მეგობარს, რომელიც მასზე ოდნავ ძალი იყო, მხარზე ისე დააყრდნო თავისი პატარა ლამაზი ხელი, თითქოს საცეკვაოდ უნდა გაიყოლიოსო. მერე უცებ ჩასასვლელთან გაეშეზღულ კირიჩენკოს თვალი შეასწრო, შუბლი შეიკრა, დადინჯდა, თავი დახარა და აუჩქარებლად შებრუნდა ოთახში.

გაიოზი კირიჩენკოს დააკვირდა: რაღაც იაზრა. მიუახლოვდა და შინაურულად უთხრა:

— გამარჯობა, ვიქტორ! ასე რამ დაგალონა?

კირიჩენკო შეკრთა, გაიოზს მიხედა და მოგარძო სახე აელანძა, შუბლი შეიკრა. ხალვლიანი თვალი აარიდა, არ უპასუხა.

გაიოზის ადგილას სხვა რომ ყოფილიყო, საუბრის გაგრძელებას უხერხულად მიიხედავდა, განწორდებოდა, იტყუოდა: რაკი არა მკადრულობდა, თავი რად დავემციროო. მაგრამ გაიოზი ვიქტორის პირქუსმა გამომეტყველებამ ვერ დააბნია, უფრო მეტად მოესურვა გაეგო, მართალი იყო თუ არა ის, რაც გაიფიქრა.

— რა მოგივიდა, მეგობარო? ვინმემ ხომ არ გაწყენია? — კვლავ შეეკითხა და ხელი ოდნავ შეახო მკლავზე.

— ვინ გეკითხება? მომწყდო თავიდან! — მკაცრად უპასუხა ვიქტორმა, ვანზე მიიწია.

— გული რად მოგდის, ვიქტორ? მართალია, დიდი ხანი არაა, რაც ერთმანეთს ვიცნობთ, მაგრამ მაინც ხომ ამხანაგები ვართ... მე ერთ ამბავს მოგვარე ყური და მგონია მართალი უნდა იყოს...

კირიჩენკო თითქოს ახლა გამოერკვა. გაიოზს ცნობისმოყვარეობით შეავლო თვალი, გულისგადასაყოლებლად ჰკითხა:

— რა ამბავიაო?

— ეს შენ გეხება, ვიქტორ! იქნება გგონია, საიდუმლოა, მაგრამ ეს ისეთი რამაა, რომ მისი დამალვა ადვილი არაა.

— რას ლაპარაკობ? რა საიდუმლოა?

— აი, რა...

გაიოზი კირიჩენკოსაკენ მიიწია, მეგობრულს ღიმილით შეაცქერდა, მესაიდუმლოსავით განაგრძო:

— ამბობენ, ვიქტორს ელენე უყვარსო...

— სტყუოი ხომ არ გაგიუღი! — აენტო კირიჩენკო.

— სიმაართეს გეუბნები!

— სტყუო-მეთქი! — აუწია ხმას ვიქტორმა. — საიდან სადაო? ვის უნდა ეთქვა?

— ნუ ჯავრობ, ძმობილო! — ბრმა კი არ არიან, სხვასაც აქვს თვალი და ყური.

— ეს კიდევ თავისას არ იშლის! ვინ შესწინავედა, მე ხომ არაეისთვის მითქვამს?

— ჰოდა, საქმეც ეგ არის: შენ არაეისთვის გაემხელია და გგონია ისე ვერაეინ მიხედებოდა. იციან, ძმარ, იციან. ამბობენ, ელენეც არ არისო გულგრილი, მხოლოდ...

— შენ რა, ხომ არ დამცინი? — წამოიძახა კირიჩენკომ, გაიოზს ორივე ხელი მკლავებზე მაგრა ჩაავლო და თვლებში ჩააქვირდა.

გაიოზი ახლა სავსებით დარწმუნდა, რომ ალლომ არ მოატყუა, სწორად იგულებდა. ამიტომ უფრო გაბედულად უთხრა:

— როგორ თუ დაგცინი? რა საკადრისია განა არ ვიცი, თუ რა მოკრძალებათა საქირო ასეთ საქმეში? ვიცი, ძმარ, ვიცი, მე აგერ გულობა მიკარნახა და იმტომ გამოგელაპარაკე... წამო, სასადილოში ჩაიდიეთ, თითო ჰქია ლუდი დაგლოთ, მერე ვისაუბროთ.

გაოგნებული კირიჩენკო გაიოზს სავესებით მიეხლო, სასაღილოში გაჰყვა. თავში მხოლოდ ერთი კითხვა უტრიალდება: „საოცარია, მე არავისთვის მი-თქვამს, ამან საიდან გაიგო?!“

გაიოზმა ჯერ თითო ჭიქა არაყი და-ასხმევინა. იქვე, დახლთან დადგეს. მე-რე კუთხეში, განცალკევებულად, მრგვალ მაგიდასთან დასხდნენ და ლუ-ლი შოატანინეს.

კირიჩენკო გაიოზს შეაკვიერდა, ისეთი გრძნობა აღეძრა, თითქოს ძასთან კარგა ხანია უგულუთადღეს მიეგობრობა აკავ-შირებდეს.

გაიოზმა ვიქტორის განწყობილება მის სათნო თვალბში ამოიკითხა, ძმუ-რად უთხრა:

— თქვი, ვიქტორ. გისმენ.

— იცო, გაიოზ, მეგობარო ჩემო, — მღელვარე ხმით დაიწყო კირიჩენკომ: — ისე ვერაპარაკები, როგორც ღვიძლ ნა-თესავს, ძალიან ახლობელს. არ ვიცი, რითი მიმიზიდე ასე... იქნება ობლად რომ აღვიზარდე, იმან დამჩაგრა და ამი-ტომ თუ დამჩემდა გულდახურულობა. აგერ რამდენიმე დღეა მსულს გავანდო ვერმეხ ჩემი სულიერი მდგომარეობა, მაგრამ ვერ მომიხერხებია. ახლა შენ გამოაცე, ჩემს გულში ჩამოიხედე, შენ უნდა ვიამბო...

სასაღილოს დარბაზში თვალი მიმოა-ტარა ვიქტორმა, ისე ბუნდოვანად იმ-ზირებოდა, რომ არც განაბირა მაგიდას-თან მსხდარ მეტალურგებისათვის მოუქ-ცევია ყურადღება, არც თეთრხალათი-ანი ქალისათვის.

— ცამეტ წლის ვიყავი, როცა ომი დაიწყო, — განაგრძო მერე. — მეხუთე კლასი დავამთარე. მამა ადრე მომიკე-და. დედა და ჩემზე ექვსი წლით უფრო-სი დაი კოლმეჟორხობაში მუშაობდნენ. ძალზე მოხუცი ბაბუა მყავდა კიდევ. მთავარი ომის ტალღამ. დედა, ჩემი დეი დაი და მე ლტოლვილებს გავყვეით, ბაბუა შინ დარჩა, სადღა უნდა ვიარო, აქ იქ-ნება რაიმე გადაჯარჩინოო. საშინელი დღეები იყო, ციციხლი კვალდაკვალ მო-გუსდევდა; არ ვიცი, როგორ მოვიგვდიო ზღვაში პატარა გემზე. ნაპირს რომ მი-ვუახლოვდით, მაშინ დაგვაყარეს ყუმ-ბარები ფაშისტებმა. გემი ნაფოტებად იქცა... ჩვენი სოფელი მდინარის პირად იყო. პატარაობიდანვე შევეჩვიე წყალს, კარგი ცურვა ვიცი. ჰოდა, არ მახსოვს, როგორ მივადწიე ნაპირს. სული მოვით-ქვი. ზაფხული იყო, მზიანი დღე. დავუ-

წყე ძებნა დედასა და დას... მათი გვაძე-ბრც ვერ ვიპოვნე... მახსოვს, ზღვის პი-რად ვიჯექი მარტოდმარტო ცენტრალ-იმდნხალ გავწამდი, მეგობრა; მთელ ქვეყ-ნიერებას, მქუხარე ზღვასავით ბობო-ქარს, ჩემთან უკვე არავითარი კავშირი არა ჰქონდა, უსასოოდ განაპირებული ვიყავი... კეთილმა ადამიანებმა მიპოვ-ნეს და წამიყვანეს. შემდეგ სად არ მოვ-ხვდი, ნოვოსიბირსკში, ჩელიაბინსკში, ურალში. როცა ჩვენმა არმიამ უკრაინა გაათავისუფლა, ვიღარ მოვითმინე, წა-მოვთვი, იქნება ბაბუაჩემი მიიწვევ დარჩა-მეთქი ცოცხალი... სადღა ვიპოვნედი ნა-სოფლარზე. სახლთან პატარა ბაღი გექონდა, ხეებიც დახლეჩილი, დასახი-ჩრებული დამხვდა... მერე აქ მომაწყვეს საქარხნო სკოლაში... რაზე მოგიყევი ეს? იქნება-მითქვი, ვიჯექობ, ასეთ პი-რობებში რომ აღვიზარდე, იმიტომ ვა-ვეები უცხო ჩიტივით მახეში. ცოლის მერთვას თუ ვიფიქრებდი, ქალიშვი-ლების მეტი რა არის. არც ისეთი მორც-ხეი და გამოუცდელი ვარ, არც მახინჯი, არც ხეიბარი. ჰოდა, გაიოზ, მეგობარო ჩემო, არ ვიცი, რა მომიბოდა, ჩემს თავს აღარ ვეკუთვნი. მართალი თქვა დღეს სიამაშვილმა, მუშაობის დროს სხვაზე ფიქრობსო. არ მინდა ავეყვი გრძნობას, მაგრამ ეს რამდენიმე დღეა, პირდაპირ შეგარბობილი ვარ. მე მგონია, ასეთი რა-მე არავის გამოუცდია. გულში ჩამიჯ-და, ტვინში, მთელ არსებაში...

კუშტად გახედა ვიქტორმა სივრცეს, ქოჩორში ჩაივლო ხელი, ტუჩები მოი-კვნიტა.

— მაინც როგორ დაიწყო ეს ამბავი, როდის გაიცანი ელენე? — თანაგრძნო-ბით ჰკითხა გაიოზმა.

— მართლა, მე ხომ მთავარი არ მით-ქვამს! — წამოიძახა ვიქტორმა. — საქ-მეც სწორედ ისაა, რომ წინასწარ ვიცი, არაფერი არ გამოვა. შენც ხომ იცი, ელენე, ელენე და მისი ამხანაგი ლიუდ-მილა, სტუდენტები არიან, პრაქტიკან-ტები. აქ ერთი თვის წინათ ჩამოვიდნენ. პირველად ყურადღება არ მიმიქცევია. არც მეცალა, ჩვენმა ბრიგადამ ახალი ვალდებულება იყარა, მიხაილოვი ციციხლს გვიკიდებდა, ძველ ოსტატებს ვეჯიბრებოდით... ერთხელ, ამ ერთი კვირის წინათ, — მაშინაც დამის ცკლა-ში ვმუშაობდით, — გამოვიძინე, ხელ-პირი დავიბნენ, გამოვეწყვე და ეზოში დაესკიერიობ. რაოაც კარგ გუნებაზე ვარ, ისეთ გუნებაზე, როცა გგონია,

ყველაფერი ავისრულდება, რაც გინატრია. ამ დროს ზეითი ავიხედე, მოაჯირზე გაღმომდგარი ელენე დაეინახე. თვალები გამიშტერდა. ხეტავი იცოდე, გაიოზ, მეგობარო ჩემო, რა იყო ეს წამი ტანში ხეტარების ერთოლამ დამიარა, ირგვლივაც განათდა ყველაფერი. შეეყურებ ელენეს, მის სხივმფინარ სახეს, ყუხალურად ახლობელს, და მგონია, რომ ზღვაში საშინლად დაღუპული დედაც გამიცოცხლდა, ჩემი საწყალი დედაც, ბაბუნაჩემიც. თანაც თითქოს გავვორდი და ჩემ თვისაც ვხედავ, ზღვისპირად რომ ვიჯექი მარტოდ მარტოდ და ვტრიალდი, ვხედავ და მივიყრის, ამ სიმალღეზე როგორ ავალწიე, როგორ მოვიბოვე ეს ბედნიერება.. შენ გგონია, ელენესთან ავედი და ჩემი გულისნაღები გავეუზიარე? არა, ელენე რომ ოთახში შებრუნდა, მე ზღვისაქენ ვავეშურე, დიდხანს მიმოვდიოდი განმარტოებულად და მთელ ქვეყნიერებას ჩემი იტაცების მონაწილე ვხდიდი... შემდეგ... ეპ, გაიოზ, მეგობარო ჩემო, რა საბაგლად ვაგები მახელსო.. რამდენჯერ შევხვდი ელენეს, ყოველთვის ენა დამება. ვფიქრობ, შემამჩნია. მორიდებულად დამიწყო მხერა. უთუოდ დააკვირდებოდი, თამამი, მხიარული ქალიშვილია, ის რომ გაიცილებს, გეგონება, ტორილა მზის ამოსვლას ეგებებაო. მაგრამ დამინახავს თუ არა, თითქოს საშიში არსება ვიყო. ფერი ეცვლება, სახეს ამარიდებს. წელან ხომ შეხედე, როგორ გამოიქრა გარეთ, როგორ იცინოდა, მომიკრა თვალი და უშალე დადინჯდა, ოთახში შებრუნდა. მივიყრის, ვერ გამიგია, რითი შეეკრთე? მე ხომ ჯერ არაფერი მითქვამს. იქნება მისმა მეგობარმა, ლიუდმილამ აიღო ეჭვი და დაარიაგა, იმ ბიჭს მოერიდო. ერთხელ გამოვიკითხე მას დაწერილობით ელენეს ვინაობა. ალბათ, საუბარში შემამჩნია, — მკიდრის ფერი დამედო, როცა გაეიგე — ცნობილი ინჟინრის, ძალიან დიდი კაცის ქალიშვილიაო, მაშინ გადავწყვეტე, სად მე და სად ელენე-მეთქი. არაფერი მე არ გამაჩნია, არც საყუთარი ბინა, არც ავეჯი...

გაიოზმა მხარზე დაადო ხელი ვიქტორს, ეშმაკური ღიმილით შეეკითხა:

— მარტო ეგ გიშლის ხელს, მეტი არაფერი?

კირიჩენკოს გაიოზის კილო არ მოეწონა, შუბლი შეეკრა, ცივად უთხრა:

— ვითომ რა, განა ეგ საკმომ არ არის?

— სრულიადაც არა! — მტკიცედ შეესიტყვა გაიოზი: — რა შუამია ბინა და ქონება! საიდან გამოგვყვა ეგ ძველი შეხედულება? ჩვენს დროში ვაჟის თუ ქალის თვალში ქონება კი არ ფასობს, თითონ ადამიანი ფასობს, მისი ნიჭი, შრომის უნარი! მეფოლადე არა ხარ? ყველაფერი გვექნება, ყველაფერს მიაღწევ. ამ საქმეში კი... იცი, რა, ვიქტორ, ძმობილო, სიყვარული დიდი ძალაა, ოღონდ მას გამოყენება უნდა. თუ ხბოლოდ შენს გულს აქცევ უძირო მორევად და შიგ იცურავენ, არაფერი არ გამოვა. ვინც გიყვარს, იმის გულს უნდა დაუახლოვდე, იქ უნდა იპოვნო ადგილი. აბა, ჩაუყვირო: რაც მე მომიყვები, ის რომ უამბო ელენეს, განსაკუთრებით ის მომინტი, როცა ზღვის პირად დარჩი მარტოდმარტო, ან არა და, როცა განადგურებულ სოფელში დაბრუნდი და ნასახლარზე დახლეჩილი ხეების მეტი არაფერი დაგხვდა, ამასთან კიდევ ისიც, ელენემ რომ შენს სულში შემოიხედა და თითქოს ყველანი გაგიცოცხლდნენ, მერე ზღვის პირს მიაშურე და შენს სიხარულს აეღ ევეყანას უზიარებდი, — ეს ყველაფერი, ჩემო ვიქტორ, ქალის გულს კი არა, ქვეს გაადნობს.

ეს ისეთი რწმენით უთხრა გაიოზმა, რომ ვიქტორს თანდათან სახე გაუნათდა, თავი დასწია და მეგობარს ირიბად ახედა.

— იცი, გაიოზ, შენ მგონი მართალს მეუბნები.

— მაშ, აბა, რა გეგონა? რა შენი შესაფერია შორით ბნედა მეფოლადე ხარ, ცეცხლს უნდა იმორჩილებდე!

— ეგ სწორია, მხოლოდ სად რკინა და თუჯი, სად...

— ქალის გულიო, გინდა თქვა... იცი, რას გეტყვი? სიყვარულით წართობილ გულზე უმტკიცესი ამ ქვეყნად ადამიანისათვის არაფერი არ არის. ყველაფერს შესძლებს.

— ენახოთ, — ჩილაპარაკა ვიქტორმა და წამოდგა.

ესაო კარგა ხნის ამდგარი დახვდა გაიოზს. წიგნს კითხულობდა.

— შენ, ძმომ, ნამდვილი გულთმისანი ყოფილხარ! — შესვლისთანავე მიმართა გაიოზმა.

— რაში მატყობ? —

— რაში და, დღეს თათბირზე რომ თქვი, კირიჩენკო მუშაობის დროს სხვა

რამეზე ფიქრობსო, მართალი აღმოჩნდა: უიმედოდ შეყვარებული ყოფილა.

— რას ამბობ — წამოიძახა ვასომ, თავი ასწია და გაიოხს მიაშტერდა. აღარ გამოკითხა, ისე ჩაილაპარაკა თავისთვის:

— საწყალი ბიჭი! ახლა უნდა იმას ხელის შეწყობა.

III. პირადი ბრძოლა

უკვე ღამე იყო, როცა ვასო და გაიოხი ბნინდან გავიდნენ. ფერდობებზე რომ დაეშენენ, ქარხანა ისე გამოჩნდა, თითქოს იგი ტყვიისფერი ნისლიში შეიკურებულყოფიყ; აქა-იქ კრთოდნენ ნათურები; ხალხან იფეთქებდა ელვისფერი ალი, ბრძმედებსა და მარტენის კვამლსადენებს გაანათებდა, მერე ნელინელ ხუჭავდა თვალს შემკრთალი ღამე.

მღუმარედ მიდიოდნენ, თითქოს სათქმელი აღარაფერი დარჩენიათო. ბეგრჯერ გაითვალისწინეს, თუ როგორ შეუდგებოდნენ საქმეს, რას მიაქცივდნენ მთავარ ყურადღებას, მაგრამ ახლა, რამდენადაც უახლოვდებოდნენ ქარხანას, მით უფრო მეტ პასუხისმგებლობას გრძობდნენ.

ალაყაფის კარებთან შემოესმათ ის გაბმული გუგუნე, რომელიც ღამით სჩვევიათ ბრძმედებს, მარტენსა და ბლუმიანს. დღისით ხმაური უფრო მეკეთრიან და მეტნაკლები; ხან მახქანები იმმოაქრიან, ხან ორთქლმავლები ჰკვიან, ხან აირი იშხივლებს, უამრავი ხმა ერთიმეორეში ირევა. ახლა კი, აი ავიდნენ ზეგანზე, მიუახლოვდნენ ქარხნის სამმართველოს, და ირგვლივ თითქოს სიწყნარეა, რადგან ამ ვეიბერთელა მენობაში თითოთორლა მორიგის მეტი არაიანა; სამაგიეროდ მთავარ სამაქროებში დაუცხრომლად გრძმედება ერთხელეე აღებული ტეპი, — ბრძმედები განუწყვეტლივ ნთქავენ რკინის მადანს, მარტენის ღუმელები აღნობენ ფოლადს, ხიდურ ამწეებს მიმოაქვთ ლითონის მოვარვარე ზოდები, ხოლო თვალუწვდენელ საგლინაე სამაქროში, სადაც შრომა იმდენად მექანოზებულა, რომ აღამიანს აქა-იქ ღაზგებზე თუ მოჰკრავ თვალს, — ერთიმეორის მიყოლებით მიმოსრიალობენ ჯერ მზისფერი, შემდეგ ლაბრი, ბოლოს ფოლადისფერი რელსები და გამჭოლი კოჭები; თოცენტრალიც შეუჩერებლად მუშა-

ობს, როგორც გულისძგერა ცაცთა მიერ შექმნილი ურთულესი ორგანიზმისა...

ჯერ კიდევ სტალინგრადში მუშაობისას დასიხედა ვასოს: ძლიერდებოდა, მხნევდებოდა, როცა ქარხნის ორმატრიალში გაეხვევოდა, თავს დამცირებულად კი არ გრძობდა, მალდებოდა, სიამით იმსკვალებოდა, რადგან არა მარტო შეიცნო, არამედ შეისისხლხორცა, რომ ეს უამრავი მანქანები, მთელი ეს ვივანტი აღამიანებმა შექმნეს, წინ მიმავალმა აღამიანებმა, ხოლო თვითონ მათი გზის გამგრძელებელი, მათი თანამგზავრი იყო. ვიდრე მასში ეს გრძობა განმტკიცდებოდა, უნებლიეთ აკრთობდა ხოლმე შეუჩვეველი გრაგანი, ცდუნედილი ეანვისფერი კორპუსები, გულცივი შექანიშმები.

ამ მხრივ გაიოხი განირჩეოდა მისგან: წინათაც და ახლაც ქარხანაში მუშობას აუცილებელ მოვალეობად სთვლიდა, ისე კი თავს ლალად მამინ გრძობდა, როცა სუფთად გამოეწყობოდა და ტროამხანაგებში გაივლიდა. ცოლი რომ შეირთო, მერე სულ იმას ნატრობდა, — არიშში ახალ კოტეჯში გადასულიყო და ეზოში ბაღ-ბოსტანი გაეშენებინა.

სამაქროში რომ ავიდნენ, იქ თითქმის ყველაფერი ისე დახვდათ, როგორც დასტოვეს: ჩვეულებრივად გუგუნებდა ცეცხლი ღუმელებში, შიშინობდა აირი, ჩერიალებდა მაგრილებული მიღებიდან მომდინარე წყალი, ჰახაზით მოძრაობდა ჩამტვირთვი მანქანა, გრძელი ხორთუმი თუ მექქონდა ღუმელის აღმოდებულ კარში კახმით საეე როფი.

ექვს ღუმელში იხარშებოდა ფოლადი. ორი ჩამტვირთვაი მანქანა მუშაობდა, ორთქლმავალი საეე როფებიანი ეავრეტები შემოჰყავდა, მაგრამ მეტად მაღალ თაღქვეშ მიანიღ დიდი ხალვათობა იყო, ჰავრიც სუფთა ტრიალებდა.

ვასო დაფასთან მივიდა, ცხრილში, უწინარეს ყოვლისა, თავისი ღუმელის აღრიცხვას დააკირდა. პირველ ცვლას ფოლადი დროზე გამოეშვა, მეორეს სულ მცირე ხნით ადრე, ახლა ჩატვირთვა მიმდინარეობდა.

საკონტროლო-სააღრიცხვი აპარატურის წინ იღვა უფროსი ოსტატი ფეოლორ კუნხეცოვი, სამაქროს პარტბიუროს მდივანი. ისიც ახალი მოსული იყო. ვასოს თვალი მოჰკრა ხელი დაუქნია.

— კარგი ჰქენი. ამხანაგო სიამაშვილო, რომ ადრე მოხვედი. აქედანვე მი-

ვაქციოთ ყურადღება, რომ კაზმის ჩატვირთვაში დრო მოვიგოთ. მერე არ გამოგვეპაროს საჭირო მომენტი, რომ მაგნიტური ნარეგებთან ბრძოლა წარმატებით ვაწარმოოთ...

ისე ელპარაკებოდა ეს ხანდაზმული ოსტატი, თითქოს თავის ტოლს ეთათბირებო, თანაც მეფოლადისებურად წრთობილ, ოფლანაუნ, გამოშვრალ სახეზე მეგობრული მზრუნველობა აღბეჭდიდა. ორმოცდაათი წლის კაცი იყო, პილარა თითქმის სრულიად არ გარეოდა. სიმართლითა და ტანადობით ვასოს ჰგავდა, მიმოხვრამიაც ჰბატუკური ძაღლონე ემჩნეოდა.

— ფეოდორ ივანოვიჩი, — მიმართა ვასოს ბოლოს, — ერთი რამ მინდოდა შეთქვა თქვენთვის.

— რა? — დაინტერესდა კუზნეცოვი, ვასოს სახეზე მიაქცერდა, რომ გაეგო — რაიმე ხომ არ აწუხებსო, ან ხომ არ ჰკომანდოსო.

— ჩვენს ვიქტორს, კირიჩენკოს, თქვენ უნდა მიაქციოთ ყურადღება, გული არ გაუფუჭდეს, არ დაიჩაგროს.

— რითი? იმით ხომ არა, საქმეში რომ უნარი ვერ გამოიჩინა და დროებით ჩამოაყენეს?

— იცით რა, ფეოდორ ივანოვიჩი, აქ სხვა გარემოებაა... ვიქტორის გონება-გაფანტულობა მისი პირადი ვატაცებით ყოფილა გამოწვეული... მოგეხსენებათ, ახალგაზრდა ვაცია...

— ჰმ, ვამ, ასეა! — ჩაილაპარაკა კუზნეცოვი, ამ დროს თითქოს მანიშნებელი ხმა მოესმაო, მეზუთე ლუმენისკენ გაიხედა, სახეზე სასწრაფო საზრუნავი აღებუდა, მაინც თავი შეიკავა, ვასოს იმავე შეცვლილი გამომეტყველებით შეხედა და მტკიცედ უთხრა: — ვასაგებია. მხოლოდ აი რა: შენც ახალგაზრდა მეფოლადე ხარ, კომკავშირელი. არასოდეს პირადმა გრძნობამ საერთო საქმეში ხელი არ უნდა შეგიშალოს. გაიგე? ჰოდა, ვასწი ახლა, საქმეს მიხედვ. ვნახოთ, როგორ გიქრის თვალა.

ვასოს რამდენიმე ნაბიჯი გაიარა, უცებ თავისდაუნებლიედ შედგა და სწრაფად მიმავალ კუზნეცოვს მიაშტერდა. სულ რაღაც ნახევარი წამის განმავლობაში გადაფრინდა სტალინგრადში, ნატაშას სამარეს დახედა, გაფითრებულ ანდრეი კუზმინას და მწუხარებით გულჩათუთქულ პელაგია დიმიტრენას თვალი ვერ გაუსწორა, თანაც იქვე თავისი

თავი დაინახა, სავსებით გამოფიტული რომ იყო და ვერ წარმოედგინა, თუ ნატაშას საყვარელ სახეს ვერასოდეს ველარ იხილავდა... „ჰო, მარაალია, — თქვა გულბაში ვასოს, — არასოდეს პირადმა ვანცდამ ისე არ უნდა დაგაუძღუროს, რომ საერთო მადლობზე ასვლა ვერ შესძლო, თორემ კაცად არ იყარებო“.

ცელა უკვე იწყებდა მუშაობას, როცა კირიჩენკო საამქროს ფართო კარიბში გამოჩნდა. მეფოლადეებს, ძველ ოსტატებს და ახალგაზრდებსაც, თვალი მოაჩინა, კომკავშირელთა ლუმენისკენ გაემართა. უხეში სამუშაო სამოსი ეცვა, ნაცრისფერი, მაინც ტანადი მოჩანდა, სახე კი მოღუშული ჰქონდა, ფერგამკრთალი.

გაიოზი მიიგება. წიღზე ხელი მოხვია.

— კარგ დროს მოხვედი, ვიქტორ, მუშაობას ვიწყებთ. ერთი შენებურად დატრიანდი, თუ ძმა ხარ, არ შევრცხვით.

კირიჩენკოს ხმა არ ამოუღია, ვასოსთან მივიდა, ისე წარუდგა, თითქოს მისგან განკარგულებას მოეღოსო.

ვასო უკვე ჩამბმული იყო ფერხულში, კაზმის ჩატვირთვა მალე უნდა დაემთავრებინა. ლუმენის კარის აწევა და ჩამტვირთვა მანქანის მიერ სასეკ როფის შიგ შეტანა ერთი უნდა ყოფილიყო. მანქანის ძვლიდზე შედგებოდა ხოლმე, მარცხენა ხელს ასწევდა და თითებით ანიშნებდა, ესა და ეს კარი გახსენითო. კირიჩენკო ბრეველად არ შეუნიშნავს, ძვირე უცებ მოხვდა თვალში, თავი ისე დაუქნია, როგორც საქმეში გართულ კაცს სჩვევია. წამსვე მოაგონდა, მათი როლები რომ შეცვლილი იყო, უხერხულოდ დასაძლევად მეგობრული კოლოთი უთხრა:

— ვიქტორ, გეთაყვა, წევის რეგულირებას მიხედე!

კირიჩენკო ისეთი მორჩილებით გაემართა განკარგულების შესასრულებლად, როგორცდაც ხელშეკვეთად მუშაობის დროს სჩვევია. თანაც აშკარად ემჩნეოდა, რომ ჯერ თვითონ, დამოუკიდებლად, ლუმენში მიმდინარე პროცესისათვის არ აზრავნობდა, ავტომატურად მოქმედებდა.

ვასო ცალაგ საქმეში გაიტაცა და ამხანაგის განწყობილებისათვის ყურადღება არ მიუქცევია, მხოლოდ გაიოზმა გააყოლა თვალი ვიქტორს და შუბლი შეიკრა, გულში სიბრაულმა გააკრა ბრძქალი, ნათლად წამოუდგა ზღვის პი-

რად მარტომარტო დარჩენილი, დედი-სა და დის დამკარგავი უპატრონო ბიჭი... მისვე თავი ვაიქნია, საქმეს მიაშურა. სპეცტანისამოსში, მეტადრე მაღალ ამხანაგებს შორის, ტანმორჩილი მოსჩანდა ვაიოზი. კეპის წინაფრაზე მიმაგრებული ლურჯი სათვალე კი ძალიან უხდებოდა. უფრო აჩენდა მისი ცისფერი თვალების სხივოსნობასა და ლუმელთან ახლოს ტრიალის ეკმს წამოხეთბულ დამწვების დაეღაცეს.

კახშის ჩატვირთვა ოციოდე წუთით ადრე დამთავრდა. ამაში მთავარი დამსახურება მექანქანეს მიუძღოდა, რადგან იგი თავისი საქმის შესანიშნავი ოსტატი იყო; მას ისე ემორჩილებოდა ეს საოცრად რთული მექანქანე, როგორც სპილოს თავისი ზორთფი. ჩემი მანქანაო, იტყოდა ხოლმე იგი, ლაპარაკს ვერ ახერხებს, თორემ ისე ნამდვილი სულიერი არსებაო.

ვასოლ სამუშაო მედღანი სწრაფად გასაფთავებინა. თვითონაც წამოკრა ხელი ნიჩაბს და საკანმაგი მასაღების — ქვაკირის, რკინის მდნის, მაგნეზიტის გროვები შეასწორა. მერე ლურჯი სათვალე ჩამოსწია და ლუმელის ყველა კარში შეიხედა; თანდათან დაეუფლა სიამაყის მომნიჭებელი რწმენა, რომ ცეცხლგამძლე კედლებშორის საშინელის ძალით მოგუგუნე, გრიგალივით მიმოგრაგნილი ალი საკვებით მას ემორჩილებოდა, შეეძლო პროცესი ისე წარემართა, როგორც მოისურვებდა. ამჩატდა, თავის სხეულს ვერა გრძნობდა, ხან ლუმელის ერთ კუთხეში გაჩნდებოდა, ხან მეორე თავში, წევას ათანაზომიერებდა, საჭირო ტემპერატურას იცავდა, მკლავს სახეზე მიიფარებდა, კარს მიუახლოვდებოდა და გამდნარი ლითონის ფერის-ცვლას აკვირდებოდა. ოფლის მოსაწმენდად არ ეცალა, არც აწუნებდა იგი, არც სხვა რაიმე ახსოვდა იმეამად, მარტოდენ ლუმელში მიმდინარე პროცესით იყო შეპყრობილი. სადაც, მისი ყოფიერების რომელიც კუნძულში თითქოს სრულიად დამოუკიდებლად სცოვლობდნენ ასინეთი და ვახტანგი, ნაჩაშა და ასია, ანდრეი კუნძუნი და... ამ ბოლოს გამოკრთებოდა ხოლმე რუსიკოს მოწყენილი სახე, გამოკრთებოდა და ვასო შუბლს შეიკრავდა, თითქოს არ სურსთ აპყვიეს ამ მტკივნეულ გრძნობას.

მდენად გატაცებული იყო, რომ თითქმის ვერ ამჩნევდა, თუ როგორ ადევ-

ნებდა მას თვალყურს ფეოდორ ივანჩი, როგორ მიდიოდა მასთან და რჩევას ისე აძლევდა, თითქოს ნამოკმედლარს უწონებოდა.

— აგრე, აგრე, — გულისხმიერად ეტყოდა ხოლმე ოსტატი, — ახლა ხომ არ აჯობებს ფოსფორისა და ვოგირდის შესამცირებლად კირი შევყაროთ? ვაიოზმა და ვიქტორმა ნიჩბებს დააველეს ხელი. კარი აიწია. სწრაფად უახლოვდებოდნენ ლუმელს საცე ნიჩბებით და მოხდენილად ისროდნენ შიგ მოთეთრო ნაშხვრევეს. ვასოშაც აილო ნიჩაბი, ოსტატმა კმაყოფილებით აადიგუნა თვლი მისი გრძელი მკლავების რიტმულ მოძრაობას.

ამ დროს, სრულიად მოულოდნელად, საკონტროლო-სააღმრიცხვეო აპარატურასთან საიდანლაც ვაჩნდა საამქროს უფროსი. თავზე ფართო კეპი ეხურა, შეთხლებული თმა არ უჩანდა, ახალგაზრდული იერი შეენოდა. ვანთიადი ჯერ შორს იყო, ქარხნიდან გვიან წასული ლეონიდ ალექსევევიჩი კი ისე ცოცხლად გამოიყურებოდა, თითქოს სავეებით გამოძინებული ყოფილიყო. „სიამაშელოს მუშაობის ვასაცნობად მოვიდა“, — გაიფიქრა კუნწეცოვმა და უფროსს მიუახლოვდა.

ლეონიდ ალექსევევიჩი სწრაფად შებრუნდა, თვალთ ვასოზე ანიშნა.

— რას შერება? როგორ მთელის საქმე?

— კარგად. ცოტათი ზედმეტად დამბულია, მაგრამ ეს მისთვის ბუნებრივია, ბევრ ახალგაზრდას პირველად ასე ემართება.

— სწორია. ტემპერამენტის ბრალიც არის. რამე ხომ არ გამორჩენია? ხომ ეშველებით საჭიროების დროს?

— დიახ... მხოლოდ იცით რა, ლეონიდ ალექსევევიჩ, ჩვენი კირიჩენკო მეტად სათუთი პირადი გრძნობების გამო ყოფილა გონებაგაფანტული.

— მართლა? — იმდენად შეპყრობილია, რომ ჩამოყენება მის თავმოყვარეობას სრულიად არ შეხებია. ხედავთ, როგორ ხელქვეითივით მუშაობს?

— ჰო, საკვირველია! — ჩილაპარაკა ლეონიდ ალექსევევიჩმა და ახალგაზრდა მეფოლადეებს მიუახლოვდა.

ამ დრომდის ლუმელში კახშის ჩატვირთვის უკვე მორჩნენ. ვასომ მარტვენა ხელის სურგი შუბლზე მოისვია; მხო-

ლოდ ახლა შენაშნა უფროსი, ხელი დაუშვა, წელში გასწორდა.

ლეონიდ ალექსევიჩმა თავისთან მიიხმრა.

— არ შევმცდარვარ, სიტყვის კაცი ყოფილხარ, — უთხრა მეგობრულად, ხელი ასწია, მხარზე მოუთათუნა.

ვასოს ისედაც წამოგზნებული სახე კიდევ უფრო შეეფაქლა, თვალი დახარა, უნდოდა რაიმე ეთქვა, მაგრამ შესაფერი სიტყვა ვერ მოხაზა.

— ადვილი საქმე არაა მეფოლადგობა, — აწეული ხმით განაგრძო ლეონიდ ალექსევიჩმა, — არც მარტოოდენ მონღოლებმა კმარა, თავისებური ნიჭია საჭირო. თქვენ კი, ამხანაგო სიამაშვილო, არც ერთი არ გაკლიათ. მეჩერ კიდევ — თქვენი წინაპრები, ძველი ქართველები, მგონი ხალიბები ეწოდებოდათ მაშინ მათ, მსოფლიოში პირველი მეფოლადგენი ყოფილან. ეს თქვენ მერ პასუხისმგებლობას გაეისრება...

ვასომ გაბმულ ხმაურში მანიშნებელი ბგერა დაიჭირა, ლეონიდ ალექსევიჩს სწრაფად თვალი გაუსწორა, „გმადლობითო“ ჩაილაპარაკა და ღუმელისკენ გაეშურა, საქვ დასწია. მყისვე შეიცვალა კილო გუგუნში, უფრო მძაფრად იწყია ჭკრიალ-შრიალი.

მიჰყვა მერე ვასო, ღუმელის კარების სარკმელებში შეიხედა, თასს დააკვირდა, ალთხაქადის მოლურჯო ლილეაქში ღნობის სასურველად მიმდინარეობა ამოიკითხა.

სხვა ხუთ ღუმელთანაც ასევე გულმოდგინედ მუშაობდნენ მეფოლადგენი, დროული ოსტატები, მაგრამ ვასო მათ ბუნდოვნად ხედავდა; არც ის შეუმჩინებია, თუ როდის წაივდა საამქროს უფროსი. საკონტროლო-საადრინცხვო აპარატურას რომ თვალი შეავლო და შეკადღე იქვე, კუთხეში, თერთხალათიანმა ქალმა რომ აირიანი წყალი მიაწოდა, სმის დროსაც ამომავალ მზესავით მოგიზვიებზე შენადნობს დასტრიალებდა მისი გონება.

საამქროს კარიბჭიდან მჩინარე ცის ნაჭერს განთიადის ნათელი შეეფინა; მაღალ თაღებს ქვეშაც თითქოს გრილმა ნიავმა დაუბერა, დამის განმეალობაში თაკარა ცეცხლის პირისპირ მყოფთ ახალი ღღის მოახლოვება აგრძნობინა; მაინც ირგვლივ არა შეცვლილა რა, ისევ ისე გაბმულად გუგუნებდნენ ღუმელები, ზოგში ჩატვირთა მიმდინარეობდა,

ზოგში გაწყობა, ზოგში დახალასება; ერთგან უკვე ზეაქონდათ თხევადი ფოლადით სავსე, ასოცდაათტონიანი ციცივი, ხოლო მეორე ამწიდან ყალიბებს მზისფერი ნაკალით ავსებდნენ.

გაოფლიანებული, სახეწამოწითლებული გაიოზნ და ვიქტორი შესასვენებლად აპარატურის მახლობლად ჩამოსხდნენ. გაიოზნ ამხანაგის ნაღვლიანი ღუმელი არ ესიამოვნა, თავი გადასწია და ცნობისმოყვარეობით შეამტკრდა; გულით თანაუგრძნობდა, სახეზე კი უნებლიეთ ირონიული ღიმილი აღებუქდა.

ვიქტორმა შუბლი შეიკრა, განზე სიიხედა. გრძნობა იმდენად გასათუთებულს ჰქონდა, რომ მყისვე მიხვდა, თუ რითი იყო გამოწყვეული ეს დაცინვა. თვალი მოკუბრა, ქვედა ტუჩზე კბილი დააჭირა, ლოყიდან ოფლის ცკარი ჩამოუგორდა და გახსნილ საკინძეზე დაეცა, მაღალი ყელის ძარღვი, ოდნავ წამობერილი, შეუფეთქდა.

— რა მოვლის, ვიქტორ? უნდა გამოფხიზლდე! ვაუკაცი არა ხარ? — უსაწყედურა გაიოზნა.

კირიჩენკომ ხმა არ გასცა, უფრო მოიღუშა.

— კარგი, ძმობილო — მიეფერა გაიოზნი, მხარზე ხელი დაადო. — მე რომ გორჩიე, ისე მოიქეცი. ნახავ აგერ, თუ ხელად არ მოიგებ მის ჯულს.

ვიქტორმა მხარი ასწია, გაიოზნის ხელი მოიშორა და სასოწარკვეთილად ჩაილაპარაკა:

— კმარა, ნუღარ მაგონებ!

— შენ რა, ხომ არ გინახავს? — შეფოთებულად შეეკითხა გაიოზნი: — უთხარი რამე?

— სად ენახავდი, ან რა უნდა მეთქვა?

— მაშ, აბა, რა გაღონებს? გაღონილა, კაცმა წინასწარ გაითხაროს სამარე? დამოჯერე, როგორმე მოახერხე და გული გადაუშალე. მეტი არაფერი არაა საჭირო...

ვიქტორმა გაიოზნ თვალი გაუსწორა, ნოფლარი სახე თანდათან გაუნათდა; ეტყობოდა, გულში კვლავ იმედი ესახებოდა.

— ამდენი ქვეყანა მოგივლია, ამდენ ხალხში გიცხოვრია. — განაგრძობდა გაიოზნი, — და ასეთი მორცხვი რატომ ხარ? ცხოვრებაში, ძმავო, გაბედული იერიშია საჭირო...

— მოიცა, გაიოზ. — შეისიტყვა კირიჩენკო, — ეს საქმე რომ მართლა სა-

იერიშო იყოს, მაშინ... მაშინ რა დამიდგებოდა, კლდეს გაეარღვევდო, მაგრამ იცი, რასა ვგრძნობ?.. რაღაც სათუთო, საესებით სიფრიფანა ქსელია თითქოს ჩემს ირგვლივ გაბმული, საკმაოა ერთი შევიარბე და იგი უკებ დაწყდება; მართალია, შემოქილი აღარ ვიქნები, მაგრამ საესებით დავცარილდები, სიცოცხლეს აზრი დაეკარგება. ისევ მირჩენია ვიყო ასე, ორ ცეცხლს შუა, არ შეეახო ხელი იმ სათუთ ქსელს... თუმცა როდემდის, როდემდის, გაიოზ, მიგობარო ჩემო?!

ეს ისეთი კილოთი იყო ნათქვამი, რომ გაიოზს ამხანაგი შეებრაღა, დასამედლებელი სიტყვის თქმაც გაუძნელდა, ჩაფიქრდა, კარს მიღმა მიაპყრო თვალი მტრედისფერ სივარცეს, სადაც სამხრეთისკენ გაფენილი ნაცრისფერი კვამლი იგრავებოდა; ბუნდოვანად იგრძნო რიყრატის მოახლოვება, თანაც გულმა მოსთხოვა, ფრთა გაეშალა და არიშში გადაფრენილიყო. მაგრამ გვერდით ჩამტვირთავმა მანქანამ იწყო რაწყენი და გამოერკვა.

— აბა, ფოლადის გამოშვების დრო ახლოვდება — გადაულაპარაკა ვიქტორის და ადგა.

მართლაც შორს აღარ იყო ის ქამი, როცა შენადნობს არ დასკირდებოდა ამა თუ იმ ელემენტის არც მიმატება და არც მოკლება.

ვასო მთელი ღამის განმავლობაში ერთხელაც არ ჩამომჯდარა დასასვენებლად, მაინც ისევ ისე მკვირიცხლად მიმოლიოდა. ხანდახან კაცს ეგონებოდა, კოხტაობსო, იმდენად მოხდენილი იყო მისი მოქნილი მიხრა-მოხრა. მთავარი ოსტატი, ფეოდორ კუზნეცოვი, ეს ქვაკირით ნაგები მეფოლადე, აღტაცებით გააყოლებდა ხოლმე ვასოს თვალს: რამდენჯერ განუცდია თავის ცხოვრებაში ის შემოქმედი მგზნებარება, რომლითაც ახლა შეპყრობილი იყო ვასო. ოსტატს ერთი რამ ახარებდა კიდევ: დნობა მისი უშოაოა ხელმძღვანელობით მიმდინარებოდა, მაგრამ მაინც აშკარა იყო, რომ ვასომ საესებით ახალი, თავისებური უნარი გამოიჩინა ამ საქმეში. უკვე ცხადი შეიქნა, რომ ფოლადს თითქმის სარეკორდო დროის განმავლობაში გამოუშვენდნენ. ახლა მთავარი ხარისხი იყო. სულ მცირეოდენ შეცდომას შეეძლო მოპოვებული წარმატების გაქარწყლება.

ვასომ აეტომატებთან მკდომარე ქალს ხელით ანიშნა, რომ შუა კარი აეწია. გაიოზმა გრძელტარიახი ჩამჩით ღუმელის სიღრმიდან თხვევად ფოლადი გამოიტანა და ფილაზე დაასხა. ვასომ კეპის წინაფრა დასწია, ჯერ მკართომარე ნაპერწყლებს დააკვირდა, მერე კარგა ხანს უმზირა, თუ როგორ იცვლიდა ფერს შედელებული ფოლადი. ლაბორატორიიდან ცნობას მალე მიიღებდა, მაგრამ ვასოსთვის უანალიზოდაც ცხადი შეიქნა, რომ ხარისხი საუკეთესო იქნებოდა.

ანდრეი კუზნიჩმააც ასე იცოდა გამოცნობა; რაღაც ელვარებას, ლითონის უძცირეს ნაწილაკებს შეასწრებდა თვალს და მისთვის უკვე ყველაფერი გარკვეული იყო.

იყვნენ ძველად ისეთი ოსტატები, რომელნიც ხელქვეითს, თუ იგი დვინდი შეილი არ იყო, იშვიათად გაუმტვინებდნენ ხოლმე ასეთ საიდუმლოებას, რადგან იგი პირადად მათი კეთილდღეობის წყარო იყო; ანდრეი კუზნიჩი კი ისე, როგორც ფეოდორ კუზნეცოვი, უწინარეს ყოვლისა, საზოგადოებრივ წინსვლაში ხედავდა პირად კეთილდღეობას.

მოახლოვდა ქამი, ღუმელმა გულდინჯად იწყო გუგუნო.

ვასო წინასწარ დარწმუნებული იყო, რომ სასურველ შედეგს აღწევდა, მაგრამ მოლოდინში მაინც იმდენად დაიძაბა, თითქოს ფოლადი კი არა, ცოცხალი არსება იბადებო.

სხვებთან ერთად ვიქტორ კირიჩენკოც შეიპარო საზეიმო განწყობილებამ, ახლა იგი ნაბდვილი მეფოლადე იყო, — შეუმინეველი მღელვარებით ელოდა წამს, როცა ამოქოლვილი ხერელი რკინის შუბით უნდა შეენგრიათ და ცეცხლგამძლე აკურით ამოშენებულ ღარში მიეცათ გზა აღისფერი ნაკადისათვის. მცირეოდენ ხნიჯად კი ჰქონდა ვიქტორის ჩარჩენილი გულის სიღრმეში, სამქროს უფროსმა რომ ჩამოაყენა და მის ნაცვლად ვასო დანიშნა, მაგრამ ამის გამო არც თავის თავს ამტყუნებდა და არც ლეონიდ ალექსევიჩის. რაცინა სხვებმა, თუ რა ცეცხლი ტრიალებს მის გულში. აბა, ერთი სცადონ და ჩააყენონ თავიანთი თავი ისეთ მღგომარეობაში, როგორშიაც ვიქტორი იწყოვება მაშინ... მაგრამ განა შეეძლია კი ვინმეს თავის თავში მოათავსოს ის ზღვა გრძნობები, რომლითაც ვიქ-

ტორი არის შეპყრობილი? არა, ასეთი რამ აზრადაც არ მოუვიათ. ეს იმას ჰგავს, არწივზე უძლიერესმა რომელიღაც ფრინველმა კლანჭებით რომ მოგზვიოს, ავიტაცოს, მთავრებილივსაყენ ვაგაქანოს, ხან გულამდის ჩაგასოს ბრჭყალები, ხან ფრთაზე შეგისვას და სანეტარო არეში გადაგახედოს, ისეთი ბედნიერების მოლოდინი გაგრძნობინოს, როგორიც ოცნებაშია იც ვერ წარმოგედგინოს. თუმცა ერთხელ კი აიყოლია ვიქტორი ამის მსგავსმა ოცნებამ. მაშინ ჯერ კიდევ ყრმა იყო, ურალში ერთ მოხუც მონადირეს შეეკედლა. მოხუცი ნადირს ზაფხუგებით იჭერდა, ბეწვეულს ავროვებდა, ხოლო ზაფხულში შეთევვებდა. ერთ დღეს მალაოზზე შემოათენდათ. სექტემბრის კაშკაშა მზემ ამოაჩათა. მოხუცმა საუზმისათვის ცეცხლი გააჩაღა, ხოლო ვიქტორი ტყიდან გაპყავი ბილიც, დედა და დაი მოაგონდა, ისე მოსწყურდა მათი ნახვა, რომ ცრემლი მიერია. შედგა. ერთხანს თითქოს გარს ბინდი ეხვია, ბუნდოვანად ხედავდა წიწვიან ბუჩქთა შემოსილ ქედებს, მერე თანდათან გაიფანტა ბურუსი, ფერღობზე ფიქვარი ახასხასდა, ცის გუმბათში თითქოს ურთიერთს გადაეხევივნენ ამომავალი მზის შუქით განათებული მწვერვალები; ხეებში აქა-იქ თოვლივით მოქათქათე ნისლი ჩაფენილიყო, ზოგან ხომალდის აფრებივით იშლეოდა და თხემისაკენ მიწარწარობდა.

გაჰყურებდა ვიქტორი ამ მოკამკამე ქვეყნიერებას და წაიწყებულ დაკიდებულ ცრემლი რომ მოსყუდა და ლოყაზე დაედინა, იგი სეუდით როდი იყო გამოწვეული, მასში ნახი აღერსი იყო ჩადღუნებული, დედის გულით გამთბარი აღერსი. ახლა თვითონ კი არ უხმობდა ისე საშინლად დაღუპულ დედას, არც დედა, არც საყვარელ ბაბუას, მთელი ეს ბრწყინვალე გარემო იწვევდა თავისკენ, შორს მიმავალ გზაზე აყენებდა, რისი ნატვრაც კი შეეძლო, ყველაფრის შესრულებას ჰპირდებოდა. ოღონდ შენ მომეყვით, — იღუმლად ეუბნებოდა თითქოს იგი, — სხვა არა გინდაო რა, ისეთ ცხოვრებას შეგაქმნევენებ. როგორიც დედაშენს სურდაო შენთვის.

რა იცოდა მაშინ ვიქტორმა, ურალის მშვენიერი ბუნებით მოხიბლულმა, რომ ეს იყო ძახილი მარად უქნობი სიცოცხლისა, ის წმინდა ნათელი იყო, რომელიც გაუვალ ჯურღმულში მომწყვდი-

ულ ადამიანსაც კი სასოებას ანიჭებს.

ეს დილა განსაკუთრებით ჩარჩა მგზსიერებაში ვიქტორს. ამიტომ ახლა თუმცა თავდაპირველი მღელვარებით მოელოდა ფოლადის გამოშვებას, მაგრამ საქმისაგან რომ გაათვისუფლდა და საამქროს კარიბჭეზე მომდგარი განთიადის შუქი მოხვდა თვალში, გულმა თითქოს სიყრმის ეპას აღქმული მშვენიერების მოახლოვება აგრძნობინა.

და სწორედ ამ დროს, უცებ თითქოს მზემ დაპყრო, თავიდან ფეხებამდე ერეოლამ დაუარა, მოჯადოებულებით მიაშტერდა კარებში შემომავალ ელენეს.

ცისფერწინწკლებიანი ჩითის კაბა ეცევა ამ ტანმორჩილ, ცქრიალა ქალიშვილს. თავზე არ ეხურა. ღია წაბლისფერი თმა, ოდნავ დახუტქმებული, მხრებამდის სწვდებოდა; პაწია ყურების ბიბილოები არ უჩანდა; მზემოკიდებული თეთრი სახე სიჯანსაღის ეშენით უელვარებდა. კოხტად მოდიოდა, ისე კოხტად, თითქოს შეხმატკბილებული სიმების აკორდი მოიხრევაო. ეს მისი ბუნებრივი სიარული იყო.

უმწერდა ვიქტორი მისკენ მიმავალ ელენეს და აღარ ახსოვდა, სად იყო, არც ღუმელების გუგუნე ესმოდა, ასე ეგონა, სადღაც მალაოზზე იდგა, მზე ამოდიოდა და წარმტაცად გამოიღო მიდამოს მარადი სიცოცხლის ელფერი ამკობდა.

ელენეს უცებ ნაბიჯი შეუფერხდა, ღუმელისაკენ მიიხედა და ვიქტორის თვალების შუქი დაიჭირა; როდი შეკრთა, ოდნავ გაეღიმა, მყისვე პირი მიიბრუნა, აპარატურისაკენ გაემართა და ჩამტეირთავ მანქანას მიეფარა.

წამიდან წამზე ფოლადის გამოშვებას უნდა შედგომოდნენ, ამიტომ ელენესთვის ყურადღება არავის მიუქცევია; ვიქტორის მესაიდუმლე გაიოსხაც გამოეპარა ეს ამბავი, ღუმელის მეორე მხარეს რაღაცას აკეთებდა და ელენე არ დაუნახავს.

— უნდა მოგილოცოთ, ამხანაგო სიამაშვილო. უკვე დრო არის. თითქმის მთელი საათი მოვიგეთ. — დინჯად უთხრა მთავარმა ოსტატმა ვასოს.

— დიახ, დიახ, ახლავე... — ჩაილაპარაკა ვასომ და სწრაფად შებრუნდა.

ფეოდორ კუნეცოვმა თვალი გააყოლა მოპოვებული წარმატებით აღტაცებულ ვასოს, მერე მიმოიხედა და უცნაურად გაშეშებული კირიჩეკო დაინახა.

სახე მოეღრუბლა ოსტატს. „შეხედე, რას დამსგავსებია ეს აყლაყულა! — გაიელო გუნებაში. — ისე ვალენჩებულა, ისე წახრილა წინ, თითქო წასვლას აპირებს და ვერ გაუბედაო. ეს უკვე მტრისმეტია...“

აუჩქარებლად მიუახლოვდა და მკაცრად უთხრა:

— რას ჰგავს ეს, ვიქტორ! სირცხვილია ბოლოს და ბოლოს! ფოლადის გამოშვების დროა, შენ კი ეშმაკმა იცის, რაზე ფიქრობ!

გაოცებულად მიაპყრო თვალი ოსტატს ვიქტორმა; ვიდრე გამოერყვეოდა, ღუშელების გამბული გუბუხა „აწვდა ყურში, ნელინელ მოეგო გონს, თავი დახარა; მაინც ისე გადადგა ნაბიჯი, რომ მთლიანად ვერ მოესაზრებია, თუ რა დანაშაული მიუძღოდა.

კუხნეცოვს ელენე რომ დაენახა, მაშინაც აზრად არ მოუვიდოდა, თუ რამ გამოიწვია ვიქტორის გარინდება, მაგრამ მაინც შეებრალა იგი. ვასოს ნათქვამი მოაგონდა და გადასწყვიტა — მეტი ყურადღება მიექცია ამ ობლობაში აღზრდილი შაბუკისათვის.

აზა მხოლოდ მარტენის საამქროში, გარედაც გაგრცვლდა ხმა, კომკავშირელები ფოლადს მთელი საათით ადრე უშვებენო. ვიდრე ვასო სიგნალს მისცემდა, ბეკრი მიუახლოვდა ბარიერს. დამით ნაუშეყარი მეტალურგებიც იყვნენ აქ; დილით მოსულნიც, ესენი შრავლაჯერ დასწრებიან ფოლადის გამოშვებას, მაგრამ ახლა მიონად დიდის ცნობისმოყვარეობით ელოდნენ.

ყველაფერი მზად იყო. ვეება ციცხვი უკვე ჩაედგათ ბურჯებზე.

ზღვის ღელვა რომ შენელებდა და მცხრალი ტალღები იწყებენ ნელ შრიალს, ისე ხშიანობდა მღუღარე ფოლადით პირთამდე სავსე ღუმელი.

ვიქტორმა ამ დაძაბულ მოლოდინში უხერხულობა იგრძნო, აღმაცერად გახედა ბარიერთან თავმოყრილ ცნობისმოყვარეებს, ადგილიდან მოწყდა და ღუმელის უკანა მხარეს მიაშურა, ხელქვეითს გრძელი შუბი გამოართვა, თითონი მოიმარჯვა.

მაღე ზედიზედ იელვა, სწორედ ისე ყომრალ ღრუბლებს რომ ელვარე ზოლი გაჰკვეთავს, ჯერ კვამლიანი ალი აქტრა მადალ თაღში, მერე იფეთქა მძლავრმა ჩირალდანმა, ნაპერწყლების

ჩქერი მიმოაფრქვია, ახალამოსული შხის სხივით განათებულ მინებს შიგნიდანაც მიაფხია კაშკაშა ნათელი. გამოჩინდა ღარში სქელი, ოქროსფერი ნაკადი, თქრიალით დაეშვა ციცხვში და უძალევე ზეაიჭრა წინწყლების ეინელილოვანი შადრეგანი.

ამ დროს საამქროს უფროსთან ერთად გამოჩნდა ჩქარი ნაბიჯით მომავალი ტარიელ ბარველიძე.

თეთრი აბრეშუმი კიტელი ეცვა ტარიელს, ფართოფარფლებიანი ქუდი ეხურა, ლეონიდ ალექსევიჩი მის გვერდით უფრო ტანმოორჩილი მოჩანდა.

პირველად გაიზომა შეასწრო თვალი; ისედაც აღტაცებული იყო და ახლა თითქოს ფრთები გამოესხა, ვასოსთან მიიჭრა, მკლავში ხელი ჩაავლო:

— შეხედე, ვასო, ჩვენი ტარიელი მოილი!

კაცი რომ დიდ საქმეს მოითავეს და დასვენებას მოელის სანებიეროდ განწყობილი, ისეთ გუნებაზე იყო ახლა ვასო, მაგრამ ტარიელის ხსენებაზე სახე მყისვე შეეფეკა, თვალები გაუბრწყინდა, ახგარიშმიუტეველად ნაცრისფერი ხალათი გაისწორა და დინჯად გაემართა შესახვედრად.

გაიოზმა მიასწრო, უნდოდა რაღაც მეტად მნიშვნელოვანი ეთქვა ტარიელისათვის, მაგრამ ისეთი რამ მოუვიდა, რაც არასოდეს არ დამართნია, — ენა დადებ, მუნჯად გაუწროა ზელო, მარტოოდენ მისი სიხვისანი თვალები მეტყველებდნენ უსაზღვრო სიხარულს.

ტარიელმა ლეონიდ ალექსევიჩისაგან იცოდა, თუ რა წარმატებას მიაღწიეს ვასომ და გაიოზმა, მეტისმეტად ნაიაიმეგები იყო და ამიტომ შინაურულად, ქართულად მიმართა მათ:

— რა ჰქვინით, ბიჭებო, გვასახელებთ არიშელები?

ვასომ თვალი დახარა, ხოლო გაიოზმა ტარიელს მკლავზე ხელი შეახო და ქართულადვე უპასუხა:

— მე არაფერი... ვასომ კი მართლა გვასახელა.

— ვიცი, ვიცი, — თქვა ტარიელმა და ღუმელის უკანა მხარისაკენ გასწია. აქ მას მთავარი ოსტატი შეეგება, მეგობრულად მიესალმა, ვასოსა და გაიოზს გახედა და ტარიელს წრფელი გულით უთხრა:

— უნდა გახაროთ, ტარიელ ზურაბოვიჩი: სადაც ასეთი მეფოლადეები გეყოლებათ, იქ გამარჯვება ხელში გაქროთ!

— ეგ სულ თქვენი მეგობრული დახმარებით, ფეოლორ ივანოვიჩი! — უკახუხა ოსტატს ტარიელმა, მერე ცოცხვის ზედაპირზე მკრთომარე ნაპერწკლების ჩქერმა მოსტაცა მზერა და უნებლიეთ ინატრა ის დღე, როცა არიშშიაც იხილავდა ქართული ფოლადის ოქროსფერ ელვარებას.

IV. დედის ოცნება

კვირან დილა თენდებოდა. თეოლინეს აღრე გაეღვიძა. ფრთხილად ადგა, რომ ნათიასთვის ძილი არ დაეფრთხო. ტარიელის კაბინეტში გავიდა, მაგიდას ხელს დააყრდნო და ჩაფიქრა.

რა აწუხებს?

ტარიელი მივლინებაშია, უთუოდ კარგად იქნება. ნათიამ გამოცდები მშვენიერად ჩააბარა და ამ დღეებში სოფელში უნდა ვაგზავნოს. თვითონ არიშს ისე შეეჩვია, თითქოს თავისი ახალგაზრდობა აქ გაეტარებინოს. მარცხდარდი რამ ჩაჰყვა გულში, ამ დილას უფრო გუმძაფრდა და აღარ ასვენიებს. წინააღმდეგ ნელის მოჰყარა თვალი, მარინა სერგეევნას ბინის მახლობლად მიდიოდა. მაშინ მაინცდამაინც დიდი ყურადღება არ მიუქცევია ამ გარემოებისათვის. იცოდა, რისთვისაც დაძრწოდა ნელის, დარწმუნებული იყო, რომ ვერას ვახდებოდა. ამიტომ მხოლოდ ზიზღს თუ აღუძრავდა მისი ნახვა. ახლა კი სხვა ფიქრებმა აიყოლია: ტარიელი აქ არ იმყოფება, მარინა მარტოხელი ადამიანია, რაიმე არ უმზაკვროს.

საკვირველია, ტარიელს არა თუ დედისათვის, არამედ ხმამაღლა თავისი თავისთვისაც არ გაუხმელია, რომ მარინა სერგეევნა უყვარდა, თეოლინემ კი გულთმისაბიჯით იცოდა, რომ მათ შეუღლებას წინ არა იდგა რა. იმდენად დარწმუნებული იყო ადამში, რომ თავის დაუნებურად გაიტაცებდა ხოლმე ოცნება, ხათლად წარმოიდგენდა ჩვილბავშვიან მარინას. ბავშვი უთუოდ ვაჟი იქნება. ტარიელს დაემსგავსება. სახელად მაშისთვისას დაარქმევს. მარინა მხოლოდ მუქებს აწოვებს. სხვაგვარი თვითონ გაზრდის. ის დრო დაუბრუნდება, როცა ტარიელი პატარა ჰყავდა და მისთვის გაწეულ ყოველგვარ ჯაფას სიტკბოე-

ბად სთვლიდა. აიყვანს ბავშვს ხელში, არიშის ახალგაზრდებულ ბაღში გაუყვად და ყველაფერი, ეს ნორჩი ბავშვი, ეს სლავო-თავრებელი სახლები, მთელი ეს ახალთახალი ქალაქი მისი განახლებული სიცოცხლის მოზიარე იქნება.

ჰოდა, სწორედ ის აწუხებს თეოლინეს ამ დილას, რასაც შეუძლია ეს ნატვრა ფუქ ზმანებად აქციოს.

უცნაური უნარი აქვს იმ ცბიერ დედაკაცსო, ფიქრობდა თეოლინე. არავითარი ნაყოფიერი რამ მას ხელიდან არ გამოუვა, უქნარაა, თანაც სამინიელი მწიშარაა, მიუხედავად ამისა, თავს ისე დაიჭერს, ისე შეიფერებს დიდაკურ მწუხარებას, რომ უთუოდ ყურადღებას მიიბყრობს, თანამგრძობს იშოვის. თანაც ყოველგვარ საძაგლობას ჩაიღებს, ოღონდ მილოწიოს იმას, რაც გულში აქვს ამოჰრალი. ამიტომ უნდა ახლა პატრონობა მარინა სერგეევნას... „კი, მაგრამ როგორ მივიღე, რა ეუთხრა? ჯერ მასთან ბინაში არც კი ვყოფილვარ, იქნება მეჩვენება, სინამდვილეში არავფერი ისეთი არ არის...“

თავი გაიქნია, კარი გააღო და აივანზე გავიდა.

ჯერ ისევ ეძინა ქალაქს.

მკრთალად ციმციმებდა სხივ დამცხრალი ცისკრის ვარსკვლავი. აღმოსავლეთით, რუხი მთების გასწვრივ, ლილისფერი ღრუბელი გაყოლილიყო, ხოლო მის ქვემოთ, ცისკრის ამომავალი მზის ალი შენთებოდა.

თეოლინეს ბევრგან უცხოვრია, მაგრამ არსად, არც ბაქოში, არც თბილისში, არც ზღვისპირად, არც სოფლად არ უგარძენია ის თავისებურება, რომელიც არიშს გააჩნდა. აქ რაღაც ორი ელფერი ერწყმის ურთიერთს. ერთის მხრივ — ხრიოკი, უსიცოცხლო გორაკები და უდაბნოდაქცეული ველი, თან კიდევ თითქმის უცვალოდ წაშლილი ნაფუძარი ძველი ცხოვრებისა, ხოლო მეორეს მხრივ — ეს ნაირნაირი ახალი სახლები, სანახევროდ ამოყვანილი კედლები, ბალავრები, ღრმა თხრილები და ნარიყალი მიწის ზეინულები, ეს გვიანდარგული, ნორჩფოთლებიანი მოზრდილი ხეები, ყველაფერი ცხადყოფს, რომ აქ სრულად დასალი, თავისებური ცხოვრება იბადება. მაინც არსებობს კაჟშირი ძველსა და ახალს შორის, უჩინარი, მაგრამ გულით საგრძნობი კავშირი.

ტელეგრაფის მავთულზე მერცხალი შემოჯდა. მიმოიხედა, ფრთები გაისწორა და მზიარულად იწყო ტიკტიკო.

თეოლინე შექაჩამდგარი თვლებით მიაცქერდა დილის მახარობელს. ძალიან ახლოს იყო იგი, გარკვევით მოჩანდა, თუ როგორ უცახცახებდა ყელი ტიკტიკის დროს. წელს გაიკეთა ბუდე აქ ახალი სახლის ქერზე. მაინც ისე აღლად და გაბედულად მღერის, თითქოს აქ გამოჩევილიყოს. აიღან გაფრინილიყოს სხვა ქვეყანაში და ახლა სამშობლოში დაბრუნებას ზეიმობდეს. ვინ იცის, სად იყო წინა წლებში. იქნებ ნგრევის ტალღამ გადაიარა იქ, ნაბუღარი ველარ იპოვნა და ახალი სამკვდილარების ძებნას შეუღდა; მოჰყვა მდინარის პირს, დაინახა ეს ახალი სახლები და ბუნებისაგან მინიჭებული შორსმჭვრეტელობით იგრძნო, რომ აქ ჩაიყვარა ურყევი საძირკველი სამშვილთმშვილო ცხოვრებას.

იქიკივე, კეთილო მერცხალო! არა სტყუელები, წინასწარ იგრძნობს შენი პატარა გული, რომ ქვეყნის საიმედოდ დაიხრდებიან არიშელი ბავშვები, დაუკავცდებიან.

თეოლინეს ოცნების ნაყოფი მამისთვალაც მათთან იქნება, მათთან ერთად გაიპარევენ ბნელ ძალებთან ბრძოლაში.

გაივლის ხუთიოდე ან ათიოდე წელი. თეოლინე აღარ იქნება. რა ვუყოთ მერე, ეს არაფერია. საწყალი ზურაბიც ხომ დაიმარბა უდროოდ შორეულ ციმბირში, მაგრამ მისი შვილი, მისი საყვარელი ტარიელი სხვებთან ერთად აშენებს ახალ ქვეყანას... ერთი ნატვრა აქვს თეოლინეს და ისიც აუსრულდება, მანამდე გასძლებს, ვიდრე შვილიშვილს ფეხზე დააყენებდეს. შემდეგ კი... იცოცხლონ. იბედნიერთონ წინ მიმავალმა თაობებმა! ვაი მას, ვინც სიყვარულს იქით არ იხედება! კაცი ის არის, ვინც თავისი არსებობით, თავისი ნამოქმედარით მომავლის ცხოველ ფესვებს შეეზრდება...

ამ ფიქრმა დაამშვიდა თეოლინე, შინ შებრუნდა, ბინა მილაგა მერე ნათიას დახედა. რკბილად ეძინა გოგონას. „სკოლაში წასვლა აღარ სჭირდება, მოისვენოს, გამოშუშდესო“, გაივლო გუნებაში და დარეჯანთან ჩავიდა. არც დარეჯანი ამდგარიყო ჯერ, ლეკანში ნებთერობდა. სასთუმალთან, სკამზე გაშლილი წიგნი ელო.

— რა კარგი ჰქენი, დედი, რო მოხვედი! — სიხარულით უთხრა პერანგის ანარა დარეჯანმა და კვლავ შექვა ლეკანში, — აი, აქ ჩამოჯექი, თუ გიყვარავ. ნატვრა ამისრულე ამ დილას. მინდოდა შენთვის ერთი რამ მეთქვა, ძალიან სასიხარულო, ძალიან...

თეოლინე საწოლზე ჩამოჯდა, დარეჯანს დააცქერდა, თავზე ხელი გადაუსვა, თმა გაუსწორა.

არიშის მცხუნვარე მზე მოეკიდა დარეჯანს. ამ დილით ოდნავ ფერგამკრთალია და პირისახეზე ამოყარილი ჭორფლი უფრო ემჩნევა. ტუჩები მოკუმუღი აქვს, ფართო თვალებში კი ღიმილი უბრწყინავს.

— სიხარული ნუ მოგაკლოს გამჩენმა, შვილო! აბა, თქვი, რაც უნდა გეხარებინა.

დარეჯანი უცებ გაირინდა, რაღაცას თითქოს ყური მიაპყრო. მერე თეოლინეს ხელი აიღო და მუცელზე დაიდო; თვალები ოდნავ მოკუტა, თითქოს სადღაც შორს, შორს იშვირებო; უცებ შეტოვდა, თეოლინეს მესაიდუმლესავით მიაცქერდა და ჩუმად შეეკითხა — იგრძენი?... ხო იგრძენი?

საკმაოდ ხანდაზმული დედაქალი იყო თეოლინე, გამოვლილმა ქირვარამში შეუსუსტა ცხოვლად შეგრძნობის ძალა, მაგრამ იმ წამს ის დრო განუახლდა, როცა ტარიელზე ორსულად იყო, აღფრთოვანდა, სახე ისე დაუმშვენდა, თითქოს თოვლივით თეთრი თმა თანდაყოლილი ჰქონოდა, დაიხარა, დარეჯანს აკოცა, მერე თავი ასწია და ნახალ მოუსვა ლოყაზე ხელი.

— კა, ნენა, შვილო! ემატოს ამ ოჯახს, გაძლიერდეს!

— გამაღობთ, დედი! — ჩილაპარაკა დარეჯანმა, ერთხანს იყუჩა, მერე აღსარებასავით წამოიწყო:

— გაიოზი რო წავიდა, უცნაური შიში დამჩნედა. მარტოობა დამიმძიმდა. ვიცი, არავითარი საფრთხე არ მელის, მაინც ისეთ გუნებაზე ვდგები ხოლმე, თითქოს უსუსური არსება ვიყო და მშველელი არავინ გამაჩნდეს. ახლა კი დევ, ბავშვი რო იძრა, ერთის მხრივ უსაზღვროდ გაეზარდე, თანაც არასოდეს რო არ წარმომედგინა, ისეთ საზრუნავი გამიჩნდა. მოთმინება აღარ მყოფნის, ვიდრე დედაჩემი, ან გაიოზის დედა მომავითხადეს.

— ვიცი, შვილო, ვიცი! შენ კი არა, ფრინველი რომაა, ფრინველი, ისიც

ქი დარჯჯად უდგას თავის ბუდეს, ბარტყენს არაფერი მოუვიდეთ, ან არაფერს მომტაცოსო. მარა ნუ გეშინია, ნენა მე ავერ არა ვარ, არ მოგშორდები, სულ შენთან ვიქნები.

— მერე კიდევ, — ისე თქვა დარჯჯანმა, თითქოს თავის ფიქრს განაგრძობსო: — რაიმე საშეშორება რომ შექმნეს, ასე მგონია, მხოლოდ ვაიოზს შეუძლია მიხსნას, სხვას არავის. ჩემს თვალში ახლა ვაიოზი ყველაზე ძლიერია... ჰო, ჩემთვისაა ძლიერი, ჩვენი საერთო სიცოცხლისათვის.

— მესმის, ნენა! შენს მდგომარეობაში ეს ვასაგებია. ასეც უნდა იყოს. ასე სჩვევია ნამდვილ ცოლქმრულ სიყვარულს. მკობნის მკობნი ქვეყანაზე არ დაიღვევა, მარა ვინც გიყვარს, იგი მაინც შენთვის ყველაზე უკეთესია. მისი იმედი გაქვს, მისთვის გინდა ყველაფერი... აბა, ღმერთმა დალაგდოს ზოგი მამინჯი რომაა, თავისი თავის მეტი რომ არავინ ახსოვს...

დარეჯანი მიხვდა, ვინც ჰყავდა მხედველობაში თეოლინეს. წინა დღეს ნახა არაფერი. ვიღაც ახალგაზრდა ვაჟი ახლდა.

ღუმელი ჩამოვარდა. თეოლინეს სახე მოეღრუბლა. საწოლის მახლობლად მაგიდაზე ოქროსფერად გამჭვირვალე თევზის მავკარმა სათამაშოში მიიპყრო მისი ყურადღება. მიწვდა; საოცრად ეშჩატა.

— ესია, შვილო, ეს სათამაშო? დარეჯანს შორცხვად გაეღიმა. როგორ უამბოს? სერიოზული ადამიანი სისულელედ მიიჩნევს. დარეჯანისთვისაც რომ ეთქვათ წინათ, ვერ ჩაწვდებოდა, ვერ გათვებდა, რაც მან განიცადა.

სკოლიდან მოდიოდა. იმდენად დაღლილი არ იყო, ისე იყო რალაც ბურანში გახვეული. მალაზიის ვიტრინისთან შედგა. ბავშვის სათამაშოში მოსტაცა თვალი.

მახლობლად, ქუჩაში, ხალხი მოძრაობს, მანქანები მიმოჰქრებიან, დარეჯანი კი ვერაფერს ამჩნევს. არც ხმაური ესმის, თვალწინ პატარა ბავშვი უდგას, პატარა ვაიოზი, არა უსუსური და უფერული, არამედ სისხლბორცით სავსე, პირმცინარი. შინ რომ აბრეშუმის ნაქერი უდევს, იმისი პერანგი აცვია, ვარდისფერი; საწოლზე ზის წელმაგრად, თეთრი, მსუქანი ფეხები გამოილი აქვს, ხელში ის ოქროსფერი სათამაშო უჭირავს, რომელსაც დარეჯანი ვიტრინაში ხედავს. იცის დარეჯანმა, რომ ეს ნო-

რჩი ბავშვი ჯერ მხოლოდ მის არსებაშია, ჯერ მას არ უხილავს მზის სინათლე, მაგრამ ეს ხელს არ უშლის დედობრივი ტრფილით უმზიროს ასე ცხადად ზმანებულ პირშმოს.

მალაზიიდან ვიღაც გამოვიდა, ვიტრინისთან შებრუნდა, დარეჯანს წინ ჩამოეფარა. მხოლოდ ახლა გამოერკვა დარეჯანი, გაოგნებულად მიმოიხედა, მერე მალაზიიში შევიდა და სწორად ის სათამაშო იყიდა, რომელიც ისე უცნაურად ამოიჭრა გუნებაში. ეს იყო პირველი ნივთი, ჯერ უხილავი არსებობისათვის შექმნილი.

ჰოლა, როგორ განუმარტოს ახლა ეს თეოლინეს? გაუქვირდება, რა სულწასული ყოფილაო, იფიქრებს.

თეოლინემ ოქროსფერი თევზი ხელში შეატრიალა, გაახაქუნა, მერე ალმაცურად შეხედა მღუმარე დარეჯანს და აღუჩინა ის ხმით უთხრა:

— მივხვდი, ნენა, მივხვდი! ბავშვისათვის იყიდდი. მეც გამომიცდია ეს, ქალაქში რომ გავივლიდი, რაც რაიმეს კარგს დავინახავდი, ყველაფერი ჩემი ბოლანისთვის მიწვდოდა. ის კი არა, დაგებრდი ავერ ქალი და ხანდახან ვითომ ხელში მყავდეს აყვანილი, ისე ცხადად მეჩვენება შვილიშვილი, სახელიც კი შევეურჩიე, მამისთვალა დავარქვი...

თქვა ეს და ჩაფიქრდა თეოლინე, ბავშვის სათამაშო მაგიდაზე დასდო, მერე დარდიანი გამოემტყველებით დააცქერდა დარეჯანს.

— ვერ წარმოიდგენ, დარეჯან, შვილო, ისეთი მძიმე ფიქრი დამეხვია ამ დილას გულზე.

— რა იყო, დედი? — შეშფოთდა დარეჯანი.

— რაი და, შენც იცი ეს ამბავი, იცი, როგორ დამრწის ის ბოროტი დედა, ანუ. ერთხელ შენთანაც ხომ ძყო, შენი ჩათრევა მოინდობა. ამდენ ხანს დარწმუნებული ვიყავი, რომ ვერაფერს გახდებოდა, მარა ახლა ტარიელი აქ არ არის და შიშმა შემოიპყრო, იმ მარტოხელა ადამიანს, მარინა სერგეევას, გული არ გაუფუჭოს, ცუდი რამე არ აფიქრებინა-მოქი.

დარეჯანი ადგა, თითქოს სასწრაფო საქმე გაუჩნდაო, ხალათი ჩაიცვა. კარგა ხანი გავიდა მას შემდეგ, როცა ნელი აქ იყო და ფული შეაძლია, მაგრამ დარეჯანს ახლაც ზიზღსა ჰგვრის მისი ჭრელი თვალების ცივი, მედიდური გამაზნევა.

— არ ვიცი, — თქვა დარეჯანმა, — იმ ქალს ახლო არ ვიცნობ, მაგრამ მეგუ-
რა კი, რომ იგი საშიშია, არაფრის წი-
ნაშე უკან არ დაიხვეს.

— სწორედ ეგ მაწუხებს, შეილო! —
წამოიძახა თეოლინემ. — რა ვქნა არ
ვიცი. იქნებ შენ მირჩიო რამე! გული
მეუბნება, ის ადამიანი ტარიელის ბე-
დია-მეთქი, თორემ ჩემთვის ჯერ არა-
ვის არაფერი არ უთქვამს! მივიღე და
კი თუ ისეთი არაფერი იყოს, სასაცი-
ლო მდგომარეობაში ჩავევარდე.

— აუცილებლად უნდა მიხვიდე, დე-
დი, აუცილებლად! — ცხოვრებაში გა-
მობრძმედილ ქალს რომ შეგფერის, ისე-
თი სიმტკიცით ურჩია დარეჯანმა.

V. გზაჯვარედინზე

გამო ლარიძე პირველად ჩავიდა
არიშში. ჯერ მატარებლის ფანჯარიდან
ათვალერა მშენებლობა, მერე ნელის
ვერდიანი გადადგა ბაქნის პირად და
იჩვენებდა თვალი მიმოავლო. მხრები
აჩჩეხა, ნელის ცალკუბად მიხედა და უკ-
მაყოფილოდ ჰკითხა:

— ეს არის სულ?

ნელი ძალიან ცუდ გუნებაზე იყო,
იმედი აღარა ჰქონდა, მაგრამ წყალწა-
ლებულსავეთ ხავსს ექიდებოდა: რაკი
ტარიელი აქ არ იყოფებოდა, ვინ იცის,
ეგებ რაიმე გავაყურო. ამ განზრახვამ
ააბოქმელა. ვიდრე მატარებელი იხდა,
თანდათან გული მოეცა. გაბნოს ისი და-
უხატა თავისი მიზანი, თითქოს საკმარ
იყო მისი არიშში ჩასვლა, იმ „რუს ქა-
ლთან“ მოლაპარაკება და ყველაფერი
გამოეწყობოდა, ძველ მდგომარეობას
აღიდგენდა. მაგრამ როგორც კი ჩამოდ-
გა ფეხი სადგურზე, უმაღლეს იგრძნო,
რომ ამაოდ იწუხებდა თავს ამ სიცქე-
ში. ახლა აგარაკზე უნდა იყოს, ხელის
ვანძრევა არ უნდა სპირიდებოდეს, ისე
მზამზარეულად უნდა მოსდიოდეს ყვე-
ლაფერი, აქ კი, ამ საძაგელ არიშში,
როგორ უნდა გასძლოს საღამომდის!
ყოველთვის ასე იყო: თბილისიდან აქ
რომ ჩამოვიდოდა, ცუდ ხასიათზე და-
ბოდა, ისეთი გრძნობა ებადებოდა, თი-
ქოს ეს გრძელი შენობები და თვალ-
უწვდენელი ჩონჩხები გულზე ლო-
ლად აწებო. ამიტომ ასიამოვნა გამოს
შეკითხვამ და წრფელად უპასუხა:

— ეს არის, გამო, გენაცვალე, სულ
ეს არის!

— რა ვიცი, რა, გამოგვიქედეს ყუ-
რები, ასეთი და ასეთი უზარმაზარი

რადაც შენდებო, ეს კი რასა ჰგავს!

— სწორედ ეგ არის, გამო, შენი ქი-
რიმე, რომ არაფერს არ ჰგავს! მაგათ
რომ უყურო, ბუნს რქას გამოკანამენ.

გამომ შებლი შეიყრა. იცოდა, ვისაც
გულისხმობდა ნელი და ეს არ მოსწონ-
და. გამო ახალგაზრდა კაცი იყო, საბ-
ჭოთა წყობილების ეკას გაზრდილი;
მას არ შეეძლო და არც სურდა, დაეპი-
რისპირებია თავისი თავი თანამედროვე
ადამიანებისადმი. მისი მთავარი ნაკლი
სულ სხვა გარემოებით იყო გამოწვე-
ული. შობილებმა მეტისმეტ ფუფუნე-
ბაში აღზარდეს ერთადერთი შეილი.
ორივეს, დედასაც და მამასაც, კარგი
ხელფასი ჰქონდათ, ბავშვს ოჯახში იმ-
თავითვე მომვლელი მოუჩინეს, არა-
ფერს არ აკლებდნენ, თვალში შეკუყ-
რებდნენ, ასათუთებდნენ. სკოლის ასაკს
რომ მიალწია, თუმცა ნიჭი არ აკლდა,
მაგრამ წყალა ჯადად მიიჩნია და სა-
ჭირო გულმოდგინებობას არ იჩენდა.
ყველაფერი მზამზარეული უნდოდა.
შობილები რამდენჯერმე იძულებული
იყვნენ, მასწავლებლისათვის შელაგანი
ეთხოვათ. ასე გადადიოდა კლასიდან
კლასში. ხანდახან რომელიმე საგანში
ამხანაგს მიბაძვდა და კარგ ნიშანს მო-
იღებდა. მთელი დრო უმთავრესად გარ-
თობაში ეხარჯებოდა. თუ რომელიმე
წიგნი დაინტერესებდა, საუზმისათ-
ვის აღარ ადგებოდა. ლოგინში უნდა
მიერთმობათ; ილუკებოდა და კითხვას
განაგრძობდა. რაკი თვითონ შრომა არ
უყვარდა, არც სხვისი შრომის დაფასე-
ბა შეეძლო. მშობლების ლობიერი
ხასიათი კარგად შეისწავლა, თუ ისინი
მოთმინებიდან გამოვიდოდნენ და და-
ტუქსავდნენ, მყისვე მუქარას მიმარ-
თავდა: ჩემს ნებაზე მიმიშვით, თორემ
თავს მოვიკლავო. ერთხელ მართლა
შევიდა როლში და მუქარა კინალამ შე-
სარულა. ბოლოს ნელის გამოყვარა,
ყალბი არისტოკრატული ცომაწიობა
შეითვისა, კიდევ უფრო გაზარამცდა
და ინსტიტუტში გამოცდების ჩაბარება
არ ისურვა, — ეს დარგი ჩემთვის
შესაფერი არ არის, სხვაზე უნდა გა-
დავიღეო.

ნელიმ შეატყო: გამოს მისი სიტყვა
არ ესიამოვნა, ამიტომ მოკლედ მოსპირა:

— ახლა ხომ ხედავ შენი კარგი თვა-
ლებით, თუ რას ჰგავს აქაურობა, რას
ჰგავს ეს მტერიანი ვუბნი. ეს ყაზარმე-
ბი! კულტურული ადამიანისათვის ეს
ჯოჯობეთია. ქალაქს რომ აქებენ, მი-

ვალთ ავერ და ნახავ, თუ არის იქ რამე სახარბიელო.

— არა, მართლა, კაცმა რომ თქვას, რა საჭირო იყო ამ უდაბნოში დასახლება?! — ბრძნული გამოამეტყველებით დამოწმდა ვაბო, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, ქუდი მოიხადა და შეუბღვრე იფლი მოიწმინდა.

ძველ, დანჯღრეულ ავტობუსში მოხვდნენ. ვაბო ძალიან უკმაყოფილო იყო; მოასფალტებულ პროსპექტზე რომ გავიდნენ, მაშინაც არ მიუტყვევია ყუფილება იმ წელს დარგული ხეივნისათვის, არც ახალგაზრდა ტყისათვის; გაჯერით მოავლო თვალი დამხმარე საამქროების კორპუსებს, შემდეგ კრამიტით ახალდაბურულ სახლებს და არავითარი სიახლე არ უგრძენია. მერე კიდევ ეს ღრმა თხრილები, სამშენილო მასალები, ბეტონისა და ფოლადის მილები, — ასეთი უწყესრიგობა ჯერ ვაბოს არსად არ უნახავს.

ქალაქში, ავტობუსიდან რომ გადავიდნენ, ნელამ ვაბოს მკლავი გამოსდო, თავი დასწია, ფიქრიანი თვალებით ახედდა; იტყობოდა, გაოგნებული იყო, დიდი მიზანი ჰქონდა გასახორციელებელი და არ იცოდა, რა გამოუვიდოდა. მაინც მალე გამოტოცხლდა, ვაბოს წელზე ხელი მოხვია და მობოდიშე ხმით მიესიყვარულა:

— ძალიან გაგწვალე დღეს, გენაცვალე, ვაბო, მაგრამ ეს ერთი უნდა მპატიო, მერე მე ვიცი. ან კი რა გაეწყობა, მამული ჩვენ არ გაგვანინია და დედული. პაერზე ხომ ვერ ვიცხოვრებთ. ჩვენი თედო იყო ამდენხანს საიმედო, საქაროების დროს ხელს მოგვიმართავდა, მაგრამ ახლა მგონია ისიც გაება მახეში. შენ ხარ, გენაცვალე, ჩემო ვაჟკაცო, და ჯერ კიდევ ხელისშეწყობა გინდა, რომ საკუთარ გზას დაადგემეც ამიტომ ვწვალობ, რამენაირად საქმე უნდა შემოვამბრუნო... ავერ ტყის პირად, მდინარესთან, ბაღია და იქ დამელოდე, ჩრდილში მოისვენე. ნეტაი რამე საინტერესო წიგნი წამოგელო, გულს გადააყოლებდი. ვინ იცის, იქნება დამავიანდე, რამენაირად არ მოიწყინო, სადავე არ წახვიდე, მარტო რომ დაერჩე, გული გამისკდება...

ვაბომ ნელის თვალი გააყოლა კრეპდენის კაბა ტანზე კარგა ადგა, მაგრამ მაინც მოშვებული ეჩვენა მისი აღნაგობა. წინათ ასეთი არ იყო, კოხ-

ტა მიხრა-მოხრა შეენოდა, ახლა კი... იქნებ სიცხემ და ამ მღუწყობებელმა ქალაქმა დააყენა ვაბო ცუდ-გუნებაზე და ამიტომ აღარ ხიბლავს ნელი; პირველად აღეძრა გრძნობა, თითქოს ამ დიდებისმოყვარე ქალის არსებაში რაღაც გულსამრევე რღვევა შეპარულიყო...

უბლი შეიკრა, ქუჩის მეორე მხარეს, უკვე წელმომავრებულ ავაციების ხეივანში შევიდა. ნიაექარმა დაუბერა, საამოდ იწყეს შრიალი წვრილმა ფოთლებმა.

ვაბოს დრო ბევრი ჰქონდა, ჩრდილში შედგა და ახალი შენობების სხვადასხვანაირ აიგნებს მოავლო თვალი, მერე სახლებს შორის, ეხოვებსა და მოედანზე დარგულ მცენარეებს დააკვირდა.

ვიან გაცოცხლებულიყვნენ თავწაჭრილი ხეები, შტოები ჯერ არ წაზრდოდათ, ფოთლები ღეროებზე გამოესხათ.

ძალიან გულდაბურული იყო ვაბო, მაგრამ მაინც არ შეეძლო არ დაენახა, რომ აქ ყველაფერი მეტისა და მეტის მშვენიერით ამომავალი დღეები მოჩანდა. ამ ბუნდოვანმა ხილვამ სიამე მოკგვარა. ბალისაკენ რომ გაემართა, ეს განცდა თითქოს შუქად აენთო და წინ გაუძღვა.

დაბლობში ჩავიდა და ბებერი ვერხვის ჩრდილს შეეფარა. ბაღში არაფერ იყო. მდინარეში რამდენიმე ბავშვი ბანაობდა. ვაბო ძველი ტყე მზის თაკარა სხივებში ბზინავდა. სამხრეთ-დასავლეთით აღმართული რუხი მთა უკვე გადაყვითლებულიყო, თიხისფერი ფლატები სიხისაგან ვარვარებდა. ეს იყო მხოლოდ, რომ ნიაექარს აქ მეტი სიგრილე მოჰქონდა და ვაბოს სიცხე იმდენად არ აწუხებდა.

გზადმიმავალმა ქაბუკმა ვერხვის ჩრდილში ვაბო დაინახა. შეჩერდა, შავი წარბები ასწია, მრგვალ სახეზე გაოცება გამოეხატა.

— კაცო, თუ არა ვცდები, მგონი, ვაბო უნდა იყო!

ვაბომ მალა აიხედა და მყისვე თავისი სკოლის ამხანაგი სოსო გიგაშვილი იცნო. სოსო ობოლი ბიჭი იყო, ბიძამ წაიყვანა თბილისში და გახარდა. საშუალო სასწავლებელი ვაბოსთან ერთად დაამთავრა, მერე რომელიღაც ტექნიკუმში მოეწყო, ახლა აქ მუშაობს.

— მეც არა ვთქვი, ვინ არის-მეთქი ეს უცხო კაცი, აქაური არ უნდა იყოს-

მეთქი. თურმე ჩვენი გაბო არა ყოფილა! — წარმოსთქვა სოსომ და გაბოსთან ჩაირბინა.

— საიდან, კაცო, როგორ?

გაბომ უხერხულად ჩასთვალა ეთქვა — ქალს ჩამოვყვევით, ამიტომ გაურკვეველად უპასუხა:

— გამოვიარე... მინდოდა არიში მენახა.

— მერე იყავი, ნახე რამე?

— ჰო... ქალაქი დავათვალიერე, სიცხემ შემაწუხა და აქეთ ჩამოვუხვიე.

— საამქროებისაკენ არა ყოფილხარ?.. ჰოდა, შენ, ძმაო, ჯერ არაფერი არ გინახავს. ამ ძველი ხეებისათვის აქ რად მოდიხარ, ასეთი საქართველოში ყველგან არის. შენ ჩვენი დიდი მშენებლობა უნდა ნახო. წამო, მეც გზა სწორედ იქითა მაქვს.

გაბო შეტკბმანდა. ვაი თუ ნელი მოვიდეს და აქ არ დაეხვდეთ, გაიფიქრა. სოსომ მერყეობა შეატყო, აბრეშუმის ქათქათა ხალათზე თვალი დამცინავად დაჰკრა.

— შენ რა, ხომ არ გეშინია, ტუტყვი მომეცხებაო? არა უშავს რა, გაირეცხება, გეტყობა, ჯერ კიდევ არ მოგიშლია აზიზ-მანიზობა. წამო, ერთი ჩვენი ბიჭები ნახე, მაშინ გაიგებ, რატომ ამბობენ — არიში ახალგაზრდების ქალაქიაო.

გზაზე ავიდნენ. სოსომ მშენებლობისაკენ მიმავალი საბარგო მანქანა დაინახა, ხელი ასწია. შოფერმა იცნო და გააჩერა. თელიდან ახტნენ ცარიელ მანქანაზე, კაბინის სახურავს დააყრდნენ ხელი.

დაიძრა მანქანა. ნიავეი გაძლიერდა. გაბომ ქულდი გაიმავრა. სიმამაცედ ჩათვალა თავის თავს ეს ვასეირნება.

გასცილდნენ ქალაქს და გაბოს თვალებში გაუფართოვდა. უცნაური ძალით მიიზიდა პირქუში საინახობის სიღიძღემ. ნუთუ მართლა რამდენიმე წელიწადში აშენდა ყოველივე ეს?! რა ძალა მოერია? ახლა ვინ ამოქმედებს? უნებლიეთ შეავლო თვალი თავის სკოლის ამხანაგს. დავაყვაცებულა, მზე მოკიდებია. სხვამხრივ ისევ ის არის. რა იქნებოდა, გაბოც რომ გიგაშვილის გზას გაჰყოლოდა?.. თვალები მოქუტა, მშენებლობის მიღმა, გათარუჯული გორებისაკენ გაიხედა. არიშელობა იუკადრისა. მერე მაინც ამ ახალშობილმა გივანტმა მიიპყრო მისი გონება. თავის

სიცოცხლეში პირველად იგრძნო უკმაყოფილება, რომ ჯერ არავეთარი დიდი საქმის მონაწილე არ იყო, არც არაფერი შეუტკმნია.

ქარხნის სამმართველოსთან მივიდნენ.

— მე აგერ მთავარ მექანიკოსთან ავირბეხ. მალე მოვალ. დილაამდის თავისუფალი ვარ, ჩემი გამოსასვლელი დღეა, მივყვეთ და დავათვალიეროთ აქაურობა. — თქვა სოსომ.

გაბოს ეგონა, მარტოდ რომ დავრჩები, ადვილად გავერკვევი მოულოდნელად მოზღვავებულ მთაბეჭდილებებშიო, მაგრამ, პირიქით, უფრო მეტად დაჯინდა საყუთარი თავის წინაშე. ამიტომ სცადა გულგრილად მიმოეხედა, დიდკატური ბოზა მიეღო.

„მარტოაც და, რა არის აქ განსაკუთრებული? — გაესაუბრა თავის თავს. — ცივია აქ ყველაფერი, ისე ცივი, როგორც რკინა და ფოლადი... მთავარი აღამიანია... კი, მაგრამ რომელი აღამიანი? ის, რომელიც არაფერს ჰქმნის, თუ ის, ვინც რკინასაც სულს უღვამს?..“

ეს კითხვა თითქოს ვიღაც სხვამ დაუსვა გაბოს, რადგან მისთვის იგი მოულოდნელი იყო, ძალაც არ შესწევდა, რომ მას შედაეებოდა. დერეფანში ვერ გასძლო, დაბლა ჩავიდა; მახლობლად დაფაზე სურათები დაინახა, მივიდა, გულისგადასაყოლებლად შეთვალა იერა. სულ მისი კბილა ახალგაზრდები იყვნენ. წინა თვის ვეგმა ზოგს ორასი პროცენტით შეეისრულებია, ზოგს მეტიო. აგერ ამ ბიჭს როგორ უბრწყინავს თვალებში! ეგ გულის სიღრმეში ნაფეთქი სხივია, ხამდვილი ვაეკაცები ესენი არიან, შენ კი...

— მოგეწონა ჩვენი ბიჭები? — მოესმა ამ დროს სოსოს ხმა. დაიბნა. არ უნდოდა სოსოსთან გამოემტლავებინა თავისი განწყობილება და ვანზე მიიხედა, გაურკვეველად უპასუხა:

— არა უშავს რა, ისეთივე სტაბანოველები არიან, როგორც ყველგან.

— მართლს ამბობ, განსაკუთრებული არა უნდა იყოს, მაგრამ შენს ხმას მაინც რალაც გულგრილობა ემჩნევა. აი, სწორედ ეგ არ მომწონს, — შეესიტყვა სოსო: — საიდან მოგდგამს, კაცო, შენ ეგ მედიდურობა? ჩვეულებრივიო... არავეთარი ჩვეულებრივი, ე. ი. ისეთი, რომელიც არც ავია და არც კარგი, ჩვენ არ გვახასიათებს. დღენია-

დაც ვსწავლობთ, ახალ ვეუფლებით, წინ მივდივართ. მომყევი ავტო და დააკვირდი... თუმცა ერთი ჩამოვლით რა უნდა ნახო? აქ თვეებით უნდა იარო, რომ ოდნავ მაინც ჩაწვდე ჩვენი მშენებლობის სულსა და გულს...

გაბომ თავის სკოლის ამხანაგს თავდახრით ახედ-დახედა; ძალიან ემწვავა იმ წამს აღმრული გრძნობა: ეგონა, სოსოს მალოდან დაეყურებო, თურმე პირიქით მომხდარა: სოსო გაზრდილა, წინ წასულა, თვითონ კი სამარცხვინოდ ჩამორჩენილა... უქნარა ქალს დაჰყვება კედში, სწავლასა და შრომაზე გული აიკრუა...

ეს ფიქრი შემდეგ ვეღარ მოიშორა. მიმოდირდა სამქროებში, ხედავდა ურთულეს მექანიზმებთან მომუშავე ახალგაზრდა ოსტატებს და ყველანი თითქოს მას უწუნებდნენ საქციელს, მის ჩამორჩენილობას დასცინოდნენ.

ელექტროლუმელთან შეჩერდნენ. აქაც ახალგაზრდა ტექნიკოსი გაბომს სკოლის ამხანაგი აღმოჩნდა. ჩია, ფერმკრთალი ბიჭი იყო. აქ კი მტკიცედ გამოიყურება, საქმისკაცისათვის დამახასიათებელი სიღინჯე შეენის. ლურჯ სათვალეს მოიპარჯვებს ხოლმე და ლუმელში იყურება.

— დღეს ჩვენ უმადლესი ხარისხის ფოლადს ვადნობთ, — გადაულაპარაკა მეფოლადემ სოსოს.

გაბომ დაინტერესდა, ლუმელში შეიხედა, რომ ენახა, თუ როგორ იხარშებოდა ეს უმადლესი ხარისხის ფოლადი.

— მაგრე თვალს გაიფუტებ, გაბომ! — უთხრა ტექნიკოსმა და სათვალე გაუწოდა.

გაბომ სათვალე აიფარა, ლუმელს მიუახლოვდა, ჯერ მზისფერი ზვირთების ვარვარმა მოსჭრა თვალი, მერე დააკვირდა და მოეჩვენა, თითქოს სიღრმიდან ოქრო ამოჩუხჩუხებს და ზედ რაღაც მოლურჯო ბურუსი ეფინებაო.

აი, თურმე რა ყოფილა ფოლადი: მზისა და ოქროს ელფერი მასნი შელუღებული. ამიტომაც იგი ასე გამძლე, ასე უტეხი.

სხვა სამქროში რომ შეიხედა, მაშინაც ვერ მოიშორა ეს მცხუნვარე ელვარება. თანაც ყველაფერი, რასაც ეცნობოდა, თანდათან რთულდებოდა, იზრდებოდა, ცამდის აღიოდა, თვითონ კი თავის გუნებაში სულ უფრო და უფ-

რო კნინდებოდა, მიწასთან სწორდებოდა. ბოლოს გასამხნეველად ერთი აზრი მოიშველია: „აა, მარტო მე როდის ვმკრთლები, საერთოდ აღაძიანი ემყება ძირს ამ გიგანტის წინაშე...“

თვითონაც გრძნობდა, რომ ყალბი იყო ეს აზრი, მაგრამ მას ვერ ეშვებოდა, თავის მესაფარებლად ესაჭიროებოდა.

— ახლა კი, ვიდრე მთავარ მშენებლობას ვნახავდეთ, ცოტა შევისვენოთ, — უთხრა სოსომ და რკინიგზის ლინდაგიდან გადაუხვია. მუშათა სასაღილოში შეუძღვა.

ეს მაღალჭირიანი შენობა რომელიც სახელოსნოსათვის იყო აგებული, სასაღილო შიგ დროებით მოეწყობო. მუშაბანდინ თაღებში ალაგ-ალაგ მინა ჩასმული არ იყო, ჰაერი შიგ ბლომად ჩადიოდა; თანაც უამრავი ბელურები სხდებოდნენ რკინის კოჭებზე, გუნდებდ მობოფრინავდნენ, მოსადილებს შეჩვეუოდნენ, აღარ კრიდებოდნენ.

ავტო ახლაც იმ მაგიდის გვერდით, სადაც სოსო და გაბომ დასხდნენ, ჩიტი ფარფატით დაეშვა იატაკზე, პურის ნაფხვეს დაჰკრა ნისკარტი, კი არ აიტაცა, მიმოიხედა, გაბომ არ მინახა უცხო სიტუმრად, იქვე დაუწყო კენკვა.

სოსომ კერძი მოაჯახინა. მერე თვითონ მივიდა დახლთან და სურა ლუდით გაავსებინა.

— თბილისის რესტორანთან შედარებით ეს ჩვენი სასაღილო არ მოგეწონება, მაგრამ იმედია არ დაგეძრახავ, გაბოჯან! — მოიბოდიშა სოსომ. — ახლა ვეწყობით, ჯერ მთავარი უნდა მოვითავთო, შემდეგ დანარჩენიც იქნება.

ლუდი მაინცდამაინც არ უყვარდა გაბომს, მაგრამ ახლა დალია თუ არა ორიოდე ჭიქა, ღივი შეება იგრძნო, წელში გაიპარათა, თითქოს რაღაც სიმძიმე მოიხსნათ.

— მოდიან ხოლმე აქ დასათვალიერებლად, მაგრამ ზოგს ძალიან ბუნდოვანი შთაბეჭდილება მიჰყვება, — ეუბნებოდა სოსო. — იცი, რატომ? მიმოფანტულ ნაწილებს ხედავენ, ვერ წარმოუდგენიათ, რა იქნება ყოველივე ეს, როცა საათივით აეწყობა...

ყურს უგდებდა გაბომ ამხანაგს და თანდათან თავისუფლდებოდა იმ შემზღულდელი შეხედულებისაგან, თითქოს კაცი მკირდებოდეს თავისი ნამოქმედარის წინაშე.

— მერე კიდევ, — განაგრძობდა სო-
სო, — ყველას როდი შეუძლია გაითვალ-
ისწინოს, რა სანახაობა გადაიშლება
მწვერვალიდან, თუ ზედ ასევე არ უხა-
ტრია. ასეთ მაღლობზე აღწევას კარგი
გული და თავდაუზოგავი ჯავა უნდა
დღი საქმეს ის შეიძინოს, ის შეიყუა-
რებს, ვისაც მასში წილი მიუძღვის...

„ეს უკვე მე მხეხება, მე მისაყვედუ-
რებსო“, — გაიფიქრა გაბომ, მაგრამ
საწყყინად არ მიიჩნია; უკვე გრძობდა
თავისთავში იმ შთავიგებისებური ძა-
ლის ჩანასახს, რომელმაც შემდეგ სულ
სხვა მხრივ წარმართა მისი ცხოვრების
გზა.

სასაილოდან რომ გავიდნენ, მზე
უკვე გადაბრლი იყო, ჩრდილოეთიდან
სამო ნიავე უმერავდა, გაბოს სიცხე
ლარ აწუხებდა.

მალე მთავარი მშენებლობის თვალ-
უწვდენელ კორპუსებს მიაღწენენ. ერთი
დიდი საამქრო უკვე გადახურული იყო,
შიგ მანქანები ხაწილები შეეხიდათ.

რკინიგზის რამდენიმე ლიანდაგი შე-
დიოდა ამ საამქროში. ბოლომდის თვა-
ლი ვერა წვდებოდა, მერე ხელმარჯვ-
ნივ უხვევდა, იქით კიდევ სხვა განყო-
ფილება იწყებოდა. ხილური აწყობები
წყობრად მიმოვრიალებდნენ. ფოლა-
დის ზოდების გასახურებელი „ქების“
მახლობლად უკვე აეწყოთ საოცრად
რთული მანქანა, თავისი მთავარი დაზ-
გითა და ვეება ბარბლიანი საგლინით.

გაბოს პირველად ეგონა, დეცაკატა
სამფლობელოში მოვხვდით, მაგრამ
შემდეგ ყურს უგდებდა სოსოს და
თვალ-ნათლივ ხედვდა, თუ როგორ ან-
თავისუფლებდნენ აქ მანქანები ადა-
მიანს მძიმე ჯაფისაგან, როგორ სულ-
ჩადგმულივით იძორავებდნენ ეს მრავ-
ალნაირი მექანიზმები.

ყოველ შესახვევში ახალი საოცრე-
ბა ჩნდებოდა; მიდიოდნენ და არა ჰქონ-
და დასასრული მაღალთაიდან კორპუ-
სებს, დაუმთავრებელ გვირაბებს, შეუ-
ღებავ ჩონჩხედებს...

ბოლოს, ღია ცის ქვეშ რომ გავიდნენ,
გაბომ თავისუფლად ამოსუნთქა, ქვემო
ქართლის მთებს თვალის მოაკლო და...

ივლებს ხოლმე ახალგაზრდა კაცის
ცხოვრებაში ისეთი წამი, როცა იგი არა
თუ დაინახავს, არამედ მთელი არსებით
იგრძნობს, ჩაწვდება შემოქმედი ადა-
მიანის მიერ გამოვლილსა და დაუსრუ-
ლებლად წინ მიმავალ გზას.

ასეთი განცლით გაიმსჭვალა იმ წამს
გაბომ, ამაღლდა, ძლივამოსილად წინმი-
მავლთა შორის თავისი თავიც დაინახა,
დაინახა და უმაღლე ამოძრავდა მასში
იღუმლად დაგროვილი ენერგია, დიდი
ასპარეზი წარმოესახა.

გავიდნენ თუ არა შარავზაზე, სოსომ
კვლავ გააჩერებინა მანქანა და რამდე-
ნიმე წუთში ქალაქში გაჩნდნენ.

გაბომ ბაღში მიმოიხედა, იქნება ნე-
ლი ისევ ზის სადმე და მელოდებოა.
როდი ეწყინა, ეამა, რომ ვერ ნახა. მე-
რე თავი გაიმართლა: ან კი რა საჭიროა
აქ მხლებელი? გავიდოდა სადგურზე და
ჩაჯდებოდა მატარებელში. „გული გა-
მისკლებათ“, — რატომ? რა საფრთხეა
აქ? ქალბატონური პრანკვა-გრეხაა, მე-
ტი არაფერი...

სოსო ჯერ კიდევ საერთო საცხოვრე-
ბელში ბინადრობდა. სამი ტახტი იდგა
ერთ ოთახში. კუთხეში, მაგრადზე სამი
ამხანაგის საერთო წიგნები ელავა.

ერთ მეტალურგს, მხატვრობით გა-
ტაცებულს, კედლები თავისი ნახატე-
ბით დაემშვენიებინა. აქ იყვნენ თავის-
ებურად გამოსახული გმირები „ვეფხის
ტყაოსნისა“, არიშის პეიზაჟები, კუნ-
თებმაგარი ფიზკულტურელები; ერთ
ტილოზე ქარხნის დახატვაც ეცადა
ახალგაზრდა მხატვარს, მაგრამ რომელი-
მე საამქრო კი არ იყო ზედ აღმართული
თავისი ფოლადისფერი იერთა და ცა-
დაწყვეტილი კვამლსადენებით, — არა,
ქარხანა სურათის სიღრმეში ივლისს-
მებოდა ოღნავ მჩინარე სილუეტით,
ხოლო წინაპლანზე ზურმუხტისფერი ბა-
ლი იყო და შიგ ჯანსაღი ქალ-ვაჟი შე-
დიოდა.

ხელ-პირი დაიბანეს, გაგრილდნენ.
თვითონაც არ იცოდა გაბომ, რამ მიიზი-
და ამ უბრალო ოთახში. არავითარი
სანებივრო აქ არა ხიბლავდა. რკინის
საწოლებზე სუფთა ლოგინი იყო ვაშ-
ლილი, ფართო ფანჯარიდან ჰაერი უხ-
ვად შემოდოდა, ჩამავალი მზის სხივ-
თა ანარეკლი კედლის სარკეზე თინათი-
ნობდა, სხვა არა იყო რა, გაბოს მაინც
შეშურდა ამ ახალგაზრდების ცხოვრე-
ბა, რადგან ისინი არც შრომობდნენ და
არც სხვა ვინმესაგან დამოკიდებული
აღარ იყვნენ, თავისი ძალონით ეკა-
ფავდნენ გზას. არასოდეს ასე ცხოვლად
არ შეუთვისებია ის აზრი, რომ ნამდვი-
ლი შინაგანი თავისუფლება მხოლოდ
საკუთარი უნარით, საკუთარი შრომით

მოიპოვება, სხვა მას ვერაფერს მოგანიძებს.

სოსომ კუბრივით შავი ქოჩორი შეისწორა, წიხებიანი მაგიდათან შედგა და იქვე ერთადერთი სავარძელზე ზურვით მისვეხებულ გაბოს დააქცერდა.

იყო დრო, როცა სოსოს მოსწონდა გაბოს ჩაცმა-დახურვა და გულუხვობა; ჯიბის ფული მუდამ ჰქონდა გაბოს, თეატრს, კინოს, ფეხბურთს არ აკლდებოდა, სოსოც ბევრჯერ წაუყვანია. მაშინ სოსოს თვალში ეს დიდი უპირატესობა იყო. ახლა კი ისეთი გრძნობა აქვს, თითქოს თვითონ ცხოვრების ყველა ხვეული მოველოს, ცოდნით გააღწივს, სოსოც ბევრჯერ წაუყვანია. მაშინ სოსოს თვალში ეს დიდი უპირატესობა იყო. ახლა კი ისეთი გრძნობა აქვს, თითქოს თვითონ ცხოვრების ყველა ხვეული მოველოს, ცოდნით გააღწივს, სოსოც ბევრჯერ წაუყვანია.

— გიყურებ, კაცო, და ის დრო მაგონდება, მასწავლებელს რომ ვაჯავრებდით ხოლმე, — ღიმილით თქვა სოსომ: — გახსოვს, როგორ ავგიტყდებოდა ხოლმე სიცილი, როცა მთელი გულისყურით უნდა გვესწავლა?.. ჰოდა, აგრეა, რას იზამ, სიყრმის ცოდვებია... ჰო, რა მინდოდა მეთქვა?.. რატომ მაგონია, კაცო, თითქოს შენ ისე იმ სიყრმისდროინდელ ქვეყანაში იყო ჩარჩენილი, მე კი შორი გზა მომეწვლია? არა, როდი ვამბობ, არ გაზრდილხარ-მეთქი. უკვე დავაყვაცებულხარ, უღვაშები წამოგზრდია, მოხდენილად გაცვია. ფერხილები ისე გაკრიალებული გაქვს, იქნება ეგონება, მანიკიურს იყეთებსო... ეგ არაფერი, კოხტობა წინათაც გიყვარდა, შენ ეს მითხარი, სწავლის საქმე როგორა გაქვს?

ჩაფიქრდა გაბო. რა უპასუხოს? განა არ შეუძლია საბატიო რამ მოიმიზეზოს, ან სიტყვა ბანზე აუგდოს? ან არა და, ვინ კითხავს სოსოს. თუ რა გზას ადგია გაბო, რა მიზანი აქვს დასახული? მაგრამ გაბო ახლა ისეთ გუნებაზეა, რომ არ შეუძლია გულწრფელი არ იყოს ამხანაგის წინაშე.

— ეჰ, — ამოიხრა მან, — სწავლას კიდევ დავეწევი, ეგ არაფერია, მხოლოდ... პირდაპირ გეტყვი, ასე მაგონია, რაღაცას ფეხი წამოვკარი, დავეცი და ადგომას ვეღარ ვახერხებ...

— რატომ, შე კაცო? რა გაბრკოლებს?

— მაგის თქმა რომ შემიძლოს, მაშინ ხომ დაბრკოლებაც აღარ იქნებოდა.

— უცნაურად ლაბარაკობ, გაბო!

ჩვენს დროში ახალგაზრდა კაცმა თავისი სამოქმედო ასპარეზი როგორ ვერ უნდა გაითვალისწინოს?

გაბომ შებლი შეიყარა, სოსოს ხედავს, გულზე ბოლმა შემოაწვა, რადგან თავი ისევე დამცირებულად იგრძნო. მძიპედ წამოდგა, სოსოს ხელი გაუწოდა.

— წავალ ახლა მე... დღეს აქ ბევრი რამ ძალიან საგულისხმო ვნახე... თუმიცა... ჰო, ეგ კი არაა მითავარი... პირდაპირ გეტყვი, კარგა ხანია ვებრძვი თავს და ვნახობ, ჯერ კიდევ ავწონ-დავწონი, იქნება ისევე ძოვიდღე შენთან, მაშინ მოვიტათობიროთ...

სოსომ ავტობუსამდის გააცილა. დაიბრა მანქანა და თავისთავთან მარტოდ დარჩენილმა გაბომ მკირეოდენი შვება იგრძნო, გაოგნებულად მოაგლო თვალი მგზავრებსაც და გარემოსაც.



შინ ღამით მივიდა. დედ-მამას სახე აარიდა, ვახშამი არ მინდაო, თქვა და თავის ოთახში ჩაიკეტა. ძალიან აფორიაქებული იყო, საუბარს გაუბრუნდა.

დედამ კარზე დაუკაკუნა.
— რა ამბავია? — ცივად იკითხა გაბომ.

— გაბრიელ, შვილო, ნელი ტელეფონზე გიხმობს. შეათეჯერ დარეკა ამ საღამოს.

— თუ გიყვარდე, დედა, უთხარი, არ მოსულა-თქვა.

— როგორ-ღა, შვილო! მე უკვე ვუპასუხე, მოვიდა-მეთქი. გამოდი, უხერხულია.

მკვეთრი მოძრაობით ვალო კარი გაბომ, სწრაფი ნაბიჯით მივიდა ტელეფონთან, ყურმილი აიღო.

— გისმენთ.

— აჰ, გაბო, გენაცვალე! სად დამეკარგე? ცუდი ხომ არაფერი შეგემთხვა? შიშით გული კინაღამ გამისკდა აუცილებლად მოდი, გელოდები, უშენოდ ვერ დავემშვიდდები. ხომ მოხვალ, გაბო, გენაცვალე?

— არ შემიძლია, დაღლილი ვარ, — მკვანედ უპასუხა გაბომ და ყურმილი დასდო.

დედამ, ფერხორციანმა, შავთვალწარბა ქალმა, გაკვირვებით გააყოლა თვალი შვილს, მერე თავი გაიქნია და ქმართან მივიდა, რომ, ვინ იცის, მერამდენეჯერ ელაბარაკნობ, თუ როგორ შე-

ეწყობთ ხელი ერთადერთი ვაეცისათვის, როგორ დაეშთაერებინებინათ უმალესი სასწავლებელი. იმთავითვე მეტი შვილი არ ისურვეს, დაეიტვირთებითო, ხელი შეგვეშლებაო. ეს ერთი ბიჭი კი მათ თვალში ყველა ბავშვისაგან განიჩრეოდა; ასე ეგონათ, თითქოს იგი რალაც განსაკუთრებული, სრულიად თავისებური არსება იყო. ამიტომ ზრდიდნენ ასე სათუთად. ბოლოს იქამდის მივიდნენ, რომ ხმის შებრუნებაც კი ერიდებოდნენ. აი, ახლაც ძალიან ეწადიდათ გამოეკითხათ, სად იყავი, მოწყენილი რატომ ხარო, მაგრამ გაჩუმება აარიეს.

გაბო კარგა ხანს იღვა ფანჯარასთან, მახლობლად აღმართულ ქაღარს მისჩერებოდა; ელექტრონის შუქით განათებული ფართო ფოთლები ოდნავ ირხეოდნენ, თრთოდნენ, გაბოს ფიქრიც თითქოს ასე წყნარად მოძრაობდა, მისგან დამოუკიდებლად გადადიოდა საგნიდან საგანზე... უცებ თითქოს შეკრთა. მიმოიხედა, გაიარ-გამოიარა, მერე რამდენიმე დღის წინათ წაკითხული წიგნი აიღო, გადაფურცლა, ბოლო გვერდი ჩაათვალიერა. თვალწინ დაუდგა საშინელ სილატაკეში აღზრდილი ყმაწვილი, რომელმაც ძველი ცხოვრების მძიმე ჭაპანი ზღა, მრავალი დამცირება განიცადა, მაინც არ შედრკა, ტანჯვასა და შრომასი ეწრთო; დროს რომ იმოვნინდა, კითხვობდა, დამეებს ათენებდა, სწავლობდა. ბოლოს უდიდესი აცვი გახდა. რა ამოძრავებდა? რას ესწრაფოდა? აგერ რა კარგად ამბობს:

„ისე მინდა ვუბიძგო მთელ დედამიწას და თავისათვისაც, რომ ყველაფერი — თერთონ მეც — დაიძრას სასიხარულო გრიგალივით, იმ ადამიანების სადღესასწაულო როკეასავით, რომელთაც უყვართ ურთიერთი და ეს ცხოვრებაც, დაწყებული სხვა ცხოვრებისათვის, ლამაზი, სახალისო, კეთილსინდისიერი ცხოვრებისათვის“.

მერე კიდევ:
„შემოდგომის ღრუბლიან დღეში... აცდენილვარ გზას, დამიკარგავს ყველა ბილიკი, მომბეზრებია მათი ძებნა, დამიძაბავს ძალღონე და მივლია პირდაპირ უღრან ტყეში, ჩამპალ ქაობის მერყევე კოლობოხებზე, — და ბოლოს მუდამ ვაესულვარ გზაზე“.

„ჰოდა, — თქვა გუნებაში გაბომ. — მართლა იდიოტი უნდა იყოს ჩემს პირო-

ბებში მყოფი ახალგაზრდა, რომ გზა ვერ იპოვოს, ცხოვრებას წამოიჩქეს, ეკუთვნიდა ვერ ივარგოს“...

ამ სიტყვებმა სიმშვიდე მოჰგვარა. წიგნი მაგიდაზე დადო, გაიხადა, დაწვა და მალე ღრმად ჩაეძინა.

ღლით დღე ადგა, დედამამა გააოცა, ზელ-პირი ცოცხლად დაიბანა, მაგრამ სახელმძღვანელოები დააწყო, რვეული გაშალა.

დედა მოკრძალებით მიეახლა, წიგნებს დახედა, მხარზე ხელი დააყრდნო და სიყვარულით უთხრა:

— ნეტავი გული მიუღებდე, შვილო, და გაგვახარებდე!

გაბომ დედას თვალი გაუხსწორა და მტკიცედ უთხრა:

— დარდი ნუ გაქვს, დედი, არ ჩამოვჩრები, დარჩენილ საგნებს შემოდგომაზე აუცილებლად ჩაეძარებ, იქნება პრაქტიკანტადაც მოვეწყო სადმე.

— თი, შენ კი შემოგველე, ჩემო ერთადერთო! — აღმოხდა დედას და გაბოს თამზე ხელი დაუსვა, მიეფერა.

ამის შემდეგ რამდენიმე დღეს ამხანაგთან მეტადინებოდა გაბო. შინ რომ მიდიოდა, ირგვლივ ფრთხილად იხედებოდა, ნელის არსად წავაწყდო.

ბოლოს ნელიმ ალღო აუღო, მოსახვევში მოულოდნელად შეეხეჩა.

— შენი ქირაზე, სად დამეკარგე, სად? — ჩუმად უთხრა სახტად დარჩენილ გაბოს და მკლავში ხელი გამოდღო, გაიყოლია.

გზაზე არც ერთს ხმა არ დაუძრავს, მღუმარედ მიდიოდნენ. შესასვლელთან გაბომ ძალა მოიკრიბა, წასვლა მოიწყინა, მაგრამ ნელიმ მკაცრად შეხედა, მკლავი მოხვია და ოთახში შეიყვანა.

დასხდნენ. ნელიმ ვნებით აბთებული თვალეები მიაპყრო და ხელი ასწია, რომ ჩვეულებისამებრ ნიკაპზე მოესვა, მიაციცებოდა.

გაბომ კოპები შეიკრა, თავი გასწია, რომ ნელის ხელი აერიდებინა.

ქალი შეძრწუნდა. ხელი გაუშეშდა. ვაჟის ამ უბრალო მოძრაობამ ყოველგვარ სიტყვაზე უფრო მეტად აგრძობინა, რომ მათ შორის უფსკრული გათხროლიყო, უწინარეს ყოვლისა შელახულმა პატივმოყვარეობამ აიტაცა, გორიზად წამოდგა.

— გაბო, — დახშული ხმით მიმართა: — რა მოგდის? რა ნახე იმ დღეს, რომ მას შემდეგ ჩემსკენ აღარ იხედები?

მთელი ტანი უცახცახებდა ნელის, ტუჩები უთრთოდა, მაგრამ გაბოს რაღა შეებრაღა, რაღაც ზიზლისმაგვარი გრძნობა აღეძრა და განზე მიიხედა.

— ღმერთო ჩემო, ამას რას მოვესწავრი! — ამოიგმინა ნელიმ, თავის კანში ევლარ დაეტია, ფანჯარასთან მივიდა, მერე უცებ შებრუნდა, თვალები დაწყურა და მძიმედ, ოღნავ წინ წაბრილად გასწრა გაბოსაყენ, — ასე კატა ებარება ხოლმე თავის მსხვერპლს.

გაბო შეჩქვიფდა, ნელის მიაშტერდა, ჯერ მხოლოდ მისმა მედიდურობამ გააოცა, მერე მის ჭრელ თვალებში ხანდაზმულობას მიღწეული ქალის დადუღებული ვნება ამოივითხა, მარტოოდენ ბიწიერი ვნება, ამასთან კიდევ — გაუმადლარი, გესლიანი შური, და მთელ სხეულში ცივმა ურუამტელმა დაუარა; როგორც იყო, მიახლოებულ ნელის ხელოდან დაუსხლტა, კარი მძლავრად გამოსწია და ქუჩაში გაიქრა.

მოეღანთა შეჩერდა. ჩაიფქრდა. დარწმუნდა, რომ გზაჯვარედინზე იდგა. მთელი მისი მომავალი დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რა მიმართულებას აირჩევდა, საით წაივლიდა.

სათს ვახედა. ტროლებუსს მიაშურა, რომ არიშში მიმავალ მატარებლისათვის მიესწრა.

სალამოს სოსო ბინაში დახედა, სიხარულით მიეგება.

მცირე საუბრის შემდეგ ღუმელი ჩამოვარდა. მერე გაბო ამხანავს ნდობით მიატყურდა და გულახდილად დაიწყო:

— არ ვიცი, როგორ გითხრა... იმ დღეს აქ... შენთან დიდი რამ ვანიცადე... მაგრამ ტყუილი იქნება ვთქვა, მოვედი აქ. ვნახე ეს ჩვენი დიდი მშენებლობა, ეს ქალაქი, ეს აღორძინება და უცებ სხვა კაცი გავხდომ-მეთქი. კარგად იცი, ასეთი რამ უეცრად არ ხდება. დიდი ხანია ეფიქრობ ამაზე. მერე კიდევ მშობლები, ამხანავები, მასწავლებლები. ბოლოს და ბოლოს ცაში ხომ არა ვარ გამოკიდებული. ყველანი მიმითითებენ, რომ ყალბ გზაზე მოიხვედი... ესეც არაფერი, ეს ადვილად გამოსწორდება, მაგრამ მთავარი რა არის იცი?..

ადგა, ფანჯარასთან მივიდა, ლამაზ აივნთან კოტეჯებსა და იმ წელს გახარებულ მცენარეებს გახედა, მერე ნელა შებრუნდა და სოსოს თვალი გაუსწორა:

— პირდაპირ გეტყვი. ამას მე საკუთარ თავსაც არ ვუბნებდი, ხანდახან თუ

გულს შემომამწეებოდა და ქენჯნას დამიწყებდა, მედიდურად მოვიშტრებდი, ამოდის ფილოსოფიას მთავიშველთებდი... იცი, სოსო, პირდაპირ გეტყვი: ყველა უქნარა, ყველა ზარმაცი თავს ამით იმართლებს. აქაო და, რად უნდა მივაყლა თავი ამა თუ იმ საქმესო. ყველაფერი წარმატებით. თვითონ მზეც კი ჩაქრებაო, ჩვენი ღელამიწა ხომ სახსენებელი არააო... იცი, სოსო, ძველი ბატონკაცური აზროვნების ყველაზე საძაგელი გადმონაშთი სწორედ აი ეს არის! დაუღლება რომელიმე უქნარა, ფეხს ფეხზე გადაიდებს, თამბაქოს გაბართლებს და მოყვება, რა ყრია ამა თუ იმ საქმეშიო. კარგი ცხოვრება კი აუცილებლად უნდა. ამისთვის არაფერს არ დაჟირდება, იმიტირებებს, მითითებებს, გაფლანგავს. ვიცობო მე ასეთ ვებატონებს... ჰოდა, სოსო, პირდაპირ გეტყვი: შენ უნდა დამეხმარო, მოჯადოებული წრილად უნდა გამომიყვანო...

სოსო პირველად ხედავდა თავის ამხანავს ასე დაეკაცებულს, პირველად გრძნობდა იმ ძალას, რომელიც მის წამოგზნებულ, ხორბლისფერ სახესა და სქელ წარბებს ქვეშ მოელკარე შავ თვალებში გამოსკვივოდა. ამიტომ გაკვირვებით ჰკითხა:

— რას ამბობ, კაცო! ჩემი დახმარება რაში გესაქიროება?

— აუცილებლად მჭირდება! შენ ეს არ გამოგიცდია, სოსო! პირდაპირ გეტყვი: მთავარი ის კი არაა, რომ იცოდე — ესა თუ ის საქციელი ცუდიაო, ან ამა თუ იმ ნაბიჯის გადადგმა საჭიროაო, არა, საქმე ის არის, რომ კეთილი სურვილი უთუოდ განახორციელო, დიდი მიზნისათვის საჭირო ნაბიჯი აუცილებლად, ყოველ მიზეზს გარეშე გადადგა, საქმე ის არის, ჩემო სოსო, რომ კაცის სიტყვა და საქმე ერთი იყოს!

— ეგ ხომ აგრა, რალა თქმა უნდა. — დამეოწმა სოსო.

— ჰოდა, აი, რაში მესაქიროება შენი დახმარება... გეტყვი: შენთან უხდა ვადმოვიდე, არავითარი მოსამსახურე მე არა მჭირდება. საკუთარ ფეხზე უნდა დავდგე. ჩემი ამხანავი სტუდენტები სხვადასხვა ქალაქებში არიან პრაქტიკანტებად. მე აქ უნდა მოვეწყო... საქმე მამო, საქმე, აი, რამ უნდა გააჯანსაღოს ჩემი ცხოვრება!

— ჩინებულია! — აღტაცებით წამოიძახა სოსომ. — მოიტეა ხელი! აგრი!

ამიერიდან შენც არიშელი იქნები. მეც არა ვთქვი, როგორ შეიძლება, ასეთი კარგი გულის ბიჭი ჩვენი დროის ახალგაზრდობის გზას აცდეს-მეთქი! ამ ოთახში ერთი საწოლი კიდევ მოთავსდება. შემდეგ უკვე მოვეწყობით.

ჩამავალი შვის სხივებში ბზინავდა ქვემო ქართლის მთები, როცა სოსო და გაბო ქუჩაში გამოვიდნენ და კლუბისაკენ გაემართნენ.

ნიავექარს ძალა ემატებოდა. ახალგაზრდა ალვისხეები საამოდ შრიალებდნენ. ხეივანში პატარა ბიჭი სამფეხა ველოსი-

პედს მოაგორებდა. მშენებლები აივნებზე გამოსულიყვნენ. ეზოებში ბავშვებოთამაშობდნენ. მწუხრთან ერთად არიშის ველზე ეშვებოდა ის მაგრილებელი მყუდროება, რომელიც დიდი სიცხის შემდეგ ყველაზე მეტ სიამეს ნაშრომ ადამიანს ჰგვრის.

გაბო ძველი ტყის მახლობლად შეჩერდა, არა-ერთგზის გაბარტახებულ ნაფუძარზე აღმოცენებულ ახალ ქალაქს გახედა; პირველად შეიცნო, თუ როგორ ამაღლებს ადამიანს ეროვნული სიამაყის გრძობა.

(გაგრძელება იქნება)

გაგაუვილობა



გიგოლა აუჩქარებლად მიდიოდა სოფლის გზაზე. დაჰყურებდა მტკვრის იქით ნაპირზე გაშლილ ელექტროსადგურის ძმებებლობას და უყვირდა. წყალვარდნილის გასაკეთებლად, მდინარისათვის ახალი არხი გაეჭრა. მოსაბეტონებლად გაკეთებულ ფიცრების ყალიბში — მუშები დუღაბს ასხამდნენ.

— აქაც ახალ ხიდს აგებენ — კმაყოფილებით ჩაილაპარაკა ტყისმცველმა.

თითქოს დადღამ გაუარაო, ფარჯის კალთის ბოლოები ქაპარში გაიკრა და გზიდან გადაუხვია. ჩაუარა მაყვლის ბარდებით დაფარულ ბუქობს და მდინარის ნაპირს გაყვა.

უცებ ბაეშვების ხალისიანმა ყიყინმა მიიქცია მისი ყურადღება. დიდ მორევთან სოფლის ბიჭებს ლოდებთან დაეყარათ ტანისამოსი და სილაზე ქიდაობდნენ.

ტყისმცველმა იცნო შავგვრემანი ფალავანი დათა, რომელმაც ბეჭებით მიწას გააყრა ბეტრქე, შემდეგ წამოხტა და თავმომწონედ შესძახა ამხანაგებს:

— ვისაც გინდათ, გამოდით, ცალხელს სულაც არ ეიხმარ!

მსურველი აღარავინ გამოჩნდა. ბიჭები ერთ ხანს წალაპარაკდნენ. მერე შორეულად მიიბრინეს, შარვლები რიყზე დაყარეს და დათას ნიშანზე წყალში გადაეშენენ.

— ვინ იცის, რამდენი ქვა და ლოდი უგია ამ ტიალსა! — შეშფოთდა გიგოლა თვალი მოავლო მორევს, რომელსაც არა ერთი გაბედული ბიჭი ჩაენთქა.

ბიჭები ერთხანს აღარსად ჩანდნენ. გიგოლას მღელვარება დაეტყო. ის იყო, მორევისაკენ წასვლა დააპირა, რომ ბონდთან ყმაწვილებმა თავი ამოჰყვეს.

— შეხე ამ კინკებსა! — მიადევნა გიგოლამ თვალი თებროს ბიჭს — დათას, რომელმაც ტოლებს რალაც გადასძახა და სწრაფი მხარულით წყალს აღმა შეჰყვა.

— კარგი ბიჭი ჩანს, კარგი — გაჰყურებდა ტყისმცველი დაწინაურებულ დათას. — აბა, ცუდი რად იქნება მაგისი მამის შვილი. მოსწრებოდა ნაინც ის საცოდავი. ეჰ, განა ცოტა კარგი ვაჟაკი ინაცვალა ომმა, — გაიქნია თავი გიგოლამ, როცა დათა წყალში თევზით ამოტრიალდა. — რა იქნება, ერთი მაგისთანა ბიჭი ჩემს არემარეზეც დადიოდეს, იმედად მეყოლება, ქვეყანას რამეს არგებს, — გაიფიქრა სინანულით გიგოლამ, თითქოს ახლა გაიღვიძა მასში მამობრივმა გრძნობამ, — ეჰ, ბედია ყველაფერი. ბედი კი არა, კაცია სხვადასხვა. ერთი მგზავრი წყალს მოსახლესთან დაღევს, მეორე კი, წყაროსთან მისვლას დაელოდება.

გიგოლას მოაგონდა შეუძლებელი ქალები, ყველას რომ თითო წუნი დასდო. ვინ იცის, ეგებ მართლაც არაიზე მოუვიდა გული. ეს კია, რჩევა-რჩევაში წუთისოფელი გამოუღამდა.

გიგოლამ ერთხელ კიდევ შეაელო თვალი ბიჭებს, შემობრუნდა და ეკალბარდებში გაკვალულ გზას დაადგა.

ფიქრში წასულმა ვერ შეამჩნია, თუ როგორ ამოვიდა სამანქანო გზაზე და სოფლისაკენ გაემართა.

საღამოვდებოდა, გიგოლა რომ სოფელში შემოვიდა. აბა როდის ამოუვლია გიგოლას ამ გზაზე, რომ ქერივის კარშიდამოსთვის არ გადაეველოს თვალი?!

გოგრის ფოთლებით დაბურულ ღობესთან ტყისმცველმა ნაბიჯს უკლო. ჭიშკართან მივიდა და მწვანედ აბიზინებულ ეზოში შეიხედა.

შუა ეზოში განმარტობით იღვა პატარა, მოჩუქურთმებულ აივნის სახლი. სახლის შიშმა ბოსელი და შებოლოლი სამზარეულო მოსჩანდა. გიგოლამ ეზოში კუპრატულების ქვრივს შეასწრო თვალი.

ქალი სამზარეულოს აივნის ბოძზე გამობმულ ძროხასთან დახრილიყო და ხბოს რიგრიგობით აწოვებდა თითაჯიქანს. ხბო ნებიერად ბუნჩიდა ჩამოცილილ ცურს. ქალს ხელიდან უსხლტებოდა და დედის ფერდს ეკეროდა. თინიერ წაბლას თავი გვერდზე მოებრუნებოდა და შვილს ლოკავდა.

— საღამო შვიდობისა, თებრო! — დიძისა ტყისმცველმა და ფარაჯის სწორებით ეზოში შემოვიდა.

— გამარჯობა, გიგოლა, რახანია აღარ მინახიხარ! — მოიხედა თებრომ. თეძობთან ჩაკეცილი შავი ქვედაწეული ჩამოიშალა და საესე საწველელი რომ არ დაეღვარა, ხბო მუხლებზე მიიკრა.

— ეგ შენი ხბო ნამდვილად სამოზერეა! — ქუდი მოიხადა გიგოლამ და ქალის შორიახლო შეჩერდა.

— რა თავში ვიბლი. შვილები ბიჭები მყავს. ხბო — მოზვერი. ქათმებმაც ერთიანად მამლები გამოჩეკეს. ამ სახლკარის მრჩენელები მარტო მე და ჩემი წაბლა ვართ. — გადაივისკისა ქალმა და ისეთნაირად გადახედა ძროხას, რომ გიგოლამ იგრძნო. — თჯახის მარჩენალი სანახევროდ მართლაც წაბლა იყო.

— საიდან მოდიხარ? — ჰკითხა თებრომ.

— მთაში ვიყავი.

— შენი დღე და წუთისოფელი ნეტა რა გაძლებინებს ტყეში მარტოკას? — ქალმა ხბოს ადგილი მოუნაცვლა.

— მარტო რადა ვარ? ბარე ოთხი კოლექტივის ფერმაა ჩემს ადგილებში, — მოუგო აუჩქარებლად გიგოლამ. ის მთაში ადგილისა და ვარემობის მბრძანებელად გრძნობდა თავს, სოფლად კი ერთგვარად გაუბედავი და მოკრძალებული იყო.

— ეგე, რამოდენა ელექტროსადგურს აშენებენ? აქ არა სჯობს, რომ ვადმოხვიდე? — ქალმა მტკვრის ხეობისკენ გაიშვირა ხელი. რაკი ხბომ ოდნავი თავისუფლება იგრძნო, ხელიდან

გაუსხლტა და გაშმაგებული მიეჭრა დედას.

— ე ბიჭები სად დამეკარგნენ? — მოიხედა უკმაყოფილოდ თებრომ. ძროხასთან ახლო მიდგა და ხბოს ხელმეორედ მოასოსნინა ჩამოცილილ ცურს.

გიგოლამ თოფი მხრიდან მოიხსნა, სამზარეულოს ბოძზე დაჰკიდა.

— აქ მომეცი! — ჩამოართვა თებროს ხბოს კისერზე გამობმული თოქი. განზე გასწია. ხბომ იგრძნო გიგოლას ძალა.

თებრო სწრაფად დასწვდა ქურქელს და სამზარეულოში შევიდა. გიგოლამ ბოსელში შეიყვანა ხბო და შუაბოძზე გამოაბა.

— ე ყვავარი რად ავიხდია? — ჰკითხა კარებში შემოსულ თებროს და სახურავის ახილი კუთხე შეათვალთვარა.

— ქარმა გადახადა. ეს ერთი დედაკაცი ყველაფერს ველარ გავწვდო, — მოუგო თებრომ.

— აბა ამას რა დიდი საქმე უნდა. აქ არა ვარ, მოგეხმარები, — მოიწონა თავი გიგოლამ. ტყავის ქუდი კეფაზე გადაიწია და ისევ მოავლო თვალი ზოსლის სახურავს.

— თუკი მომეხმარები, მადლობის მეტი რა მეთქმის, — დაავლო ხელი თებრომ ზოსლის კუთხეში მდგმულ გოდორს, ხბოს შემეკნარაი ზალახი დაუყარა.

ხბომ იუკადრისა გუშინდელი ღიჭა უმადურად გვერდზე გადახტა და გიგოლას ფეხებში გაებლანდა.

— დახე ამ ცულლუტსა? — მოინაცვლა გიგოლამ ფეხი და წინ წამოხრის უბიდან პურები გადმოუცვივდა.

— უი დამიდგეს თვალი, ამოდენა ვაეკაცს პური უბით დაგაქვს? — გაიოცა ქვრივმა.

საჩქაროდ წამოკრიფა პურები. კალთაზე ჩამოიწმინდა და უხერხულად გალიმებულ გიგოლას ფარაჯის უბეზე წასწვდა.

— შენი მოსაწონი როგორ არავინ დადიოდა ამ არემარეზე, რომ ეგრე მარტოკა შემორჩი წუთისოფელს. რა წესია, ვაეკაცმა საგზალი უბით ატაროს?

— მეც კი ვიცი, შენ რომ გატარებდე უბით, ისა სჯობდა, მაგრამ... — ჩამოართვა გიგოლამ პურები და მარჯვენაში მოჰკიდა ხელი.

— დიდი ვარ, არ დავეტევი, ჩემო გიგოლა! — გაითავისუფლა თებრომ ხელი და ღია კარებისაკენ შემობრუნდა. შუა ეზოში დათას შეასწრო თვალი. ბიქს ხალათი მხარზე გადაედგო და დედას შეჰყურებდა.

თებროს მოხედვისთანავე ყმაწვილი შურღულივით მოსწყდა ადგილიდან. სწრაფად აირბინა აივანზე, ხალათი ჩელტებზე გაფენილ ქანჭურის კერკთან დაადგო და ოთახში შევიარდა.

— შეზე ამ ბრაცეს! — ეწყინა თებროს. გამოძვდილი თვალებით გიგოლას შეხედა.

გიგოლას კი დათა არ შეუნიშნავს. განზე იდგა და კინძკარში შემოსულ თებროს უმცროს ბიქს გაჰყურებდა.

ნიკოს ქამარში გაერქო წვერწატებილი ნამგალი, ახალი ბალახი გულზე მაგრა მიეხუტებინა და ჩქარი ნაბიჯით ეზოში შემოვიდა.

— დედი! — დაიძახა ბიქმა და ჩამოქნდილი ბალახი რომ არ დაბნეოდა, შედგა.

გიგოლა მიეგება ნიკოს. ბალახი ჩამოართვა. ილიაში ამოიღო. ნახევარი სამზარეულოს წინ გამობმულ წაბლას დაუყარა და ბოსელში შევიდა.

— რად ირჯები! — ხმის უნებური სიკვლეუცით შეაგება თებრომ გოდორი.

გიგოლამ არაფერი უპასუხა. ბალახი ჩაუყარა და მის შორიანლო გაჩერებულ ნიკოს ნამგალზე ანიშნა.

— კარგად სჭრის, ბიჭო?

— კარგად, — გაუღიმა ბიქმა, ნამგალი გაიძრო და კედელზე დაიკომა.

— აი უჩაღ, ახლა კი მე წამომყეყეარს გამოგატან. მე და შენ ბოსელის სახურავი გავაახლოთ.

გზაზე გამოსულ გიგოლას პატარა ნიკო ფეხდაფეხ მისდევდა და დაკვირვებით უთვალთვლებდა თოფს.

გიგოლაც არანაკლებად ათვალთვრებდა ცნობისმოყვარე ყმაწვილს, ხალათზე აწყვეტილი დილიც კი შენიშნა და დაკვირვებული გამოხუნებული შარვალი. „ჩემი შარვილიდან ერთი წყვილი გამოუვა“ გაიფიქრა და თვალით მოზომა ყმაწვილი.

— ძია გიგოლა, მაგ თოფში რამდენი ტყეცა ჩადის? — ჰკითხა ნიკომ; როცა უფროსის დაფიქრებულ სახეზე დამილი დაიჭირა.

— ხუთია! — შეანათა გიგოლამ ფართო კბილები.

— მძიმეა?

— აბა გასინჯე. — თქვა ტყისმცველმა და თოფი მხრიდან მოიხსნა. გიგოლამ ბიქს თოფი ჩქარა ჩამოართვა.

— დიდალე? — ჰკითხა ყმაწვილს, როცა ხეხილით დაბურულ პატარა ეზოში შევიდნენ.

— არა, სულ არა, — მიუგო ჯიუტად ბიქმა.

გიგოლამ პატარა სახლის აივანზე აცუვანა ნიკო, ვიღრე ოთახში შევიდოდა, თოფი მოიხსნა, ფარაჯა გაიხადა. კიბე სახლის სახურავის სხვენზე ასასვლელ კრილითან მიიღგა.

— აბა ახლა! თუ კი ის მძიმე თოფი ზადე, ამასაც მოერევი, — უთხრა ყმაწვილს და ყვერის კონაზე მიუთითა.

— მაგის წაღებას რა უნდა! — გაიცინა ნიკომ.

გიგოლამ მოაჯირზე დადგმულ ლიტრას ხელი წამოავლო.

— წყალი არა ყოფილა, ტიალი, — შეანჯღრია კურკელი.

— ახლავე მოვიტან, — წასწვდა ყმაწვილი ლიტრას.

— აბა, შენ გაზრდას!

ცოტა ხნის შემდეგ აივნის მოაჯირთან მიმდგარი გიგოლა ხელს იბანდა. „რა ჩქარა შეგაყვარებს თავს კარგი ბავშვი“, — ფიქრობდა ტყისმცველი და მალმალე შეაღებდა თვალს ბიქს, რომელიც დიდის მოხლოებით უსხამდა წყალს.

„კარგი ბავშვია, კარგი“ — გაიფიქრა ტყისმცველმა, როცა ბიჭი ქვის ყორეს მიეფარა.

ის იყო გიგოლა ოთახში შესვლას აპირებდა, რომ ეზოში სანდრო შემოვიდა.

— კიდევ კარგი, შინ შეგისწარი! — დაუძახა შორიდან სანდრომ.

— რა გავჭირვებია?

— სატყეოდან გამომატანეს, — აივანზე ამოსულმა სანდრომ გახუნებული ქუდი მოიხადა და ტყისმცველს ქალღი გაუწოდა.

გიგოლამ აუჩქარებლად გაშალა ბარათი.

ელექტროსადგურის მშენებლობის ვასამწვანებლად ორას ძირ ფიჭვის ნერგის ჩამოტანას სწერდა სატყეო განყოფილება.



ნერგებით დატვირთულ მანქანიდან გიგოლა მოხერხებულად გადმობტა, მანქანა საწყობის გვერდზე ჩრდილში მიაცუნებია და ხეების გადმოლაგება დაიწყო.

ნერგების გაშიშვლებულ ფესვებს გიგოლა სათითაოდ სველ ქილობში ხვედა, მიჯნით ერთმანეთთან დგამდა. თან ისე უთვალთვლებდა გაფუნჩულ შტოებს, თითქოს დღეაჩიტი დასაფრენ ბარტყებს ფრთებს უსინჯავსო.

გიგოლამაც დააფრინა თავისი ნერგები. — „ისინი ახლა ელექტროსადგურის მიდამოებს დაამშვენებენ“, — გაიფიქრა კმაყოფილებით ტყისმცველმა, ხელები დაიბანა და მშენებლობის სამმართველოს შენობისკენ წავიდა.

ქვის ორსართულიან სახლის კარებთან ფარაჯის აწეული საყელო გაისწორა და მზიან დერეფანში შევიდა. იგი მალე მშენებლობის უფროსის საწერ მაგიდასთან იჯდა და მთიდან ჩამოტანილ ნერგებზე ესაუბრებოდა.

— ერთი რამ უნდა შეკითხა თქვენთვის, — გაახსენდა გიგოლას თებროს რჩევა. ნერგების მიღების ხელმოწერილი ქალაქი მიხაისფერ ხალათის ჯიბეში ჩაიღო. — ჩემი შესაფერი სამუშაო ხომ არაფერი გექნებათ მშენებლობაზე?

— რატომაც არა, მუშახელს ვეძებთ.

— ჩემისთანა კაცისათვის განა რამე შესაფერი გექნებათ? — უხერხულად გაიღიმა ტყისმცველმა.

— რა ხელობა იცი?

— ტყისმცველი ვარ და ამ ჩვენი მთების ბილიკებისა და ხის ჯიშების გამოცნობის მეტი არაფერი.

— მასეთი ხალხიც გვჭირდება! — აგერ, — მიახედა უფროსმა ფანჯრისკენ, რომლის გასწვრივ წითლად აბრიალებული კნავისა და თრიმლის

ბუჩქებით დაფარული ქედი მოსჩანდა. იმ მთაზე ელექტროქსელი უნდა გადავიდეს. მალე ლითონის მსაგონი ანჭების დადგმას შეეუდგებოდა ამ მთების ბილიკების კარგი მცოდნე ჩვენ დიდად გამოგვადგება.

გიგოლა ყურადღებით უსმენდა მშენებლობის უფროსს. მან მოკლედ აუხსნა ჩასატარებელი სამუშაოების მნიშვნელობა და ისიც უთხრა: ახლა გზის შეთვალყურებისა, მონტაჟებისა და ტექნიკოსების მოსამზადებლად კურსებს ხსნიან. თუ კი მშენებლობაზე გადასწყვეტ მუშაობას, სატყეო განყოფილებას თითონ მშენებლობა გამოსთხოვს შენს თავსო.

სამმართველოდან გამოსული გიგოლა გაუთლელი ქვის, კირის და სილის დიდი გროვებისკენ გაემართა.

მუშების საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე სანდროს შეასწრო თვალი. ახალგაზრდა სხვებთან ერთად რკინის დიდ მანქანასთან იდგა და ბარის ლონტერი აქნევით მანქანის ღია სარქველში ქვიშას ყრიდა.

მანქანის შრეგული მუცელი ნელა ტრიალებდა. გამოფშვნილ ხრეშს ხევიანად განზე ისროდა. გიგოლა მიუახლოვდა სანდროს, უნდოდა მშენებლობის შესახებ რაიმე ეკითხა, მაგრამ სმენის წამრთმევე ხმაურში საუბარი შეუძლებელი იყო.

ტყისმცველი აუჩქარებლად შემობრუნდა და შორიასლოს გაჩერდა. მდინარის ნაპირზე ვაშლილ სამუშაოებს დაკვირვებით დაუწყო თვალთვლება.

არხი უკვე მზად იყო. კოხტად აგებულ სამანქანო შენობის გვერდზე, ფაფურის თეთრი გირლიანდებით მორთულ ღია ქვესადგურთან, ამწევი ონკანი ჰაერში მოუსვენრად ტრიალებდა და მუშებს ტვირთს აწედიდა.

ეს მანქანა მუდამ ხიბლავდა გიგოლას. ერთ აღვილზე კარგა ხანს იდგა. თან ერთი აზრი აპკვიატებოდა: თებროს უფროსი ბიჭი, დათა, მოეწყო მშენებლობის სახელოსნო სასწავლებელში. — ფხიზელი ბავშვია, ისწავლის, სხვას გვერდში ამოუდგება და კაცი დადგებაო.

დალამებას ბევრი აღარა აკლდა, ტყისმცველი რომ თებროს ეზოში შევიდა.

ყვითელკბილა სიმინდის ტაროები და გამოუფეშნელი ლობიოს ხვავი აივანზე გაეშალა თებროს. გიგოლამ ტაროებს მორიდებით შემოუარა და ოთახში შევიდა.

— სალამო მშვიდობისა, — დაიძახა მოსულმა.

პატარა ნიკო გადაშლილი წიგნით მაგიდასთან იჯდა და ცხელ რძეში ჩაფშენილ მკანდს მაღიანად შეექცეოდა. ფეხზე წამოხტა.

— ძია გიგოლა მოვიდა! — დაიძახა ხალისიანად და გაბრწყინებული თვალებით გაექანა გიგოლასაკენ.

ლობიოს პატარა ქოთნით და ცხელი მკანდებით მეორე ოთახიდან თებროს შემოვიდა.

— მობრძანდი, მობრძანდი, გიგოლა! — უთხრა კარებში გაჩერებულს და საკმელო მაგიდაზე დადო.

— რა ხანია ვფიქრობდი აქეთ შემოვლას, მაგრამ ვერ მოვიცალე, — თქვა გიგოლამ და სკამზე ჩამოჯდა, შორი ახლო გაჩერებული ნიკო ახლო მიიწია.

— ყავარი რომ გამომიგზავნე, აბა სად გცალია ბოსლის გადასახურვად, — უთხრა ღიმილით თებროს.

— მაგას რა დიდი დრო უნდა, ოლონდ ცოტა დამაცადე, — თვალმოუცილებლად მიუგო გიგოლამ.

თებროს ლამფა აანთო, სუფრას ცხელი რძე, ნიერის წნილი და ბოთლით ლინო შემოამატა, გიგოლა ვახშმად მიიწვია.

გიგოლამ ფარაჯა გაიხადა და ნიკოს გვერდით ტახტზე გადაჯდა.

— აქეთ სად იყავი? — ჰკითხა თებროს.

— გაღმა ვიყავი, მშენებლობაზე.

— ელექტრონის შუქს ჩქარა გვირდებიან, — გიგოლას დაკვირვებულ თვალს თვალი მოარიადა თებროს.

ღამის თალხი შეუმჩნეველად ჩამომდგარიყო სარკმლის იქით, როცა დათაც შინ მოვიდა. თებროს დატუქსა ბიჭი, გიგოლას მისი ურჩობა შესჩივლა.

გიგოლას დანახვაზე დათა წამოწითლდა. წარბი შეეყარა და ხალათის კალთის სწორებით მაგიდას მიუჯდა. მუთაქანზე გამოთილია კატამ თითქოს იგრძნო დათას მოსვლა. ზმორე-

ბით ადგა და მაგიდასთან მჯდარ ბიჭის მუხლებზე გადახტა.

— ვფიქრობდი, რვა კლას დაამთავრებს, ქუთაში ჩავარდებამეთქი. — და უსხა კერძი წარბშეკრულმა დედამ დათას.

— ემანდ მშენებლობაზე სწორეთ ამის შესაფერ სასწავლებელსა ხსნიან, — შეხედა მშვიდად გიგოლამ ბიჭს, მაგრამ მის თვალებში სიძულვილი ამოიკითხა.

— მშენებლობაზე რა უნდა გავაყეთო? — უკმეხად შეეგება ამრეზილმა დათამ.

— ხელობას ისწავლი. ტექნიკად იმუშავებ.

— ტექნიკოსობისა რა ვიცი!

— გასწავლიან, ახლა შეგირდებს იღებენ თურმე, — რჩევის კილოთი უთხრა ტყისმცველმა და მშენებლობის უფროსის ნათქვამი სიტყვა სიტყვით უამბო.

— ვის რა ესაქმება, მე რას ვისწავლი, — წამოენთო ბიჭი. მუხლებზე აკრუტუნებულ კატას ხელი დაავლო და იატაკზე გადაისროლა.

გიგოლამ წარბები შეკრა. ბიჭს გადახედა.

დათამ მის თვალებში გულწრფელი რჩევა ამოიკითხა და, თითქოს, ამან უფრო გააღიზიანა, ერთიანად წამოწითლდა.

თებრო, კარგად შეჩვეოდა ცხოვრების სიმკაცრეს, საკმარისი ალღო აეღო და ეჯობნა მისთვის, მაგრამ შეილის უხეშობამ დააბნია.

— შენ რომ არა, ჩემო გიგოლა, ამ საქმეს მე ვერ მოვიფიქრებდი, — თქვა ქერივმა და მის ფერწასულ ტუჩებზე ნაძალადეგმა ღიმილმა გაიბრინა.

— რათა, შე კაი ქალო, აბა ამ დროში უსწავლელი ვინ დარჩება?! — გადიწმინდა გიგოლამ ღვინით დასველებული უღვაშები.

— არა, მაგრამ მამაკაცის რჩევა სულ სხვაა, — შეანათა ქერივმა ღიმილით სანდომიანი სახე და ნიკოს შეჭამა დაუმატა.

— დათა ახლა პატარა კი არ არის, ის თითონაც იფიქრებდა რაიმე ხელობა შეესწავლა, — მხარზე ხელის დასაკრავად გადასწვდა გიგოლა დათას.

— მე თითონ ვიცი. ჩემი საქმისა არავის არაფერი ეკითხება, — მხარი აარიდა გიგოლას საქმელსწაჩერებულმა ბიჭმა. მოკუმული ტუჩები ჯიუტად შეკრა და აიშრინა.

გიგოლა დაიბნა. ჰაერში უხერხულად გაწვდილი ხელი გვერდზე მჯდარ ნიკოს თავზე გადაუსვა.

— ბავშვები არიან, ჯერ ამით წინ წაძლოდა და ქკუსი დარიგება უნდათ, — ჩაილაპარაკა ხმის დაწვეით.

ერთხანს უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. მეორე ოთახიდან ქვაბის ჩუხჩუხი მოისმა.

— წადი, დათა, სიმინდი მხად იქნება, — გადახედა შვილს თებრომ.

დათა მეორე ოთახში გავიდა, გიგოლამ თვალი მიადევნა ყმაწვილს, რომელიც ბუხრის წინ დადგა და ჩაფიქრებულა, ცეცხლს ჩააცქერდა. მერე დაწვდა ქვაბის სარქველს, მონადა და სიმინდი გაფრჩხილა.

გიგოლა აღვა.

— მოიცა, ძია გიგოლა, სიმინდი ვჭამოთ! — დაიძახა ნიკომ, — წამობტა და დათასთან გავიდა.

— ჩქარა მოიცა, ძია გიგოლა მიდის!

— წადი, დაიკარგე! — შეუტია დათამ, ქვაბი ბუხრის ნაპირზე დადგა და სიმინდის ტარობის ამოლაგება დაიწყო. — წადი, წაუღე, სულელი! — შიანჩია ნიკოს საესე ტაბაკი, და თავში წამოჰკრა ხელი.

— რა მოგივიდა! — შეხედა შეშინებულმა ბავშვმა და ხელმეორედ თავში წარტყმა რომ აეცდინა, კარებს მიაშურა.

— მოიცა, გიგოლა, სიმინდი არ გიყვარის? — აღვა შვილის უკმეზობით შემფოთებული თებროს.

— არა, გეთაყვა. სახლში მეჩქარება, — აღარ დაიცადა გიგოლამ, მის წინ გაჩერებულ ნიკოს ნიკაპზე ხელი მოუსვა, ფარაჯა ჩაიცვა. — თუ მოიფიქრებთ, მევე ჩავყვები მშენებლობაზე. — დაემშვიდობა თებროსს.

უმთავრო ღამის თალხებში ჩაძირულიყო სოფელი ლალისხევი. გიგოლა ეზოდან აუჩქარებლად გამოვიდა, ღამპიონებით გაჩირადლებულ ელექტროსადგურის მშენებლობისკენ გაიხედა და სოფლის სამანქანო გზას დაადგა.

მარტოხელას გული სახლში აღარ მიუწევდა. თებროს ოთახის სიბოტა ჯერაც არ გასცლოდა უბიძან. ნიკოს ქვერა თმის სირბილე ხელის გულზე ედგა, მაგრამ დათა? დათა აღონებდა.

გიგოლა სტუქსავდა თავის თავს, რომ ასე უეცრად შეიჭრა ქვერის ოჯახში და ბიჭის მყუდროება დაარღვია. აოცებდა ამ ბუბუთას ეჭვი. თუმცა თვით გიგოლა... ამ ბოლო დროს ხშირად ფიქრობდა თებროსა და იმის ბიჭებზე. მაგრამ რა იცოდა დათამ? რა იცოდა ბავშვმა?



შეადღე კარგახნის ჩამომდგარი იყო. გიგოლა და დათა თითქმის დამთავრებულ ხილზე გავიდნენ და მშენებლობისკენ გაემართნენ.

„ე, რა მამინაცვალავით დამადგა თავზე“, — ფიქრობდა დედისგან დატუქსული ბიჭი და გზაზე მიმავალ გიგოლას ფართო ბეჭებს მისჩერებოდა, „ხელობას ისწავლი, ხელობას“, უბასუხებდა ყმაწვილს რაღაც შინაგანი ხმა, „მე რა, თვითონ ვერ მივაგნებდი!“

არ გასულა დიდი ხანი, ამავე ბონდზე გიგოლა მარტო გამოვიდა. ხელში მშენებლობის უფროსის მოცემული ქალაქი ეჭირა და სოფლისკენ მიიქაროდა.

იჩქაროდა გიგოლა, რომ დროულად ასულიყო სატყეოში და თებროც ენახა. გზის შესამოკლებლად ის იყო აწულეებით დაფარული ფერდობი აირჩია, საცალფებო ბილიკს დაადგა, რომ დედაკაცების სიცილი და ხალისიანი შეძახილები შემოესმა.

— ალბათ, თებროც აქ არის, — გაიფიქრა გიგოლამ, კაკლის ხეებში მიმავალ ბილიკიდან გადაუხვია და კოლექტივის ბოსტანს მიაშურა.

კვლებში ქალები ხახვს იღებდნენ. გიგოლამ აუჩქარებლად ჩაუარა კომბოსტოს გამარჯული სერვუს, და ფარდლისკენ გაემართა.

მებალის წოწოლა კარვის წინ მიმავალი თებრო დაინახა.

ქალს ლურჯი ყვავილიანი კაბის სახელოები იდაყვებამდე აეკეცა და მხარზე შედგმული ხელკალათით ხახვის გროვასთან შედგა. მძიმედ ჩამოი-

ლო კალათი და ვადმოაბრქევა. ხახვი შრიალით გამოცვივდა კალათიდან. ხევეი ჩამოიშალა და ქალს ფეხებში ვაეფინა.

თებრომ განზე ვადმოინაცვლა. ფეხით მიხვეტა ბოსტნეული და შემობრუნდა.

— აქ რამ მოგიყვანა?! — შესძახა დანახვის უმაღ მისკენ მომავალ გიგოლას, კალათს ხელი ვაუყარა და შემოეგება.

— შენ შეგულები, — ხევისკენ მომავალ დედაკაცებს რომ არ ვაეგონათ, ხმადაბლა უთხრა გიგოლამ. ქალებს მიესალმა.

— რაში დაგჭირდი? — კარავის წინ გამართულ ვრძელ მერხისკენ წაუძღვა თებროს.

— დილით სახლში ვერ შევისწარი. დათა მყავდა მშენებლობაზე.

— რი ვაიგეთ? — ეთხრა თებრომ, კალათა მოწაზე დაავტო და ტალახიანი ხელები წაიფშვინდა.

— ხვალ ქაღალდები უნდა ჩაუტანოს, შეგარდებში ჩავაწერინე, — ღინჯად მიუგო გიგოლამ.

— უჰ, ჩემო გიგოლა, დმერთმა მომიცა შეხი თავი, თორემ მაგ ჯიუტს მე ვერაფერზე დავიყოლებდი, — განუსაზღვრელი მადლიერების გრძნობით უთხრა სახეგაბრწყინებულმა დედაკაცმა.

— არც მე ვიქნებოდი უმაღური ჩემ ბედისა, თუ შენად ჩამთვლიდი, — გულახდილად მიუგო გიგოლამ.

— მის ხმაში გულწრფელი და მართალ გრძნობა შეიცნო ქალმა, არ ვაკვირებია.

— ტყისმცველს თვალები წაართვა და ყველგვანან მოფუსფუსე ქალებისაკენ გაიხედა.

— ეჰ, გიგოლა, აბა რა ძალა გერჩის, სხვისა შეილები რომ არა ხარდიო! — სხვისები რაღად იქნებიანი?! — გაიოცა გიგოლამ.

— თებრომ თავი ასწია, წილში გაიმართა და გამოამცდელად შეაკვირდა გიგოლას.

— იფიქრე, იფიქრე, თებრო, — დაბალი ხმით უთხრა გიგოლამ. სისწორის ფარდულიდან კოლექტორის მოანგარაშე შეეხმინა.

— აქეთ ვადმოდი, გიგოლა, საქმე მაქვს შენთან.

— როგორც მოვიცლო, ჩამოვალ და ბოსელს დავხურავ, — უთხრა გიგოლამ თებროს და მიძიმედ წამოიღვა. ქუდი დაიხურა. თებრო არ განძრეულა. თვალი გააყოლა მტკიცე ნაბიჯით მიმავალს.

— უცნაურმა მღელვარებამ შენიყრო ქალი. აფფორიქა.

თავისი სიძლიერით ეს ვაგდა იმას, როცა ქმრის დაღუპვის ცნობა მიიღო, მაშინ თითქოს სახლს ჰკერი ახადესო, დასაყრდენი გამოეცალა, სასოწარკვეთილებას მიეცა.

მაგრამ სად ეცალა თებროს გლოვისთვის?! ორი ბეჭევი მის კალთას ჩამოუტეპებოდა და გარჯას სთხოვდა.

— შრომამ გაფანტა თანდათან მისი მწუხარება; სახელი გაუთქვა და კოლმეურნეობის მოწინავე ადამიანების რიგებში ჩააყენა. ქალმა იგრძნო პასუხისმგებლობის ვალი და სიმძიმე, მაგრამ ყველა გაუადვილდა, რადგან შრომის საერთო ფერხულში ჩაება. თუმცა სიმართლის გრძნობა შუღამ ღრღინდა ახალგაზრდა ქალის გულს.

გრძნობდა, გიგოლასთვის განსაკუთრებულად ძვირფასი და საყვარელი ვაზნადარყო. ეს გრძნობა ქალს სილამღე და ხალისს მატებდა.

— იმ დამეს, ვახშობისას, საუბრის დროს გიგოლას ხსენებაზე დათა ფარულად აკვირდებოდა დედის წამოწითლებულ სახეს. თითქოს ყმაწვილი შერიგებოდა მათ ოჯახთან გიგოლას სიახლოვეს. აღარ მოჩანდა მის თვალებში შეურიგებლობის ზიზღი. თებრო თვალმოუპოვებლად შეჰყურებდა დათას. ფიქრობდა, რომ ჩქარა ფეხზე დადგებოდა, გვერდში ახოვდგებოდა და შეუმსუბუქებდა ჯაფას. ამას ვაცოლებით უფრო გაეხარებინა ქალი, ვიდრე გიგოლას წინადადებას.

— დედი, ამ წულებს მე აღარ ჩაეცევა, შეხე, როგორ დამეფლთათა! — ტახტზე დაგებულ ლოგინზე ჩამომჯდარმა ნიკომ ფეხი აიშვირა.

— აი, დათა, როცა ჯამაგირს იღლებს, გვიყიდის, შვილო, მე თავმალსა, შენ კი წულებს.

მოგვიანოდ, როცა ბიჭებმა დიდიხნეს, თებროს არ ეძინა, ფიჭვს აპყროლოდა.

— ცოტა კიდევ და ბიჭები დაბეზრდებიან. აბა რა შვირს საიმისო, რომ უცხო კაცი ჩემს შვილებს მამად მომეყვანოს. არა, ჩემი მარჯვენით შემოტანილი პური უფრო გემრიელია, — გადასწყვიტა ქალმა და გვერდი იბრუნა.

იმ დღეებში გიგოლას თებრო აღარ უნახავს. სატყეოში ასვლისთანავე ქილალი გაუფორმეს და ფერმისკენ მიმავალ მანქანას მთაში გააყოლეს.

კვირის სწორზე გიგოლა ფიჭვის ნერვებით მშენებლობაზე ჩამობრუნდა და ზემს შეესწრო.

რკინის ჯვარედინი თაღებით გადახურული ხიდი უკვე დამთავრებინათ, მის გახსნაზე მთელი სოფელი ჩამოსულიყო.

სახელდახელოდ გაკეთებულ ტრიბუნაზე მშენებლობის უფროსი, მთავარი ინჟინერი და რაიონის წარმომადგენლები იდგნენ.

გიგოლა ხალხში გაერია, შამაკაცებში ჩაღვა და ტრიბუნასთან მოზღვავებულ ხალხს გადაავლო თვალი.

დასაჯილდოვებელ ხელოსნებსა და ბუმბებს გვერდით გიგოლამ მშენებლობის სკოლის შეგირდებს შეასწრო თვალი, დათაც იქ იდგა.

ბიჭს დიდრონი, შავი თვალები ყმაწვილური ცნობისმოყვარეობით გაბრწყინებოდა და ტრიბუნაზე მოლაბარაკი კაცს შეეყურებდა.

უცნაური კმაყოფილების გრძნობა მოერია ტყისმცველს. აუჩქარებლად შემობრუნდა და მანქანაზე დატოვებულ ნერგების გადმოსალაგებლად წავიდა.

სახელდახელოთ აგებულ კოაპერატივის ფარდულთან შეჩერდა. ჩითებთან და ტბილეულთან გაჩერებულ დედაკაცებს შეუერთდა და აბრეშუმის შოჩითული თავსაფარი იყიდა.

არ უნდოდა, რომ გინმე ნაცნობს მოეკრა თვალი, საჩქაროდ დაეცა და

ხალათის უბეში შეინახა. ფარდულიდან მომავალს თებროს მეზობლის ბიჭი შეხვდა, ბავშვის პირით ქალს შეუთვალა ხვალ დილით ბოსლის გადასახურად ჩამოვალო, და საწყობისკენ წავიდა.

— თან გვეყავი და... —
— ნორმული სკოლა... —
— ...

გვიანი შემოდგომის უღრუბლო დილა იყო. მზე უცნაურად დამთბარიყო, თუმცა ჩრდილში უკვე იგრძნობოდა სუსხი.

თებროს ეზოში შესულმა გიგოლამ ხალისიანად ჩაიარა სამზარეულოსაკენ მიმავალი ბილიკი და ხმამალა დაიძახა.

— შინ რომელი ხართ, გამოხედეთო! — თევანზე გაართულ სკამლოგინზე თოფრა დაადგო.

— დილა მშვიდობისა, გიგოლა ნეტა რად მავალეხ ასე? — ხელების წმენდით ბოსლიდან გამოეგება თებრო. მას ხარის მოძველებული უღელი, უძირა ღერგი, ქათმის საბუდარი, თუ სხვა რამ წვრილმანი ეზოში გამოეყარა.

— მე სასყიდელს არაფერსა ვთხოვ, — შეაცვივდა დიმილი გიგოლას. ქალის ხმაში ერთგვარი სიმკაცრე იგრძნო.

— მერიდება შენი შეწუხება!

— მეკუთვნის შენი ყურადღება. დაჩქარდა გიგოლა და გულისჯიბეში შენახულმა თავსაფარმა თითქოს შეაწუხათ, რამდენჯერმე უბეზე მოისვა ხელი.

— თუ კი აგრეა, მადლობის მეტი რა მეთქმის! — ერთგვარი გულდაწყვეტილი მიუღო თებრომ. გიგოლა რატომღაც გააზნევა თებროს ხმაში გამოქრთალმა სინანულმა.

— აბა, დავიწყებ! — ადგა გიგოლა, ბოსელზე კბე მიიღვა, თავზე გავდა და ყავარს ახდა დაუწყო.

ფუტური ყავარი კანტიკულად მოფრიალებდა. ბოსლის უკან ქანჭურების ძირში გამობმული ხმო, მიწაზე დევარდნილ ყავარს დაფეთებული გასცქეროდა.

— ნეტა ზღ დაიკარგა ის ბიჭ, ქრობა მაინც წაეყვანა საბალახოდ! — ხმამალა ჯავრობდა თებრო.

ნეკო ზართლაც ჩქარა მოვიდა. ჯერ გიგოლასთან აძერა. კიბეზე შემდგარს თოფრა ეჭირა ხელში და ყავრის შუა საღარეებსა და ლურსმანს აწვდიდა გიგოლას. მერე პური აიღო და საბაღანოდ წაიყვანა ძროხა.

— გაღმა არ წახვიდე, ბიჭო — გასძახა სამზარეულოდან შვილს თებრომ.

— იქით კარგი ბალახი მეგულემა.
— არა მეტეი, იქით საქონელს რა უნდა.

— ჰო, ჰო, — შეეხმინა ნიკო და იღლიაში ამოჩრდილი პურის ციციწით ახალ ხიდისკენ დაეშვა.

გიგოლამ გადმოხედა თავქვე მიმავალს, არ დაუძახა.



მიწურა შემოდგომის ხანმოკლე დღე. გიგოლა კიბიდან ჩამოვიდა, ახალი ყავრით აქრელებული სახურავი შემოათავლიერა და სამზარეულოს ივანზე საიზრის საქმელად ავიდა.

— აბა ღირდა ამის გადადება, — დაატანა გიგოლამ პურს ხელი.

— ჩუ, გიგოლა, ეს რა ხმა ისმის! — შესძახა უეცრად ქალმა.

— ბავშვები თუ ყვირიან სადმე!

— არა, რაღაც უბედურებაა.

— აბა, რა ვიცი, — ფერი ეცვალა გიგოლას. ადგა და ჭიშკარს მიამურა. ეზოდან გამოსული სულმოუთქმელად გაიქცა ხიდისკენ.

— რა ამბავია? — შესძახა ვშენებლობაზე გამოსულმა გიგოლამ გზაზე მომავალ დარაჯს.

— ძროხა ჩავარდნილა საგუბარში.
— როგორა კაცო!?

— აგერ, იქით, ბიჭსა ჰყოლია საძოვრად. აღბათ, ბალახმა თუ მიიტყუა. გიგოლამ სწრაფად აირბინა საგუბართან და გაცეცხული შედგა. მორევის იქით ნაპირთან მიმწყვედვულ წაბლას თებროს დათა ცურვით გარს უვლიდა. ცდილობდა, როგორმე აქეთ ნაპირთან გამოეგდო პირუტყვი. წაბლა არაფრად აგდებდა დათას შეძახილს. თავგამეტებით აწყდებოდა არხის კლდოვან ნაპირს, თუმცა მობეტონებულ საგუბრის კედელზე ფეხს ვერ იკიდებდა. ეტყობდა საქონელი ცდილიყო მდინარის გადმოცურვას, მაგრამ

კაშხალის სავარცხელა კბილებისაკენ მიმავალ ღინებას დაეფრთხო პირუტყვი. რკინის მოაჯირთან შეგროვული ხალხი დათას ამხნევებდა.

— ზურგზე მოაჯექი!
— ყურებში წააღე ხელი! — გასძახობდნენ ნაპირიდან.

გიგოლა შემობრუნდა. ხალხის შუაგულში თვალი შეასწრო ნიკოს. ბიჭი ხალხის კალთით ისრესდა თვალებს და გულამომჯდარი ზღუქუნებდა.

გიგოლა ადგილიდან არ განძრეულა. მისი ყურადღება კვლავ დათამ მიიქცია. მოჭანცულ კაშხალის ეტყობა ქუეში დაუჯდა ხალხის რჩევა. საქონელს ზურგზე მოექცა და ისეთნაირად დასწყვილა, რომ წაბლა უყოყმანოდ შემობრუნდა.

შუა საგუბრამდე მოსული წაბლა წყლის ღინებას ქვეით-ქვეით მიჰყავდა.

გიგოლამ მოაგლო თვალი კაშხალის სავარცხელა კბილებს, რომელშიც უშუილით გალიოდა წყალი და გალაღებული მიიზლანებოდა სამანქანო შენობისაკენ.

ამ დროს წაბლამ ყრუდ დაიფშვინა და დათა ჰაერში შეყირავდა.

— დაფლეთს, სულ ერთიანად დაფლეთს! — გაუელვა გიგოლას.

„მერე იქ არ იყავი? რა პასუხს მაძლევ?“, ჩაესმა თებროს აღელვებული ხმა გიგოლას და ადგილიდან მოსწყდა.

კიდევ ერთი წამი და... მორევში გადამხტარი მძლავრი მკლავებით მიარღვევდა წყალს.



მიწაზე გაწოლილმა დათამ ჩაღურჯებულ ტუჩებზე გვიან ივარძნო გრილი ნიავის სუსხი.

თვალი გაახილა. უძლურად მოათვალიერა ირგვლივ გაჩერებული ხალხი და ოდნავ წამოიწია. ვილაცამ ხელი მიაშველა მხრებში. ქურჭი გაუსწორა და ქოჩორზე გადაუსვა ხელი.

— „სადა ვარ ნეტა?“ გაითქრა ყმაწვილმა.

ნიკო თავზე ადგა. წაბლასათვის ხელი გადაეხვია და ცრემლიანი თვალებით დასცქეროდა მას.

— რა გატარებს ბიჭო? — გაუღიმა დათამ და თვალით დედის ძებნა დაიწყო. „ალბათ არ იცის, რა შეგვემთხვა, თორემ სახლში რა გააჩერებდა“. — დედა! — აღმოხდა ყმაწვილის ჩალურჯებულ ტუჩებს.

— მობრუნდა, მობრუნდა! — ჩაესმა დათას გიგოლას ხმა.

ბიჭი უეცრად გამოერკვა. წამოჯდა და ფართოდ გაღებულ თვალებით გიგოლას შეაცქერდა.

— როგორა ხარ, შვილო, — ხმადაბლა ჰკითხა გიგოლამ ყმაწვილს.

— შენ რომ არა, ძია გიგოლა... საკითხავიც აღარ ვიქნებოდი, — ჩუმად თქვა დათამ და წამწამები დახარა.

გიგოლა მიხვდა, რომ ამ უეცარ ხიფათს მათ შორის ჩამოვარდნილი სიტულებილი სამუდამოდ წაეშალა.

— ლაპარაკი არ გარგებს შვილო, — შეაწყვეტინა გიგოლამ წამოწყებულ სიტყვა და დანაშული შუბლი გადაუწმინდა. — ახლა კი ნელნელა გზას გავედგეთ. აბა, იქნება შესძლო ადგომა.



ორღობეში გიგოლას და ბიჭებს სირბილით მომავალი თებრო შემოეგება. დედის გულმა, როგორც კი ბავშვების ყვირილი გაიგონა, უმაღვე იგრძნო, მის თავზე რაღაც უბედურება იყო. მუხლები მოეკვეთა, ტანი ისე დაუმ-

შიმდა, თითქოს მთელი ქვეყანა ზედ ჩამოეკიდაო. და აი, ახლა-ღა მოაღწია საგუბრამდე.

— შვილო დათა! — შესძახა გიგოლას გვერდით მიმავალ დათას, ცრემლს ვერ იკავებდა.

— კარგადა ვარ დედა. — დარცხვენით წაილულულა დათამ.

— რა ფერი გადევს, ბიჭო, ვაი შენს დედას.

— დამშვიდდი, თებრო. დათას არაფერი უჭირს. — შეხედა გიგოლამ თებროს გაფითრებულ სახეს, ცრემლით სავსე თვალებს. თავსაფარი გაუწოდა.

— შენ რომ არა, ჩემო გიგოლა... რა უბედური ვიქნებოდი! — თქვა თებრომ და გულში ჩაიკრა დათა. დაუკოცნა სველი ქოჩორი, თვალები. მერე გაიმართა. მოჩითული თავსაფრით ცრემლი შეიშრო.

წავიდეთ! — თქვა და სახლისაკენ გაუძღვა გიგოლასა და შვილებს.

შუაღამე გადასული იყო, როცა საესე მთეარემ თებროს მყუდრო სახლს შემოანათა. გულის ძილით ეძინათ ბიჭებს. დიდ ოთახში სუფრიდან ჯამჭურჭელს ალაგებდნენ გიგოლა და თებრო. გიგოლას შინაურული ქცევა კი იმას მოწმობდა, რომ ამ ოჯახისათვის ის უცხო აღარ იყო.

ამ უეცარ ხიფათის შემდეგ მას აღარასოდეს დაუტოვებია თებროს ოჯახი და მთელი სოფელი შენატროდა გიგოლასა და თებროს ბიჭების მამაშვილობას.

გაღმა უორკნიძე

სიმაღრა ახალ სამგორზე

სამგორის მშენებელი

გავეურებ სამგორის არხიდან დიდ მინდვრებს,
და სოფელს არხის წყლით შუაზე გაყვრილს...
ატეხილ ქალებში ჯგუჯილი ბიბინებს,
მოლი და იგემე სამგორის ნაყოფი!

მე უკვე ვიხილე სიცოცხლე სამგორის,
და ვუბნებ ნაკადულს ბაღნარში გაყვანილს...
იორის მჩქეფარე ზვირთების ამბორით,
სამგორშიც დაირწა სიცოცხლის აკვანი.

სამგორში ოღის წინ შრიალებს ბაღნარე,
და ისმის ჭალებში კაგებრის კაყანი...
ამ ველებს არ ახსოვს ხალისი ამგვარი,
მუხის ქვეშ ლულუნებს ჩვილი ყრმის აკვანი.

მუხის ქვეშ იზრდება სამგორის მემკვიდრე,
მუხაზე მკვრივი და მუხაზე მავარი.
იორის ზვირთები ეფრქვევა ველს ვიდრე,
სამგორშიც იზარებს სიცოცხლე ამგვარი...

მევესცქერი სამგორის მემკვიდრეს თაყვანით,
იორის სვამს, იქნებ მას დედისრძე არ ჰყოფნის...
მუხის ქვეშ ლულუნებს ჩვილი ყრმის აკვანი,
ის არის სამგორის უცვლადი ნაყოფი.

სალამო სამგორში



შეხედე ლერწმებით მოლობილს
ზღვის მწვანე დაჩრდილულ ნაპირებს...
ივრიდან მოფრინავს ზოხობი,
წალკოტში ჩაფრენას აპირებს...

სად არის წალკოტი ამგვარი? —
უშზირე სამგორის ვრცელ ხედებს.
რარიგად შრიალებს ბაღნარი.
შეხედე, შეხედე, შეხედე...

სალამოს ხეები შრიალით
ზღვაზე რომ მუქ ჩრდილებს დახრიან,

გადმოღის ნაპირზე ჩხრილით
იორის ზვირთები არხიდან.

ეფრქვევა მდელიებს შეხფები,
ქარს მოაქვს სურნელი საამო.
და ბაღში თვალების ფეთებით
ფრთხილებს ფრინველი სალამოს.

სამგორში ასეთი სალამო
ვის ახსოვს, უშზირე ამ ხედებს...
ველებზე რამდენი ყაყაო,
შეხედე, შეხედე, შეხედე!



სამგორის ბიძი

მჯერა გორგასალს სპარსის, არაბის
არ ჩარჩენია სისხლი გულს ჯავრად.
მან ყველას სძლია და აქ ქალაქი
ხმლით აღაშენა ციხე უჯარმა...

მან ყველას სძლია, ვისაც შეება,
მტერს წელში სტეხდა, როგორც სუსტ
ალვას!

მაგრამ ვერ შესძლო არხის შენება,
ვერ შეებრძოლა სამგორის გვალვას.

ვერ გაანდლა სამგორის მიწა,
მან ხმლის ვადაზე შეჩვეულ ხელით.
და სულშემხუთველ აღმურში იწვა
დღემდე მწყურვალე სამგორის ველი.

ახლა კი, როგორც სტევეს, აქ იმ წამსვე,
ხამგორის გმირი გვალვას შეება.

არ დაქანცულა ჯანღონით სავესე,
ველზე გათხარა არხი ვეება.

როგორც კი დაჰკრა ხმელ მიწას ბარი,
სადღაც პაპათა ძველებმაც იწივლა:
ვახტანგმა აქ სპარსს დასცა თავზარი,
შენ ამოაგდე გვალვა მიწიდან.

არხში დაიძრა იორი დილით,
ლურჯმა ჩქერებმა როდი იმორცხვეს.
იორს თან მოჰყვა მთის ჰავე გრილი
და მოეფინა სამგორს სიცოცხლედ.

თითქოს აქ მზემაც იცვალა ნირი,
ახლა სხვაგვარად უცქერს სამყაროს.
დგას იერის არხთან სამგორის გმირი
და ეწაფება სიცოცხლის წყაროს.

სამგორის ახალშენი



მობიბინე მინდვრები,
მსხმოიარე კაკლები,
ეზობში ჩრდილები
დარწეული აცნების.

ბროწეულის ბუჩქები,
ხეივანარი სამგორის,
ვარდი გაუფურჩქნელი,
შუბლზე სიოს ამბორი.

იერის ზვირთის დუღენი,
კალმახების ბრდღვილი...
ბანზე მტრედის დუღენი,
კერა ნალვერდლიანი.

ახალშენი სოფელი,
სამგორული ყანები.

შემიყვარდა ყოველი
შენებრ სათაყვანები.

მაყვლის ტვერში ციმციმი
შეხი შავი თვალების...
ხეივანარში შენს სიცილს
მე სად დავემალეები.

მარად მინდა აქ ვიყო,
შენზე ფიქრებს აყვები...
სიყვარული გავიყოთ
სამგორული ყანების.

შენი გული რას ამბობს. —
შენსკენ მოვეჩქარები!
ჩემს ოცნებას გაგანდობ,
და სამგორში დავჩინები.



ლილოელი პაპა

მთებზე მზე ძოწის ფერებს გადმოშლის
 ცაზე არ მოსჩანს ღრუბლის ფიორიც...
 გახედავს ირგვლივ ნერგებს აქოჩრილს
 და ბაღში შეჰყავს ტოტი იორის!

მორწყავს ხეხილებს ჩვეული რიგით,
 დაბერტყავს ცერზე დიხჯად ყალიონს.
 და ხეივანში ოცნებობს იგი,
 უნდა, იორი პეშვით დალიოს.

სჯერა, სიცოცხლეს შემატებს დილით,
 მას იერის ტოტის კამკამა წყარო.
 და სურს სამგორში ურიცხველ ჩრდილით
 კაკლის ნერგებმა რტო აიყაროს.

სჯერა, სამგორში სიცოცხლე დიდი
 იერის ჩქერებით ანელებს სიცხეს.
 და ხეივანში ოცნებობს მშვიდი,
 თითქოს სიცოცხლეს თავიდან იწყებს!...

ველზე მზე ძოწის ფერებს წამოშლის,
 მთებზე არ მოსჩანს ღრუბლის ფიორიც...
 გახედავს ირგვლივ ნერგებს აქოჩრილს
 და ბაღში შეჰყავს ტოტი იორის.

ბალადა სამგორის ირემზე



სამგორი, — ველზე ბორცვები,
 თუ სამი ძუძუ დევის...
 მივსდევ ხარ-ირემს ოცნებით,
 არ დავიღალე დევნით.

ირგვლივ შრიალებს მუხნარი,
 იერის ტალღების ეშხით.
 ჩალურჯებულა უღრანი,
 წყარო ჩუხჩუხებს ტყეში.

ველზე ფხას იერის ჯეჯილი,
 ბალახში ვოგავს მწყერი.
 არხისპირ ვადაძეძვილი
 შამბი ღვას ლილისფერი.

გადაფოთლილან ბორცვები, —
 თითქოს ტანსრულნი დევნი...
 მივსდევ ხარ-ირემს ოცნებით,
 არ დავიღალე დევნით.

ვანდლებულა გამხმარი
 დიდი სამგორის ველი.
 ნეტავ რას ბლავის აქ ხარი
 შედგებულნი ყელით?

იქნებ მოუნდა ხარ-ირემს,
 რომ სვას მლაშე ტბის წყალი.
 ჩამოჰყვა არხის ნაპირებს
 და დაეკარგა ცალი.

ვერც ტბა იპოვა, ვერც ფური
 ცრემლით ვესება თვალი...
 ირემო, ბედს რად ემდური,
 ზღვას გაეს მლაშე ტბის წყალი.

ნუ ნაღვლობ თვალცრემლიანი
 შეღერებული ყელით.
 მოდი, იხილე, იცანი
 დიდი სამგორის ველი.

ტბის პირას ხენი დაზრდილან,
 არ მოელოდი განა?..
 გზები მუხნარმა დაჩრდილა,
 კელები წალკოტს ჰგვანან.

გაჰქრა, მლაშე ტბის მარილი,
 ზეირთმა წარეცხა აერის.

იორი ველად დაღვრილი
 სიცოცხლედ იქცა მინდვრის.

გადარუჯული ბორცვები
 ტყით დაფარულან, ხედავ?
 სად გარბი, მოგსდევ ოცნებით.
 მესმის შრიალი ხეთა.

ფრთხილად, აწ ძალის მოკრებით
 თუნდ გამოისხა ფრთები,
 ვერ ირბენ, მუხის ტოტებში
 გაეხლართები რქებით.

მოგწედეგი, ვსინჯავ მარჯვენას —
 თუ კი დაგკარი თვალი...
 სამგორში ირმის გაჩენა
 გაუხარდება სტალინს.

მოდის სამგორში



მოდის სამგორში და სამგორის მკვიდრი იქნები.
 გესმის, აქ იერის მოჩქრიალე ზვირთი გეძახის:
 იხილე, დასტები ახალშენი ხეთა ჩრდილებით,
 სამგორის ველზე იფოთლება ტოტი ვენახის...

მოდის სამგორში, გაგიხარებს გულს ყოველ დილით:
 დიდი სიცოცხლე იერის ჩქერით მოჩქეული ველის.
 და ხეივანში როს გეწვევა ოცნება ტყბილი,
 იმღერე ნეღლი სალამურის უკვდავი ყელით.

იმღერე, მხოლოდ სიხარული გამოსთქვი საღად,
 რითაც ეგ გული ვერ ისვენებს, შფოთავს და იწვის...
 იმღერე მისთვის, ვინც სამგორი აქცია ბაღად,
 და სურნელება გვაგრძნობინა სამგორის მიწის!

უმღერე ნეღლი სალამურის მოხატულ ყელით:
 ჯულამეილების ძველ სამყოფელს, უკვდავ დიდილილოს,
 სახლით, ვენახით დაამშვენე სამგორის ველი,
 და არხის პირას უდარდელად თიბე დიდილი.

თიბე სამყურა, მოამრავლე ირგვლივ ვენახი,
 ეზოს მესერად შემოაფლე კაკლის ჩრდილები...
 გესმის, შენ იერის მოჩქრიალე ზვირთი გეძახის:
 მოდი სამგორში და სამგორის მკვიდრი იქნები!



კოლმეურნის ნაამბობი *

ნარკვეთი



შაბათს, 21 მარტს, რადიოთი გამოაცხადეს—კრემლში, საქართველოს შრომელთა დელეგაციის წევრმა, ზუგდიდის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მენაიემ ლუბა მაქსიმეს ასულმა შენგელიამ სიტყვა წარმოთქვა... მე კარგად ვიცნობდი ლუბას შობილებს; მათ ზოგჯერ, კვირაობით, ლუბა ზუგდიდში ჩამოყავდათ. როგორ მოხვდა მოსკოვში, რის შესახებ შეეძლო მას ლაპარაკი? მამა და ქმარი მარწმუნებდნენ, რომ შემეშალა, ვერ გავიგე კარგად. ეს ლუბა შენგელია სხვა ვინმე იქნება.

შესამე დღეს ჩემმა მეუღლემ შალიკომ ქალაქიდან „პრავდის“ ნომერი მოიტანა. შენგელიას სურათი პირველ გვერდზე იყო მოთავსებული. — ის არის! — წამოვიძახე მე, არასოდეს მენახა ლუბას სახე ასე ბედნიერი, ასე მომლიძარე და მხიარული.

შალიკო კითხულობდა რუსულად და ლუბას სიტყვას გვითარგმნიდა.

— „მე კოლმეურნე ვარ, 16 წლისა, — ლაპარაკობდა გლეხისშვილი კრემლის დიდ სასახლეში, — მე ნაცვლად ნორმით გათვალისწინებულ 8 კილოგრამისა 30—40 კილოგრამ ჩაის ფოთოლს ვკრეფ. ჩემმა ოჯახმა 1130 შრომადღე გამოიმუშავა და ფულად რვა ათასი მანეთი მივიღეთ. ვიყიდეთ გიტარა, საკვარავი მანქანა, საწოლები, მოვაწყვე სახლი, ყველას კარგად გვაჯობა, გვაქვს პატეფონი და ეცხოვრობთ კარგად. ქართული კოლმეურნეების სახელით ამხანაგ სტალინს, მოლოტოვს და პოლიტბიუროს ყველა წევრს საჩუქრად ვუძღვნი ჩვენი სოფლის მეურნეობის პორდუქციის ექსპონატებს. (ტაში, შემახილები „ვიშა“. ამხანაგი სტალინი ხელს ართმევს ამხ. შენგელიას. ტაში, შემახილები: „ეაშა“).

მოსკოვიდან ლუბა ლენინის ორდენით მეკრდღამშვენიებული დაბრუნდა. მე მივედი მასთან, მთულოცე, გადავეხვიე, გადავკოცნე. მან მოსკოვის ამბები გვიამბო. ჩემს გარდა ამხანაგ სტალინს სტუმრად სხვა კოლმეურნეებიც ჰყავდათ. ახალგაზრდა ჩაისპკრეფევი აიშე გურგენიძე იოსებ ბესარიონისძეს დაპირდა, ყოველდღიურად სამოც კილოგრამ ჩაის მოგკრეფო. ყველა განცვიფრდა. ამხანაგი სტალინი მივიდა აიშესთან, ხელი ჩამოართვა და ქართულად უთხრა — „მადლობთ“.

მე ლუბა შეჯიბრებაში გამოვიწვიე. ხუთჯერ უფრო მეტ ჩაის ფოთოლს მოგკრეფ-მეთქი, უთხარი მას და დავუმატე; ამავე დროს ოცდაათ ქალს ვასწავლი ორივე ხელით კრეფას-მეთქი.

ლუბა სიხარულით ცას ეწია. „ქსენია, მომეცით პატროსანი სიტყვა, რომ თქვენ ამას გააკეთებთ სტალინისათვის! რომ იციდეთ, როგორ უხარია ყველა კოლმეურნე-ქალის წარმატება“... ლუბა თითის წვერებზე შედგა, ყურში ჩამჩურჩოლა „თქვენ აუცილებლად უნდა ნახოთ ამხანაგი სტალინი“...

ლუბას წამოსვლისას შევახსენე, რომ მე მასაც და აიშესაც წავართმევი პირველობას. სოცმეჯიბრების ხელშეკრულებას მე და ლუბამ ინგირში მოვაწერეთ ხელი.

კოლმეურნეობის ვამგებამ 0,8 ჰექტარი ფართობი მომამაგრა, ამ ფართობზე რვა ათასამდე ჩაის ბუჩქი იყო. პირობა დაედო, რომ საუკეთესო პლანტაციად ვაქცევი ჩემს ნაკვეთს.

ფოთლის კრეფის დრო მოვიდა. ახალი მეთოდი შევიტანე ამ საქმეში. ორივე ხელი გავითავისუფლე საკრეფად, კალათები კი რბილ, ფართო ქამარზე დავიმაგრე. ათი თითი შევაჩვიე ვარგის ფოთლების ცნობას და მათზე სრიალს, იმ წელიწადს ამინდი გრილი იყო. ხში-

* ჩაწერა ილია ლუბინსკიმ

რეწვივებში ვეგეტაციას აფერხებდნენ მაისის ნახევრამდე ერთი მუჩქიდან მეთორვე ბუნქს ვაწყდებოდა; ვენლაფლი, დროს კი არ ვაჯარავდი — მარცხენა ხელის თითებს ვაჯარავებდო ვარფისათვის მენოვ ნორდში სიტკინოვ იულშია თაპირველმა დღემ იმედი ვერ ვამოპართაოდა. ორივე ხელით მხოლოდ სამ მსკლათოვრებოტო ვილოვარამი მრეკრიფე. მომილოცეს — ცხრა დღიური ნორმა შევასრულე. მაღლობა არ მითქვამს, თავი იჯდომარეს და პარტიუროს მდივანს ვთხოვე — გვეგოთ რამდენს კრეფდა აიშე გურგენიმე. — ლუბას ამბავი ვიცოდი. ივნისში წერილი მოვიდა ბათუმიდან. აიშე სტკყვას ასრულესო — დღემი 78 კილოვარამ ჩაის ფოთლოს კრეფსა. ვავმხიარულდი. ჩემი დღიური ნორმა ხშირად ამს და ასოცდაათ კილოვარამს აღწევდა. პარტიის რაიკომმა ყველა კოლმეურნეობას მითითება მისცა — ჩაის-მკრეფავები ორი ხელით კრეფაზე გადასულყვენ. ინვარში ხშირად ჩამოდონდენ სხვა სოფლის ქალები — ჩვენს მეთოდებს სწავლობდნენ.

ყველაფერი ეს კარგი იყო, მაგრამ საბოლოო მიზანმდე მიანც დიდი მანძილი რჩებოდა. ასი, ორასი, ხუთასი კილოვარამი, რომელიც დღემი იკრიფებოდა, არ ნიშნავდა იმას, რომ მოსავლიანობა ერთ ჰექტარზე ასევე ამაღლდა. ორი ხელით, ათი თითით მუშაობა, მხოლოდ დროის მოგება იყო — ფოთლის ხარისხიანობას უზრუნველყოფდა, ქარხანას პირველხარისხოვან ფოთლოს აძლევდა. იარაღი იყო იმ უქნარების წინააღმდეგ, რომლებიც ამბობდნენ — რისთვის გეზარდოთ მოსავალი, სულ ერთია, მოკრეფას ვერ მოვასწრებთ, ვაკვიფუქლებ, შრომა ტყიულად დაიღუპებაო.

... მეორედ გავწიე რისკი — მეორედ დავარღვიე მეჩაიების დადგენილი წესი. 1937 წელს ჩაის ბუნქის დაყალიბება და გასხვლა უფრო შეგვიანებით, ე. ი. უფრო თბილ დროს ჩავატარე. იმასაც არ გავუწიე ანვარიში, რომ ავროწესების მიხედვით მეტად დაბეჯითებით, მაგრამ სრულიად უსაფუძვლოდ, გვერდითი ტოტების შესხვლა აკრძალული გვქონდა. მე დაუნდობლად შეეპყერი, როგორც ზედა, ისე გვერდითი ტოტები. რაიონის სასოფლო-სამეურნეო განყოფილებაში გაჯავრდნენ, კოლმეურ-

ნეობის თავმჯდომარეს შეუტრის, თვითნებობისათვის ნოკუნიამ გამაფრთხილა. ფრთხილად მიყავი, ბედა ყოველთვის იერე ვავიმართლებსო. — ბედის გამართლება არ მჭირდება შეთქი, ვუპასუხე მე. — აქ ზუსტი ანვარიშია ყლორტს ბუნქი მართო. ზემოთ კი არ ამოიყრის, გვერდებშია ცაგუშვებს; ეს კი მოსავალს გააღიფებს-მეთქი.

— შემოდგომა გვიჩვენებს ყველაფერს. — ყოყმანით მიპასუხა თავმჯდომარემ, მაგრამ წყარობის ტონი ბოლომდე ვერ შეინარჩუნა. — ქსენია, მე სასოფლო-სამეურნეო განყოფილებიდან პირდაპირ რაიკომში შევიბრინე. ვიფიქრე — რაც იქნება, იქნეს. პირველი მღივანი ახალი დაწინშულია ჩვენთან, მოხუცი დეტუ ჩაჩიბაიას შვილია, ჩვენსავით — აქაური გლეხია. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე კომკავშირში მუშაობდა, მერე მტკის დირექტორი იყო რაიონში. ის ჩვენ თავს არავის დაამაგვრინებს. მოვეყუყე შენი ამბავი. ნუ შეუშლით ხელსო, მითხრა შენზე.

მე მოუთმენლად ველოდი საბოლოო დაანგარიშებას, დაჯამებას. მიისიდან ოქტომბრამდე ვიტანჯებოდი. როგორც იქნა მეშველა! — მონაგარიშემ ჩემს ფურცელზე წითელი ფანქრით აღნიშნა — 6.000 კილოვარამი. აქვე, მეტი სიამოვნებისათვის, ვაკყო, გადაამრავლა, შენიშვნა მიუწერა და დაასკვნა, რომ სრულ ჰექტარზე ეს 7.500 კილოვარამ ჩაის ფოთლოს ნიშნავდა.

მეორედ წელს ჩემს ნაკვეთზე თითქმის 11 ათასი კვრ. მოვიყვანე. დღემი ორას, ორას ორმოცდაათ კილოვარამს ვკრეფდი, ზოგჯერ სამასსაც ვიღწევდი. მე სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის კანდიდატი ვიყავი.

შლიკო ჭანტურიამ შემოიარა ჩემთან სახლში — პარტიუროს მდივანმა. არ ვიცი სერიოზულად, არ ვიცი ხუმრობით მკითხა — რაო, ქსენია, ყველაფერი შეისრულე, თუ ჯერ კიდევ აღრეა მოლოცვა?

- მოვიცადოთ ჯერ, — ვუპასუხე მე.
 - რა ჩაიფიქრე?
 - ამას ჯერ არ ვიტყვი.
 - როგორ? პარტიისთან საიდუმლო გაქვს რამე? ვისლა გაუმხელ, აბა?
- ყველაზე მტკივნეულ ადგილს შეეხო

შალვა. დიდი ხანია გულში ვინახავდი კომუნისტად გახდომის სურვილს, ბოლშევიკების, ლენინის შექმნილ პარტიაში შესვლა მსურდა, ვლელავდი ისე, როგორც არასდროს. მიმიღებენ კი? განათლება არა მაქვს; არც დამსახურებია. ისეთები, როგორც მე ვარ — მილიონებია. ყველას ხომ არ მიიღებენ პარტიაში?

რაიკომის მდივნის კაბინეტში მოვხვდი მანც. მდივანმა სავარძელი შემომთავაზა, მამაჩემის ამბავი მკითხა, მისი ჯანმრთელობა აინტერესებდა. მე კი ჩემი კითხვა შევაგებე აღელვებულმა — პარტიაში თუ მიმიღებთ-მეთქი.

გ.ჩაჩიბაია წამოდგა. მეც წამოვიწიე. ხელით მანიშნა — იჯექით. მაგიდის წინ გაიარა-გამოიარა. მერე მომმართა:

— იცით რა? მოდი, ქსენია, თქვენთან წავიდეთ — ინგირში. შალვა ქანტურიამ გავცევს თქვენ კითხვაზე პასუხი.

— თქვენ იცით, რომ მე ცუდი ხასიათი მაქვს? — გაუბედავად და ხმადაბლა შევეკითხე მე.

— მოუსვენარი?

— უკმაყოფილებას გამოვთქვამ ხშირად. ჩემს თავს და ხალხსაც ვემდღური; უფროსებსაც არ ვზოგავ. ცოტა წარმატება გვაკმაყოფილებს. ის, რომ ჩვენ მამღრები, ჩაცმულები ვართ — საბჭოთა წყობილებაში გასაკვირი არ არის.

რაიკომის მდივანი გულმოდგინედ მიგდებდა ყურს.

— მე შემეცდარავარ, ქსენია, მაშინვე უნდა მიმეცა მსვლელობა თქვენზე შემოსული საჩივარისათვის. ზოგიერთი ჩვენი სოფლის მეურნეობის მუშაეები ამტკიცებდნენ, რომ, თითქოს, თქვენ ჩაის პლანტაციებისათვის საშინო ადამიანი ხართ; სახელის გაათქმის სურვილით, ადვილად შეგვიძლიათ დალუპოთ მცენარე. ძნელი არ იყო იმის გაგება, რომ ეს ბოროტი, სულელური ცილისწამება იყო. მაგრამ მე ვიფიქრე, რომ ამისი სახალხო განხილვა ინგირში, ან რაიკომში თქვენ ავალელებდათ, ხელს შეგიშლიდათ თქვენ ახალ წამოწყებულ საქმის ბოლომდე მიყვანაში, ჩაის ახალი წესით მოვლაში. ახლა დავრწმუნდი — ხალხთან დიდი, კარგი ლაპარაკი გამოვიდო-

და სახელზე, სიამაყეზე, მამაცობაზე, გაბედულ წინსვლაზე. ბოლშევიკი არასოდეს არ უნდა შეუშინდეს საკითხის პირდაპირ, საჯარო გადაწყვეტას.

... 1938 წლის მარტში ზუგდიდის რაიონული კომიტეტის ბიურომ კომუნისტური პარტიის წევრობის კანდიდატად მიმიღო.

1940 წლის ოქტომბრის დღესასწაულია. მე საქართველოს დღეგაცეისათან ერთად კიევში ვარ. კოლმეურნე და მუშა, რკინიგზელი და მემღალაროე, მშენებელი და პროფესორი, არტისტი, პოეტი და მასწავლებელი — ჩვენ ყველანი უკრაინელი ხალხის, მისი მთავრობის სტუმრები ვართ. ხელში მიჭირავს უცვლადი ტარას შევჩენკოს ძვირფასი უიგნი — „კობზარი“, — ძვირფასი წარწერით — „სახსოვრად ქსენია-სარსანიას ნიკიტა ხრუშჩოვისადგან“.

თბილისიდან გამოსვლის წინ, სადგურზე, პროფესორმა ნიკო კეცხოველმა გვიამბო:

„1914 წელს თბილისის ქართულ გიმნაზიაში კავკასიის სასწავლო ოლქის ინსპექტორი გვეწვია. რუსული ლიტერატურის გაკვეთილი იყო. ინსპექტორმა პირველ მერხზე მჯდომი მოსწავლე გამოიძახა, რომელიმე ლექსის წაითხვა უბრძანა. წაითამებულმა ბიჭმა შევჩენკოს „ანდერძის“ კითხვა დაიწყო.

— შეწყვიტე! — დეხორიალჟ სიბრახით გაღურჯებულმა ინსპექტორმა. — როგორ ბედავ დამნაშავეის ლექსის წაკითხვას?!

ყველა გაოცდა. ჩვენი მასწავლებელი შინით ანკალებდა, თავჩაღუნული იდგა. შემინებელი მოწაფე კლასიდან გავარდა.

მთელი ორმოცდაათი წლის განმავლობაში, სიყვილის უკანასკნელ წუთამდე, დიდ ქართველ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს — აკაკი წერეთელს — განუშორებლად თან ჰქონდა „კობზარის“ უბრალო გამოცემა, რომელიც არალეგალურად დაიბეჭდა პეტრობურგში იმ წელს, როცა ორი დიდი ადამიანი — აკაკი და შევჩენკო ერთმანეთს შეხვდნენ პირველად.

მეგობრობა, რომელიც ოდესღაც ნების ნაპირებზე დაიწყო უკრაინელმა და ქართველმა ხალხმა შევჩენკოსა და წე-

რეთლის სახით, საბჭოთა წლებში საამურად გაიფურჩქნა, სტალინის ეპოქამ მას სიცოცხლისა და ძლიერების სხივი მოჰფინა.

ჩვენს ეპოქაში მხარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეებმა ჩაუყარეს საძირკველი ფაქტო, ძმურ მეგობრობას უკრაინელებთან. ზერსონელებს წერიალი მისწერეს. უკრაინელებმა პასუხი არ დააყოვნეს, დღეგაცია გამოგზავნეს გურიაში. ხალხთა სტალინური მეგობრობის ქვეყნის ორმა კოლმეურნეობამ — ქართულმა და უკრაინულმა — ერთმანეთი სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს. მეგობრობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. შეჯიბრებაში ათასობით სხვა კოლმეურნეები და რაიონები, მესხბატეები, ნათის მრეწველობის მუშეები, მშენებლები, რკინიგზელები ჩაებნენ. ქართული მწერლები და პოეტები უკრაინელთა წიგნებს თარგმნიდნენ, უკრაინელები კი ქართულ პროზასა და პოეზიას აცნობდნენ თავის ხალხს.

უკრაინელებსა და ქართველებს სხვა მომე რესპუბლიკებიც შეუერთდნენ. ამ მოძრაობას მოსკოვის რაიონის მეცხოველეები, მოლოდავეთის მევენახეები, აზერბაიჯანელები, სომხები და მრავალი სხვები გამოეხმაურნენ.

... და, აი, მე, ბედნიერებით ფრთებშესხმული დავდივარ კიევის მწვანე და აკვლუც ქუჩებზე, ვტბები დიპრიით...

საქართველოს დღეგაცია რამდენიმე ჯგუფად დაგვყვეს — ყველა ჩვენგანი თავისი პროფესიის შესაბამე მეურნეობის, კულტურის უზნისაკენ მიგვიპატყეს. ქართველი და უკრაინელები მეგობრულად უზიარებდნენ ერთმანეთს თავის წარმატებებს, გამოცდილებას. ხალხთა სტალინური მეგობრობა მთელი თავისი ძლიერებით, კეთილშობილებითა და დიდებულებით ნაყოფს იღებდა.

სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება მარტო ვალდებულება კი არ არის. არა, ის ერთმანეთის მხარდაჭერისა და დახმარების ფიცაც არის. ტალანტი მხოლოდ ადამიანთა თანამშრომლობისა და თანამეგობრობის პირობებში აღწევს უმაღლეს შესაძლებლობებს!

სამმა კვირამ, როგორც სამა დღემ ისე გაირბინა... ჩვენ ბედნიერები დავბრუნდით საქართველოში.

... უკვე ომის შემდეგ, მოსკოვში — ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში მე გამაცნეს ქალაქ უკრაინის ახლოს მდებარე მევენახეობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე — ივანე მათეს-ძე ვოლჩულა. მან დაიტრამბა, რომ დაჯილდოებული იყო უკრაინის საუკეთესო კოლმეურნეობების დათვალეირების უფლებით. აღფრთოვანებული იყო ნახულით; ვანსაკუთრებით ზერსონელთა ბარაქიან მინდვრებს განეცვიფრებინა.

— როცა სტანცია „პარტიზანებიდან“ სიკაშის სრუტისაკენ მიდინარ, ვხად მაღალი ბეჭობი შეგვხვდება საფლავითა და ზედ წითელ ვარსკვლავით. საფლავთან, რასაკვირველია, შეგვირდი, ქული მოვიხადე, წარწერა წავიკითხე: „აქ სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მშობლიურ მიწაზე დამარხულია ქართველი მებრძოლი, გიორგი ვასილის-ძე ვასაძე, საბჭოთა უკრაინის გათავისუფლებისათვის გამორულ ბრძოლაში დაღუპული“. ვარემო არცერთი სახლი, მხოლოდ ტრიალი მინდორი, საფლავი კი ყვავილებშია ჩაფლული, კარგად არის მოვლილი. ვიღაც მოდის, გულმოდგინედ უვლის ამ საფლავს. როცა კოლმეურნეობაში მივედი, — განაგრძობს ივანე ვონჩულა, — თავმჯდომარეს გიორგი ლიტოვჩენკოს ვკითხე: ახლო-მახლო ვასაძის ნათესავები ხომ არ ცხოვრობენ, ან იქნებ რომელიმე შეათვალა გოგონა იცნობდა სიცოცხლეში-მეთქი?

— არა, — მიპასუხა ლიტოვჩენკომ, — ცოცხლად ვასაძე არ გვინახავს არავის...

დავდუმდით, თავი დავხარეთ დაღუპული გმირის წინაშე.

მერე უკრაინელმა განაგრძო:

— იმავე ლიტოვჩენკომ გადმომცა, როცა გერმანელები გავრეკეთ და ხალხი აოხრებულ და გადაბუგულ სოფლებს უბრუნდებოდა, ქართველმა კოლმეურნეებმა ოცი ვაგონი ხორბალი, თამბაქო, ღვინო და, აგრეთვე, ცხენები, ძროხები, ავეჯი გამოგვიგზავნეს — ყველაფერი, რაც კი საქიროა იმისათვის, რომ ადამიანი ასეთი ზარალის შემდეგ წელში გაიმართოს.

მე გულში ცხიმავსესა და დიდ სიბარულს... ეგრემოდით რომ ამ უნებარე მეგობრობის ერთ-ერთი მონაწილე მეც ვიყავი, რომ ქართველ კოლმეურნეთა მიერ გამოცემულ „სატანკო კოლონაში“, რომელსაც „შობლიური უკრაინის განთავისუფლებისათვის“ ერქვა სახელად, ჩემი ფულით ამოცემული ტანკო იყო. ესეც დიდი სიბარული — ღვინის ორდენით დამაჯილდოეს უბოლესი საბჭოს ბრძინებულება ჩემს დაჯილდოების შესახებ ჩვენი საბჭოთა საქართველოს ოცი წლისთავზე იქნა გამოცემებული. შარშან ოქროს დიდი მედალი მივიღე სასოფლო-სამეურნეო გამოცენაზე. ახლა ლენინის ორდენი მე 38 წლისა ვარ, ცხოვრების ნახევარი გავლილი მაქვს, ძალიან ცოტა მაქვს გაცემებული ნეტავ მალე დაიწყებოდეს ჩაის ფოთლის კრეფა, უკრაინაში გამგზავრების წინ აღებული გავლდებულვებას გავამართლებდი.

კოლმეურნეობის გამგებობის სტამბაზე მკვებედ წავევამათე ახალ თავმჯდომარეს — ხარითონ ჩიჩუას. უმეტესობა მის მხარეზე იყო — დღეური ნორმა ორჯერ გავზარდით, რვა კილოგრამი ფოთლის მაგიერად თექვსმეტი კილოგრამი ფოთლი მოეკრიფათო, მე ოცდაათი კილოგრამს მოვითხოვედი. უღონოდ დასულე ფეხგონივს სხვანაირად დამჭირდა მოქმედება მკრეფავე ქალწში ბრძენნივე ათეული ჩემი მოწაფე იყო, მათ დაყოლიებანზე დიდი დრო არ დამიბარჯავს. შეედაგინეთ მიმართვა რაიონის ყველა ჩაის-მკრეფავისადმი, ჩვენ მათ ნორმების გადაჭარბებისაკენ მოუწოდეთ. „მანხა და იენისში დღეურად ოთხმოც კილოგრამზე ნაკლებს ნუ მოგვრები“, — ეწერა ჩვენს მიმართვაში, თებრანე უყონიამ, ლუსა ბუკაძე, ალექსანდრა გაბელიამ, ნალია ყაბლიაძემ, თამარა ოთხოზორიამ, ქსენია ხარგენამ, აგრათინა ურიდიამ — ყველას ვინ ჩამოთვლის განაცხადეს, რომ მზად არიან დღეურად 150 — 180 კგ. ჩაის ფოთლი მოკრიფათ.

კორაჩად იც კარი იბრუნლენს ქართველში ბრველში თამარა უყონიამ გამოიჩინა თავი აქერ 140 კგ მოჭვრ-

ფაქ შემდეგ — 189, 190, 200, 222, მე 16 მისს 514 კგ. მხოვერიფე, 28-ს 816 კგ. ქარხანამ ჩემს მთავრული პირველხარისხის ფოთლად მიიღო, მთლიანად კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ მე ნორმა 5037,5 კილოცენტით შევასრულე და ერთ დღეს 78,5 პროცენტად დამჭვრეა.

ჩამოვიდა გ. ჩაიბაბია ყველაფრის სიზუსტე შეამოწმა თვითონ. თბილისში დეპუტის გავზანის დავუპირდა მე ნორმების გადაიდებაზე ჩამოვედრე სიტყვა.

უფრო მეტად ვაღვივეთ შეგობრება, როცა ხალხი დაინახავს, რომ ეს რეკორდები ერთეულთა საკუთრება არ არის და, რომ ის ერთდროული მძიმე დამაბულობის შედეგი იყო, შემოქმედებითი შრომის შედეგია, მაშინ ის თვითონ გადასწყვეტს თავის.

... მალე სასოფლო-სამეურნეო გამოცენაზე გამწვიეს „ჩაის ფერლობზე“ სამუშაოდ. ბევრი სასაიმონეო წუთები განვიცადე იქ, ბევრი მღელვარება და სიბარული ვიგრძენი იქ მუშაობის დროს. მაგრამ ის, რაც კრემლში განვიცადე, როცა მიხეილ ივანეს-მე კოლინინმა მთავრობის უბოლესი ჯილდო გადმოცა, მანამდე არასოდეს არ განმიცდია.

ინგარში ახალი დამბრუნებული ვიყავი, რომ სამამულო ომი დაიწყო.

ჩვენ, ზურგში დაჩინილებმა, ფიცი დავდეთ — ყვოფილიყავით ჩვენი მამების, ქმრებისა და დების ღირსეულნი და ვამაუბრდით იმით, რომ ჯარისკაცის აუცილებელ უღუფაში პურთან ერთად ქართულა ჩაიც იყო.

გუშინდღევით მახსოვს სევდიანი 20 თქტომბრის დღე. მოსკოვსა და მის მიდამოებში საალყო მდგომარეობა გამოცხადდა. თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა დედა-ქალაქის მშრომელებს წესრიგისა, სიმშვიდისაკენ და წითელი არმიისათვის ყოველწიერ დამარებისაკენ მოუწოდა... წვიმდა... სახლიდან გასვლისა მოხუც მამას მივძახე:

— მამა, ჩაიცი, ყუფები და ბრუნეტი იმყოვე და სასწრაფოდ მოდებლანტიციაში.

— ამ ამინდში, მუშაობას შესაძლებელია დაამატებინა კიბევა მარხუცმა...
— საჭიროა!

...ჯერ კვლავ მუშაობა უნდა მოხდეს; მოძრაობას... მიმდინარეობს მოვითხოვს კვამაღლე დასველდა... როგორც იტყვიან... უკანასკნელ... მადამდე... ვერანაირად ბიჭებს... ვადრებთ მოქონ-
ლათ, ყუთებს სკლიდნენ, ფოთოლი მიჰ-
ქონდათ... მე ვამაღლებით ვმუშაობდი...
სტალინიმ მოგვნიჭა... ყოველწლიურად
ღაფხუაზრებით: საბჭოთა არმიას...

შელამებისას შევწყვიტე მუშაობა.
ღალით გავიგე შედეგი — 1.966 კგ. მო-
მჭირდა. უნდა მოვასწერო, რომ ერთი
კილოგრამა ჩაის ფოთოლში 2300—2500
ფურცელია...

იმ წელს იმ ჰექტარიდან 17.500 კი-
ლოგრამი მწვანე ფოთოლი მოკრიფე.
გეგმის მიხედვით ნავარაუდები ჩემო
ცხრაჯერ ნაკლები. ოცდაათმეტ კოლა
მეურნე ქალს შევასწავლე ჩემი მუშაო-
ბის შეთხრობები. მათ შორის ჩემი, არც
თუ ახალგაზრდა ქალიც ერია — თამარ
ყუფუნია, ახალსოფლის, ბერის სახე-
ლობის კოლმეურნეობის წევრი. ის თა-
ვის ნაშეილებს გოგონასთან ერთად
ცხოვრობდა. წინათ არასოდეს ემუშავა,
ჩაის მცენარე სულაც არ ვინტერესებდა.
მაშინ თამარ ყუფუნია არაფრით გამო-
ირჩეოდა, ვინ იფიქრებდა, რომ ის პირ-
ველი მიიღებდა ჩაიონში ოქროს ვარ-
სკვლავს.

ჩამისდრთინდელ მეორე მოსავალს
ვეტად დამხუცი მდგომარეობაში
ვეკრეფდით.

ქართული ვაზეთების პირველ გვერდ-
ზე, საბჭოთა ინფორმაციურის ცნობის
გვერდით პარტიის რაიკომის მდივნების
დებამები იბეჭდებოდა. ჩაის მწვანე
ფოთლის ვრეფის შესახებ, ეს იგივე საბ-
რძოლო პატაქები იყო.

ბ ა თ ო შ ი. 25.7. ხაბაძე გოგონა
ემ კირიკის სახელობის კოლმეურნეო-
ბა ერთ დღეში 2,795 კგ ფოთოლი
მოკრიფა. გუთნისი თანხა თავდაც-
ვის ფონდში შეიტანა.

წ ა ლ ე ნ ჯ რ ნ ა. 28.7. ბერის სახე-
ლობის კოლმეურნეობის პრიგადრამ-
ბოტი, კვარაცხელია გუშინ 3,025 კგ

მწვანე ფოთოლი მოკრიფა. მოკრიფილი
ფოთოლი მთლიანად პირველი ხარისხისა.
ჩაიში ოთხდამ იფიქროს
ქ. უ. ჯ. დ. ი. დ. გ. მ. შ. წ. ინეუ ქსენია
სარსანიამ 3,588 კგ 15 საათის მუ-
შაობის განმავლობაში... ინეომ ინ-
ე. წ. ა. ლ. ე. ნ. ჯ. ი. ხ. ა. 19.8. ბოტოკევი
რაცხელია 4,013 კგ მოკრიფა. ინე
ქ. უ. ჯ. დ. ი. დ. 23.8. დღეს შამის სიკა
ვდილის შემდეგ პირველად მუშაობდა
სარსანია, მან 220 მკრეფის ნორმა შე-
ასრულა. შინს ამოსვლისას გავიდა
პლანტაციამა სქენია და სალამოსათვის
ფაბრიკაში 4,300 კილოგრამი ფოთოლი
ვაგზავნა. ფოთოლი უმადლესს სარსნის
ჩაის დასამზადებლად არის ვანკუთქ-
ნილი.

1944 წელს ჩვენთან საქართველს
კომუნისტური პარტიის ცენტრალური
კომიტეტის მდივანი მიხეილ ივანეს-
ძე ბარამია ჩამოვიდა. მას სხვებიც მოყვი-
ნენ — პარტული მუშაკები, აგრონომე-
ბი, სამინისტროსა და ჩაის საკავშირო
სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის
ფილიალის მუშაკები. ნაცნობებიდან
გ. ჩაჩბაია და ლადო ოთასია იყო.
— ამხანაგო სარსანია, — მითხრა ამ-
ხანაგმა მიხეილ ბარამიამ, — გვაჩვენეთ
როგორ ახერხებთ სამტონანახევარ ჩაის
ფოთლის მოკრეფას. თუ მოზადებია სა-
ჭირო, ინებეთ, გააკეთეთ, რაც გნებავთ.
ჩვენ ყურადღებას ნუ მოგვაქცევთ.

— დღეს უკვე გვიან არის — გუთხა-
რა შე, — დაველეთ პატაქი, სახლში შე-
მოზრძანდით.

— ქსენია მართალია, — მხარი დამი-
ჭირა გ. ჩაჩბაიამ, — ქსენია ხვალ გვს
ჩვენებს თავის ოსტატობას.

იმ დამეს ცუდად შემიწა. პლანტატი-
ში რომ მივდიოდი, ვლელავდი, ვილ-
რე პირველ ბუჩქს არ შევიხე, ვერ დამ-
მშვიდდა. ერთი მწკრივი მოვათავი,
მეორეს მივადექი, შესამეს... მათეს სა-
ხელდახელო დვისადილე, საქმე განვაგ-
რძე. ბარამია ერთი წუთით არ მოშორ-
რებია. მისი თანამეწვეები დეფიონ სწო-
ნიდნენ ფოთოლს ფაბრიკაში ვაგზავნის
წინ, ღლე ვავიდა. ის იყო კალათები შე-
მოვიტყუნე, — მომილოცეს — 2.780 კგ
მომკრიფა თურმე.

თოქოს მტაცეოდ დავმეკიდრე პირ-
ველობა საქართველოში. ჩვენს სახლ-

რებს იქით მოცილე არაეინა მყავს, ვერვის შეევეჯიბრები.

მხოლოდ დიდი სახალხო ჩინეთი ჰკრეფს პირველ თავისუფალ მოსავალს, დანარჩენ ქვეყნებში ჩაის პლანტაციებში მონები მუშაობენ. თეთრები, შავები, ყვითლები! ალბათ, მათ შორის ბევრაა ნიჭიერი, მოხერხებული, საქმისმცოდნე, მაგრამ შემოქმედ მუშაკად ვახდომამდე მათ თავისუფლება უნდა მოიპოვონ!..

1942 წელს 20 ათასი კგ. ჩაის ფოთოლი მოვიყვანე. 1943 წელს — 25 ათასი. 1944 წელს — 27 ათას 500 კგ.

სამინისტრო ახალ აგროტექნიკურ წესებს იმუშავებდა. ჩვენ გვიბოძრეს, ჯერჯერობით შევიძლიათ გვერდზე დავშეაქრათო. მართალია, გვიანი აღიარებაა, მაგრამ მაინც სასიამოვნო!

1946 წლის იანვარში მესტიაში სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს დეპუტატად ამირჩიეს. არჩევის წინ დელეგატები გამოიგზავნენს—თავისი კანდიდატის სახეა უნდოდათ. ორჯერ დავაპირე მესტიაში ასვლა, ორჯერვე უკან დავბრუნდი — გზები ჩაკეტილი იყო. ნეტავ იცოდნენ მაინც, რომ ცდა არ დავიშურე — გულით მინდოდა ამომრჩეულებს ვხლებოდი. დელეგატები სახლში შევიბატიე. ერთ-ერთმა სტუმარმა რადიო ჩართო.

მოსკოველი ნაცნობი დიქტორის ხმა გაისმა — „... 25. ოზერნის მარჯ ესტატეს-ძეს, დეპროპეტროვსკის ოლქის ზემო დნებრის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი პარტიზანის“ მერგოლურს, ქვანახის ჩოქოლი ნოვოს-ძეს საქართველოს სსრ გალის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირს — მოწინავე აგროტექნიკის დანერგვისათვის, რითაც უზრუნველყოფენ რამდენიმე წლის განმავლობაში სიმინდის მაღალი მოსავალი, ჰექტრიდან ას ცენტნერზე მეტი...“

ყველა მიხვდა, თუ რას გადმოსცემდნენ.

ორი გვარი ერთი ნომრით რად გამოაცხადეს? ისინი ხომ ნხვადასხვა რესპუბლიკიდან არიან. დავუშვათ, რომ ისინი ძველი მეგობრებია, — შენიშნა შურლაიამ, ჩვენმა თავმჯდომარემ, — კინოშიც კი აჩვენეს ორივე ერთად, როგორ აწერდნენ ხელს ოზერნის და ქვანახის სოცმეჯიბრების ხელშეკრულება

ზე. — იროლი შურლაია უცებ გაიწმინდა. ყველა გაიანბა. დიქტორმა ჩემი გვარიც დაასახლა.

— „სარსანიას ქსენია პავლეს ასულს, საქართველოს სსრ ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირის კოლმეურნეს ჩაის ბუჩქის ახალი მეთოდებით დამუშავებისათვის, რითაც ჰექტრიდან 11 ტონა ჩაის ფოთლის მოყვანა უზრუნველყო...“

გასაჭირიდან ჩემმა ბრიგადირმა, ჯარიდან ახლადდარბრუნებულმა გრიგოლ ყალიჩავამ გამოგვიყვანა. მეზობელ ოთახიდან რადიოკვანძში დარეკა, იციოხა — რას გადმოსცემს მოსკოვიო.

— მთავრობის დადგენილებას, — უბასუხა მორიგე ტექნიკოსმა, — სტალინური პრემიების მინიჭების შესახებ.

მხიარული ყუიანით გავემართე ჩაის პლანტაციისკენ. ჩემმა ძვირფასმა სტუმრებმა: ბენკო გულედიანმა, რაქდენ იოსელიანმა, პარას სარგანმა ითხოვეს მეჩვენებინა მათთვის მულამ მწვანე ჩაის მუჩქები, რომლის მოვლისათვის უბრალო კოლმეურნეს სტალინის პრემია მიღირსეს. მე სიხარულით დავთანხმდი.

დილით ღალა იოსავა მოვიდა ჩემთან — მხიარული და მკაცრი, ის ახლა ჩაის საქავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ფილიალის ხელმძღვანელი იყო.

— ფილიალის თანამშრომლები მოხსენების გაცელებას გთხოვენ.

— ღალა, თქვენი იცით...

— მე ყველაფერი ვიცი, ქსენია. მოხსენება უნდა გააკეთო. მეგობრების გარდა თქვენი მოწინააღმდეგეებიცა გყავთ. მწვანე კამათი იქნება.

ღალის წასვლის შემდეგ მე დიდხანს ვფიქრობდი... წარმოვიდგინე ჩემი წარსული, აწმყო, განვლილი გზა... რა ვარ მე? ჩვეულებრივი ადამიანი, შრომისმოყვარე. მე განსაკუთრებული არაფერი გამოვეთვლა. ჩემმა ქვეყანამ მაქცია გმირად. გმირების ქვეყანაში გმირად არყოფნა შეუძლებელია. ქვეყნის გმირებად მქცეველი კი პარტიაა, თავისუფალი ხალხების მოწინავე არმია. სტალინის პარტიაა ყველა გამარჯვებათა სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი. იმას, რაც მე გავაკეთე და რამაც გმირად მაქცია, პარტია დიდხანს წინათ მოითხოვდა მეჩაიებისაგან ნაცადი სტალინური ხელმძღვანელის ლავრენტ-

პავლეს-ძე ბერიას სიტყვებით. მან ჯერ კიდევ 1932 წელს თქვა და მერე საქართველოს ბოლშევიკების ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გაიძეო-რა 1935 წლის მაისში:

„რას ნიშნავს ჩაის ბუჩქის შესწავლა, მისი ცოდნა და კარგად მოვლა? ეს ნიშნავს, ჯერ ერთი, რომ ბრიგადები, რომლებიც მუშაობენ ჩაის პლანტაციებზე უნდა იყვნენ მუდმივი და იმგვარად გააწილებული, რომ თითოეულ ბრიგადაზე მიმავრებულ იქნას ცალკე ნაკვეთი; მეორე, აგრეთვე თითოეული ბრიგადის შიგნით ჯგუფებზე და ცალკე მუშებზე მიმავრებულ უნდა იქნეს ცალკე ნაკვეთები ბუჩქების განსაზღვრული რაოდენობით. ეს იმას ნიშნავს, რომ დამუშავების დროს ჩაის თითოეულ ბუჩქს დიფერენცირებულად უნდა მივუღებო. თუ ბუჩქი კარგ მდგომარეობაშია, იგი უფრო ნაკლებ სასუქს მოითხოვს, თუ ბუჩქი პრადამაკმაყოფილებლად გამოიყურება საჭიროა მას მეტი სასუქი მივცეთ. ამჟამად კი ჩვენ ზოგჯერ მექანიკურად, შაბლონურად განვსაზღვრავთ სასუქის რაოდენობას და როგორც ჯანსაღ, ისე არაჯანსაღ ბუჩქებს სასუქს ვაწვდით მათი მდგომარეობის გაუთვალისწინებლად. ჯანსაღი ბუჩქები-სათვის ეს შეიძლება საზიანოც იყოს, არა ჯანსაღ ბუჩქებს არ ყოფნიდეს. ხოლო როცა ბუჩქი აღრიცხული და შესწავლილია, როცა თითოეულ ბუჩქს თვალყურს ადევნებენ და სწორად უვლიან, მაშინ ბუჩქი ნორმალურად და კარგად გაიზრდება. დიფერენცირებულად უნდა იქნას წარმოებული აგრეთვე გათოხნა: არის ნაკვეთები, სადაც შეიძლება საჭირო იყოს ერთხელ გათოხნა, ხოლო სხვა ნაკვეთები შოთხოვენ ბევრჯერ გამოთოხნას. ოთხ ხუთჯერ გამოთოხნის ნორმა არის საშუალო ნორმა, იგი დიფერენცირებულად უნდა შეუფარდოთ ცალკე ნაკვეთებს და ჩაის თითოეულ ბუჩქს.

თუ შეიძლება მხატვრულად გამოთქმა, — განაგრძობდა ლავრენტი პავლეს-ძე ბერია, — ჩაი წარმოადგენს ატურულ მეურნეობას. ჩაის პლანტაცია მოგვაგონებს კარგად მოჭარვულ აღმოსავლურ ხალიჩას. როგორც ხალიჩის

მქარგველი ყურადღებით და ზუსტად მუშაობს ხალიჩაზე, ასევე ყურადღებით, მხრუნველობით და ზუსტად უნდა ვიმუშაოთ ჩვენი ჩაის პლანტაციების ხალიჩაზე. თუ ბუჩქი არათავის დროზე და არასაკმაოდ შეიკრიბა, ამით შეიძლება ვაფუჭება, ჩაი მოითხოვს კულტურულ მიდგომას“.

ლონდონში „ტარპენის ტექნიკურმა ასოციაციამ“ გამოაცხადა, რომ იგი მზად არის მიიღოს „ჩაის მექანიკურად სკრეფაჟი“ მანქანებზე შეკვეთები. აქებდნენ ამ მანქანას: მსოფლიოს ყველა ქვეყანაშია გამოცდილი, იმდენად მსუბუქიაო, რომ ადამიანი იოლად სწევს ჩაის ბუჩქის სიმალღეზეო, ჩართავს ელექტროძრავს და მძიმედ მოძრავი სათითურები ჩაის ფოთლებს ჰკრეფენო. — „მწვანე ფოთლები ისე გროვდება მიმღებ ყუთში, რომ მათ ხელის შეხება სრულებით არა სჭირდება“. დანარჩენი ლონდონის ბურუსში იყო გახვეული.

დაახლოებით ერთი წლის წინათ, ვიდრე ინგლისელები ამ ცნობას გამოაქვეყნებდნენ, კრემლში საქართველოში ჩაის კულტურის განვითარების გრანდიოზულ გეგმას იხილავდნენ. ერთი ათეული წლის მანძილზე ჩაის ფოთლის მოსაველი ოთხნახევარჯერ უნდა გაზრდილიყო. ორმოცდარვა მოქმედ ჩაის ფაბრიკას კიდევ 39 უნდა მოჰმატებოდა, — თითოეული ორნახევარი — სამი მილიონი კილოგრამის სიმძლავრით!

კონსტრუქტორებს დაევალოთ ეპოვნათ ჩაის ფოთლის მოყვანისა და ყოველგვარი დამუშავების მექანიკური საშუალება. კოლმეურნე ქალები გათავისუფლდებოდნენ მძიმე და დამქანცავ სამუშაოს შესრულებისაგან.

თბილისში შეიქმნა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მანქანათმშენებლობის სამინისტროს სპეციალური ბიურო. აქ თავი მოიყარეს საქმისმცოდნე სპეციალისტებმა — ინჟინრებმა, აგრონომებმა, მექანიკებმა, კონსტრუქტორებმა.

ახლა ჩაის ახალმა მსტ-მა, მძლავრი ტრაქტორებისა და მიწის მოსამზადე-

ბელი მანქანების გარდა, დაიწყეს ისეთი მანქანების შექმნაც, რომელნიც შესძლებდნენ პლანტაციის მოხვნას, სასუქის შეტანას, სარეველა მცენარეების შეწამვლას.

რაც შეეხება ჩაის ფოთლის მოსაყრეფ მანქანას, კონსტრუქტორები ბევრი ეცადნენ. მათ სხვადასხვა დროს მრავალი მანქანა შემოგვთავაზეს. მაგრამ არც ერთი მათგანი არ გამოდგა. ჩვენს გამოგონებებს ამით გული არ ვატეხით და აი მაშინ, როდესაც მათ მომავალი მანქანის პროექტი შემოგვთავაზეს და მისი პრაქტიკული აწყობაც დაიწყო, ლონდონმა თავისი სენსაცია დაიწყო.

სსრ კავშირის საეპრო წარმომადგენლობას ინგლისში მიეთითა — მანქანის ვარჯისიანობა შეემოწმებინა. თუ კარგი იქნებოდა — დაეკვეთა ფირმისათვის. ინგლისელებმა, როგორც რეკლამის ოსტატებმა, ყველაფერი წარმტაცად ასახეს, განსაკუთრებულ ქაღალდზე, ფოტოილუსტრაციებით. სწორედ ამან გამოიწვია ის, რასაც ინგლისელები არ მოელოდნენ.

ზუსტად ასეთი მანქანის სურათები მოსკოვისა და თბილისის არქივებში ინახებოდა. „ლიდას“ დევიზით იგი გამოსაცდელად იყო წარმოდგენილი ხუთმეტრ წლის წინათ და საბოლოოდ იყო დაზუსტებული. მისი სხვადასხვა ვარიანტები ხშირად მუშავდებოდა 1936 — 1941 წლებში. ყველას ერთი დეფექტი ჰქონდა — ჩაის ფოთლებს განურჩევლად ჰკრეფდა.

მე ხშირად ვფიქრობ გლეხის ორ ქალიშვილზე, რომლებმაც ერთნაირად დაიწყეს ცხოვრება, მაგრამ მათი გზები მალე დაშორდნენ ერთმანეთს. 1936 წლის 19 მარტს, ხუთშაბათს, ორივე კრემლში იყვნენ, სტალინს ეწვივნენ. ეს ორი ქალიშვილი ლუბა შენგელია და აიშე გურგენიძეა.

ახალგაზრდა გოგონები ნათლად გვიჩვენებდნენ იმის მაგალითს, თუ როგორი სიმამაცე უნდა გამოიჩინო, რომ სიცოცხლემ ფუჭად არ ჩაგაროს ლუბას გამოსულა კრემლში, აიშეს საუ-

ბარი სტალინთან, გათავისუფლებული ქალის შრომის წარმატებისა და შეუზღუდველი შესაძლებლობათა ნათელი დემონსტრაცია იყო. ათეულმა ასეულმა, ათასეულმა ჩვენგანმა სიტყვა მივიცით ჩვენს თავს, რომ ჩვენი არსებობის მიზანი შრომა იქნება, ის შრომა, რომელიც აღამიანთა ურთიერთობის სრულიად ახალი ეპოქის — სტალინური ეპოქის — განმსაზღვრელია.

მე შაობდა რა ჩაის პლანტაციებში, მოჰყავდა რა ისეთი მოსავალი, რომელიც მანამდე მიუღწევლად ითვლებოდა, აიშე თან საღამოს ტექნიკურში სწავლობდა, შემდეგ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იგი სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილედ დანიშნეს.

ლუბა სხვანაირად მოიქცა. გათხოვდა, კოლმეურნეობიდან წავიდა, თავისი ნიჭი, შესაძლებლობანი არ განავითარა. ჩვენ კი, მის ახლო მყოფებმა, დროულად არ მივაქციეთ მას ყურადღება, ვერ ვუთხარით, რომ ორდენი და სახელი მხოლოდ დასაწყისი იყო მისი ბედნიერებისა...

... ჩაის დიდებული ოსტატი, სოციალისტური შრომის გმირი — გალინა ჩხარტიშვილი ოთხი შვილის დედაა. ქმართან ერთად გალინა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში სწავლობს.

სულ უფრო და უფრო მეტ სახელს იხვეჭს მრავალშვილიანი დედა, სოციალისტური შრომის გმირი — ასმათ ჩიჯავაძე. მისი 18 წლის ქალიშვილი — გულიკოც შრომის გმირია.

მე უკვე დამაფიქვდა ის დრო, როცა შრომადღებში ასი ათას მანეთზე ნაკლებს ვლებულობდი. გოგონები, ჯერ კიდევ მეთე, მეთერთმეტე კლასის მოსწავლეები, ოცდაათ-ორმოც ათას მანეთს იმუშავებენ.

როცა მე, გონების თვალთ, ჩემი თექვსმეტი წლის ასაკს ვიგონებ, იმ ასაკს, როდესაც მე ლუბა პირველად გავიცანი, ლუბასთან ერთად თვალწინ მიდგება თინა ყალიჩავა, ვენერა ლომია, სურია ჰელემაძე, ტატიანა ხუხუა და ათობით სხვა სოციალისტური შრო-

მის გმირი, მე გაოცება და სიხარული მიპყრობს — ყველა ისინი ჩემსავით გლეხის ქალები არიან. ისინი განსაკუთრებით ბედნიერები არიან იმით, რომ მთელი მათი ცხოვრება, შრომა, წარსული და მომავალი დიდი სტალინის მზიან ეპოქაში არის მოქცეული!

სურია ჰელეზაძე სოციალისტური შრომის გმირი მაშინ გახდა, როცა ის მეცხრე კლასის მოსწავლე იყო. უკვე მაშინ მას ნახევარ ჰექტარზე 6.450 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოჰყავდა. გონამ იცის უცხო ენები, მართავეს ავტო-მანქანას, კარგი სპორტსმენია. მის

საკუთარ ბიბლიოთეკაში უამრავი წიგნებია — ტიმირიაზევის თხზულებათა სრული კრებული, ალექსანდრე ყაზბეგის და ალექსანდრე ფადეევის რომანები. ვინ ჩამოთვლის მათ. მისი ექვსი უმცროსი და-ძმა საშუალო სკოლაში სწავლობს.

ეს გოგონები ყოველდღიურად ამრავლებენ შრომითი სიმამაცეს და მათ მკერდს ყოველწლიურად ემატება ახალი ჯილდო, მათ სახელს ახალი დდება...

ილია ჭავჭავაძე

ბიოგრაფიული ნარკვევი *

VII

„იბერიის“ პირველი პერიოდი

(1877 — 1885 წლები)

ილიას ახალი ორგანო „ივერია“ გამოვიდა 1877 წლის 1 იანვარს. პირველი ორი წელიწადი, 1877—1878 წლები, „ივერია“ გამოდიოდა კვირეული გაზეთის სახით.

1879 წელს „ივერია“ გადაკეთდა თვეურ ჟურნალად და მომდევნო შვიდი წელიწადი, ვიდრე 1886 წლის იანვრამდე, „ივერია“ ჟურნალის სახით გამოდის. აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ დასახელებული წლების მანძილზე ილიას ორგანო „ივერია“ და გაზეთი „დროება“ (რომელიც ჯერ სერგეი მესხის, ხოლო შემდეგ ივანე მაჩაბლის რედაქტორობით გამოდიოდა) წარმოადგენდნენ ერთ პრაგმატიულ ფრონტს. ეს ორი ორგანო, „ივერია“ და „დროება“, ერთხანად რედაქციულადაც გაერთიანებული იყო¹.

დასახელებული პერიოდის მანძილზე (1877 — 1885 წ.წ.) ილია უმთავრესად პუბლიცისტურ-საჟურნალო მოღვაწეობას ეწევა.

ამვე პერიოდშივე ილიამ შექმნა მთელი რიგი ნაწარმოებთა მხატვრული ლიტერატურის დარგში.

1877 — 1878 წლებშია დაწერილი ილიას ისტორიული პოემა „დიმიტრი თაყადაგებული“. ამ პოემაში ილიამ სამშობლოსათვის თავდადების უკეთილშობილესი გრძნობა გამოჰხატა.

მომდევნო 1879 წელს ეკუთვნის ილიას მოთხრობა „სარჩობელიაზედ“. ილიას ეს პატარა მოთხრობა ერთი უძლიერეს ნაწარმოებთაგანია, რომელიც სიკვდილის დასჯის წინააღმდეგ დაწერილა. მოთხრობაში დახატულია შესანიშნავი სახე ქართველი გლეხისა.

* დასასრული. იხ. „მნათობი“ № 6 და 7.

¹ სახელდობრ 1880 წლის იანვრიდან — ვიდრე 1881 წლის ნოემბრამდე ჟურნალი „ივერია“ და გაზეთი „დროება“ გამოდიოდა ილიას და სერგეი მესხის საერთო რედაქციით;

1881 წლის ნოემბრიდან ილიამ გაზეთ „დროების“ რედაქტორობა სერგეი მესხს გადასცა, ხოლო „ივერია“ ისევ ილია ჭავჭავაძის და სერგეი მესხის საერთო რედაქციით გამოდის;

1882 წლის იანვრიდან „ივერიის“ თანარედაქტორად სერგეი მესხის ნაცვლად ილიამ მიიწვია ივანე მაჩაბელი, და 1883 წლის მაისამდე ივერია გამოდის ილიას და ივანე მაჩაბლის საერთო რედაქციით.

1883 წლის მაისიდან — 1885 წლის დამლევამდე ილია ერთპიროვნული რედაქტორია „ივერიისა“, ხოლო ივანე მაჩაბელი რედაქტორობს „დროებას“ (მას შემდეგ რაც სერგეი მესხმა, ივანე მაჩაბელის გამო, თავი დაანება „დროების“ რედაქტორობას).

1882 — 3 წლებში ილიამ დაწერა პოემა „გ ა ნ დ ე გ ი ლ ი“.

„განდგეილი“ ილიას ერთი უდიადესი პოეტური ქმნილებათაგანია, რომელიც ამშვენებს მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურას.

პოემა უნივერსალური დიაპაზონისაა. პოემაში გაშლილია პრობლემა ცხოვრების მიღებისა და არ-მიღებისა.

აქ ერთი მხრით დახატულია სახე გ ა ნ დ ე გ ი ლ ი ს ა, რომელსაც —

განუდევნია გულიდან ყველა
მსოფლიო ზრახვა, ფიქრი, წადილი.

რომელიც განშორებია ამ ქვეყანას —

— ვით ცოდვის სადგურს,
ვით სამეუფოს ბოროტისასა,
სადაც მართალი გზას ვერ აუქმევს
განსაცდელსა მას ეშმაკისასა;
სად ცოდვა კაცსა სდევნის დღე და ღამ,
ვითა მპარავი და მტაცებელი,
სად, რასაც მხადის მართალი მართლად,
მას უმართლობად ქმნის ცოდვის ზელი;
სად რუენა, წაწყმედა და ღალატია,
სადაც მთა მხარობს სისხლსა მშისასა,
სად ცილი, ზაკვა, ძულეზადა ზდის
წმიდა სიუიარულს მოვეანისასა;
განშორებია ამ წუთისოფელს,
სად ყოვლი ნიჭი მაცდურებია,
სად თვით სიტურფე და სათნობა
ეშმაკის მახე და ცდუნება.

მეორეს მხრით, პოემაში მწყემსი ქალის სახით განსახიერებულია თვით სიცოცხლე თავისი უკვდავი ძლევაშოსილებით.

პოეტმა დაჰგმო ცხოვრებისაგან განდგომა იმის გამო, რომ ცხოვრება ბოროტების სამეუფო არისო. ბოროტება ეს არ არის მარადისი, მარადისია—შშვენიერება და სიკეთე.

შშვენიერება ასხივოსნებს ქვეყანას, სიკეთე სძლევს ბოროტს, სიცოცხლე იმარჯვებს სიკვდილზე.

ასეთია იდეათა ის სამყარო, რომლითაც შთაფონებულია „განდგეილი“.

1883 წელს ილიამ დასწერა „ბ ა ზ ა ლ ე თ ი ს ტ ბ ა“. იგი არის ერთგვარი პოეტური ანდერძი ილიასი. ლექსი გაცისკროვნებულია ერის მომავალი აღდგომის იმედით.

ბაზალეთისა ტბის ძირას
ოჭროს აკვანი არისო
და მის გარშემო წელს ქვეშე
უცხო წალკოტი ჰევეისო...



პოეტი კითხულობს:

იქნებ აკვანში ის ურმა წევს,
ვისაც არ ითქმის სახელი,
ვისაც დღე-ღამე ნატრულობს
ჩუმის ნატვრითა ქართველი?

და პოეტი მიმართავს ქართველ ვაჟკაცს და ქართველ დედას:

თუ ესე არის, ნეტა მას
ვაჟკაცსა სახელოვანსა,
ვისიცა ხელი პირველად
დასწვდებოდა იმა აკვანსა!

თუ ესე არის, ნეტა მას
დედასა სახელდებულსა,
ვისიც იმ ყრმას პირველ მიაწვდის
თვის ჭურჭელს მადლით ცხებულსა!

ამ ლექსში პოეტმა, ერის გულის შესაიდუმლოებ, გამოხატა ხალხის ზრახვა, ხალხის იმედი.

მას შემდეგ, რაც ილიამ 1877 წელს დაარსა „ივერია“, იგი ნაკლებ იცლიდა მხატვრული შემოქმედებისათვის. თუმცა 70-იანი წლების ბოლოს და 80-იანი წლების დასაწყისში ილიამ შექმნა ისეთი შედეგები მხატვრული ლიტერატურის დარგში, როგორც არის „განდეგილი“ — პოეზიაში და „სარჩო ბელაზელი“ — პროზაში, მაგრამ დასახელებული პერიოდის მანძილზე, 1877 — 1885 წლებში, ილია, როგორც მოვიხსენიეთ, უმთავრესად პუბლიცისტურ-საქურნალო მოღვაწეობას ეწევა.

ილიას პუბლიცისტური ნაწერებიდან დასახელებულ პერიოდში მთავარია საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების „მატიანე“, „შინაური თვიური მიმოხილვები“, რომლებიც იბეჭდებოდა ყურნალ „ივერიაში“ 1879 წლის იანვრიდან მოკიდებული ვიდრე 1885 წლამდე. სულ ამ ხნის მანძილზე ივერიაში დაიბეჭდა 30 შინაური თვიური მიმოხილვა. (ამას გარდა ერთი წლიური მიმოხილვა — 1879 წლისა — დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“).

ეს მიმოხილვები — ახალს ეპოქას აღნიშნავს ქართული პუბლიცისტიკის ისტორიაში.

თვით ილია სამართლიანად შენიშნავდა ერთ-ერთ მიმოხილვაში:

„შინაური მიმოხილვისათანა ჩვენში ძნელი საქმე ჩვენებურს მწერალს არა აქვს, იმიტომ, რომ ჩვენში შინაური საქმე ისეთი საგანია, რომლისთვისაც ჯერ ხელი სხვას არავის უხლია, რომელზედაც არავითარს მსჯელობას, არავითარს მოსაზრებას, არავითარს დასკვნას სხვა ქვეყნების ლიტერატურაში ვერ ინახულებთ პირდაპირ და მოკრით, რომელზედაც, მაშასადამე, ვინდათ თუ არა, თქვენი აზრი უნდა იქონიოთ, და რომელიც თქვენის საკუთარის ზომით უნდა განზომოთ... ერთის სიტყვით, ჩვენი შინაური საქმეები ჯერ კიდევ გაუკეთებელი ხორბალია ხოლმე, რომელიც უნდა ჩვენი თითონ ვაგანიავოთ, ვაცხრილოთ, დაფუკვათ, მოვზილოთ და საკუთარის ჭკუის თონეში გამოვაცხხოთ... ჩვენ ამითი იმისი თქმა კი არ გვინდა, ვითომც ჩვენი შინაური საქმეები ისეთის განსაკუთრებულის თვისებისა იყოს, რომ სხვა ხალხთა ნაცადი, ნაკვლევი, ნააზრევი, არაგზით არ მიუღებოდეს, სხვისი აზრით ჩვენი საქმე არ აიხსნებოდეს. ამ შემთხვევაში უფრო ხშირად პო ითქმის, ვიდრე არა, იმიტომ რომ ხალხთა ცხოვრებაში არის ბევრი ზოგადი კანონები, რომელნიც ყველგან ერთნაირად

მოქმედებენ. ეს რომ არ იყოს, თითონ მეცნიერებაც, რომელიც სხვა არა არის რა, გარდა მისი, რომ კრებაა ზოგადის კანონებისა, ფუჭი სიტყვა იქნებოდა. მაგრამ მინამ ჩვენს საკუთარს ჭირს სხვისაგან ნაცადს წამალს შევეურჩევდეთ, ჯერ თვითონ ჩვენ უნდა ვიცოდეთ — რა თვისების ჭირია, მისი სიგრძე-სიგანე გაზომილი უნდა გვეჭონდეს, მისი სიმძიმე აწონილი, ერთის სიტყვით ეს ჭირი თავიდან ფეხებამდე ჩვენ მიერ ცნობილი და გაგებული უნდა იყოს”¹.

არ არის არც ერთი მხარე ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა, არც ერთი საჭირბოროტო საკითხი, წამოყენებული ცხოვრების მიერ, რომელსაც არ შეპყრობდეს ილია თავის შინაურ მიმოხილვებში.

მთელი რიგი მიმოხილვები — ეს არის საპროგრამო წერილები, რომლებიც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეების პროპაგანდას ემსახურება. „ჩვენის დაცემულის ვინაობის აღდგენა, ფეხზე დაყენება და დაცვა ყოველის მოსალოდნელის ფათერაისაგან“, — აი საგანი, როგორც ამბობს თვით ილია, რომელსაც ისახავს იგი თავის წერილებში².

გარდა „შინაური მიმოხილვებისა“ ამავე პერიოდს ეკუთვნის ილიას პოლიტიკურ-ეკონომიური ნარკვევები: „ცხოვრება და კანონი“ (1877 — 1881 წწ.) „ხიზნების საქმე“ (ნარკვევი პირველი, 1880 წ.), აგრეთვე მთელი რიგი სხვა პუბლიცისტიური და საეურნალო წერილებისა.

1877 წელს დაიწყო რუსეთ-ოსმალეთის ომი, რომელმაც დღის წესრიგში დააყენა კერძოდ საკითხი საქართველოს ძველი ისტორიული მიწების შესახებ, რომელიც ოსმალეთსა აქვს მიტაცებული.

ილიამ ამ საკითხს უძღვნა წერილი „ოსმალ ოს საქართველო“ (1877 წ.). ამ შესანიშნავ წერილში ილია ეხება ისტორიის ერთობის ფაქტორის მნიშვნელობას ერის ცხოვრებაში და აღნიშნავს იმ განუყრელ კავშირს, რომელიც არსებობს დიდად-საქართველოს და მისგან ხელოვნურად მოკვეთილს. მტრის მიერ მიტაცებულ ოსმალ ოსმალს საქართველოს შორის. ილია წერს:

„ყოველი ერი თავისი ისტორიით სულდგმულობს. იგია საგანძვე, საცა ერი პოულობს თავის სულის ღონეს, თავისი სულის ბეგრას, თავის ზნეობითს და გონებითს აღმატებულებას, თავის ვინაობას, თავის თვისებას... ერი, ერთის ღვაწლის დამღები, ერთს ისტორიულ უღელში ბმული, ერთად მებრძოლი, ერთსა და იმავე ჭირსა და ლბინში გამოტარებული — ერთსულობით, ერთგულობით, ძლიერია. თუნდ დროთა ბრუნვას ერი განეყოს, დაერღვიოს, — მაგრამ მაინც რღვეულთა შორის იღუმალი შემსჭვალება, იღუმალი მიმზიდველობა იმოდენად სუფევს, რომ სამყოფია ზოლმე ერთი რაიმე შემთხვევა, რათა იფეთქოს, იჭეჭოს დამძინებულმა ისტორიამ, და ერთსულობამ, ერთგულობამ თავისი ძლიერი ფრთა გაშალოს. ამ დღეში ვართ დღეს ჩვენა და ოსმალეთის საქართველო“.

ქართველმა ხალხმა დიდი მსხვერპლი გაიღო ოსმალეთთან ომის დროს 1877 — 1878 წლებში. უნდა აღინიშნოს ამასთან, რომ დიდმპყრობელურად განწყობილს სახაზინო პრესაში ეს ღვაწლი და თავდადება ქართველი ხალხისა (ისევე როგორც ღვაწლი ყველა „ინოროდებისა“) სავსებით მიჩქმალულ იქმნა.

როდესაც ოსმალეთთან ომის დასრულების შემდეგ შემოერთებულ იქმნა, ოსმალ ოსმალს საქართველოს ნაწილი (ბათომი, ართვინი, არტაან-ოლთისი), ილია წერდა „ივერიაში“ დაბეჭდილ შინაურ მიმოხილვაში (1879 წ. იანვარი):

¹ იხ. ილია ჭავჭავაძე, ტ. VI, 1927 წ., გვ. 69 — 70.

² იხ. ილია ჭავჭავაძე, ტ. VI, 1927 წ., გვ. 127.

„ჩვენი ძმები, ჩვენთან ერთად „მებრძოლი შავის ბედისა“, ჩვენის გმირების ბუდე, ჩვენის უწინდელის განათლების და სწავლის აკანა, ჩვენი ძველი საქართველო, დღეს ჩვენ შემოგვიერთდა... წარსულმა ომმა ბევრნი სისხლი დაიწველა ქართველობისა, ბევრმა ვაეკაცმა დასდო თავი, ბევრმა დაღვარა სისხლი, ბევრმა ჩვენმა აფიცრობამ თავისი ყმაწვილკაცობის დღენი დალია ამ ომში, ბევრი დაიხოცა სახელოვანის სიკვდილით, და მათი სახელი არც კი არავინ ახსენა და აღიარა... თქვენ საცა ჭირი იყო, პირველნი იყავით, და საცა ლხინი იყო, უკანასკნელნი... სახელი და დიდება თქვენ, რომელნიც ბედმა სიკვდილი-საგან გიხსნათ, რომელთაც ახვეწეთ ქვეყანას, რომ ვაეკაცობა ქართველობისა უქმი სიტყვა არ არის... თქვენც თქვენთა თავდადებულ ძმათაებრ ჭირნი პირველნი იყავით და ლხინში უკანასკნელნი ხართ... თქვენი სახელი და დიდება სხვამ დაისაკუთრა, სხვამ დაინარჩუნა. იმითი მაინც იხუგეშეთ, რომ ამ ომმა, საცა ამოღება მსხვერპლი მოიტანა ქართველობამ, ამოღება ძალ-გული და ვაეკაცობა გამოიჩინა, ამ ომმა აძღვრის ხნის დაშორებულნი ძმანი ისევ ერთმანეთს შეგვყარა... ამ დიდს საქმეს ძმათა შეერთებისას ჩვენი საკუთარი სისხლი ზედ გადაესხა. მიიღო კიდევ ჩვენმა სისხლში ამოვლებულმა ბედმა ჩვენი სისხლის შესაწირავი!“

„ნუთუ უსისხლოდ ჩვენ ბედი არას გვითმობს?“ — მრავალმნიშვნელოვნად ჰკითხულობს ილია ამ წერილში.

მას შემდეგ, რაც საქართველოსთან შემოერთებულ იქმნა საქართველოს ძველი ისტორიული მიწების ეს ერთი ნაწილი, მათ შორის აჭარა-ქობულეთი, რომელშიც, მიუხედავად ოსმალეთის ხანგრძლივი ბარბაროსული რეჟიმისა, შეინარჩუნა თავისი მშობლიური ქართული დედა-ენა და ქართული ეროვნული სახე, — ილია უახლოეს მონაწილეობას ღებულობს ამ მხარის ბედში.

ილიას და სხვა ქართველი მოღვაწეების მოწოდების შედეგად ქართველმა საზოგადოებამ დიდი დახმარება აღმოუჩინა ომის დროს დაზარალებულს აჭარა-ქობულეთის მოსახლეობას.

ხოლო როდესაც დაიწყო ევრეთწოდებული „მუხაჯირობა“, აჭარა-ქობულეთის ქართველობის ნაწილობრივ გადასახლება თავისი მიწა-წყლიდან, ილია დიდი მამხილებელი ძალის წყრილით გამოვიდა ცარიტული ხელისუფლების, თვითმპყრობელობის რეჟიმის წინააღმდეგ.

„ღირსება და სიკეთე რომელიმე მთავრობისა, ხალხისაგან ცნობილი და აღიარებული, სთესავს ხალხში იმ სიყვარულის თესლს, რომელიც მეტად სანატრელი უნდა იყოს ცნობიერად მომართული სახელმწიფოსათვის, — წერს ილია: — მართო ეს სიყვარულია სთავედ ყოველ იმისა, რაც კი შეადგენს სახელმწიფოს ძალასა და ონებს, იმიტომ რომ მართო სიყვარულით აღფართოვებული ხალხია საიმედო ყოველს განსაცდელში, რაც კი სახელმწიფოს ისტორიის გზაზედ შეემთხვევა ხოლმე... საცა ეს სიყვარული არ არის, იქ სახელმწიფო ფულუროა, ფუყვა, ერთი ლაზათიანი ქარის შემობერვა და იმისი გადამსხვერვეა ერთია...“

„... კეთილად, გონიერად და ცნობიერად აგება ხალხის მახლობელ მმართველობისა, — განაგრძობს ილია, — შეადგენს ერთს იმისთანა უპირველეს და აუცილებელ საჭიროებას, ურომლისოდაც მთავრობა მთავრობა კი არ არის, წიწვა-გლეჯაა, ზედ მისევაა, თავზარია ხალხისათვის...“

ილიას ეს წერილი, რომელიც თვითმპყრობელობის რეჟიმის ასეთს მკაცრს მხილებას შეიცავდა, ცხადია ცენზურის მიერ დაჩეხილი, დაზიანებული სახით დაიბეჭდა (იხ. ივერიაში დაბეჭდილი ილიას „მინაური მიმოხილვა“, 1879 წელი, თებერვალი).

დასასრულ დაგვრჩენია ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ილია საქართველოს ისტორიული მხარეების — მესხეთისა და ლაზეთის — საქართველოსთან გაერთიანების, და საზოგადოდ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საქმეს, — უდიდეს მნიშვნელობას აძლევდა. ამ საქითხს არა ერთგზის შეჰხებია ილიას ორჯანო „ივერია“ მთელ რიგ წერილებში.



1882 წელს ცარისტული თვითმპყრობელობის რეაქციული პრესის ცნობილმა მეთურმა, „მოსკოვსკი ვედომოსტის“ რედაქტორმა კატკოვმა გამოლაშქრა საქართველოს წინააღმდეგ და სცადა შეურაცხყოფა მიეყენებია თვით ქართველი ერის ღირსებისათვის.

ილიამ გამანადგურებელი პასუხი გასცა კატკოვს.

საბაბი კატკოვის ამ უღირსი გამოლაშქრებისა შემდეგი იყო.

1882 წელს თბილისის სცენაზე დაიდგა დავით ერისთავის „სამშობლო“, რომელსაც საზოგადოება დიდი აღტაცებით მიეგება. როდესაც სცენაზე გამოდის ქართული დროშა, საზოგადოება ფეხზე წამოდგა და ოვაციით მიეგება ქართველი ხალხის ეროვნულ ემბლემას. დარბაზში გაისმა ქვითინი.

კატკოვის ორგანომ „მოსკოვსკი ვედომოსტმა“, სადაც დაიბეჭდა საზიზლარი ცინიზმითა და ბეზღობით აღბეჭდილი კორესპონდენცია „სამშობლოს“ წარმოდგენის გამო, სასაცილოდ აიღო ქართული დროშა და თვით ქართველი ხალხი „მოსკოვსკი ვედომოსტი“ წერდა: თავი დაანებეთ ქართველებმა ბოდვას რაღაც წარსულზე, ხოლო თქვენი დროშა გირჩევთ ცირკს მიჰყიდოთ, იქ ტაკო-მასხარები უკეთ გამოიყენებენ თქვენ დროშას, ვიდრე თეატრში.

ამ წერილმა უდიდესი აღშფოთება გამოიწვია ქართველ ხალხში და ილიამ ღირსეული პასუხი გასცა კატკოვსა და მის ხროვას.

ილია უწინასწარმეტყველებდა ცარისტულ თვითმპყრობელობას, რომ ბეზღობის სული, რომელიც აღბეჭდილია ეს წერილი და საერთოდ მთელი რეაქციული პრესა, მაჩვენებელია იმისა, რომ ცარისტული რეჟიმი დამპალია, მისი წყობილება შერყვეულია და აღსასრულიც მოახლოვებულია.

ილია წერდა:

„უბედურება რომელიმე ერისა, დიდი ერია თუ პატარა, სხვათა შორის, ისიც არის, როცა პოლიტიკურ ბეზღობას — დიდი ავალა მიეცემა, ფართო გზა გაუხსნება... მაშინ პირდაპირ შეგვიძლიან ესთქვეთ, რომ საზოგადოების წყობას საქირკველი შერყევიაო და აღსასრული მოახლოვებიაო.“

„როცა ლიტერატურა, — ეგ ადამიანის ქუჩისა და ზნეობის საგანძე, — შეიკედლებს მაგ საძაგლობას, როცა მამბულარს თავის კარს გაუღებს ხოლმე, მაშინ თვით საზოგადოების გახრწნილება ცხადია და სულთმოტრიაობა მისი წყობისა უეჭველია“.

„ყველაზე საშიშარი და საზიზლარი ბეზღობა ის ბეზღობაა, რომელსაც საგნად მთელი ერი ჰყავს, ნამეტნავად იმისთანა ერი, რომელიც „შემთხვევისა განო სხვისა და სხვისა“ ყოველ ღონეს მოკლებულია, რომ თავი იმართლოს, თავის გულის-ნადები, სულის წყურვილი საქვეყნოდ გამოჰფინოს... მამბულარს ყოველივე იარაღი ხელში აქვს და დაბეზღებული კი იარაღ-აყრილია...“

„ეს ოციოდ წელიწადია, — განაგრძობს ილია, — რაც ბეზღობამ ენა ამოიდგა რუსეთში ბ-ნ კატკოვის და მისი კომპანიის წყალობითა და მხნეობითა... დამქაშების წყალობით ბ-ნს კატკოვს დიდი ბაღე აქვს გამბული რუსეთის სა-ნაპირო ქვეყნებში... რაც კი უწმინდურება მოგუბდებდა ხოლმე მისი დამქაშების უწმინდურს გულში, სულ ერთიანად სანაპირო ქვეყნებიდამ მოედინება ბ-ნ კატკოვისაკენ და შესაფერის სურხელებით გროვდება იმ თავახდილ და პირმოხეულ აუზში, რომელსაც „Московские ведомости“ ჰქვიაან... ჩვენს საქართველოზედაც არაერთხელ გამოულაშქრებია ბ-ნ კატკოვს...“

ქართული დროშის შეურაცხყოფის გამო ილია წერდა:

„გაცვეთილი კაცისაგან ყველაფერი მოსალოდნელია, მაგრამ ეგრეთ უკადრისად ხსენება მისი, რასაც ყოველი პატროსანი კაცი, ყოველი ერთი თაყვანსა სცემს, როგორც ემბლემას ერის პატიოსნებისას, ერის ღირსებისას, რომლის შეუმწიკველად დაცვისათვის არამც-თუ ცალკე კაცი, არამედ მთელი ერი ყველგან დედამიწის ზურგზედ სიცოცხლეს არა ზოგავს და მისთვის სიკვდილი სახელად და დიდებად მიიჩნია, — იმის ეგრეთ უკადრისად ხსენებას, არ ვიცით რა

სახელი დავარქვათ და მისი ეგრეთ მომხსენებელი რა სულიერებში შეერაცხოთ.

„ეგ დროშა, რომელიც ეგეთის სასივრთით და პატივით უტარებდა იმ დროს ხანს ქართველს, ეგ დროშა, რომლითაც წინ დახვედრია მოზღვავებულ თათრობას და მუსულმანობას..., ძლევამოსილობით ომიდან გამოუტანია და დაუმკვიდრებია კავკასიაში, ეგ დროშა, რომელსაც აწინდელი ქართველი იმავე ეპეკაციობით და თავგამომეტებით თან გაჰყოლია და რუსებთან ერთად სისხლი უთხევია მამულისათვის, — დღეს ეგ დროშა საციკლოდ გავვიხადა ერთმა ვილაია კორესპონდენტმა და ბ-ნმა კატკოვმა ბანი მისცა...“

ილია ამთავრებდა წერილს სიტყვებით:

„თუ ჩვეულებრივმა გრძნობამ მართებულობისამ არ შეაყენა ბ-ნი კატკოვი, იმას მაინც უნდა მოპირდებოდეს, რომ უპატიურად ხდის მთელს ერს, რომელიც შეჰფარებია რუსეთს მარტო თავის პატიოსნების და ღირსების დასაცველად. თვით ბარბაროსიც კი არ იკადრებდა ეგრეთ გაუპატიურებას მთელს ერისას! მამ ბარაქალა კატკოვს და მის მომხრეებს, რომ იკადრეს ის, რასაც თვით ბარბაროსიც კი ითავილებდა. „ესეღა დავგერჩა ნუგეშად მის იმედისა დიდისა?!“¹.

ასეთი იყო ილიას ეს ღირსეული პასუხი თვითმპყრობელობის შავრაზმული პრესის ამ გამოლაშქრების გამო ქართველი ხალხის წინააღმდეგ.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ შავრაზმელთა წრეების ქართველი ხალხის წინააღმდეგ ამ გამოლაშქრების დროს ქართველ ხალხს სოლიდარობა გამოუცხადა რუსეთის პროგრესულმა პრესამ. ილიას შემდეგ კატკოვსა და მის ხროვას პასუხი გასცა ცნობილმა რუსმა პუბლიცისტმა ნ. მიხაილოვსკიმ.

ოთხმოციან წლებში ილიას უხდებდა დიდი ბრძოლის წარმოება ქართული ენის უფლებების დასაცველად სკოლებში.

კავკასიის სასწავლო ოლქის უმაღლესმა ხელისუფლებამ განიზრახა ერთი კალმის მოსმით სრულიად გაძევება ქართული ენისა სკოლებიდან. კავკასიის სასწავლო ოლქის მხრუნველმა იანოვსკიმ 1881 წელს გაატარა კიდევ სათანადო ღონისძიება სახალხო სკოლებში.

ილია სასტიკად შეებრძოლა იანოვსკისა და მისი დამქაშების ამ სასკოლო პოლიტიკას. წერილებში, რომელიც ილიამ უძღვნა ამ საკითხს „ივერიისა“ და „დროების“ ფურცლებზე, ილია ნიღაბს ხდის ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის მთელს სიმახინჯეს.

„ჩვენ რომ ეგრე დაეინებით და უკან-დაუხვევლად ვთხოულობთ დედანისათვის სრულს და დაუბრკოლებელს ზას სასწავლებელში, — ეგ მარტო დედა-ენის სიყვარულით არ მოგედის, — წერდა ილია; — ვთხოულობთ და ვნატრულობთ იმიტრემაკ, რომ უფედა-ენოდ გონების გახსნა ბავშვისა ყოველად შეუძლებელია. მაშინ სკოლა გონების გახსნის სახსარი კი არ არის, გონების დაჩაგრისაა, გონების დახშვისაა, დათრგუნვისაა, გათანსირებისა...“

ილიას წერილი „ბ-ნ იანოვსკის წერილისა გამო“ (რომელიც საცენზურო პირობების გამო შეკვეცილად დაიბეჭდა) — პედაგოგიური მეცნიერების ბრწინვალე ნაწარმოებს წარმოადგენს.

დავგერჩენია შევნიშნოთ, რომ ილიას ეს ბრძოლა უშედეგოდ არ დარჩენილა; ის მინიმალური უფლებები, რომელიც ქართულ ენას შერჩა სახალხო სკოლებში, — შედეგი იყო იმ თავგამოდებული და შეუწებელი ბრძოლისა ქართული ენის უფლებებისათვის, რომელსაც აწარმოებდა ილია, და ილიასთან ერთად მისი თანამოღვაწე იაკობ გოგებაშვილი.

¹ ი. ილია ჭავჭავაძე, ტ. IX, 1928 წ., გვ. 3 — 10.

იმავე ოთხმოციან წლებში ცარიტულმა ხელისუფლებამ სხვა მხრივაც მონიტანა იერიში ქართველ ხალხზე.

თვითმპყრობელობის აგენტები შეეცადნენ ზიანი მიეყენებინათ ქართველი ხალხის ეროვნული მთლიანობისათვის იმით, რომ განიზრახეს ქართული ენის განდევნა სამეგრელოს სკოლებიდან და ნაცვლად მთელი ქართველი ხალხის საერთო ზოგადი ქართული ეროვნული სალიტერატური ენისა—ადგილობრივი კუთხური დიალექტის შემოღება როგორც სკოლაში, ისე ეკლესიაში.

1884 წლის 11 იანვარს, იმავე ცნობილი იანოვსკის ხელმოწერით, გამოცემულ იქმნა საგანგებო დადგენილება ქართული ენის აკრძალვის შესახებ სამეგრელოს სკოლებში.

მტრების ამ ვერაგულ განზრახვას მედგარი წინააღმდეგობა გაუწია სამეგრელოს ხალხმა. ხალხის აღშფოთებული პროტესტისა და ერთხმევი წინააღმდეგობის შედეგი იყო, რომ მტრები იძულებულნი გახდნენ ხელი აეღოთ თავის განზრახვაზე.

ამ ბრძოლაში საქართველოს მტრებთან საქართველოს ამ მხარის ხალხსა და მის მოწინავე ძალებს ზურგს უმაგრებდა ილია, და ილიასთან ერთად მთელი დასი მოღვაწეებისა, მათ შორის პირველ რიგში დიმიტრი ყიფიანი და აკაკი წერეთელი.

თვითმპყრობელობის მოსყიდული აგენტი თადა ამორტია ერთ თავის საიდუმლო „დონოსში“ ატყობინებდა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს იანოვსკის: „... В Сенакском дворянском училище собираются почти ежесемьично: Димитрий Книшани, которого уже выслали, Илья Чавчавадзе, Акакий Церетели и другие, и решают вопрос, как возмутить народ против циркуляра от 11 января 1884 года“. („სენაქის სათავადაზნაურო სკოლაში თითქმის ყოველთვიურად იკრიბებიან დიმიტრი ყიფიანი, რომელიც უკვე გადაასახლეს, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვები, და არჩევენ საკითხს, თუ როგორ ააღელვონ ხალხი 1884 წლის 11 იანვრის ცირკულარის საწინააღმდეგოდ“ (ე. ა. ქართული ენის სამეგრელოს სკოლებში აკრძალვის შესახებ) ¹).

ილიამ 1885 წელს მოიარა ეს მხარე. ილია უდიდეს აღფრთოვანებას გამოსთქვამდა იმ მედგარი წინააღმდეგობის გამო, რომელიც საქართველოს ამ მხარეში ხალხის მტრებს გაუწია.

ილია, ლიდერი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა საქართველოში, ცარიტულ ხელისუფლებას, როგორც ეს ირკვევა ჟანდარმერიის მასალებიდან, საიდუმლო მეთვალყურეობის ქვეშ აუყვანია 80-იანი წლებიდან.

საიდუმლო მეთვალყურეობის დაწესება გადაუწყვეტიათ—პეტერბურგში, რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს საპოლიციო დეპარტამენტში 1884 წლის 21 ივნისს, რის შესახებაც საპოლიციო დეპარტამენტს უცნობებია თბილისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოსათვის.

თავის მხრივ თბილისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი საიდუმლო მომართვაში თბილისის გუბერნატორისადმი 1884 წლის 13 ივლისის თარიღით სწერდა შემდეგს:

„По распоряжению Департамента полиции учрежден негласный надзор полиции над служащим в Тифлисском дворянском поземельном банке кн. Ильей Григорьевичем Чавчавадзе и сыном коллежского секретаря Игнатием Онисимовичем Иоселиани, как за лицами сомнительной благонадежности.“

¹ იხ. თადა ამორტის პეტაკი სასწავლო ოლქის მზრუნველის იანოვსკისადმი, ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის ფონდი 422, საქ. 289, ფ. 15—16 (საისტორიო მოამბე, III, 1947 წ., გვ. 229—230).

О чем сообщая, имею честь покорнейше просить распоряжения Вашего превосходительства об учреждении вышесказанного надзора за поименованными лицами, и в том же самой перемене места жительства их не оставить уведомлением" ¹.

ეგნატე იოსელიანი (1843 — 1926 წ.), რომელზედაც ილია ჭავჭავაძესთან ერთად დაუწყეს ბიათ საიდუმლო მეთვალყურეობა, — ცნობილი ხალხოსანი რევოლუციონერია. ხალხოსანი მწერლის სოფრომ მგალობლიშვილის დაბასიათებით ეგნატე იოსელიანი „ჩვენი მიმართულების ლიდერი, გზის მაჩვენებელი იყო“. ეგნატე იოსელიანი ორჯერ იყო გადასახლებაში.

პოლიციის ეს საიდუმლო მეთვალყურეობა ილიაზე, დაწყებული 1884 წელს უფადოდ („без срока“ როგორც აღნიშნულია დოკუმენტებში) ², გაგრძელებულა ილიას მთელი სიცოცხლის მანძილზე, ვიდრე 1907 წლამდე, ილიას მოწამებრივ სიკვდილამდე.

ოთხმოციანი წლების დასაწყისში, 1882 წელს, ილიას დიდ თანამოღვაწეს აკაკი წერეთელს შეუსრულდა სალიტერატურო მოღვაწეობის 25 წელი.

ილია წერილში, რომელიც „ივერიაში“ დაიბეჭდა (1882 წელს, სექტემბერს) გულმხურვალედ მიესალმება თავის თანამოღვაწესა და თანამებრძოლს. ილია აღნიშნავდა აკაკის დიდ ღვაწლს სამშობლოს წინაშე, აკაკისა, რომელიც, როგორც ამბობს ილია, — „ტკბილის და გრძნობიერის სიტყვით ამ ოცდახუთს წელიწადში ატკობდა ქართველის ყურს, აფხიზლებდა გონებას და მშართავდა ქართველის გულს ქართველისა და საქართველოს სიყვარულისათვის“. სამშობლოსადმი სიყვარულის აღორძინებისათვის, წერს ილია, — „აკაკი წერეთელს არა ერთხელ დაუკენესებია თავისი ტკბილი ქნარი, უმოქმედებია თავისი მიმზიდველი ნიჭიერება, თავისი მარილიანი სიტყვა, თავისი სიტურფით სავსე ქართული“.

აკაკიმ 1882 წელს იმოგზაურა ქართლსა და კახეთში. გორსა და თელავში გამართულ საღამოებზე საზოგადოება აღფრთოვანებით შეხვდა საყვარელ პოეტს. „საცა წავიდა ბატონი აკაკი, — წერდა ილია, — წინ დახვდა მისგან ფრთასამული და გაღონიერებული სიყვარული საქართველოსი და ქართველისა, წინ დახვდა გულწრფელის პატივისცემითა და მადლიერებით აღსავსე გულითა“.

ილია ეხება პატრიოტულ სიტყვას, რომელიც აკაკიმ 1882 წელს წარმოსთქვა თელავში; ილია წერს:

„ამაზედ მშვენიერი სიტყვა ჩვენ არ გვახსოვს ქართულს ენაზედ. კითხულობთ და გიკვირთ, გიკვირთ და კითხულობთ. არ იცით, რა რას დაამჯობინოთ, სიტყვა აზრს, თუ აზრი სიტყვას, — ისე შეზავებულია, ისე შეხამებულია, ისე შეხორცებულია სიტურფე სიტყვისა აზრის მშვენიერებასთან“.

ილია ათავებს თავის წერილს სიტყვებით:

„გაუმარჯოს აკაკი წერეთელს, რომლის სამსახურს და ღვაწლს ქართველი გულში ჩაირჩენს სამუდამო სახსოვრად და რომლის მშვენიერის ლექსებით არაერთხელ დაიტკბოს ყურსა და გრძნობას და არა ერთხელ გულს მოიციმს მამულის სიყვარულისათვის“ ³.

¹ იხ. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის ფონდი 17, საქ. 140, ფ. 1 — 8 (სახისტორიო შიამზე, III, 1947 წ., გვ. 212 — 214)

² იხ. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის ფონდი 17, საქ. 217, ფ. 293, 301 (სახისტორიო შიამზე, III, 1947 წ., გვ. 235).

³ იხ. ილია ჭავჭავაძე, ტ. VI, 1927 წ., გვ. 252-4.

ილიამ, საკუთრივ სალიტერატურო და პუბლიცისტური მოღვაწეობის გვერდით, უდიდესი საქმიანობა გაშალა საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპარეზზე. ილია იყო მთავარი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი თითქმის ყველა ქართული ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისა, რომლებიც წარსული საუკუნის უკანასკნელ მესამედში შეიქმნა.

აქ პირველ რიგში შევჩერდებით ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაზე.

ინიციატორი ამ საზოგადოების დაარსებისა იყვნენ ილია ჭავჭავაძე და დიმიტრი ყიფიანი (ისევე როგორც ილია და დიმიტრი ყიფიანი იყვნენ მთავარი ორგანიზატორები მეორე ქართული დაწესებულების — ქართული ბანკისა). ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ილიას ხელმძღვანელობით — ერთ-ერთ მთავარ ქართულ საზოგადოებრივ-კულტურულ დაწესებულებად გადაიქცა მე-19 საუკუნის ბოლო ათეულ წლებში და დიდი როლი შეასრულა ქართველი ხალხის ეროვნული გათვითცნობიერებისა და კულტურული წინსვლის საქმეში.

ილია ეურნალ „ივერიაში“, 1879 წლის აპრილის ნომერში (შინაურ მიმოხილვაში), წერდა ამ საზოგადოების დაარსების გამო:

„პროგრამა იმდენად ვრცელია და იმდენად შორსა სწვდება, რომ ფრიად დიდ ღვაწლს გვიქადის ვომეაღწიო... ეს საზოგადოება თავის დანიშნულებას მოჰკიდებს ხელს არა მარტო სასოფლო შკოლების გამართვით, არამედ დაარსებს აგრეთვე სახალხო სამწიგნობროებს (ბიბლიოთეკებს), მასწავლებლებს გამოზრდის ან თვითგანვადე დეფუნებულს სასწავლებლებში, ან სხვაგან; გამართავს ლექციებს ხალხისათვის სხვადასხვა ადგილას და სხვა.

„არა ხალხში, რომელიც კი განათლებულეში ჩაითვლება, წერა-კითხვა ისე ნაკლებად არაა გავრცელებული, როგორც ჩვენსაში, — წერდა ილია იმავე წერილში: — მართალია ჩვენს სოფლებში ათასში ერთგან ამ უკანასკნელს ხანს შკოლები გაიხსნა, მაგრამ ისე კანტი-კუნტად, რომ ერთს შკოლიანს სოფელზედ ათი მეტი უშკოლო მოდის“.

საზოგადოება შეუდგა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას, დაისახა საფუძვლად ქართული ენის დანერგვა სახალხო სკოლაში და ბრძოლა ამ გზით რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ სასკოლო საქმეში.

საზოგადოებამ მოქმედება დაიწყო 1879 წლის მაისიდან. პირველ პერიოდში, 1879 — 1885 წლებში, ილია იყო საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილედ (თავმჯდომარედ იყო დიმიტრი ყიფიანი), ხოლო 1885 წლიდან ვიდრე გარდაცვალებამდე ილია არის საზოგადოების უცვლელი თავმჯდომარე და მისი მთავარი ხელმძღვანელი.

ილიამ დაარსა ამ ორგანიზაციის გარემო ქართული საზოგადოება, შეუქმნა ორგანიზაციას მტკიცე მდგომარეობა და ავტორიტეტი.

საზოგადოებამ ფართოდ გაშალა თავისი მუშაობა; დაარსებულ იქმნა რიგი სკოლებისა სოფლებში, აგრეთვე ქალაქებშიაც, სადაც სწავლება ქართულ ენაზე წარმოებდა, გახსნა ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, რომელსაც ხალხთან მიმკონდა ქართული წიგნი, ქართული ეურნალ-გაზეთები.

ილიას არა ერთგზის მოუხდა ბრძოლის წარმოება ცარისტულ სამოსწავლო ხელისუფლებასთან, რათა დაეცვა ქართული ენის უფლებები წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლებში.

საზოგადოებამ ამავე დროს ფართოდ გაშალა ქართული წიგნების გამოცემლობა.

ილიამ ასევე დიდი ღვაწლი დასდო ქართული თეატრის ახლად აღდგენისა და აღორძინების საქმეს.

ილია დიდ ეროვნულ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართულ თეატრს იმდროინდელ საზოგადოებრივ პირობებში.

წერილში, რომელიც „ივერიაში“ დაიბეჭდა 1879 წლის თებერვალში, ილია წერდა:

„ჩვენს ენას ჩვენში მოედანია არა აქვს საეარჯიშოდ. ჩვენე ეგრეთწოდებულ მადლი საზოგადოება... თავის სამარცხვინოდ თავილობს თავის დედა-ენით ლაპარაკსა. ნათქვამია, თეუზი თავიდან აყროლდებო, სწორედ ეგრე მოგვდის ჩვენც, ჩვენს ეგრეთწოდებულ მადლ საზოგადოებას თუ დედაყვირდებით. ცოცხალი ლაპარაკი, ის დარბაისლური ქართული საუბარი, ის საამური ქართულის სიტყვის მიხვრა-მოხვრა, ის სიმდიდრე ქართულის სიტყვიერებისა, აღარ ისმის, აღარ არის. გადაგვაფიწყდა ყოველივე, რაც ენის შვენიებას შეადგენს, რადგან ჩვენი აზრი ჩვენის ენით აღარ მოძრაობს, ჩვენი გული ჩვენის ენით აღარ თდება. ამისთანა საველალო და სამარცხვინო მდგომარეობაში ქართული სამუდამო სცენა სწორედ ცის ნამია დამკვიბარი ყვავილისათვის... ძლივს ერთი საჯარო ადგილი მინაც გვექნება, საცა ჩვენის ენით ვილხენთ, ჩვენის ენით ვინაღვლებთ, ჩვენის ენის მოწყალებით გავატარებთ თვალწინ ჩვენს ცხოვრებასა მთელის მისის ჭკუისა და გულის მონაგარით...“

ილია ქართულ თეატრს ორ მიზანს უსახავდა:

„ჩვენ ჩვენს სცენას ორ ღვაწლსა ვსთხოვთ. პირველი, რომ მართლა განმწმენდელი იყოს ჩვენის ცხოვრებისა, ჩვენის ჭკუისა და გულის განმანათლებელი და მწვითნელი და, მეორე — იგი უნდა იქმნას იმ ადგილად, სადაც ჩვენი ენა უნდა წამოდგეს მთელი თავისი მშვენიებათა და სიმდიდრითა. ღღეს ჩვენს მდგომარეობაში სცენის მეტი სხვა ისეთი სახსარი არა აქვს რა ჩვენს ხალხს, რომ გონება, გული გაიხსნას და ენაც აეარჯიშოს საჯაროდ, საქვეყნოდ. ამიტომაც საჭიროა ჩვენში სცენას იმისთანა გონებაგახსნილი ზედამხედველობა ჰქონდეს ვისგანმე, რომ ამ ორს სანატრელს საქმეს სცენა არ გადუღდეს...“¹

1879 — 1880 წლებში ილიას უაზლოესი მონაწილეობითა და მზრუნველობით აღდგენილ იქმნა მუდმივი ქართული თეატრი, რომელიც გიორგი ერისთავის შემდეგ აღარ არსებობდა. ილიას მზრუნველობით ჩამოყალიბდა ქართულ მსახიობთა დასი, ილიას ინიციატივით დაარსდა ქართული დრამატული საზოგადოება, რომელმაც ითავა ქართული თეატრის საქმის ხელმძღვანელობა. ილია არჩეულ იქმნა დრამატული საზოგადოების თავმჯდომარედ.

ილიამ დიდი შრომა ჩატარა როგორც ქართული თეატრის იდეური დონის ამაღლებისა და კადრების აღზრდისათვის, ისე თეატრის მატერიალური მდგომარეობის განმტკიცებისათვის. ილიამ ქართული თეატრის დასახმარებლად დარაზმა ქართველი საზოგადოება. ილია უშუალო მონაწილეობას იღებდა მსახიობთა დასის შედგენასა და შევსებაში, დახმარებას უწყევდა თეატრის მისი ყოველდღიურ მუშაობაში. ილია ბეჭდავდა თავის ორგანოში წერილებს ქართულ თეატრსა და ქართულ დრამატურგიაზე, რაც აძლიერებდა საზოგადოების ინტერესსა და თანაგრძობას ქართული თეატრისადმი და ხელს უწყობდა თეატრალური კადრების აღზრდის საქმეს.

ილიამ ასევე დიდი ამაგი დასდო ქართულ სასკოლო კომიტეტს, ქართულ საშუალო სასწავლებელს, ეგრეთ-წოდებულს სათავადაზნაურო ქართულ გიმნაზიას. ილიას თაოსნობით მოხდა, რომ ამ სკოლას შეეცვალა წოდებრივი ხასიათი და სკოლის კარები ფართოდ გაიხსნა მუშა-გლეხთა შვილებისათვის. ცარიზმის დროს, როდესაც სკოლა ქართველი ხალხის გარუსების საქმეს ემსახურებოდა, ეს სკოლა, ქართული გიმნაზია — ერთადერთი საშუალო სასწავლებელი იყო, სადაც ქართულს ადგილი ჰქონდა დათმობილი.

ილია ასევე დიდ მზრუნველობას იჩენდა წინამძღვრიანთ-ქარის სამეურნეო ქართული სკოლისადმი, რომლის გახსნაზედაც 1883 წელს ილიამ წარმოსთქვა თავისი შესანიშნავი სიტყვა.

¹ ილია ჭავჭავაძე, ტ. VI, 1927 წ. გვ. 45 — 48.

ილია ამავე პერიოდში აწარმოებს მუშაობას ქართული ხალხური სიტყვიერების შეგროვების საქმის სათანადოდ დასაყენებლად. 1882 წელს ილიამ შეადგინა პროგრამა ზეპირსიტყვიერების, ხალხური ლექსების, ზღაპრების, ანდაზა-გამოცანების შეგროვებისა. ეს პროგრამა „ქართველთა შორის გამავრცელებელი საზოგადოების“ სახელით დაიბეჭდა და მრავლად დარიგდა პროვინციაში.

ილია ამავე დროს ზრუნავს საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მიერ ნაანდერძევი საუნჯის, — ძველი ქართული მწერლობის სალიტერატურო და საისტორიო ძეგლების შეგროვებისათვის, რომ ამით მტკიცე საფუძველი ჩაეყაროს საქართველოს წარსულის შესწავლის საქმეს.

ილია ამ საქმეს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა დამონებული ერის გათვითობიერებისათვის.

წერილში „ერი და ისტორია“ — ილია წერდა:

„ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ ერის პირველ დამხობა, გათახსირება, გაწყლება იქიდან დაიწყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავის წარსულისა, თავის ყოფილის ცხოვრებისა... მან არ იცის რა გაიმავროს, რისთვის გაიწიროს თავი, რას გამოუსარჩლოს და რას არა. ფეხს ქვეშ გამოკლილი აქვს ის მაგარი მიწა, იგი ტინი თავის ვინაობისა, რომელსაც ისტორია შეადლენს ხოლმე მამა-პაპათა ნაღვალ-ნაძოქმედარისაგან სამშვილიშვილოდ ფეხ-მოსაკიდებლად და მოსამაგრებლად...“¹.

მეორე წერილში ილია მიუთითებს დასავლეთის სლავიანების — ჩეხების მაგალითზე.

„სლავიანებმა — (ჩეხებმა), რომელთა ვინაობასაც სხვადასხვა მტერი მიუჩინა ისტორიამ, — თავის ვინაობის აღსადგენად და ქვეყნის დასახნავად — თავის წარსული ხელახლად ააყენეს საფლავიდან, გამოსჩხრიკეს, მისხლობით ასწონეს, გოჯით გაზომეს ყოველისფერი, რაც ძველად ჰქონდათ, რაც მათ ეროვნებას, მათს ვინაობას, ნაციონალობას შეადგენდა და სარჩულად ედგა. გაუცოცხლეს თავის ერს პოეზიის შემწეობით დიდებულნი სახენი ძველის გმირებისა, ქვეყნისათვის თავდადებულებისა, ძველის ქველობისა, ძველის კაცურ-კაცობისა. მოაგონეს, ისტორიის შემწეობით, დაიწყებული, სახელოვანი დღენი წარსულისა, აღადგინეს, გასწმინდეს, გააძლიერეს დედა-ენა, ეამთა ვითარებისაგან გარყვნილი და შელახული. ამგზით გამოაბრუნეს, გამოაკლეს თითქმის სასიკვდილოდ გადადებული ერი. ერმა თავისი ვინაობა გაიგო, შეიტყო რა ყოფილა, რა არის და რის იმედი უნდა ჰქონდეს, შეიტყო და ფეხზედ დადგა, ფრთა შეისხა“².

ილიამ ჩაუყარა საფუძველი წერა-კითხვის საზოგადოებასთან არსებულს ძველ ქართული ხელნაწერების სიძველეთ-საცავს, რომელიც შეიქმნა ფუძელ ქართული ეროვნული მუზეუმისა.

სიძველეთსაცავი თანდათან მდიდრდებოდა ძველ-ქართულ ხელნაწერთა სხვადასხვა კოლექციებით.

1885 წელს, როდესაც სამეგრელოს ყოფილმა მთავარმა ნიკო დადიანმა შესწირა წერა-კითხვის საზოგადოებას ძველი ქართული ხელნაწერების მდიდარი ბიბლიოთეკა (სამეგრელოს სამთავროს მთავარი ხელნაწერთსაცავი), ილია თვით წავიდა მის ჩასაბარებლად სამეგრელოში, სოფელ გორდს, სადაც დატული იყო ეს ბიბლიოთეკა. ილიასთან ერთად სამეგრელოში გაემგზავრნენ ონა შეუნარგია, დავით ერისთავი („სამშობლოს“ ავტორი) და სხვანი. მათ ხელნაწერები ანუსხეს, ჩაალაგეს, აკიდეს ჯორებს და ისე ჩამოიტანეს ქუთაისში, რკინიგზით თბილისს გამოსაგზავნად.

ძველ-ქართულ ხელნაწერთა სიძველეთსაცავს შემოსწირეს ხელნაწერთა

1 იხ. ილია ჭავჭავაძე, ტ. V, 1927 წ., გვ. 239 — 240

2 იხ. ილია ჭავჭავაძე, ტ. VI, 1927 წ., გვ. 129

მნიშვნელოვანი კოლექციები უხუცესმა ქართველმა მწიგნობარმა პროფესორმა დავით ჩუბინაშვილმა, ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ, მკვლევარ-მწიგნობარმა (ამ კოლექციაში აღმოჩნდა უძველესი ქართული მატრიანე „მოქცევა ქართლისა“) და სხვებმა.

1883 წელს ილიამ, პეტრე უმიკაშვილისა და ალ. სარაჯიშვილის თანამშრომლობით, პირველად დაბეჭდა კლასიკური ქართული მწერლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლი — „ვისრამიანი“.

ოთხმოციან წლებში ილია ლებულაშვილს მონაწილეობას „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობაში, ტექსტისა, რომელიც 1888 წელს გამოქვეყნდა გიორგი ქართველიშვილის ცნობილს გამოცემაში.

ამავე პერიოდს, 80-იან წლებს ეკუთვნის გაცნობა და დამეგობრება ილიასთან გერმანელი მწერლის არტურ ლეისტი. არტურ ლეისტი პირველად ჩამოვიდა საქართველოში 1884 წელს. არტურ ლეისტი, ავტორი წიგნებისა (გერმანულ ენაზე) — „საქართველო“ (1886 წ.), „ქართული ხალხი“ (1904 წ.), ნარკვევისა „დაიწყებული ლიტერატურა“ (1887 წ.), მთარგმნელი გერმანულ ენაზე „ვეფხისტყაოსნისა“ და ქართველი პოეტებისა, შემდეგ საბოლოოდ გადმოსახლდა საქართველოში. იგი ჩვენი ქვეყნის გულწრფელი მეგობარი იყო. არტურ ლეისტმა თავის უკანასკნელს ქართულად გამოქვეყნებულ წიგნში „საქართველოს გული“ — დაგვიტოვა მოგონებანი თავისი დიდი მეგობრის ილიას შესახებ.

უფრო გვიან, 90-იან წლებში, ილიას გაეცნო ინგლისელი მწერალი ქალი მარჯორი უორდროპი, ასევე დიდი მეგობარი ჩვენი ქვეყნისა, რომელმაც შეისწავლა ქართული ენა და გულწრფელად შეიყვარა ჩვენი სამშობლო. მარჯორი უორდროპმა თარგმნა ინგლისურად რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ (ამ შრომას მან ათი წელი მოახლოვდა), ილიას „განდგეილი“, სულხან-საბა ორბელიანის „წიგნი სიბრძნე-სიკრუსისა“, ძველი ქართული მწერლობის ძეგლი — ცხოვრება წმიდა ნინოსი, ქართული ხალხური ზღაპრები. მარჯორი უორდროპს მიმოწერა ჰქონდა ილიასთან. 1896 წელს მარჯორი, თავის ოჯახთან ერთად, ჩამოვიდა საქართველოში და სტუმრად იყო ილიასთან.

90-იან წლებშივე ილიას ეწვია საგურამოში გამოჩენილი მეცნიერი, ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი კარლ ლემან-ჰაუპტი (ცნობილი ორიენტალისტი, ურარტული წარწერების მკვლევარი). ილიასთან შეხვედრა მან აღწერა გერმანულ ჟურნალ Hilfe-ში და ავრეთვე თავის ცნობილ წიგნში ახლო აღმოსავლეთის შესახებ. როდესაც ილია 1900 წელს ჩავიდა ბერლინში, მან ინახულა კ. ლემან-ჰაუპტი, რომელიც ილიას დიდი პატივისმცემელი იყო. ილიას გარდაცვალების შემდეგ კ. ლემან-ჰაუპტმა გერმანულ პრესაში მოათავსა წერილი ილიას შესახებ. ილიას პიროვნებასა და მოღვაწეობას კ. ლემან-ჰაუპტი ეხება ავრეთვე ერთ თავის წიგნში.

ილიასთან მიმოწერა ჰქონდა გამოჩენილ ავსტრიელ მეცნიერს, ქართული ენის ცნობილ მკვლევარს გრაფის უნივერსიტეტის პროფესორს ჰუგო შუხარდტს და ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორს მორფილს.

VIII

„იზირიის“ მეორე პერიოდი

(1886 წლიდან — მე-20 საუკუნის დასაწყისამდე)

1886 წლიდან ილიამ თავისი ჟურნალი „ივერია“ გადააქეთა ყოველდღიურ გაზეთად.

ეს იმით იყო გამოწვეული, რომ გაზეთი „დროება“, რომელიც 80-იან წლებში პროგრესული ბანაყის ორგანოს წარმოადგენდა, და რომელიც ერთხანად

(1880 — 1881 წ.წ.) თვით ილიას თანარედაქტორობით გამოდიოდა, მთავრობამ დახურა 1885 წელს 16 სექტემბერს. ამის შემდეგ ჩვენს ქვეყანას რამდენიმე თვის განმავლობაში ყოველდღიური გაზეთი აღარა ჰქონდა.

ილიას ორგანო „ივერია“, გადაკეთებული ყოველდღიური გაზეთის სახით, გამოვიდა 1886 წელს 1 იანვარს.

დაწყებული ამ დროიდან 11 წლის განმავლობაში „ივერია“ არის ერთადერთი ყოველდღიური გაზეთი საქართველოში.

„ივერიის“ ძველი თანამშრომელი გრიგოლ ყიფშიძე ივანებს გაზეთ „ივერიის“ პირველი ნომრის გამოსვლას:

„ახალწლის წინა-ღამეს მთლად თანამშრომელნი, ჩვენი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი, სულ ერთად იყვნენ თავმოყრილი ილიასთან და შუალამემდეგ ელოდნენ პირველი ნომრის დაბეჭდვას. ოთხი თვე იყო თითქმის გაზეთი თვალით არ გვენახა და რასაკვირველია ეს მგოსანთა და ხელოვანთა, მწიგნობართა და ლიტერატორთა კრებული — მოუთმენლად მოელოდა ახალი გაზეთის პირველ ნომერს... კარგი ახალი წელიწადი გაუთენდა მეორე დღეს ჩვენს ქვეყანას...“

ილიამ გაზეთის გარშემო შემოიკრიბა ყველა ცოცხალი ძალები, თანამშრომლობისათვის მიმართა ქვეყნის ყველა მოწინავე მწერლებს.

კერძოდ აკაკის ილია სწერდა 1886 წლის 5 იანვარს:

„ძმარ აკაკი, მე შენ ვერ ვაგვიკადნიერდი და ვერ მოგართვი ის დაბეჭდილი წერილი, რომელიც სხვებს გავუგზავნე. სხვები სხვანი არიან და შენ ერთადერთი აკაკი ხარ. ამიტომაც, გარდა ჩემის საკუთარის წადილისა, მოვალეობამ ძამულიშვილობისამ მაიძულა ჩვენის ქვეყნის რჩეულისათვის რჩეული, განსაკუთრებით წერილი მომერთმია და მეთხოვნა ვაგვმშვენიერებინა ჩვენი გაზეთი შენის ნიჭის ნამუჭითა. თუ აქამდე ეს წერილი დავაგვიანე, მაგას ნურც ჩემს განთქმულს ზარმაცობას მიაწერ, ნურც რომელსამე ავგუნებთან მოძრაობას ჩემის გულისას, რომელსაც შენ ყოველთვის სასიქადულოდ ეყოლები, როგორც საუკეთესო მეომარი, ჩვენი ქვეყნის ბედნიერებისათვის თავგანწირული. მიზეზი ის იყო, რომ არ ვიცოდი, სად იმყოფებოდი. ჯერ აქ მეგონე, ახალ წლის წინაღამეს მოგიწვიე და პასუხად მომიტანეს — ქალაქში არ არისო. დღეს შევიტყე, რომ ჩამოსულხარ და გწერ კიდევ“.

წერილს ილია ასრულებდა სიტყვებით:

„... უშენობა ჩემის გაზეთისათვის დიდი დანაკლისი იქნება, ეხლა შენ იცი. მაინცა და მაინც გთხოვ — დარწმუნებული იყო, რომ შემეწევი თუ არ შემეწევი, ორსავე შემთხვევაში, სხვათა შორის, მეც ერთი გულწრფელი მადიდებელი და დამფასებელი შენის 25 წლის ღვაწლისა, ვყოფილვარ, ვარ და ვიქნები“.

გაზეთ „ივერიის“ უახლოესი თანამშრომლები სხვადასხვა დროს იყვნენ: გრიგოლ ყიფშიძე, ალექსანდრე ყიფშიძე (ფრონელი), სტეფანე ჭრელაშვილი (სანო), იაკობ მანსვეტაშვილი (დონ-იაგო), სოფრომ მგალობლოშვილი, ილია ბაბტაძე (ზონელი), ალ. ნანიშვილი (ნა-ლი), დ. მიქელაძე (მეველე), გ. ლასხიშვილი (ლალი), გ. ზდიანოვიჩი (მაიაშვილი), კიტა აბაშიძე, ნ. ხიზანიშვილი (ურბნელი), პ. უმიკაშვილი და სხვანი. გაზეთში იბეჭდებოდნენ: აკაკი, რაფიელ ერისთავი, ვაჟა-ფშაველა. გიორგი წერეთელმა გაზეთში მოათავსა თავისი „მამიდა ასმათი“. გაზეთში თანამშრომლობდა იაკობ გოგებაშვილი.

ილიას მუშაობის შესახებ გაზეთში ილიას უახლოესი თანამშრომელი გრიგოლ ყიფშიძე წერს:

„საინტერესო და საგულისხმეო დრო იყო ილიას ცხოვრებაში ეს დრო ყოველდღიურ გაზეთის რედაქტორისა. აქ იჩინა კვლავ თავი მისმა მხნეობამ, სალიტერატურო შრომისათვის დიდმა გონებრივმა მოქმედებამ. დაღალვა არ

ემჩნეოდა, თითქოს რკინის კაცია და არა ხროცმესხმული ადამიანიო. არავის არ ეგონა, რომ ილია ასე შეუფერებდა თავის დინჯ ხასიათს ასეთს ცოცხალს, ასეთს სასწრაფოსა და „ნერვებით“ საკეთებელს საქმეს, როცა თითოეულს საათს და წუთსაც კი დიდი მნიშვნელობა აქვს...

„...წერასაც არა სჯერდებოდა... წვრილმან, სამურებზო მუშაობასაც ბევრს ღრის ანდომებდა: საგახეთო მასალის მოსმენასა და მის შესწორებას ენისა და შინაარსის მხრივ... დიდს ყურადღებას აქცევდა ენის სიწმინდეს, კანონიერებას, ქართულის შესაბამად სიტყვების დაწყობას, და დასურათებით ცოცხლად აზრის გამოთქმას. თვითონ ღრმად მცოდნე იყო ქართულისა და ყოვლის ღონისძიებით სცდილობდა, რომ გაზეთში დასაბეჭდი წმინდა ქართულით ყოფილიყო დაწერილი. ამ საქმეში თვით იკისრა უფროსობა და ჩაგვიყოლია უმცროსები. მთელი რედაქცია სიამოვნებით იღებდა მონაწილეობას წერილების სწორებასა და გადასინჯვაში იმის მეთაურობითა და ხელმძღვანელობით.

„ეს იყო ღამ-ღამობით. იმ დროს რომ გარეშეს ვისმე შემოეხედნა რედაქციაში, ეგონებოდა, აქ რედაქცია კი არა, ტაძარია... ღამე გატყდებოდა, მამლები ყვირის დიწყებდნენ და არა იშვიათად თავს დაგვათენდებოდა ხოლმე. ისე დავიქანცებოდით, რომ სავატობა აღარ გვქონდა. ილიას კი, არ მახსოვს, ან დაღლილობა შემჩნეოდა, ან ძილი მოპრეოდეს“¹.

სოფრომ მგალობლიშვილი იგონებს:

„ილია — დევის ბუნებისა იყო. ხშირად მოხდებოდა ხოლმე, რომ დაისზე დამჯდარა და მეორე ღრის ცხრა საათამდე მჯდარა სამუშაოდ. 1886 წლის ზაფხულში გორიდან ჩამოველი და რედაქციაში დავიწყე მუშაობა... ერთ დღიას მივედი, ილიას სამწერლო კაბინეტიდან სინათლე სჩანდა... მე ჩუმად დავჯექ და გაზეთებს დავუწყე კითხვა, მაგრამ გაზეთის ფაქუნზე შეიტო, რომ რედაქციაში ვილაყ იყო.

„რომელი ხარ მანდა, — შემომეკითხა ილია. მე გამოვებასუხე. — კაცო, რა დროა? განა ჯერ არ წასულხარ სახლში? — მე ვუპასუხე, რომ უკვე გაათენდა და აგერ მეათე საათია. მხოლოდ მაშინ შესწყვიტა მუშაობა და თავის მსახურს მაქსიმეს უსაყვედურა: „კაცო, რაზე ჩამკალი, რატომ არ დამენმარეო“. მაქსიმე რამდენჯერმე შესულიყო, მაგრამ ისე ყოფილიყო ილია მუშაობაში გართული, რომ მისი შესვლა-გასვლა ვერ შეემჩნია“².

ილია განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა კერძოდ გაზეთის ენის სიწმინდისთვის, ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრებისა და განმტკიცებისათვის.

იაკობ მანსვეტაშვილი, რომელიც „ივერიაში“ თანამშრომლობდა 1886 წლიდან, თავის მოგონებებში წერს:

„ყველა ერთგულად, გზაცვებით ვეკიდებოდით საერთო საქმეს, მაგრამ სულის ჩამდგმელი, გზის მაჩვენებელი, ენის მასწავლებელი მაინც ილია იყო. უნდა გენახათ, ეს ხანში შესული კაცი როგორი ახალგაზღვრული ხალისით, გაცვებით მუშაობდა. მეტადრე მტკიცედ იცავდა ენის სიწმინდეს, სიფაქიზეს, ქართულობას. „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“, — უყვარდა ხშირად ამის განმეორება. ესა უნდა დაეცვათ შერყვნილობისაგან, ენას ისე უნდა ვულოლიავოთ, მოვუაროთ, როგორც დედა თავის პირმშო შვილს. ენა არის დედაბოძი საქართველოს ერთიანობისა, მთლიანობისა, და თუ ეს დედაბოძი გამოვაცალეთ, თუნდა არა ბოროტ განზრახვით, არამედ ჩვენი უვიცობით, გულგრილობით, თუ რუსეთუმების გზას დავადექით, მაშინ ჰერი ჩამოგვენგრევა, სახლს ქვეშ მოიტანს, და ჩვენი მშობელი ქვეყანა, ჩვენი საქართველო განადგურდება, განიადდება დედამისის ზურგზე“.

ილია ამასთან იბრძოდა ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნამდვილი ხალხურობისათვის, მიზნად ისახავდა, რათა ქართული სალიტერატურო ენა მისაწვდომი, ნამდვილად მშობლიური ყოფილიყო მშრომელი ხალხისათვის.

¹ იხ. ვრ. ყიფშიძე, ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფია (1914 წ.) [გვ. XLVI — XLVII.

² იხ. ს. მგალობლიშვილი, მოგონებანი, 1938 წ., გვ. 166.

ი. მანსვეტაშვილი თავის მოგონებებში გადმოგვცემს, თუ რა შეხედულებებს გამოსთქვამდა ამ საგანზე ილია სარედაქციო კრებებზე.

ილია იტყოდა ხოლმე:

„ჩვენი დიდაცობა, ჩვენი წარჩინებული მოხელენი გადაგვარების ვაზზე არიან დაძვარნი, იმათ ქართულიც და ქართველობაც — ორივე ფეხებზე ჰკიდიათ ამათთვის წერა ტყუილი შრომა, წყლის ნაყვან ეჩნებოდა..“

„მაშ ვინლა დაგვრჩა? ის ვინც საქართველოს პირველი ქვეყნთხელი იყო, ვინც ისტორიულ ქარტეხილს, წვა-დაგვას გაუძლო და ქვეყანა გააშენა. ეს ის მაგარი მკვიდრი მუხაა, რომელიც ქარცეცხლს უძლებს და არ ეცემა. ეს არის ჩვენი გლეხოზა, ეს არის ჩვენი მუშა-ხალხი... ესენი არიან ჩვენი მუხის-საქართველოს ფესვები, ესენი ამზადებენ იმ საცეცხეზე წვენს, რომლითაც საზრდო და ღონე ეძლევა მუხის თელ ტანს. ამათი მეოხებით იძონება ხე ფოთლებით, ყვავილებით და მოაქვს ნაყოფი. დღე, კენწერობები გაუხმეს ხეს, ფოთლები შემოსცივიდეს, ყვავილები შემოაქვს, — არა უშვავს რა, ოღონდ ძალა და ღონე არ გამოელოოს ფესვებს, — ხე ხელახლა შეიმოსება ფოთლით და ყვავილით და უხვად გამოიღებს ნაყოფს. ხე არ კვდება, თუ ფესვები მაგარი, ღონიერი აქვს.“

„და აი სწორედ ამ ფესვებს უნდა მოვუაროთ ჩვენი. ამ მდებრიო ხალხისთვის, მუშა-გლეხოზისათვის უნდა ვიზრუნოთ. ჩვენს შოკლას, ჩვენს ზრუნვას ფისი ექნება მხოლოდ მაშინ, თუ იმათი ენით დავიწყებთ ლაპარაკს, თუ ჩვენი სიტყვა იმათ ყურს მისწვდება, იმათ გულს მოხვდება. აი გეგმა ჩვენი მუშაობისა. აი ვისთვის უნდა ვფიქრობდეთ, ვისთვის უნდა ვზრუნავდეთ, ვისთვის უნდა ვწერდეთო“¹.

მას შემდეგ რაც „ივერია“ ვაზეთად გადაკეთდა, ილიას სახლში ყოველ ხუთშაბათობით იმართებოდა კრებები, რომელსაც ესწრებოდნენ, როგორც რედაქციის წევრები, ისე თითქმის ყველა ჩვენი დამსახურებული მწერლები და მოღვაწეები.

თანამედროვეთა ცნობით ამ კრებებს ესწრებოდნენ: იაკობ გოგებაშვილი, დიმიტრი ბაქრაძე, რაფიელ ერისთავი, ანტონ ფურცელაძე, პეტრე უმიკაშვილი, დავით ერისთავი, გიორგი ზდანოვიჩი, სოფრომ მგალობლიშვილი; აგრეთვე ზოგჯერ ესწრებოდნენ გიორგი წერეთელი (როდესაც თბილისში იყო) და აკაკი. ამათ გარდა ამ კრების მონაწილენი იყვნენ რედაქციის წევრები და უახლოესი თანამშრომლები (ქმანი ყიფშიძენი, სტ. ჰრელაშვილი, ალ. ნანეიშვილი, ნ. ხიზანიშვილი, ი. მანსვეტაშვილი და სხვანი).

„დაუვიწყარი შთაბეჭდილებანი დამრჩა ამ კრებების გამო, — წერს იაკობ მანსვეტაშვილი. — ბევრი საკითხი ყოფილა აღძრული, ბევრ საყურადღებო ფიქრი და აზრი გამოთქმულა ამა თუ იმ საგნის შესახებ, მაგრამ თავი და თავი ჩვენი გულის წუხილი მიმართული იყო ჩვენი ქვეყნის სვე-ბედზე.“

„... ყველაზე დიადს, დაუვიწყარ და განუმეორებელ სანახაობას წარმოადგენდა ილია. უნდა გენახათ ამისი აღფრთოვანებული სახე, ანთებული ცეცხლის მფრქვეველი თვალები, რომ დარწმუნებულიყავით, თუ რა სულეერ და ჰკუის ძალას შეიცავს ეს დიდბუნებოვანი ადამიანი. მხედავდი, რომ რაღაც დაუშრეტელი წყაროდან მომდინარეობს აზრების ნაკადული და არ გინდა თვალი და ყური მოაშორო ამ გულწარმტაც მოვლენას“².

ცარიტულ ხელისუფლებას რასაკვირველია მხედველობის გარეშე არ დარჩენია ქართველ მოღვაწეთა ეს კრებები, რომელიც იმართებოდა ილიას სახლში. როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, ილია ჯერ კიდევ 1884 წლიდან პოლიციის საიდუმლო მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა.

¹ იხ. ი. მანსვეტაშვილი, მოგონებანი, 1936 წ., გვ. 76 — 81.

² იხ. იქვე, გვ. 82 — 3.

საიდუმლო მოხსენებაში, რომელიც წარგზავნილი იყო თბილისის ეანდარ-მთა სამმართველოს მიერ პეტერბურგში პოლიციის დეპარტამენტში მაისს 1894 წელს (№ 565) ვკითხვლობთ:

„... Уверенно можно утверждать, что главным руководителем направления, ставящей своей целью углубление национального движения, является князь Илья Чавчавадзе. Князь Илья Чавчавадзе обладает замечательным умом и положением, пользуется большим авторитетом среди грузин вообще и среди свободомыслящих в особенности. Ходят слухи, что у него время от времени устраиваются тайные собрания, на которых обсуждаются различные общественные и социальные вопросы“¹.

მას შემდეგ, რაც „ივერია“ 1886 წლიდან ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთდა, ილია მთლიანად პუბლიცისტურ-საქურხნალო მუშაობითა და საზოგადო მოღვაწეობით არის დატვირთული.

უკანასკნელი დიდი ნაწარმოები, რომელიც ამ პერიოდში ილიამ შექმნა მხატვრულ მწერლობის დარგში, ეს არის „ოთარაანთ ქვრივი“.

ილიამ ამ უკვდავ ნაწარმოებში, — ოთარაანთ ქვრივის პორტრეტში დახატა ზოგადი მნიშვნელობის ქართული ნაციონალური სახე, ქართული ნაციონალური ტიპი.

ილიას თავის შემოქმედებაში არა ერთგზის დაუხატავს სახე ქართველი დედისა. ქართველ დედას მიმართავს ილია თავის პირველ ლირიკულ ლექსებში. ქართველი დედის სახე აქვს დახატული ილიას დრამატულ პოემაში „ქართველის დედა“ („დედა და შვილი“). ხოლო ამ თავის უკანასკნელს მხატვრულ ნაწარმოებში ილიამ განასახიერა ეს უკვდავი სახე ქართველი დედისა გლეხი ქალის — ოთარაანთ ქვრივის — მონუმენტალურ პორტრეტში.

ოთარაანთ ქვრივი წარმოგვიდგენს ბრძოლაში გაკაცებული ქართველი ხალხის სახეს. ოთარაანთ ქვრივი არის შვილი ხალხისა, რომელმაც საუკუნეთა მანძილზე თავისუფლებისათვის ბრძოლაში გამოიმუშავა შეუდრეკელი სული, — თავდადებული დამცველი თავის „განძისა“ და „ანდრძისა“.

აღსანიშნავია „ოთარაანთ ქვრივის“ უბრწყინვალესი მხატვრული ფორმა, მისი ენა. არ იქნება გადაჭარბება, თუ ვიტყვი, რომ მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობაში „ოთარაანთ ქვრივი“ არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლი, რომელშიაც ახალმა ქართულმა ენამ ჰპოვა თავისი სრულყოფილი გამოსახულება.

„ოთარაანთ ქვრივი“ ილიამ დაწერა 1887 წელს. დაიბეჭდა იგი 1888 წელს, „ივერიაში“.

გავეცნოთ ამის შემდეგ ილიას მოღვაწეობას „ივერიაში“ მისი გაზეთად გადაკეთებას დროიდან, 1886 წლიდან მოკიდებული ვიდრე ცხრაასიან წლებამდე.

ილიას მოღვაწეობა ამ პერიოდში უაღრესად მრავალმხრივია. ილიამ ამ დროს გამოავლინა თავისი დიდი ტალანტის ნამდვილი უნივერსალობა. ილია ამ პერიოდში ჩვენ გვევლინება როგორც პუბლიცისტი, ეკონომისტი-სოციოლოგი, ჟურნალისტი — საზოგადოებრივი ცხოვრებისა და საგარეო პოლიტიკის მიმომხილველი, კრიტიკოსი და ლიტერატურათმცოდნე, ისტორიკოსი.

თუ რამდენად ფართო იყო დიაპაზონი ილიას შემოქმედებისა ამ პერიოდის მანძილზე, ამას ცხადპყოფს ილიას მთავარ ნაწარმოებთა ქვემომოყვანილი ნუსხა.

1. კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის დარგში ილიამ ამ პერიოდში გამოაქვეყნა მთელი რაგი წერილები. ამათ შორის გან-

¹ ეანდარმთა სამმართველოს საიდუმლო მოხსენების ტექსტი გამოქვეყნებულია გაზეთში „Тифлисский рабочий“, 1937 წ. № 110.

საკუთრებით აღსანიშნავია ორი: „აკაკი წერეთელი და „ვეფხისტყაოსანი“ (1887 წ.), რომელიც დღემდე რჩება უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებად რუსთაველოლოგიის დარგში, და ნარკვევი „წერილები მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე“ (1892 წ.), სადაც ილიამ მოგვცა პირველი ცდა მე-19 საუკუნის ქართული მწერლობის ისტორიის განხილვისა მის მთლიანობაში.

II. ისტორიის დარგში ილიამ გამოაქვეყნა ასევე მთელი რიგი წერილებისა, ამათ შორის მთავარია ორი წერილი პოლემიკური ხასიათისა საქართველოს ისტორიის საკითხთა გამო: „ი ისტორია“, გამოქვეყნებული 1889 წელს, და „სომეხთა მეცნიერნი ანუ ქვათა ღაღადი“, გამოქვეყნებული 1899 წელს, რომელშიაც ილია ფარდას ხდის ისტორიის ფალსიფიკატორებს.

III. ასევე მთელი რიგი წერილებისა გამოაქვეყნა ილიამ პედაგოგიკის დარგში, სახალხო განათლების საკითხებზე. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია „პედაგოგიკის საფუძვლები“, რომელიც 1888 წელს დაიბეჭდა.

IV. ილიას წმინდა პუბლიცისტიკური წერილების მთელი წყებიდან აქ ცალკე აღენიშნავთ წერილს „რა ვითხრათ, რით გაგახაროთ“ (1897 წ.), რომელიც ერთ-ერთი უბრწყინველესი ფურცელთაგანია ილიას პუბლიცისტიკაში. ასევე ცალკეა აღსანიშნავი ილიას უაღრესად მნიშვნელოვანი წერილი „მეცხრამეტე საუკუნე“, რომლის შესახებ ქვემოთ ცალკე გვექნება საუბარი.

V. ასევე პერიოდში ილიამ გამოაქვეყნა პოლიტიკურ-ეკონომიური ნარკვევები: „ეკრძო და სათემო მიწათ-მფლობელობა“ (1886 წ.) „ხიზნების საქმე“ ნარკვევი მეორე (1886 წ.), „საზოგადოებრივი ცხოვრების ნაყლის და მისი ეკონომიური მიზეზები“ (1897 წ.). ცალკეა აღსანიშნავი პოლემიკა ნოე ყორღანიასთან (1900 წ.).

VI. ილიას აქვს მთელი წყება წერილებისა საქართველოს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა საკითხებზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ორი წერილი ზოგადი ხასიათისა: „ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების საზრუნავი“ (1893 წ.)¹ და „ძველი და ახალი ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებაში“ (1897 წ.)².

არ არის არც ერთი დარგი საქართველოს სახალხო მეურნეობისა, რომელსაც არ შეხებოდეს ილია. ასე, ილია უძღვნის სერიას წერილებისას სახალხო მეურნეობის შემდეგ საკითხებს: მევენეხაობისა და მეღვინეობის საქმე; სოფლის მეურნეობის ძვირფასი კულტურების საქმე; ბამბის საქმე; პურეულის საქმე; მელიორაციის საქმე; მესაქონლეობის საქმე; სოფლის მეურნეობა და შეკავშირების საქმე; სამეურნეო განათლების საქმე; საქართველოს სახალხო მეურნეობა და გზებისა და ბაზრის საკითხები; მრეწველობის საქმე (ჩარჩულ-კაპიტალი და მრეწველობა; ნავთის საქმე; შავი ქვის მრეწველობის საქმე) და სხვანი.

ასევე ილიას ეკუთვნის მთელი რიგი წერილებისა ბანკის, კრედიტისა და ფინანსების საკითხებზე.

VII. ილია წერს წერილების მთელ წყებას საზოგადოებრივ ცხოვრების ყოველდღიურ საჭირობორთო სხვადასხვა საკითხებზე. ამ დარგის წერილებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია წერილების სერია — „ავლაბრელების საქმე“, რომელიც იბეჭდებოდა „ივერიაში“ 1887 წელს, და „თბილისის მტერ-მოყვარენი“, რომელიც ასევე წერილების სერიის სახით დაიბეჭდა „ივერიაში“ 1897 წელს.

VIII. ილიას საკუთრად წერილებიდან ცალკე აღენიშნავთ ილიას ფელეტონებს; მათ რიცხვს ეკუთვნის: „ღმერთმა ნუ დაგაბეროსთ“ (1886 წ.) „ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე“ (1896 წ.), „ი. გომართელის ფილოსოფია და ა. ჯორჯაძის ფსიქოლოგია“ (1902 წ.) და სხვანი.

¹ მთავარი „ივერიაში“, 1893 წ. № 152.

² მთავარი „ივერიაში“, 1897 წ. № 265.

IX. ილია ამავე პერიოდში აქვეყნებს წერილების სერიას უცხოეთზე, საგარეო პოლიტიკის საკითხებზე. ამით რიცხვს ეკუთვნის: ირლანდია და ინგლისი, საისტორიო და საეკონომიო ნარკვევი (1886 წ.), რიგი წერილებისა, მიმართული ევროპის მილიტარიზმის წინააღმდეგ, წერილები ევროპისა და აღმოსავლეთის პოლიტიკის საკითხებზე.

ილია ამავე პერიოდში, 1886 წლიდან ვიდრე ცხრაასიან წლებამდე, გარდადიდი მასშტაბის სამწერლო-პუბლიცისტური მოღვაწეობისა, დიდ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევა როგორც ხელმძღვანელი ყველა უმთავრესი იმ დროს არსებული ქართული საზოგადოებრივი დაწესებულებებისა.

განსაკუთრებით გაიზარდა ამ პერიოდში მნიშვნელობა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა, რომლის უცვლელი თავმჯდომარეა ილია 1885 წლიდან მოკიდებული.

საზოგადოებამ ფართოდ ვაშალა ქსელი ეროვნული სახალხო სკოლებისა. საზოგადოება ამავე დროს აწარმოებდა დიდ საგამომცემლო მუშაობას.

ამავე პერიოდში საფუძველი ჩაეყარა წერა-კითხვის საზოგადოებასთან არსებულს ეროვნულს ბიბლიოთეკას; გამდიდრდა ძველ-ქართველ ხელნაწერთა სიძველეთსაცავი, რომელიც ეროვნულ მუზეუმად გადაიქცა.

90-იანი წლების პირველ ნახევარში ქართულ სალიტერატურო-საზოგადოებრივ ცხოვრებაში უნდა აღინიშნოს ორი მნიშვნელოვანი თარიღი: ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენება საქართველოში 1893 წელს და რაფიელ ერისთავის იუბილე 1895 წელს.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენება საქართველოში წერა-კითხვის საზოგადოებისა და მისი ხელმძღვანელის ილია ჭავჭავაძის თათხრობით მოხდა. ნ. ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებამ, როგორც ცნობილია, დიდი ეროვნული მანიფესტაციის სახე მიიღო.

ილიას უახლოეს მონაწილეობით მოეწყო და ჩატარდა აგრეთვე რაფიელ ერისთავის სალიტერატურო მოღვაწეობის 50 წლის იუბილე, რომელმაც სახალხო ხასიათი მიიღო და ასევე ქვეყნის ცოცხალი ძალების ნამდვილ მანიფესტაციას წარმოადგენდა. ილიას ორგანომ გაზეთმა „ივერიამ“ რაფიელ ერისთავის იუბილეს შეუქმნა დიდი პრესა.

რაფიელ ერისთავის იუბილეს, როგორც ცნობილია, ახალგაზრდა სტალინი მიესალმა ლექსით, რომელიც გაზეთ „ივერიაში“ დაიბეჭდა.

აქ საქირთა ცალკე შევეხთ ქართველი ხალხის დიადი შვილის, კაცობრიობის დიდი ბელადის იოსებ ბესარიონის-მე სტალინის ჯერ კიდევ სიჭაბუკის დროს შეხვედრას ილია ჭავჭავაძესთან, ახალგაზრდა სტალინის პირველ გამოსვლის სამწერლო ასპარეზზე „ივერიის“ ფურცლებზე.

როგორც ცნობილია, „ივერიაში“ 1895 წლის ივნისიდან — დეკემბრამდე დაიბეჭდა ახალგაზრდა სტალინის ზუთი ლექსი.

აი მათი ნუსხა:

„ივერიის“ 1895 წლის 14 ივნისის ნომერში — ლექსი: „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი“ (შემდეგ გადაიბეჭდა „დედა-ენაში“ სათაურით: „დილა“);

29 სექტემბრის ნომერში — ლექსი: „როდესაც ბადრად მნათობი“;

11 ოქტომბრის ნომერში — ლექსი: „მთვარეს“;

29 ოქტომბრის ნომერში — ლექსი: „რაფიელ ერისთავს“;

25 დეკემბრის ნომერში — ლექსი: „ამ ქვეყნად იგი ვით ლანდი“.

სტალინი ამ დროს 15 — 16 წლის ვაბუკი იყო. სტალინი სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში, იგი იყო სემინარიის მეორე კლასის შორეული.

აღსანიშნავია, რომ თბილისის სასულიერო სემინარია, სადაც სწავლობდა ქართველი ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი ნაწილი, აღრევე ყოფილა მოქცეული ილიას მხედველობის არეში, რომელიც ასეთის გულისყურით და მზრუნველობით ეკიდებოდა ქართველი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს, მის მომზადებას ხალხის სამსახურისათვის.

„ამიერკავკასიის სასწავლებელთა შორის, — სწერს სტალინის სიკბაუკის დროინდელი ამხანაგი დამსახურებული მასწავლებელი პეტრე კაბანაძე, — თბილისის სასულიერო სემინარია ითვლებოდა თვალსაჩინო რევოლუციურ კერად. ამ ნიადაგზე სასწავლებლის კარი არა ერთგზის გამოკეტილა. ჩვენი სემინარია მეფის მთავრობას ხშირად ძილს უფრთხობდა. ექვმიტანილი მოწაფეები ათობით არიციებოდნენ სასწავლებლიდან და პროვინციებში იგზავნებოდნენ“¹.

სემინარიის მოწაფეთა შორის ოპოზიციური განწყობილების განმტკიცებას და სემინარიის არა ერთგზის მომხდარ არეულობას — ცარისტული ხელისუფლება მიაწერდა ილია ჭავჭავაძის გავლენას.

ჩვენ უკვე ზემოთ მოხსენებული გვქონდა თბილისის ენდარმერიის სამმართველოს საიდუმლო მოხსენება, რომელიც წარგზავნილი იყო პეტერბურგში პოლიციის დეპარტამენტში 1894 წლის 1 მაისს. ამ დოკუმენტში, რომელიც სწორედ ჩვენთვის საინტერესო ხანას ეხება, ჩვენ ვკითხულობთ:

„В бунте в семинарии не меньшая доля принадлежит преподавателям Тифлисской дворянской школы (учреждена исключительно для грузин)... Уверенно можно утверждать, что главным руководителем направления, ставящего своей целью углубление национального движения, является князь Илья Чавчавадзе, председатель Тифлисского дворянского банка (на средства этого банка содержится вышеуказанная дворянская школа, а также он является редактором грузинской газеты „Иверия“). Князь Илья Чавчавадзе обладает замечательным умом и положением, пользуется большим авторитетом среди грузин вообще и среди свободомыслящих в особенности. Ходят слухи, что у него время от времени устраиваются тайные собрания, на которых обсуждаются различные общественные и социальные вопросы“².

ამავე ხანებში, 1895 წელს, ენდარმერიამ განჩრეკა ილიას ბინა, სადაც მთავრობის საწინააღმდეგო პროკლამაციებს ეძებდნენ³.

მომდევნო 1896 წელს ილიას ორგანო „ივერია“ მთავრობამ დაკეტა ოპოზიციური მიმართულების გამო. კერძოდ ამ შემთხვევაშიაც გაზეთის დაკეტვის ერთ-ერთ მიზეზად დასახელებული იყო მოთავსება გაზეთში ისეთი წერილებისა, რაც იწვევდა ოპოზიციური სულის განმტკიცებას მოსწავლე ახალგაზრდობაში საერთოდ და თბილისის სასულიერო სემინარიის მოწაფეთა შორის კერძოდ.

ჩვენ აქ საჭიროდ მიგვანინა დაწერილებით გავცნობ ამ დოკუმენტებს „ივერიის“ დაკეტვის გამო, რადგან ისინი იძლევიან მეტად საყურადღებო მასალებს აქ აღძრული საკითხის შესახებ, და გვისურათებენ იმ ბრძოლას, რომელსაც შეუზღველად აწარმოებდა ილია თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

კონფიდენციალურ მოხსენებაში, 1896 წლის 30 აპრილის თარიღით, რომელიც წარდგენილი იყო განსახილველად კავკასიის მთავარმართებლის საბჭოში მთავარმართებლის კანცელარიის მიერ თვით მთავარმართებლის გენერალ-ადიუტანტ შერემეტეივის განკარგულებით, შემდეგი წერია გაზეთ „ივერიის“ ოპოზიციური მიმართულებისა და მისი რედაქტორის ილია ჭავჭავაძის „კრამოლური“ მოღვაწეობის შესახებ.

¹ იხ. პ. კაბანაძე, ბელადის ბავშვობა და ყრობა, 1945 წ., გვ. 44.

² იხ. დოკუმენტის ტექსტი გაზეთში „Тифлисский рабочий“, 1937 წ. № 110.

³ იხ. საისტორიო მოამბე III, 1947 წ., გვ. 157 (ა. იოვიძე, ილია ჭავჭავაძე — დოკუმენტური მასალები).

«Председатель Кавказского цензурного комитета в секретном письме на имя Директора Канцелярии главноначальствующего от 17 сего апреля... сообщил следующее: Выходящая в г. Тифлисе под предварительной цензурой и под редакторством кн. Илья Чавчавадзе грузинская газета „Иверия“ возбудила в октябре 1893 года по поводу смеха духовенства вопрос о реорганизации Тифлисской духовной семинарии и о введении в ней преподавания на грузинском языке. Статья эта, признанная высокопреосвященным экзархом Грузии крайне тенденциозной, была задержана Комитетом...

Высказанные в 1893 году воззрения на церковное и школьное дело в крае не переставали с тех пор появляться на столбцах „Иверии“, составляя отличительную черту направления этой газеты, вообще мало сочувствующей настоящему порядку, вещей в крае...

Газета эта всегда отличалась страстным односторонним отношением к общественным вопросам и узко-национальными взглядами при обсуждении государственных интересов. Высказывая беспочвенные либеральные упования, или порицая бездоказательно русские, чуждые, — по выражению газеты, — порядки в крае, она приобрела репутацию независимого либерального органа, чему немало способствует популярность ее редактора кн. И. Чавчавадзе, поэта гражданской скорби...

„Иверия“ обнаруживает стремление возбуждать среди учащейся молодежи неповиновение и ненависть к русскому священнику и учителю.

Такого рода статьи появились в №№ 39, 40, 41 газеты „Иверия“ за февраль месяц в виде фельетона под заглавием: „Картины из жизни учеников“ (вымысел).

Хотя в рассказе этого фельетона учебное заведение не названо, однако не подлежит сомнению, что тут подразумевается Тифлисская духовная семинария...

Фельетонист „Иверия“... хочет доказать бесполезность духовного учебного заведения, он глумится над изучением священного писания, возмущается введением в преподавание русского языка, он прямо призывает, в лице героя рассказа, учеников к неповиновению и борьбе.

Ознакомившись с содержанием этих статей, он, председатель Кавказского цензурного комитета, в заседании 2-го апреля, сделал строгий выговор цензору грузинского языка, разрешившего их к напечатанию по неосмотрительности, и в присутствии комитета поставил на вид редактору-издателю газеты „Иверия“ кн. И. Чавчавадзе, что допущенная в его газете недостойная пропаганда, обращаемая к школьной молодежи, может иметь весьма пагубные и непоправимые последствия и вызвать новые беспорядки в стенах Тифлисской духовной семинарии*.

მოხსენება თავდებოდა შემდეგი დასკვნით:

„В виду изложенных обстоятельств, Канцелярия главноначальствующего, находя распространение приведенных в фельетонах газеты „Иверия“ идей среди учащейся молодежи крайне вредным, и принимая во внимание, что в случае вредного направления какого либо периодического в крае издания на туземных языках, главноначальствующему предоставляется налагать на повременное издание взыскания [— прекращать таковое издание на срок не далее восьми месяцев], по предварительном обсуждении сего вопроса в Совете Главноуправляющего, имею честь о вышеизложенном, в исполнение приказания ген. адъют. Шереметьева, представить на обсуждение Совета Главноначальствующего“¹.

კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარეს გაველს ამავე საკითხზე გაუგზავნია საიდუმლო მოხსენებები პეტერბურგში სათანადო ინსტანციებში. ამავე დროს გაველს პირადად წარსდგომია მთავარმართებელს შერემეტიევს, რომლისთვისაც წარუდგენია ახალი მასალები, მამხილებელი ილია ჭავჭავაძის „გუესწორებელი“ ოპოზიციონერობისა. გაველს მოუხსენებია მთავარმართებლისათვის, რომ ილია არავითარ ყურადღებას არ აქცევს ცენზურის მკაცრ

¹ იხ. ცენტრალური საბელმწიფო საისტორიო არქივის ფონდი, საქ. 2185, ფ. 4 — 8 (საისტორიო მოამბე, III, 1947 წ., გვ. 241 — 244).

გაფრთხილებებს და მტკიცედ და შეუხრელად („с упорством и настойчивостью“) — ატარებს თვის ხაზს.

ერთ-ერთ საიდუმლო მოხსენებაში, რომელიც გაეცალს გაუგზავნია პეტერბურგში საცენზურო სამმართველოს უფროსისადმი (1896 წლის 4 მაისის თარიღით), იგი წერს:

„В дополнение к донесению моему за № 1190 по поводу постановления вверенного мне Комитета о привлечении редактора-издателя газеты „Иверия“ кн. Илья Григорьевича Чавчавадзе к административному взысканию, имею честь донести Вашему Превосходительству, что при личном докладе генерал-адъютанту Шереметьеву постановления Комитета, я представил на благоусмотрение его высокопревосходительства дело с задержанными для „Иверии“ статьями в доказательство явно несочувственного правительству направления этой газеты...“

Вполне игнорируя цензурные указания, кн. Чавчавадзе продолжает с упорством и настойчивостью представлять в цензуру статьи, к возбуждению крайне восприимчивой местной молодежи. 10 мая дело это будет рассматриваться в Совете Главноуправляющего при моем участии“¹.

10 მაისს 1896 წელს შესდგა მთავარმართებლის საბჭოს სხდომა, რომელმაც გამოიტანა დადგენილება გაზეთ „ივერიის“ გამოცემის 8 თვით შეწყვეტის შესახებ.

დადგენილებაში ნათქვამია:

„При обсуждении настоящего дела, Совет нашел, что в газете „Иверия“ систематически, в течение нескольких лет ведется вредная пропаганда, обращенная главным образом, к учащейся молодежи против вводимых в крае русских порядков, против русского языка и вообще русского влияния, в чем бы оно не выражалось и до какой сферы не относилось; параллельно в этой газете настойчиво проводится мысль об угнетении грузинского народа, выражающемся, будто бы, в преследовании грузинского языка в школе и даже в церкви. В виду этого грузины призываются к открытому действию против русского влияния. Настойчивость, с какою ведется эта недостойная пропаганда, характерно выражается в том, что непосредственно вслед за внушением редактору со стороны Цензурного Комитета, в газете, в явное игнорирование этого внушения, является статья об организации самообразования, в которой с особенной страстью проводится та же мысль о мнимом гонении на грузин и их язык, и изобретаются средства для возможного обособления грузинского народа от России.“

„Обсуждая такое направление газеты „Иверия“... Совет единогласно постановил... прекратить издание выходящей в Тифлисе на грузинском языке, под редакцией кн. Илья Чавчавадзе, газеты „Иверия“ на восемь месяцев“².

ამ დადგენილების კავკასიის მთავარმართებლის მიერ დამტკიცების შემდეგ³, გაზეთმა „ივერია“ შეწყვიტა გამოსვლა 1896 16 მაისიდან. მას შემდეგ რვა თვის განმავლობაში ქართულს ენაზე ყოველდღიური გაზეთი აღარ გამოდიოდა. ილიას დიდი შრომა დასჭირდა, რომ 1897 წლიდან, აკრძალვის ვადის გასვლის შემდეგ, ისევ განეხლებია გაზეთ „ივერიის“ გამოცემა.

სწორედ ამ პერიოდში, 1894 — 1896 წლების მანძილზე, როდესაც ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“, — ცარიზმის ხელისუფალთა სიტყვებით „систематически, в течение нескольких лет велась вредная пропаганда, обращенная,

¹ იხ. ილია ჭავჭავაძე, საიდუმლო კრებული, 1939 წ., გვ. 422-3.

² იხ. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის ფონდი 12, საქ. 2185 (საისტორიო მოამბე, III, 1947 წ., გვ. 245-6)

³ იხ. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის ფონდი 12, საქ. 2185, ფ. 3 (საისტორიო მოამბე, III, 1947 წ., გვ. 246).

главным образом, к учащейся молодежи" და როდესაც ილია ჭავჭავაძე-ძეს ხელისუფლება მუქარით მიუთითებდა, — „что допущенная в его (Илья Чавчавадзе) газете недостойная пропаганда может иметь весьма пагубные и непоправимые последствия и вызвать новые беспорядки в стенах духовной семинарии“, — სწორედ ამ პერიოდში სემინარიაში შედის ახალგაზრდა სოსო ჯულაშვილი. იგი მოეწყო სემინარიის პირველ კლასში, 1894 წლის სექტემბრიდან, როდესაც მას 15 წელი უსრულდებოდა.

სოსო ჯულაშვილის სკოლის ამხანაგი პეტრე კაპანაძე — წიგნში „ბელადის ბავშვობა და ყრმობა“ წერს:

„სემინარიაში შესვლას პირველსავე წელსვე (1894 წელს) სოსო პანსიონში მოეწყო. სოსო მამის ნაკითხი და განვითარებულ ახალგაზრდა იყო. თბილისმა მის განვითარებას კიდევ უფრო შეუწყო ხელი.

სოსო დაუკავშირდა არალეგალურ პოლიტიკურ წრეებს და ქალაქის მდიდარ ბიბლიოთეკებში დაეწაფა ამ დროინდელ ეურნალ-გაზეთების კითხვას... ამ დროს სემინარიაში მარქსისტული მოძღვრების შესწავლას უკვე საფუძველი ეყრებოდა. მოწაფეების არალეგალური წრეები უკვე არსებობდნენ.

ს. ჯულაშვილი ამ წრეების თვალსაჩინო წევრი გახდა და მათი ხელმძღვანლობა სულ მოკლე ხანში ხელში აიღო“¹.

თავის საუბარში გერმანელ მწერალთან ემილ ლუდვიგთან ი. ბ. სტალინმა აღნიშნა: „რევოლუციონერ მოძრაობაში მე ჩავედი 15 წლის ჰასაკიდან“. გერმანელ მწერლის კითხვაზე, — „რამ გაიძულათ თქვენ გადასულიყავით ოპოზიციისში“, — ი. ბ. სტალინმა მიუთითა: „იმ დამამკირებელი რევოლუცია და იეზუიტური მეთოდების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ სემინარიაში, მე მხად ვიყავ გაემხდარიყავი და მართლაც გავხდი რევოლუციონერი...“².

სწორედ ამ პერიოდში, 1895 წელს, როდესაც სტალინი 15 წლისა იყო, მე-16 წელში გადამდგარი, — მოხდა შეხვედრა ახალგაზრდა სტალინისა, სემინარიის არალეგალური წრის ხელმძღვანელისა, ილია ჭავჭავაძესთან, რომელიც ასე შეუხრულად აწარმოებდა ბრძოლას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და რომელიც კერძოდ ილაშქრებდა სწორედ „იმ დამამკირებელი რევოლუცია და იეზუიტური მეთოდების წინააღმდეგ“, რომლებსაც, ი. ბ. სტალინის სიტყვით, „ადგილი ჰქონდათ სემინარიაში“.

ამრიგად ეს შეხვედრა არ იყო შემთხვევითი.

1895 წლის ივნისიდან ახალგაზრდა სოსო ჯულაშვილი იწყებს ლექსების ბეჭდვას ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“.

უნდა გვახსოვდეს რომ ილია ასე ადვილად არ უღებდა მწერლებს „ივერიის“ კარებს.

წერილში „პოეზიის ახალგაზრდა მოყვარულთ“, ილია ჭავჭავაძე წერდა: „ჩვენი პატარა მეგობრები ნუ გვიწყენენ პირდაპირ სიტყვას... პოეზია — ეს ისეთი აზიზი მზეთუნახავი ყვავილია, რომ მალე ჭკნება, თავის სულნელებს ჰკარავებს, თუ მეცნიერების შუქი არ ადგია, თუ მეცნიერება თავის უკვდავების წყაროს არ ასხურებს და სიბრძნის ხელი კიდევ დღე-მუდამ არ ჰფურჩქნის.

„თუ ღმერთს პოეტობის ნიჭი მიუმაღლებია თქვენთვის, ჩვენო პატარა მეგობრებო, ნუ ჩქარობთ გამოჩენასა. ნუ გეშინიათ, იგი არ მიგემაღებათ არსად. იგი თავის დროზედ გამოიხეტქება, როგორც ანკარა წყარო კლდის გულიდამ, ოღონდ პირველ ხანშივე ნუ მოაკლებთ მაგ უსუსურს მადლს — მეცნიერების ნოყიერს ძეძულსა. ჯერ თქვენ სწავლობთ და ღმერთმაც მოგიძარბათო ხელი მაგ საკეთილო გზაზედ: ჯერ ისწავლეთ, ჯერ თქვენ შეიძინეთ, რომ მერე

¹ იბ. პ. კაპანაძე, ბელადის ბავშვობა და ყრმობა, 1945 წ., გვ. 40.

² ამხანაგ სტალინის საუბარი გერმანელ მწერალ ემილ ლუდვიგთან (1931 წლის 103-ე დეკემბერს), იბ., 1932 წ., გვ. 13.

სხვასაც შესძინოთ რამე... გვერწმუნეთ, რომ ამ რჩევას იძლევა თქვენი გული-
თადი მეგობარი, თქვენი კეთილის მოსურნე...“¹.

ერთადერთი გამონაკლისი, რომელიც დაუშვა ილიამ, ეს იყო ახალგაზრდა²
სოსო ჯულაშვილის მიმართ, რომელსაც ილიამ ფართოდ გაუხსნა თავისი რე-
დაქციის კარები.

ი. ბ. სტალინის სიყრმის მეგობარი პეტრე კაპანაძე შემდეგს გადმოგვცემს
ილიასა და ახალგაზრდა სტალინის პირველი შეხვედრის შესახებ:

„სოსომ... მოკრძალებით შეაღო ილიას კაბინეტის კარი და თავმდაბალი სა-
ლაში მისცა დიდ მწერალს. როცა ილია შეეკითხა, ახალგაზრდავ, რა გინდაო,
სოსომ მოკრძალებით გაუწოდა თავისი დაწერილი ლექსი.

„სოსო გულის-ძგერით მოელოდა ილიას მსჯავრს. ვაათავა ილიამ ლექსის
წაკითხვა. ცოტა შეისვენა, რამდენჯერმე შეხედა მის ავტორს, წამოდგა, მხარზე
ხელი დაადო სოსოს და უთხრა, — კარგი ლექსია, ახალგაზრდავ, იმეცადინე,
სწერე და კარგი მწერალი იქნებიო.

„სოსო გახარებული და კმაყოფილი დაბრუნდა. არანაკლებ სასიამოვნოდ
დაგერჩა ეს გარემოება მის მეგობრებსაც. ჩქარა მისი ლექსი „ივერიაში“ დაი-
ბეჭდა და ჩვენს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. მახსოვს ის ნომერი ვახუთი-
სა მოწაფეთა ხელიდან ხელში გადადიოდა“².

ამის შემდეგ, ვიდრე „ივერიაში“ მთავრობამ არ დახურა, სოსო ჯულაშვილის
ლექსები „ივერიაში“ იბეჭდებოდა.

ასეთი იყო შეხვედრა კაცობრიობის დიდი ბელადისა, ქართველი ხალხის
დიადი შვილის ახალგაზრდა სტალინისა მე-19 საუკუნის დიდ ქართველ მწე-
რალთან და საზოგადო მოღვაწესთან ილია ჯავახიშვილსთან.

1898 წელს ქართველი საზოგადოება ემზადებოდა, რათა გადაეხადა ილია
ჯავახიშვილის სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 40-წლოვანი თუბი-
ლე. შედგა საიუბილეო კომიტეტი. დანიშნული იყო კიდევ იუბილეს გამარ-
თვის თარიღი: 9 აპრილი 1898 წლისა.

მაგრამ ილიას იუბილეს გამართვა მთავრობამ აკრძალა. მთავრობა იძულე-
ბული გახდა გამოემყდარებინა, რომ ილია ცარიზმის მიერ „არა კეთილსამე-
დოთა“ შავ სიაში იყო ჩარიცხული.

ილიას იუბილეს აკრძალვის გამო სოფრომ მგალობლიშვილი ერთ წერილ-
ში სწერს ნიკო ნიკოლაძეს (28 მარტს 1898 წელს):

„ილიას იუბილეს საქმე შეფერხდა. გუბერნატორმა არ მოგვცა ნება: არა-
კეთილსამედოთა სიაში გახლავთო თქვენი ღვეგმირი ილიაო. ახლა ვუცდით
გოლიციანის მოსვლას. მაინც-და-მაინც ვაპირობთ კერძოდ გამართვასა, უკეთუ
ოფიციალურად ვერ მოხერხდება“³.

ილიას იუბილეს გამართვა ვერ მოხერხდა ვერც ოფიციალურად და ვერც
კერძოდ, არაოფიციალურად.

აღსანიშნავია, რომ მთავრობამ იმის ნებაც კი არ დართო, რომ ვახუთში
გამოეცხადებიათ ილიას იუბილეს გადაღება.

თბილისის საცენზურო კომიტეტის საქმეებში შენახულა ცენზურის მიერ
აკრძალული ამონაბეჭდი ვახუთ „ცნობის ფურცლიდან“, რომელიც ილიას
იუბილეს „გადაღებას“ ეხება.

¹ იხ. ილია ჯავახიშვილი, ტ. II, 1941 წ., გვ. 110—111.

² იხ. ბ. კაპანაძე, ბელადის ბავშვობა და ყრობა, 1945 წ., გვ. 55.

³ სოფრომ მგალობლიშვილის დასახელებული წერილი დაცულია ნიკო ნიკოლაძის არქივში
თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში.

ეს აკრძალული ამონაბეჭდი შეიცავს შემდეგ ტექსტს:

„თავ. ილია ჭავჭავაძის იუბილეს გადაღება.
ჩვენი პოეტის ილია ჭავჭავაძის იუბილე, რომელიც დანიშნული იყო პარიზში
სათვის, სხვადასხვა მიზეზების გამო გადაღებულ იქნა“.

საქცენზურო კომიტეტს აუკრძალავს ამ ცნობის გაზეთში გამოქვეყნება; საქცენზურო კომიტეტის საქმეებში დაცულია შემდეგ დადგენილება 1898 წლის 18 მარტის თარიღით, ამ ცნობის დაბეჭდვის აკრძალვის გამო, ხელმოწერილი საქცენზურო კომიტეტის თავმჯდომარის მიერ: „В виду особого распоряжения печатание воспретить. Председатель М. Гаккель“¹.

ამრიგად თვით საგაზეთო ქრონიკის აკრძალვის გამო „особое распоряжение“ („საგანგებო განკარგულება“) ყოფილა მიღებული.

ამის შემდეგ, 1898 წლის 24 მაისისათვის განზრახული იყო ილიას იუბილეს არაოფიციალურად გამართვა, მაგრამ ისიც ვერ შემდგარა მთავრობის ჩარევის გამო. მ. ნასიძის წერილში ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, რომელიც 1898 წელს ცალკე წიგნად გამოქვეყნდა, აღნიშნულია: „დამზადებული 24 მაისისათვის, როდესაც ქართველობას უნდა გადაეხადნა თ. ი. ჭავჭავაძის ორმოცი წლის იუბილე“.

აქ არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ამასთან ჩვენი მოამბე უკრაინელი ხალხის გამოხმაურება ილიას ამ აკრძალული იუბილეს გამო.

უკრაინიდან 1898 წელს ილიას სახელზე მიღებულ იქმნა ადრესი, რომელსაც ხელს აწერდნენ უკრაინის ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, მათ შორის უკრაინის სახელოვანი მწერალი მიხეილ კოციუბინსკი.

ამ ადრესში (რომელიც ამჟამად ყვარლის ილიას სახელობის მუზეუმშია დაცული) — უკრაინელი მოღვაწენი სწერდნენ ილიას:

„Віщий дух поета вашого Шевченка, літаючи над пишною Грузією, так маявав нам країну Вашу в поезмі „Кавказ“:

„За горами гори, хмарами повіті,
Засіяні горем, кровію полні.“

Сноковнику Прометея
Там орел карас,
Що день Божий дойде ребра
Й серце разбиває.
Разбиває, та не вин'є
Жив, щої крові,
Воно знову оживас
і смієся знову“.

Так, велике серце Прометея, який здобув для людськості божественну іскру, не лякаючись кари хижої сили, не разбито до-щенту: воно оживає в грудах поетів — патріотів, борців за долю народу, до яких належите і Ви, високоповажений Дабродію!“

(„მისანი სული ჩვენის პოეტის შევჩენკოსი, დაფრენდა რა შშვენიერს საქართველოს, ასე ვეხატავდა თქვენს ქვეყანას პოემა „კავკასში“:

¹ იხ. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის ფონდი 480, საქ. 14 ფ. 4 (საისტორიო ზომბე, III, 1947 წ., გვ. 255).



„მთების იქით მთები, შებურვილი ნისლით,
მწუხარებით სავსე და შორწყული სისხლით.
ქველთაგანვე პრომეთოსს
აქ არწივი სძიძგნის,
გულს უკორტნის, მოთქრიალებს
ნაკადული სისხლის.
ეწაფება და ვერ ამრობს
სისხლის ცხოველ წყაროს,
გული ისევ მოცოცხლდება
ქველებურად ხარობს“.

ასე, დიადი გული პრომეთოსისა, რომელმაც მოიპოვა კაცობრიობისათვის ღვთაებრივი ნაპერწყალი, არ უშინდება ველური ძალის სასჯელს, არაა საბოლოოდ დამსხვრეული; იგი ცოცხლდება გულში პოეტა-პატრიოტებისა, ხალხის ბედნიერებისათვის მებრძოლთა, რომელთაც ვკუთვნიოთ თქვენ, დიად-პატრივემულო მოღვაწეებ“).

ასეთი იყო ეს მომართვა მოძმე უკრაინელი ხალხის მოღვაწეებისა ქართ-ველი ხალხისადმი, და ქართველი ხალხის თავისუფლებისათვის ღვაწლმოსილი მებრძოლის — ილიასადმი.

ილიას ორგანო „ივერია“, როგორც მოვიხსენიეთ, დახურული იყო მთავრობის განკარგულებით მ თავის განმავლობაში 1897 წლის იანვრამდე. მას შემდეგ, რაც „ივერია“ ხელახლა იქმნა განახლებული ილიას მიერ 1897 წლიდან, ილია ისევ ქველებური ენერჯით შეუდგა თავის მრავალმხრივს პუბლიცისტურ-სა-ეჟრნალო მოღვაწეობას.

1897 — 1900 წლებს ეკუთვნის მთელი წყება ილიას წერილებისა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა საკითხებზე.

აქ ჩვენ საგანგებოდ შეეჩერდებით ილიას წერილზე „მეცხრამეტე ს ა უ კ უ ნ ე“, რომლითაც ილია შეეგება ახალი მეოცე საუკუნის დასაწყისს (წერილი გამოქვეყნდა 1900 წელს პირველ იანვარს). ეს წერილი წარმოადგენს მწერლის ერთგვარ ანდერძს, მომავალი თაობებისადმი მიმართულს.

ილია ამ წერილში ეხება „შრომის ახსნის“ დიად საქმეს.

როდესაც ჩვენ ვკითხულობთ ილიას ამ უკანასკნელ საპროგრამო წერილს და მასთან დაკავშირებით თვალს გადავავლებთ ილიას მთელ ლიტერატურულ მემკვიდრეობას, ჩვენ ვხედავთ ერთ მაგისტრალურ ხაზს, რომელიც გასდევს ილიას შემოქმედებას მთელი მის მოღვაწეობის მანძილზე.

ჯერ კიდევ თავის პირველ მთავარ ნაწარმოებში „ანრილში“, რომელიც 1858-9 წლებში დაიწერა, ილია უმღეროდა როგორც ერის თავისუფლების საქმეს, ისე „შრომის ახსნის“ საქმეს.

ესევე მაგისტრალური ხაზია გატარებული ილიას ყველა შემდგომ ნაწერებში.

1871 წელს, როდესაც დამარცხდა პარიზის კომუნა, ილია ლექსში „1871 წელი 23 მაისი (კომუნის დაცემის დღე)“ — წერდა:

„მტერთომძიმეთ და მაშვრალთ მხსნელი
დიდი დროშა დაიშალა,
კვლავ ქვეყნისა შჩაგრავ ძალამ
იგი დროშა დასცა დაბლა.
— კვლავ შეფერხდა ისტორია,
განახლების შესდგნენ ძალნი,
და კვლავ დღესასწაულობენ
გამარჯებულნი მტარვილნი“

პარიზის კომუნის დიდი მაგალითით არის შთაგონებული ილია, როდესაც მომდევნო 1872 წელს იგი წერს „შრომის ახსნის“ დიდი საქმის შესახებ მუშაობის შესახებ

„შრომის ახსნა—ეგ არის ტვირთი
ძღვეამოსილის ამ საუკუნის,
კაცთა ღელვისა დიდი ზვირთი
მაგ ახსნისათვის მედგრადა იბრძვის.
ველარ განუძღვებს ჭვეყანა ძველი
განახლებისა გრივალის ქროლას,
ველარ განუძღვებს ჭვეყნის მხარცველი
ქეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას,—
და დაიმხზრევა იგი ბორკილი,
შემფრებელი კაცთა ცხოვრების,
და ახალ ნერვზედ ახლად შობილი
ესე ჭვეყანა კვლავ აღუვაიდების.

აღლო აილო ჭვეყანამ ძველმა,
რომ დღე და დღე მის წყობა ირღვევა
და ამ ზვირთმა საუკუნეშია
უნდა შევას იგი შრომის სუფევთა...“¹

ხოლო ამ თავის უკანასკნელ საპროგრამო წერილში „მეცხრამეტე საუკუნე“, რომლითაც ილია მიეგება ახალი მეოცე საუკუნის დასაწყისს, ილია წერს: „ვინ მოსთვლის ყოველს იმ სიკეთეს, რომელიც მეცხრამეტე საუკუნემ შესძინა კაცობრიობას. ერთი დიდი და სახელოვანი საქმე მეცხრამეტე საუკუნისა, სხვათა შორის, ის არის, რომ მაგარს საფუძველზე დააყენა და ფრთა გაამლევიანა იმ კაცთმოყვარულს მოძღვრებას, რომ ყოველი ადამიანი, რა წოდებათა კიბის საფეხურზედაც ვინც იდგეს, მაინც ადამიანია, და ვითარცა ადამიანი—ყველასთან თანასწორი, თანასწორად შესაწყნარებელი და გულშესატყვიარი. მართალია, ამ მოძღვრების დასაბამი დიდის ხნისაგან მოდის, მაგრამ ამ საუკუნემ ეს მოძღვრება განაღვიძა, განაძლიერა, გააფართოვა და, დაუდგა რა მეცნიერული საბუთი, ღარიბთა და უძლურთა სამწეო მოძღვრებად გარდააქცია. ამ მეცხრამეტე საუკუნემ სოციალური წყობილების იდეალად გამოსახა „გაუქმება ქონებისა და შემოსავლის მერტ-ნაკლებად განაწილებისა ადამიანთა შორის, გაუქმება ყოველის კლასობრივის ბატონობისა და, შეძლებისამებრ, ყოველის კლასობრივის სხვადასხვაობისა, ფეხზედ წამოყენება და ხელშეწყობა გამრჯეულ და მშრომელ კლასების წარსამატებლად“. ამ გზაზე წინა საუკუნეებს ერთად იმოდენა არა უქმნიათ რა რაც ამ ერთმა მეცხრამეტე საუკუნემ ჰქმნა თვისდა პატივის მოსახსენებლად“.

ილია დაასკვნის:

„ღღეს ღარიბისა და მდიდარს შორის, ძლიერსა და უძლურს შორის უფრო დიდი ზღვარი არის, ვიდრე ოდესმე ყოფილა, და აქ არის იგი სიმწვავე იმ ტკივილისა, რომლის მორჩენაც მე-19 საუკუნემ უანდერძა აწ მომავალ საუკუნეს. მეცნიერება, ადამიანის გონების წინსვლა, ზნეობის აღმატება,—ჯერ ბევრს სხვას კიდევ ძღვეამოსილობით მოიმოქმედებს, მაგრამ ამ მეცხრამეტე საუკუნის ანდერძზე უარესს და უდიდესი საგანს სხვას ვერას აღმოაჩენს და არ გაუთვალისწინებს კაცობრიობას ღღეს ამას იქით“².

ასეთია ეს უკანასკნელი საპროგრამო წერილი, რომლითაც დიდი მწერალი მოაზროვნე, ქართული ხალხის დიდი განმანათლებელი ილია ჭავჭავაძე — მიეგება ახალ საუკუნეს.

¹ იხ. პოემა ანტილი, რედაქცია — 1872 წლისა, თავები XIII — XIV.

² იხ. ილია ჭავჭავაძე, ტ. VI, 1927 წ., გვ. 6 — 8.

1900 წლისათვის უკვე მოხუცებაში შესული ილია (იგი ამ დროის ნ. შ. წელს იყო მიწვენილი) — ავად გახდა. ილიას დევეური ჯანმრთელობა გაატეხა მისმა დევეურმა მუშაობამ.

ილია 1900 წლის ივნისს ევროპაში გაემგზავრა საექიმოდ.

1900 წლის ზაფხული და შემოდგომის დასაწყისი ილიამ დაჰყო გერმანიაში (ბერლინში) და ავსტრიაში. იგი ცოტათი მოკეთებული დაბრუნდა სამშობლოში.

ილიას მეგობარი არტურ ლეისტი წერს თავის მოგონებებში ამ მოგზაურობის გამო:

„1900 წელს ილიამ გერმანია და ავსტრია მოიარა. იგი დიდი ცნობისმოყვარეობით ათვალისწინებდა და უკვირდებოდა გერმანელების ცხოვრებას და კულტურას, მათ ყოველ წვრილმანს აქცევდა ყურადღებას. მაგრამ ღვიძლი სამშობლო, საქართველო, მაინც ძლიერ იზიდავდა თავისკენ. უცხოეთიდან დაბრუნებული ილია როცა თბილისს მოუახლოვდა, ისე მოხიბლულ იქმნა საყვარელი ქალაქის ხილვით, რომ თვალზე ცრემლი მოადგა.“

„ამას განსვენებული ილია მოურიდებლად მიაპობოდა ხოლმე და თანაც დასძენდა: ყმაწვილობაში გამომიცდია ნაღველი სამშობლოს მოშორებით, მაგრამ ისე ძლიერ არა, როგორც ესლა, მოხუცების დროსაო“¹.

შემდეგ წელს, 1901-ში, ილიამ მეორე-გზის იმგზავრა ევროპაში — პარიზში. პარიზიდან დაბრუნების შემდეგ ილია ისევ განაგრძობდა ავადმყოფობას. რათა არ შეფერხებულიყო ვაშეთ „ივერიის“ ხელმძღვანელობა, ილიამ ვაშეთის დროებითი რედაქტორობა 1901 წლის ნოემბრიდან ჩააბარა ცნობილ საზოგადო მოღვაწეს ალექსანდრე სარაჯიშვილს. ხოლო 1902 წლის აპრილიდან ილიამ მთლიანად გადასცა ალექსანდრე სარაჯიშვილს „ივერია“, რომლის უცვლელ ხელმძღვანელად და რედაქტორად იყო ილია მთელი მეოთხედი საუკუნის მანძილზე.

IX

1905 — 1907 წლები

დაიბადა 1905 წელი.

ილია ამ დროს, უკვე 68 წლის მოხუცი, ავადმყოფობით იყო გატეხილი.

ილია 1905 წელს გამოდის საქართველოს პოლიტიკური აგრონომიის მოთხოვნით.

ილია იცავს გლეხებს შავრაზმელთა გამოსვლებიდან.

ცნობილია, რომ 1905 წელს რუსეთში დგებოდა რეაქციული შავრაზმული ორგანიზაციები, რომელთაც მთავრობა აიარაღებდა და იყენებდა ხალხის საწინააღმდეგოდ; ასეთი „შავი რაზმის“ მოწყობის ცდას აღვილი ჰქონდა საქართველოშიაც 1905 წელს. ილიამ თავადაზნაურთა ყრილობაზე გაბედულად გაილაშქრა ამ ბნელი საქმის ორგანიზატორთა წინააღმდეგ. ილიამ „შავი რაზმის“ მოწყობაში ჩათრეულს თავადაზნაურთა ერთ წრეს მიმართა სიტყვებით:

„... რად გინდათ იარაღი რომ ავისხამთ? ვისთვის ამზადებთ თოფებსა? გლეხებისათვის? არ გაბედოთ! ახალეთ თავში ეგ იარაღი მათ, ვინც დაგიორიგათ!“²

როდესაც 1905 წელს მარტში მთავრობამ ეგზეკუცია გაგზავნა დუშეთის მახრაში, ილია წერილით ატყობინებდა თავის მოურავს: „მოსე!.. თუ ვინიცობა მანდ საგურამოში ჯარი მოვიდა, შენ თვითონ ჩადი და ვინც უფროსია ჩემ-მაგვიერ სთხოვე ხალხი არ დააწიოკონ... თუ მაინცა და მაინც თავისი არ დაიშალონ, მაშინვე ფაიტონი გამომიგზავნე, მე თვითონ ამოვალ და მე თვითონ

¹ იხ. არტურ ლეისტი, საქართველოს გული, 1923 წ., გვ. 35.

² იხ. ვაზ. ლიტერატურული საქართველო, 1936 წ., № 7.

ვთხოვ უფროსს, მანდ არა იმოქმედონ რა და ხალხი ტყუილ-უბრალოდ არ გააფუქონ¹.

აქ საჭიროა მოვიხსენოთ ილიას გამოსვლა 1905 წლის დასასრულს, როდესაც მთავრობამ დასავლეთ საქართველოში დამსჯელი ექსპედიცია გაგზავნა ილიას ამ გამოსვლის დამსწრე ი. ზურაბიშვილი შემდეგ წერს თავის მოგონებებში:

„ეს იყო 1905 წლის დამლევის; ნასაკიარალის ამბების გამო დასავლეთ საქართველოში დამსჯელი რაზმი იგზავნებოდა ალიხანოვ-ავარსკის უფროსობით. უძვეელი იყო ხალხის რბევა და ქლექტა-ბოცვა, რაც მოხდა კიდევ. ქართველი საზოგადოების წარმომადგენელნი შეიკრიბნენ სათათბიროდ, რომ ამ საქმისათვის ეშველნათ როგორმე. ამ თათბირს ილიაც დაესწრო და შესანიშნავი ენერგიული სიტყვა წარმოსთქვა. ამ, გრძნობით და აზრით სავსე სიტყვის აღდგენას ვერ ვახერხებ, მესხიერება მალაატობს, მაგრამ მახსენდება სიტყვის დასასრული. ილია წინადადებას იძლეოდა მეფისნაცვალს დელეგაცია მიეფუგზავნოთ, დამსჯელი ექსპედიციის გაგზავნა გადათქვასო, თანაც უნდა განუცხადოთ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ყველანი იქ წავალთ და ჩვენ ძმებთან ერთად „КОСТЬМИ ЛЯЖЕМ“ (სიტყვა ილიამ რუსულად წარმოსთქვა).

„როდესაც ვილაკამ შენიშნა, ხომ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ არავინ ჩვენი არ წავა და „КОСТЬМИ НЕ ЛЯЖЕТ“ — ილიამ უპასუხა: „მაშინ სირცხვილი ჩვენ“, და რამდენადაც მაგონდება დაუმატა ერთ-ერთი შემდეგი ფრაზა: „ამ სირცხვილს ხალხი არ გვაბატყებს“, ან „თორემ ხალხი თითონ წავა“-ო“.

ალსანიშნავია, რომ როგორც ეს ირკვევა ეანდარმერიის სამმართველოს მასალებიდან, ცარისტულ მთავრობას როგორც წინა პერიოდში, ისე 1905—1907 წლებშიაც, მუდმივი საიდუმლო მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდა ილია, როგორც ცარიზმის წინააღმდეგ განწყობილი განსაკუთრებული ავტორიტეტის მქონე პოლიტიკური მოღვაწე, თავგამოდებული დამცველი ქართველი ხალხის ეროვნულ ინტერესებისა.

1906 წელს მარტში ილია ჩავიდა პეტერბურგში სრულიად რუსეთის თავდაზნაურობის საიმპერიო ყრილობაზე, როგორც საქართველოდან გაგზავნილი დელეგატი — ამომრჩეველი სახელმწიფო საბჭოსი.

1906 წლის აპრილში ილია არჩეულ იქმნა სახელმწიფო საბჭოს წევრად. ინტერვიუში, რომელიც ილიამ მისცა სატახტო ქალაქის კორესპონდენტებს, პირველ რიგში იგი ეხებოდა საქართველოს აწიოკებას ცარისტული თვითმპყრობელობის დამსჯელ ექსპედიციების მიერ. ილიამ განაცხადა:

„საქართველოს აწიოკების შესახებ რაც რუსულ გაზეთებში დაიბეჭდა, ის სინამდვილის მესამედია. ჩვენი ხალხის ცხოვრება ჯოჯოხეთად გარდაქმნეს. მე დარწმუნებული ვარ, ჩვენი დეპუტატები სათათბიროში ამ საგანზე აღძრავენ შეკითხვას. თუ სახელმწიფო საბჭოში მოხერხდა, იქ შევეცდები დაუფარავად დავხატო სრული და უტყუარი სურათი ჩვენი ქვეყნის ვაებისა“.

ილიამ ამასთან კორესპონდენტებს განუცხადა:

„სახელმწიფო საბჭოში მე ამომირჩია თავდაზნაურობამ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ საბჭოში მე მარტო თავდაზნაურთა საჭიროებებზე ვილაპარაკებ. თუ ამას ჰფიქრობენ ზოგნი ჩემნი ამომრჩეველნი, — ეს დღი შეცდომაა. სახელმწიფო საბჭოში თუ თავდაზნაურთა სახელით შევედივარ, ეს მხოლოდ ფორმალური, იურიდიული მხარეა. არ დაუფარავ და ვიტყვი: საბჭოში მთელ საქართ-

¹ იხ. ილია ჭავჭავაძე, ტ. IX, 1928 წ., გვ. 403.

² ილია ზურაბიშვილი, მოგონება ილია ჭავჭავაძეზე, ილია ჭავჭავაძის საიუბილეო კრებული, 1939 წ., გვ. 323-4.

ველოს და ქართველთა ინტერესების დამცველი ვიქნები. საერთო კითხვებსაც შევწირავ ჩემ ღონეს¹.

ილიამ თავის პირველ ინტერვიუში საქართველოს პოლიტიკურ მომართულობის საკითხს შეეხო. მან განაცხადა:

„მე დავიცავ ადგილობრივ ინტერესებს. ადგილობრივ საქართველთა და ინტერესების სფეროში მე მომიხდება დავიცვა ფართო თვითმმართველობა კანონმდებლობითი უფლებებით“².

ოფიციალური ხასიათის კრებულში „Государственный совет 1906 — 1907 гг.“, რომელიც 1907 წელს გამოქვეყნდა, და სადაც მოცემულია ცნობები სახელმწიფო საბჭოს შემადგენლობის შესახებ, ილიას შესახებ აღნიშნულია: „...сторонник широкого местного самоуправления, с широкими местными законодательными правами“³.

სახელმწიფო საბჭო გაიხსნა 1906 წლის 27 აპრილს.

ილიამ და სახელმწიფო საბჭოს ერთმა მცირე ჯგუფმა შეადგინეს სახელმწიფო საბჭოს მემარცხენე ფრთა.

ეურნალისტი მ. ბოლქვაძე, რომელიც 1906 — 1907 წლებში პეტერბურგში მუშაობდა და მოწმე იყო ილიას მოღვაწეობისა სახელმწიფო საბჭოში, შემდეგ წერს სახელმწიფო საბჭოს ამ მემარცხენე ფრთის შესახებ:

„ეს მცირე ჯგუფი შეადგენდა განცალკევებულ კომისიას და დიდის ყურადღებით ადევნებდა თვალს პირველ სათათბიროს — მუშაობას. ეს წრე თავის კრებებზე არჩევდა იმ კითხვებს, რომელნიც სათათბიროში მზადდებოდა. ასეთი დიდი კითხვები იყო: ამინსტია, სიკვდილით დასჯის მოსპობა, აგრარული კითხვა და სხვა... სიკვდილის დასჯის მოსპობის შესახებ ვრცელი მოხსენების შედგენა ილიამ იკისრა...“

„აგრარული კითხვის გარჩევის დროს ილიას ვრცლად და სერიოზულად დასაბუთებული მოხსენება სურდა წარედგნა“⁴.

სახელმწიფო საბჭოს პირველ სესიაზე 1906 წლის 22 ივნისის სხდომაზე ილია გამოდის სახელმწიფო საბჭოს შინაგანაწესის პროექტის კრიტიკით, სადაც ილია ცარიტულ რეჟიმს „საძულველი ვიწრო-ბიუროკრატიული რეჟიმი“-ს სახელწოდებით მოიხსენებს. ილია, შეეხო რა შინაგანაწესის პროექტის იმ ნაწილს, რომელიც კრძალავდა სახელმწიფო საბჭოსთან ხალხის უშუალო ურთიერთობას, კრძალავდა არა მხოლოდ დეპუტაციების წარდგომას სახელმწიფო საბჭოში, არამედ წერილობითი განცხადებების წარდგენასაც საბჭოს თავმჯდომარისა ან საბჭოს წევრების საშუალებით, — ილიამ თქვა:

„Комиссия возмела желание дополнить учреждение (положение) Государственного Совета в наказе... — в смысле преграждения всякого общения между Государственным Советом и народом... Это немного напоминает ненавистное начало узко-бюрократического режима, который полагает, что не правительственные лица и учреждения существуют для народа, а народ для этих учреждений...“⁵

ილია, სახელმწიფო საბჭოს წევრი, ახლო ურთიერთობაში იყო სახელმწიფო სათათბიროს წევრებთან. სახელმწიფო სათათბიროს ეროვნულ უმცირესობათა დეპუტატების კავშირმა ილია მიიწვია როგორც სრულუფლებიანი წევრი და ილია მონაწილეობას იღებდა კავშირის თათბირებში.

¹ იმ. მ. ბოლქვაძე, ახლო წარსულიდან, ილია ზანაძე რუსეთში (1906 — 1907 წ.) ეურნალი „განათლება“, 1908 წ. № 3 — 4, გვ. 108.

² იმ. ილიას ინტერვიუ, გადმოგებული ვახეთში „Тифлисский Листок“ (1906 წ. 20 აპრილი).

³ იხილეთ დასახელებული კრებული გვ. 129.

⁴ იმ. ეურნალი „განათლება“ 1908 წ. № 3 — 4, გვ. 111 — 112.

⁵ იმ. სახელმწიფო საბჭოს პირველი სესიის 1906 წლის 22 ივნისის სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში.

ილია სისტემატურად ესწრებოდა პირველი სახელმწიფო სათათბიროს სხდომებს. მ. ბოლქვაძე თავის მოგონებებში წერს:

„მახსოვს ისეთი კრებები, როდესაც საბჭოს წევრთა ვრცელ კლუბში მართო ილია იყო...“

„როდესაც რომელიმე დეპუტატი ტრიბუნდამ წარმოსთქვა და ძლიერსა და თამამ სიტყვას, ილია საამოდ მოლომარ სახით გამოვიდოდა სათათბიროს კულუარებში და აღტაცებით აღნიშნავდა ორატორის სიტყვის დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას... ილია ქება-აღტაცებასთან ერთად კრტიკულად არჩევდა დეპუტატთა ნათქვამს“.

სათათბიროს ერთ სხდომაზე, — მოგვიხრობს მ. ბოლქვაძე, — ერთმა დეპუტატმა მთავრობის საწინააღმდეგო სიტყვა წარმოსთქვა; „უველა მინისტრები, — განაცხობს მ. ბოლქვაძე, — დარბაზში ბრძანდებოდნენ და ისმენდნენ მსუსხავ მსჯავრს. მე ყურნალისტების ლოგაში ვიჯექე. სახელმწიფო საბჭოს ლოგა ჩვენ გვერდით იყო. აქ იყო ილიაც. (ორატორის) სიტყვის შემდეგ წამოდგა, ჩამოუარა ჩვენს ლოგას და ნელის ფეხის ნაბიჯით გასწია კულუარებისაკენ. მაშინდელი მისი სახის გამომეტყველება არასდროს არ დამავიწყდება. აქ იხატებოდა უსაზღვრო კმაყოფილება, სიამოვნება, ნეტარება, მტრის დამარცხებაზე აშენებული. ილიას სული და გული ლეღავდა, მთელ სახეს აღმური მოედებოდა, ზღვა-თვალნი ბრწყინავდნენ.“

„შშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა... ნეტავ რა გუნებაზედ არიან მინისტრები. ძლიერი მათრახია, ურყევ საფუძველზე აშენებული... — ამბობდა ენერგიულად და აღელვებული ილია.“

„ასეთი სცენის მოწმე ხშირად ვიყავი“¹.

სახელმწიფო საბჭოს პირველი სესია გაგრძელდა 1906 წლის 27 აპრილიდან 12 ივლისამდე.

ივლისში ილია საქართველოში დაბრუნდა. ილია საქართველოში დარჩა 1907 წლის თებერვლამდე.

1907 წლის თებერვალში ილია ისევ რუსეთს გაემგზავრა სახელმწიფო საბჭოს მეორე სესიაზე, რომელიც გაიხსნა 20 თებერვალს და გასტანა 5 ივნისამდე.

სახელმწიფო საბჭოს ამ მეორე სესიაზე ილია გამოვიდა სიტყვით სიკვდილით დასჯის მოსპობის შესახებ.

ილია ამ გამოსვლისათვის დიდხანს ემზადებოდა. ჩვენამდე შენახულა ამ სიტყვის შავები, კონსპექტური ჩანაწერები, საიდანაც ჩანს, რომ ილიას ეს სიტყვა ვრცელი მოხსენების სახით მოუხაზავს.

სამწუხაროდ სიტყვის სრული დედანი დღემდე აღმოჩენილი არაა. ირკვევა ამასთან, რომ ამ სიტყვის დაბეჭდვა, მისი წარმოთქმის შემდეგ, მთავრობას აუკრძალავს.

ილიას სიტყვის შესახებ წყაროებში შემდეგი ცნობებია შენახული.

ინიციატორი სახელმწიფო საბჭოში საკითხის დასმისა სიკვდილით დასჯის მოსპობის შესახებ — ილია ყოფილა. ეს კითხვა წინასწარ გარჩეულა სახელმწიფო საბჭოს შემარცხენეთა ჯგუფში (რომლის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი და წევრი იყო ილია) და ილიას თავის თავზე აღღია მოხსენების დამზადება ამ საგანზე. ყურნალისტი მ. ბოლქვაძე, რომელიც, როგორც მოვიხსენეთ, მოწმე იყო ილიას მოღვაწეობისა სახელმწიფო საბჭოში 1906 — 1907 წლებში, გადმოგვცემს:

„...სიკვდილით დასჯის მოსპობის შესახებ ვრცელი მოხსენების შედგენა ილიამ იკისრა“.

¹ ყურნალი „განათლება“, 1908 წ. № 3-4; 119., 114 — 116.

მოხსენების დამთავრების შესახებ იგივე მ. ბოლქვაძე გადმოგვცემს ილიას ნათქვამს:

„გუშინ საღამოს დავასრულე ჩემი მოხსენება სიკვდილით დასჯის შესახებ. ამ დღეებში წაუყუთხავ ჩვენს წრეს (სახელმწიფო საბჭოს მემარცხენთა ჯგუფს), მერმე კი სახელმწიფო საბჭოს“¹.

სახელმწიფო საბჭოს წევრი ცნობილი რუსი მეცნიერი მაქსიმე მაქსიმეს-ძე კოვალესკი აღნიშნავს ამასთან, რომ სახელმწიფო საბჭოში სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ ილიასთან ერთად გამოსულა პროგრესული მოღვაწე პროფ. ტაგან-ცევი. მ. მ. კოვალესკი გადმოგვცემს: „...князь И. Чавчавадзе высказался за отмену смертной казни“... „заодно с проф. Таганцевым“.

ილიას სიტყვა სიკვდილით დასჯის მოსპობის შესახებ, როგორც ირკვევა, წარმოუთქვამს სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე 1907 წლის 17 აპრილს ან 2 მაისს. სახელმწიფო საბჭოს ამ სხდომების სტენოგრაფიული ანგარიშები დაიბეჭდა ხარვეზებით, რადგან ამ სხდომებზე წარმოთქმული ზოგიერთი სიტყვის დაბეჭდვა მთავრობას აუკრძალავს. ამ აკრძალულ სიტყვათა შორის ყოფილა, როგორც ირკვევა, ილიას სიტყვაც.

ის გარემოება, რომ მთავრობას აუკრძალავს ილიას სიტყვის გამოქვეყნება, მოულოდნელს არას შეეცავს. ეს არის ის ხანა, 1907 წელი, როდესაც რევოლუციის დამარცხების შემდეგ, რეაქციის თარეშის დროს, რუსეთის იმპერიაში და კერძოდ საქართველოში სახრჩობელები იყო აღმართული ხალხის საუკეთესო წარმომადგენელთა დასასჯელად.

ილიას სიტყვა პირდაპირ იყო მიმართული მთავრობის რეპრესიების წინააღმდეგ (სიტყვის კონსპექტში ილიას ჩანიშნული აქვს გასაშლელად შემდეგი დებულება: „Убийство, смертная казнь стали таким обычным явлением... Подобные события перестали быть новостью...“).

ილიას, რასაკვირველია, კარგად ესმოდა, რომ მისი სიტყვა სახელმწიფო საბჭოში დარჩებოდა „ხმად მღალაღებლად უდაბნოსა შინა“ (სიტყვის იმავე კონსპექტში ილიას ჩანიშნული აქვს წარმოსათქმელად: „вопрос об отмене смертной казни, несмотря на все наши старания не пройдет... группа, ставшая этот вопрос, слишком малочисленна, чтобы произвести какое либо впечатление, какое либо замешательство среди огромного большинства остальных...“).

ილიამ სახელმწიფო საბჭოს ტრიბუნა გამოიყენა იმისათვის, რათა გაბედულად დაეგმო ცარისტული თვითმპყრობელობის სისხლიანი გზა და მხარში ამოსდგომოდა ნათელი მომავლისათვის მებრძოლთა რიგებს.

ილიას რადიკალურმა პოზიციამ სახელმწიფო საბჭოში გამოიწვია რუსეთის რეაქციული თავადაზნაურული წრეების განსაკუთრებული გულისწყრომა და აღშფოთება.

მას შემდეგაც კი, რაც ილია მოჰკლეს თვითმპყრობელობის აგენტებმა, ეს მძულვარება ილიასადმი რეაქციული წრეებისა არ შენელებულა.

მ. ბოლქვაძე თავის მოგონებებში ილია ჭავჭავაძეზე წერს (1908 წ.): „რუსეთის თავადაზნაურთა უმრავლესობა (მათ შორის სახელმწიფო საბჭოს წევრნი და ამომრჩეველნი) დღესაც დიდი საყვედურით იგონებენ ილიას. უკანასკნელ თავადაზნაურთა არჩევებზე (1908 წ.) სახელმწიფო სათათბიროს „ცნობილმა“ წევრებმა კრუპენსკიმ და მარკოვა ბრძანეს:

¹ იხ. ჟურნალი „განათლება“, 1908 წ. № 3—4, გვ. 110—111.

„ჩვენ (თავადაზნაურობამ) ავირჩიეთ ილია ჭავჭავაძე. იმან მთელი თავადაზნაურობა შეგვარცხვინა. ჩვენ შევეცდით და ვნაბობთ. ეხლა თუ სიახლოე ვაბდიდატს დაგვისახელებთ (თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობა), იხეთს, როგორც გენერლები ორბელიანის და მუხრანსკიას, თუნდაც წერა-კითხვაც არ იცოდნენ, დიდი სიამოვნებით ავირჩევთ... ამას სხვებმაც ბანი მისცეს“¹.

სახელმწიფო საბჭოში ილიას მოღვაწეობის შესახებ ინტერესს წარმოადგენს მოგონება ცნობილი რუსი მეცნიერის მაქსიმე შაქსიდეს-ძე კოვალევსკისა, რომელიც, როგორც მოვიხსენიეთ, ილიას დროსვე იყო სახელმწიფო საბჭოს წევრად (იგი 1907 წელს, ილიაზე გვიან იყო არჩეული სახელმწიფო საბჭოში).

ილიას ხსოვნისადმი მიძღვნილ კრებაზე, რომელიც მ. კოვალევსკის თავმჯდომარეობით გაიმართა პეტერბურგში 1913 წელს, მ. კოვალევსკიმ თავის სიტყვაში თქვა:

„Мы собрались чествовать память крупного общественного и политического деятеля, которого академическая группа в Государственном Совете имела честь считать ближайшим союзником своих редко когда успешных начинаний.

Очевидно, что в учреждении, добрая половина которого составлена из людей старого порядка, появивших в Государственный Совет по назначению, взгляды людей, идущих во главе освободительного движения, встречают лишь слабую поддержку в представителях некоторых земств... В числе этих немногих был и князь Илья Григорьевич Чавчавадзе. Когда после роспуска первой Думы и неудачной попытки поставить мою кандидатуру на выборах во вторую я был призван доверием русских Университетов и Академия наук заседать в Государственном Совете, я застал в нем князя Чавчавадзе горячим сторонником совместной работы с так называемыми представителями науки.

Имя его связывали с немногими весьма определенными голосованиями Государственного Совета и те три месяца, в какие продолжались заседания нашей первой представительной палаты. Нужно ли говорить о том, что каждый раз он оставался в меньшинстве?

Заодно с проф. Таганцевым, пятидесятилетнее служение которой русской государственности мы будем праздновать на-днях, князь Чавчавадзе высказался за отмену смертной казни.

Он был в числе немногих сторонников широкой аграрной реформы, имевшей своей задачей расширение крестьянского землевладения“.

მ. კოვალევსკის სიტყვით, ილიას ცქერა მიმართული იყო ნათელი მომავლესაკენ — „к светлому, будущему, построенному на началах свободы и общественной солидарности“².

1907 წლის 5 ივნისს დასრულდა სახელმწიფო საბჭოს სესია. ილიას გული საქართველოსაკენ მოისწრაფოდა.

ილია რუსეთში მეუღლით იყო. ილიას უთქვამს მახლობელთათვის:

„... ამდენი ხანი არ ვყოფილვარ საქართველოში.. ზაფხული თუ იქ არ ვავატარე, ჩვენს ქვეყანას არ ვაღადავებდე, ზამთარში აქ რა გამამალებინებეს?! განადილი ხანი დამრჩენია?“³.

1907 წელს ივლისში ილია მეუღლით დაბრუნდა საქართველოში.

ზაფხულის თვეები ივლისი და აგვისტო, ილიამ საქართველოში ვაატარა.

¹ იხ. ჟურნალი „ვანათლება“, 1908 წ. № 3—4, გვ. 106—109.

² მ. კოვალევსკის სიტყვის დედანი დაცულია სსრკ მეცნიერებათა აკადემიის არქივში (ფონდი 103, აღწ. 1, № 561). პირი სიტყვისა მოიპოვება ყვარლის ილიას სახელობის მუზეუმში.

³ იხ. მ. ბოლქვაძე, დასახლებული წერილი, ჟურნალი ვანათლება, 1908 წ. № 3—4, გვ. 135.

1907 წლის 30 აგვისტო — წიწამურის ტრაგედიის დღე უდიდესი სამგლოვიარო თარიღია ქართველი ერისა.

ამ დღეს თვითმპყრობელობის აგენტებმა მოკლეს ქართველი ხალხის ერთ-ერთი შვილი ილია ჭავჭავაძე.

ილიას წმინდა სისხლი დაიღვარა წიწამურში, არაგვთან, იმ არაგვთან, რომელსაც ილია ახალგაზრდობისას მიჰპართავდა სიტყვებით:

ჩვენო არაგვო! რა რიგ მიყვარხარ!...
ქართლის ცხოვრების მოწამედ შენ ხარ...
შენს კიდებზედ ჩემი მამული
იყო ერთ დროსა გამწვევებული!

... შენ ზეირთებს შორის ჩემი ქვეყნისა
გრძელი მოთხრობა დამარხულია
და წმინდა სისხლი ქართველებისა
შენს კიდებზედ გადასხმულია.

საქართველოსათვის თავდადებულ გმირთა წმინდა სისხლს კვლავ შეერთო წმინდა სისხლი ილიასი.

ათი დღე, 30 აგვისტოდან — 9 სექტემბრამდე, გლოვის ზარი გაისმოდა საქართველოში.

9 სექტემბერს ქართველმა ხალხმა ილიას ნეშტი, რომელსაც დაედინა ცრემლი მთელის საქართველოსი, მიაბარა მშობლიურ მიწას მთაწმინდაზე.

• • •

აქეთი იყო დიდი მწერლის ცხოვრების გზა.

ამა იყო მტრის წადილი შებრძოლებოდა იმას, რაც მარადისია, მოესპო გასროლილი ტყვიით ის, რაც უკვდავია. უკვდავია ილიას საქმე.

ილიას სახე დღეს ჩვენ გვინათებს ქართველი ერის დიდ წინაპართა სახეებს შორის.

ჩვენმა თანამედროვეობამ მიიღო ის ძვირფასი მემკვიდრეობა, რომელიც ილიამ ქართველ ერს უანდერძა.

ახალმა საქართველომ — სტალინის საქართველომ — ღირსეულად დააფასა ილიას ღვაწლი.

ჩვენი დიდი ბრძენი ბელადის იოსებ სტალინის მზრუნველი ხელით აღდგენილია მთელი თავისი სიღიადით ილიას ნაღვაწი, რომელსაც ხალხის მტრები სუდარას აფარებდნენ.

1937 წელს ქართველი ხალხი ემზადებოდა ილია ჭავჭავაძის ასწლოვანი იუბილეს დიდი ეროვნული ზეიმისათვის.

დიდი სტალინის თანამოღვაწე ამხანაგი ლავრენტი ბერია საქართველოს კომუნისტური პარტიის X ყრილობაზე 1937 წელს აღნიშნავდა:

„სოციალიზმის გამარჯვებამ ჩვენს ქვეყანაში შექმნა ყველა საჭირო წინამძღვარი საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების მკვეთრი ზრდისა და აყვებისათვის.

პარტიამ უდიდესი მუშაობა ჩაატარა ჩვენი კლასიკოსების ფრიად მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობის ასათვისებლად...

წელს აღინიშნება უდიდესი ქართველი კლასიკოსის ილია ჭავჭავაძის დაბადების 100 წლისთავის ღირსშესანიშნავი თარიღი“.

1937 წელს 9 ნოემბერს ქართველმა ხალხმა, საბჭოთა კავშირის ყველა მოძმე ერებთან ერთად, დიდის ზეიმით იღვესასწაულა ილია ჭავჭავაძის ასწლოვანი იუბილე.

საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა ორგანომ „პრედიამ“ ილიას იუბილეს მიუძღვნა სპეციალური მეთაური, სადაც გაშუქებული იყო როლი ილიასი, როგორც საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უდიდესი მოღვაწისა მე-19 საუკუნეში.

საბჭოთა საქართველოში პირველად იცემა ილიას ნაწარმოებთა სრულკრებულება. ილიას ნაწერები ფართოდ ვრცელდება ხალხში.

აღსრულდა აკაკის სიტყვები, რომლითაც იგი გამოეთხოვა თავის დიდს თანამოღვაწე ილიას:

„აჲ ილია არ მომკვდარა,
მამულისთვის რჩება ლამპრად“.

ქართველმა ხალხმა უდიდესი სიყვარულით შემოსა სამშობლო ქვეყნის მოამაგის, მამულის ლამპარის, დიდი ილიას სახელი.

ქართველმა ხალხმა მიიღო და შეიტყო დიდი ილიას სიტყვა, ილიას განძი და ანდერძი.

ნაციონალური ენის ჩამოყალიბების ზოგიერთი საკითხის შესახებ



ამხანაგ სტალინის გენიალურმა საენათმეცნიერო შრომებმა არა მარტო გამოამჟღავნეს ნ. მარის ე. წ. „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების“ ანტიმარქსისტული, ჰიდეალისტური არსი და საფუძველი ჩაუყარეს საბჭოთა ენათმეცნიერებას, არამედ ახალი ეტაპი შექმნეს საერთოდ მთელი საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში, წინ წასწიეს მარქსისტული ფილოსოფია.

ამ შრომების სინათლეზე მთელი სიცხადით გამოჩნდა სრული უსუსურობა და სიყალბე ყველა იდეალისტური თეორიისა ენის საკითხში, მათ შორის ავსტრიის სოციალ-რეფორმისტების (ბაუერი, რენერი) თეორიისაც. ეს სოციალ-რეფორმისტები დღეს ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმის ამკარა ლაქები არიან.

ნ. მარი ამტკიცებდა ენის კლასობრიობას. მისი აზრით, ერში ყველა კლასს გააჩნია თავისი საკუთარი ენა და ორი სხვადასხვა ერის გაბატონებული კლასების ენები უფრო ახლო ღვანან ერთმანეთთან, ვიდრე ერთი ერის მოწინააღმდეგე კლასების ენები. უკლასო ენა არ ახსოვს ისტორიას, თვით პირველყოფილ უკლასო საზოგადოებაშიც კი ენა კლასობრივი იყო, — ამბობდა მარი.

ენის კლასობრიობის საკითხი პირველად წამოაყენა ე. წ. „ავსტრო-მარქსიზმის“ რეაქციულმა სკოლამ. ნ. მარმა თავისი კონცეფცია ენის კლასობრიობის შესახებ ისესხა ბაუერი-საგან.

ო. ბაუერი უარყოფდა ენის ერთობას, როგორც ერის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს. იგი წერდა:

„ინგლისელები და ირლანდიელები... ლაპარაკობენ ერთ ენაზე, მაგრამ არ წარმოადგენენ ერთ ერს; ებრაელებს სულაც არ აქვთ საერთოდ ენა და მიუხედავად ამისა, ერს შეადგენენ“¹ (ბაუერი ჩვენია. დ. ჩ.).

ბაუერის თეორიის იდეალისტური არსი ამხილა ამხანაგმა სტალინმა. სტალინი გვასწავლის, რომ ერთიანი ენა სავალდებულოა ყველა ერისათვის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვადასხვა ერი ყოველთვის სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდეს. თუ ინგლისელები და ირლანდიელები ლაპარაკობენ ერთ ენაზე, მაგრამ მაინც არ შეადგენენ ერთ ერს, ეს ხდება იმიტომ, რომ ერისათვის სავალდებულოა ერთიანი ენა, მაგრამ იგი არ არის საკმარისი ვერად ჩამოყალიბებისათვის. ერისათვის გარდა ერთიანი ენისა საჭიროა ტერიტორიის ერთობა, ეკონომიური ცხოვრების ერთობა და ფსიქიკური წყობის ერთობა, რომელიც ნაციონალური კულტურით გამოიხატება.

ბაუერის თეორიას ენის შესახებ, ისევე როგორც მთელ მის „მოძღვრებას“, შეუღრიგებელი წინააღმდეგობანი ახასიათებს.

„თავის წიგნის დასაწყისში იგი (ბაუერი, დ. ჩ.) ვადაჭრით აცხადებს, რომ „ებრაელებს სულაც არ აქვთ საერთოდ ენა და, მიუხედავად ამისა, ისინი ერს შეადგენენ“, მაგრამ ვერც კი მოასწრო ასოცდამეთე გვერდამდე

¹ ო. ბაუერი. „ნაციონალური საკითხი და სოციალ-დემოკრატია“ (რუსულ ენაზე). 1918 წელი. 83-21.

მისვლა, რომ უკვე ფრონტი იცვალა და ასევე გადაჭრით აცხადებს: „ექვს გარეშეა, რომ არავითარი ერი არ შეიძლება არსებობდეს საერთო ენის უქონლად“.

„ბაუერს აქ სურდა დაემტკიცებინა, რომ „ენა ადამიანთა ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი იარაღია“, მაგრამ ამასთან ერთად მან უნებლიეთ დაამტკიცა ისიც, რის დამტკიცებასაც არ აპირებდა, სახელდობრ: უმწეობა თავისი საკუთარი თეორიისა ერის შესახებ, თეორიისა, რომელიც ენის ერთობის მნიშვნელობას უარყოფს“¹ (ხაზი ჩვენია. დ. ჩ.).

ვინ ქმნის ენას და როგორ ვითარდება იგი ბაუერის აზრით?

იმისათვის, რომ გავარკვიოთ ეს საკითხი, მოკლედ უნდა შევჩერდეთ, თუ როგორ ესმის ბაუერს საერთოდ ერის ჩამოყალიბების საკითხი.

ერები, ბაუერის აზრით, წარმოიშენენ ჯერ კიდევ გვაროვნულ საზოგადოებაში.

„ძველი გერმანელების საზოგადოებრივი წყობის საფუძველი, — წერდა ბაუერი, — იყო გვარი.“

ერად ძველ გერმანელებს უპირველესყოფისა აერთიანებდა საერთო წარმოშობა“².

თუ შევდგელობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ბაუერის აზრით ერი არის „ნაციონალური ხასიათის ერთობა ბედის ერთობის ნიადაგზე, ალბუელი ტერიტორიის, ენისა და ეკონომიური ცხოვრების ერთობისაგან სავალდებულო კავშირის გარეშე“³ ერი, რომელიც მოწყვეტილია რეალურ ბაზისს, მატერიალურ სამყაროს, — მაშინ გასაგები გახდება, რომ ბაუერი „ლოგიკურად“ უნდა მისულიყო ერების წარმოშობის ამ ანტიმეცნიერულ დებულებამდე.

ამხანაგმა სტალინმა თავის გენიალურ შრომაში „ლენინიზმი და ნაციონალური საკითხი“ მიუთითა შეცდომებზე იმ ამხანაგებს, რომლებიც

ფიქრობდნენ, რომ ერები წარმოიშენენ და არსებობდნენ ჯერ კიდევ კაპიტალიზმამდე.

ამხანაგი სტალინი წერს:

„... როგორ შეიძლებოდა ერების წარმოშობა და არსებობა კაპიტალიზმამდე, ფეოდალიზმის პერიოდში, როცა ქვეყნები დაქუცმაცებული იყვნენ ცალკე დამოუკიდებელ სამთავროებად, რომელთა შორის არა თუ ეროვნული კავშირი არ იყო, არამედ ისინი გადაჭრით უარყოფდნენ ასეთი კავშირის საჭიროებას? წინააღმდეგ თქვენი მცდარი მტკიცებისა, ერები არ ყოფილან და არც შეიძლება ყოფილიყვნენ წინაკაპიტალისტურ პერიოდში, ვინაიდან ჯერ კიდევ არ იყო ნაციონალური ბაზრები, არ იყო ეკონომიური და არც კულტურულ-ნაციონალური ცენტრები, არ იყო, მაშასადამე, ის ფაქტორები, რომლებიც სპობენ ამა თუ იმ ხალხის სამეურნეო დაქუცმაცებულობას და ერთ ეროვნულ მთელად აკავშირებენ ამ ხალხის შიამდე გათმულ ნაწილებს“⁴.

ამხანაგ სტალინის ეს დებულება, ცხადია, შეეხება გვაროვნულ წყობილებასაც. გვაროვნული წყობილების ეპოქისათვის შეიძლება ლაპარაკი ტომებზე, ეთნოგრაფიულ ჯგუფებზე, მათს დროებითს გავრთიანებებზე, რასაც მართლაც ჰქონდა ადგილი მაშინ, როდესაც „ბარბაროსები“ რომის წინააღმდეგ იბრძოდნენ, მაგრამ მტკიცება იმისა, რომ გვაროვნულ წყობილების დროს არსებობდა გერმანული ერი, იმთავითვე ანტიმეცნიერული და ყალბია.

ასეთი ხასიათის შეცდომები არ არის შემთხვევითი ბაუერისათვის. ამხანაგი სტალინი, აკრიტიკებს რა ბაუერის ყალბ დებულებებს, წერს:

„ბაუერი... ერთმანეთში ურევს ერს, რომელიც ისტორიული კატეგორიაა, და ტომს, რომელიც ეთნოგრაფიული კატეგორიაა“⁵.

ბაუერი გერმანელი ხალხის განვითარების ისტორიაში ანსხვავებს ორ პერიოდს. პირველ პერიოდში, მისი აზრით, წარმოიშვა გერმანული

¹ ი. სტალინი, თხზულ. ტ. 2, გვ. 325 — 326.

² ი. ბაუერი, „ნაციონალური საკითხი და სოციალ-დემოკრატია“. 1918 წ., გვ. 27

³ ი. სტალინი, თხზულ. ტ. 2, გვ. 322.

⁴ ი. სტალინი, თხზულ. ტ. 11, გვ. 372.

⁵ ი. სტალინი, თხზულ. ტ. 2, გვ. 324.

ერი (германская нация), მეორე პერიოდში კი ერთიანი ნემეცების ერი („единая немецкая нация“). გერმანული ერისათვის დამახასიათებელია ერთიანი (ერთ რასიდან) წარმოშობა. ამ ერმა იარსება შუა საუკუნეებამდე, სანამ ბუნებრივი ერთობის მაგივრად, რომელიც გვაროვნულ საზოგადოებაში გერმანულს ეწოდებოდა, არ შეიქმნა ახალი, ფეოდალური (რეინდული) კულტურული ერთობა.

ამ ორ პერიოდებს შუა მდებარეობს გარდამავალი პერიოდი:

„გვაროვნული კომუნიზმიდან ფეოდალურ წყობილებაზე გადასვლის ხანაში უკვე არ იყო გერმანული ერი, მაგრამ ჯერ კიდევ არც ნემეცების ერი ყოფილა“¹.

ბაუერის თეორია გერმანული ერის წარმოშობის შესახებ რეაქციული, რასისტული თეორიაა. იგი თითქმის არაფრით არ განსხვავდება გერმანელი ფაშისტების რასისტული თეორიისაგან, რომელიც ცდილობდა დამტკიცებოდა, რომ გერმანული ერის შექმნაში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ და მხოლოდ „წმინდა სისხლის“ ჩრდილოეთის რასამ.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ ერი არ არის რასობრივი კატეგორია, რომ მეცნიერულად და ისტორიულად უსაფუძვლოა ეროვნული და რასობრივი ერთობის გაიგივება, როგორც ამას აკეთებენ ბურჟუაზიული სოციალოგები, კერძოდ, ო. ბაუერი. ერები ისტორიულად წარმოიშვებიან არა რასებიდან, ან ტომებიდან, არამედ რასებისა და ტომების შერწყმისა და შეჯვარების შედეგად

„... ფრანგი ერი ჩამოყალიბდა გაღვივებას, რომელსაც ბრიტებისა, გერმანულებისა და სხვებისაგან. იგივე უნდა ითქვას ინგლისელებზე, გერმანელებსა და სხვებზე, რომლებიც ერებად ჩამოყალიბდნენ სხვადასხვა რასისა და ტომის ადამიანთაგან“² (ნაზი ჩვენი, დ. ჩ.).

თუ გერმანული ერის საფუძველს ბუნებრივი ერთობა (ბედის ერთობა, საერთო წარმოშობა, ერთიანი ნაციონალური კულტურა) წარმოადგენდა, კლასობრივ საზოგადოებაში (ფეოდალიზმის ეპოქაში), როდესაც წარმოიშვა ერთიანი ნემეცების ერი („единая немецкая нация“), ერის საფუძვლად მოგვევლინა გაბატონებული კლასის კულტურული ერთობა.

შუა საუკუნეებში, ფეოდალიზმის ეპოქაში, სოციალ-პოლიტიკური ეკონომიური და კულტურული პარტიკულარიზმის პირობებში გერმანელების ერთად გაერთიანება უკვე აღარ შეეძლო მამაკაპურ ერთიან კულტურას, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბაუერის აზრით, იგი უკვე დაქუცმაცდა და დაიშალა. ამიტომ ეროვნული გაერთიანება უნდა მომხდარიყო ისეთი კულტურის ნიადაგზე, რომელიც საერთო იქნებოდა დაქუცმაცებული გერმანული ტომებისათვის.

ასეთი კულტურა, თურმე, შექმნეს გაბატონებულმა კლასმა-რაინლებმა, რომლებმაც, მიუხედავად ტერიტორიული დაქუცმაცებისა, მტკიცე კავშირი დაამყარეს ერთმანეთთან.

„შემკავეშირებელი მომენტი იყო უკვე არა საერთო ფუძემდებელი ხალხისაგან შემკვიდრეობით მიღებული კულტურა, არამედ ახლად შექმნილი კულტურული ერთობლიობა, რომელიც აერთიანებდა, მართალია, არა მთელ გერმანელ ხალხს, არამედ, მხოლოდ მის გაბატონებულ კლასს.“

მაშინ როდესაც გლენს, მკვიდრ ცხოვრებაზე ვადასულს, აღარ აკავშირებდა არავითარი საერთო მის თვისებებში მველ წრესთან — ჩნდება ურთიერთობის მკვიდრო ერთობლიობა სხვადასხვა ტომთა რაინდებს შორის, რომლებიც ქმნიან გერმანელ ხალხს“¹.

ბაუერის მსჯელობა ასეთია: კულტურული ერთობა კლასობრივია, ეს ერთობა ქმნის ერს, ამიტომ ერს შეადგენს მხოლოდ და მხოლოდ ის კლასი, რომელიც ამ ერთობას ქმნის.

1 ბაუერი, „ნაციონალური საკითხი და სოციალ-დემოკრატია“, 1918 წ.

2 ი. სტალინი, ობზულ. ტ. 2, გვ. 315.

1 ი. ბაუერი, „ნაციონალური საკითხი და სოციალ-დემოკრატია“, 1918, გვ. 31.

„მხოლოდ გაბატონებულ კლასებს ამქვიდროვებს საერთო კულტურა ნაციონალურ ერთობლიობაში“¹.

ფეოდალიზმის ეპოქაში კულტურული ერთობა შექმნა რაინდობამ, ამიტომ მხოლოდ რაინდობა წარმოადგენს ერს.

რა ემართება საზოგადოების სხვა კლასებს?

ისინი რჩებიან ერის გარეშე, — ასეთია ბაუერის პასუხი. „ამ პერიოდში ერი არსებობს მხოლოდ, როგორც რაინდთა კულტურული ერთობლიობა... გლეხები... მაშინ სრულებით არ ქმნიდნენ ერს — ისინი წარმოადგენენ მდებრივთა ფენას, ერის ფონს“².

კაბიტალიზმის ეპოქაში იშლება რაინდული ერი, ბურჟუაზია ქმნის თავის კულტურულ ერთობას, ე. ი. ერსაც.

ბურჟუაზიულმა საზოგადოებამ კულტურულ ერთობაში მოსახლეობის გაცილებით უფრო მეტი ფენები გააერთიანა, ვიდრე ფეოდალიზმმა, მაგრამ, რადგან საზოგადოება აქაც დაყოფილია კლასებად, შეუძლებელია ერთიანი ერის შექმნა. აქ მოქმედობს ორი კლასი: ბურჟუაზია, რომელსაც გააჩნია თავისი კულტურა, და პროლეტარიატი, რომელსაც თავისი ადგილისა და მდგომარეობის გამო არ გააჩნია თავისი კულტურა. ამიტომ ერის შეკრება ხდება ბურჟუაზიული კულტურის ირგვლივ. მშრომელი მოსახლეობა კ. რომლის ექსპლოატაციის მეოხებით ახერხებს ბურჟუაზია მაღალი კულტურის შექმნას, — ამბობს ბაუერი, — რჩება არა მარტო ნაციონალური კულტურის გარეშე, არამედ თვით ერის გარეშეც.

„კულტურული ნაციონალური ერთობლიობა ეს — ჯერ კიდევ საზოგადოების გარკვეული კლასის კულტურული ერთობლიობაა, ერთობლიობა განათლებული ბურჟუაზიისა, მოსახლეობის უმეტესი ნაწილი კი არღებულვობს მასში არავითარ მონაწილეობას. გლეხები, ხელოსნები და მუშები, ჯერ კიდევ ისევე როგორც მოქმენ-

შტაუფენების ეპოქაში, არ არიან ერის წევრები, არამედ მხოლოდ მის ქვედა ფენას შეადგენენ“¹.

ქადაგებდა რა იმას, რომ კულტურული ერთობას ქმნის გაბატონებული კლასი, მაშინ, როდესაც მშრომელ მოსახლეობას არ გააჩნია თავისი ნაციონალური კულტურა — ბაუერი იდგა ანტიხალხურ, რეაქციულ პოზიციებზე. ამით იგი ცდილობდა, მუშათა კლასში ჩაეხშო თავისი ისტორიული მისიის შეგნება, მუშათა კლასი დაემორჩილებინა ბურჟუაზიის იდეოლოგიისათვის.

ენის განვითარება მიდის, თურმე, ისეთივე გზით, როგორც კულტურული ერთობისა. ფეოდალურ საზოგადოებამდე გერმანელებს გააჩნდათ ერთიანი კულტურა. — ამბობს ბაუერი: — მაგრამ, რაც მთავარია, მათ გააჩნდათ ერთიანი ენაც. ეს გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ ფეოდალიზმამდე, გეაროვნული წყობილების დროს, საზოგადოება არ იყო დაყოფილი კლასებად.

„საერთო წარმოშობამ შექმნა საერთო კულტურა.

... გერმანელი ხალხები, რომლებიც თანდათანობით გამოვიდნენ პირველადი ტომიდან, სარგებლობდნენ წინაპართა საერთო ენით“².

ფეოდალიზმის ეპოქაში, მას შემდეგ რაც გერმანული საზოგადოება დაიყო კლასებად, ხოლო გერმანელების ერთიანი პოლიტიკური გაერთიანების ადგილი დაიკავა ცალკე სამთავროებმა, დაიშალა ერთიანი გერმანული ენა. „საერთო ენიდან დიდი ხანია უკვე წარმოიშვა მრავალი განსხვავებული დიალექტი“³.

ეროვნული გაერთიანება ამ დროს, ბაუერის თეორიით, მოხდა რაინდული კულტურული ერთობის ნიადაგზე.

¹ ო. ბაუერი, ნაციონალური საკითხი და სოციალ-დემოკრატია. (რუსულ ენაზე) 1909 წ. 33. 86

² ო. ბაუერი — „ნაციონალურ საკითხი და სოციალ-დემოკრატია“ (რუსულ ენაზე). 1918 წ. 33. 27

³ იქვე, 33: 31.

¹ იქვე, 33: 41.

² ო. ბაუერი, „ნაციონალური საკითხი და სოციალ-დემოკრატია“ 1918, 33: 33

მაგრამ, რადგან უახლოესი კავშირის დამყარება დაქუცმაცებულ სამთავროებს შორის შეუძლებელი იყო ერთიანი ენის გარეშე, — რაინდობაში ჩაისახა და განვითარდა ტენდენცია ისეთი ენის შექმნისა, რომელიც საერთო იქნებოდა გერმანული ტომების გაბატონებული კლასისათვის.

ეს ტენდენცია საწინააღმდეგო იყო გერმანული ტომების მშრომელ მოსახლეობაში ჩასახული ტენდენციისა, რომელიც ხელს უწყობდა, თურმე, ადგილობრივი დიალექტების გამრავლებას, ერთიანი გერმანული ენის დაქუცმაცებას.

„მეფის კარის ენა აერთიანებს რაინდებს — გლეხების დიალექტებს კი სულ უფრო და უფრო მოსდის დიფერენციაცია“.¹

მართალია, — ამბობს ბაუერი, — რაინდული ენა არ გამხდარა ერთიანი ენა ყველა რაინდისათვის, რადგანაც სხვადასხვა რაინდულ სასახლეებში ამ ენამ სხვადასხვა ელფერი მიიღო, მაგრამ ის მაინც უფრო აახლოებდა რაინდობას, რითაც ქმნიდა ერს, ვიდრე სხვადასხვა წყობისა და ხასიათის გლეხების დიალექტები. ე. ი. ბაუერის აზრით, ფეოდალიზმის ეპოქაში ისახება ერთიანი რაინდული ენის შექმნის შესაძლებლობა, ხოლო მის გვერდით წარმოიშვებიან გლეხური დიალექტები.

მხოლოდ ბურჟუაზია ქმნის, ბაუერის აზრით, ერთიან ნაციონალურ ენას. ერთიანი ნაციონალური ენა ეწოდება მას იმიტომ, რომ ამ ენაზე დაპარაკობს მხოლოდ ბურჟუაზია (ე. ი. ბაუერის ერი) და არა საზოგადოების ყველა წევრი. თუ ფეოდალიზმის ეპოქაში რაინდული ენა სამოლოოდ მაინც ვერ გახდა ერთიან ენად ყველა რაინდისათვის, ბურჟუაზიამ თავიდანვე გამოიმუშავა ერთიანი ენა, ამიტომ ეს ენა, რაინდულ ენისაგან განსხვავებით, ნაციონალური ენა იყო.

სარგებლობდა თუ არა ამ ენით სა-

ზოგადოების სხვა კლასები? ბაუერის აზრით, რასაკვირველია, არა.

ნაციონალური ენა ბურჟუაზიის ეპოქაში ბურჟუაზიული კლასის ენაა; მუშები და გლეხები ვერ სარგებლობენ ბურჟუაზიული ენით, რადგან მოსახლეობის ეს უდიდესი ნაწილი არ შედის ერში, რადგან მათ არ იციან განათლებული კლასის მიერ შექმნილი ნაციონალური ენა.

„ისინი (მუშები და გლეხები.—დ. ჩ.) ხმარობენ დიალექტებს, რომლებიც სულ უფრო მეტად განიცდიან დიფერენციაციას, და მათ არ ესმით ერთმანეთისა, მაშინ როდესაც, განათლებულ კლასებს უკვე აქვთ საერთო გერმანული ენა. ისინი (მუშები და გლეხები — დ. ჩ.) არ ქმნიან ერს, არამედ ჯერ კიდევ... ქმნიან მხოლოდ დაბალ ფენებს ერის ფონს“.¹

რა დემარტა რაინდულ ენას ბურჟუაზიის ეპოქაში?

ის მოკვდა მის მატარებელ კლასთან ერთად, — ამბობს ბაუერი.

ბაუერის აზრით, ყოველ ეპოქას ახასიათებს თავისი გაბატონებული კლასის ენა, ამიტომ სოციალური რევოლუციები იწვევენ ენობრივ რევოლუციებსაც.

შევიდართ ბაუერის ეს აზრი ნ. მარის ქვემოთ მოყვანილ ციტატას სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ რუსული ენის რევოლუციური გარდაქმნის შესახებ და ვასიგები გახდება, რომ სწორედ „ავსტრო-მარქსიზმის“ რეაქციული ნაციონალური პროგრამა დაუღო საფუძვლად ნ. მარმა თავის ე. წ. „ახალ საენათმეცნიერო მოძღვრებას“.

ნ. მარის წერს:

„... მოხდა რევოლუცია... რევოლუციური შემოქმედების პროცესში, სასაცილოა ლაპარაკიც კი რუსული დამწერლობის ან გრამატიკის რეფორმის შესახებ. აუცილებელია დასმა და გადაკრა საკითხისა გარდაქმნის პროცესში მყოფი ჩვენი ცხოვრების ყველა აქტუალური მოთხოვნების გათვალისწინებით... აქ არა დამწერლობისა და

¹ ი. ბაუერი — „ნაციონალური საკითხი და სოციალ-დემოკრატია“ (რუსულ ენაზე), 1918 წ.

¹ ი. ბაუერი — „ნაციონალური საკითხი და სოციალ-დემოკრატია“ (რუსულ ენაზე), 1918 წ.

გრამატიკის რეფორმაზე გვიხდება ლაპარაკი, არამედ ენის ნორმების შეცვლაზე, მისი გადაყვანის შესახებ ახალ, კემშიმარიტად მასობრივი მეტყველების რელსებზე. რაც საჭიროა ის არის არა ფორმა, არა რეფორმა, ან ახალი დეკორაცია ძველი შინაარსისა, არამედ ახალი ნაგებობა ახალი საერთო საკავშირო, მსოფლიო ფუნქციით, მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილთაგანი. იგი, ამავე დროს, ყველაზე უფრო აშკარა ჩვენებაა მასებისა, რომლებიც ქმნიან ახალ სამყაროს¹.

როგორც ბაუერი, ისე მარი და მისი მოწაფეები ამტკიცებენ, რომ ნაციონალური ენა კავითაღიზმის ეპოქაში აერთიანებს არა მთელ ერს, არამედ მხოლოდ ბურჟუაზიას, ხალხი კი სარგებლობს დიალექტებით.

ბაურის და მარის „თეორიების“ რეაქციული, ანტიბალხური არსი გამოიხატება იმში, რომ ეს თეორიები უარყოფენ ნაციონალური ენის ხალხობას და ბურჟუაზიულ „ლაბორივ“ ჟარგონს ასაღებენ ნაციონალურ ენად.

ამხანაგმა სტალინმა ცხადყო, რომ მარის თეორია (მაშასადამე, ბაუერი-საც) — ენის კლასობრივობის შესახებ ანტიმეცნიერული, უსაფუძვლო და რეაქციულია.

„ძნელი არ არის იმის გაგება, რომ იმ საზოგადოებაში, სადაც კლასები არ არიან, ლაპარაკიც კი არ შეიძლება კლასობრივი ენის შესახებ. პირველყოფილმა — თემობრივმა გვაროვნულმა წყობილებამ არ იცოდა კლასები, მაშასადამე, იქ არ შეიძლებოდა ყოფილიყო კლასობრივი ენა, — იქ ენა იყო საერთო, ერთიანი მთელი კოლექტივისათვის. საწინააღმდეგო აზრი, რომ კლასებად უნდა გვესმოდეს ადამიანთა ყოველგვარი კოლექტივი, მათ შორის პირველყოფილ-თემობრივი კოლექტივიც საწინააღმდეგო აზრი კი არა,

სიტყვების თამაშია, რომელიც უარყოფის ღირსიც არაა“².

ამხანაგმა სტალინმა მეცნიერულად დაასაბუთა, რომ კლასობრივი ენები არ ახსოვს ისტორიას და შეუძლებელიც იყო მათი არსებობა. ენა ისტორიის ყველა ეტაპზე იყო და არის ადამიანთა ურთიერთობის იარაღი, საზოგადოებრივი ფუნქცია განასხვავებს მას სხვა საზოგადოებრივი მოვლენებისაგან. ენა წარმოიშვა საზოგადოების წარმოშობასთან ერთად და იარსებებს მანამდე, სანამ იარსებებს საზოგადოება. ენა ერთნაირად ემსახურება საზოგადოების ყველა კლასს. ენის გარეშე შეუძლებელია ამ კლასების არსებობა, მათ შორის ეკონომიური ურთიერთობა, კლასთა ბრძოლა. ენის გარეშე შეუძლებელია საზოგადოების არსებობა.

„... ენა სწორედ იმისათვის არსებობს, სწორედ იმისათვის არის შექმნილი, რომ ემსახურებოდეს მთელ საზოგადოებას, როგორც ადამიანთა ურთიერთობის იარაღი, რომ იგი საერთო იყოს საზოგადოების წევრებისათვის და ერთიანი — საზოგადოებისათვის, თანაბრად ემსახურებოდეს საზოგადოების წევრებს — მათი კლასობრივი მდგომარეობის მიუხედავად. საკმარისია ენა აცდეს ამ საერთო-სახალხო პოზიციას, საკმარისია ენა დადგეს რომელიმე სოციალური ჯგუფისათვის უპირატესობის მინიჭებისა და მხარდაჭერის პოზიციანზე საზოგადოების სხვა სოციალური ჯგუფების საზიანოდ, რომ მან დაკარგოს თავისი თვისობრიობა, რომ იგი აღარ იყოს საზოგადოებაში ადამიანთა ურთიერთობის საშუალება, რომ იგი გადაიქცეს რომელიმე სოციალური ჯგუფის ჟარგონად, დაქვეითდეს და მოსპობის გზას დაადგის“³.

ამხანაგმა სტალინმა ნათელყო, რომ ენას ქმნის არა ერთი რომელიმე კლასი, არამედ მთელი საზოგადოება.

„... ენა შექმნილია არა ერთი რომელიმე კლასის, არამედ მთელი საზოგადოების, საზოგადოების ყველა კლასისათვის“⁴.

1. ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, 1950 წ. გვ. 9—10.

2. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, 1950 წ. გვ. 6.

1. 6. მარ. რჩეული ნაწერები (რუსულ ენაზე), ტ. 2, გვ. 373.

სის მიერ, ასეულ თაობათა ძაღლივით. იგი შექმნილია არა ერთი რომელიმე კლასის, არამედ მთელი საზოგადოების, საზოგადოების ყველა კლასის საჭიროების დასაკმაყოფილებლად. სწორედ ამიტომ იგი შექმნილია როგორც საზოგადოებისათვის ერთიანი და საზოგადოების ყველა წევრისათვის საერთო საყოველთაო-სახალხო ენა. ამის გამო ენის, როგორც ადამიანთა ურთიერთობის საშუალების, სამსახურებრივი როლი ის კი არ არის, რომ ერთ კლასს ემსახურებოდეს სხვა კლასების საზიანოდ, არამედ ის, რომ თანაბრად ემსახურებოდეს მთელ საზოგადოებას, საზოგადოების ყველა კლასს. სწორედ ამით აიხსნება, რომ ენას შეუძლია თანაბრად ემსახურებოდეს როგორც ძველ, მომავლად წყობილებას, ისევე ახალ, აღმავალ წყობილებას; როგორც ძველ ბაზისს, ისევე ახალს, როგორც ექსპლოატატორებს, ისე ექსპლოატირებულთა¹.

ენის განვითარების ეტაპები შემდეგია: საგვარეულო ენები, ტომების ენები, ხალხების ენები და ნაციონალური ენები.

„რაც შეეხება შემდგომ განვითარებას საგვარეულო ენებიდან ტომების ენებამდე, ტომების ენებიდან ხალხების ენებამდე და ხალხების ენებიდან ეროვნულ ენებამდე, — ყველგან განვითარების ყველა ეტაპზე ენა, როგორც საზოგადოებაში ადამიანთა ურთიერთობის საშუალება, საერთო და ერთიანი იყო საზოგადოებისათვის, იგი თანაბრად ემსახურებოდა საზოგადოების წევრებს დამოუკიდებლად მათი სოციალური მდგომარეობისა“².

ფეოდალიზმის ნგრევისა და კაპიტალიზმის აღმავლობის ენოქაში, როგორც გვასწავლის ამხანაგი სტალინი, ყალიბდებიან ენები.

ერები კაპიტალიზმის განვითარების აუცილებელ პროდუქტს წარმოადგენენ. აი სწორედ ამ პერიოდში წარმოიშვა ნაციონალური ენებიც. მაგრამ ისინი შექმნა არა ბურჟუაზიამ, არამედ

მთელმა ერმა, ამ ერის ყველა კლასმა. ნაციონალური ენების ვანვითარებას საფუძვლად დაედო ხალხის ერთიანი ენა.

„შემდეგში, კაპიტალიზმის წარმოშობასთან, ფეოდალური დაქუცმაცების ლიკვიდაციასთან და ეროვნული ბაზრის წარმოქმნასთან ერთად ხალხები განვითარდნენ ერებად, ხოლო ხალხთა ენები ეროვნულ ენებად. ისტორია გვეუბნება, რომ ეროვნული ენები არის არა კლასობრივი, არამედ მთელი ხალხის ენები, ერების წევრებისათვის საერთო და ერებისათვის ერთიანი ენები“³.

ნაციონალური ენის შექმნას შეიძლება საფუძვლად დაედოს რომელიმე დიალექტი, როგორც ამას ადგილი ჰქონდა რუსი ხალხის ნაციონალური ენის შექმნაში. ეს ზღედა იმით, რომ დიალექტებს გააჩნიათ გრამატიკული წყობა და ძირითადი სიტყვიერი ფონდი.

„ადგილობრივი (სტრიტორიული) დიალექტები... ემსახურებიან ხალხის მასებს და აქვთ თავიანთი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი“⁴.

მაგრამ ნაციონალური ენის შექმნას არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება საფუძვლად დაედოს გაბატონებული კლასების „კლასობრივი“ ეარგონები, როგორც ამას ამტკიცებდნენ ბაუერი და მარი.

ეს იმით, რომ კლასობრივი ეარგონები ემსახურებიან არა ხალხის მასებს, არამედ ვიწრო სოციალურ ზედაფენას. ამასთან მათ არა აქვთ თავიანთი საკუთარი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი. ამის გამო ისინი ვერასგზით ვერ განვითარდებიან დამოუკიდებელ ენებად. ეს იმით, რომ „... ეარგონებს აქვთ მოკმელების ვიწრო სფერო ამა თუ იმ კლასის ზედაფენის წევრთა შორის და სრულიად გამოუსადეგარი არიან, როგორც ადამიანთა ურთიერთობის საშუალება, მთელი საზოგადოებისათვის“⁵.

1 ი. სტალინი — მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, გვ. 10 — 11.

2 იქვე, გვ. 41.

3 ი. სტალინი. მარქსიზმი ენათმეცნიერების საკითხები, გვ. 11 — 12.

1 ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, 1950 წ. გვ. 5 — 6.

2 იქვე, გვ. 10.

საიდან ჩნდება „კლასობრივი“ ეარ-გონები?

საქმე იმაშია, რომ გარკვეული სოციალური გჯგუფები, კლასები ცდილობენ გამოიყენონ ენა თავის ინტერესებისათვის, შეიტანონ შიგ თავისი განსაკუთრებული ლექსიკა, ტერმინები. ამ მხრივ გამოირჩევიან სწორედ გაბატონებული კლასები: თავად-ახუნებობა, ბურჟუაზია, რომლებიც მოწყვეტილი არიან ხალხს და სძულთ ხალხი. მათ მიერ ენაში შეტანილი „გაუმჯობესებანი“ ეწინააღმდეგებიან ენის განვითარებას და არსებობის ბუნებრივ არსს, ხოლო წარმოშობილი ეარგონები მოკლებული არიან დამოუკიდებლობას, რის გამოც მათი არსებობა თავიდანვე განწირულია.

ყველა ცდა იმისა, რომ „კლასობრივი“ ეარგონები საფუძვლად დასდებოდა ნაციონალური ენის განვითარებას, ისტორიულად მარცხით მთავრდებოდა.

ამის საუკეთესო მაგალითს იძლევა ანტონ კათალიკოსის „სამი სტილის“ დანერგვის ცდები, რასაც ადგილი ჰქონდა ქართული ენის განვითარების ისტორიაში.

როგორც ცნობილია „ქართული ენა ერთადერთი ძველი სამწერლობო ენაა იბერიულ-კავკასიურ ენათა შორის“¹. მისი განვითარების ისტორიაში გამოირჩევა ორი ეტაპი: ძველი ქართული (XI—XII საუკუნემდე) და ახალი ქართული (XI საუკუნიდან).

ახალი ქართული სალიტერატურო ენა ჩაისახა შოთა რუსთაველის „მეფისტყაოსანში“ და მისი ჩამოყალიბების პროცესი ძირითადად დამთავრდა XVIII საუკუნეში დ. გურამიშვილის თხზულებებში. „მეთვრამეტე საუკუნის დიდი მწერლის დ. გურამიშვილის ენა (მორფოლოგია, სინტაქსი, ლექსიკა — ფრაზეოლოგია) ახალი სალიტერატურო ქართულის ნიმუშს წარმოადგენს“².

რა საფუძველი დაედო ახალ ქართულ სალიტერატურო ენას?

ცოცხალი ხალხური სალაპარაკო ენა, კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოს პარის ხალხური დიალექტებზე (ქართლ-კახური). „ცოცხალი ხალხური სალაპარაკო ენა ლიტერატურული ენის გამდიდრების დაუმრეტელი წყაროა“¹ ქართლ-კახურ დიალექტს გააჩნდა თავისი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი, რამაც შესაძლებელი გახდა ექვსი საუკუნის განმავლობაში ქართული ენის ისეთ სიმალემდე განვითარება, რომ დავით გურამიშვილის ეპოქის ქართული ენა ასახავდა ადამიანის შრომითი მოღვაწეობისა და განცდების ყველა ნიუანსს.

მართალია ქართულ სალიტერატურო ენას საფუძვლად დაედო ქართლ-კახური დიალექტი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ ენის მშენებლობაში მონაწილეობა არ მიუღია სხვა დიალექტებს. როგორც წესი, სალიტერატურო ენის მშენებლობაში მონაწილეობას დებულობს ყველა დიალექტი, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ერთერთი დიალექტი სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების მთავარი საფუძველი ხდება.

„ახალი ქართული ლიტერატურული ენის საფუძველს წარმოადგენს ქართლ-კახური დიალექტი, რომელიც შევსებულია სხვა ქართული კილოების ენობრივი მასალით და რომელმაც მემკვიდრეობით მიიღო მრავალსაუკუნოვანი ქართული სამწერლო ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციები“².

XVIII საუკუნის 60-იან წლებში ქართული ენის განვითარებას წინ აღუდგა ანტონ კათალიკოსის რეაქციული სკოლა, შეიარაღებული სქოლასტიური საექლესიო დოგმებით.

ანტონ კათალიკოსი 1757—1762 წ. განმავლობაში რუსეთში (ქ. ვლადიმირში) მოღვაწეობდა. 1762 წელს იგი დაბრუნდა რუსეთიდან. უნდა ვიგულისხმოთ, რომ მან იქედან თან ჩამოიტანა „სამი სტილის თეორია“, რომელიც ამ პერიოდში (1757 წ.) იქნა

¹ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონი, 38-005

² არნ. ჩ. ჭიჭიძე, ილია ჭავჭავაძე ენის შესახებ.

¹ ქ. ჩარკვიანი, საქართველოს ე. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მუშაობის შესახებ, გვ. 72

² ქ. ჩარკვიანი, საქართველოს ე. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მუშაობის შესახებ, გვ. 70.

გამუქებული ლომონოსოვის წიგნში — „განსჯა საეკლესიო წიგნების სარგებლობისათვის“¹.

ლომონოსოვი ამბობდა, რადგან საგნები და მოვლენები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავისი მნიშვნელობით, ამ სხვაობამ თავისი გამოხატულება ენაშიც უნდა პოვოსო. ამიტომ მას საჭიროდ მიაჩნდა სამი სტილის შემოღება: მაღალის, საშუალოს და დაბალის.

გმირული ოდები და პოემები, რომლებიც გადმოცემენ ადამიანის ისეთ მაღალ თვისებებს, როგორცაა: ძალა, სიმდიდრე, მისწრაფება, სიდიადე, კეთილშობილება და სხვა, მაღალი სტილით უნდა იწერებოდეს; პოეტური ენა — „ღმერთების ენა“, ამიტომ მაღალი სტილის საფუძველს სლავურ-ეკლესიური ენა უნდა წარმოადგენდესო.

საშუალო სტილით უნდა დაიწეროს თეატრალური თხზულებანი, სატირა, მეცნიერული შრომები და სხვა, რადგან ამ საჭიროა გასაგები ენა. ამ სტილის საფუძველს საეკლესიო-სლავური და ჩვეულებრივი რუსული ენა უნდა წარმოადგენდესო.

დაბალ სტილზე უნდა იწერებოდეს კომედიები, სასიმღერო და სამხიარულო ლექსები და სხვა. ამ სტილს არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონდეს საეკლესიო-სლავურ ენასთან. მის საფუძველს ჩვეულებრივი რუსული ენა უნდა წარმოადგენდესო.

ანტონ კათალიკოსმა „სამი სტილის“ ეს თეორია გადმოიტანა საქართველოში და დაიწყო ქართველთა საყოველთაო-სახალხო ენის დევნა ლიტერატურიდან და მეცნიერებიდან.

მან „მაღალი (საგანი — ლეთისმეტყველება) და „საშუალო“ (საგანი — ისტორიული თხრობა) სტილი მოსწყვიტა ხალხურ ენას („დაბალ სტილს“).

„მაღალი“ (საეკლესიო) და „საშუალო“ (დარბაისელთა) „ენები“ დამორღნენ ახალ ქართულ ენას, როგორც

თავისი გრამატიკული წყობით, ისევე თავისი ძირითადი ლექსიკური შემადგენელი. ისინი ძველი ქართული ენის ერთგვარ სურთოვლს წარმოადგენდნენ და უცხო იყვნენ ქართული ენის ბუნებისათვის.¹

„მაღალი სტილი“ საეკლესიო ეარგონს წარმოადგენდა, ხოლო „საშუალო სტილი“ ფეოდალური არისტოკრატის „ელასობრივი“ ეარგონის ხასიათს ატარებდა.

„კლასობრივი“ ეარგონები კი, რომლებიც ემსახურებიან არა ხალხის მასებს, არამედ ვიწრო სოციალურ ზედაფენას, და არ წარმოადგენენ საზოგადოების ყველა წევრისათვის საყოველთაო-სახალხო ენას, — ვერაფერით შემთხვევაში ვერ განვითარდებიან დამოუკიდებელ ენებად.

ეს ასეც მოხდა.

ჯერ ერთი, თვით ამ პერიოდში, მიუხედავად საეკლესიო რეაქციისა, რომელიც ცდილობდა ხელში ჩაეგდო ქართული კულტურის საქმე, ქართული საყოველთაო-სახალხო ერთიანი ენა განაგრძობდა განვითარებას. ის განაგრძობდა განვითარებას იმ ოფიციალურ მიწერ-მოწერაში, რომელიც ხალხის მასებს ეხებოდა, თურისპრუდენციაში, ლიტერატურისა და ხელოვნების ისეთ დარგებში, როგორცაა კომედია, სასიმღერო ლექსები და სხვა².

მეორეც, რაც მთავარია, XIX საუკუნის მეორე ნახევარში თვით ცხოვრებამ უკუაგდო „სამი სტილის“ თეორია.

საქმე იმაშია, რომ XIX საუკუნეში, მას შემდეგ, რაც საქართველო შეუერთდა რუსეთს, სწრაფი ტემპებით წავიდა წინ ქართველი ხალხის ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრება.

ამ პერიოდისათვის საბოლოოდ ჩამოყალიბდა საქართველოს მტკიცე ტერიტორიული ერთობა; კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად დამყარდა ერთიანი ეკონომიური ცხოვრება.

ამ ახალ ისტორიულ ეპოქაში მწვავედ დაისვა საკითხი ნაციონალური

1 როგორც პროფ. არნ. ჩიქობავა მიუთითებს, ადგილი შესაძლებელია, რომ ანტონ კათალიკოსზე ზეგავლენა იქონია ი. პეტრიწის რთული და შრიბე მეტყველების თეორიამაც.

1 ქართული ენის განმარტებითა ლექსიკონი, ტ. 1. გვ. 008

2 არნ. ჩიქობავა—ი. ჭავჭავაძე ენის შესახებ.

ენის განვითარებისათვის გზის გასაკაფავად.

რომელი გზით უნდა წასულიყო ქართული ნაციონალური ლიტერატურული ენის განვითარება?

ამ კითხვაზე სწორი პასუხი გასცა ი. ჭავჭავაძემ.

ილია ჭავჭავაძემ ლიტერატურულ ენის საფუძვლად „გლეხკაცის მეტყველება“ — ქართველი ხალხის საერთო საყოველთაო-სახალხო ენა გამოაცხადა.

როგორც ცნობილია, ი. ჭავჭავაძისა და მის თანამოაზრეთა (ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი) ბრძოლა ერთიანი ეროვნული სახალხო ენისათვის გამარჯვებით დავეიარავინდა.

„... მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებნი „კაცია-ადამიანი?“, „გლახის ნაამბობი“, „კაკო ყაჩაღი“, „ოთარაანთ ქერივი“, აგრეთვე აკადემიის წერეთლის ნაწარმოებნი „ბაში-აჩუკი“ და სხვა, ახალმა ენამ საესეებით განდევნა დრომოკმული არქაული ენა, რომელსაც ხელოვნურად იცავდნენ ფეოდალური არისტოკრატის ლიტერატორები“ (ხაზი ჩვენია. დ. ჩ.).

ეს ნიშნავდა, ერთი მხრივ, ქართული სალიტერატურო ენის განვითარების დროებით გაწყვეტილი ხაზის აღდგენას, მეორეს მხრივ, ქართული ენის განვითარების ისტორიაში ახალ ეტაპს — თანამედროვე ქართული ნაციონალური ენის განვითარების დასაწყისს.

საქმე იმაშია, რომ ეს ბრძოლა მიმდინარეობდა XIX საუკუნის ქართული წლებში, ე. ი. მაშინ, როდესაც ჩამოყალიბდა ქართველი ერი.

ქართველი ერის ჩამოყალიბება იმის მოასწავებდა, რომ ქართველი ხალხის ერთიანი საყოველთაო-სახალხო ენა განვითარდა ქართველთა ნაციონალური ენად.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ კავიტალიზმის წარმოშობასთან ერთად ხალხები განვითარდნენ ერებად, ხოლო ხალხთა ენები ეროვნულ ენებად.

ქართველი ხალხის ერთად ჩამოყალიბებისა და ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების პროცესი ისტორიულად ერთ პერიოდში მიმდინარეობდა.

ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლისა და ი. გოგებაშვილის უდიდესი პროგრესული ღვაწლი სწორედ იმაში გამოიხატება, რომ მათ, მართებულად გაიგეს რა ქართველი ერის განვითარების ისტორიული პერსპექტივები, განდევნეს ანტონ კათალიკოსის მიერ „დანერვილი“ საეკლესიო და ფეოდალური არისტოკრატის „კლასობრივი“ ქარგონები, თავის უფლებებში აღადგინეს და განავითარეს აღმოსავლეთ საქართველოს ბარის დიალექტზე (ქართულ-კახური) დაფუძნებული ახალი ქართული სალიტერატურო ენა, დასაწყისი მისცეს ქართველი ხალხის ნაციონალური ენის განვითარებას.

ბი
ფ
ქმ
ტბ
7



ალექსანდრა ნულუკიძე როგორც ლიტერატურის კრიტიკოსი

დაბადებიდან 75 წლისთავის გამო



ა. წულუკიძე იყო ერთ-ერთი უნიკე-რესი წარმომადგენელი „მესამე დასის“ კემპარიტი რევოლუციური ფრთის — მისი უმცირესობისა, რომელსაც სათავეში ედგა ი. ბ. სტალინი. „... წულუკი-ძე იყო იმ დროის ერთ-ერთი განათლე-ბული მარქსისტი, ნიჭიერი პროპაგან-დისტი და პუბლიცისტი, რევოლუციო-ნერი, მუშათა კლასის საქმის ბოლომ-დე ერთგული, აშხ. სტალინისა და ლ. კეცხოველის უახლოესი მეგობარი“¹. იგი იყო მარქსისტი-რევოლუციონერი, პრაქტიკოსი და თეორეტიკოსი. მისი პრაქტიკული და თეორიული მოღვაწე-ობა მთლიანი და განუყოფელია ალ. წულუკიძე უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ამიერკავკასიის ლენინურ-ისტრული ორგანიზაციების ჩამოყალიბებაში; იგი, როგორც საი-მელო, პრინციპული და მომზადებული აქსანაგი, იგზავნებოდა იქ, სადაც მდგომარეობა მეტად კრიტიკული იყო². პრაქტიკულ მუშაობასთან ერთად ალ. წულუკიძე ეწეოდა უდიდესი მნიშვნე-ლობის თეორიულ ბრძოლას „მესამე დასის“ უმრავლესობის, ე. წ. „ლეგა-ლური მარქსიზმის“ წინააღმდეგ. ალ. წულუკიძე ნათლად ასაბუთებდა, რომ ისტორიული კანონზღიერების ამხსნე-ლი ერთადერთი კემპარიტი თეორია, რომელმაც ისტორია მძვილ მეცნიე-რებად აქცია, არის მ. კსიზმი³.

ალ. წულუკიძე დაუადობლად ებრძო-და მარქსიზმის ფალსიფიკატორებს.

მას ეკუთვნის მრავალი ნაშრომი, რომ-ლებშიც მთელი სიღრმითა და თანმიმ-დევრობითაა განვითარებული მარქსი-ბული შეხედულებები პროლეტარია-ტის კლასობრივი ბრძოლის, პოლიტი-კური ეკონომიის, მუშათა კლასისათ-ვის პოლიტიკური პარტიის აუცილებ-ლობისა და სხვა საკითხებზე. მთელი მისი პრაქტიკული და თეორიული მოღ-ვაწეობა გამსჭვალული იყო მუშათა კლასის განთავისუფლების იდეით.

მისი კალამი შეეხო მხატვრული ლი-ტერატურის საკითხებსაც. ლიტერატუ-რას იგი ანიჭებდა დიდ საზოგადოებ-რივ მნიშვნელობას და ყოველ მის ფაქტს განიხილავდა მუშათა კლასის ინტერესების თვალსაზრისით.

ალ. წულუკიძის ლიტერატურული შეხედულებანი, ისე როგორც მთელი მისი მსოფლმხედველობა, ჩამოყალიბ-და მძაფრი იდეოლოგიური ბრძოლის ვითარებაში.



გასული საუკუნის 90-იანი და მეოცე საუკუნის 900-იანი წლები რთული იდეოლოგიური ბრძოლის ხანაა ქარ-თული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში. ეს „იყო ხანა მწერლობის გაცხოველებსა, ზრდისა და განვითა-რებისა“⁴. (გვ. 86) 90-იანი წლებიდან საქართველოში გამოდის მრავალი ქორნალი და ვაჭუთი: „თეატრი“, „მო-ამბე“, „კვალი“, „ცნობის ფურცელი“.

¹ ციტატები ალ. წულუკიძის შრომებიდან ყველგან ამ წესით იქნება მითითებული: ფრჩხი-ლებში ნაჩვენები იქნება გვერდები თხზულება-თა 1943 წლის გამოცემიდან.

¹ ლ. ბერია, „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, 1939 წ. გვ. 33 — 34.

² ვახ. „კომუნისტ“, 1920 წ. 20 ივნისი.

³ ალ. წულუკიძე, „თხზულებანი“, 1943 წ., გვ. 283.

„კრებული“, „მოგზაური“, „ივერია“
და სხვ.

ამ პერიოდში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდიოდნენ სხვადასხვა დაჯგუფებანი, რომლებიც სხვადასხვა საზოგადოებრივი ფენების ინტერესთა შესაბამისად აყალიბებდნენ თავიანთ იდეოლოგიას.

საქართველოს კოლონიური მდგომარეობის გამო ერთ-ერთი ძირითადი საკითხი ამ პერიოდში ყველა დაჯგუფებისათვის იყო ნაციონალური საკითხი. სხვადასხვა კლასისა და ფენის წარმომადგენელნი სხვადასხვა კუთხით უღვებოდნენ ამ საკითხს, რომლის გადაწყვეტაში შეღავნდებოდა მათი იდეოლოგიის სოციალური შინაარსი.

შთხედვად დაჯგუფებათა სიმრავლისა, მიხედვით შეიძინებოდა ორი ძირითადი მიმართულება, საზოგადოებრივი აზროვნების ორი, ერთმანეთის საწინააღმდეგო ხაზი. მართალია, ყველა ეს ანარქისტები, ლეგალური მარქსისტები, ფედერალისტები და სხვები ერთმანეთს ებრძოდნენ, მაგრამ არსებითად ძინი ბურჟუაზიული მსოფლმხედველობის წარსახეობანი იყვნენ. მათ საპირისპიროდ იზრდებოდა და ძლიერდებოდა ლენინურ-ისკრული მიმართულება.

ბურჟუაზიის იდეოლოგები საქართველოს ეროვნული აღორძინებისა და განვითარების ერთადერთ დასაყრდენს ხედავდნენ ბურჟუაზიაში, კაპიტალიზმის განვითარებაში და მოითხოვდნენ საზოგადოების ყველა კლასისა და ფენის გაერთიანებას ბურჟუაზიის ირგვლივ. ამგვარად შემუშავდა „საერთო ნიადაგის“ თეორია.

„მესამე დასის“ თეორიის ინტელექტუალური ფორმის ლიდერი ნ. ჟორდანიას ობიექტივისტურად უყურებდა საზოგადოებრივ ცხოვრებას. ამხნევედა რა ბურჟუაზიის ძლიერებას, იგი მასზე ამყარებდა ერის აღორძინების იმედებს, ქადაგებდა ლიბერალურ ბურჟუაზიასთან პროლეტარიატის კავშირის იდეას, კრიტიკობდა მათი თანაცხოვრების საერთო ნიადაგის აღმოჩენას. ცნობილია, რომ „მესამე დასის“ რევოლუციური უმცირესობიდან აღ. წულუკიძემ აღრევე დაიწყო ბრძოლა „მესამე დასის“ უმრავლესობის წინააღ-

მდეგ და საერთოდ ყველა სახის ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ. კერძოდ, წულუკიძეს წილად მხედდა თავის ბრწყინვალე ნაშრომში — „ოცნება და სინამდვილე“ — გაეცამტვერებია „საერთო ნიადაგის“ ბურჟუაზიული თეორია. „საერთო ნიადაგის“ თეორიის დასაბუთების ცდის ყველაზე მაკვირო გამოხატულება ჰქონდა არჩ. ჯორჯაძის წერილებს, რომლებიც „ცნობის ფურცლის“ 1900—1901 წ. წ. ნომრებში ქვეყნდებოდა. ამ წერილებში „მან ქართულ მწერლობაში პირველად მოუყარა თავი მთელი მიმართულების გამოსახველ, აქა-იქ გაბნეულ აზრებს...“ (გვ. 36) „საერთო ნიადაგის“ თეორიული საფუძვლების იდეური განაღმტყრების მიზნით, სწორედ ამიტომ აირჩია აღ. წულუკიძემ არჩ. ჯორჯაძის „პროგრამა“.

არჩ. ჯორჯაძე გამოდიოდა იდეალისტური წინამძღვარიდან, რომ აზროვნება პირველად, ხოლო ყოფიერება მეორედ, და ამეორებდა ნარეალობის სრულიად ყალბ შეხედულებას, რომლის მიხედვით არა კლასები და კლასთა ბრძოლა, არამედ გმირები — გამოჩენილი ადამიანები ქმნიან ისტორიას. არჩ. ჯორჯაძე თავს ესხმოდა მარქსისტულ ფილოსოფიურ მატერიალიზმს. მისი აზრით, მარქსიზმი აღიარებს „რადაც“ ობიექტურ კანონზომიერებას, რომელსაც ექვემდებარება ისტორიული პროცესი, ხოლო ადამიანის აზრსა და მისწრაფებას ამ „უაზრო“ ობიექტური პროცესის მონად ხდის. არჩ. ჯორჯაძე იცავს დებულებას, რომ პირველების მოქმედებას აქვს „მკვიდრი ნიადაგი მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი განათვისუფლებულია კაცთა ცხოვრების ვითომდა ობიექტური (დამოუკიდებელი, უაზრო და უმიზნო) პროცესის მონობისაგან“¹. ასეთ პიროვნებას შეუძლია მოსპოს ის, რასაც „საძირველი თეთი საზოგადოებაში, ხალხის მატერიალურ ცხოვრებაში აქვს“, „შეარჩოს, შეაერთოს საზოგადოების ის ელემენტები, რომელნიც ერთმანეთის ეკონომიურ წინააღმდეგობაში ცხოვრობენ“².

1. 2. მომავის წულუკიძის მიხედვით, ხაზი ჩემია — შ. ჩ.

ამ ანტიმეცნიერულ, სუბიექტურ-ადეალისტურ შეხედულებას წულუჯიძე უპირისპირებს მარქსისტულ ფილოსოფიურ მატერიალიზმს. წულუჯიძეს, როგორც მარქსისტს, საზოგადოებრივი ყოფიერების განმსაზღვრელ ძირითად მომენტად მიაჩნდა მატერიალურ საყუარებათა წარმოების წესი. „...მატერიალური ნიადაგი — საწარმოო იარაღთა ვითარება არის ობიექტური პროცესი, რომელიც სუბიექტის „აზრსა და ლტოლვილებას“ განსაზღვრავს და ისეთს მიმართულებას აძლევს... საწარმოო იარაღთა შეცვლა ახალ ურთიერთობას ამყარებს სუბიექტთა შორის და ახალ სინამდვილეში იდეოლოგიური სფეროც ახლდება და ვითარდება“ (გვ. 90). მაგრამ აქედან სრულიად არ გამომდინარეობს პიროვნების როლის უარყოფა, როგორც ეს არჩ. ჯორჯაძეს ეგონა. „აღამიანის მოქმედებას კი ვერ შეასუსტებს ის შეგნება, რომ მისი იდეალი ცხოვრების აუცილებელი შედეგი უნდა იყოს და მხოლოდ ამ გვარად მოქმედება საჭირო. წინააღმდეგ, აღამიანი მაშინ მოევიდება საქმეს მეტის ნდობით და ენერგიით, როცა ის დატრფუნებულია, რომ მისი მოქმედება უთუოდ ნაყოფს გამოიღებს, რომ მისი სურვილი უბრალო ოცნება როდია, არამედ ცხოვრების ნაკარნახევი მისწრაფება“ (გვ. 90).

ალ. წულუჯიძე აქ განმარტავს, რომ საყუარო და მისი მოვლენები შეცნობადია, აღამიანის ცოდნას აქვს ობიექტურ ქეშმარიტებათა მნიშვნელობა¹, რომ აღამიანის მოქმედება უნდა წარმართოს სწორედ „ცხოვრების ნაკარნახევი მისწრაფებამ“ და არა „უბრალო ოცნებამ“. ამიტომ ბუნებრივი იყო, რომ წულუჯიძე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა მეცნიერულ თეორიას.

წულუჯიძე უარყოფს „საერთო ნიადაგის“ „თეორიას“, რომელიც ოცნებაზე, უტოპიურ იდეებზეა აღმოცენებული და არა საზოგადოებრივი ცხოვრების ღრმა ანალიზის საფუძველზე. წულუჯიძე წერს: „საზოგადოება ანტითე-

ზებიდან და კონტრასტებიდან შედგება; იგი თავისივე წრეში ავითარებს თავის წინააღმდეგობებს, ეს წინააღმდეგობა გადავა რა არსებობის ახალ მიმდინარეობაში, უთუოდ სძლევს ძველ ფორმას. დღევანდელი ანტითეზების გადაამწყვეტი მწარმოებელი მუშაა“¹. (103).

ალ. წულუჯიძე მიუთითებს იმაზე, რომ სუბიექტური იდეალიზმის წარმომადგენლები პიროვნებასა და ხალხს მეტაფიზიკურად უპირისპირებენ ერთმანეთს, საგნებსა და მოვლენებში ვერ ხედავენ მათს შინაგან წინააღმდეგობას. სუბიექტური სოციოლოგიის მიმდევართათვის მიუწევდომელი იყო ის ქეშმარიტება, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში მხოლოდამხოლოდ დაპირისპირებული კლასების ბრძოლის ბოლომდე მიყვანით შეიძლება არსებული წინააღმდეგობის გადაწყვეტა და არა პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის ინტერესთა პარამონიის ქადაგებით.

წულუჯიძე განმარტავს, რომ ყოველგვარი ოპორტუნიზმი, რომელიც კომპრომისებს და შერიგებას ქადაგებს, საბოლოო ანგარიშით ბურჟუაზიული იდეოლოგიაა. ასევე ბურჟუაზიულია არჩ. ჯორჯაძის „დემოკრატიული ინტერესები“. კლასთა ბრძოლის გადაფუჩეჩება არჩ. ჯორჯაძისათვის საერო ინტერესებს წარმოადგენს, რომელთაც მისი აზრით, „მშრომელმა ხალხმა თავისი ვერძო ინტერესები“ უნდა შესწიროს. არჩ. ჯორჯაძე ეროვნული ინტერესების სახით იცავს უმცირესობის, ე. ი. არამწარმოებელთა ინტერესებს, სწორედ ამის გამოა არჩ. ჯორჯაძის შეხედულებები არა დემოკრატიული, არამედ ნამდვილად ბურჟუაზიული.

კლასთა ბრძოლის გადაფუჩეჩება სწორედ ბურჟუაზიისათვის იყო ხელსაყრელი, ბურჟუაზიისათვის, რომელიც ცდილობს ქვეყნის კაპიტალისტურ სისტემა ერთადერთ კანონიერ და შეუცვლელ ფორმაციად წარმოადგინოს.

კლასობრივი ბრძოლის მიჩქმალვის წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლას ეწეოდნენ ი. სტალინი და მისი თანამოსაგრე ალ. წულუჯიძე. ისინი ააშკა-

¹ ი. სტალინი, „ლენინიზმის საკითხები“, გვ. II გამოცემა, გვ. 675.

რავებდნენ კლასობრივ ბრძოლას და ასაბუთებდნენ მის გარდუვალობას. ალ. წულუკიძემ თავის ბრწყინვალე ნაშრომში „ახალი ტიპი ჩვენს ცხოვრებაში“ — ლალიონის (არსენ მამულაიშვილის) მოთხრობის „ფირალ დავლადის“ კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ცხადყო საზოგადოების კლასობრივი დიფერენციაცია და კლასობრივი დაპირისპირება 90-იანი წლების საქართველოს სინამდვილეში.



„ფირალი დავლადის“ განხილვისას ალ. წულუკიძემ წამოაყენა ახალი შეხედულებანი ლიტერატურაზე, რომლებიც შემდეგ დასრულებული, მთლიანი ესთეტიკური კონცეფციის სახით განხილეთაიხა ნაშრომებში: „საუბარი მკითხველთან“ და „მკითხველის შენიშვნები“.

ნაშრომში — „ახალი ტიპი ჩვენს ცხოვრებაში“ ალ. წულუკიძე „ფირალი დავლადის“ ძირითად ხაზად, რომელზედაც აგებულია მოთხრობა, სამართლიანად თვლის ნიკო კალაძისა და ივანე დავლადის კლასობრივ დაპირისპირებას.

ვინ არის ივანე? ივანე დავლადე არის „ნაშთი ძველი დიდებისა, კანონიერი შვილი ხანგადასული აზნაურის გიორგისა...“ (გვ. 14). ივანე უაზროდ, უშინაარსოდ ასრულებს სიცოცხლეს. ალ. წულუკიძე არ კმაყოფილდება მარტოდენ ამ ტიპის დახასიათებით და პარალელს ატარებს 90-იანი წლების ქართული პროზის სხვა ტიპებთან: „ნინო-შვილის ტარიელი, დ. ერისთავის (დემიტრი ერისთავის — შ. ჩ.) ნესტორი ამნაირადვე უშინაარსოდ აბოლოვებენ თავის ხანმოკლე სიცოცხლეს. იბრძვიან მკლავ-ღონიერნი, მხოლოდ ყოველგან და ყოველთვის მარცხდებიან“ (გვ. 14). ეს არ არის შემთხვევითი მარცხი. შეცვლილ საზოგადოებრივ ვითარებაში მკლავღონიერობა აღარ წყვეტს ბატონობის საკითხს, მბრძანებელ პოზიციებს ეჭერს ახალი კლასის წარმომადგენელი, რომელიც იძენს სიმდიდრეს, ფულს. ამ მოსახრებას თავგამოდებით იცავს ნიკო კალაძე: „ახლანდელ დროში ვისაც ფული აქვს, კაციც იგია“. მას ეკამათება

ივანე: — „აბა მე გეტყვი შენ... კაცითუ ჯალაბია, იმას ვერც ფული შორჯულებს და ვერც ვერაფერი“¹.

ამ დიალოგს, როგორც მოთხრობის მთავარ იდეას, განსაკუთრებით გამოყოფს წულუკიძე და ასე განმარტავს: „ხედავთ როგორი ანტაგონიზმია ამ ორ ქართველთა შორის?... ერთია ძველი, ფეოდალური დროის წარმომადგენელი, მეორე — ახალი, ფულის მეურნეობის ხანის შვილი; ერთია რაინდი, მეორე — წერილფეხა ბურჟუა, რომელიც გამსხვილფეხებას აპირებს. ამ ტიპთა შორის მოუერიგებელი ბრძოლაა გამართული“ (გვ. 16).

წულუკიძე აქ არ კმაყოფილდება მხოლოდ ფაქტის აღნიშვნით. იგი არცევეს. იმ სოციალ-ეკონომიურ პირობებს, რომელშიც ასე გადაჰკიდა ერთმანეთს ეს „ორი ქართველი“. ეს იყო საეპროკაპიტალის განვითარება. წულუკიძე იძლევა მის ბრწყინვალე მარქსისტულ დახასიათებას. ამ ხანაში ფული საჭირო ხდება როგორც საყოველთაო საზომი საქონელი. იგი ყველასათვის კერპია, ყველა მის მოპოვებას ცდილობს. „ზოგი ძალით ცდილობს ამას, ზოგი შრომით და ზოგი ხერხით, მოტყუებით. პირველს ეკუთვნის ივანე დავლადე, მეორეს მწარმოებელი მუშა და მესამეს კალაძე. უკანასკნელი ორი თანამედროვე ეკონომიური ცხოვრების ღვიძლი შეიძია, მხოლოდ პირველი „ნაშთი ძველი დიდებისა“, საზოგადო ცხოვრების ნადიმზე შეუფერებელი, უცხო სტუმარია... მისი არსებობა მეტად ხანმოკლეა და „ჩვენი ქვეყნის რაინდი“, „სადაც შობილა, ვაზრდილა“, იმ მხარეს სამუდამოდ უნდა გამოეხსნა“ (გვ. 18).

ასევე სტოვებენ ცხოვრების ასაარებს გ. წერეთლის ერემია წარბა, ე. ნინო-შვილის ტარიელი, ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას მაკრინე, დემიტრი ერისთავის ნესტორ უქმიაშვილი და ფარნა მაცაშვილი.

ივანე დავლადის ანტიპოდია ნიკო კალაძე. ნიკო ფულის მეურნეობამ წარმოშვა და შეასწავლა მას ახლებურად მოქმედება. ნიკოს ესმის, თუ რა მოთხოვნილებას უყენებს თანამედროვე ცხოვრება ადამიანს, რომ იგი „კაცად“

ჩაითვალოს. ნიკო „დიდი სიღინჯით ამ ტყეცებს თავის დიდ ვინაობას: „ახლა კაცია იგია, ვინც თვითონ ვარგა, ვისაც რაიმე გააჩნია“... მის სიტყვებში თანამედროვე ცხოვრების დედა აზრია გამოთქმული. ის რაც პუბლიცისტებს — ეკონომისტებს მრავალი კვლევა-ძიებით დაუსაბუთებიათ ნიკომ მოკლედ და მარტივად გამოსთქვა. ამ სიტყვებშია მთელი ჩვენი დღევანდელი ცხოვრების შინაარსი. წოდებრივი დანაწილების უარყოფა, კარჩაქეტილი, პატრიარქალური ცხოვრების საუკუნო მოსვენება და მის ხაეცვლად კლასიური დაყოფა ჩვენი საზოგადოებისა, საურთიერშორისო ვაჭრობა-სამწველობის ფეხის შემოდგმა ჩვენი სარწმუნოებლოში, არა არის ჩვენი თანამედროვე ეკონომიური ცხოვრების დედა აზრი“ (გვ. 20), — ასევეს ალ. წულუკიძე.

ვაჭრობის გზით აღწევს ნიკო კალაძე სიმდიდრის მოხვეჭას და საზოგადოებრივი ცხოვრების მბრძანებელი პოზიციების ხელში ჩაგდებას.

ამავე გზით ხდებიან ყოვლადძლიერნი გ. წერეთლის ბახვა ფულავა, ეგნატე ნინოშვილის დავით დროიძე, შ. არაგვის-პირელის ისაკა, დიმიტრი ერისთავის ვაბრიელ როზაძე და სხვ.

ქართულ მხატვრულ პროზაში რეალისტურად აისახა სავაჭრო კაპიტალის შემოჭრა და განვითარება. ასევე მართლად აისახა ქართულმა ლიტერატურამ ბურჟუაზიის ამორალიზმი.

თუ ლალიონის ნიკო ამპარტავანი და თავის სიმღიერეში დარწმუნებული კაცია, ამის მიზეზი ფული გახლავთ. ნიკოს სწამს, რომ იმავე ფულით, რომლითაც იგი იმარჯვებს ბაზარზე, გაიმარჯვებს სიყვარულშიც.

ნიკო მოისყიდის მაკრანეს, რომელიც ფულის გულისთვის თანახმაა მისი დისწული ნინო ხელში ჩაუგდოს ნიკოს. იგი ეხმარება მას იმაში, რომ ნინო ოთახში ჩააქეტოს და დაიმორჩილოს. ნინოს მამა, ამპარტავანი აზნაური მაქსიმე პირველად დაემუქრა მაკრანეს, მაგრამ, რაკი ფული უხსენეს, მოლბა და დათანხმდა გლეხ ტიმოთე კალაძის შვილს ცოლად გაატანოს თავისი ქალი. წულუკიძეს მოაქავს ნინოს სიტყვები მამისადმი: „საკოდავო ბაბა, გაგიჭირდა და მყიდი?“ ნიკოსაგან მაქსიმემ 40 თუმანი მიი-

ღო და ყველაფერს მიადურთხა: შეურაცხყოფასაც, ქალის სურველსაც, ჯაერსაც და ქალიშვილი ფულად გააყიდა.

წულუკიძე ასე ახასიათებს ნიკო კალაძეს, როგორც ბურჟუაზიული მორალის მატარებელს: „აი ვინ აუჩინდა ჩვენ სოფელს წებობის გამათახსირებელი, ტრადიციების წამშლელი; ვინ დაიწყო მშობლიური ვრძნობით ვაჭრობა, ვინ დაურღვია მას მშვიდი და მყუდრო ცხოვრება, ვინ წააქიდა შვილი მამას, ცოლი ქმარს და მეზობელი მეზობელს—ფულმა და მისმა პატრონმა ნიკომ. ნიკო აღარბიებს გლეხსა და აზნაურს, მეგრე თვითონვე ყიდულობს მამისგან ქალს“ (გვ. 22).

ბურჟუაზიული საზოგადოების მორალური სიმანხვეე ჯერ კიდევ 19 წლის საშა წულუკიძემ ამხილა ესკიზში „ლამის სურათები“, რომელიც ვაზეთ „ივერიაში“ გამოაქვეყნა.

ბურჟუაზიულ საზოგადოებაში მეფობს სიყალბე, ცბიერება, ჭურღობა, ძარცვა-გლეჯა. არ არსებობს უანგარო მეგობრობა, გულწრფელი სიყვარული. ნაღვედა ერისთავისადმი მოსკოვიდან მოწერილ ბარათში ალ. წულუკიძე ეხება ამ საკითხს და აღნიშნავს, რომ ლიტერატურამ შესამჩნევად გვიჩვენა კაპიტალისტურ სინამდვილეში როგორც მეგობრობისა და სიყვარულის, ისე ქორწინების ვაჭრული ხასიათი. რას წარმოადგენს ცოლ-ქმრობა იმ საზოგადოებაში, სადაც ყველაფერი „ლითონით იზომება? ... ცოლქმრობა ვერ წარმოადგენს იმ იდეალს, სანეტარი მეგობრობას, რომელიც ამ სიტყვაში იმალება. მისთვის, რომ ჩვენში ვავარჯვით თუ როგორია ცოლ-ქმრობა და მეუღლეთა მეგობრობა, საჭიროა გადავავლოთ თვალი ევროპულ ცხოვრებას, რომ მით ნათლად დავინახოთ ის საზიზღარი, ბილწი, უაზრო ცოლ-ქმრობა, რომელიც მეგობრობის პირბადის ქვეშ იმალება“ (გვ. 277).

პირველყოფილ საზოგადოებაში ცოლ-ქმრობა ატარებდა ბუნებრივ ხასიათს, ვინაიდან იმ დროს არ იყო სიმდიდრე და ფუფუნება. მამაკაცის და დედაკაცის შეუღლება, გარდა გამრავლების საშუალებისა, წარმოადგენდა „უბრალო შრომის განაწილებას“ (გვ.

277). მაგრამ შემდგომში საზოგადოებრივი ურთიერთობა გართულდა, წარმოების წესი შეიცვალა, ძირფესვიანად გარდაიქმნა, როგორც მატერიალური მხარე ცხოვრებისა, ისე ადამიანთა სულიერი სამყარო, „გაჩნდა მდიდარი და ღარიბი და ცხოვრებამაც ფერი იცვალა. მამაკაცი, როგორც უფრო მომქმედო, ფული პატრონი გახდა და სიამოვნების ძებნა განცხრომამში და ფუფუნებაში დაიწყო. ქალი შეიქმნა ამ განვითარებული გემოვნების დამაკმაყოფილებელი. მდიდარი თითქოს სიყვარულის სახელით ყიდულობს ფულით ლამაზს ტანად და ხორცად ქალს (რასაკვირველია, ასედაც ხდება, რომ მდიდარი ქალი ლამაზ კაცს ყიდულობს, ეს მხოლოდ როლების შეცვლა!“ (გვ. 277—278).

ასეთ საზოგადოებაში იმ ადამიანების არავითარ ჰუმანიზმზე არ შეიძლება ლაპარაკი, რომლებიც გამხდარან ცხოვრების სადავეების მპყრობელნი და ისე იყენებენ მას, როგორც მათი პირადი მოთხოვნის უკარნახებთ. ისინი გარყვნილების წუმპეში არიან ჩაფლულნი და ამ წუმპეში ითრევენ სხვებსაც. ღარიბი ქალი ასეთ საზოგადოებაში ხშირად იძულებულია სხვისი უწმინდური სურვილის დამაკმაყოფილებელი გახდეს. იგი „გაჰოდის და ვაჰობის თავისი თავით; ვინც უფრო მეტს შისცემს, ის არის მისი მფლობელი. ერთი სიტყვით, ქალი შეიქმნა ფუფუნების საგნად“. (გვ. 278).

წულუკიძე, როგორც სჩანს, შესანიშნავად იცნობდა, როგორც ვეროპულს, ისე რუსულ ლიტერატურას. იგი მიუთითებს, რომ ბურჟუაზიული საზოგადოების გახრწნილი სულიერი სამყარო ყარგად გამოხატეს „ვეროპის სხვადასხვა მწერლებმა და ერთმა რუსეთის ცნობილმა რომანისტმა ლ. ტოლსტოიმ“. (გვ. 278).

შემთხვევითი როდია, რომ ალ. წულუკიძე იხილავს ლევ ტოლსტოის „კრეიცერის სონატას“.

აქ ჩვენ ვხედავთ განათლებულ მარქსისტს, დიდი დიაბაზონის კრიტიკოსს. იგი ნათლად ხედავს, რომ „კრეიცერის სონატაში“ გენიალური მხატვრის კალმით ნიღაბაბილია ბურჟუაზიული სინამდვილე, მისი სიბნელე,

ფლიდობა, გარყვნილება და მაცდურობა. ამ ნაწარმოების მიხედვით შესაძლებელია ბურჟუაზიული ნორალის მთელი საზიზღრობის გამოაშკარავება და, ამავე დროს, ჩვენება იმისა, თუ რაოდენ უტოპურია ლევ ტოლსტოის მოძღვრება ბოროტებისათვის წინააღმდეგობის გაუწევლობისა და საერთოდ ყველა ასეთი თეორია, რომელთა მიხედვით, თითქოს ქადაგებით შეიძლებოდეს საზოგადოების ზნეობრივი გაკეთილშობილება, გაჯანსაღება. მაშინ, როცა ამორალიზმის სოციალ-ეკონომიური ბაზისი მოსპობილი არ არის.

ალ. წულუკიძე სამართლიანად აღნიშნავს, რომ ლ. ტოლსტოიმ ბურჟუაზიულ საზოგადოებას „მისი სურათი ნათლად დაანახა, ამცნო მთელი სიბილწე, ფლიდობა, გარყვნილება და მაცდურობა, რომელიც ცოლქმრული სიყვარულის სახელით დაფარვაშობს და საზოგადოების პატივისცემაშია. ამ მხრივ მადლობის ღირსია „Крейцера соната“-ს გამოჩენილი ავტორი, მაგრამ, სამწუხაროდ, მან ფელოსოფიურად ვერ ახსნა ვერც მიზეზი ამ მოვლენისა და ვერც საშუალება მოგვაწოდა მეცნიერული“ (გვ. 278).

ალ. წულუკიძის ეს შენიშვნა სამართლიანია არა მარტო „კრეიცერის სონატას“ მიმართ, არამედ ლევ ტოლსტოის მთელი შემოქმედების მიმართაც. თერთმეტი წლის შემდეგ სწორედ ანალოგიური შეფასება მისცა ვ. ი. ლენინმა ლევ ტოლსტოის შემოქმედებას.

მაგრამ ლევ ტოლსტოის დამსახურება, რისთვისაც ის „მადლობის ღირსია“, იმაშია, რომ მან გვიჩვენა პოზდონიშეეების, ტრუხაჩევსკების ნამდვილი სახე, ნამდვილი სახე ამ „ბრწყინვალე“ ბატონებისა, რომელნიც ზნეობრივად სპეტაკი ადამიანების ნიღაბს ატარებდნენ. ლევ ტოლსტოიმ ყველას გასაგონად თქვა, რომ ქალი ბურჟუაზიულ საზოგადოებაში „დამდაბლებული, გარყვნილი მონაა“, ხოლო მამაკაცი „ასეთივე გარყვნილი მონათმფლობელი“¹.

ასეთი იყო ბურჟუაზიული რუსეთის სინამდვილე.

¹ Л. Н. Толстой, Полное собрание сочинений, т. X, 1913 г. стр. 49.

აღდებოდა თუ არა ამ გზას საქართველო? „ვერა, საქართველოც ვერ ასცდება ამ გზას,—სწერს ნაღვედა ერისთავს ალ. წულუკიძე. — როგორც ფულის საჭიროებას ვერ ავიციდნით, ისე ამ გზასაც, რადგან, სადაც ფული შედის, მას თან შეაქვს ეს სიბინძურე“ (გვ. 278).

ეს პროცესი კარგად და მართლად ასახა მე-19 საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის ქართულმა მხატვრულმა ლიტერატურამ. ამ თემას ეხებოდნენ გ. წერეთელი და ანასტასია ერისთავ-ხოშტარიანი, არსენ მამულაიშვილი და ეგნატო ნინოშვილი, არაგვისპირელი და ქოლა ლომთათიძე, აგრეთვე ხალხოსან მწერალთა მთელი თაობა.

ანასტასია ერისთავ-ხოშტარიანს მაკინე „ფულის გულისთვის“ მისთხოვდა ხანშიშესულ მოხელეს. ფულით მოქმედებენ გ. წერეთლის პეტრიელა და ბახვა ფულავა. არსენ მამულაიშვილმა „ეფემიას ოცნებაში“ დამაჯერებლად დახატა, თუ როგორ აყაღებენ და ლუპავს ადამიანს ბურჟუაზიული სინამდვილე. ქართული ფსიქოლოგიური ნოველის უბადლო ოსტატმა—შ. არაგვისპირელმა ნოველში „ადე, ჩამოვიდა“ დიდი სიმძაფრით დახატა, თუ როგორ აიძულებდა უკუღმართი ცხოვრება ადამიანს, რომ მკვლელობის განზრახვამდე მისულიყო ორიოდ ოყა ფეხვლისათვის. შ. არაგვისპირელმა ბურჟუაზიული საზოგადოების ამორალიზმი გვიჩვენა ნოველებში: „ქარი კი ამ დროს ზმუოდა, კენესოდა და გმინავდა“ „მომილოცნია ახალი წელი“, „წერილის ნაგლეჯი“, „ჩემი პირველი სიყვარული“, „ბაღლი ყოფილხარ“, „ხითხითებს და ხითხითებს“ და სხვ.

გარდა ამ ჩამოთვლილი მწერლებისა, წულუკიძე ასახელებს დ. კლდიაშვილს, მელანიას (ნიკოლოზ ნათიძე) და დიმიტრი ერისთავს, რომელთა ნაწარმოებებში ასახა ბურჟუაზიული საზოგადოების ამორალიზმი.

მე-19 საუკუნის 90-იანი წლების ქართული მხატვრული მწერლობა დამაჯერებლად, რეალისტურად ასახავდა სინამდვილეს. მიუხედავად ამისა, სალიტერატურო კრიტიკა სკეპტიკურად უყურებდა მას.

„ამ ბოლო დროს ხშირად გაისმის საძღვრავი ჩვენს მწერლობაზე; მას

დაწერილობანებას, დაკნინებას, უშინაა არობას წამებენ. უმეტესად მე-90 წლების ბელეტრისტიკას მე-90 წლების ნაწერებს ადარებენ; მწუხარებით და გოდებით აღნიშნავენ პირველის დაქვეითებას, აღტაცებით იგონებენ მეორის დიდ-აზროვნებას, დიდი-შინაარსიანობას, მხოლოდ დასაბუთებით არავის წარმოუთქვამს ჯერ ამის შესახებ თავისი აზრი...“ (გვ. 11)—წერს ალ. წულუკიძე სტატიაში „ახალი ტიპი ჩვენს ცხოვრებაში“. ამ ნაშრომში იგი იხსენიებს მხოლოდ ნ. ჟორდანიას, მაგრამ ადვილი მისახვედრია, რომ წულუკიძე აკრიტიკებს სხვებსაც: არჩ. ჯორჯაძეს და კიტა აბაშიძეს.

კიტა აბაშიძემ გასული საუკუნის 90-იანი წლების ქართული ლიტერატურის, კერძოდ ბელეტრისტიკის მიმართ განხილვითა შეხედულება, თითქოს სამოციანია წლების დიდი ლიტერატურის შემდეგ მხატვრული სიტყვა დაქვეითდა, დაკნინდა და ახალი დროის მწერლები მხოლოდ უიმედობას გამოხატავდნენ.

„გამოურკვევლობა იდეალისა, ურწმუნოება, გულისგამგმირავი პესიმიზმი—აი რა იხატება დღევანდელი ჩვენი ლიტერატურის წარმომადგენელთა ნაწარმოებებში“, — წერდა კიტა აბაშიძე „ცხოვრება და ხელოვნებაში“.

წულუკიძე უარყოფს ამ შეხედულებებს—„ეს ბრალდება სიმართლეს მოკლებულია, მას არავითარი ფაქტიური მტკიცება თან არ სდევს იგი მხოლოდ საგნის შეუსწავლელობის მიზეზია და არა მეცნიერული კრიტიკის დასკვნა... ამის მიზეზი, გარემო პირობათა მფუნებლობა გახლავთ“ (გვ. 11 — 12).

კ. აბაშიძე 90-იანი წლების მწერლობაში ყველაზე ტიპიურ პესიმიზტმად თვლიდა შ. არაგვისპირელს, ცახელს, ი. ევლოშვილს და სხვ. — ამის შესახებ წულუკიძე სწერდა ნაღვედა ერისთავს: „სწორედ აღტაცებაში მოვდივარ, პესიმიზტობა არ შემიძლია, რადგან მწამს უკეთესი მომავალი, მწამს პროგრესი... ამ სიტყვებს კიტას გასაგონად გუებნებით, რადგან ყველა ჩვენი პოეტები და ბელეტრისტიკი თითქოსდა მთელ ახალგაზრდობა პესიმიზტურად დასახანა თუ პოეტი ცხოვრების

1 ეურნალი „მოამბე“ 1897 წ. № 10, გვ. 35

ნიშნარეს დაქედების ჩან-
გით—ეს იმას ნიშნავს, რომ
მას ცხოვრებაში საიმედო
დაარაფერი დარჩენია? (გვ.
280).¹

შ. არაგვისპირელის ნოველებში, რომ-
ლებშიაც კიტა აბაშიძე მხოლოდდა-
შხოლოდ პესიმისტურ, სკეპტიკურ გან-
წყობილებას ხედავს, არ შეიძლება არ
ვივარძოთ მწერლის მძაფრი სურვილი
არსებული საზოგადოებრივი წყობილე-
ბის შეცვლისა. ამიტომ არ შეიძლება
შ. არაგვისპირელს პესიმისტობა დაეწა-
შოთ. მით უმეტეს სრულიად უსაფუძვე-
ლო და უმართებულოა ასეთი ეპითეტის
მიყვრება ირ. ვედოშვილისათვის.

90-იანი წლების მწერლობის დაენი-
ნება და „ზნეობით დაცემა“ იქნებოდა,
რომ მას გაეიდუალებინა ბურჟუაზიული
სინამდვილე. მაგრამ, როგორც ეს ზე-
შოთ ვცადვთ გვეჩვენებინა, ეს ასე არ
შემხდარა.

თუმცა სამართლიანობა მოითხოვს
აღინიშნოს, რომ 90-იანი წლების მწერ-
ლობა, თავისი მხატვრული სიძლიერით,
ვერ იდგა 60-იანი წლების მხატვრული
ლიტერატურის სიმალეზე. მაგრამ გა-
სულს საუკუნის 90-იანი
წლებს მწერლობა წარმო-
გვიდგვება, როგორც ახალი
საფეხური ქართული ლიტე-
რატურის განვითარების ის-
ტორიაში, იგი გამოხატავ-
და ახალ საზოგადოებრივ
ურთიერთობას.

ალ. წულუკიძეს არ შეეძლო მხარი
არ დაეჭირა ამ ლიტერატურისათვის.
წულუკიძე მეცნიერულად ჩაწვდა ხე-
ლოვნებისა და ლიტერატურის არსს. იგი
იდგა ლიტერატურის დიალექტიკური
განვითარების თვალსაზრისზე და ასე
განმარტავდა გარდამავალი პერიოდის
ხელოვნების რაობას: „ყოველი
თვალსაჩინო სოციალური
ცვლილება თავის ელფერს
დებს გონებრივ მოძრაო-
ბას, რის გამო ლიტერატუ-
რაც ფერს იცვლის, ახალ
მომართულებას ადგება.
რათქმაუნდა, წარსული წეს-
წყობილების სოციალური
ფსიქოლოგია უფრო დღე-

გრძელია თავის მშობელზე
და მწერლობაც უკიდურესი
ხანი ამ ფსიქოლოგიისა გა-
ვლენის ქვეშ იმყოფება,
სანამ ახალი საზოგადოებ-
რივი განწყობილება სრუ-
ლიად თვალსაჩინო ახალ
სოციალურ სფერას არ
შექმნის“. (გვ. 28).¹

ეს დებულება მეცნიერულად განმარ-
ტავს გარდამავალი პერიოდის აზროვნე-
ბის, ხელოვნებისა და ლიტერატურის
რაობას საერთოდ, განმარტავს იმ
რთულ სოციალ-ეკონომიურ და ფსიქო-
ლოგიურ პირობებს, რომლებშიაც ყო-
ველთვის დიდი ტყვიულებით იბადება
ახალი ხელოვნება კერძოდ, ეს სიტყვე-
ბი შესანიშნავად ახასიათებენ ალ. წუ-
ლუკიძის ეპოქას.

გასული საუკუნის 90-იანი წლების
ლიტერატურა იწყებდა ახალი საზოგა-
დოებრივი ურთიერთობის გამოხატვას.

წულუკიძე სტატიაში — „საუბარი
მკითხველთან“ წერდა: „მწერლობა
სარკეა ცხოვრებისა გან-
ვითარებულ, რთულ ცოდ-
ნას და შეგნებას მოითხოვს,
და თავისი ხანგრძლივი
განვითარების განმავლობა-
ში კიდევ შექმნის, აღზრდის
გონებრივად საღ, განვითარ-
ებულ იდეოლოგიას“ (გვ. 20).²

„ეს არის მთელი ხელოვნების ისტო-
რიის მოკლე, ლაკონიური, მაგრამ მეც-
ნიერულად დახასიათება“³. ეს არის ზუს-
ტი განსაზღვრა 90-იანი წლების რთული
იდეოლოგიური ბრძოლისა როგორც
პოლიტიკური, ისე ლიტერატურული
კრიტიკის სფეროში.

წულუკიძის აფასებს რა დადებითად
90-იანი წლების ლიტერატურას, ამ-
ჩნევს, რომ მხატვრული სიძლიერით იგი
ვერ აღწევს განსაკუთრებულ სიმალეზე.
მაგრამ იგი „პოეტურ შედარებებს“ და
„სტილის სილამაზეს“ შედარებით
მეორეხარისხოვან მოვლენად თვლის
ლიტერატურის განვითარების ახალი სა-
ფეხურის დასაწყისისათვის.

სწორედ ასეთივე შეხედულებას ანივი-
თარებდა ვ. ი. ლენინი 1918 წელს ახა-

¹ შ. ჩიჩუა — შ. ჩ.
² გ. ჯიბლაძე, „ხელოვნება და სინამდვი-
ლე“, 1948 წ., გვ. 201.

¹ შ. ჩიჩუა. — შ. ჩ.

ლი საბჭოთა თეატრის შექმნასთან დაკავშირებით. ლენინი რჩევას აძლევდა ლენინარსკის, რომ მხარი დაეჭირა ახალისათვის, რომელიც განვითარების საწყისის საფეხურზეა. „ვლადიმერ ილიჩმა ყურადღებით მომისმინა და... მითხრა, — ვადმოგვეცეს ა. ვ. ლენინარსკი თავის მოგონებაში, — არ დამევიწყებინა, რომ მხარი დამეჭირა იმ ახლისთვისაც, რომელიც იბადება რევოლუციის ვაგლებით. დე იგი თავდაპირველად იყოს სუსტი, აქ არ შეიძლება მხოლოდ გამოყენებული იქნას ესთეტიკური მსჯელობანი“.¹

წულუკიძეს სასარგებლოდ მიიჩნია „ქამუშაძის გაპირებების“ წაკითხვა არა მხოლოდ იმიტომ, „რომ დასტკბე სტილის სილამაზით ან პოეტური შედარებებით გაამახვილო შენი გონება, — არა, თუ თქვენ, მკითხველო, გაინტერესებთ არა იმდენად პოეზია, რამდენადაც ცხოვრება, თუ თქვენ გულისფანქვალთ ადევნებთ თვალყურს ხალხის მატერიალურ და სულიერ განვითარებას, თქვენ ბერს საინტერესოს იპოვნით თქვენი თვის „ქამუშაძის გაპირებებში“ (გვ. 71).

მაშასადამე, მთავარია, რომ ლიტერატურა სწორად გამოხატავდეს ცხოვრებას. მაგრამ ამავე დროს წულუკიძეს შესანიშნავად აქვს გავებული ლიტერატურის სპეციფიურობა. ბელეტრისტის მოეთხოვება „მხოლოდ სინამდვილის გამოხატვა ცოცხალ, მხატვრულ ფერებში“, წერს ის წერილში „მკითხველის შენიშვნები“. ასეთ გამოხატვას წარმოადგენს „ე. ნინოშვილის ცხოვრებიდან ამოკრფილი მოთხრობები: „ჩვენი ქვეყნის რაინდი“, „მოსე მწერალი“, „სიმონა“, „გოგია უიშვილი“,... ლალიონის „ფირალი დავლაძე“... დიმიტრი ერისთავის „ვისი ბრალია“, დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“, რომელიც ბრწყინვალე ფსიქოლოგიური გამოხატულებაა ჩვენი მარტივი, მაგრამ ფრიად მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ურთიერთობისა სოფლად“ (გვ. 72).

მწერალი უნდა უკვირდებოდეს ცხოვრებას, მისი განვითარების ტენ-

დენციებს, იგი უნდა სწავლობდეს ცხოვრებისაგან და იმას გვიხატავდეს, რაც ცხოვრების სინამდვილეში არის. „ლალიონმა გადაიღო ის სურათი, რომელიც ცხოვრებაში კპოვა“ (გვ. 23). წულუკიძე ეკამათება ლიტერატურის კრიტიკოსების ჯგუფს და წერს: „აბა, გადაფურცლეთ ჩვენი ეურნალ-ვაზეთები თუ დინჯ, მიუღწომელ, ცნობიერ კრიტიკას იპოვით. ყველგან და ყოველთვის საზოგადო ფრანზებს ამოიკითხავთ: ჩვენი ლიტერატურა დაეცა, ის აჩრდილიც აღარ არის თავისი წინაპრისაო და სხვ... განა ეს ასეა? მოვიგონოთ უკანასკნელი წლების მოთხრობები: ე. ნინოშვილის, მელანისის, დ. ერისთავის, დ. კლდიაშვილის, შ. არაგვისპირელის და სხვა, გავიხსენოთ რა სინამდვილით და ზოგი ხელოვნურად ხატავს ცხოვრების სურათებს, რა სიმარტივით და ნათლად აღნიშნავს დიდ მნიშვნელოვან ფაქტს“ (გვ. 12).

ხელოვნება რომ ცხოვრებას უნდა გამოხატავდეს და ამით გავლენას ახდენდეს სინამდვილეზე, მარქსისტულ ესთეტიკამდე ეს კარგად იცოდნენ რუსეთში ჯერ ბელინსკიმ, მერე ჩერნიშევსკიმ და რევოლუციური დამოკრატების მთელმა თაობამ. ეს შესანიშნავად იცოდა ილია ჭავჭავაძემ და აჯაკი წერეთელმა. 60-იანი წლების ესთეტიკური იდეალები წარმოადგენდნენ იმ ნოყიერ ნიადაგს, რომელზედაც აღიზარდა ალ. წულუკიძე. 60-იანი წლების ლიტერატურული შეხედულებებით დამკვიდრდა ხელოვნების ცოცხალი, აქტიური გავება.

ალ. წულუკიძე ერთ-ერთ წერილში წერს: „მესამოცე წლების იდეალებს (განსაკუთრებით) ვატყებთ ვეძლეოლი“ (გვ. 279). აქ არ შევუდგებით მესამოციანელების ესთეტიკური იდეალებისა და წულუკიძის ლიტერატურულ შეხედულებათა შედარებას, ეს ძლიერ შორს წავიყვანდა, მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია მოვიგონოთ ი. ჭავჭავაძის ზოგიერთი დებულება ხელოვნების შესახებ.

ილიას აზრით „პოეზია განსახებაა კეშმარტებისა, ცხოვრებისა“¹ „დროა

¹ ციტატი ამოღებულია გ. ჯიბლაძის წიგნიდან „ხელოვნება და სინამდვილე“, 1948 წ., გვ. 138.

¹ „საქართველოს მთაბე“, 1863 წ. № 1. გვ. 3.

ხელოვნებამ თავი დაანებოს „ღრუბლებში ცურვას. დროა ჩავიდეს ცხოველების მდინარის ძირშია, იქ მონახოს შიგ მღვდარე აზრი თავის ცხოველ სურათებისათვის. იქ, ცხოველების ძირში, ის იპოვის ბევრ მარგალიტს და უფრო ბევრ ლექსა და ლაფსა. არც ერთის გამოხატვა არ უნდა აშინებდეს ხელოვნებას და არც მეორის“¹.

შემდეგ ილია ანვითარებს დებულებას, რომ „მეცნიერება და ხელოვნება არ არიან მოგონილნი კაცის ქუჩის და გამოხატულების ვარჯიშობისაგან, რომ იგინი იხადებიან ცხოველებისაგან და არსებობენ ცხოველებისათვის, რომ იგინი წინ მიდიან ცხოველების მეოხებით და მერე თითონ მიჰყავთ ცხოვერება წინა“².

ამრიგად, ილია ჭავჭავაძე წინააღმდეგია „ხელოვნებისა ხელოვნებისათვის“ და მოითხოვს მჭიდრო კავშირს ცხოვერებასთან, ხელოვნებისა და ლიტერატურის მიერ სინამდვილის ასახვას მთელი სისრულით.

მაშ, რა არის ის ახალი, რითაც წინ წასწია ალ. წულუკიძემ ქართული ესთეტიკური აზროვნება?

„სთქვა, რომ ხელოვნება — ისე, როგორც ლიტერატურა — არის ცხოვერების გამოხატვა, — წერდა პლენანოვი, — ნიშნავს გამოსთქვა თუმცა სწორი, მაგრამ ჯერ კიდევ დაუზუსტებელი აზრი. იმის გასაგებად თუ რა სახით გამოხატავს ხელოვნება ცხოვერებას, უნდა გაიგო ამ უკანასკნელის მექანიზმი. ცივილიზებულ ხალხებში კი კლასთა ბრძოლა ამ მექანიზმში წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ზამბარას. და მხოლოდ თუ განვიხილავთ ამ ზამბარას, თუ მხოლოდ მივიღებთ მხედველობაში კლასთა ბრძოლას და შევისწავლოთ მის მრავალ განსხვავებულ პერსპექტივებს, ჩვენ შეგვეძლება რამდენიმედ მაინც დამაკმაყოფილებლად განვმარტოთ ჩვენთვის ცივილიზებული საზოგადოების „სულერი“ ისტორია. „მისი იდეის განვითარება“ გამოხატავს მისი კლასების და ერთმანეთთან მათი ბრძოლის ისტორიას“³.

სწორედ ეს იდეა, კლასთა ბრძოლის იდეა, ლიტერატურულ პროცესის წინააღმდეგობრივი ხასიათის დღევანდელი საფუძვლად ალ. წულუკიძემ თავის ლიტერატურულ შეხედულებებს. ეს თეალსაზრისია გატარებული ყველა მის ლიტერატურულ წერილში.

წულუკიძეს კარგად ესმოდა საზოგადოების დიალექტიკური განვითარების კანონები, ხედავდა საით მიემართებოდა ცხოვერება, რომელი კლასი იმარჯვებდა. ამიტომ უსაყვედურებდა იგი „ფიარალი დავლადის“ ავტორს, რომ მან ბურჟუაზიის წარმომადგენელი ნიკო კლამეშ მთავლეცისა თეალ-ანაურ-კული არისტოკრატის უკანასკნელ წარმომადგენელს — ივანე დავლაძეს.

„ჩვენის აზრით, ლალიონს რომ ამ ტიტოთა შორის ბრძოლა, რომლითაც თითქმის იწყება მისი მოთხრობა, ბოლომდის ლოგეურად გაეტარებინა, არ აქყოლოდა ფანტასტიურ გულისთქმას, არამედ ცხოვერებას ბოლომდეც დაჰკითხოდა, იგი ნიკოს არ მოაკვლევინებდა ივანეს. გამარჯვებას ბოლომდე ამ ახალ ტიპს შეარჩენდა. თუმცა გამარჯვება აქ მხოლოდ ფიზიკურია, მოთხრობა, რომელიც ამ ორ ტიტოთა ბრძოლის დამახასიათებელია, იმით უნდა ბოლოვდებოდეს, რითაც ცხოვერებაში ბოლოვდება. თუმცა ამნაირი შემთხვევა შეიძლება ხშირად ხდებოდეს, მხოლოდ იგი მაინც არ არის დღევანდელი ჩვენი საზოგადოების კლასური ბრძოლის დასკვნა“ (გვ. 17 — 18).

არსებითად ეს იყო რეალიზმის პრინციპების თანმიმდევრული დაცვა და ტიპის ტიპურ გარემოში დახატვის მოთხოვნა. ეს იგივე იყო, რასაც ფრიდრიხ ენგელსი მოითხოვდა ინგლისელი მწერალი ქალის მარგარიტა ჰარენსისადმი მიწერილ ბარათში.¹

ენგელსი ჰარენსს უსაყვედურებს რეალიზმის პრინციპებიდან გადახვევას. ამასვე უსაყვედურებს წულუკიძე ლალიონს თავის მოთხრობის ფინალის გამო. ენგელსი და წულუკიძე სხვადასხვა ლიტერატურულ მასალაზე აყვებენ ერთნაირ დასკვნას; იმიტომ, რომ მათი კვლევის მეთოდი ერთნაირია.

1 ი. ჭავჭავაძე, ტ. IV, 1927 წ., გვ. 79 — 80.

2 იქვე, გვ. 83.

3 Плеханов, сочинения, т XIV, стр. 118.

1 კ. მარქსი, ფ. ენგელსი, „ჩრეული წერილები“, 1949 წ., გვ. 446.

ანალოგიურ შენიშვნას უკეთებს წულუკიძე დ. კლდიაშვილის მოთხრობის — „ქაშუშაძის გაქირვების“ — ფინალს. დავით კლდიაშვილი, იმის შემდეგ, რაც გადატყველული ოტია ქაშუშაძე და მისი მეუღლე, სრულიად სამართლიანად, სოფლიდან ქალაქში ჩაასახლა, მოთხრობის ფინალში წერს: „ჯერ კიდევ ვერ მოეწყვენ მართალია, მაგრამ იმედი აქვთ ორივე ცოლქმარს, რომ მოკლე ხანში იმ ახალ ნიდაღზე სოფლისაზე უკეთ წაიყვანენ საქმეს“.¹

წულუკიძე ამ სიტყვებს არ ეთანხმება და შენიშნავს, რომ „კლდიაშვილის გადაკრული სიტყვები დამაჯერებლად არ გვეჩვენება, იქნებ ავტორი ფიქრობს, მათი — ცხოვრება უზრუნველყოფილად და ბედნიერად მოაწყოს? არა გვეგონია. იგი ხომ სინამდვილეს გვიხატავს, სინამდვილეში კი ეს არ ხდება“ (გვ. 74).

მიუხედავად ამ შენიშვნისა, წულუკიძე დ. კლდიაშვილის ნაწარმოებს განიხილავს, როგორც სასიამოვნო და სასარგებლო მოთხრობას, რომელიც საინტერესოდ ასახავს ხალხის მდგომარეობასა და შეგნების მატერიალურ და სულიერ ცვლილებას ახალ ვითარებასთან დაკავშირებით. „ცხოვრების შეცვლილი პირობები სასტიკი აუცილებლობით სცვლიან მიწის მუშის გონებრივ პორიზონტს და ხლიან მას... საქმეთა ახალი ვითარების მსხვერპლია, ეს — ჩვენი ცხოვრების მნიშვნელოვანი ფაქტი და „აგრარული საკითხის“ უმთავრესი პუნქტია“. (გვ. 73).

ცხოვრების ამ მნიშვნელოვან ფაქტს კარგად ამჩნევს დ. კლდიაშვილი და „ცოცხალ, მხატვრულ ფორმაში“ გამოხატავს მას. „დავით კლდიაშვილი სოფლური ცხოვრების კარგი მცოდნეა და ყველა მის მოთხრობებში ამ სფეროდან მანვილი დაკვირვებით ბრწყინავენ“. (გვ. 73) დ. კლდიაშვილმა დამაჯერებლად დახატა, როგორ ღარიბდება ოდესღაც მდიდარი აზნაური ოტია ქაშუშაძე, როგორ გადაიქცა იგი რაინდული წინაპრების ამაყ შთამომავლიდან უბრალო მიწის მუშად. მაგრამ ოტია

ვერც მუშაობით იკმაყოფილებს საარსებო მოთხოვნილებას და იძულებულია აიყაროს, ბედის საძიებლად გაემგზავროს ქალაქში. და რომ ეს არა ერთეული, არამედ მასობრივი მოვლენაა, „უკვე აღარავისთვის არ წარმოადგენს საიდუმლოებას, რომ გაქირვება წვრილ მწარმოებელს სამრეწველოს ცენტრებში მიეჩვენება. ამ ნაწარმოების ღირსებას შეადგენს სინამდვილის სწორი ასახვა ლიტერატურაში“. (გვ. 74.)

წულუკიძე არ კმაყოფილება ოტია ქაშუშაძის, როგორც ტიპის დახასიათებით. იგი კრიტიკისაგან მეტს მოითხოვს. ნაწარმოებში „ახალი ტიპი ჩვენს ცხოვრებაში“ წულუკიძე განსაზღვრავს მეცნიერული ლიტერატურული კრიტიკის ამოცანას, რაც იმაში მდგომარეობს, რომ „ავივისხნას, გამოავიარკვეოს მისი (ლიტერატურული ტიპის — შ. ჩ.) აწყობა, მოგვითხროს ამ ცნობილი ფრინველის თავგადასავალი სხვა ერებში, რომ მით საზოგადო ასპარეზზე მოღვაწეობის მსურველს შრომა გაუადვილოს, ნამდვილი მკურნალობა ასწავლოს“ (გვ. 23).

წულუკიძის ეს მითითება აფართოებს და აღრმავებს ლიტერატურული კრიტიკის ამოცანას, მისგან მოითხოვს არა მარტო ტიპის გახსნას, არამედ მისი მომავლის ჩვენებასაც.

წულუკიძის აზრით, ლიტერატურა და ხელოვნება როდი წარმოადგენს მხოლოდამხოლოდ ამსახველს, გამომხატველს, მკურებელს, არამედ იგი, როგორც იდეოლოგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი, ზემოქმედებას ახდენს ცხოვრების სინამდვილეზე.

აღ. წულუკიძე, მიუთითებდა რა იმას, რომ ისტორიულმა მატერიალიზმმა, „მრავალი ფაქტორები ისტორიული პროცესისა უარყო და აღიარა ერთი ფაქტორი — საზოგადოების ეკონომიური შენობა“, ამავე დროს დასძინდა: „ეს სრულიად არ ნიშნავს, როგორც ჩვენს უფიც პუბლიცისტებს ჰგონიათ, რომ ისტორიული ცხოვრების ყველა რთული მოვლენანი მხოლოდ ეკონომიური ფაქტორის ზეგავლენით უნდა აიხსნას“. (გვ. 30).

აქვე იგივე მოსაზრებაა გამოთქმული, რასაც ავითარებდა ფრიდრიხ ენგელსი

¹ დ. კლდიაშვილი. „მოთხრობები“, ტ. 1, 1938 წ., გვ. 329.

1894 წლის 25 იანვარს შტანკენბურგი-სადმი მიწერილ ბარათში: „პოლიტიკური, თეორიული, ფილოსოფიური, რელიგიური, მხატვრული და სხვ. განვითარება ეკონომიურ განვითარებას ემყარება, მაგრამ ყველა ესენი გავლენას ახდენენ აგრეთვე ერთიმეორეზე და აგრეთვე ეკონომიურ საფუძვლებზედაც. საქმე ისე კი არ არის, რომ ეკონომიური მდგომარეობა არის ერთადერთი მიზეზი, ხოლო სხვა ყველა დანარჩენი მხოლოდ პასიური შედეგი, არამედ ეს არის ურთიერთმოქმედება იმ ეკონომიური აუცილებლობის საფუძველზე, რომელიც საბოლოო ანგარიშით მუდამ ხორციელდება“¹.

წულუკიძე შეუდრეკლად იბრძოდა იმისათვის, რომ ლიტერატურა დაეყენებინა პროლეტარიატის საქმის სამსახურში, რადგან ლიტერატურა და ხელოვნება არის არა „საერთო ნიადაგის“ საშუალება, არამედ ბრძოლის იარაღი, „რომელსაც მოხმარება ეკირება,

ასეთი თუ ისეთი წარმართვა უნდა. ცხოვრების საჭიროება თვითეულ საზოგადოებრივ ჯგუფს განსაზღვრულ პირობებში აყენებს, მხოლოდ ეს პირობები შესაფერ მიზანს უსახავს და ამ მიზნისაკენ არის მიმართული ყოველი სოციალური იარაღი“ გვ. 109).

აქედან გამომდინარე, ცხადია, წულუკიძე მტკიცედ იცავდა მარქსისტულ-ლენინურ დებულებას, რომ ლიტერატურა კლასობრივ საზოგადოებაში კლასიური მოვლენაა.

ალ. წულუკიძე იყო რევოლუციონერი, კაცობრიობის ბედნიერი მომავლისათვის თავდადებული მებრძოლი. იგი იბრძოდა იმისათვის, რომ ლიტერატურული საქმე საქართველოშიც გადაეჭვია საერთო პროლეტარული საქმის ნაწილად. მან სამართლიანად დაიმსახურა საქართველოში მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურული კრიტიკის დამფუძნებლის სახელი.

¹ კ. მარქსი დ. ენგელსი, „ჩიხული წერილები“, 1949 წ., გვ. 518.

ბოსლეველი

გარდაცვალებიდან 65 წლისთვის გამო



ბოსლეველი იყო ნიჭიერი კრიტიკოსი, რადიკალურად განწყობილი სიტყვა-მაზიელი პუბლიცისტი. მისმა კრიტიკულმა წერილებმა, რომლებიც იბეჭდებოდა გაზეთ „შრომაში“ (1881—1883 წ.წ.), მისცა „რადიკალურ-დემოკრატიული მიმართულება“ ამ გაზეთს¹.

ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა შორის ბოსლეველი ცარიზმის ვერაგული პოლიტიკისა და ტერორის პირველი მსხვერპლთაგანია. მისმა ვერაგულად მკვლელობამ ხალხის დიდი აღშფოთება და აშკარა პროტესტი გამოიწვია მკვლელებისა და მათი მფარველების მიმართ.

ილია ჭავჭავაძის ჟურნალ „ივერიაში“, ივანე მაჩაბელის გაზეთ „დროებაში“ და დიმიტრი დადიანის გაზეთ „შრომაში“ გაბნეული მგზნებარე სტატიებისა და ფელეტონების ხელმოწერაში: „ბოსლეველი“, „გარეშე მყურებელი“, „მანელი“ და „ე.გ. მ-მე“ ესტატე სიმონის-ძე მჭედლიძის ლიტერატურული ფსევდონიმებია. ის დაიბადა 1854 წელს სოფელ სეირში (ქუთაისის მაზრა). ესტატეს მამა—ლარიბი მღვდელი ბოსლევლიან (შორაანის მაზრა) იყო აქ გადმოსახლებული.

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ესტატე მჭედლიძე შევიდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. მაგრამ რაკი ანაფორაში გახვევა მას თავიდანვე ამოკეტილი ჰქონდა ვუსლიდან, მან სემინარიის მხოლოდ 4 კლასი დაასრულა, დანარჩენი ორი სპეციალური კურსის დასრულება არ ისურვა.

ესტატეს გადაწყვეტილი ჰქონდა უმაღლესი განათლების მიღება მოსკოვის სამთო ინსტიტუტში. ამისთვის ის კიდევ მომზადებულა, მაგრამ უსახსრობისა და სხვა მრავალი დამაბრკოლებელი მიზეზის გამო ვერ წაუხერხებია თავისი სანუკეარი განზრახვის განხორციელება. რამდენიმე წლის დაგვიანების შემდეგ ესტატე შედის მოსკოვის ტექნიკურ სასწავლებელში. აქ ის კავკასიელ სტუდენტთა შორის (1870—74) ერთ-ერთი თვალსაჩინო ორატორი, მომზადებული ხელმძღვანელი, ყოველი ახალი წამოწყების ინიციატორი და რევოლუციურად განწყობილ სტუდენტთა სანდო კაცი ხდება („დროება“, 1885 წ. № 98). ამ დროს მას რევოლუციურ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისათვის გადასახლებაც კი უპირებდნენ, რომ მაშინ საცმოდ გავლენიანი პირი გერასიმე ჭიჭოძე (გაბრიელ ებსიკოზისი) არ გამოქომაგებოდა. ამ გარემოებისა და ნივთიერი უსახსრობის შედეგად ესტატე იძულებული შეიქნა სწავლადასრულებული დაბრუნებულიყო სამშობლოში. მაგრამ სწავლისათვის მას თავი მაინც არ გაუენებებია. ინტენსიური მეცადინეობისა და თვითგანვითარების გზით მან საცმოდ ფართო განათლება მიიღო. რადიკალურად მოაზროვნე ახალგაზრდა ინტელიგენტი შემოქმედებითი მუშაობის გამოსს საზოგადოებრივ და სამწერლო სარბიელზე ეძიებდა.

ესტატე მჭედლიძე ყოველგვარ საქველმოქმედო და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმის მხურვალე მონაწილე იყო. 80-ანი წლების ქუთაისის ლიტერატურულ წრეებისა და მათს საქმიანობაში მას შესაძენევი წვლილი აქვს შეტანილი, როგორც მთარგმნელს, მწიგნობარსა და ქართული წიგნის საგა-

1 ს. ხუნდაძე, მასალები ქართული ლიტერატურისა და აზროვნების ისტორიისათვის. გვ. 213.

მომცემლო ფონდის ერთ-ერთ შემქმნელსა და განამატიციებელს („დროება“, 1885 წ. № 100).

1880 წელს ესტატე მჭედლიძე მიწვეულ იქნა მასწავლებლად ქუთაისის ქართულ სკოლაში, რომელიც იმ ხანებში დააარსა „ქართველთა შორის წ. კ. გამაგრეცლებელმა საზოგადოებამ“. მაგრამ ამ ასპარეზზე მოღვაწეობა მას დიდხანს არ დასცალდა; რაჟი მას სათანადო ცენზი არ აღმოაჩნდა, მთავრობის ორგულობაში ისედაც შემჩნეული ე. მჭედლიძე, კავკასიის სასწავლო უწყების უმაღლესმა ორგანოებმა მასწავლებლად არ დაამტკიცეს.

გაბრიელ ეპისკოპოსმა ესტატეს ქუთაისის საეპარქიო კანცელარიის მდივნობა შესთავაზა. იგი ნიჭიერი მდგომარეობის გამო იტყუებული გახდა დათანხმებულა ამ წინადადებას. გაბრიელი არჩევანში არ ცდებოდა. აღიშნულ კანცელარიაში ოდითვე იყო გამეფებული ანგარება და მექრთამეობა. გაბრიელი ამ მანკიერებათა აღმოფხვრას ახალგაზრდა პუბლიცისტს — ესტატე მჭედლიძეს აქსერებდა. ცნობილი პედაგოგის გ. იოსელიანის გადმოცემით ე. მჭედლიძემ ეს იმედი გააპართლა. მან სახელმწიფო სამსახურში განსაკუთრებული ბეჯითობა, ზასიათის სიმტკიცე და უანგარობა გამოიჩინა. იგი სასტიკად შეებრძოლა და აღკვეთა კიდევ კანცელარიაში მექრთამეობა და პრესაშიც ამხილა მთელს უწყებაში ფეხმოკიდებული უწყისობანი. ამან კი ზოგიერთ ანგარებიან პირთა ყაყანი გამოიწვია. სამაგიეროდ, გაბრიელმა შეტარდა ნიჭიერი და სამეღრო მომავლის მქონე მწერალი-პუბლიცისტი („დროება“).

მაგრამ ბოსლეველის სამწერლო მოღვაწეობა, რომელსაც, როგორც ვახუთი „დროება“ აღნიშნავს, არც ისე უკანასკნელი ადგილი ეჭირა იმ ხანების ქართულ ჟურნალისტიკაში, — იწვევდა რაჟეციული წრეების გაბოროტებას მწერლის მიმართ. განსაკუთრებით გაბოროტებული იყო კლერიკალთა ის ჯგუფი, რომელსაც ასე დაუპირისპირდა ბოსლეველი თავისი სამსახურებრივი მოვალეობითაც. გ. იოსელიანის აზრით, ნიჭიერი კრიტიკოსი ამ ჯგუფთან დაპირისპირების მსხვერპლი შეიქმნა (მ. კვლენჯერიძე, „გაბრიელი“, გვ. 100).

ბოსლეველი სამწერლო ასპარეზზე 1880 წელს გამოვიდა. 1881-1882 წლებში მას უკვე თვალსაჩინო წვლილი შექმონდა ქართველი ხალხის ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობაში.

თავის ერთ-ერთ პოლიმიკურ წერილში ნაციონალური საკითხის გამო, ბოსლეველი 1882 წელს გახეთ „სრომაში“ (№ 34) წერდა: „წინეთ, ფილოსოფოსებიც კი მონობას ჰქადაგებდნენ და აძირებდნენ, კაცობრიობისა და პროგრესის სახელით, ერთის ერისაგან მეორეს დამონავეებას; ეს ცრუ და მაფნებელი აზრი დაარღვია ახალმა დრომ, მეცნიერებათა განვითარებამ, რომელმაც დაამოწინა შეხედულება ცხოვრებაზე და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე რადიკალურად, პირიანად შესცვალა. თუ ამ ნამდვილს შეხედულებას, საუბედუროდ, ჯერ კიდევ ვერ მიუღია მოქალაქეთა — ეს იმიტომ, რომ კაცობრიობა ჯერ ამისათვის სათანადოდ ვერ მომზადებულა მრავალგვარი ხელისშეშლელი პირობების გამო... მაგრამ, მოვა დრო, და ეს შორსაც აღარ არის, როდესაც დღევანდელი მდგომარეობა დამონავეებული ხალხებისა გააძლიერებს მათში თვითცნობიერებას, გამოიხვევს რაჟეციას და მაშინ ეს დამონავეებული ხალხები შეანძრევენ ძალუძად თანამედროვე წყობილებას და აუწყებენ ქვეყანას ახალ მოძღვრებას; ჩვენს დრო არის დრო ნაციონალური მოძრაობისა; ჩვენმა დრომ უნდა მისცეს პასუხი ნაციონალურ კითხვას“ („სრომა“, 1883, № 3).

საუღლისხმაო, რომ ბოსლეველს ეროვნული საკითხი არ ჰქონდა წარმოდგენილი სოციალური საკითხის გარეშე. ამიტომ მის მიერ დასახელებული „ახალი მოძღვრების“ შემქმნელად და მითაურად მას კარლ მარქსი მიიჩნდა. იმ ხანებში ბოსლეველი უკვე საკმაოდ იცნობდა კ. მარქსის ეკონომიურ მოძღვრებას. ნაციონალისტურად განზრდილი ქართველი ინტელიგენციის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელთან — გიორგი მაიაშვილთან (ზდანიკიანთან) კამათში ბოსლეველი აღნიშნავდა, რომ „გ. მაიაშვილის პრაქტიკული რჩევა ტყუილია და ამ რჩევის დღეს არაფერ არ ხელმძღვანელობს, ამას მოწმობენ ევროპის სხვადასხვა ხალხის მოძღვრებანი და ამ მოძღვრებათა უკეთესნი წარმომადგენელი“ (იქვე).

ამ უკეთეს წარმომადგენლად ის ყოველთვის კ. მარქსს გულისხმობდა, რომლის შესახებ ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტატიასში წერდა, რომ „ქარლ მარქსი თავის 1847 წლის მანიფესტში, სხვათა შორის ამბობს, რომ მუშახალხმა უსათუოდ უნდა მოიპოვოს პოლიტიკური უფლებანი, რომ კაბიტოლისტიების უღელი შემესროს“. (იქვე, № 3).

ბოსლეველის ამგვარი მოსაზრებებით აღსავსე სტატიები თანმიმდევრულად იბეჭდებოდა 1881 — 1885 წლებში გაზეთ „შრომის“, „დროების“ და ჟურნალ „ივერიის“ ფურცლებზე.

ამასთანავე ცნობილია, რომ ამ წერილების უმეტესობა ცენზურის მიერ შეკვეცილი, დაჩიხილი და დამახინჯებულია. ბოსლეველის თანამედროვე პუბლიცისტი და კრიტიკოსი ხომლედი (რომ. ფანცხავა) თავის მოგონებაში გადმოგვცემს, რომ ესტატი მჭიდროდ ჩვენა ახალთაობის სულიერ აღზრდაში, 80-იან წლებში, საგრძნობი როლი ითამაშა და მას აღფრთოვანებით შესცქეროდა ახალგაზრდობა და, განსაკუთრებით კი — მოსწავლე ახალგაზრდობა, რომელიც თავის წრეებში კითხულობდა ბოსლეველის წარომებს, რომელთა უმეტესობა საცენზურო პირობების გამო ვერ იბეჭდებოდნენ.

მძიმე საცენზურო პირობების მიუხედავად, ბოსლეველმა მცირე ხნის განმავლობაში საკმაოდ მოასწრო თავისი ნაწერების გამოქვეყნება, რომლებშიაც ნათლად ჩანს მწერლის პოლიტიკურ-ლიტერატურული კრედიტო. მან ამომწურავად გაარკვია თავისი პოზიცია, ჟურნალ „იმედის“ ჯგუფის ხალხსნებთან (ს. პრელაშვილი, ურბნელი) კამათში. სიმონ ზუნდაძის სამართლიანი შენიშვნით, ჩვენს ლიტერატურაში პირველად ბოსლეველმა დაიწყო ბრძოლა სუბიექტური სოციოლოგიის წინააღმდეგ. ამ ყალბი თეორიის კრიტიკა მას მოკრძეული აქვს 1882 წელს გაზეთ „შრომში“ (№ 27) მოთავსებულ ვრცელ ფალეტონში: „იმედი“ და მისი კრიტიკოს-პუბლიცისტები“.

ბოსლეველს ეკუთვნის რამდენიმე კრიტიკული ნაშრომი, რომლებშიაც საკმაო საფუძვლიანად არის გაჩივული აკაკი წერეთლისა და ილია ჭავჭავაძის თხზულებანი. მის ერთ-ერთ სტატიასში — „დამტყვევლი ოცნება“ — მკა-

ფიოდ არის დასახული ახალი ქართული მწერლობის განვითარების მრთავრესული გზები და პერსპექტივები. ამ მხრივ ბოსლეველი ქართულ ლიტერატურაში თითქმის შეუსწავლელი მწერალია. სიმ. ხუნდაძე წერს: „მის შესახებ მხოლოდ ის ვაუგვობიათ, რომ ის ნიჭიერი კრიტიკოსი იყო, რომელმაც პირველად განიხილა ილია ჭავჭავაძის პოემა „განდეგილი“ („შრომა“, 1883 წ. № 18), ხოლო რაც შეეხება ბოსლეველის „სოციალ-პოლიტიკურ აზროვნებას, — განაგრძობს ს. ხუნდაძე, — ის ჯერ არავის განუხილავს. ამ ავტორს ნათლად აუტყია ვაგლენა როგორც მარქსისა, ისე, საზოგადოდ, სოციალისტური აზროვნებისა. ცხადია, უდროოდ დაღუპვამ საშუალება არ მისცა მას ფართოდ გაეშალა თვისი აზრები“ („სოციალისტის ისტორია საქართველოში“, ტ. II, 128).

1882 წელს გაზეთ „შრომაში“ (№ 8) ბოსლეველმა გააჩნია ცნობილი რუსი მეიჯავარაქის ივ. კრილოვის თხზულებები, თარგმნილი რადიელ ერისთავის მიერ. კრიტიკოსი მხცოვან პოეტს უწონებდა იგავთა თავისუფალ, ლალ თარგმანს, აზრის სწორად გადმოცემას მსუბუქი ულკით, მაგრამ ამავე დროს უწუნიებს ორიგინალისათვის შეუფერებელ მრავალსიტყვაობას.

ამავე წელს ბოსლეველმა გააჩნია 1882 წლის ჟურნალი „ივერია“ № 1. ამ წერილში მან მთლიან შეფასება მისცა ვახტანგ ორბელიანის ლექსს „ობოლს“. იმავე წელს მან ვრცლად განიხილა დაეით ერისთავის ახალი დრამა „სამშობლო“. ამ ნაწარმოების დადებით მხარედ მან მიიჩნია ის, რომ დრამას აქვს „ერთი მთლიანი აზრი“, რაც ყველა ხელოვნური თხზულების აუცილებელ პირობას წარმოადგენს“, ხოლო უარყოფით მხარედ ჩასთავალა ზოგიერთი გმირის (ქეთევანი და სხვ.) ხასიათის სუსტად ჩვევება.

კრიტიკოსი სისტემატურად არჩევდა კურნალ „ივერიის“ ახალ ნომრებს. ერთ-ერთ მიმოხილვაში ის ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ 60-იანი წლები „ის დრო იყო, როდესაც ჩვენს მიძინებულს და ბატონყმობის უღლით გაუნძლიებულს და გაბედითებულს ცხოვრებაში ბუი დაპყრეს ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, გ. წერეთელმა, ნ. ნიკოლაძემ და მთიულეთშილი საზოგადოება გამოავლიძეს და გამოიყვანეს

აბატიური მდგომარეობიდან“ („დროება“, 1882 წ., 34). პუბლიცისტი, ამავე დროს იმსაყ გრძნობს, რომ ეს გამოღვიძება არც ისე თანმიმდევრული იყო. ბოსლეველი უკმაყოფილება გამოსთქვამს იმის გამო, რომ „ერთს უხდა სულ ებრაის და ებრაის, მეორე ბენდიერების იმაში ხედავს, რომ თვითონ ელვიძოს, მაგრამ სხვებს კი ყველას ებრაის, კონაიდან სადავლოდ უფრო ფართო გზა ეჭნება გახსნილი“... („დროება“, 1885 წ., 95).

ასევე დაუნდობლად ამხილა მან მანუშინდელი ქუთათური „მებანკები“, თავად-აზნაურებისა და სამღვდლოების რეაქციული ნაწილი, მათი ზრახვები და ბნელი მოქმედებანი. ეს რეაქციული წრეების ხელსაყრელ ნიღაბს უქმნიდნენ შავრახმელ კატკოვის ბნელ საქმიანობას.

ბოსლეველი თავისი ბასრი ფელეტონებით დაუნდობლად ილაშქრებდა იმ სიბინძურისა, მეჭრათემობისა და დაბეზღებთა წინააღმდეგ, რომლის ქაობში იყო ჩაფლული სამღვდლოების ერთი უნდავრესი ნაწილი. ერთ-ერთ სტატიასში ბოსლეველი ბნელითის მოციქულების მიმართ აღშფოთებით წერდა: „ნუ დგებიან ქვეყნის წაბილწვის ცოდვაში, თავისი ბინძურის გულისთქმისათვის ნუ რყვნიან საზოგადოებრივ ზნეობას და ცოდვილებს ნუ აძლიერებ საბუთს, რომ ახალგაზრდობა, სწავლა-განათლება ახალგაზრდობისა, სწავლა-განათლების დამმარცხებელ იარაღად მოიხმარონ!.. იქონიონ სირცხვილ-ნამუსი, თუ კი სირცხვილი მათთვის შეიღრინის „ბუზად“ არ გამხდარა“ („დროება“, 98).

ამ სტრუქტურების დაწერიდან ერთი კვირაც არ იყო გასული, რომ სწორედ იმ „ბინძურ და უნამუსოთა“ მიერ მოსყიდულმა გარეყარმა, 1885 წლის 8 (20) მაისს, დილის 9 საათზე, ქუთაისში, ბაგრატიის ტაძრისკენ მიმავალი გზის დასაწყისზე, ზურგიდან დამბახის დაცემით ვერაგულად მოჰკლა 31 წლის ესტატი მჭედლოძე.

„ამ საშინელმა ამბავმა თავზარი დაგვიცა. ყველანა, ვინც კი ეცნობდნენ ამ პატიოსნებით აღსაყვანი მწიფილკაცსა და ნიჭიერ მშრომელს, ღრმა მწუხარებით კითხულობენ: რათა? როგორ?

რისთვის?“ — წერდა გაზეთი „დროება“ (№ 98).

ამ კითხვების პასუხის გამცემი არავინ იყო. პოლიციას არავითარი ზომები არ მიუღია. ამაზე მიუთითებდა გაზეთი „დროება“ (№ 100): „როცა საჭიროა და სადაც აუცილებელია, იმ არასდროს არ არის პოლიცია და არც მფარველი ვინმე, ისე კი ათასობით დათარეშობენ ქუჩებში“.

ილია ჭავჭავაძის თურნალ „ივერიის“ აზრით „ღრმადისაფიქრებელია ამბავი ესტატი მჭედლოძის მკვლელობისა. პატიოსანი, საქმის ერთგული ყმაწვილი კაცი დღის სინათლეზე, საგუბერნიო ქალაქში, ზედ შუა გზაზე დამბახით მოჰკლეს... და მკვლელი ხელიდან წაუვიდეს სამართალსა... ეს მაგალითი ვერაფერი სასიქადულო სარგია იმ საზოგადოებისა, სადაც ეს აგრე მოხდა“ (№ 6).

საზოგადოების აღშფოთებამ და პრესის ხმამ ბოლოსდაბოლოს გასჭრა ბოსლევლის მკვლელო, ქუჩის მაწანწალა, ვინმე ქელბაქიანი დაპატიმრებულ და გასამართლებულ იქნა.

1885 წლის გაზეთ „ნოვოე იობორენიში“ (645) მოთავსებულ კორესპონდენციაში, რომლის ავტორად ი. მეუნარგისა და ნ. ნიკოლაძის აკაცა წერეთელი მიაჩნიათ, გადმოცემულია ამ გასამართლებისადმი უნდობლობა და პროტესტის არასწორი მსგელოება. კორესპონდენტის ავტორი გადმოგვცემს ქართული გიმნაზიის მასწავლებელ სილოვან ხუნდაძის პროტესტს სასამართლოსადმი. როგორც ჩანს, სილოვან ხუნდაძე მოითხოვდა, რაკი მკვლელი გარეყარი პაიროვნება, რომელიც ბრმა იარაღი გამხდარა ნამდვილი მკვლელობისა, საქიროა სასამართლოს წარუდგეს მკვლელობის ნამდვილი ორგანიზატორები.

ასე უდროოდ დასრულდა მჩქეფარე სიციხეები იმ კაცისა, რომლის ნიჭისაგან ჯერ კიდევ ბევრ რამეს მოელოდა 80-ანი წლების მოწინავე ქართველი საზოგადოება.

საბჭოთა საზოგადოება და მისი აღმავალი მწერლობა ღრმა პატიოსანებით მოვიგონებს ნამდვილი დემოკრატიული იდეებისათვის მებრძოლ ნიჭიერ პუბლიცისტსა და ლიტერატურის კრიტიკოსს.

ინგლის-ამერიკული იმპერიალიზმი კრაბულ ქვეყნებში



არაბული ქვეყნების სახელწოდებით ცნობილია ახლო აღმოსავლეთის ის ქვეყნები, რომლის მოსახლეობის უმრავლესობას არაბები შეადგენენ. ესენი არიან, უწინარეს ყოვლისა — ერაყი, სირია, ლიბანი, ტრანსიორდანია, საუდის არაბეთი, იემენი, ჰადრამაუტი, ომანი, კატარი, კუვეიტი, აგრეთვე აფრიკის კონტინენტის ორი ქვეყანა — ეგვიპტე და სუდანი. გარდა ამისა, არაბულ ქვეყნებად ითვლებიან დასავლეთის ანუ, როგორც არაბები უწოდებენ, მადრიბის ქვეყნები: მაროკო, ალჟირი, ტუნისი, აგრეთვე ტრიპოლიტანია და კირენაიკა (საერთო სახელწოდებით ლიბია). არაბულ ქვეყნების მოსახლეობის რიცხვი უდრის 65 მილიონ კაცს.

ამერიკელი იმპერიალისტების სამხედრო გეგმებში არაბულ ქვეყნებს, თურქეთსა და ირანის შემდეგ, დიდი ადგილი უკავიათ. უოლსტრიტის მაგნატები არა მარტო ცდილობენ ჩაიდონხელში ამ ქვეყნების ბუნებრივი სიმდიდრე, კერძოდ ნავთი, არამედ გადააქციონ ეს ქვეყნები ანტისამბუთა სამხედრო პლაკდარმად, მათი ხალხი კი საზარბაზნე ხორცად.

ამხანაგმა მ. სუსლოვმა კომუნისტური პარტიების ინფორმბუროს თათბირზე 1949 წელს განაცხადა: „ახლო აღმოსავლეთში ამერიკელი იმპერიალისტები კმნიან სამხედრო ბაზებს და დასაყრდენ პუნქტებს თურქეთსა, ირანში, ერაყში. ამ ქვეყნებს თავიანთ სატელიტებად ხდიან, რომ აიძულონ თურქები, სპარსელები და არაბები იომონ შეერთებული შტატების მონოპოლისტების მოგებისათვის“.

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელი, ინგლისელი და ფრანგი იმპერიალისტები

ბის შორის შინაგანი წინააღმდეგობანი არსებობენ, სამხედრო ბაზების შექმნისა და ხალხთა მასების ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში, ისინი ერთიანი ფრონტით გამოდიან. ამერიკელი იმპერიალისტების მეთაურობით ისინი არაბულ ქვეყნებში კმნიან სამხედრო-საპაერო, სამხედრო-საზღვაო ბაზებსა და საქურვლის აუარებელ საწყობებს.

1950 წლის მაისში გამოქვეყნებული იყო შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობათა სპეციალური დეკლარაცია არაბული ქვეყნების იარაღით მომარაგების შესახებ. ეგვიპტის გაზეთი „ალ-მისრი“ ამას წინათ გვაცნობებდა, რომ შეერთებული შტატებმა გადაწყვიტეს „დახმარება“ გაუწიონ საუდის არაბეთს არმიის შექმნის საქმეში, რისთვისაც ამერიკული იარაღით უნდა მომარაგონ, ესე იგი, შეერთებული შტატების მთავრობამ გადაწყვიტა არაბებისაგან შექმნას ამერიკანიზირებული სამხედრო ნაწილები, რომლის მეთაურებად იქნებიან ამერიკელი ოფიცრები.

საუდის არაბეთში, სადაც ახლა სრული ბატონ-პატრონები ამერიკელი იმპერიალისტები არიან, დიდი საავიაციო და სამხედრო-საზღვაო ბაზები შენდებიან. ამერიკელებმა სპარსეთის ყურეს ნაპირზე, დახრანში, დააარსეს სამხედრო-საზღვაო და საპაერო ბაზა, რომელიც დაკავშირებულია ამერიკელების სამხედრო-საპაერო ბაზასთან ლიბიაში (მეღლანი). ამერიკელი სპეციალისტების ხელმძღვანელობით შენდება ნავსადგური რას-ტანურა სპარსეთის ყურეს ნაპირზე. რაგორც ცნობილია, ამერიკელებმა პირველად 1943 წელს აღმოაჩინეს ნავთის საბადოები ელ-ჰასაში

(ხელის არაბეთი) სპარსეთის ყურეს ნაპირას. ელ ჰასას მხოლოდ ერთი პუნქტი აბუ-ჯაიჯში ნავთის მარაგი 600 ათას — 1100 მილიონ ტონამდე, მთელ ელ-ჰასაში კი 2 მილიარდ ტონამდეა ნავარადღევი. „არამკო“ (არაბულ-ამერიკული ნავთის კომპანია) ბატონ-პატრონია საუდის არაბეთის ყველა კონცესიას. ამ კომპანიის აქციები განაწილებულია მსხვილ ამერიკულ ნავთის ტრესტებს შორის, რომელნიც კაპიტალის მაგნატების როკფელერისა და მელონის კონტროლის ქვეშ იმყოფებიან. 1948 წელს „არამკოს“ მიერ საუდის არაბეთიდან 20 მილიონ ტონა ნავთი იყო ექსპორტირებული. ნავთის უფრო მეტი გამოქაჩვის მიზნით ამერიკელ იმპერიალისტებმა 1950 წლის დეკემბერში გახსნეს ახალი ნავთსადენი ელ-ჰასა — საიდა (ლიბანის ნავსადგური ხმელთაშუა ზღვაზე) 1770 კილომეტრის სიგრძით. ამრიგად, როგორც არაოლე. ს. ობრუჩევი წერს: „შუა აღმოსავლეთი გადაიქცევა კაპიტალისტური ქვეყნების ყველაზე მსხვილ ნავთმარაშობებელ ცენტრად“.

ინგლის-ამერიკელი იმპერიალისტები დიდ ყურადღებას აქცევენ ეგვიპტესა და სუეცის არხს, რომელიც იმპერიალისტების მნიშვნელოვან კომუნიკაციის წარმოსადგენს ახლო და შუა აღმოსავლეთში. ეგვიპტის ერთ-ერთი გაზთი ირონიით აღნიშნავდა, რომ ახლა ეგვიპტეში უფრო მეტი აეროდრომებია, ვიდრე აეროპლანები. მიუხედავად იმისა, რომ ეგვიპტის მთავრობა და მოსახლეობა მოითხოვს ინგლისის ჯარების ეგვიპტიდან გაყვანას, ინგლისის მთავრობა არავითარ ყურადღებას არ აქცევს ამ სამართლიან მოთხოვნას. პირიქით, ლეიბორისტული მთავრობა არც ინგლის-ეგვიპტურ 1936 წლის კაბალურ ხელშეკრულებას იცავს, და სუეცის არხის ზონაში გზავნის ახალ-ახალ ჯარებს. არაბული გაზეთი „ალ-ასასი“ გვაცნობებს, რომ „მეწამული ზღვის დასავლეთი ნაპირის გასწვრივ, სუეციდან საფუჯის ნავსადგურამდე შენდება ფორტიფიკაციური ნაგებობანი, ყაზარმები და საწყობები“. მშვიდობისმომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესის დღეგატი ეგვიპტედან საად კამელი ამბობდა თავის გამოსვლაში: „სამხედრო

მომზადებანი ნიშნავს დიდი ბრიტანეთის მიერ ეგვიპტის ოკუპაციის განგრძობას. 1936 წლის ხელშეკრულებას თანახმად ეგვიპტეში განლაგებული უნდა ყოფილიყო ინგლისის ჯარი 10 ათასი კაცის და საჰაერო ძალები 400 კაცის შემადგენლობით. მაგრამ ეს ცოტაა იმპერიალისტებისათვის. ამჟამად ინგლისის ჯარი გადიდებულია 15-ჯერ. მაგრამ ამითაც არ ამოიწურება ყველაფერი. იმპერიალისტები ახალ საზარბაზნე ხორცს ეძებენ. როგორც ეტყობა, ამავე მიზნის განხორციელებას აპირებს ახლანდელი ეგვიპტური მთავრობის მილიტარისტული პოლიტიკა, რომლის მიხედვით მთავრობამ რამდენიმე თვის განმავლობაში ეგვიპტის სამხედრო ძალები 25 ათასიდან 80 ათასამდე აიყვანა“. გარდა ამისა, შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა გადაწყვიტა გაგზავნოს ეგვიპტეში 6 ათასი ამერიკელი ოფიცერი. ამერიკული იმპერიალიზმის აქტივობა ეგვიპტეში უკანასკნელი წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა. შარშან ოქტომბერში ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბის უფროსი გენერალი ვანდენბერგი ჩავიდა ქაიროში, სადაც აწარმოებდა მოლაპარაკებას ეგვიპტის მთავრობის და არმიის წარმომადგენლებთან. ამერიკელი იმპერიალისტების პროექტის მიხედვით უნდა შეიქმნას ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლური ბლოკი, რომელიც ითვალისწინებს თურქეთის, საბერძნეთის და ზოგიერთი არაბული ქვეყნის სამხედრო კავშირს შეერთებული შტატების კონტროლის ქვეშ. ტელეგრესის სააგენტოს ქაიროს კორესპონდენტის ცნობით ამერიკელი იმპერიალისტების ამ სამხედრო გეგმებში წამყვანი როლი თურქეთს მიეკუთვნება. 1950 წლის დასასრულს ანკარაში ამერიკელების ხელმძღვანელობით შედგა თურქეთისა, საბერძნეთის, ერაყის და სხვა ქვეყნების გენერალური შტაბების წარმომადგენელთა თათბირი. ამ თათბირზე მსჯელობის საგანი იყო, ჯერ ერთი, გაერთიანებული შტაბის შექმნა ამერიკელი გენერლის ხელმძღვანელობით, და მეორეც, საკითხი იმ ვალდებულებების შესახებ, რომელიც ბლოკში მონაწილე ქვეყნებმა უნდა იკისრონ. ეს ვალდებულებები ეხებიან

ახლო აღმოსავლეთში ამერიკული სამხედრო ნაგებობების აშენებას.

რაც შეეხება ინგლისელ იმპერიალისტებს, ისინი ყოველგვარ ღონისძიებას მიმართავენ, რათა გაუძლიონ ამერიკული ექსპანსიის შემოტევას ახლო აღმოსავლეთში. დიდბრიტანეთის კოლონიური იმპერია, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყოველმხრივ დაუსტებელი აღმოჩნდა, კარგავს თავის უწინდელ პოზიციებს ახლო აღმოსავლეთში. ამიტომ ცგი ცდილობს როგორმე შეინარჩუნოს თავისი გავლენა ერაყში, ტრანსიორდანიის, იემენში, სირიაში, კუვეიტში და სხვა არაბულ ქვეყნებში. განსაკუთრებულ ყურადღებას ინგლისი აქცევს ტრანსიორდანიას. როგორც ცნობილია, ტრანსიორდანიის „სახელმწიფო“ შექმნილია ინგლისის მიერ ჯერ როგორც ემირატი 1921 წელს, შემდეგ 1946 წელს იგი სამეფო გახდა. ტრანსიორდანიის „მეფე“ აბდულა ფაქტიურად ინგლისის აგენტი იყო. მან თავისი სამფლობელო გადააქცია ინგლისის ჯარების ყაზარმად. აქ მდებარეობს ინგლისის სამხედრო-სასლვაო ბაზა — აჯაბა, მუქამული ზღვის ერთ-ერთ ყურეში. ყოველწლიურად ტრანსიორდანიის ჯარების დაკომპლექტებასათვის, შესწავლასა და შეიარაღებაზე ინგლისი 2.5 მილიონ გირვანქა სტერლინგს ხარჯავს. ტრანსიორდანიის სტრატეგიული მნიშვნელობა განისაზღვრება იმით, რომ აქ გადის ინგლისის ნავთსადენი კირკუქი — ჰაიფა (ერაყიდან პალესტინაში). ეს ნავთსადენი ეკუთვნის ინგლის-ერაყის ნავთის კომპანიას, რომლის აქციების 25 პროცენტი ახლა უკვე ამერიკელების ხელშია. ამ ნავთსადენით ყოველწლიურად ერაყიდან 4 მილიონი ტონა ნავთი ჩაიდის ჰაიფას ნავსადგურში (ხმელთაშუა ზღვაზე), საიდანაც ნახევარზე მეტი ნავთი მიდის ინგლისში. შემდეგ ტრანსიორდანიისზე გადის სტრატეგიული მნიშვნელობის საავტომობილო გზა ჰაიფა — ბაღდადი, აგრეთვე სპაერო ხაზი ინგლისი — ინდოეთი.

ტრანსიორდანიის საშუალებით ინგლისი ცდილობს შექმნას „დიდი სირია“. ამ გეგმის მიხედვით ერაყი, სირია, ლიბანი და ტრანსიორდანია პალესტინის არაბული ნაწილით, ერთ მთლიან არა-

ბულ სახელმწიფოდ უნდა გაერთიანდეს, რომლის სათავეში უნდა დადგეს ტრანსიორდანიის მეფე, ელფე იგი ეს „სახელმწიფო“ ინგლისის ხელქვეითი უნდა იყოს. „დიდი სირიის“ გეგმის პოლიტიკური შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ ინგლისს სურს ახლო აღმოსავლეთის ცენტრში შექმნას საბჭოთა კავშირთან ახლო მდებარე დიდი ანტიდემოკრატიული სახელმწიფო, რომელიც ომის გამჩაღებლების ანტისაბჭოთა პოლიტიკის გამტარებელი იქნება. მაგრამ ამ უხეირო გეგმის წინააღმდეგ გამოდის არაბული ქვეყნების ხალხი. როგორც სირიის გაზეთი „ალ-ჯალა“ წერდა: „არაბები არასდროს არ იომებენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და არ დაუშვებენ, რომ ინგლის-ამერიკული იმპერიალისტები პარპაშობდნენ არაბულ აღმოსავლეთში“.

თუმცა ინგლისი ყოველმხრივ ქებას ასხამდა ტრანსიორდანიის მეფე აბდულას, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ტრანსიორდანიას ფაქტიურად განაგებდა არა აბდულა, არამედ ინგლისის მზვერავი და ჯაშუში გენერალი ჯონ გლამბი. ახლო აღმოსავლეთში იგი ცნობილია გლამ ფაშას სახელწოდებით, ბედუინები მას აბუ-ჰუნეისს უწოდებენ. ოფიციალურად გლამ-ფაშა მეთაურობს „არაბულ ლეგიონს“, რომელსაც ევალება ნავთსადენი კირკუქ-ჰაიფას დაცვა; ფაქტიურად კი გლამ-ფაშა ტრანსიორდანიის „უგვირგვინო მეფეა“. ინგლისის მზვერავმა და ჯაშუშმა ჯონ გლამმა შეისწავლა არაბული ენა, არაბების ზნეჩვეულებანი და მიიღო მაკამდიანობა. როგორც სირიის გაზეთი „საუტ-ელ-შაბი“ წერდა: „არაბების ამ „მწყალობელის“ სახლი ჯაშუშობის, ინტრიგებისა და პროვოკაციების ცენტრია. აქედან სწარმოებს ბრძოლა ახლო აღმოსავლეთის ხალხთა ნაციონალური ინტერესების წინააღმდეგ“.

ამერიკელი იმპერიალისტების გეგმებში სირიასა და ლიბანს დიდი როლი მიეკუთვნება. სირია მნიშვნელოვანი გზაა ახლო აღმოსავლეთის ნავთისაგენს; სირია სტრატეგიული ცენტრია, რომელიც აკავშირებს თურქეთს და საუდის არაბეთს (ორივე ქვეყანა ამერიკელი იმპერიალისტების ხელშია). სირია არის სეროზული სტრატეგიული პოზიცია

ინდოეთისკენ მიმავალ გზებზე. ამიტომ გასაგებია, რომ სირიის საკითხი დიდ როლს თამაშობს ინგლის-ამერიკის წინააღმდეგობათა ვადვივებასა და გაძლიერებაში. უკანასკნელი წლებში სირიაში მომხდარი პოლიტიკური გადატრიალებანი — ამერიკის, ინგლისის და საფრანგეთის კინკლაობის პირდაპირი შედეგია. მარტო ერთი 1949 წლის ვახშავლობაში სირიაში სამჯერ მოხდა სახელმწიფო გადატრიალება. პირველი და მეორე სახელმწიფო გადატრიალება (1949 წლის 30 მარტსა და 14 აგვისტოში) მოახდინეს ინგლისის იმპერიალისტებმა, მესამე — იმავე წლის 19 დეკემბერს — ამერიკელ იმპერიალისტებმა. როგორც ვახ. „პრავდა“ წერდა: „იმპერიალისტურ ინტრიგებს მსხვერპლად ეწირებთან მოსყიდული პოლიტიკური ლიდერების მიერ მოტყუებული ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ხალხები... იმპერიალისტური დამპყშების თარეშისაგან ახლო და შუა აღმოსავლეთის ხალხების გათავისუფლებას შეუძლია მხოლოდ ამ ქვეყნების ნამდვილი დემოკრატიული განვითარებისა და მშვიდობიანი შრომის გზა გაუხსნას“ (1949 წ. № 360).

როგორც ტელერესის კორესპონდენტი დამასკოდან იტყობინებთან, ამერიკელი იმპერიალისტები ხმელთაშუა ზღვანე მდებარე სირიის ნავსადგურის ლატაკიას სამხედრო-საზღვაო ბაზად გადაქცევის პროექტს ამუშავებენ, რისთვისაც ასიგნებულია 12 მილიონი დოლარი. გარდა ამისა სირიის ნავსადგური ტრიპოლი, ლიბანის ნავსადგური ბეირუთი, აგრეთვე აეროდრომი ქალდე გადაღის ამერიკელი იმპერიალისტების ხელში. ლიბანი ამერიკული აგრესიის პლაცდარმად იქცევა. ვახეთი „ემ-შარკი“ წერს: „ჩვენი კავშირი ამერიკასთან გარღვევლად მიგვიყვანს ეკონომიურ განადგურებამდე და გამოიწვევს ქვეყანაში დიდ კრიზისს. გარდა ამისა ჩვენ დაეკარგავთ ნაციონალურ დამოუკიდებლობას... ამიტომ ჩვენ ამერიკასთან ხელშეკრულების დადების წინააღმდეგ ვართ“ (1950 წ. მარტი). ბეირუთის ვახეთი „ტელეგრაფის“ ცნობით, სირიის მინისტრთა საბჭომ გადაწყვიტა ახალი რკინიგზის გაყვანა ნავსადგურ ლატაკიიდან ქალაქ ალემომდე, აქედან

რკინიგზა გადაჭრის მდინარე ეფრატს და მიალწევეს ჯეზირეს, რომელიც მდინარე ტიგროსზე მდებარეობს. თურქეთის საზღვართან. ამ რკინიგზის გაყვანას ამერიკელი იმპერიალისტები დიდ სამხედრო სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებენ. იმავე ვახეთმა 1951 წლის 8 იანვარს მოათავსა წერილი სათაურით: „ამერიკა მოითხოვს სირიის ოკუპაციას მის ტერიტორიაზე პლაცდარმის მოსაწყობად მომავალ ომის საჭიროებებისათვის“. მაგრამ როგორც სირიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური ხელმძღვანელობის წევრი ვალიდ საბეტი წერს: „ჩვენი ქვეყნის ხალხი ვერ შეურიგდება ომის, სიღარიბის და სიკვდილის იმპერიალისტურ გეგმებს... მშვიდობისათვის და იმპერიალისტების უღლისაგან ჩვენი ქვეყნის სრული განთავისუფლებისათვის ბრძოლა ღრმა გამოძახილს პოულობს ჩვენს ხალხში, რომელიც უფრო და უფრო რწმუნდება ბურჟუაზიული პარტიების გამცემლობასა და ვახრწნაში“ (1951 წ. 13 აპრილი).

ინგლისი თავის მხრივ ერაყში ქმნის სამხედრო პლაცდარმს. ინგლისელი იმპერიალისტები ერაყს უყურებენ როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვან პლაცდარმს ინდოეთის თავდაცვის სისტემაში. „ინდოეთის დასავლეთი საზღვარი გაღის ეფრატზე“ (ესე იგი ერაყში), — ხშირად გაიძახიან ისინი. მაგრამ ერაყს ინგლისელი იმპერიალისტები მარტო თავდაცვის მიზნებისათვის როდი იყენებენ. 1919—1920 წლებში ერაყი საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო ბაზად იყო გამოყენებული, 1939—1940 წლებშიც ერაყი იმავე როლისათვის იყო გათვალისწინებული ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტების სამხედრო გეგმებში. ერაყის ექსპორტს უმთავრესად ინდისხურმა, ქერი და ბამბა წარმოადგენს. მაგრამ ყველაზე უფრო ერაყი მილიდარია ნავთით, რომელიც ინგლისის ოთხი ტრესტის ხელშია. ნავთის მთავარი საბაზოები მდებარეობენ ქ. კირკუტთან, რომელიც ნავთსადენით არის დაკავშირებული ხმელთაშუა ზღვის ორ ნავსადგურთან (ჰაიფა და ტრიპოლი). ინგლისის ხელშია ერაყის ორი სამხედრო-საჰაერო ბაზა: ლიბანი (ჰაბანის ტბასთან), რომელსაც შეუძლია 300

ეთიოპიის მიღება და შაბა (ბასრას ახლოს).

სამხედრო ექსპანსიის თან სდევს ეკონომიური ექსპანსია. „ეკონომიური ექსპანსია, — ამბობდა ამხანაგი უდახოვი, — წარმოადგენს მნიშვნელოვან დამატებას სტრატეგიული გეგმის განხორციელებისათვის“. ინგლის-ამერიკელი იმპერიალისტებისათვის ეკონომიური ექსპანსიის მთავარ მიზანს წარმოადგენს ნავთი. ამ მხრივ უნდა ითქვას, რომ ამერიკელმა იმპერიალისტებმა საკმაოდ შეაფრთხეს ინგლისელი მებრძოლები. მეორე მსოფლიო ომის წინ ამერიკელი კაპიტალის წილი ახლო და შუა აღმოსავლეთის ნავთის ამოღებაში 12 პროცენტს უდრიდა, მაშინ, როდესაც ინგლისური კაპიტალის წილი 80 პროცენტამდე აღიზდა. მაგრამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეერთებული შტატების გაუგონარი ექსპანსიის შედეგად ახლო და შუა აღმოსავლეთში მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა. ამჟამად ამერიკელი იმპერიალისტების მიერ ახლო და შუა აღმოსავლეთში ამოღებული ნავთი 50 პროცენტს მიადევს. ამ ქვეყნებში კი მდებარეობს მსოფლიოში ნავთის გამოკვლეული რესურსების 45 პროცენტზე მეტი. მთელ მსოფლიოში (საბჭოთა კავშირის გამოკლებით) შეერთებული შტატების კონტროლის ქვეშაა ნავთის გამოკვლეული რესურსების არანაკლებ 42 პროცენტისა, ინგლისის — 52 პროცენტამდე, დანარჩენი ნაწილი საფრანგეთსა და პოლანდიას ეკუთვნის.

მარტო 1948 წელს ამერიკელი მებრძოლების კაპიტალის დაბანდებანი არაბულ ქვეყნებში რეაჯერ გაიზარდა 1947 წელთან შედარებით. საუღის არაბეთში, რომელიც მეტად მდიდარია ნავთის საბაზოებით, ამერიკული კონცესიის ტერიტორია 1.150 ათას კვადრატულ კილომეტრს შეადგენს. ამერიკელმა კომპანიებმა მიიღეს კონცესია აგრეთვე ბაჰრეინის კუნძულებზე (სპარსეთის ყურეში). აქ ნავთის ექსპლოატაცია 1935 წლიდან დაიწყო, როდესაც ამოღებული იყო 174 ათასი ტონა. მეორე მსოფლიო ომის წინ კი ბაჰრეინის კუნძულები უკვე წელიწადში 3 მილიონ ტონას იძლეოდნენ. სპარსეთის ყურეს ნაპირას ერავისა და საუღის არაბეთის შუა

მდებარეობს არაბების პატარა სამთავრო კუვეიტი, რომლის სთავფეში დგას შეიხი, მაგრამ ფაქტურად კუვეიტი ინგლისელების ხელშია. გარდა სტრატეგიული მნიშვნელობისა, კუვეიტი ინგლის-ამერიკელი იმპერიალისტების ყურადღებას იპყრობს იმით, რომ აქ აღმოაჩინეს ნავთის მდიდარი საბაზოები. როგორც უკანასკნელი ცნობები იუწყებიან, კუვეიტში ნავთის მარაგი 1.300 მილიონ ტონას უდრის, რაც მსოფლიოში გამოკვლეული რესურსების 15 პროცენტს შეადგენს.

ნავთის ამოღება ახლო და შუა აღმოსავლეთში 1938 წელს თუ 16 მილიონ ტონას შეადგენდა, 1949 წელს — 71 მილიონ ტონას მიაღწია. 1950 წელს კი 87.630 ათას ტონას შეადგენდა.

ნავთის საბაზოების ხელში ჩაგდება და ექსპლოატაციის ირგვლივ ყველაზე მეტად თავს იჩენს ის შინაგანი წინააღმდეგობა, რომელიც არსებობს ამერიკელი და ინგლისელი იმპერიალისტების შორის. „ინგლისის ნავთის კომპანიებსა და ამერიკის ნავთის კომპანიებს შორის წარმოებს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, რომელსაც, მართალია, მუდამ არა აქვს აშკარა ხასიათი, მაგრამ რომელიც მუდამ არსებობს და ღვივის, როგორც ეს ჩანს ინგლისსა და ამერიკის შორის მოლაპარაკების ისტორიიდან და ამ ნიადაგზე მათი შეტაკებების ისტორიიდან“. (სტალინი, ტომი 7, გვ. 305 — 306). ებრაელები რა ერთმანეთს „შავი ოქროს“ ხელში ჩაგდებისათვის, ამერიკელმა და ინგლისელმა იმპერიალისტებმა ახლო აღმოსავლეთი გადააქციეს ინტრიგებისა, შეთქმულების და მკვლელობების ასპარეზად. აღმოსავლეთის ხალხების ძარცვისა და შეუბრალებელი ექსპლოატაციის მონოპოლიისათვის სასტიკ ბრძოლაში, ორივე მეტოქე ფართოდ იყენებს ახლო აღმოსავლეთის მეფეებს, ემირებს, შეიხებს, მინისტრებს, სამხედრო პირებს და სამღვდლოებს.

ამერიკელმა იმპერიალისტებმა ინგლისის ხარჯზე გააფართოვეს და გააძლიერეს თავიანთი პოზიციები არა მარტო თურქეთსა და ირანში, არამედ ეგვიპტეშიც, სირიაში, იემენში, კუვეიტში და სხვა არაბულ ქვეყნებში. ინგლის-ამერიკული წინააღმდეგობა საკ-

მაოდ იჩენს თავს არაბულ სამთავრო იემენში, სადაც უკანასკნელი წლების განმავლობაში ამერიკელმა იმპერიალისტებმა საკმაოდ გააძლიერეს თავისი მოქმედება. ჯერ კიდევ 1947 წელს შეერთებულმა შტატებმა მისი იემენის ესტაბლიშმენტის მილიონი დოლარი ამერიკული საჟურველოს შესაძენად, და იმავე წლის სექტემბერში ხავთის ამერიკულმა მონოპოლიებმა მოლაპარაკება გააართეს იემენის მთელ ტერიტორიაზე ხავთის კონცესიების მისაღებად. 1950 წლის ივლისში იემენის მეფემ ამერიკის ხავთის კომპანიას „არამკოს“ მისცა მონოპოლური უფლება გამოიკვლიოს ხავთის საბადოები იემენის ტერიტორიაზე, რამაც დიდი აღშფოთება გამოიწვია ინგლისის მმართველ წრეებში. ინგლისის კოლონია ადენის ხელისუფლება ყოველგვარ ზომებს მიმართავს, რომ ჩამოართვას იემენს ადენთან მოსახლურე ტერიტორია, სადაც აღმოჩნდა ნავთი. ინგლის-ამერიკის შტატებლების ბრძოლის დროს უხვად იღვრება იემენის ხალხის სისხლი.

ინგლის-ამერიკელი იმპერიალისტების მიერ არაბული ქვეყნების ექსპლოატაცია მეტად დიდ მოგვებას აძლევს მათ. მაგალითად, საუდის არაბეთის ნავთი ამერიკის კომპანიებს ათჯერ უფრო იაფად უჯდებათ ვიდრე შეერთებულ შტატების ნავთი. ამავე დროს საუდის არაბეთის ნავთს ამერიკელი იმპერიალისტები ასაღებენ დასავლეთ ევროპის მარშალიზებულ ქვეყნებში სამჯერ უფრო ძვირ ფასებში. ჯერ კიდევ 1947 წელს არაბეთ-ამერიკის ნავთის კომპანიამ (არამკო) 68 მილიონი დოლარი წმინდა მოგება მიიღო. ამავე დროს იმპერიალისტების მიერ მოსყიდული ადგილობრივი მმართველი წრეები არა ხაკლებ მდიდრდებიან. მაგალითად, საუდის არაბეთის მეფე იბნსალმა 1947 წელს ამერიკის ნავთის კომპანიებისაგან მიიღო 17 მილიონი დოლარი საკონცესიო ფული. დიდ თანხას ღებულობენ აგრეთვე კუვეიტის, კატარის და სხვა არაბული სამთავროების შეიხები.

იმპერიალისტები სრულყოფილად არ ზრუნავენ ნავთის კომპანიების მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებაზე. მაგალითად, ათი ათასობით არაბი მუშები, რომელნიც საუ-

დის არაბეთში ამერიკის ნავთის სარეწაოებზე მუშაობენ, ელემენტარულ უფლებებს მოკლებული არიან. სამუშაოდლე 12—18 საათს გრძელდება, პროფკავშირის ორგანიზაციები აკრძალული არიან, ფართოდ გავრცელებულია იძულებითი სამუშაო. შრომის დაცვა, საექიმო დახმარება და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებები არ არსებობენ. ვახეთი „ამ-შაბაბ“ წერდა: „ადამიანები, რომლებიც მომთაბარული ცხოვრების სასტიკ გაჭირვებას იტანდნენ, ვერ იტანენ ამერიკულ ექსპლოატაციას“. არაბი მუშები ასობით და ათასობით კვდებიან ავადმყოფობისა და შიმშილისაგან.

თვითონ ინგლისელი კოლონიზატორების ვახეთი „ერაყ-ტაიში“, რომელსაც ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაესწამებთ ერაყელი ხალხისადმი სიყვარულს, იძულებული იყო აღიარებინა, რომ ერაყის მოსახლეობა საშინელ შიმშილობას განიცდის და შიმშილისაგან სიკვდილი მეტად გავრცელებული მოვლენაა ერაყში. და ეს ხდება ისეთ ქვეყანაში, სადაც აუარებელი ნოყიერი მიწა არსებობს. მაგრამ მიუხედავად ამისა, ერაყის ტერიტორიის მხოლოდ 10 პროცენტია დამუშავებული. მიწის მნიშვნელოვანი ნაწილი ბაშების და ინდისხურმის პლანტაციების სახით ინგლისელ-ამერიკელ კაპიტალისტების ხელშია. ერაყის გლეხობის 70 პროცენტზე მეტი უმიწაყულოა და იძულებულია მიწა მებატონეებისა, შეიხებისა და ფეოდალებისაგან იჯარით აიღოს, რისთვისაც უხდის მათ მოსავლის სამ შვითხედს. ერაყელი გლეხი (ფელახი) აუწერელ სიღარიბეში ცხოვრობს. ერთადერთი სამეურნეო იარაღია თიხი. გუთანი — იშვიათი მოვლენაა ერაყში, ნიადაგის დამუშავება მეტად პრიმიტიულია, ამიტომ მოსავალიც მეტად დაბალია. ერაყის მოსახლეობა, რომელიც 4.800 ათას უდრის, არ არის უზრუნველყოფილი სკოლებით და საექიმო დახმარებით. წერაქითხვის მცოდნეები მხოლოდ 2-3 პროცენტს შეადგენენ. ერთ ექიმზე 9 ათასი კაცი მოდის, ისიც ქალაქებში. ერაყის ხალხი მოკლებულია ელემენტარულ დემოკრატიულ უფლებებს.

ინგლის-ამერიკულმა ექსპანსიამ არა მარტო უმუშევრობა, შიმშილი და სიღარიბე მოუტანა არაბული ქვეყნების ხალხებს, არამედ დააძლიერა სისხლიანი ტერორი, აგრესიული ომის პროპაგანდა და დემოკრატიული მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლა. ერაყის პროგრესულ მოღვაწეების მიმართ ინგლისელი იმპერიალისტები და ნური საიდის მთავრობა გასამართლების ფაისტურ მეთოდებს იყენებენ. მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესის დელეგატი ოუსეუ მასტანე თავის სიტყვაში ამბობდა: „1949 წლის 14 თებერვალს მხეცურად მოკლეს ჩვენი გამათავისუფლებელი მოძრაობის სამი თვალსაჩინო ხელმძღვანელი: ერაყის კომპარტიის გენერალური მდივანი ფერაზე, ეროვნული გათავისუფლების პარტიის დამაარსებელი ბიბი და ერაყის კომპარტიის ცეკას წევრი ბაფიმი. მაშინ ქვეყანაში მეფობდა სამხედრო კანონი: შექმნეს ათი საკონცენტრაციო ბანაყი, ათასობით აქტივისტები და პატრიოტი-ანტიიმპერიალისტები ჩააგდეს საყრობილებში, დასურეს 237 ვახეთი და ბეჭდვითი გამოცემა. მაგრამ ყველაზე სამიწელი ფაქტია გრასელმანის ბანაყი — ერაყის ოსვენციმი, რომელიც უდაბნოში, უახლოესი ქალაქიდან 160 კილომეტრის დაშორებით იყო შექმნილი. ამ ბანაყში ჩააგდეს 200 პატრიოტი, რომელთაც 1948 წლის იანვრის აჯანყებაში მონაწილეობას აბრალდებენ. ამ აჯანყების წყალობით გაუქმებული იყო პორტსმუტის აგრესიული ხელშეკრულება, რომელიც მშვიდობისმოყვარულ ხალხების და, კერძოდ, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იყო მიმართული. ახლა ომის გამჩაღებლები და მათი დამქაშები ამირებენ 200 პატრიოტის სიკვდილით დასჯას ამ ბანაყში“.

მას შემდეგ, რაც ბაღდადში 1950 წლის ივლისში შეიქმნა მშვიდობისმომხრეთა ღროებითი ეროვნული კომიტეტი, ცნობილი ერაყელი პოეტის მუჰამედ ჯავახირის თავმჯდომარეობით, პოლიციამ დაიწყო მშვიდობისმომხრეთა დევნა. დაიწყო რეპრესიები იმ პირების წინააღმდეგ, ვინც სტოკჰოლმის მოწოდებას ხელი მოაწერა. 1950 წლის 26 აგვისტოს ერაყის პოლიციის მოსყიდული აგენტები შეიპყრნენ

მუჰამედ ჯავახირის სახლში და გაიტაცეს საბუთები, წერილები და მოწოდებები ხელისმომწერის ბიულეტენები.

მშვიდობისა და დემოკრატიის ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში იმპერიალისტები ეყრდნობიან არაბულ ქვეყნებში მათ მიერ მოსყიდულ ადგილობრივი სახელმწიფო აპარატს, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ, პანისლამურ ორგანიზაციებს, ეგრედ წოდებულ არაბული ქვეყნების ლიგას. ეს ლიგა შექმნილია ინგლისელი იმპერიალისტების მიერ 1945 წლის 22 მარტს ეგვიპტის, სირიის, ლიბანის, ერაყის, ტრანსიორდანიის, საუდის არაბეთის და იემენის რეაქციული მმართველი წრეების წარმომადგენლებისაგან. არაბული ქვეყნების ლიგის სათავეში დგას ეგვიპტის წარმომადგენელი, იმპერიალისტების აგენტი — აზამ-ფაშა. ეს ორგანიზაცია თავიდანვე არაბული ქვეყნების ხალხთა ნაციონალურ-გამანთავისუფლებელ მოძრაობის საწინააღმდეგო იარაღს და კოლონიური პოლიტიკის გამტარებელს წარმოადგენდა. ამჟამად შეერთებული შტატები იყენებენ არაბული ქვეყნების ლიგას თავისი აგრესიული მიზნებისათვის.

ინგლის-ამერიკული პროპაგანდა არაბულ ქვეყნებში, უწინარეს ყოვლისა, ავრცელებს ბოროტებით აღსავსე ცინისწამებას საბჭოთა კავშირისა, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისა, კორეის ომის და მშვიდობისათვის მებრძოლთა შესახებ. ამავე დროს ინგლის-ამერიკელი იმპერიალისტები მხარს უჭერენ და იყენებენ პანისლამიზმისა, პანარაბიზმის და სხვა რასისტულ, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ მიმართულებებს თავიანთი აგრესიული, ანტისაბჭოთა მიზნებისათვის. მაგრამ, სისხლიანი ტერორისა და რეპრესიების მიუხედავად, არაბულ ქვეყნებში იზრდება და ძლიერდება ნაციონალურ-გამანთავისუფლებელი მოძრაობა, მშვიდობისა და დემოკრატიის ძალები. ამ მხრივ მერტლ აღსანიშნავია არაბული ქვეყნების ხალხთა პროგრესული ეურნალი „ატ-ტარიკი“, რომელსაც მშვიდობის ოქროს მედალი მიენიჭა. ეს ეურნალი 1941 წლიდან გამოდის ლიბანში თვეში ერთხელ არაბულ ენაზე. იგი აერთიანებს არაბ პროგრესულ მოღვაწეებს, ცნობილ ზუროთ-

მოძღვარ და „ატ-ტარიის“ გამომცემლის ანტუან ტაბეტის მეთაურობით. „ატ-ტარიი“ ფართოდ აშუქებს არამარტო არაბულ ქვეყნების, არამედ მთელ მსოფლიოში მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის საკითხებს, საბჭოთა კავშირის მიღწევებს კულტურულ და სამეურნეო დარგებში, ჩინეთის ხალხის და საბახო დემოკრატიის ქვეყნების ცხოვრებას, კორეელი ხალხის გმირულ ბრძოლას. ეურნალი აგრეთვე არაბულ მოსახლეობაში აგრელებს მოწინავე კულტურის და ხელოვნების ნაწარმოებებს, როგორც, მაგალითად, 1946 წელს ვარდაცვლილ ლიბანის პროგრესული მწერლის ომარ ფახურის, აგრეთვე პოუარდ ფასტის, პაბლო ნერუდას, ნახიმ პიქმეთის ნაწარმოებებს. ეურნალში იბეჭდება კაცობრიობის გენიოსების ლენინისა და სტალინის ნაწარმოებების ნაწყვეტები, აგრეთვე პერიოდულად იწერება წერილები საბჭოთა მწერლებისა და მათ ნაწარმოებების შესახებ.

ბრძოლა ნაციონალური დამოუკიდებლობისათვის, ინგლის-ამერიკელი კოლონიზატორების და ადგილობრივი რეაქციონერების წინააღმდეგ უფროდაუფრო იზრდება და ძლიერდება მსოფლიოში მშვიდობის მედროშის საბჭოთა კავშირის სამეურნეო და კულტურულ

ფრონტზე უდიდესი გამარჯვებების გაელენით. ეგვიპტეში, ერაყში, სირიაში, ლიბანში ნაციონალური განთავისუფლებისათვის, მშვიდობისათვის და დემოკრატიისათვის ბრძოლის სათავეში დგას მუშათა კლასი, რომელსაც ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტია. ეს ბრძოლა უფრო მეტად გაძლიერდა მას შემდეგ, რაც შეერთებული შტატების მთავრობამ კორეაში აგრესიული ომი დაიწყო. სირიისა და ლიბანის მრავალქალაქებში ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციის მონაწილეებმა გამოიტანეს პლაკატები, რომელზედაც ეწერა „ძირს ამერიკელი აგრესია კორეელი ხალხის წინააღმდეგ!“, „ამერიკელებო, გაეთრიეთ კორეიდან!“ და სხვ.

არაბულ ქვეყნებში განუხრელად იზრდება მშვიდობის და დემოკრატიის ძალები. მსოფლიოს პროგრესულ ძალების სათავეში დგას საბჭოთა კავშირი, რომლისკენ მიმართულია აბლო და შუა აღმოსავლეთის მშრომელი მასების თვალი. არაბულ ქვეყნების ხალხებს, ისევე როგორც სხვა კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხებს, საბჭოთა კავშირი როგორც უძლეველი შუქურა საუკუნოებრივი მონობისაგან განთავისუფლების გზას უჩვენებს.

მიკრობები მიკრობთა წინააღმდეგ

„უნდა ვიფიქროთ, რომ გარემო ბუნებასა და ადამიანის ორგანიზმში გავრცელებულია ისეთი მიკრობები, რომლებიც გადაჭრულ სენეცენსიას წინააღმდეგ ბრძოლაში დიდ სამსახურს გვიწვევენ“.

ო. ი. მენცეროვი



უხილავ არსებობა საზოგადოებაში

პოლანდიის პატარა ქალაქ დელფტში, სავაჭრო ქარვასლის მახლობლად, ერთი პატარა ფარდულის ვიტრინაში, ღამაში ჭოგრებები და ნატიფად ნათალი გამაღივებელი მინები ელაგა. ამ ფარდულის მფლობელი ანტონ ლევენჰუკი, რომელიც მთელ იმ მხარეში ცხოვრობდა იყო როგორც მინების საუკეთესო მთარაველი და მხიარული მოსაუბრე, 1680 წლის 21 მაისს მთელი დღის განმავლობაში არც მუშაობდა და არც არაფერს გამოსაუბრებია. იგი ვარიეტადიდან მზის ჩასვლამდე მის მიერვე ნათალ გამაღივებელ მინებს თვალუღებლივ დაჰყურებდა და სახეზე რაღაც უჩვეულო დიმილი დასთამაშებდა. იღიმებოდა ლევენჰუკი, რადგან იმ დღეს შენიშნა, რომ ორი გამაღივებელი მინის ურთიერთ დახმარებით საგნის გამოხატულება მრავალჯერ იზრდებოდა.

გამაღივებელი მინებისაგან 1680 წელს ლევენჰუკმა პატარა ხელსაწყო გააკეთა, რომელიც საგნის გამოხატულებას უკვე 270-ჯერ აღიდებდა. მრავალი საგანი, რომელიც შეუიარაღებელი თვალით არა ჩანდა, ამ ხელსაწყოთი, რომელსაც მიკროსკოპი ეწოდა, ხილული შეიქმნა. ამ პირველი მიკროსკოპით ლევენჰუკმა ეზოში მდგარი გუბის წყლის ერთი წვეთი გასინჯა და წყლის ამ ერთ წვეთში სრულიად ახალი სამყარო იხილა.

მიკროსკოპის ქვეშ მოთავსებულ წყლის ერთ წვეთში ათასობით ცოცხალი წარმონაქმი ირეოდა, რომელთაგან ზოგს ჩხირის შეხედულება ჰქონდა, ზოგს ბურთის, ზოგს კი კაუჭის. ზოგი

მათგანი ძალიან სწრაფად მოძრაობდა, ზოგი კი დაიზღაზნებოდა.

შეუიარაღებელი თვალით უხილავ ამ ცოცხალ არსებებს მცირე არსებანი ანუ მიკრობები (ლათინური სიტყვებიდან მიკროს-მცირე და ბიოს-სიცოცხლე, არსება) ეწოდა.

მეცნიერებამ დაამტკიცა, რომ ჩვენს გარშემო მიკრობები ყოველთვის და ყველგან არის. მიკრობები ნახულია გრენლანდიის ყინულშიც და ძალიან ცხელი წყაროების—გეიზერების წყალშიც. მიკრობების აღმოჩენისთანავე მეცნიერებამ მათი შესწავლა დაიწყო.

მიკრობების აღმოჩენა და შესწავლა კი პირველი ნათელი სხივი იყო იმ წყვილადში, რომლითაც ავადმყოფობის გამომწვევი მიზეზის საიდუმლოება იყო მოცული.

ავადმყოფობას ძველთაგანვე ყველა იცნობდა, მაგრამ ავადმყოფობის გამომწვევი მიზეზი არავინ იცოდა.

ავადმყოფობის მიზეზის უცოდინარობა ადამიანს ხელს არ უშლიდა, რათა ჯერ კიდევ მაშინ, როცა პირველყოფილობის ხანაში ცხოვრობდა და საკვებად უმთავრესად მცენარეებს იყენებდა, შეენიშნა და დაემასხვრებინა, რომ მრავალი მათგანი აჩერებდა სისხლის დენას, იწვევდა პირღებინებას, აღზნებას, მოწამლვას, ფაღარათობას ან პირიქით ყაზობას და სხვა.

ამ პრაქტიკულ დაკვირვებათა და გამოცდილებათა საფუძველზე დროთა ვითარებაში აღმოცენდა და განვითარდა ხალხური მკურნალობა, რომელიც პირველყოფილ საზოგადოებაში საერთო

საკუთრებას შეადგენდა. პირველყოფილი საზოგადოების დაშლისა და კლასების გაჩენის შემდეგ კი მეურნეობის საქმემ თავი მოიყარა გაბატონებული კლასების წარმომადგენელთა — მღვდელმთავრებისა და ქურუმების ხელში,

რომლებმაც იგი ხალხის გაძარცვისა და მოტყუების მიზნით საიდუმლოების ბურუსში გახვიეს.

მიკრობების აღმოჩენის შემდეგ კი ერთი ნაბიჯის გადადგმა-ლა იყო საჭირო, რომ ეს ბურუსი გაფანტულიყო.

მიკრობაზო მონადირანი

შვეიცარიის მთების მწვერვალთა შორის მონბლანი უმაღლესია. 1861 წელს ამ მწვერვალზე ორი კაცი აღიარდა. ისინი არ ჰგავდნენ არც მთაშველლებს, არც მონადირეებს. ერთი მათგანი ყუთებაკიდებულ ჯორს მიუძღოდა წინ და გზას მარჯვენდ იკვლევდა, მეორე კი ფრთხილად და გაუბედავად მიჰყვებოდა უკან.

რამდენადაც მგზავრები მაღლა მიიწევდნენ, გზა მით უფრო ძნელი და სახიფათო ხდებოდა. ვიწრო ბილიკს თვალებზე დასდებულ სიღრმის ხევიბს მისდევდა. ძლიერი და სუსხიანი ქარი მგზავრებს ყოველ წუთს ამ უძირო უფსკარულბში გადაჩეხვით ემუქრებოდა. მგზავრები კი ქარსაც და სახიფათო გზასაც თავგამოდებით ებრძოდნენ და უშიშრად წინ მიიწევდნენ.

როცა მწვერვალს მიუახლოვდნენ, ქარისაგან მორიდებული ფერდობი აიჩიეს. წინ მიმავალმა მგზავრმა ჯორს ყუთები ჩამოხსნა, მიწაზე ფრთხილად დაალაგა და თვითონ განზე გადავიდა, უკან მიმყოლმა მგზავრმა კი ყუთებიდან სწრაფად ამოალაგა: პატარა სპირტქურა და რამდენიმე მაღალ-ყელიანი ფაედაკავშირებული ბოთლი, რომელშიაც ხორციის სუფთა, სრულიად გამჭირვალე ნახარში ესხა. ბოთლებს თავები ფრთხილად წაატეხა, წატეხილი თავებიდან ბოთლებში მონბლანის მწვერვალის სუფთა ჰაერი ჩავიდა თუ არა, სპირტ-ქურის ცისფერი ალით ბოთლების თავები მამინვე დააკავშირა და დიდის მოწიწებით ისევ ყუთებში ჩაალაგა. მგზავრებმა ყუთები ჯორს აკიდეს და უკან გამობრუნდნენ.

ვინ იყვნენ ეს მგზავრები? ან რას ეძებდნენ მონბლანის მწვერვალზე?

ერთი მათგანი, მონბლანზე ასვლა ასე რომ უჭირდა, მეცხრამეტე საუკუნის უდიდესი მეცნიერი, მიკრობებზე მონადირე ლუი პასტერი იყო, რომელიც ამ მთის მწვერვალზეც მიკრობების საძი-

ებლად ამოსულიყო, მეორე კი მისი გამყოლი.

1848 წელს პასტერი თავის პირველსავე მეცნიერულ შრომაში, რომელიც ღვინის დამზადების ქიმიურ პროცესებს ეხებოდა, ამტკიცებდა, რომ ღვინის „დუღილი“ მიმდინარეობის დროს მიკრობები ზოგიერთ ქიმიურ ნივთიერების დაშლას აწარმოებენ და ამიტომ „ღვინის დუღილი“ არამარტო ქიმიური პროცესია, არამედ ბიოლოგიურიცო.

ეს იყო ისტორიაში პირველი სიტყვა: მიკრობების ცხოველყოფილობისა, მოქმედებისა და დანაშაულების შესახებ.

პასტერმა დაამტკიცა, რომ კაცობრიობისათვის საჭირო და მეტად სასარგებლო ისეთ მოვლენებს, როგორიცაა „ღვინის დუღილი“, რძის აძეგება, ჰურის გაფუება და სხ. მიკრობები აწარმოებენ, რომ ამ შემთხვევაში მიკრობები ადამიანის მსახურნი და მეგობრები არიან. მაგრამ, როცა პასტერმა აბრეშუმის ჭიის ზოგიერთი დაავადების მიზეზი შეისწავლა, აღმოჩნდა, რომ აბრეშუმის ჭიის ზოგიერთ დაავადებას და ამ დაავადებათა ჯანმრთელ ქიებზე გადატანა-გავრცელებასაც მიკრობები იწვევენ.

პასტერის ამ გენიალურ აღმოჩენას თან მოჰყვა მისივე გამოკვლევები, ციმბირის წყლულის, ქათმის ხოლერის და ოსტომელიტის გამომწვევი მიზეზის შესახებ, რომლებშიაც იგი ამტკიცებდა, ყველა ამ ავადყოფობას თავისი მიზეზი აქვს და ეს მიზეზი სხვადასხვა სახის მიკრობები არიანო.

ეს იყო პირველი კარის შენგრევა ამ ციხე სიმაგრეში, რომელშიც უხსოვარი დროიდან ავადყოფობის გამომწვევი მიზეზის საიდუმლოება იყო ჩაქტილია.

პასტერის მიერ გავაფული ბილიკით წასული მკვლევარები მალე ფართო შარავნაზე გავიდნენ.

თბერმეირმა შებრუნებითი ტიფის გამომწვევ ბაცილას მიაგნო, კონმა ზო-

ლერის და ტუბერკულოზის მიკრობებში აღმოაჩინა, განზენმა — კუტრის მიკრობები, ლავერანმა — მალარიის მრავალი დაავადების გამომწვევი მიკრობი აღმოაჩინა რუსი მკვლევარების, მიკრობებზე სახელგანთქმულ მონადირეთა — მეჩნიკოვის, გაბრიჩევსკის, ზაბოლოტნის, ივანოვსკის და სხვათა მიერ.

„მოჯადოებული ტყვია“

მაშალმა იყილა. თენდებოდა, მაგიდას, რომელზედაც თერთი თიხის აუარებელი ფინჯები, კოლბები, სითხით სავსე ბოთლები, პატარა სასწორი, სპირტ-ჭურა, მიკროსკოპი და სხვა ამგვარი ხელსაწყოები ელაგა, შუახნის, ფართო შუბლიანი და თვალბდაწითლებული, ღამენათევი კაცი უჯდა. ოთახში, კედელთან მიდგმულ ვალიებში გამოქვეყნულ კურდღლებისა, ზღვის გოჭებისა და თეთრი თავების მეთი არაფერ იყო.

ფანჯარას შვის პირველი სხივი რომ მოაღდა, მაგიდასთან მჯდომმა კაცმა, გამოცდილი მკვლევარის თვლით მიკროსკოპში ერთხელ კიდევ ჩაიხედა და მომღიმარი სახით წამოიღდა.

ეს ღიმილი დიდი ლტოლვისა და შრომის შედეგად გამარჯვებული ბედნიერი ადამიანის ღიმილი იყო. ეს კაცი კი ცნობილი მეცნიერი პაულ ერლიხი იყო.

— 606, — წარმოსთქვა ერლიხმა ისე, რომ თვალბდაწით კვლავ სიხარული უკიაფობდა.

— 606, — გაიძახოდა რამდენიმე ხნის შემდეგ მთელი დედამიწის ზურგზე მრავალი ექიმი და კიდევ უფრო მეტი ავადმყოფი.

ერლიხის „მოჯადოებული ტყვიის“ — 606-ის და მისი მოდერნიზებული სახის 914-ის მოქმედების არე ძალიან ვიწრო აღმოჩნდა. მრავალი დაავადების გამომწვევი მიკრობები 606-ის ანუ სალვარსანის ძალიან დიდი რაოდენობითაც კი არ იხოვებოდა. გარდა ამისა, მათი მოქმედება მიკრობების განადგურებასთან ერთად ორგანიზმსაც ენება.

მიუხედავად ამისა, ერლიხის ამ აღმოჩენამ უდიდესი როლი ითამაშა საექიმო მეცნიერების ისტორიაში. ამ აღმო-

ავადმყოფობის გამომწვევი მიზეზის მიკრობების მიგნების შემდეგ ავადმყოფთა განსაკურნავად საჭირო გახდა ისეთი სამკურნალო ნივთიერების მონახვა, რომელიც ორგანიზმში შესვლის შემდეგ არჩევით იმოქმედებდა და ავადმყოფობის გამომწვევ მიკრობებს ისე განადგურებდა, რომ თვით ორგანიზმს არას ავნებდა. ამიერიდან ასეთი „მოჯადოებული ტყვიის“ ძიება დაიწყო.

ჩვენამ საფუძველი ჩაუყარა სრულიად ახალ მიმართულებას, ქიმიური შენაერთებით ავადმყოფობის მკურნალობას — ქიმიოთერაპიას.

1932 წელს ქიმიკოსმა მიტჩემ და კლავერმა ახალი ქიმიური შენაერთი — პროტონზილი მიიღეს.

1935 წელს დომაკმა დაადგინა, რომ ავადმყოფი ადამიანის ორგანიზმში შეტანილი პროტონზილი მიკრობების გარკვეულ ჯგუფს — სტრეპტოკოკებს ისე ხოცავს, რომ თითონ ორგანიზმს არას ავნებს.

ამ ახალ სამკურნალო ნივთიერებას საბჭოთა კავშირში წითელი სტრეპტოციდი ეწოდა. წითელი სტრეპტოციდის დაწერილებით შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ მიკრობების მომავლადი ნებლად მოქმედობს წითელი სტრეპტოციდის არა მთელი ძირი, მთელი მოლეკულა, არამედ ამ მოლეკულის ცალკეული ნაწილები, რომელიც ორგანიზმში წითელი სტრეპტოციდის დაშლის შედეგად გამოიყოფა.

ამის შემდეგ დაიწყო მხოლოდ ამ მოქმედელ ნაწილის დამზადება, რომელსაც თეთრი სტრეპტოციდი ეწოდა.

სტრეპტოციდის აღმოჩენამ მედიცინაში ახალი ერა შექმნა. სტრეპტოციდი ახალი „მოჯადოებული ტყვია“ იყო, რომლის მოქმედების არე ვაცილებით უფრო ფართო აღმოჩნდა.

სტრეპტოციდის აღმოჩენამ სტრეპტოციდის მსგავსი შენაერთების აღმოჩენის დიდი ინტერესი გამოიწვია.

მრავალი მეცნიერის თავდადებულმა მუშაობამ ამ მიმართულებით, რომელიც დღესაც გრძელდება, მთელი რიგი ახალი სამკურნალო ნივთიერებანი მოგვცა.

სტრეპტოციდის მოლეკულაში პირიდინის ჯგუფის შეტანით მიღებული

იქნა სულფობრიდინი, რომელიც ჩვენ-ში სულფიდინის სახელითაა ცნობილი. სტრატობოციდის მოლეკულაში თიანზონის ჯგუფის შეტანით მიღებული იქნა სულფათიანზონი, ანუ სულფაზონი.

სამკურნალო ნივთიერებათა ამ ჯგუფში, რომელსაც სულფამიდური პრეპარატები ეწოდება, დღეს უკვე 200-ზე ახალი სამკურნალო ნივთიერებაა და მრავალი მათგანი სხვადასხვა დაავადე-

ბათა განსაკურნავად, როგორც სპეციალური სამკურნალო ნივთიერება, ისე იხმარება.

მიუხედავად ამისა, დარჩა კიდევ მრავალი დაავადება, რომელთა გამომწვევი მიკრობებსაც ვერც ეს „მოჯადოებულნი ტყუილები“ მისწვდა. ამიტომ შეცნიერება კვლავ ეძებდა ახალ უფრო სრულყოფილ და მეტის შემდეგ სამკურნალო საშუალებებს.

მეტოქიმიკა

ერთხელ მთელი ოჯახი საგანგებოდ გაწვრთნილ მაიმუნის სანახავად ცირკში წავიდა. მე სახლში მარტო დავრჩი და მიკროსკოპში ზღვის გამქვირვალე მარლის სხეულში მოძრავ უჯრედებს ვუჯივრებდობოდი. უცბად ახალმა აზრმა გამიელვა. ვიფიქრე, ამგვარი უჯრედები ყოველ ორგანიზმში მაინც მოქმედობა (მიკრობთა) წინააღმდეგ უნდა მოქმედებდნენ-მეთქი. ამ აზრმა ისე ამოიღო, რომ ჯერ ოთახში ბოლთის ცემა დავიწყე, მერე აზრების მოსაკრეფად ბაღში გავედი. თუ ეს ჩემი მოსაზრება მართალია, მაშინ ზღვის ვარსკვლავის მატლის სხეულში ჩარკობილი ეკლის ვარშემო, როგორც მაინც მოქმედის ვარშემო, მოძრავმა უჯრედებმა უნდა მოიყარონ თავი და ბრძოლა დაუწყონ მეთქი, ვიფიქრე და ჩვენი სახლის პატარა ბაღში ვარდის რამდენიმე ეკალი მოვკრიფე, რომელიც მაშინვე გამქვირვალე მატლის სხეულში ჩაიარა. შედეგის მოლოდინში მთელს ღამეს ვღეღედი, დილა აღრიათ კი ჩემი მოსაზრების სისწორეში დავრწმუნდი. ეკლის ვარშემო მრავალ მოძრავ უჯრედს მოიყარა თავი“.

ასე ავიწყრის დიდი რუსი მეცნიერი ი. ი. მეჩნიკოვი მის მიერ 1882 წელს ჩატარებულ საკაცობრიო მნიშვნელობის გენიალურ ცდას, რომლითაც მან თვალსაჩინოდ დაამტკიცა, რომ ყოველ ცხოველურ ორგანიზმში შეჩრილ მაინც მოქმედობა თუ მიკრობთა წინააღმდეგ თავს იჩენენ და იბრძვიან ორგანიზმში არსებული ორგანიზმის დამცველი მოძრავი, ანუ ე. წ. მოხერიალი უჯრედები, რომლებიც ორგანიზმმა თავისი განვითარების ევოლუციურ გრძელ გზაზე თავდაცვის მიზნით გამოიმუშავა.

მეჩნიკოვმა ისიც დაამტკიცა, რომ ალაშიანის ორგანიზმში მოძრავ უჯრე-

დებს — სისხლის თეთრი ბურთულები ანუ ლეიკოციტები წარმოადგენენ, რომ ლეიკოციტებიც უმალ გარს ეხვევიან ადამიანის ორგანიზმში შეჭრილ ამა თუ იმ დაავადების გამომწვევ მიკრობებს ან რომელიმე უცხო სხეულს და დაუყოვნებლივ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უცხადებენ.

1877 წელს ლუი პასტერმა თავის მოწვევ ეუბნებთან ერთად მედიცინისათვის ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი ცდა დააყენა, რომლითაც ნათლად დაამტკიცა, რომ ციმბირის წყლულის გამომწვევი ჩხირის ზრდაგანვითარება ითრგუნება და ჩერდება მაშინ, თუ ამ ჩხირის მახლობლად ნიადაგის სხვა რომელიმე ისეთი მიკრობები იზრდებიან, რომლებიც თითონ არავითარ დაავადებას არ იწვევენ.

ეს იყო მედიცინის ისტორიაში პირველი ცდა, რომლითაც დადგენილი იქნა მიკრობთა ერთი სახის მეცხე, გამანადგურებელი მოქმედება მიკრობთა მეორე სახეზე. აღმოჩნდა, რომ მიკრობთა სამყაროშიც ისევე როგორც უფრო მაღალ ორგანიზმებში ადგილი ჰქონია სხვადასხვა სახეთა შორის მეტოქეობას, ქიმიობას და ბრძოლას. ამ მოკლენას პასტერმა ანტიბიოზი ანუ ანტაგონიზმი უწოდა.

პასტერს ამ ანტაგონიზმის ანუ მეტოქეობის მექანიზმი არ დაუდგენია. მეჩნიკოვმა კი, როცა თავდაცვითი ბრძოლის საკითხს უმარტივეს ერთუჯრედიან არსებებზე სწავლობდა, აღმოაჩინა, რომ: ვთქვათ, ისეთ ერთ უჯრედიან არსებას როგორცაა ამება, თავდაცვის საწარმოებლად მოძრავი უჯრედები არ გააჩნია, არ გააჩნია იმიტომ, რომ იგი თვითონ წარმოადგენს მხოლოდ ერთ უჯრედს, მაგრამ თავდაცვას მაინც ახერხებს.

თუ ამებაში რომელიმე მიკრობი ან უცხო სხეული შეიჭრა, იგი მაშინვე ცდილობს ამ მიკრობის მოკვლას და მონელებას, რისთვისაც გამოიმუშავებს საგანგებო შხამიან უსასრულოდ პატარა წვეთს, რომლითაც მის ტანში მოხვედრილ მიკრობს კლავს, ხარშავს და თავის საცვებად იყენებს. მაგრამ ზოგჯერ ამების სხეულში შეჭრილი მიკრობი ამების მიერ ამ მიკრობის გადასახარშავად გამოყოფილი წვეთის წინააღმდეგ რალაც ნივთიერებას გამოიმუშავებს, რომლითაც ამების მიერ გამოყოფილ ნივთიერებას ანეიტრალებს, სიცოცხლეს ინარჩუნებს, ამ ბრძოლაში ამებას სძლევს კიდევ, ამების სხეულს საცვებად იყენებს და ამების სხეულშივე მრავლდება.

ამ გამოკვლევით მეჩნიკოვმა კაცობრიობის ისტორიაში პირველად დაადგინა, რომ მიკრობები არსებობისათვის ბრძოლაში თავიანთ ცხოველყოფილობის შედეგად გამოყოფენ რალაც ძლიერ მოკმედ ნივთიერებას, რომლითაც მის მეტოქეს, მის ანტაგონისტ მეორე მიკრობებს ანადგურებენ. გონებამახვილი და დიდი მეცნიერული ალღოს მქონე მეჩნიკოვი მაშინვე მიხვდა, რომ მიკრობების ამ თვისების — ანტაგონიზმის გამოყენება ადამიანთა საკეთილდღეოდ, ავადმყოფთა განსაკურნავად შეიძლებოდა. მიკრობთა ანტაგონიზმის გამოყენება მეჩნიკოვმა პირველად მოხუცებულობის წინააღმდეგ სცადა.

რა არის სიბერე?

1895 წელს თანამედროვე მიკრობოლოგიის ფუძემდებელი და მეჩნიკოვის ახლო მეგობარი ლუი პასტერი გარდაიცვალა.

პასტერის სიკვდილმა მეჩნიკოვი ძალიან დაალონა და თავის ასაკი შეახსენა. მაშინ მეჩნიკოვი 53 წლის იყო და გრძნობდა, რომ მის ორგანიზმში ყველაფერი თავის რიგზე აღარ იყო. გრძნობდა, რომ ბერდებოდა და ძალაუნებურად დაებადა კითხვა: რა არის სიბერე?

რატომ ბერდება დროთა ვითარებაში ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე ადამიანის ორგანიზმი, რატომ არის, რომ კუნთები სუსტდება, კანი ჭკნება, თმები თეთრდება, სისხლის მიმოქცევა და საკმლის მონელება ირღვევა, ხალისი იკარგება, ინტერესთა არე ვიწროვდება?

ამ კითხვების გადასაწყვეტად მეჩნიკოვი უპირველეს ყოვლისა სიბერის მიზეზის გამოკვლევას შეუდგა.

ხანგრძლივი კვლევის შედეგად მეჩნიკოვმა დაადგინა, რომ ის ცხოველები, რომლებსაც სწორი ნაწლაგი ან სულ არა აქვთ ანდა სუსტად აქვთ განვითარებული, გაცილებით მეტს ცოცხლობენ, ვიდრე ისინი, ვისაც სწორი ნაწლაგი კარგად აქვთ განვითარებული.

მეჩნიკოვმა დაწვრილებით შეისწავლა ადამიანის სწორი ნაწლაგიც და აღ-

მოჩნდა, რომ ახალშობილი ადამიანის კუჭნაწლავი სრულიად სუფთაა, მასში არც ერთი მიკრობი არ არის. მაგრამ უკვე რამდენიმე დღის შემდეგ კუჭნაწლავეში აღარებელი მიკრობები იყრის თავს, რომლებიც ორგანიზმში საცვებთან ერთად ხვდება და რომელთაგან სწორ ნაწლავეში საცვების დამშლელ-მლპობი მიკრობების ძალიან დიდი რაოდენობა ჩერდება.

სწორ ნაწლავეში ეს მიკრობები ძალიან სწრაფად მრავლდებიან და თავიანთი ცხოველყოფილობის შედეგად ადამიანის ორგანიზმის მომწამვლელ შხამებს გამოყოფენ, რომლებიც ადამიანის ორგანიზმს შეუშინველად, მაგრამ განუწყვეტლად სწამლავენ.

მოწამვლის ამ პროცესს ადამიანი მხოლოდ 40—50 წლის ასაკში გრძნობს სიბერის სახით. ასეთი მოწამვლით გამოწვეული მოხუცებულობა და მისი თანამდევი სიკვდილი ნაადრევი და ძალიან არასასიამოვნოა. მეჩნიკოვის აზრით ნაადრევი მოხუცებულობისა და ნაადრევი სიკვდილის წინააღმდეგ საბრძოლველად კი საჭიროა სწორი ნაწლავეში მოვსპობთ ადამიანის ორგანიზმის მომწამვლელი შხამების გამოყოფი მიკრობები. სწორ ნაწლავეში ამ მიკრობთა მოსასპობად კი აუცილებელია, ერთის მხრივ, დაეცვათ სისუფთავის ყოველგვარი წესები, რათა ეს მიკრობები ნაყ-

ლებად მოხვდნენ ჩვენს ორგანიზმში, მეორეს მხრივ, კუჭნაწლავში უკვე მოხვედრილ მიკრობთა გასანადგურებლად წმირად უნდა ვქამოთ რძის ნაწარმი, განსაკუთრებით კი მაწონი, რადგან სწორედ რძის ნაწარმში და მაწონშია დიდი რაოდენობით ის მიკრობები რძის ამაყვებელი მიკრობები ანუ ლაქტობაცილინი, რომლებიც სწორ ნაწლავში არსებულ ორგანიზმის მომწამვლელ, ლაქტის გამომწვევ ბაქტერიებს თრგუნავენ და საბოლოო ასე გვასწავლიდა მეჩნიკოვი.

ამრიგად, მეჩნიკოვმა თავისი ამ ცდებით და მოსაზრებებით საწყისი მისცა ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეში სრულიად ახალ მიმართულებას — მიკრობების გამოყენებას მიკრობთა წი-

ნაღმდეგ. მეჩნიკოვმა პირველად გამოიყენა მიკრობების ერთი სახე მეორეთა გასანადგურებლად — ლაქტობაცილისი ლაქტის გამომწვევი მიკრობების წინააღმდეგ.

აღსანიშნავია ისიც, რომ მეჩნიკოვი თავის ამ პირველსავე შრომებში ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ერთი სახის მიკრობის ეს გამანადგურებელი მოქმედება მეორე სახის მიკრობებზე დაკავშირებული არა მარტო მყავე პროდუქტების დაცვაზეა და ვარჯისა და ვარჯის რეაქციის შეცვლაზე, არამედ ანტაგონისტ მიკრობთა მიერ გამოყოფილ რაღაც ნივთიერებაზე, რომელიც მეორე მიკრობს ჰკლავს. ეს დებულება გახდა მტკიცე ქვაკუთხედი, რაზედაც დღემდე მრავალი ახალი აღმოჩენა შენდება.

მშენებელი ობი

იმავ პერიოდში, როდესაც პასტერმა და მეჩნიკოვმა მიკრობთა შორის ანტიგონიზმის არსებობა აღმოაჩინეს და შეისწავლეს, რუსმა სწავლულებმა — პროფ. ვ. ა. მანასეინმა, რუსული დერმატოლოგიის მამამთავარმა ა. გ. პოლოტენოვმა და პროფ. პ. ვ. ლებედინსკიმ შესანიშნავი აღმოჩენები გააკეთეს.

1871 წელს ვ. ა. მანასეინმა შენიშნა, რომ მწვანე ობის ერთ-ერთი სახე პენიცილიუმი ანუ „კისტევიკი“ (ეს ობი შესდგება მიკროსკოპით სოკოებისაგან, რომლებიც ხელის მტევანს ჰკვანან, რუსულად „კისტ“-ხელის მტევანსა ჰქვიან, და ამ სოკოებისგან შემდგარ ობსაც „კისტევიკი“ ამიტომ უწოდეს) ზორცის ნახარში რომ მოვამრავლოთ, მაშინ ნახარში ზოგიერთი ავადმყოფობის გამომწვევი მიკრობები ვეღარ მრავლდებიან ან სრულიად ისპობიან.

1872 წელს პროფესორმა პოლოტენოვმა პენიცილიუმის და ნუშის ზეთის ნარევი კანის ზოგიერთი დაავადებების, ფურუნკულოზის და ლექუსური წყლულის სამკურნალოდ იხმარა და ისეთი მნიშვნელოვანი შედეგები მიიღო, რომ იმავე 1872 წელს „მედიცინისკი ვესტნიკში“ სპეციალური წერილი — „ობის პათოლოგიური მნიშვნელობა“ გამოაქვეყნა, რომელშიაც წერდა: „ჩემს მიერ

ჩატარებული ცდების შედეგები, ვფიქრობ, საჭიროდ ხდიან ასეთივე ცდებს ნაოპერაციებ კრილობებზე და ღრმა ჩირქვროვებზე. მხოლოდ ასეთ დაკვირვებებს შეუძლია ექსპერიმენტულად გადასწყვიტოს საკითხი იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ობს ქირურგიაში“.

მწვანე ობის რაობისა, და მნიშვნელობის შესახებ ნ. ვ. ლებედინსკიმ იმდენი მასალა შეაგროვა, რომ ამ საკითხზე 1877 წელს სადოქტორო დისერტაცია დაიცვა.

ამრიგად, ვასული საუკუნის 70-იან წლებში რუსმა მეცნიერებმა — მანასეინმა, პოლოტენოვმა და ლებედინსკიმ მწვანე ობის მშვენიერი სამკურნალო თვისებები არა მარტო აღმოაჩინეს და მრავალმხრივ შეისწავლეს, არამედ მისი სამკურნალო მიზნით პრაქტიკული გამოყენებაც კი მოახერხეს. მაგრამ მათ ვერ მოახერხეს ობიდან სამკურნალო მოქმედი საწყისის გამოყოფა და მისი ფართო გავრცელება. ვერ მოახერხეს იმიტომ, რომ სამკურნალო ნივთიერებათა ქიმიისა და ტექნოლოგიის დონე იმ დროს ძალიერ დაბალი იყო. ამიტომ ეს უმნიშვნელოვანესი აღმოჩენა მთელი 60 წლის განმავლობაში დავიწყებას მიეცა. რაც მანასეინმა და პოლოტენოვმა XIX საუკუნის 70-იან წლებში ვერ

შესძლეს, ის შესძლო XIX საუკუნის დასასრულს ისევე რუსმა ცნობილმა მკვლევარმა ბუკოვსკიმ.

ბუნებაში არსებობს ერთგვარი მიკრობი, რომელიც ქრილობაში მოხვედრისას მოცისფრო, მყრალი სუნის ჩირქის დენას იწვევს.

ბუკოვსკიმ 1898 წელს ეს ჩხირი ყოველმხრივ დაწვრილებით შეისწავლა და აღმოაჩინა, რომ ცისფერი ჩხირი თავის ცხოველმყოფელობის შედეგად გამოყოფს ერთგვარ ნივთიერებას, რომელიც თრგუნავს და სპობს ისეთ მიკრობებს, როგორიცაა მუცლის ტიფის გამომწვევი ჩხირი, დიფტერიის ჩხირი, განსაკუთრებით დიფტერიის ჩხირი და სხვა.

ბუკოვსკიმ შეძლო ანტაგონისტ მიკრობის — ცისფერი ჩირქის ჩხირის უჯრედიდან ამ ნივთიერების გამოცალკევება-გამოყოფა და ამ ახლად მიღებულ ნივთიერებას „პიოციანინი“ უწოდა.

რუსი მკვლევარი ბუკოვსკი იყო პირველი მეცნიერი რომელმაც ანტაგონისტ მიკრობისაგან აეღამყოფობის გამომწვევ მკრობის მომავლდინებელი ნივთიერების გამოყოფა — გამოცალკეევა რეალურად განახორციელა. ამით ბუკოვსკიმ მიკრობთა ანტაგონიზმის ერთი საკითხი განაერთარა იქიდან, სადაც მეჩირაოვი, მანასენი და პოლოტენოვი შეჩერდნენ. ამრიგად, მიკრობთა შორის ანტაგონიზმის აღმოჩენა და ანტაგონისტურ ნივთიერებათა გამოცალკეევა მთლიანად და სავსებით რუსულ მეცნიერებას ეკუთვნის.

ბედნიერი შემთხვევა

ლონდონში ერთი უზარმაზარი შენობის აბრაზე აწერია: „წმიდა მარიამის სახელობის ჰოსპიტალი“.

ყოველ დილას, თითქმის ერთსა და იმავე წუთს, კათოლიკური ვაქცინის პატრიოთ სუფთად გაბარსული და ყოველთვის ღრმად ჩაფიქრებული ხანშიშესული კაცი დინჯი, აუჩქარებელი ნაბიჯით შედის ამ ჰოსპიტალში და თავის ლაბორატორიისაკენ მიდის. ვიდრე ლაბორატორიაში შევიდოდეს, იგი ანგარიშშიუცემლად თავს უჯრავს ამ ოთახის კარების წინ თითქმის ყოველთვის ერთსა და იმავე პოზაში მდგომ მსახურს, რომელიც მას, პროფესორ ფლემინგს, მოწიწებით ესალმება და ლაბორატორიის კარს უღებს.

პროფესორ ფლემინგის ლაბორატორიაში, მიუხედავად იმისა, რომ უთვალავი არსება ცხოვრობს, ყოველთვის საძაქრებელი სიჩუმე და სავანგებო სისუფთავე სუფევს, სიჩუმე სუფევს იმიტომ, რომ ამ ოთახის მოსახლენი კედლებთან განლაგებულ კარადებში მოთავსებულ ჭიქებში, პრტყელ ფინჯნებში და კოლებში სპეციალურ საყვებ ნიადაგზე მცხოვრები სხვადასხვა ჯურის მიკრობებია.

სავანგებო სისუფთაის დაცვას კი ფლემინგი ყოველი თანაშრამილისაგან სასტიკად მოითხოვს, რადგან კარგად იცის, რომ მიკრობების სამყოფელში

ოდნავი მტვერის შეჭრაც კი, მიკრობების ცხოვრებისა და ცხოველმყოფელობის მიმდინარეობას თვალსაჩინოდ სცვლის.

1928 წელს ფლემინგი ჩირქმბადი მიკრობების ერთ-ერთი წარმომადგენლის სტაფილოკოკის ცხოველმყოფელობას სწავლობდა და როცა ერთ დილას ხელთ მოხვედრილ ფინჯანს დააკვირდა, რომელშიაც კარგად გამრავლებული სტაფილოკოკები ეგულებოდა, ნახა, რომ ერთ ადგილზე საყვები ნიადაგი, რომელზედაც სტაფილოკოკები უნდა გამრავლებულიყო, მწვანე ობს დაეფარა და ამ ობის მახლობლად სტაფილოკოკები აღარ გამრავლებულიყვნენ.

ფლემინგს გაფუჭებული კულტურა დაეხანა; ვიდრე მსახურს დაუძახებდა და ფინჯანს გარეთ გასატანად გადასცემდა, მიკრობებს ერთხელ კიდევ დახედა და სრულიად შემთხვევით შენიშნა, სტაფილოკოკების ზრდა მხოლოდ ობის მახლობლად შეჩერებულიყო. ობს თავის გარშემო ერთგვარი მკვდარი ზონა შეექმნა, საიდანაც სტაფილოკოკები თითქოს წაშლილიყო და თავის საკუთარ ჩრდილს დამსგავსებოდა.

შეძლებდა, ამ თითქოს უმნიშვნელო შემთხვევისათვის კაცს ყურადღება არც კი მიექცია. ფლემინგს კი მაშინვე დაეხება კითხვა: რატომ გაჭრა სტაფილო-

ყოცები მაინც და მაინც ობის მახლობლად? ალბათ ობი სტაფილოკოკებს სკამს, ანადგურებს და აქრობს, იფიქრა ფლემინგმა, და თავის ამ მოსაზრების დასამტკიცებლად ფინჯანიდან ეს მწვანე ობი თხიერ საცებ ნიადაგზე — ბულიონზე გადათესა.

რამდენიმე დღის შემდეგ ბულიონის ზედაპირზე ისეთივე ობი გაიზარდა, თვით ბულიონში კი ამ ობიდან რაღაც ყვითელი ფერის ნივთიერება ჩამოვიდა. ასეთი ბულიონი რეასაჯერ განზავებულიც კი სტაფილოკოკების ზრდას აჩერებდა და შემდეგ კი ამ მიკრობებს მთლიანად სპობდა.

ფლემინგმა ეს მოვლენა ყოველმხრივ შესწავლა და დაადგინა: მწვანე ობი, რომელიც სტაფილოკოკების გვერდზე შემთხვევით გაიზარდა, შესდგებოდა უსასრულოდ მცირე ოდენობის მიკროსკოპიული სოკოებისაგან, რომელთაც ლათინურად „პენიცილიუმ ნოტატუმ“ ეწოდება. პენიცილიუმ ნოტატუმის სახის სოკოები თავიანთი ცხოველმყოფელობის შეოიად გამოყოფენ რაღაც ნივთიერებას, რომელიც მომავლად ნებად მოქმედობს სტაფილოკოკებზე ძალიან დიდი შრომის შედეგად ფლემინგმა მოახერხა ამ ნივთიერების ძალიან მცირე რაოდენობის მიღება და მას პენიცილინი უწოდა.

ობი საფლავში

უსაზღვროდ დიდია მიკრობთა მიერ გამოწვეული დაავადებებით დაზოცილადამიანთა, ცხოველთა და მცენარეთა რიცხვი. კიდევ უფრო მეტია თვით ამ მიკრობთა რაოდენობა.

მერე, სად მიდის ეს უთვალავი მიკრობი საბოლოოდ?

ცხადია, საფლავში, მიწაში, რადგან ყველა მისი სამყოფელი ადგილი — გადაცელილი ადამიანის გვამი, ცხოველის ლეში, ავადმყოფის ნახველი, ჩირქი და სხვა ყველაფერი ბოლოსდაბოლოს ნიადაგში, მიწაში ხვდება.

ახლა თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მიკრობები ისე ძალიან სწრაფად მრავლდებიან, რომ ერთი ისეთი მიკრობის შთამომავლობა, რომელიც ყოველ ნახეარ საათში უბრალო გამოყოფით ორად იქცევა, სხვა მიკრობების, მიერ რომ არ ნადგურდებოდეს, რამდე-

პენიცილინის გამოყოფა ტექნიკურად ძალიან სანელი შეიქმნა. მიღებული პენიცილინი კი ძალიან იოლად იშლება და 10 — 15 დღის შემდეგ თავის სამკურნალო თვისებებს მთლიანად კარგავდა.

მაშინ ფლემინგმა იფიქრა, რომ პენიცილინის, როგორც სამკურნალო ნივთიერების, მასიურად მიღება და პრაქტიკულად გამოყენება შეუძლებელი არისო და 1932 წელს ამ საბუშაოს თავი დაანება. პენიცილინის შესახებ იგივე აზრი გამოსთქვეს ინგლისელმა ბიოქიმიკოსებმა: კლერტრეკმა, რაისტრიკმა, ლოველმა და სხვებმა.

ამრიგად, გასული საუკუნის 70-იან წლებში რუსი მეცნიერების: მანასინის, ტოლობეტნოვის და ლებედინსკის მიერ მწვანე ობის სამკურნალო თვისება ინგლისელმა პროფესორმა ფლემინგმა 60 წლის შემდეგ შემთხვევით ხელმოიწიდა აღმოაჩინა და ეს აღმოჩენა მხოლოდ იმითი თუ წასწია წინ, რომ პენიცილინი გამოცალკეებულ სახით მიიღო. გამოცალკეებულ პენიცილინის მასიურად დამზადება და გამოყენება კი ვერც ფლემინგმა შესძლო. ამ ამოცანის გადაწყვეტას მეცნიერების კიდევ ერთი ათეული წლის დამბული შრომა დასჭირდა.

ნიმე დღის განმავლობაში მთელი დედამიწის ზედაპირს დაფარავდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ნიადაგი ყოველგვარ ვადამდებ სნეულებათა გამოწვევით მიკრობების ბუდე და ყოველგვარი ვადამდები სნეულების წყარო იყოს.

სინამდვილეში კი ეს ასე არ არის. ნიადაგის მიკრობთა შესწავლის შედეგად სრულიად საწინააღმდეგო მოვლენა აღმოჩნდა.

ნიადაგის მიკრობთა შესწავლის ფუძემდებელი მთელ მსოფლიოში დიდი რუსი მიკრობიოლოგი ე. ნ. ვინოგრადოვსკია, ვინოგრადოვსკიმ თავისი შესანიშნავი ცდებით და მეცნიერული გამოკვლევებით აღმოაჩინა და დაამტკიცა, რომ ნიადაგის მიკრობთა მთელი სამეფო ურთიერთ თანამშრომლობისა და მეგობრობის საფუძველზე გარკვე-

ულ ჯგუფებად — ბიოცენზებად არიან გაერთიანებული. თითოეულ ბიოცენზს სხვადასხვა დანიშნულება აქვს. ბიოცენზის შემადგენლობაში შეიძლება ერთი სახის მიკრობების დანიშნულება იქნას, რომ ეს ჯგუფი ანუ გაერთიანება გარეშე მტრებისაგან დაიცავს. ეს მიკრობები (ანტიბიოტიკები) თავიანთი ცხოველყოფილობის შედეგად გამოყოფენ ისეთ მზაიან ნივთიერებას, რომელიც სპობს იმ უცხო მიკრობებს, რომლებიც ამ ბიოცენზში შეჭრას ან მისთვის რომელიმე სასიცოცხლო საშუალების წართმევას ცდილობენ.

ნიადავის ბიოცენზებისათვის სხვადასხვა სწეულებათა გამოშვებულ მიკრობებზე ასეთ დაუბატიებელ სტუმრებად ითვლებიან და ამიტომაც მიწაში მოხვედრისთანავე სწრაფად ისპობიან და ქრებიან.

ვინოგრადოვსკის ეს მოძღვრება სწრაფად გავრცელდა და განვითარდა როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ.

ამერიკაში მცხოვრებმა ფრანგმა აგრონომმა რენე ეიულ დიუბომ ნიადავის მიკრობთა უთვალავი ნაირსახეობიდან 1939 წელს ერთ-ერთი მიკრობი — ბაცილუს ბრევისი გამოაცალკევა და დაამტკიცა, რომ ეს მიკრობი თავისი ცხოველყოფილობის შედეგად სხვა მიკრობების მომავლადივინებელ ნივთიერებას გამოყოფს. დიუბომ შესძლო ამ ნივთიერების საკმაო რაოდენობით შეგროვება და მას ტიროტრიცინი უწოდა.

როკფელერის ინსტიტუტის ერთ-ერთმა ქიმიკოსმა გოჩისმა 1941 წელს დაადგინა, რომ ტიროტრიცინი ორი ნაწილისაგან — ტიროცილინისა და გრა-

მიცილინისაგან — შესდგება, რომელთაგან გრამიცილინი უფრო ძლიერ მოქმედებს და მრავალი გადამდებელი სწეულების გამომწვევ მიკრობებს ისე თრგუნავს და ახადგურებს, რომ თვით ავადმყოფის ორგანიზმს არ ენებს.

თითქმის იმავე წელს საბჭოთა მეცნიერებმა — პროფესორებმა გ. ფ. გაუზემ და მ. გ. ბრაუნიკოვამ მოსკოვის მახლობლად მდებარე ბოსტნის ნიადავიდან ე. წ. მოკლე ხხირი გამოაცალკევეს, და ამ მიკრობიდან ახალი ნივთიერება გამოყვეს, რომელსაც საბჭოთა გრამიცილინი ანუ გრამიცილინი „C“ უწოდეს.

საბჭოთა გრამიცილინის ამერიკულ გრამიცილინთან შედარებით მთელი რივი უპირატესობანი აქვს; იგი გაცილებით უფრო მეტი სახის მიკრობებს ახადგურებს და გარდა ამისა გაცილებით უფრო გამძლეა.

მიუხედავად იმისა, რომ გრამიცილინის სისხლში შეყვანა არ შეიძლება, რადგან იგი სისხლის წითელ ბურთულებს შლის და ამიტომ იგი მხოლოდ უშუალოდ ჭრილობაზე ან დაავადებულ ადგილზე საფენის, ფხენილის ან მალაშოს სახით იხმარება, — მისი აღმოჩენა მედიცინაში მიიწვევს მორიგი ტრიუმფი იყო.

გრამიცილინი არის პირველი სამკურნალო ნივთიერება, რომელიც მიღებულია ცოცხალ არსების — მიკრობის ცხოველყოფილობის შედეგად გამოყოფილი ნივთიერებიდან, და მასადაამე, ბიოლოგიური წარმოშობისაა, ასეთ ბიოლოგიური წარმოშობის სამკურნალო ნივთიერებებს მეცნიერებაში ანტიბიოტიკები ეწოდა.

ბანახლება

ლაბორატორიის კედელზე ჩამოკიდებული კალენდარი 1941 წლის 25 სექტემბერს უჩვენებდა.

ამ დღეს პროფესორი ჰოვარდ უოლტერ ფლორეი თავისი ლაბორატორიიდან გარეთ არ გამოსულა. 48 ვირთხას ორგანიზმში ოქროსფერი სტაფილოკოკის იმდენი რაოდენობა შეუშხაბუნა, რამდენიც მათი პატარა ორგანიზმისათვის აუცილებლად მომავლადივინებელი იყო. ამ 48 ვირთხიდან 24 ხელუხლე-
11. „ნათობა“, № 8.

ბელი დატოვა, ხოლო მეორე 24-ს ყოველ სამ საათში ერთხელ თავისი ახალი ხერხით მიღებულ პენიცილინს უშხაბუნებდა.

ფლემინგის მიერ მიტოვებული მწვანე ობის შესწავლა ფლორეიმ განახლა.

გრამიცილინის მიღებამ და მისი ხმარების დიდმა წარმატებამ ფლორეი დაარწმუნა, რომ პენიცილინის გამოყოფის და გაწმენდის პროცესის გამარტი-

ვება და მისი ფართოდ გამოყენება შესაძლებელი იყო.

ფლორემ ჩეინსა და აბრაჰამთან ერთად შეიძლება პენიცილინის გამოყოფისა და გაწმენდის ისეთი ხერხი, რომელმაც შესაძლებელი გახადა პენიცილინის საჭირო რაოდენობის მიღება ქარხნული წესით.

როცა ფლორემ თავისი წესით მიღებული პენიცილინის სამკურნალო თვისებები შეისწავლა, აღმოჩნდა, რომ პენიცილინი ცოცხალ ორგანიზმებშიც დამორგუნველად და გამანადგურებლად მოქმედობს უმთავრესად გრამდამდებით მიკრობებზე: სტაფილოკოკებზე, სტრეპტოკოკებზე, პნევმოკოკებზე და აგრეთვე იმ მიკრობებზე, რომლებიც ანაერობულ ინფექციას იწვევენ, პენიცილინის ფართოდ და საყოველ-

თოდ გამოყენებისათვის უზარველეს ყოვლისა, საჭირო იყო მისი საბმარი ერთეულის დადგენა.

პენიცილინის მოქმედების ძალის საზომ ერთეულად ამჟამად მიღებულია პენიცილინის ის უმცროსი რაოდენობა, რომელიც ხორცის ბულიონის 50 კუბ. სანტიმეტრში ოქროსფერი სტაფილოკოკების ზრდას აჩერებს.

კარგად გაწმენდილი, კრისტალური პენიცილინის ერთი გრამი 1666000 ასეთ ერთეულს შეიცავს. ერთეულის დადგენის შემდეგ მალე იქნა დადგენილი ხმარების წესებიც. ამჟამად პენიცილინი იხმარება კუნთებში შესაშხაპუნებლად 8 — 12 საათში ერთგულ 100 000 — 200000 ერთეულამდე, პერიოდის 1% — იან ხსნარში გახსნილი.

სუბმარტაფოსაფარში შობილი

სამამულო ომის დასავლეთ ფრონტზე 1943 წლის ზაფხულში საბჭოთა ჯარები შეტევაზე გადავიდნენ. გააფთრებული ბრძოლები სწარმოებდა. საველე ჰოსპიტლები ფეხდაფეხ მისდევდნენ შეუჩერებლად წინმძიმვალ ჩვენს ჯარებს.

ერთ-ერთი ასეთი ჰოსპიტლის წინ გაჩერებული მანქანიდან დაბალი ტანის დარბაისელი ქალი ვადმოვიდა, რომელსაც ხელში პატარა ჩემოდანი ეჭორა. მას რამდენიმე კაცი ახლდა. ახლადმოსულები მანქანი ჰოსპიტალში შევიდნენ. დაბალი ტანის ქალმა ჩემოდანი გახსნა და თავდაკავშირებულ ბოთლებში მოთავსებული ოქროსფერი ფხვნილი ამოაღა.

ეს ფხვნილი, მართალია პენიცილინი იყო, მაგრამ ის პენიცილინი კი არა, ფლემინგმა და ფლორემ რომ მიიღეს. არა, ეს ახალი საბჭოთა პენიცილინი იყო, რომელიც პროფ. ზინაიდა ბესარიონის ასულ ერმოლაევის ხელმძღვანელობით მოსკოვში იქნა მიღებული. ეს ტანმორჩილი ქალი კი თითონ პროფესორი ერმოლაევა გახლდათ, რომელიც თავის მიერ მიღებული პენიცილინის სამკურნალო თვისებების შესასწავლად ფრონტის წინახაზზე გამოსულ იყო. როცა ერმოლაევა ფლემინგისა და ფლორემის მიერ მიღებული პენიცილინის შესახებ გაიგო. მას ამ პენიცილინი ბევრი რამ არ მოეწონა. უპირ-

ველეს ყოვლისა ის, რომ ამ პენიცილინის მიღება და გაწმენდა ძალიან რთული და ძნელი საქმე იყო. ამასთან ერთად, ეს პენიცილინი მხოლოდ გრამდამდებით მიკრობებს სპობდა და ძალიან ნაზი იყო, ძალიან იოლად ჰკარგავდა თავის სამკურნალო თვისებებს.

გარდა ამისა, ერმოლაევა იცოდა, რომ პენიცილინის აღმოჩენაში პირველობა რუს მეცნიერებს — მეჩნიკოვს, მინასენის და პოლოტენოვს ეკუთვნოდათ და არა ინგლისელ და ამერიკელ ფლემინგს და ფლორემს, იცოდა, რომ რუსული მეცნიერება ყოველთვის დამოუკიდებელი გზით მიდიოდა და გაცილებით მაღლა იდგა ყოველგვარ უცხოურზე, ყოველგვარ საზღვარგარეთულზე, ერთმოლავემაც გადასწყვიტა საკუთარი გზა აერჩია.

ერმოლაევის ლაბორატორიაში მრავალი სახის ობიექტა შესწავლილი, მათ შორის ყველაზე ძლიერი სამკურნალო თვისებები იმ ობიექტს მიღებულ ანტიბიოტიკს აღმოაჩნდა, რომელიც ყუმბართავშესაფარის კედლიდან იყო ჩამოფხვნილი. ამ ანტიბიოტიკს პენიცილინუმ კრუსტოზინი ანუ საბჭოთა პენიცილინი ეწოდა.

მალე საყოველთაოდ ცნობილი შეიქნა, რომ საბჭოთა პენიცილინი — როგორც მოქმედების ფარგლებით (მის სამკურნალო მოქმედებას უფრო მეტი სახის მიკრობები ემორჩილება), ისე

დამზადების ხერხის სიმარტივით, გაცილებით მალე დას ყველა სხვა ქვეყანაში დამზადებულ პენიცილინზე. საბჭოთა მკვლევარებმა და მეცნიერებმა თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს პენიცილინის ხმარებისა და გამო-

ყენების ხერხის გაუმჯობესების საქმეშიც. პენიცილინის აღმოჩენამ ათასობით მკვლევარი ამოქმედდა პენიცილინის მსგავსი ახალი სამკურნალო ნივთიერების საძიებლად.

უიმიღოთა მკურნალი

ჩვეულებრივად სოკოები ტყეში იზრდება. მაგრამ არის ისეთი სოკოებიც, რომლებიც ადამიანის კანზე, ჭაობის წყალში და ასე გასინჯეთ წიწილის ხახამიც კი იზრდება. ეს სოკოები ისე პატარები არიან, რომ შეუიარაღებელი თვალთ არა სჩანან, მათი დანახვა მართო მიკროსკოპით შეიძლება და ამიტომ მიკროსკოპიული სოკოები ეწოდება.

მიკროსკოპიული სოკოების ერთ ჯგუფს სხივოსანი შეხედულების გამო „სხივოსანი სოკოები“ ჰქვია.

სხივოსანი სოკოების ანტიბიოტიკურ თვისებებს საბჭოთა მეცნიერები—კრასილნიკოვი, ნახიშვილი და ბოროდულინი—ჯერ კიდევ 1935 წლიდან სწავლობენ.

1944 წელს პროფ. ვაკსმანმა და შარტემა სხივოსანი სოკოების — სტრეპტომიცე გრიზეუსის ჯგუფიდან ორისაზე გამოაცალკევეს: პირველი ნაქლით მიღდარი ხიდაგიდან, მეორე წიწილის ხაზიდან.

ამ სოკოებისაგან მიღებული იქნა ახალი ანტიბიოტიკური ნივთიერება, რომელსაც სტრეპტომიცინი ეწოდა.

სტრეპტომიცინი მთლად უვნებელი როდია. სტრეპტომიცინს ოდნავ მომწამვლელი თვისება აქვს და ამიტომ დღე და ღამის განმავლობაში ამ ნივ-

თიერების ერთ გრამზე მეტის ხმარება არ შეიძლება.

სტრეპტომიცინის საგანგებო სამკურნალო თვისებაა მისი მოქმედება ქლუპის გამომწვევი მიკრობის წინააღმდეგ.

სტრეპტომიცინი ტუბერკულოზური მენინგიტის და მწვავე მილიარული ტუბერკულოზის დროს მშვენიერ შედეგებს იძლევა.

ტუბერკულოზური მენინგიტით შეპყრობილი მრავალი ბავშვი, რომლებიც სასიკვდილოდ განწირულად და სრულიად უიმედოდ ითვლებოდნენ, სტრეპტომიცინმა განკურნა. სტრეპტომიცინი ასეთ სრულიად უიმედოთა გამკურნავი საშუალება გახდა.

მთელ რიგ მკვლევართა მონაცემებით (პროფესორები: ხინშაუ, ფილდმანი, რაბუხინი, გ. მესტიაშვილი და სხვები) სტრეპტომიცინი გარკვეულ შემთხვევებში კურნავს ფილტვის ტუბერკულოზსაც. მათი დაკვირვებით, სტრეპტომიცინის ზეგავლენით ჰემოტოგენური წარმოშობის ინფილტრატული და ახალი, წვრილი ტუბერკულოზური კერების უკუგანთიარება ხდება. ფილტვის ხაჭოსებური და კავერნებიანი ტუბერკულოზი კი სტრეპტომიცინით არ იკურნება.

ფიტონციდები

1928 წლის ზაფხულის დამდეგი იყო, ლენინგრადის მახლობლად შოთხვისა და არყის ხეები კარგა ხანია მწვანით შემოსილიყვნენ.

პროფესორ ტოკინის სამუშაო მაგიდაზე შოთხვის ახლადმოტიხილ, მწვანე ფოთლებით შემოსილ ტოტს და ერთ

ქიქა წყალს მინის ხუფი ჰქონდა გადახურული, თვითონ პროფესორი ტოკინი მაგიდას უჯდა, ხელში საათი ეჭირა და ხან საათს დახედვდა ხოლმე, ხან კი მინის ხუფის ქვეშ მოთავსებულ წყალს.

15 წუთის წინ პროფ. ტოკინმა ხუფის ქვეშ, შოთხვის ტოტის გვერდზე

მდგარ ქიქაში მოთავსებული წყალი მიკროსკოპით შეამოწმა. ამ წყალში აუარებელი მიკრობები და ინფუზორიები — ერთუჯრედიანი, ქალამანის მოყვანილობის ცოცხალი არსებანი ირეოდნენ.

15 წუთის შემდეგ მინის ხუფი მოხადა და ქიქაში ჩასხმული წყალი კვლავ შეამოწმა. წყალში აღარც ერთი მიკრობი აღარ მოძრაობდა.

მრავალი ასეთი ცდით ტოკინმა ნათლად დაამტკიცა, რომ შოთხვი, არყის ხე, ნიორი, ხახვი და მთელბ რიგი სხვა მცენარეები თავიანთი ცხოველმყოფელობის შედეგად გამოყოფენ ისეთ აქროლად ნივთიერებას, რომელიც მრავალ მიკრობსა და ერთუჯრედიან უმარტივეს წარმოშაქმებზე მომავლადინებლად მოქმედობს. ტოკინმა ამ აქროლად ანტიბიოტიურ ნივთიერებას, რომელიც მცენარეებმა თავიანთი ევოლუციის გრძელ განზე თავდაცვის მიზნით შეიმუშავა, ფიტონციდები უწოდა.

ფიტონციდების თვალსაზრისით გამოკვლეულ იქნა მრავალი მცენარე და აღმოჩნდა, რომ ყველაზე უფრო მეტ და ძლიერ მოქმედ ფიტონციდებს ხახვი და ნიორი იძლევა.

საბჭოთა სწავლულებმა — ი. ტორო-

პტევამ და ი. კანეევამ — შესძლეს ნიორიდან მიკრობთა მომავლადინებელი ნივთიერების გამოყოფა. რომელსაც დეფენზონატი უწოდეს.

1944-45 წლებში ამერიკელმა მეცნიერმა კაველიტომ სრულიად დაადასტურა ტოკინის აღმოჩენა. ნიორიდან ასეთი ანტიბიოტიკური ნივთიერების მიღება კაველიტომაც შესძლო და ალიცინი უწოდა.

პროფ. ხარჩენკომ და ფრიდმანმა ასეთი ნივთიერება ხახვიდან გამოყვეს და ალიჩები უწოდეს. ხარჩენკოს აზრით, ხახვისაგან და ნიორისაგან მიღებული ეს ნივთიერებანი გულის, სისხლძარღვების და კუჭის ზოგიერთ დაავადებათა განსაკუთრებულ შეიძლება გამოიყენოთ.

ამრიგად, ბიოლოგიური წარმოშობის სამკურნალო ნივთიერება აღმოჩენილი იქნა არა მარტო მიკრობთა უჯრედებში, არამედ მაღალი განვითარების მრავალუჯრედიან ორგანიზმებშიც. ტოკინმა ეს ნივთიერება მცენარეთა უჯრედებში აღმოაჩინა, რაც იმაზე მიგვიბრუნებდა, რომ ასეთი ნივთიერება ცხოველისა და ადამიანის ორგანიზმის შემადგენელ უჯრედებშიც უნდა ყოფილიყო.

მეოცე საუკუნის საკმირველმა

თითქოს ძნელი დასაჯერებელია, რომ ავადმყოფი ადამიანის გამკურნავი ნივთიერება თვით ადამიანის ორგანიზმში იყო, მაგრამ ასეთი ანტიბიოტიკური ნივთიერების ძიებამ ცხოველურ უჯრედებში უკვე თვალსაჩინო შედეგები გამოიღო.

პროფ. ზილბერმა და იაკობსონმა მოსკოვში სისხლის თეთრი ბურთულეებიდან ანუ ერითროციტებიდან მიიღეს ახალი ანტიბიოტიკური ნივთიერება — ერითრინი. ერითრინი რამდენიმე გამამდები სნეულებისა და განსაკუთრებით კი დიფტერიის გამომწვევ მიკრობზე მომავლადინებლად მოქმედობს.

რა თქმა უნდა, აქ აღწერილი ახლად აღმოჩენილი სამკურნალო ნივთიერებებით არ ამოიწურება არც ის დიდი მეცნიერული მონაპოვრები და არც ის უდიდესი შესაძლებლობანი, რომლებსაც მიკრობებიდან და მცენარეული და ცხოველური უჯრედებიდან მიღი-

ბული ანტიბიოტიკური ნივთიერებები იძლევიან. მაგრამ მაინც ცხადი ხდება, რომ მედიცინის ეს ახალი დარგი, რომელსაც ანტიბიოტიკები ეწოდება, კაცობრიობის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი მოვლენაა.

სხვადასხვა მიკრობთა ცხოველმყოფელობის შედეგად მიღებული სამკურნალო ნივთიერებანი ანუ ანტიბიოტიკები — გრამიციდინის, პენიცილინის, და სხვათა სახით იმდენ სხვადასხვაგვარ დაავადებებს ჰკურნავენ, რომ ამ სამკურნალო ნივთიერებებს „მეოცი საუკუნის საკვირველება“ უწოდეს.

ანტაგონისტურ მიკრობებს და ანტიბიოტიკურ საშუალებებს დედამიწის ყოველ კუთხეში ათასობით მეცნიერი ეძებს და საკმაო რაოდენობითაც პოულობს; რუსი მეცნიერის ი. ი. მიჩინკოვის მიერ საფუძვლად დაყარული მოძღვრება მიკრობთა ანტაგონიზმზე მედიცინის ახალ მნიშვნელოვან დარგად გა-

იზარდა, მაგრამ მეცნიერების წინსვლა ამ საქმეში აქ არ ჩერდება, მას წინ უთვალავ საიდუმლოებათა ამოცნობა უძევს.

მეცნიერებას არ უნდა დამოკიდებულ იყოს მიკრობების ახირებაზე. მეცნიერების მიზანია ის სამყაროლო ნივთიერება, რომელსაც მიკრობები იძლევიან, ხელოვნურად შექმნას, ამ ნივთიერებათა სინთეზი მოახდინოს. მაგრამ სინთეზი არა უბრალო, რომელიც მიკ-

რობების მიერ მოცემულ სამყაროლო ნივთიერებათა ბრმა განმეორება იქნება, არამედ შემოქმედებითი სინთეზი.

ასეთი შემოქმედებითი სინთეზისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ უახლეს სიტყვას, რომელიც საბჭოთა სწავლულებმა თქვეს მიკრობის—ერთ-უჯრედოანი არსებისა და საერთოდ სიცოცხლის წარმოშობა-განვითარების შესახებ.

უახლესი სიტყვა

მეცნიერებებში საუკუნეში ერთუჯრედოანი არსებისა და საერთოდ ცოცხალი ორგანიზმების წარმოშობის შესახებ გაბატონებული იყო რუდოლფ ვირხოვის რეაქციული აზრი, ყოველივე უჯრედი მხოლოდ და მხოლოდ უჯრედი-საგან წარმოიშობაო.

ეს აზრი ათეული წლების განმავლობაში წინ ელობებოდა და გზას უწიბობდა ყოველ ახალ შემოქმედებით აზრს თვისობრივად ახალი უჯრედის და არა-უჯრედოვანი ფორმიდან ან არაცოცხალი საწყისიდან ცოცხალის და სიცოცხლის წარმოშობის შესახებ.

ვირხოვის რეაქციული თეორიის საფუძვლიანი კრიტიკა და უჯრედის რაობისა და წარმოშობის ახალი მოძღვრება პირველად პროფ. ო. ბ. ლებეშინსკიამ მოგვცა, რომელმაც ჯერ კიდევ 1933 წელს მრავალი თვალსაჩინო ცდებით ნათელჰყო, რომ ცოცხალი უჯრედი შეიძლება წარმოიშვას არა მარტო უჯრედისაგან, არამედ ისეთი ნივთიერებისაგან, რომელსაც უჯრედის აგებულება სრულიად არა აქვს.

ლებეშინსკიას ამ აღმოჩენებამდე, 1892 წელს, ცნობილმა რუსმა მეცნიერმა დ. ი. ივანოვსკიმ დაადგინა, რომ თამბაქოს ეგზერთოიდულ მოზაიკურ დაავადებას იწვევენ უმცირესი მიკრობები, მიკრობები მიკრობთა შორის. რომლებიც ისე მცირეა, რომ ჩვეულებრივ მიკროსკოპში არა სჩანან და ფაფურის ფილტრების უსაზღვრო მცირე ფორებშიც კი გადაიან. ამიტომ ამ მიკრობებს ფილტრში გამავალი ვირუსები ეწოდება.

მეორე გამოჩენილმა რუსმა მეცნიერმა ნ. ფ. გამალიმ 1899 წელს მედიცი-

ნის ისტორიაში პირველად შენიშნა ეგზერთოიდული „ბაქტერიოფაგის მოვლენა“ და დაადგინა, რომ ჩვეულებრივი მიკრობები ზოგჯერ რაღაც ნივთიერებებისა, თუ რომელიღაც წარმონაქმნის შემოქმედებით გამო თვალსაჩინო დაშლას განიცდიან. ეს მოვლენა მედიცინაში ცნობილი შეიქმნა ლიზისის სახელით. ამჟამად საბოლოოდ დადგენილია, რომ მიკრობთა ლიზისის იწვევს ბაქტერიოფაგი, რომელიც წარმოადგენს ისეთ ცოცხალ წარმონაქმნს, რომელსაც უჯრედის ფორმა არა აქვს.

ამგვარად, რუსი მეცნიერების ივანოვსკის, გამალიას და ლებეშინსკიას აღმოჩენებმა გვიჩვენეს, რომ მიკრობთა ბაქტერიოფალი ფორმების გარდა, რომლებიც მიკროსკოპში კარგად სჩანან და ფაქტიურად უჯრედს წარმოადგენენ, არსებობს კიდევ უწყრილესი ვირუსები და ბაქტერიოფაგები, რომელთაც უჯრედის სტრუქტურა არა აქვთ და ცოცხალი ნივთიერების ნაწილაკებს წარმოადგენენ.

ისარგებლა რა ყოველივე ამ მონაცემებით, საბჭოთა მეცნიერმა გ. მ. ბოზინამ ახალი სიტყვა თქვა უჯრედის, მიკრობისა და ვირუსების რაობისა და წარმოშობა-განვითარების შესახებ, მათ შორის ანტიბიოტიკების რაობის შესახებაც.

1903-1904 წლებში ფრანგი მეცნიერები კარე და ვალე ამტკიცებდნენ: ცხენის ინფექციურ ანემიას, რომელიც დედამიწის ყოველ კუთხეშია გაავრცელებული და ცხენების მოშენებას დიდ ზიანს აყენებს, ფილტრში გამავალი ის ვირუსი იწვევს, რომელსაც ანემიით დაავადებული ცხენის სისხლი შეიცავსო.

ცხენის ანემიის წინააღმდეგ საბრძოლველად საჭირო იყო, უპირველეს ყოვლისა, ფილტრში გამავალი ვირუსის ბუნების შესწავლა და მისი რაობის დადგენა.

მეტაბიოტიკურად მოაზროვნე მეცნიერები ფიქრობდნენ, ვირუსი და მიკრობი ორი სრულიად სხვადასხვა წარმონაქმნაა, ისინი მათ შორის საერთოს ვერაფერს ხედავდნენ, ვირუსისაგან მიკრობის წარმოშობა და განვითარება ამ პირობითი მოვლენა სრულიად შეუძლებლად მიიჩნდათ. ამ ყაბად მეთოდით საკითხის შესწავლის დროს ვირუსის რაობის საკითხი ბუნების მიუწვდომელ საილუმოებად რჩებოდა. სხვანაირად ფიქრობენ და მსჯელობენ საბჭოთა მეცნიერნი, რომლებიც დიალექტიკური მატერიალიზმის საფუძველზე დგანან და მიხურინული ბიოლოგიურ მეცნიერების მეთოდებით მუშაობენ.

ერთი მათგანია ცნობილი საბჭოთა მეცნიერი — ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი გ. მ. ბოშაინა.

ბოშაინამ ცხენის ინფექციური ანემიის გამომწვევი ვირუსის ბუნება და რაობა გარემო პირობების ცვალებადობასთან დაკავშირებით შეისწავლა. კვლადაკვალ მიჰყვა და ფიქსაცია გაუკეთა მისი განვითარების ძირითად სტადიებს; და შემდეგი ფაქტი დაადგინა: მაშინ, როდესაც ანემიით დაავადებული ცოცხალი ცხენის სისხლი მხოლოდ და მხოლოდ ვირუსებს შეიცავს და მასში მიკრობები არაფერ არ უნახავს, ანემიისაგან დაღუბულ ცხენის სისხლში ვირუსების ადგილზე მიკრობები ჩნდება ვირუსები მიკრობებად გარდაქმნება.

ვირუსების მიკრობებად გარდაქმნის ვითარება ბოშაინამ საფუძვლიანად შეისწავლა და აღმოჩნდა, რომ ვირუსი არის ცოცხალი მატერიის უმცროსი ნაწილაკი, რომელსაც სიცოცხლისა და გამრავლების უნარი აქვს. მაგრამ მისი სიცოცხლე და გამრავლება დამოუკიდებლად კი არ მიმდინარეობს, არამედ დამოკიდებულია მის გარშემო არსებულ ცოცხალ უჯრედთა ცხოველყოფილობაზე; ცოცხალ ორგანიზმში ვირუსს არა აქვს უნარი დამოუკიდებლად აწარმოოს ნივთიერებათა ცვლა და, მამასადამე, სიცოცხლე და გამრავლება ვირუსი ცოცხლობს და მრავლდება ცოცხალი უჯრედების ნივთიერებათა ცვლის ხარჯზე. მაშინ, კი, როცა ცოც-

ხალი ორგანიზმი კვდება, უჯრედთა მიერ ნივთიერებათა ცვლა წყდება და ცხოველის ქსოვილებშიც ახალ პირობები იქმნება, გარემო მყოფი უჯრედები ნივთიერებათა ცვლას აღარ აწარმოებენ, ვირუსები ან უნდა ამოიხონ ან უნდა შეეგუონ ამ ახალ გარემოს, ცხოვრების ახალ პირობებს და თვითონ დამოუკიდებლად აწარმოონ ნივთიერებათა ცვლა. ბუნებაში არსებული სახელა შენარჩუნებისათვის ბრძოლის კანონის ძალით ვირუსები უკანასკნელს ირჩევენ და ახალ გარემოსთან შესაგუებლად თავიანთ ბუნებას იცვლიან და ახალ ფორმას ღებულობენ. ამისათვის ვირუსებში, უპირველეს ყოვლისა, ერთმანეთისაკენ მიიღებიან და მარცვლოვან აგებულებას ღებულობენ. თავის მხრივ, მარცვლოვან შენაერთებსაც უდიდესი აქტივობა და შეერთების ტენდენცია ახასიათებთ. ვირუსის შენაერთები კი მარცვლოვანობის სტადიაში მიკრობის ამა თუ იმ ფორმად კრისტალდებათ, იმის მიხედვით, თუ როგორია გარემო პირობები.

ამ სტადიაში ვირუსების მარცვლოვანი შენაერთები ძალიან არა მყარია და შეგვიძლია უმნიშვნელო ზემოქმედებით ანუ გარემო პირობების ოდნავი შეცვლით ჩვენი სურვილისამებრ წარმართოთ მათი განვითარება.

ამრიგად, გ. მ. ბოშაინამ დაადგინა რომ ცილოვანი სხეულაკები ვირუსების შენაერთებად ყოფნის სტადიაში წარმოადგენენ იმ საწყისს, რომლიდანაც წარმოიშობა ცოცხალი მიკრობების სხეული მისთვის დამახასიათებელი ყველა თვისებით. ამ საწყისზე სათანადო ფიზიკოქიმიური, ქიმიური, კვების და ბიოლოგიურ ფაქტორების ზემოქმედებით შეიძლება ჩამოვაყალიბოთ მიკრობის, ცხოველისა თუ მიკნარის ჩვენითვის სასურველი ფორმის უჯრედი. თავის მხრივ, მიკრობი შედგება ათასი ასეთი ნაწილაკებისაგან და ყველა მათგანს, მიკროორგანიზმის რაიმე მიზეზის გამო დანაწილების შემთხვევაში, უნარი აქვს გამრავლდეს და ისევე მიკრობი წარმოიშვას. ამიტომ არის, რომ ერთი მიკრობი ასეთი დაშლა-დანაწილების შემთხვევაში ერთდამთავი დროს ათასობით მიკრობს აძლევს საწყისს.

ბოშაინამ ისიც დაადგინა, რომ ვირუსების წარმოქმნა ცილიდან და მიკრო-

ბების წარმოშობა ვირუსებიდან ხდება დაცრისტალემის გზით, და საერთოდ ცოცხალ სხეულთა ფორმირება წარმოებს არა უფრო მოცილოვანი მასიდან, არამედ ცილოვანი ნივთიერების კრისტალიზაციის მეოხებით; ცილის სრულიად უმნიშვნელო ნაწილაკიდანაც კი მისი კრისტალიზაციის საშუალებით შეიძლება წარმოიშვას მიკროორგანიზმის, მცენარის ან ცხოველის უჯრედი. ეს დებულება იმით მტკიცდება, რომ ვირუსებიც და მიკრობებიც შეიძლება გადაყვანილ იქნეს ისეთი კრისტალების ფორმაში, რომლებიც გარკვეულ პირობებში შეიძლება ისევ ფილტრში გამავალ ვირუსებად ან მიკრობებად ვაქციოთ.

ბოშინის ამ აღმოჩენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. იგი გვახლოვებს ცოცხალსა და არა ცოცხალს შორის საზღვრის დადგენასთან. გვახლოვებს სიცოცხლის წარმოშობის გაგებასთან არაცოცხალი, არაორგანიული სამყაროდან; გვიჩვენებს, რომ სიცოცხლე წარმოიშვა არა მარტო უხსოვარ დროში, არამედ იგი ახლაც განუწყვეტლად წარმოიშვება. ბოშინის ამ აღმოჩენამ ახალი სხივი მოჰფინა მედიცინის ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებს, როგორცაა იმუნიტეტის, ბაქტერიოფაგის, სამკურნალო შრატების, ალერგიების და ანტიბიოტიკების საკითხები.

ბოშინის ამ აღმოჩენამდე ანტიბიოტიკები მიჩნეული იყო არაცოცხალ ნივთიერებად.

ბოშინმა კი ანტიბიოტიკების ახალი მეთოდით შესწავლის შედეგად შესძლო პენიცილინის, სტრეპტომიცინის, აერომიცინის და სხვა ანტიბიოტიკებიდან იმ მიკრობების მიღება, რომელთაგანაც ეს ანტიბიოტიკები იყო მიღებული. პენიცილინიდან მან მიიღო ის საწყისი სოკო, რომლიდანაც პენიცილინი იყო მიღებული და რომელიც კარგად იზრდებ-

და თხიერ და მყარ საყვებ ნიადაგზე; ასეთივე საწყისი კულტურები მიიღო სტრეპტომიცინის, აერომიცინის და სხვა ანტიბიოტიკების სხვადასხვა სერიიდან.

ამით ბოშინმა დაამტკიცა ანტიბიოტიკების ცოცხალი ბუნება და ცხადყო მცდარობა და მეცნიერული დაუსაბუთებლობა იმ თვალსაზრისისა, რომელიც ანტიბიოტიკებს მკვდარ, სტერილურ წარმონაქმად მიიჩნევდა; ანტიბიოტიკური ნივთიერებანი სხვა არაფერს წარმოადგენენ თუ არა ფილტრში გამავალ ფორმებს იმ მიკრობებისას, რომლებიდანაც ისინია მიღებული.

მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას ანტიბიოტიკების მიერ სხვა მიკრობების ზრდის შეჩერების უნარი. აქედან გამომდინარე მხოლოდ იმ ანტიბიოტიკებსა აქვს პრაქტიკული ღირებულება, რომლებიც ამა თუ იმ ანტიბიოტიკური მიკრობის ფილტრში გამავალი სახის უაქტივეს ფორმას შეიცავენ.

ანტიბიოტიკების სამკურნალო მოქმედების ასეთი ახსნის შემდეგ შესაძლებელი ხდება მათი მოქმედების ეფექტიურობის ძლიერი ამაღლება და ახალი ძლიერი ანტიბიოტიკების აღმოჩენა.

უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენს ქვეყანაში ახლო მომავალში აღმოჩენილი და ფართოდ გამოყენებული იქნება მრავალი ანტიბიოტიკური ახალი სამკურნალო ნივთიერება და ისინი მრავალ ისეთ დაავადებას მოსპობენ, რომელთაც აქამდე არსებული სამკურნალო ნივთიერებანი ვერ ჰკურნავდა. ამის სრული საწინდარი ჩვენი ქვეყნის მკვლევართა თავდადებული შრომა და ის უდიდესი ყურადღება რომელსაც სამედიცინო მეცნიერებისადმი, ისევე როგორც მეცნიერების ყველა სხვა დარგისადმი, იჩენს საბჭოთა ხელისუფლებამ, კომუნისტური პარტია და ხალხთა დიდი ბელადი სტალინი.

ბიბლიოგრაფია



მ. გორაკი ახალგაზრდობის შესახებ

საბლიტგამი, 1950 წ.

კენიალური რუსი მწერლის, საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდებლის — მ. გორაკის შემოქმედებით გზა ორგანულად არის დაკავშირებული ბოლშევიკური პარტიის გმირულ ბრძოლასთან. გორაკი იყო შრომელთა უდიდესი ბელადების — ლენინისა და სტალინის უახლოესი მეგობარი. მათი უშუალო და ღრმა გავლენით მ. გორაკიმ თავის ნაწარმოებებში შესანიშნავად ასახა ის ისტორიული ეპოქა, რომელიც დაკვირვებინდა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით. „გორაკის მხატვრული სიტყვის გავლენა ჩვენი რევოლუციის ბედზე, — ამბობდა ამხანაგი ვ. მ. მოლოტოვი გორაკის დაკრძალვის დღეს, — უფრო უშუალო და უფრო ძლიერია, ვიდრე ჩვენი რომელიმე სხვა მწერლის გავლენა. გორაკი სწორედ ამიტომ არის პროლეტარული, სოციალისტური ლიტერატურის ნამდვილი მამათავარი ჩვენს ქვეყანაში და მთელი მსოფლიოს შრომელთა თვალშიც...“

გორაკის სიდიადე იმაში მდგომარეობს, რომ მისმა ნათლმა გონებამ, ხალხთან სიახლოვემ და კაცობრიობის კულტურის მიღწევითა ითვისებისათვის თავდადებულმა გიგანტურმა შრომამ გაახადეს იგი შრომელთა თავდადებულ მეგობრად და კომუნისმის საქმისათვის ბრძოლის უდიდეს სულისჩამდგმელად“. (გვ. 4-5).

უსაზღვროდ უყვარდა მ. გორაკის ჩვენი მომავალი თაობა. იგი იყო ახალგაზრდობის ბრძენი მისწავლებელი და დამრიგებელი. იმიტომ კარგი საქმე გაეთდა მ. გორაკის შესანიშნავი წიგნის „ახალგაზრდობის შესახებ“ — ქართულ ენაზე გამოცემით. წიგნი წარმოადგენს ახალგაზრდობის შესახებ მ. გორაკის სტატიებისა და წერილების, სიტყვებისა და შენიშვნების კრებულს. წიგნი, რომელსაც წიმბღვარებული აქვს ვ. მ. მოლოტოვის სიტყვა, წარმოიქმნელი წითელ მოედანზე 1936 წლის 20 ივნისს გორაკის დაკრძალვის დღეს, — შესდგება სამი განყოფილებაში: პირველ განყოფილებაში — „მ. გორაკი საბჭოთა ახალგაზრდობის შესახებ“ — შესულია მისი წიგნი მწერლის პუბლიცისტური სტატიებიდან, წერილებიდან და ნარკვევებიდან, მისი სიტყვები წარმოთქმული ახალგაზრდობასთან შეხვედრისას; მეორე განყოფილება დათმობილი აქვს თემს — „მ. გორაკი კამბოჯის სტატიები“;

წიგნის ახალგაზრდობის შესახებ; უკანასკნელ მესამე განყოფილებაში მოთავსებულია მისი წიგნი თვითონ მწერლის ახალგაზრდობის შესახებ.

დიდი ჰუმანისტი, გამოჩენილი პროლეტარული მწერალი ალექსი მაქსიმეს-ჰე ჩვენს ახალგაზრდობას მუდამ უნერგავდა ღრმა სიყვარულს და ერთგულებას დადი სოციალისტური სამშობლოსადმი, დიდი ბელადის ამხანაგი სტალინისადმი. ახალგაზრდობისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ მისი წიგნში მ. გორაკი წერდა: „სიამურია ცხოვრება და ბრძოლა იმ ქვეყანაში, სადაც დადი სიბრძნე პარტიისა და რკინის ნებისყოფა მისი ბელადის, ოსებ სტალინის, სამუდამოდ ათავისუფლებს ადამიანს წარსულის წყველად ჩვეულებისა და ცრუმორწმუნეობისაგან.“

მეგობრული იცხოვრეთ, ამხანაგებო, გიყვარდეთ თქვენი მეორე დედა, ჩვენი ძლიერმოხილი სოციალისტური სამშობლო“ (გვ. 8).

მ. გორაკი დიდად აფასებდა ბოლშევიკური პარტიის მარგანინებულ ძალას ახალგაზრდობის საქმეში. საყვარელი მწერალი აღნიშნავდა, რომ ჩვენი საბჭოთა ახალგაზრდობის წინაშე ხსნილია ყველა გზა კიდევ უფრო ბრწყინვალე მომავლის შესაქმნელად. „საბჭოთა ახალგაზრდობაში, — წერდა მ. გორაკი, — სულ უფრო და უფრო ღრმად არის გამჯდარი პარტიის ფესვები, ნიადაგიდან იგი იწოვს ყველაზე ძვირფას წვენს, საზრდობს რა ახალგაზრდა ენერგიით, რევოლუციურად აორგანიზებს, მრავალფეროვან კვალიფიკაციას აძლევს ამ ენერგიას და ქვეყანას ამდიდრებს ინტელიგენტური ძალით. ეს არის — მოავარო, ყველაზე უფრო ძვირფასი, ყველაზე უფრო გადამწყვეტი ყოველივე იმისაგან, რაც კი ჩვენს უმშვენიერეს, უმდადრეს, ბუმბერაზ, ბედნიერ ქვეყანაში იქნება“ (გვ. 8).

მიუხედავად იმისა, რომ განუწყვეტლივ ეწეოდა დიდ შემოქმედებით მუშაობას, გორაკი მაინც ახერხებდა სისტემატური მიმოყურა ქმონდა ჩვენი ქვეყნის პოინერებთან, მოსწავლეებთან. მას დიდად ახარებდა პიონერების წერილების კითხვა მათი ცხოვრებისა და აზრების გაცნობა.

მ. გორაკის ყველა სტატიასა და წერილში მთელი ზოლივით არის გავლებული ის აზრი, რომ ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდა

სახელმწიფოებრივი საქმეა. 1927 წელს დაწერილ სტატიაში „ახლისა და ძველის შესახებ“ დიდი მწერალი წერდა: „შვილების სიყვარული — ეს ხომ ქათამსაც შეუძლია. მაგრამ შეგვიღოს მათი აღზრდა — ეს უდიდესი სახელმწიფოებრივი საქმეა, რომელიც ნიჭისა და ცხოვრების ფართო უოდნის მოითხოვს. ბავშვის თუ მისი შეკითხვაზე უთხარი „მოითმინე, გაიზრდება — გაივება“, ეს ნიშნავს ჩაახშო მისი მისწრაფება უოდნისადმი. ბავშვის შეკითხვაზე ახრანის პასუხის გაცემა — დიდი ზელოვნებაა, და ის სიფრთხილეს საქმეობებს“ (გვ. 12-13).

მ. გორაკი ახალგაზრდობას მოუწოდებდა ესწავლა დაინებოთ, შეუბოვრად, დაუფლებოდნა მეცნიერებას, ტექნიკას, კულტურას, ყვარებოდნა შრომას. „გვიყარდეთ შრომა. გვრავითარი ძალა ვერ ატყვეს ადამიანს დიდად და ბრძენად, როგორც ეს შრომის ძალას — კოლექტიური, ერთსულოვანი, თავისუფალი შრომის ძალას შეუძლია“, — წერდა მ. გორაკი ძირფენის სახელობის კოლონიის აღსაზრდელებს. არკუტისკის სკოლის ბერ კლასის მოსწავლეებს ასეთ რჩევა-დარჩევას აძლევდა: „თქვენ უნდა შეიგნოთ, რომ ჩვენს ქვეყანაში პატარა და დიდი საქმეები არ არსებობენ, რომ ყოველი საქმე, ყოველი სამუშაო — მსოფლიოში პირველი, ჯერ არსებული სახელმწიფოს, ტომისა და ენის განურჩევლად ყველა შრომელის სამშობლოს მშენებლობის დიდი საქმეა“ (გვ. 193).

მ. გორაკის სტულდა სიზარმაცე და უენარობა. იგი ვერ იტანდა სწავლაში ჩამორჩენილ მოსწავლეებს და მავრადეუ ჰკიცხავდა მათ. პენსელ პონერებისადმი მიწერილ წერილში მწერალი მკაცრად მიმართავდა სწავლაში ჩამორჩენილებს: „თქვენ და თქვენგვარ გაბედულ დაუდევრებსა და უთაურებს შეგარცხვით, რომ თქვენი აზრის ნათლად გამოთქმა არ გვებრუნებთ, შეგარცხვით ვრამატკის უცოდინარობისა...“

რცხვენოდეთ თქვენი სკოლის რუსული ენის მასწავლებლებს, როგორ ურავდებთან ისინი იმას, რომ მეოთხე კლასის მოსწავლეები ასე უცოდინარად წერენ“ (გვ. 198).

მ. გორაკი სიზარმაცეს გონების სიმახინჯეს უწოდებდა. იგი აღნიშნავდა, რომ გონებრივი სიმახინჯის საფუძველია გონების სიზარმაცე. ამ სიმახინჯეს ჩვეულებრივ ერთი სიტყვა უწოდება — სიბრყივე. „სწავლა, ამხანაგო, ყოველთვის საჭიროა, მთელ ცხოვრებაში, ეს კარგი საქმეა, და იგი ბევრ სიხარულს ანიჭებს ადამიანს“, — არივებდა მ. გორაკი ერთ-ერთ ახალგაზრდას.

არ შეგიძლიათ აუღლებლად წაიკითხოთ მ. გორაკის სიტყვები და მისალმებანი ახალგაზრდობისადმი, კომკავშირისადმი. ამ სიტყვებში ბოლშევიკური მგზნებარობათა და პარლამენტობით დასმული და გადაჭრილია ყველა ის მტიკონეული და საჭირობოტო საკითხი, რომლებსაც ჩვე-

ნი სახელმწიფოს წინსვლის ამოცანები აყვებდნენ. მ. გორაკის მისალმება 1936 წლის აპრილში სიკავშირო აღკე მე-10 ყრილობისადმი უდიდესი მოვლენა იყო კომკავშირის ცხოვრებაში. ამ წინსალმებაში მოკლედ და ღრმად არის გამოუტებული საბჭოთა ახალგაზრდობის ამოცანები კომუნისტების აშენებისათვის ბრძოლაში. მ. გორაკი მისალმების დასასრულს წერდა:

„მთელი ჩემი სულიერი ძალით მივესალმები სხრ კავშირის კომკავშირს. ერთსულოვანი, წარმატებულ მუშაობას ვუსურვებ რა ყრილობას, მწამს რომ სწორედ ასეთი იქნება იგი. ურყევად მწამს თქვენი გამარჯვება, ამხანაგებო, — გამარჯვება ყველაფერში, რის კეთებასაც კი თქვენი დაიწყებთ კოლექტიურნობებში, ფაბრიკებში და ყველგან, სადაც კი თქვენი გმირული ენერგია შეიჭრება. ასევე ურყევად მწამს თქვენი გამარჯვება ბრძოლის ველზედაც, მსოფლიოში იმ პირველი არმიის მოწინავე მებრძოლებო, რომელიც გამარჯვებისათვის არის მოწოდებული ისტორიის მიერ“ (გვ. 205 — 206).

მ. გორაკი შემოიარა მთელი ჩვენი დიდი სამშობლო და გამოაქვეყნა შესანიშნავი ნარკვევები — „მოგზაურობა საბჭოთა კავშირში“. საბჭოების ქვეყანა — მშვიდობისა და შემოქმედების ქვეყანაა. მ. გორაკი ბედნიერ კაცად თვლიდა თავს საბჭოთა ქვეყანაში: — „დღეს მე ბედნიერი კაცი ვიქნები, — ამზობდა მ. გორაკი პონერების ერთ-ერთ კრებაზე — ეს სწორია. თქვენი წინაშე მართლაც ბედნიერი კაცია, რომლის ცხოვრებაშიც განხორციელდა მისი საუკეთესო ოცნება, მისი საუკეთესო იმედები“.

1928 წელს მ. გორაკი თბილისში ჩამოვიდა. მან ინახულა კორკის ობოლ ბავშვთა ახალშენი — „სახავშო ქალაქი“, რომელიც საუცხოოდ მოწყობილი სახავშო კერას წარმოადგენდა. მწერალმა სიყვარულით დაათვალიერა ბავშვთა ქალაქი, დიღხანს ესაუბრა და ეალერსა ობოლ ბავშვებს, მგრძნობიარე სიტყვით მიმართა მათ. საყვარელ მწერალს ქართულმა ინტელიგენციამ მეტად გულთბილად შეხვდნა მოუწყწი. მ. გორაკი ამ შეხვედრას მეტად მგრძნობიარე სტრატონების უძღვნა, რომელიც შევიდა მის ნარკვევებში „მოგზაურობა საბჭოთა კავშირში“.

მ. გორაკი ჩვენს ახალგაზრდობას მოუწოდებდა შეესწავლათ და ყარგად ცოდნოდთ ჩვენი სოციალისტური სამშობლო, მისი სიმდიდრე, მისი დაუშრეტელი წიალისეული. 1931 წელს ეტრნალ „მოლოდითი ბოლშევიკის“ რედაქციისადმი მიწერილ წერილში — „ვალდებულნი ხართ იცნობდეთ თქვენი ქვეყნის საუარეებს“, — წერდა: „არ იცნობდეთ — ნიშნავს არ ფლობდეთ დაუფლებმა გვისწავლის გამოყენების ოსტატობის, ხოლო რაც უფრო უკეთ გებრძებნა იდამიანს ბუნების ძალთა გამოყენება, მით უფრო სრულყოფილია

მისი იარაღი ცხოვრებისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

მ. გორაკი გვასწავლიდა, რომ ახალგაზრდობა კარგად უნდა იცნობდეს მუშათა კლასისა და ბოლშევიკური პარტიის ისტორიულ როლს, იცნობდეს წარსულს, რომ უფრო კარგად დააფასოს აწმყო. დიდი მწერალი იდგურს მუშაობის ძირითად ამოცანად თვლიდა ისეთი ახალგაზრდა თაობის აღზრდას, რომელიც პირადულზე მაღლა აყენებს საზოგადოების ინტერესებს და თავდღებით იბრძვის კომუნისტური საბოლოო გამარჯვებისათვის ზევინს ქვეყანაში.

მ. გორაკი სიყვარულით, მშობლიურად ასწავლიდა და ეხმარებოდა ახალგაზრდა დამწყებ ლიტერატორებს. ამ მხრივ მეტად საყურადღებო მასალებია მოთავსებული წიგნში. ორუტესკის სკოლის მე-4 კლასის ბიონერულმა ლიტერატურულმა წრემ დასწერა წიგნი—„ცხვირბაჭუთა ბაზა“. მ. გორაკი მას მეტად საინტერესო წიგნი უწოდა და ნორჩ შემოქმედებს მამობრივი რწმევა-დარბევებით აღსავსე წერილი მისწერა: „საჭიროა ისწავლოთ წერა ადამიანებზე, ცხოვრებაზე, ისე რომ ფრანგში არ იქნას შედგენილი სიტყვა, რომ ყოველ ფრანგს საყვარელი უხსტად და ცოცხლად სწორედ იმას უხატავდეს მეთხველს, რის ზვენივაც თქვენ ვინდათ“ (გვ. 192). ერთ-ერთ ახალგაზრდა ლიტერატორს მ. გორაკი წერდა: „თქვენ გულდასმით უნდა შეიძინოთ ცოდნა— მხოლოდ მაშინ გვეყნებათ ფართო პორიზონტი და ადამიანის ხასიათის გავების ის უნარი, რომელიც ესოდენ საჭიროა ლიტერატურის მოღვაწეთათვის. კარგი წიგნების კითხვით გაიფართოეთ პორიზონტი, გაითმუკობინეთ გემოვნება. გიჩვენეთ აკიხობი და ისწავლოთ კლასიკოსები: პუშკინი (სრამარტო ლექსები, არამედ პრიზაქი), ტურგენევი, ტოლსტოი... რომ წერო, საჭიროა იცოდეს, ზოლო რომ იცოდეს, უნდა ისწავლოს, და კიდევ ისწავლო, როგორც მთელი მსოფლიოს პრილეტარიატის ბეღიღმა ვ. ა. ლენინმა თქვა“. (გვ. 197).

ღრმა სიმატლით გვიხატავს მ. გორაკი კაბიტა-ლისტური ქვეყნების ახალგაზრდობის დუხტორი ცხოვრებას. იგი აღნიშნავდა რომ კაბიტალიზმი, ფაშიზმი სწამლავს ახალგაზრდობის ცხოვრებას, ახშობს მის მისწრაფებას ცოდნისაყენ, ნაყოფიერი შემოქმედებითა შრომისაყენ.

„პურეზიოელი სახელმწიფო, — აღნიშნავდა მწერალი, — ინდივიდუალიზმს ეყრდნობა და ახალგაზრდობის გულმოდგინედ ზრდის თავისი ინტერესებისა და ტრადიციების სულისკვეთებით“. (გვ. 251).

მ. გორაკი საბჭოთა ქვეყნის მუშათა ახალგაზრდობას ასწავლიდა, რომ კარგად გაეგო განსხვავება ახალი, სოციალისტური ინდივიდუალიზმის აღზრდის აუცილებლობასა და მუშაობის, ადამი-

ნის დამახინჯებელ ცხოველურ, მხეცერ ინდივიდუალიზმს შორის, რასაც იდგვილ ვექსკაბიტალისტური ქვეყნებში.

მ. გორაკი სამარტუზინო ბოძვე აკრავდა ფაშიზმსა და მის რასათულ თეორიას.

„რეპეცია — ეს სასოწარკვეთილების რეპეცია, — წერდა გორაკი, — აგონიაში მყოფი საზოგადოების კრუნხვება. მე მგონია, რომ წარსულში რეპეციას არასდროს არ მიუღია ისეთი უნიჭო და საზოგადოების სახე, როგორსაც ახლა დუხტობს იგი ვეროპასა და ამერიკაში“ (გვ. 173-74). „იი, მავალითად, ჩერჩილი, — ზიზლით აღნიშნავდა მწერალი, — ის, რა თქმა უნდა, უკვე აღარ არის ადამიანი, არამედ წარმოადგენს რაღაცას, ვეღლაფერზე უარესს, იგი უარესად დამახინჯებელია, როგორც არსება, რომელშიც კლასობრივი ნიშანი გამოსახულია სრულიად იდუალურად, მისი კონსერვატიზმისა და საბჭოთა კავშირის ხალხისადმი მხეცერი სიძულვილის ფორმაში“. მ. გორაკის ეს სიტყვები დღესაც დიდი სიძლიერით ეღერენ.

მშრომელთა ბედნიერებისათვის გეზუნებარე მებრძოლი გორაკი მოგვიწოდებდა მშვიდობისათვის ბრძოლისაყენ. იგი მუდამ ამტკიცებდა, რომ შრომის ადამიანებს უნარი შესწევთ იდეოლოგის სისხლისმღვრელი ზოცვა-უღვრე, რომ შათ დუხტერებელი ძალები აქეთ, რათა ალაგმონ თმის გამაღლებლები. ორუტესკის მოსწავლეებს გორაკი წერდა: „ჩვენ წარმოვადგენთ ქვეყანას, რომელიც მშვიდობის საქმეს ემსახურება“.

მეტად საინტერესო მასალებს შეიცავს წიგნის უკანასკნელი განყოფილება. აქ მეთხველი გუნობა მ. გორაკის მდიდარ ბიოგრაფიას, მისი ახალგაზრდობის ცხოვრების პერიოდს. მ. გორაკი უზრალოდ, სიმატლით, გრძნობით გვეცნობს თავის დუხტორი ცხოვრებას ძველ დროში. დიდი აღმზრდელობით მნიშვნელობა აქვს გორაკის უკდავ სიტყვებს:

„...წიგნები მე სხვა ცხოვრებაზე მიხურჩულებდნენ, უფრო ადამიანურზე, ვიდრე ის ცხოვრება იყო, რომელსაც მე ვიცნობდი... წიგნები მიმოითებდნენ ჩემს ადგილს ცხოვრებაში, აღფრთოვანებდნენ ჩემს გონებასა და გულს... წიგნები სულ უფრო აფართოებდნენ ჩემს წინამეგსამყაროს საზღვრებს და იმის შესახებ მიმოითრობდნენ, თუ რა რივ დაადი და წარმტაცია ადამიანი უკეთესისაყენ მისწრაფებაში... ვიყვარდი წიგნი, ის ვაკაიდელოებთ ცხოვრებას, მეგობარულად დავგებმარებთ გაერკეთ აზრების, გრძნობების, მოგვენების ჭრებსა და ბოზობარ არვე-დარვევაში, წიგნი გასწავლით პატეცია სცეთ ადამიანსა და თქვენსავე თავს, იგი გონებასა და გულს აღფრთოვანებს სამყაროსა და ადამიანისადმი სიყვარულის გრძნობით“. (გვ. 249 — 270).

დიდი ხალხის დიდი შვილის გენიალური აზრები, ბრძნული დარჩევნები დიდ დახმარებას გაუწიეს ჩვენ პარტიულ, კომპარტიულ მუშაობებს ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში.

სამწუხაროდ, გორკის ამ შესანიშნავი კრებულის ქართული თარგმანი (მთარგმნელი ბ. გომიჯიძე) ყოველთვის ვერ დგას გორკის ნაშრომების სტილის სიმადლებზე.

ბ. გინევილაშვილი

ჩინეთის ახალი ლიტერატურის ფუძემდებელი

(ლუ სინი. მოთხრობები. საბლიტგამო, 1951 წ.)



ჩინელი ხალხი ერთ-ერთი უძველესი კულტურული ხალხია მთელ მსოფლიოში. ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში ჩვენს ერამდე მდინარე ხუან-ხეს ნაპირებზე შეიქმნა პირველი ჩინური მონათმფლობელი სახელმწიფო — შან-იანი.

ჩინური მატერიალური და სულიერი კულტურა აგრეთვე უძველესია. ევროპის ერები ჯერ კიდევ შუასაუკუნოებრივ ბარბაროსობის განიცდიდნენ, როდესაც ჩინელი ხალხმა შექმნა თავისი ფილოსოფია (ლაო-ძი, იან-ჯუ, ვან-ჩენი), ლირიული პოეზია (ლი-ბო, ლუ-ფუ, ზო ძი-ი), ყოფა-ცხოვრებითი ნოველა (ზი სინ-ძიანი, ლი გუნ-ძი), შესანიშნავი ფერწერა (ვან-ვეი, ლი სი-სინი). ფეოდალური ჩინეთის ეგრეთწოდებულ ტანის დინასტიის ეპოქაში (618 — 907 წ.წ.) შეიქმნა საუცხოო ჩინური კერამიკა, დაიწყო ჩაის გაშენება, დაიწერა ლირიული პოეზიის შედევრები. სამართლიანად აღნიშნავდა ამხ. ფადევეი, რომ „გამარჯვებული ჩინელი ხალხი — დიდი ჩინური კულტურის მემკვიდრეა. იგი გადავიშლის თვალწინ ყველაფერ იმას, რაც საუკეთესო იყო ჩინეთის ძველ კულტურაში... რაც შექმნილია გამოჩენილი შემოქმედების მიერ, რომელნიც ფეოდალურ წრეებს ეკუთვნოდნენ, მაგრამ ხალხის სულს გადმოგვიცემდნენ“.

მაგრამ, ჩინეთის სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკურ-კულტურული განვითარება თავისებურ ფორმებში მიმდინარეობდა და ჩინელი ხალხის მიერ შექმნილ დიდ კულტურას ვერ შეეცა შემდგომი ბუნებრივი განვითარების საშუალება. სამი ფაქტორი ახდენდა უარყოფითი გავლენას ჩინელ ხალხის კულტურულ განვითარებაზე: კონფუცის ფილოსოფია, „დიდი ჩინური კედელი“ და მანჯურების დინასტიის ხანგრძლივი ბატონობა.

კონფუცის რეაქციულმა ფილოსოფიამ მძიმე კვალი დააჩნა ჩინურ კულტურას. იგი ქადაგებდა მშრომელთა დამონებას, სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკურ-კულტურული ცხოვრების უმორჩაობას და უცვლელობას. „ჩინურმა დიდმა კედელმა“, რომელსაც ლუ-სინმა „წყე-

ული კედელი“ უწოდა, ჩამოაშორა ჩინეთი დანარჩენ ქვეყნების პროგრესულ განვითარებას. მანჯურების დინასტია, რომელიც 268 წლის მანძილზე ბატონობდა ჩინეთში, — ყველაზე მძიმე და აუტანელი დრო იყო ჩინელი ხალხისათვის. მაშინ ჩინეთის ფეოდალიზმი გახრწნის და დაცემის მდგომარეობაში იმყოფებოდა. მანჯურების ეპოქის დროს ჩინეთის ჩამორჩენილობით და უმორჩაობით ისარგებლა ევროპის ბურჟუაზიამ, რომელიც თავისი ჯარით, ვაჭრებით და მისიონერებით, შეიჭრა ამ ქვეყანაში მისი სრული დამონების მიზნით.

ცნობილი თანამედროვე ჩინელი კრიტიკოსი ჯოუ იანი წერს: „ლუ სინი — ჩინეთის უდიდესი განმანათლებელი, — ახალი კულტურისათვის ბრძოლის დროს ამორჩაებდა ჩვენს ეგრედწოდებულ „ნაციონალურ სულს“, ესე იგი ჩვენს ჩამორჩენილობას, რომელიც ფეოდალიზმისა და იმპერიალიზმის მრავალწლოვანმა ბატონობამ შექმნა. ლუ სინს სჯეროდა, რომ ახალი ნაციონალური სული დაიბადებოდა“.

წინააღმდეგობის გაუწევლობის რეაქციულმა „თეორიამ“ თავის დროზე საშუალება მისცა ევროპელ კოლონიზატორებს უდანასწორო ხელშეკრულებების დადებით ხელში ჩაეგდოთ ეს ვრცელი და მდიდარი ქვეყანა. „მრავალი წლების მანძილზე, იმპერიალიზმში, ერთის მხრივ, თავს ესხმოდა ჩვენს ქვეყანას, მეორეს მხრივ, მთელ მსოფლიოს წინაშე სხვადასხვა საშუალებებით დამამიცრებელი, დამახინჯებელი სახით წარმოადგენდა ჩინელ ხალხს, როგორც ჩამორჩენილ ნაციას“ (ჯოუ ენლი).

მაგრამ, დავივილია ოქტომბრის დიდმა სოციალ-დემოკრატიულმა რევოლუციამ. ოქტომბრის რევოლუციის ქვეყნების ზალეებმა მოგვიტანეს მარქსიზმი-ლენინიზმი, — ამბობს მთი ძე-დუნი. და მართლაც, ოქტომბრის რევოლუციის უშუალო გავლენით 1921 წელს შეიქმნა ჩინეთის კომუნისტური პარტია, რომელმაც მიიყვანა ჩინეთის 475 მილიონიანი ხალხი იმპერიალიზმსა და ფეოდალიზმზე ისტორიულ გამარჯვებამდე. თანამედროვე ჩინური ლიტერატურის ვან-

უთარება უშუალოდ დაკავშირებულია ჩინელი ხალხის პრობლემისთან ადგილობრივი ფეოდალიზმისა და უცხოელი იმპერიალისტების წინააღმდეგ. ლუ სინი პირველად გამოდის ლიტერატურულ ასპარეზზე 1918 წელს. ლუ სინი წერდა „უწინ მე მხოლოდ ვგრძნობდი, რომ ძველი საზოგადოება გახრწნას განიცდიდა, და მსურდა ახალი საზოგადოება მიხედა... მაგრამ მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ შევხვდი, რომ ამ ახალი საზოგადოების შემქმნელი პროლეტარიატი იქნება“. ლუ სინი ერთ-ერთი მეთაურთაგანი იყო ვერდწოდებული „ლიტერატურული რევოლუციისა“, რომელიც აღმოცენდა ჩინური ინტელიგენციის პროგრესულ წრეებში 1919 წლის 4 მაისს ანტიიმპერიალისტური, ანტი-იპონური მოძრაობის გავლენით. ამ „ლიტერატურული რევოლუციის“ ერთ-ერთი ლოზუნგი იყო ჩინური ახალი სალიტერატურო ენის დამკვიდრება ცოცხალი სასაუბრო ხალხური ენის საფუძველზე.

ლუ სინი (1881 — 1936) ამ ლიტერატურული მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი და ჩინეთის ახალი ლიტერატურის ფუძემდებელი იყო. 1919 წლის 4 მაისის მოძრაობის დროიდან ყველა პროგრესული რევოლუციური მწერალი ლუ სინის მეთაურობით დაერთებინათ ეძიებდა ისეთ გზას ლიტერატურისათვის, რომელიც რეალისტურად და ხალხის მასებთან გაერთიანებამდე მიიყვანდა მას (ჯიუი იან).

ლუ სინმა პირველმა ჩინურ ლიტერატურაში თავის ნაწარმოებებს მთავარ მოქმედ პირობად ჩინელი გლეხი გახადა. გლეხთა ამ გაღვივებულ ყველაზე ცნობილია უმიწაყლო გლეხი აკიუ, რომელსაც არც სახლი, არც ოჯახი და არც გვარი გააჩნია. მოთხრობაში „ა-კიუს ნამდვილი ისტორია“ ლუ სინი დიდი რეალისტური ძალით გვიხატავს ძველი ჩინეთის სოფლის სიღარიბისა და უფსულებობის სურათებს.

ლუ სინი — მკითხველ ფორმის მოთხრობების ოსტატია. მისი პირველი კრებული „ნა ხანი“ (ძახილი) გამოვიდა 1922 წელს. ეს კრებული შეიცავდა 1918 — 1922 წლების მანძილზე დაწერილ 14 მოთხრობას. ლუ სინის მოთხრობების მეორე კრებული „ფან-ზუანი“ (ხეტიალი) გამოვიდა 1925 წელს და შეიცავდა 1924 — 1925 წლების მანძილზე დაწერილ 11 მოთხრობას. მთა ძე-დენის სიტყვით: „ლუ სინი თანმიმდევრულად და უწყობალოდ აწარმოებდა პრობლემის ფეოდალური და იმპერიალისტური ძალების წინააღმდეგ. ლუ სინი გვიჩვენებდა ფეოდალური საზოგადოების მისი ნგრევის პროცესში, იგი ამბობდა იმპერიალიზმის საზოგადოებრივ სისტემის მანიკერებას და მის მჩავერდ ძალებს. იგი გვიხატავდა ამ ბნელ

ძალებს თავისი სატირის განმგებელი კალმით. ავი სიტყვის ბრწყინვალე მხატვარი იყო“.

ლუ სინის კრიტიკული რეალიზმის ბრწყინვალე ნიმუშებია მოთხრობები „კუნ-იძი“, „ხეაი“, „პატარა შემთხვევა“ და სხვ.

„ველიაზე მეტად რუსი და პოლონელი მწერლების ნაწარმოებებს ეკითხულობდი, აგრეთვე ბალკანეთის ქვეყნების ლიტერატურას“, სწერდა ლუ სინი (იხ. მისი წერილი: „როგორ დავიწყე მოთხრობების წერა“. 1933 წ.). ლუ სინისათვის რეალიზმის უდიდესი მასწავლებელი რუსული კლასიკური ლიტერატურა იყო: გოგოლი, ჩეხოვი, გორკი. მეტადვე გორკი, რომელიც ლუ სინის თქმით „ახალი რუსეთის დიდი მხატვრია“. ლუ სინის კალამს ეკუთვნის გოგოლის, ჩეხოვისა და გორკის პირველი თარგმანები ჩინურ ენაზე. 1932 წელს ლუ სინის რედაქციით გამოვიდა ოცი საბჭოთა მწერლის ნაწარმოებების კრებული, სადაც რამდენიმე თარგმანი თვითონ ლუ სინს ეკუთვნის.

„ჩინური გორკი“, როგორც მას უწოდებენ, ლუ სინი, მართლაც ჩინეთის ახალი რეალისტური ლიტერატურის ფუძემდებელი იყო. ვახ. „პირველი“ ადარებს ლუ სინს გორკის და სწერს: „როგორც დიდი პროლეტარული მწერალი მაქსიმ გორკი, ლუ სინიც კიდევ ძველი საზოგადოების პირობებში ზედაა და საზოგადოების დასასრულს და ნათელ ხვალისდელ დღის დაბადებას, რომლის ბატონ-პატრონი, ხალხი იქნება. ლუ სინის ჰუმანიზმი ახლის დგას გორკის ჰუმანიზმთან“. (1951 წ. № 154).

კითხულობთ ლუ სინის მოთხრობებს და ძველი ჩინეთისათვის დამახასიათებელი სახეები წარმოგიდგებათ თვალწინ: მათხოვრად გადაქცეული კენ ი-ძი, ლენის სმას გადაყოლილი სოფლის მასწავლებელი ვეი-ფუ (სამიკიტონი), დაბეჭავებული ჩინელი გლეხი ეუნ-ტუ (სმობლიური სოფელი), გუნათლებული დედა შან-ხი, რომელსაც შვლი უკვდება ივანოვოთობისაგან („ხვალ“), რიშა, რომელიც დამავებულ მოხუც ქალს ეხმარება („პატარა შემთხვევა“) და სხვ.

ლუ სინი 1936 წელს გარდაიცვალა. მის შემდეგ გმირული კომუნისტური პარტიის ხელშეწყობით ჩინელმა ხალხმა რვა წლის მანძილზე დიდი ნაციონალურ-გამათავისუფლებელი ომი აწარმოვა იაპონური იმპერიალისტების წინააღმდეგ (1937 — 1945 წ.წ.). ამას მოყვა გომინდანელებთან და ამერიკულ ინტერვენტთან საშლიანი ომი (1946 — 1949). 1949 წლის 1 ოქტომბერს გამოცხადდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა.

როგორი დიდი განსხვავებაა ლუ სინის მოთხრობების გმირებსა და დღევანდელი განთავისუფლებული ჩინეთის ნამდვილ გმირებს შო-

რის. სახელოვანი კომუნისტური პარტიის ზღვამდევანლობით დღევანდელი ჩინეთი ახალ ცხოვრებას აშენებს. და ჩინური ახალი ლიტერატურის გმირები ახალი ცხოვრების გმირები არიან: ჯარისკაცები, რომელნიც იაპონელ იმპერიალისტებს და გომინდანელ რეაქციონერებს ებრძოდნენ, მუშები, რომელნიც ქარხანა-ფაბრიკებს აგებენ, გლეხები, რომელნიც აკარა-რული რევოლუციის წყალობით სამუდამოდ განთავისუფლდნენ ფეოდალ-ზამის უღლისაგან.

„საბლიტკამის“ მიერ გამოცემული ლუ სინის მოთხრობების ქართული თარგმანი ეკუთვნის რ. ბერაძეს. თარგმნილია 1919 — 1925 წლებში დაწერილი 8 მოთხრობა. უნდა ითქვას, რომ ქართული საბჭოთა მკითხველი ლუ სინის უფრო სრულფასოვან თარგმანს მიელოდა. მაგალითისათვის საკმარისია შევადაროთ რამდენიმე ადგილი რუსულ ტექსტთან. მთარგმნელი

წერს „ჭამის დროს მთელი წიგნების გადაწერას ასრუბდა“ (გვ. 9) ტექსტში „перепишав целые книги за еду“, რაც სულ სხვაგვარად იმა სხევიარ ფინჯან ლენის დალვედა თუ არა, მისი სიღარიბეუჭჭრებოდა“ (გვ. 10) ტექსტში: „Кун И-ши выпивал полчашки вина и его бедность пропала“. შავალი იღვალის ქართული ენა მოიკოტლებს, შავალი იღვალის სხეზე ისევე ახალი განაკაწრები გაქვს“ (გვ. 8). „უგზოუკველოდ იკარგებოდა თავის წიგნებთან, ქალადიან, ფუნჯიან, მელნიანად“ (გვ. 9). „ოთახი... წყნარი იქვენა“ (გვ. 27), „სკოლის... ვარჯიშობა“ (გვ. 74) და სხვ. მთარგმნელს მეტი პასუხისმგებლობა უნდა გამოეჩინა დიდი ჩინური მწერლის ლუ სინის მოთხრობების თარგმნის დროს.

შალვა ალხაიციანი

ირაკლი აბაშიძე. ერთი სიზმრა.
„საბჭოთა მწერალი“, 1951 წ.



პოეტი ირაკლი აბაშიძე დიდი სამამულო ომის წლებში აკაკისის ფრონტზე იმყოფებოდა და პატრიოტული ლექსებით აღფრთოვანებდა ქართველ მებრძოლებს. მის ცნობილ ლექსს „კაპიტანი ბუხაიძე“ კიდით კიდემდე იმეორებდა ქართველი ჯარისკაცი, კოლმურნე, მუშა, პატარა ბავშვი.

მაგრამ ომის წლებმა გადაიკრიალეს, ქვეშეხების ქუხილი შეწვდა, მტერი გაისრისა, გამარჯვების ნათელი მოედინა სოციალისტურ სამშობლოს. ქვეყანა შეუდგა მშვიდობიან შრომას შინ, გარეთ კი — მშვიდობისათვის ბრძოლას. უდიდეს წარმატებით ვისრულდა ომის შემდგომი ზეთქლედი. საბჭოთა ადამიანი დაუბრუნდა ბედნიერ ცხოვრებას. პოეტის ფიქრიც, უწინარეს ყოვლისა, მისკენ მიიმართება, ვისმა სიბრძნემა და ნებისყოფამაც მისცა გამარჯვება ხალხს და დაუბრუნა მშვიდობიანი ცხოვრება.

ე. აბაშიძის ლექსების კრებული „ერთი სიზმრა“ იხსენება ლექსით „მთის არწივი“. ცნობილია, რომ დიდმა სტალინმა ლენინს მთის არწივს შეადარა. ირაკლი აბაშიძის ლექსიც ახალგაზრდა ბელადის აზრს ვეიმლის: აკაკისონის განადიდოზული სურათის ფონზე შოკი ცის სივრცეში გამოჩნდება ლევა ფრინველი.

„ლევარდ სივრცეში დასრიალებდა, მთებს ეხებოდა ფრთაშოსასხელად, თითქოს ამირანს დასტრიალებდა, თითქოს ეძებდა გამოსახსნელად.“

ახალგაზრდა სტალინი ამ მძლავრ ფრინველს იდარებს დიდ ლენინს, რომელიც მას ჯერ კიდევ არ უნახავს.

საერთოდ კრებულის პირველი განყოფილება „დიდება“ მთლიანი, ერთიანი სახით აკავშირებს ერთი-მეორეს ლენინის, სტალინის, პარტიის სახელებს: ისევე როგორც სინამდვილეში, ისინი ერთიმეორეს შეიცავენ, ერთი მეორეს ანსაზიერებენ.

ირაკლი აბაშიძის ლირიკული ნიჭისათვის დამახასიათებელია მოტივების, სახეებისა და რიტმის მრავალფეროვანება. ამავე დროს ეს სამივე ელემენტი ორგანიზულად, უშუალო პოეტური განცდით უკავშირდება და განსაზღვრავს ერთი-მეორეს. ლექსები „სტალინი“ და „პატარა ვოჩი დიდა“ მჭკფარე, ოპტიმისტური და ამაღლებული რიტმით არის დაწერილი. ლექსების მხატვრული სახეები გამოსცემენ ნათელ შუქს, რომელიც ყოველი მშრომელის წარმოდგენაში აბლავს ბელადის სახეს.

„მზე შენგან დანათებული
არსდროს დაგვებნდება;
სტალინი დიდება შენს საქმეს,
შენს სახელს მარად დიდება.“

ლექსში „საქართველოს კომპარტია“ პოეტი აღიღებს ახალი ცხოვრების შემოქმედს, თავისუფლების ძველისძველი ოცნების განმახორციელებელს — ლენინ-სტალინის პარტიას. ლექს-

სი ჩვენი ცხოვრების პოეტური სურათებისაგან შესდგება, ყოველ დასრულებულ სურათს რეფერენით მისდევს მეტყველი დასაბუთების დასკვნა:

„აი, რად გვიყვარს ჩვენი პარტია“.

ლექსი „ოცდაერთი იანვარი“ სამგლოვიარო—საზეიმო მძიმე ზომით არის დაწერილი, რომელსაც ამავე დროს არაფერი აქვს საერთო უიმედობასთან.

„ამ დღეს მოსკოვი
კვლავ გვახსენებს სევდიან ამბავს
და ისმის ქვეყნად
თითქოს ერთი სუნთქვა გაბმული, —
დიდი თეატრის
გაბრწყინებულ, გაქვილი დარბაზს
შიაპრობს თვალყურს
დედა-მიწა სულგანაბული.“

პოეტის წარმოდგენაში ისახებიან მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნები, საზღვარგაღმა ლენინისა და სტალინის საქმისათვის მებრძოლა სახეები — მთა-მე-დენი, გროტევილი, ტოლიატი, კაშენი, და მტრის ხელით გააშწავრა კორეა.

„ამ დღეს მსოფლიო
მოიგონებს ვლადიმერ ლენინს
ამ დღეს მსოფლიო
თვალს მიაპრობს იოსებ სტალინს“.

„სტალინი ეს ლენინია დღეს“ — შეიძლება ეს ცნობილი სიტყვები მივთხოთ ამ ლექსის დედა-ბრად.

კრებულის მეორე ნაწილის პირველსავე ლექსში პოეტი მიმართავს მისთვის ჩვეულ ხერხს. ლირიკულ ლექსში თავისა განწუობილების მიხედვით ერთი მეორეზე ალაგებს თვალწარმტაც სურათებს: აქ არის ოქროს ფერებით განათებული სუფისს ხეობაც და რჭაჩაგრებილი, დაბურული პლანტაციები, ბორჯილახსნილი შრომის დღეობაც და განახლებული ქვეყნის ამღვრული ქედობაც. პოეტი კონკრეტული მხატვრული სახეებით გადმოგვიცემს თავის სიყვარულს ამ მშობლიური სურათებისადმი:

„მიყვარს გზის პირას აღვის ჩრდილები
დალის ნაივით გაცოცხლებული,
მიყვარს ღობეზე ტყის ყვავილები,
მგზავრის სამზერად აცილებული.“

შემდეგი ლექსი „ქ დავსახლდები“ აზოგადებს პოეტის ალტაცებას და მოზღვავებული

სიყვარულის გრძობას. პირველ წუთში იგი გადაწვევს დასახლდეს აქ, ძიმიმში დე. ატოგროს ისე „როგორც ძიმიმში კაცს უცხოვრებ“, მაგრამ მეორე წუთში მის თვალწინ დგება მთელი საქართველო თავისი კუთხეების დაუფიქარი, ცოცხალი სილამაზით და პოეტის გული ღრობით თითქოს გაყოფილია:

„რომელ ერთს ვუთხრა: — შენ მეგობერი,
ყველა დედა, ყველა მკვიდრია“.

ასე ერთდგება პოეტის წარმოდგენაში სამშობლოს ცალკეული კუთხეების სიყვარული ერთ მთლიან სიყვარულად.

პოეტი ზედაეს ახალს და ეძებს ძველის ნაკვალევს. აი, სოფელი ხიდისთავი! „ქ ჯუღა-შვილის ნაფებურია“. თითქოს გაცოცხლებული ის ცხელი ზაფხულს ცხრასახუთისა, როდესაც აქ ისმოდა „კობას შწვიდი ხმა დაუფიქარი“. ის დღე ხიდისთავის საამაუო ისტორიული თარიღია. ძველ ბრძოლის ხმა, ბერდანის ტყევის წივილი და რკინის ელერა ესმის ნასაკირალის მთის ნაპრალებში პოეტს:

„ეს ის ხმა არის — ხმა ყოინისა,
ყრულ ჩარჩენილი მთის ნაპრალებში“.
(„ნასაკირალი“)

მაგრამ ნაამზობარ, ნაყუმბარე, ნაიარეე ნასაკირალს, რევილუციური ბრძოლების ადგილს, დღეს

„ალარც ახსოვს ძველი ოხვრა,
იმ ღრუბლებმა ჩააარეს.“

ჩაის ბუჩქებმა, ხეივნებმა, პალმებმა დაჩრდილეს ნაბრძოლი მთის ფერდობები.

„ეს ბერიის ბაღნარია,
მისი ხელით დახატული“

გვეუბნება პოეტი საქართველოს საამაუო შეილის შესახებ.

ლექსში „მეგობრობა“ პოეტი უმღერის თანასწორობაზე დაფუნებულ ხალხთა სტალინურ მეგობრობას. პოეტი შესანიშნავად აღნიშნავს ამ ახალი მეგობრობის ადგილს ჩვენი ცხოვრების დიდ წიგნში:

„მაგრამ ახალ მეგობრობას
ღიადი აქვს საფუძველი: —
ჩვენი ქვეყნის, ჩვენი უოფის
დიდი წიგნის თაფურკელი“.

პოეტი ნინოშვილის ჩანჩეთსაც ესტუმრება.

„აგერ ჩანჩეთი, აგერ ჩანჩეთი,
შენი ტანჯული დედულ-მამული...
შე კოლმურნის სახლთან გაგჩერდი.
იფერფლეოდა ცა საღამური“.

ამ ლექსში პოეტი წარმოადგენს ორ ჩანჩეთს: წარსულს — ნინოშვილისას, აწმყოს — ჩვენი დროისას. ამ ლექსში სოფლის პეიზაჟი გამოხატულია სავსე მხატვრული სახეებით, შედარებებით და მეტაფორებით.

„დადნის ფოთლებში მზე დაწურული
ლღევბოდა, როგორც თაფლის საწითელი“.

„მწვანე ალგები ძალღონიერიანი,
ცას შესდგომოდნენ, როგორც სვეტები,
და ბაღში თეთრი მაგნოლიები
ტოტებზე ისხდნენ, როგორც მტრედები“.

„მეგებებოდა წინ მწვესმჭირა
ელნათურივით ვაჩაღებოდა“.

ციკლი მოაერდება საზეიმო განწყობილების შემცველი ლექსით, რომელშიც პოეტი აღიღებს დიდ სტალინს — ბელადს და მამას.

ლექსების მომდევნო ციკლია „მონადირის ღამეები“. პირველი ლექსი იწყება საინგლისო კოლორიტული სურათით:

„დასვენებულნი, დანაგრებულნი,
მკერდზე შესხნილა ღილაკოვებით,
დაწითლებულნი, დალღებულნი
კოცონს უსხედან ინგილოები“.

ინგილოები, ღამის მეტრანი სთხოვენ ერთ-ერთ ამბანავს უამბოს თავისი თავგადასავალი, რაც მას დიდი სამამულო ომში გადახდენია. და ისიც, ვინ იცის მერამდენეჯერ, ძუნწი სიტყვებით ჰყვება თავისი ლაშქრობის ამბავს.

„სხედან, უსმენენ მომეს, მეობარს,
მტრისთვის ბუნავში სად მიუსწრია;
სხედან, უსმენენ მეზრგის, რომელმაც
ხელისგულივით იცის პრუსია“.

მეორე ინგილო კი საღამოობით ქობში ჩართავს რადიოს და უსმენს თბილისის ტკილ-ქართულს („რადიო კახში“). მასწავლებელიც, აქ ჩამოსული საპატიო დაეღებით, ზრდის მომავალ თაობას და სულზე მტკად აუყვარებს მათ თავის განახლებულ სამშობლოს („მასწავლებელი“).

კოლორიტულია ამ ციკლის უკანასკნელი ლექსიც „მონადირის ღამე“ — სავსე ღამეული

ტყის იღვამლებით და მონადირეთა მიერ ციციხლის პირას გამართული ნიღმის-სობარულთა, კრებულის უკანასკნელი ციკლის „მწერ ხერ ვაჟაკი“ — ლექსში „სამი ციხე“ ყარგად არის გამოხატული საქართველოს წარსულის გმირული ტრადიციის გრძობა. ირ. აბაშიძემ ყარგად იცის ვებურ-ბალადური ტონის შეტანა ლირიკულ თხრობაში.

„მურის ძველ ხილთან, — სადაც ვორმსებებს
თითქოს მდინარემ დანა დაუსვა
სამი ციხე ღვას; ციხე — „დაუხედი“,
ციხე — „დაჰკარი“ და „არ გაუშვა“.

ამ შესანიშნავ ისტორიულ ძველთა სახელებშიც კი იციობება ქართველი ხალხის გმირული წარსული:

„თავს რომ იწვევტა ომის ქარბუტი
და შთებს დაქედდა შავი ფრინველი,
ციხე „დაუხედი“ — ფიცხი ჰაბუკი
მკერდით ზედებოდა მომხდურს
პირველი“.

მეორე ციხე „დაჰკარი“, როგორც დიხჯი ვაჟაკი, მაშინ გადაეშვებოდა ომის ქარცეცხლში, როცა პირველს ზღუდვ შემაერღვეოდა. მაგრამ, თუ მტერი მძლავრობდა და მეორე ციხეც არეოდა, მესამე ციხე-ბერაკი „არ გაუშვა“ დგებოდა მტრის წინ. ამ პოეტურია ხილვა შესანიშნავ ციკლს, ამალღებულ სურათში გადაღას:

„და ნანგრევების მტვრიან პაერში
წითლად ვღავდა ხმალი ქართული:
„დაჰკარ“, „დაუხედი“ და „არ გაუშვა“ —
იღვა გუგუნე გოლიათური“.

ეს იყო წინათ, როდესაც „ციხე ციხით იყო მაგარი, ვით კაცი კაცით იყო ძლიერი“. და პოეტი ბრწყინვალე პოეტურ ხერხით უცერად გადმოღის აწმყომი:

„შენ, მოგზაურო! ვისაც გეღირსა
ქვეყნად მშვიდობის ღღვასსწაული,
შესდგე! შეჩერდი მურის ძველ ხილთან
ამ სამ გოლიათს როცა ჩაუვლი;
უფრი მიუგდვ ქედებს, მთავარებს,
ჩუმად მთელმარებს კიდო-კოდში,
„დაჰკარ“, „დაუხედი“ და „არ გაუშვა“
იქნებ მოგესმეს ამ სიმშვიდეში“.

ლექსში „რად გეღანდება“ პოეტი იფონებს უკანდაუბრუნებელ მეგობრებს, რომლებიც გმირულად დაეცნენ მტერთან ბრძოლაში. ეს იყო

„ორმოცდარის ცხელი ზაფხული, სისხლის წვიმები“ კაკასიაში. მაგრამ პოეტი სძლევს მძიმე მოგონებას და ამბობს:

„ღღეს სხვა ტევრი გაქვს გასაფადევი,
შენ ხარ ვეჟაკი, გასწი, იარე“.

ლექსში „შვიდობა ჯუგაანში“ პოეტი შე-
მოღგომის სურათებს გვიხატავს:

„და ამ დღეში, ამ სიმშვიდეში
ჯუდევ ამ ქვეყნის მთელ სილამაზეს“,

თავის პოეტურ დასკვნაში იგი მართებულად
წარმოიდგენს სილამაზეს და მშვენიერებას, რო-
გორც შვიდობის ნიჭს, მის საზუქარს და შე-
ღვეს.

ლექსი — „უზბეკეთში“ — ეხება ზალთა მშო-
ბას, რასაც წარსულში ხელს უშლიდნენ ისტო-
რიული პირობები. კარგად ამბობს პოეტი, რო-
დესაც მამართავს შუა აზიის მოძმე ხალხებს:

„იღგა ჩვენ შუა ზღლით ლენგ-თეშური,
იღგა მახვილით ედინ-ჯალაღი,
მაგრამ ზალხური და ჩვენებური
ლტოლვა ძმობისკენ დარჩა ალაღი“...

ღღეს კი საბჭოთა ქვეყნის მოძმე ხალხებს
თვალწინ უდგათ ბეღადის სახე და შეჭხარაინ
„მშობას დღევანდელს“.

კრებულის უკანასკნელი ლექსი „სადაც არ
უნდა მოხდეს ქართული“ არსებითად იმეო-
რებს წინა ლექსების მოტივებს — სამშობლოს
კუთხეების სიუვარულს, ზალთა ძმობას.

რამდენიმე სიტყვა ენის შესახებ: საერთოდ,
ირ. აბაშიძის ენა სწორი, კარგი ლიტერატურუ-
ლი ქართულია. პოეტი მოხდენილად იყენებს
ხალხურ სიტყვებსა და ხატოვან თქმებს. პოეტი
კარგად ათანხმებს თავის პოეტურ მეტყველებას
ენის საერთო ნორმებთან. მაგრამ, თუმცა იშვია-
თად, იგი მაინც უშვებს ზოგიერთ ენობრივ
შეცდომებს. მაგალითად:

არ არის სწორი ფორმები „ისაც“, „შენაც“,
„ეინაც“ და სხვა.

„შენაც აქ იღექ, ლაწებშემშხარა“
(„ნინოშვილის ჩანჩეთი“)

„ეინაც სამცხეში ვვედგა დარაჯად“
(„არაწი“)

არ არის სწორი ფორმები „მძრშიღ“.

„და თანმანლუსთან ზერშუნის ხირშიღ“
ხმელ ფესვებს გლუჯდა დატრილი ტახი“
(„მონადირის ღამე“)

ზოგჯერ ვაუგებარია სახეები და წინადადება-
ბიცი. მაგალითად:

„სტალინს უდგანან, სტალინს, უკლებლად,
როგორც ჰმეციავდა ბრძენს
ღღესელიძე“.
(„ნასაკირალი“)

„სოფლის, ამ სოფლის ბედზე მტირალი
თავად დასდგედა ნამდილო ყარაღებს“.
(„სიხონა დარჩია“)

აქ უნდა იყოს „სდევნიდა“, თორემ „დასდევ-
და“ შეიძლება ვინმემ გაიგოს როგორც „გომ-
დევრობა“, ხოლო ეს კი შეჭქმნის აზრობრივ წი-
ნაღმდევობას.

„ეისაც შია და მუდამ სწურია“.
(„პლანტაციები“)

უნდა იყოს „მუდამ შია და სწურია“.

„ეარ გულმადარა შრომის დღეობით,
ღღდა-ბუნებით გადატვირთული“.

„ღღდა-ბუნებით გადატვირთული“ ვაუგებარია
სახეა.

„ეზო, ნათელი და ქაღებური“
(„ნინოშვილის ჩანჩეთი“)

„ქაღებური ეზო“ შეუძლებელია.

მაგრამ ეს ენობრივი შეცდომები ერთეულე-
ბია და პოეტისათვის არადაამახასიათებელი.

ირაკლი აბაშიძის „ერთი სიმღერა“ საესებით
ამართლებს თავის სათაურს: ამ პატარა წიგნში
მოთავსებული ლირიკული ლექსები გამომხარია
პოეტის ერთიანი შინაგანი გრძნობით და აზრით;
ისინი ატარებენ ერთი პოეტური სტილის, ერთი
თავისებურა პოეტური მეტყველების ფორმას.
ისინი მოწმობენ, რომ მათი ავტორის სახით ქარ-
თულ პოეზიას ჰყავს ნიჭიერი და მთლიანი პოე-
ტური ინდივიდუალობა.

მერა ბუაჩიძე. მოსტროპინი.

საბლიტგამი, 1950 წ.



საქართველოს კ. პ. (ბ) მე-14 ურილობაზე ამხანაგმა კანდიდ ჩარკვიანმა განაცხადა: „ბოლო პერიოდის მართლად პროზის ჩამორჩენას. პროზა ჩვენი ლიტერატურის მთავარი თანაო უნდა გახდეს“. ამ დიდი ამოცანის გადაწყვეტის საქმეში თავისი წვლილი უნდა შეიტანონ ახალგაზრდა პროზაიკოსებმა.

ეჭრნალ „მნათობი“ სამი წლის წინათ პირველად დაიბეჭდა ახალგაზრდა პროზაიკოსი ვერა ზუაჩიძე. გასულ წელს საბლიტგამმა ცალკე წიგნად გამოცა მისი მოთხრობების კრებული. წიგნში მოთავსებულია ოთხი მოთხრობა, რომლებიც ჩვენს თანამედროვე ცხოვრებას ასახავენ.

კრებული იხსნება მოთხრობით „შრომის ჯილდო“. ამ მოთხრობაში დამაჯერებლადია მოცემული კოლმურნეთა თავადებულ და შეუპოვარი ბრძოლა უხვი მოსავლისათვის. ახალგაზრდა კოლმურნე აეთანდილი რგოლის ხელმძღვანელია. საბუთა არმიის რიგებიდან დემობილიზაციით ბრუნდება ლეო. კოლმურნეობის გამკვობამ ორად გაყო აეთანდილის რგოლი, რომლის ნახევარი ლეოს ჩააბარა. აეთანდილსა და ლეოს შორის გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება მაღალი მოსავლის მიღებისათვის.

დიდი სტალინი ვესწავლის, რომ „სოციალისტური შეჯიბრების პრინციპია: ამხანაგური დახმარება ჩამორჩენილებსინადი მოწინავეთა მხრივ, რათა მიღწეულ იქნას საერთო აღმავლობა“. (სტალინი, ტ. 12, გვ. 123). სოციალისტური შეჯიბრების ეს პრინციპი კარგად არის გადმოცემული მოთხრობაში. აეთანდილი მარტო საკუთარ გამარჯვებაზე არიდი ფიქრობს, არამედ სურს ლეოც მოწინავე იყოს. დედასთან საუბარში აეთანდილი აღნიშნავს: „განა იმიტომ ვეჯიბრებით, რომ აუცილებლად ერთ-ერთმა შევირცხებით თავი? რაივეს გამარჯვებას რა სჯობია“. აეთანდილმა იცის, რომ კოლმურნეობაში მუშობის გამოცდილება ლეოს არა აქვს და აქტიუობად ეხმარება მას.

ჩვენი კოლმურნეები დაუღალავად იბრძვიან იმისათვის, რომ მიწისგან მიიღონ იმის მაქსიმუმი, რისი მოცემაც მას შეუძლია. არახელსაყრელი ამინდი დაუღვა აეთანდილის რგოლის ყანებს. ეს ყველაზე უიმედო ნაკვეთები იყო გვალვიან წლებში. ხნაერ კოლმურნეებს ისიც ახსოვდათ, რომ ერთ წელიწადს ზალაც კი ვერ აულოთ აქედან.“ მერამ აეთანდილმა გვალვასთან შრძოლის საშუალება გამოიხაზა. კოლმურნეობის თავმჯდომარის მითითებით დაიწვეს არხის გაყვანა. „კილომერტნახევარი არხი გასჭერის ორი კვირის განმავლობაში... საბალახობის

ფერღე მუხების ბირში გამოიყვანეს ნაკადული და მიუგდეს აეთანდილის ყანებს“. ამ ლონისიძებამ დიდი ნაყოფი გამოიღო. სიციხით გადახმარა ყანებიდან არნახელი მოსავალი მიიღეს. „სიმინდის ზევეს თვალს ვერ აუწყდებდა ადამიანი. ყოველ ნახეჯზე ვეებრთეული გროვა იდგა“. მოთხრობა ბედნიერი შრომის ზემოთ მოთავსდება.

„შრომის ჯილდოს“ აქვს ნაკლიც. ავტორი კოლმურნეობაში რგოლების მუშაობას ბრიგადისაგან მოწყვეტილად წარმოვიდგენს. ნაწარნობეში არაა მოცემული, თუ რომელ ბრიგადას ეკუთვნის აეთანდილის და ლეოს რგოლები და როგორ ხელმძღვანელობას უწყევს მათ ბრიგადირი. ჩვენი საკოლმურნეო ცხოვრების დღევანდელ ეტაპს არ შეეფერება აეთანდილის რგოლის გაყოფა, რომელსაც მხოლოდ ცამეტნახევარი ჰექტარი მიწა ჰქონდა. ახლა, როცა ჩვენი კოლმურნეობები გამსხვილებული არიან, რგოლებიც უფრო მსხვილი ერთეულებად იქცევიან, იმიტომ აეთანდილის რგოლის გაყოფა ტიპური მოკლენად ვერ ჩაითვლება.

სოფლად ავტობიოლოგიურ ლონისძებებათა გარტარების საქმეში გადაწყვეტი მნიშვნელობა ავტონომს ენიჭება, რომელიც ახლა თიანჭის ყველა კოლმურნეობას ჰყავს. როცა მწერალს მოქმედ ჰქონდა ავტონომი გამოყვანა, საჭიროა გვიჩვენოს მისი მუშაობა საკოლმურნეო დოვლათის გადიდებისათვის. ავტორი წერს, რომ მაროს „სამპირად აძერა კანი სახეზე“, „შეიდე გამქონდა მის სახეს ლაღაბი“, მაგრამ მის პრაქტიკულ საქმიანობას არ გვიჩვენებს. მწერალი იმასაც კი გვეუბნება, რომ მაროს ორი წლის განმავლობაში ერთხელაც არ უნახავს მთის ყანები. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ავტორს მოთხრობაში ავტონომი-ქალი იმიტომ დასჭირდა, რათა სატრფიალო ელემენტის შეტანით ნაწარმოები უფრო „საინტერესო“ გაეხადა.

მეორე მოთხრობა „ვეაკობსპიტალიში“ სამამულო ომის მასალაზეა ვაშლილი. გადმოცემულია ეტეში ქალის გულმოდგინე მუშაობა ომის მრისხანე პერიოდში. ქეთევან ბეგიაშვილი თავდადებით შრომობს საფრომტო მისსპიტალიში. ის აკეთებს რთულ ოპერაციებს და მრავალ მებრძოლს შეუნარჩუნებს სიცოცხლეს.

მოთხრობაში „კომუნარების ბაღში“ ავტორს მიზნად დაუსახავს მოგვეცეს საბუთა ინტელიგენტის სახე. ამ მცირე მოცულობის მოთხრობაში დიდი ადგილი აქვს დამოზილი ოთარ თამუკაშვილის ბავშვობისა და ყრმობის ეპიზოდებს აღწერას. ავტორი კონკრეტულად არ მიუთითებს,

თუ რას აცთებდა ოთარი, რომელსაც „დღედაღამე მოსვენება არ ჰქონდა“. ნაწარმოების ბოლოს ორკვეთა, რომ ოთარი თანეაშვილი გმირია. მაგრამ, ცხადია, შეერალო საბჭოთა ადამიანის სახეს ვერ გამოიკვეთავს მხოლოდ იმიო, რომ იგი მკერდზე ორდენით წარმოადგინოს. ავტორმა უნდა დაგვიხატოს ის თავდადებული ზრთოლა და შრომა, რომლისთვისაც გმირმა უმაღლესი ჯილდო დაიმსახურა.

საინტერესო თემაზეა დაწერილი მოთხრობა „ახალი სახლი“. ამ მოთხრობაში მოკლედ, მაგრამ ნათლადაა მოცემული საბჭოთა ადამიანების მუშაობა ჩვენი ქალაქის რეკონსტრუქციისათვის. ნაწარმოების მთავარი მოქმედი პირი გიორგია. მას ბავშვების აღზრდაში გაუტარებდა მთელი თავისი ცხოვრება და შრომისადმი სიუყვარული სიბერეშიც არ დაუკარგავს; იგი ხეხილის მოვლა-შრატუნველობაში ატარებს დროს. გიორგის უნება ძველი საკარმიდამოს და სახლის დატოვება. განსაკუთრებით უკმაყოფილოა ქეთევანი. იგი მიმართავს მეუღლეს: — „უნდა წახვიდე, გიორგე, ქალაქის საბჭოში. ქვეყნის წყობებიც ვჯავს, ქვეყანა შენი ნამოწაფარია“. გიორგი მეორე დღესვე გაემართება ქალაქის საბჭოში. ვხაში მის თვალწინ გადაიშლება გრანდიოზული მშენებლობის სურათი. „... ანგრევენ ჩიტის ბუდესავით მუხობოლებულ ქოხებს. ბზრიალ-ტრაილით ცვიოდნენ ძირს დამპალი თავებები, ჩაშვებულა კარფანჯრები და მტვრად ქცეულია აფურის ნატუნეცა“. — „ინგრევა ძველი — ახალი მოდის“ — გაიფიქრა აღფრთოვანებულმა გიორგიმ. იგი შიხ-

ვდება თავის შეცდომას და ქალაქის საბჭოში მისვლის თავს ანებებს. ყოველმხრივ კეთილმოწყობილი ახალი სახლი გაბარებულა მთელი ოჯახი. ქეთევანიც აღტაცებით უმზერს მრავალსართულიან შენობას. „ერთ კვირას დალაგებას მოუნდნენ. ქეთევანი ფუსფუსებდა ყველაზე მეტად. წამდაუწყებ შერბოდა სამზარეულოში. სიხარულს ევლარ ფარავდა, გაბრიალებულ შეხეებასა და ონკანებს რომ უყურებდა“.

უნდა აღინიშნოს, რომ მოთხრობებში ავტორი ყოველთვის ვერ ფლობს სიუყვრის განვითარების ხერხებს. მოთხრობის შემადგენელ ეპიზოდებს ხშირად აკლიათ ერთმანეთთან მოტივირებული დაკავშირება. მოთხრობებში გვხვდება აგრეთვე ბუნდოვანი წინადადებები და უზერხელი გამოთქმები. შავალითად, „თითებით მოფხოვნა მიწა“ (გვ. 5); „დაბინდებულში დაბრუნდნენ სოფელში“ (გვ. 8); „წინა ღამის წვეთები ცუარიით ბრწყინავდა ფეჩქვეშ“ (გვ. 23); „გაბეზებულული თითებით მოაკოდილა ძლივს“ (გვ. 32); „მას ისევ მოწყალების და ვგონა, ერთ საათს რომ აწვალა სადილობისას“ (გვ. 20) და სხვ.

ნიჭიერმა ახალგაზრდა ბელეტრისტმა ქალმა ვ. ბუაჩიძემ უფრო ღრმად და გულმოდინედ უნდა შეისწავლოს ჩვენი თანამედროვე ცხოვრება, დაეუფლოს სიუყვრის განვითარების ხერხებს და მერე უტრადლება შიპქოვის ენობრივ სიწმინდეს.

ნოდარ შანანაძე.

„ლიბერატურული ალმანახი“. წიგნი მესამე.

აფხაზეთის სახელმწიფო გამომცემლობა, 1950 წ.



„ლიბერატურული ალმანახის“ მესამე წიგნში ფართოდაა წარმოდგენილი პროზა, პოეზია, კრიტიკა, ლიბერატურული მედიდრებობა და ბიბლიოგრაფია. ალმანახში მოთავსებული მასალები მეტყველებენ აფხაზეთში წარმოებულ ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობაზე. ალმანახში დაბეჭდილია ორმოცდაერთი ავტორის ნაწარმოები, მათ შორის თვრამეტი დამწყებია და პირველად გამოდის ქართული ლიბერატურის ასპარეზზე. მართალია, ალმანახში დაბეჭდილი ყველა მასალა იდეურად და მხატვრულად ერთნაირი ღირსებისა როდია, ზოგიერთი მათგანს სერიოზული ნაკლოვანებანი გააჩნია, მაგრამ ძირითადში ალმანახი დადებით შეფასებას იმსახურებს.

აფხაზეთის სახალხო პოეტი დიმიტრი გულია ალმანახში ორი ლექსითაა წარმოდგენილი: „სიტყვა ამხანაგს“ და „ლაპარაკობს მოსკოვი.“ (ორივე ლექსი თარგმნილია ალკო შენგელიას მიერ). ლექსში „სიტყვა ამხანაგს“ დ. გულია იგონებს საბჭოთა საქართველოს ახლო წარსულის ღირსშესანიშნავ დღეებს, სტალინური ხელწოდების გრანდიოზულ მშენებლობებს, კოლექტივიზაციას, საბჭოთა ხალხის სამამულო ომს, დაიდ გამარჯვებას.

მეორე ლექსში „ლაპარაკობს მოსკოვი“ გამოხატულია საბჭოთა ხალხის გულისთქმა და სიხარული, როდესაც იგი ისმენს მსოფლიოში ყველაზე მართალ და ექცაყურ ხმას „ლაპარაკობს მოსკოვი!“

ალმანახში მოთავსებულია სიმონ ჩიქოვანის ლექსების ციკლი წიგნიდან „აფხაზეთის გზებზე“. ამ ლექსებში განახლებული აფხაზეთი ძლიერი ფერებით არის დახატული. პოეტი ლირიულ განცდებში გვიჩვენებს კომუნისტების მშენებლობისათვის თავდადებულ საბჭოთა ადამიანებს.

პოეტ ალექო შენგელიას ლექსები გამოირჩევიან თავისი ლირიკულობით, დახვეწილობით და აქტუალობით. ამ ლექსების მთავარი თემაა საშობლო და ბელადი.

პოეტი აღტყვებით შიგნით:

„სხვა ვატაცება არა მქონია
გულიდან ლექსად ამოტანილი,
მე სიყვარული თან დამყოლია,
ჩემი ქვეყნის და ჩემი სტალინის!“
(„სიყვარული“)

ლექსში „შავი ზღვის პირად“ კოლორიტულადაა დახატული შავი ზღვის პეიზაჟის თვალწარმტაცი სურათები.

ალმანახში დაბეჭდილ აფხაზი პოეტების ლექსებიდან უნდა აღინიშნოს ივანე თარბას „აფხაზეთი“, ალექსი ჯორჯას „ურბული“ (ორივე თარგმნილია ილ. შენგელიას მიერ) და ალექსი ლასურიას „ოცნება“ (თარგმანი ხ. ბერულავასი).

ნიჭიერი პოეტი ი. თარბა უძღვრის განახლებულ აფხაზეთს, „მის ზღვას, მის მთებს და დაქარგულ ველებს“, სადაც „მწერვალებიდან სანაპირომდე უცხოდ ბრწყინავენ ცისარტყელები“. პოეტი უძღვრის საბჭოთა ადამიანებს, რომლებმაც აფხაზეთი ბალად აქციეს, უძღვრის ბელადს ახალი ცხოვრების შემოქმედს:

„მე ვუძღვრ მზვყაცს, ვინც აგვაყვავა
და მზე გვიჩუქა გავაფხულისა,
ვინც ეს ქვეყანა გაბადა ბალად,
ცხადად გვიქცია ყველა გულისთქმა.
მე ვუძღვრ სტალინს!
ვინც ჩვენი გულიც გაბადა რეალი,
— ვაღიბდ სტალინს!“

საინტერესოა თავისი მოფიქრებით ა. ჯორჯას „ურბული“. იგი თითქმის ხალხური სვედიანი სიმღერის „ჩელას“ დაპირისპირებაა. თუ კი წინათ მურმე მისტიკოდა თავის უბედობას, სიღარიბეს, დღეს კალმურტრე მურმე ხალხიანად მიამღერის „მაჟ, რეაზის“, რადგან მის ურმით მიაქვს „სახალხო შრომის ბარაქა წმინდა“.

ა. ლასურია თავის პატარა ლექსში „ოცნება“ ასე გამოხატავს საბჭოთა პოეტის გულისთქმას:

„ეს მინდა მხოლოდ, მე მინდა მშანი,
ლექსს ვათქმევინო საშობლოს გზის,
და პოეზიის ნათელი წყარო
რომ ჩუხჩუხებდეს ნიადაგ ჩემში“.

ახალგაზრდა პოეტის ემელიან ქურდიანის ლექსებს შორის აღსანიშნავია „ქორწილში“. აქ ასახულია საბჭოთა კავშირების ბედნიერი ქორწილი, თავისი ტრადიციული ასსამი წლის თამადათ, რომელიც პირველი სასამისით აღღვარებულს დიდ ბელადს, ახალი დღეთა შემოქმედს, ვინც სიცოცხლე მოხუცს ასე შეაყვარა. პოეტი შეჰხარის ახალგაზრდებს, თავის ტოლებს:

„თქვენს გულმჯერდზე ვარსკვლავები
ციმციმებენ ახლაც ერთად.
თქვენ შრომის და სიყვარულის
გამარჯვება გახარებდათ.“

ახალგაზრდა პოეტის შოთა აკობიას ლექსებიდან გამოირჩევა „ბელადის მონუმენტი ჩემს სოფელში“. მოხუცი პაპა ჰყვება ამბავს. მის აგონდება ერთი დღე, მოსაგონრად მარადგამტელი. პაპა მარგლიდა ტყის ახლოს ყანას, ამ დროს ტყიდან ვეცაკი გამოვიდა, წყალი თხოვა. პაპამ ოჯალეში დააღვინა. ვეცაკმა მიდლობა გადაუხადა და იმ დღუჭირ ცხოვრებისაგან განაწამებ გლეხს იმედიანი სიტყვები უთხრა, დამაჯერებლად აუხსნა სიღარიბის გამომწვევი მიზეზები და დაუბატა იმედიანი დიალი მომავალი.

„ახლა რომ ვეშვრ
ამ ბალახში უთვალავ ფერებს,
ჩვენს დიდ ცხოვრებას
დამწვევებულს ზეიმით, ლხინით.
ის ახალგაზრდა მახსენდება,
ვინ დამაჯერებს,
ვინ დამაჯერებს,
რომ არ იყო იგი სტალინი“.

ახალგაზრდა პოეტ ოთარ კუპრაავს ლექსები კარგ შთაბეჭდილებას სტალინზე.

მურმან ქოთავა ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტია, მაგრამ ლექსში „ქართველი“ ჰარბადაა ნახსენები თოფაბჯრები, ხმლის ვადები, მუომრების თვებზე მონაგარდუ ორბები, დვინით საესე ყანწები. ახალგაზრდა პოეტი ასეთ გამოთქმებს უნდა ერიდოს.

რიტორიული და მშრალია არისტარხო ქოთავს ლექსი „საქათველოს მარგალიტები“. სუსტია ელადიმერ მისაბიშვილის, პანტელეიმონ ოდიშარაის და შალვა ტაბიძის ლექსები. მათი ლექსები არ გამოირჩევიან იმ ორივე-

ნალობით, რაც აუცილებლად დამახასიათებელი თვისება უნდა იყოს ახალგაზრდა პოეტისათვის.

დიმიტრი ვიგინერიას პოემა „მეგობრები“ აქტიურად მიმავალი დაწერილი, მაგრამ პოემას მხატვრულად მეტი დამუშავება სჭირდება. ჯერჯერობით იგი ნედლი მასალის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ალმანახში დაბეჭდილია მაქსიმ რილსკის პოემის „ახალგაზრდობის“ თარგმანი, რომელიც შესრულებულია ოთარ ჭელიძის მიერ.

ალმანახში კარბადაა წარმოდგენილი პროზაული ნაწარმოებები. მათ შორის უნდა აღინიშნოს კლიმენტ ვოგიავის „ნარკვეთი ახალი ოქუმი“, გრაილი ჩიქოვანის „ქეთევანი“, ვლადიმერ თორდუას „ომგადახდილის ჩანაწერებიდან“ და ქიზიმ ავუმას „ერთ ღამეს“ (თარგმნილი ვთ. როსტომიშვილის მიერ).

კლ. ვოგიავი ნარკვევში „ახალი ოქუმი“ სიმართლით ასახა ახალი ოქუმი და მისი მკვიდრნი, რომელთაც თავდადებული შრომით მოჰყავთ უხვი მოსავალი. განსაკუთრებით ძლიერადაა დახატული ოქუმის კოლმეურნეობის დამარსებლის და ოცი წლის განმავლობაში მისი უცულებლი თავმჯდომარის, გიორგი ჯგუბურიას პორტრეტი. იგი ნაჩვენებია, როგორც მტკიცე ბოლშევიკი, გულისხმიერი ხელმძღვანელი, ახალგაზრდების სათუთად აღმზრდელი, საქმის მოყვარული და ენთუზიასტი აღმამანი. ასევე კარგადაა ასახული სტალინური პრემიის ლურჯადის, სოციალისტური შრომის გმირის ქოჩოლი ქვაჩახიას სახე და ბულისკერების ოჯახი.

ალმანახში მოთავსებულია ერთი თავი გრ. ჩიქოვანის მოთხრობიდან „ქეთევანი“, სადაც მოთხრობილია ახალგაზრდა ავრონომი ქალის ქეთევანის თავგადასავალი. ქეთევანს ჰყავს ქმარი გიორგი. „ორივე ერთი სიცოცხლითა ცხოვრობდა და ი, საშინელში ომმა გათიხა ისინი. მოსწვევითა ერთმანეთს“. შემდეგ მწერალი სწერს: „შამაკაცები ომში წაიღონ, ქალები ქარხნებში, კოლმეურნეობებში. ქეთევანც მათ რიგში ჩადგა. ისიც სხვა ქალებთან ერთად ჯარისკაცებით მოდიოდა სამშობლის დაცხილზე“.

ქეთევანი, რომელიც „სოფელს კარგად არ იცნობდა“, სოფელში წავიდა. მას პირველ ხანებში ეჭვით ხედებოდა: „ეს გუშინდელი ბავშვი ამოდგენა კოლმეურნეობას როგორ უნდა გაუძღვეს“, ამობოდნენ კოლმეურნეები. მაგრამ ქეთევანმა გული არ გაიტეხა, საქმეს მტკიცედ მოჰყავდა ხელი.

მოთხრობაში ყველაზე ძლიერია ბოლო სურათი, ქეთევანის ბრძოლა შემხარაც სტიქიასთან. ეს ბრძოლა ქეთევანმა გამირულად გადიატანა.

ქ. ავუმას მოთხრობაში „ერთ ღამეს“ ნაჩვენებია კოლმეურნეთა გმირული ბრძოლა სიმინდის უხე მოსავლისათვის. ვლ. თორდუას მი-

ნატურებში „ომგადახდილის ჩანაწერებიდან“ დამაჯერებლადაა ასახული „სამშობლო“-მის მართალი სურათები.

ალმანახში დაბეჭდილია რამდენიმე დამწეები პროზაიკოსის ნაწარმოები. ესენი არიან მირიან ღვებუაძე, ვანო ოქუმელი, ნანა კანდელაკი, ეთერი ვაერქაძე და ზურაბ ნაყოფი. შ. დგებუაძის „სარეჟარ“ ასახავს საბჭოთა ახალგაზრდების სწავლასა და შრომას სამშობლოს საყვითლდლოდ, მათს უმწიველო, გულწრფელ სიყვარულს. ვანო ოქუმელის მინიატურების „მისტერ ჯეფერის სიზმარისა“ და „ჩემი ნაცნობის“ თემა თანამედროვე ამერიკის საშინელებათა ჩვენება. ნ. კანდელაკის მოთხრობები „ერთი აშაგი“ ასახულია რკინიგზის შემოშვლების შეილისშვილის ეთერის გმირობა სახალხო მატარებლის ბიფათიდან გადარჩენისათვის. ე. გვენეტაძის „ექიმი“ უხემა საბჭოთა ექიმის სახელთან გზას და ზ. ნაყოფის „მთების სიმღერა“ — კოლმეურნეობაში უხევი მოსავლისათვის ბრძოლას. ზემოთ ჩამოთვლილი დამწეები მწერლების ნაწარმოებებს ერთი დიდი ნაკლი აქვთ: მათი მოთხრობების არე კრეცლია, დრო ხანგრძლივი. აქედან გამომდინარეობს სახეების სემპტურობა, დალაოების სიმკრთაღე, ამბის თხრობის არადამაჯერებლობა. მათ ნაწარმოებებში გვხვდება ენობრივი ხასიათის შეცდომები, ბუნდოვანი შედარებები, ზოგჯერ ლაღსუსებები. ისინი ნედლი მასალის შთაბეჭდილებას სტოვებენ. რედაქცია მეტი სიმკაცრით და გულისყურით უნდა მოჰყარებოდა მათ.

ალმანახში მოთავსებულია სიმონ წვერაძეს ორი საყურადღებო წერილი: „დიდი სტალინის სახე ქართულ მწერლობაში“ და „ვამოწინილი ქართული მწერალი“, სადაც განხილულია ე. ნონოშვილის შემოქმედება.

პირველ წერილში დაწერილებით გარჩეული ის დიდი დამატული შემოქმედებითი შრომა ნაყოფი, რაც უძღვენეს ქართველმა მწერლებმა დიდ სტალინს. გ. ლეონიძის, გ. ტაბიძის, ი. გრაშაშვილის, ს. შანშიაშვილის, ალ. აბაშელის, ს. ჩიქოვანის, ი. მოსაშვილის, ა. მირცხულავას, ქ. კალაძის, ი. აბაშიძის, ვრ. აბაშიძის, ა. გომიანიშვილის და სხვა მოწინავე პოეტთა შემოქმედების დაწერილებით განხილული ს. წვერაძე ვეიჩვენებს, რომ „დიდი ბელადის სახის შექმნაში პოეზიის ეანრმა ყველაზე უფრო გამოავლინა თავი, როგორც აქტიურმა შემოქმედებითმა სფერომ“. პოეტების ნაწარმოებების შემდეგ ს. წვერაძე აღნიშნავს შ. დადიანის, ლ. ქიპჩელის, დ. შენგელიას, ს. კლდიაშვილის, აკ. ბელიაშვილის ნაწარმოებებს, რომლებიც მათ უძღვენეს ამ კეთილშობილ თემას.

ლავროსი კალანდაძის წერილში „სიცოცხლის დამკვიდრების სიმღერები“ გარჩეულია თანამედროვე მოწინავე საბჭოთა პოეტის ალიო მირცხულავას შემოქმედება. წერილის ავტორი მირცხულავას შემოქმედებას განიხილავს მის პოეტურ იდეებთან კავშირში და გვიჩვენებს, რომ „იმედთან და ხალისთან სიმღერას მხოლოდ იმედთან და ღრმა სოციალური სამართლანობით გამსჭვალული სინამდვილე ბადებს“.

დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობისაა დოკ. ი. ბოცვაძის მიერ შეგროვილი და აღმანახში გამოქვეყნებული ილია ჭავჭავაძის კერძო წერილები მეუღლისადმი. როგორც ი. ბოცვაძე სწერს „ქვემოთმოტანილი ილიას წერილები მეუღლისადმი (ილვა თადეოზის-ასულ გურამი-შვილისადმი) მხოლოდ მცირე ნაწილია იმ დიდი

ეპისტოლარული მემკვიდრეობისა, რომელიც მეორე წიგნად მზადდება ჩვენს მიერ გამოცემად“.

შ. ლონტის წერილი „იაკობ გოგებაშვილის ორი პოლემიკა ენის საკითხების გარშემო“ გვიჩვენებს, თუ როგორი თავგამოდებით იბრძოდა დიდი ქართველი პედაგოგი ქართული ენის სიწმინდისთვის.

„აღმანახში მდიდრადაა წარმოდგენილი ბიბლიოგრაფიული განყოფილება“.

„ლიტერატურული აღმანახი“ ამტკიცებს იმას რომ საქართველოს უღამაზეს კუთხეში, აფხაზეთში ინტენსიური შემოქმედებითი მუშაობა მიმდინარეობს.

ბივი გოზიჩაიუვილი.

ბ. შანიბა. ბორის ძნელად.

საბლიტგამი, 1950 წ.



ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული შვილი ბორის ძნელად ითვლება საქართველოში ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ფუძემდებლად. ბორისმა მთელი თავისი მჭექეფარე ცხოვრება კომუნისმის დიადი იდეებისათვის ბრძოლას შესწირა.

იმ მგზნებარე ბოლშევიკის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მოგვითხრობს გ. ევანიას წიგნი „ბორის ძნელად“. წიგნი შედგება რვა თავისაგან. პირველ თავებში ავტორი ავლენს ბორისის ბავშვობასა და ყრბობის წლებს, მის სწავლის ზამურის პროვინციაში. ბორისი თავისი ნიჭითა და სიღინჯით თავიდანვე იქცევა მასწავლებლებს ყურადღებას. 14 წლის ბორისს გარდაეცვლება მშობლები. 1915 წელს ბორისი შედის ვინოგრადოვის ტექნიკურ სასწავლებელში, მაგრამ სიღარიბის გამო მალე ანებებს თავს. იგი ამ დროს ეწაფება სკოლის გარეშე ლიტერატურას, ეცნობა პოლიტკურ საკითხებს.

17 წლის ბორისი თბილისის პირველ რაიონში (ნაძალადევი) ემშენება რევოლუციური ჯუშოობაში, იგი უკავშირდება რევოლუციური იდეებით გაწეწობილ ახალგაზრდობას. მალე იგი ამ ახალგაზრდობის ხელმძღვანელი ხდება. ბორისი 1917 წ. ოქტომბრამდე შედის თბილისის ბოლშევიკურ ორგანიზაციაში.

ავტორი ახასიათებს პარტიის მეექვსე ყრილობას, რომელმაც დადგინებდა მიიღო „ახალგაზრდობის კავშირების შესახებ“ და პარტიულ ორგანიზაციებს დაავალა დახმარება აღმოეჩინათ ახალგაზრდობის კავშირების ორგანიზაცი-

ულად გაფორმების საქმეში. ბორის ძნელად პარტიის ამ მითითების საფუძველზე სათავეში უდგება საქართველოში ახალგაზრდობის რევოლუციური ორგანიზაციების შექმნის საქმეს. ამ მიზნით იგი, მიხა ცხაკაიას დახმარებით, 1917 წლის 20 ნოემბერს ნაძალადევიში აწყობს მუშა-ახალგაზრდობის პირველ კრებას. ავტორი წერს: „კრებამ შექმნა ახალგაზრდა სოციალისტ-ინტერნაციონალისტთა ორგანიზაცია „სპარტაკი“ და აირჩია რაიონული კომიტეტი სამი კაცის შემადგენლობით — ბორის ძნელადის მეთაურობით...“

ამრიგად, საქართველოში კომკავშირის საფუძველი 1917 წლის 20 ნოემბერს ჩაეყარა.

შემდეგ თავებში ავტორი მოგვითხრობს რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის პირველი ყრილობის შესახებ.

ბორისის ხელმძღვანელობით 1919 წლის 31 მარტს არალეგალურად გაიხსნა პირველი საერთო-საქალაქო კონფერენცია, სადაც შემუშავებული იქნა წესდება და არჩეული იქნა თბილისის კომიტეტი. გარდა ამისა, „სპარტაკის“ ორგანიზაციებს დაერქვა „ახალგაზრდათა კომუნისტური ორგანიზაცია „სპარტაკი“. ავტორი დაწვრილებით იხილავს კონფერენციის მიმდინარეობას. კონფერენციამ ხელი შეუწყო საქართველოში ახალგაზრდათა კომუნისტური ორგანიზაციების ჩამოყალიბებას.

წიგნში გაშუქებულია ამიერკავკასიის რევოლუციური ახალგაზრდობის საოლქო კონფერენციის მუშაობა, რომელიც 1919 წ. 22 სექტემ-

ბერს მოწვეული იქნა ბაქოში. საქართველოდან კონფერენციის ესწრებთან ამხანაგებში: ბორის ძინლაძე, დავით კაპარავა, ვ. იმედაძე და სხვები. კონფერენციის დიდი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ მან ორგანიზაციულად გააერთიანა აზიურკავკასიის ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაციები. მათ ეწოდა: „რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ამიერკავკასიის ორგანიზაცია“. კონფერენციამ ამ ორგანიზაციებს საბჭოლო მიზნად დაუსახა ბრძოლა მემწვეიური, მუსავატისტური და დამნაჯური მთავრობების წინააღმდეგ.

შემდეგ განაილულია ბორისის რევოლუციური მუშაობა, რომელსაც მან კომკავშირის მთელი ძალეები დარაზმა მენშევიერის მთავრობის წინააღმდეგ. საქართველოს ცალკეულ რაიონებში იფეთქა აჯანყებამ, რომელშიც მრავალმა კომკავშირელმა გამართული ბრძოლის შედეგად გვიჩვენა. 1919 წლის ოქტომბერში ბორისის ამატორებზე, მგერამ იგი პატიმრობას თავს აღწევს და ისევ აწარმოებს რევოლუციურ მუშაობას.

1920 წლის იანვარში იქმნება ეგრედწოდებული „ტექნიკური კოლეჯია“, რომელიც ზემოდას და ავრკოლებს არალეგალურ ლატერატორს. ამავე წლის მაისში არსდელი კომკავშირის საკუთარი ორგანო: „მოლოდითი პრაღეტი“, რომელიც აწარმოებს ბრძოლას მენშევიური მთავრობისა და მისი დამცველის—ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის“ წინააღმდეგ. ბორისის ზღმძღვანელობით 1920 წ. 25 აგვისტოს იხსნება საქართველოს კომკავშირის პირველი „ლეგალური“ ყრილობა. ავტორი დაწვრილებით ჩერდება ყრილობის მსვლელობაზე, იღწერს იმ სიძნელეებს, რომელსაც ყრილობის დელეგატები წააწვდნენ. მენშევიეები ყრილობას თავს ესხვიან და არბევენ. ძინლაძეს ასახლებენ ბაქოში.

ბაქოში ბორისი მუშაობს ცენტრალურ კომპეტრში. 1920 წლის ოქტომბერში ბორისი ესწრება რუსეთის კომკავშირის მესამე ყრილობას. იგი ისმენს ამხანაგ ლენინის ვამოსვლას ამ ყრილობაზე. ლენინის მითითების საფუძველზე ბორისი საქართველოში ავითარებს რევოლუციურ მუშაობას.

1920 წლის 20 ნოემბერს თბილისში არალეგალურად იხსნება კომკავშირის მეორე ყრილობა. ყრილობას ზღმძღვანელობს დ. კაპარავა. ბორისი ბაქოში ვადასახლებულია.

1921 წ. იანვარში ჩვენს პარტია კურსს იღებს შეიარაღებული აჯანყებისაკენ მენშევიური მთავრობის დასახობად.

1921 წლის 25 თებერვალს ჩამოვდებულ იქნა მენშევიური მთავრობა და დამარდა საბჭოთა ხელისუფლება. ამ ბრძოლებში კომკავშირმა პარტიასთან ერთად დიდი როლი შეასრულა. ბორი-

სი ჩამოღის საქართველოში და 27 თებერვალს ატარებს თბილისის კომკავშირული ორგანიზაციების საერთო-საქალაქო კრებას. აქ მას პირველ კომკავშირის თბილისის უშიშრების მდივნად. შემდეგ იგი პარტიის რაიკომის მდივნად მუშაობს, ხოლო შემდეგ კი ც. კოს გაფართოებულ პლენუმზე ირჩევენ საქართველოს კომკავშირის ცკას მდივნად.

1921 წ. 21 აგვისტოს შესდგა საქართველოს კომკავშირის პირველი ლეგალური ყრილობა. ყრილობაზე სანგარიშო მოხსენებით გამოვიდა ამს. ბორისი.

ავტორი დაწვრილებით ჩერდება ბ. ძინლაძის მუშაობის იმ პერიოდზე, როდესაც იგი საქ. კ. პ. (ბ) დღეშეთის სამაზრო კომიტეტის მდივანი იყო.

1922 წლის 20 თებერვალს პარტია მას ნიშნავს მეთაურთა ქართული სკოლის პოლიტიკისრად. იგი ზღმძღვანელობს წითელი არმიის მეთაურთა კადრების აღზრდის საქმეს.

1923 წ. ბორისი ებრძვის მენშევიურ ბანდიტებს და ოპერაციების ჩატარების დროს მძიმე ავად გახდა. 1923 წლის 5 ოქტომბერს ბორისი გარდაიცვალა ბორჯომში. პარტიამ და ხალხმა დაქარვებს მგზნებარე რეკლამიანერი, კომუნისტებისათვის ერთგული მებრძოლი.

წიგნს ახასიათებს ზოგიერთი ნაკლოვანებანი. ზოგიერთ ეხედებით ბუნდოვან, გაუგებარ წინადადებებს, არახუსტ ისტორიულ თარიღებს. მაგალითად, ავტორი მესამე გვერდზე წერს: „1905 წლის დამდეგს ბორისის შშობლები საცხოვრებლად ხაშურში გადავიდნენ და ბორისმაც თავისი ბავშვობის ხუთი წელი აქ გაატარა“. შემდეგ დასძენს: „1911 წლის დასაწყისში ბორისის მამა ავად გახდა. ამასთან დაკავშირებით მისი ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა სამშობლო სოფელ ბურნათში (ჩოხატურის რაიონი)“ (ვ. 4). გამოღის, რომ ბორისსა და მის შშობლებს ხაშურში უცხოვრით არა ხუთი წელი, არამედ ექვსი წელი.

ავტორი წიგნში ვერ იძლევა ამომწურავ პასუხს იმაზე, თუ რამ გამოიწვია ან რამ შეუწყუო ხელი საქართველოში კომკავშირის უფრო ადრე დაარსებას, ვიდრე რუსეთში.

კარგი იქნებოდა, რომ ავტორის რამდენიმე სიტყვით განემარტა ლანჩხუთის 1919 წლის ნოემბრის შეიარაღებული აჯანყების თავისებურებანი.

მიუხედავად ამ ნაკლოვანებისა, ეს წიგნი ჩვენს ახალგაზრდობას დაგზმარება ბორის ძინლაძის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის ვაცნობის საქმეში.

სახალი წიგნები



სახელგამი

- შოთა რუსთაველი** — ვეფხისტყაოსანი, რედაქტორები კ. კვეციანი, ალ. ბარამიძე, ა. შანიძე, გვ. 388, ფასი 15 მან.
- ალექსანდრე პუშკინი** — მე-4 ტომი (პროზა), რედ. ვ. ქიქოძე, გვ. 416, ფასი 20 მან.
- სიმონ ჩიქოვანი** — ლექსები და პოემები, რედ. ა. გომიბაშვილი, გვ. 468, ფასი 16 მან.
- სერგო კლდიაშვილი** — დევის კუნძული, რედ. შ. აფხაიძე, გვ. 108, ფასი 5 მან.
- პარმენ ლორია** — ალისფერი დილა, რომანი, რედაქტორი ნ. პაიჭაძე (კუპარის სახელგამი), გვ. 262, ფასი 15 მან.
- კაიხონ რუსიძე** — სარფხვალმა, მოთხრობები, რედაქტორი შ. ქურდიძე (კუპარის სახელგამი), გვ. 80, ფასი 2 მან.
- ადამ მიცევეიჩი** — რჩეული, რედაქტორები გრ. აბაშიძე, კ. ჭიჭინაძე, კ. კალაძე, გვ. 185, ფასი 10 მან.

სახლიტგამი

- მიგელ დე სერვანტეს სავედრა** — შახვიდგონიერი პიდალგო დონ კიხოტ ლამანჩელი, ტ. 1, (თარგმ. ნ. ავალიშვილისა), რედ. ნ. აგიაშვილი, გვ. 568, ფასი 20 მან.
- ვლადიმერ მაიაკოვსკი** — ეინ შინდა ვიყო? (თარგმ. ალგო შენგელასის), რედ. ვ. ჭიჭინაძე, გვ. 23, ფასი 2 მან. 50 კაპ.
- სერგეი შარშაკი** — ლექსები და ზღაპრები (მთარგმნელთა ჯგუფი), რედ. ალ. აბაშელი, გვ. 101, ფასი 5 მან.
- ნ. გოგოლი** — ტარას ბუღბა (თარგმ. ი. და ა. ახალშენიშვილებისა), რედ. ნ. ანანიაშვილი, გვ. 110, ფასი 5 მან.
- ნიკოლოზ ნეკრასოვი** — გლეხი ბავშვები (თარგმ. მ. ლებანიძისა), რედ. ალ. აბაშელი, გვ. 92, ფასი 4 მან.
- კონსტანტინე ლორთქიფანიძე** — მოგზაური, რედ. ირ. აბაშიძე, გვ. 26, ფასი 2 მან.
- დავით გაჩეჩილაძე** — ტყუილს მოკლე ფეხი აქვს, რედ. ქ. ქუჩუკაშვილი, გვ. 32, ფასი 2 მან.
- როსტომ ელანაძე** — თეთრი შთები, რედ. ვ. ჭელიძე, ფასი 4 მან.
- ახფურცელა** — ქართული ზალხური ზღაპარი, რედ. ვ. ჭელიძე, გვ. 26, ფასი 3 მან.
- დ. ძეჭაშიძე** — აბა გამოიყანა რედ. ნ. კვიციანიძე, გვ. 30, ფასი 1 მან.
- კორნეი ჩუკოვსკი** — ექიმის აბოლოტი (თარგმ. ნ. ავალიშვილისა), რედ. შ. გვინჩიძე, გვ. 84, ფასი 4 მან.

ხელმოწერა

- შაფა კაშმაძე** — თბილისის ობერისა და ბალეტის თეატრი, რედ. პ. ხუჭუა, გვ. 613, ფასი 28 მან.
- კარლო გოგოძე** — ნარკვევები ქართული კინემატოგრაფიის ისტორიიდან, რედ. ნ. შველიძე, გვ. 284, ფასი 18 მან.
- ალექსანდრე ბურთიაშვილი** — სცენის ოსტატები, რედ. შ. დადიანი, გვ. 270, ფასი 18 მან.
- ნინო ჩხეიძე** — მოგონებანი, რედ. შ. დადიანი, გვ. 184, ფასი 9 მან.
- პაულე ხუჭუა** — მელიტონ ბალანჩივაძე, რედ. გრ. ჩხიკვაძე, გვ. 179, ფასი 10 მან.



პარტიის სიბრძნით გაშუქებული გზით, მოწინავე წერილი 3

ალექსანდრე შუთათელი — პარისპირ, რომანი, გაგრძელება 3

ახალგაზრდა მწერალთა შემოქმედება: — გ. ხუბაშვილი — მეფობაზე ზღვასთან; მიხეილ სანიკიძე — სამი ლექსი; ავთანდილ სვანიძის სიყვარული სისხლით დაწერი; ილო ბეროშვილი — ათი შვილის დედა; ნაზი კილასონია — წიგმა სოფელში; მარია ამბრაშიშვილი — ვოლგა; გივი ბარამიძე — რობსონი მღერის; იოთამ ნასარაძე — წერილი ამერიკის კონგრესს 24 29

სოლომონ თავაძე — ფოლადი, რომანი, მეორე ნაწილი 30

ქეთევან ელისაბედაშვილი — მამაშვილობა, მოთხრობა 60

შალვა ფორჩხიძე — სიმღერა ახალ სამგორზე, ლექსები 70

ქსენია სარსანიძე — კოლმეურნის ნაამბობი, ნარკვევი. ჩაწერა ილია დუბინსკიმ 74

პავლე ინგოროშვილი — ილია ქაჭავაძე, წერილი, დასასრული 84

დავით ჩხიკვიშვილი — ნაციონალური ენის ჩამოყალიბების ზოგიერთი საკითხის შესახებ, წერილი 119

შალვა ჩიჩუა — ალექსანდრე წულუკიძე როგორც ლიტერატურის კრიტიკოსი, წერილი 129

სოლომონ ცაიშვილი — ბოსლეველი, წერილი 141

ი. ბალიძი — ინგლის-ამერიკელი იმპერიალიზმი არაბულ ქვეყნებში, წერილი 145

იოსებ შურჩიშვილი — მიერობები მიერობთა წინააღმდეგ, წერილი 153

მ. ჯინგვალაშვილი — „მ. ვორკი ახალგაზრდობის შესახებ“, ბიბლიოგრაფია 168

შალვა ალხაიშვილი — ჩინეთის ახალი ლიტერატურის ფუძემდებელი, ბიბლიოგრაფია 17

გივი ბაჩიაშვილი — ირაკლი აბაშიძე, ერთი სიმღერა, ბიბლიოგრაფია 173

ნოდარ შამანაძე — ვერა ბუჩიძე, მოთხრობები, ბიბლიოგრაფია 177

გივი ზოგიჩიშვილი — ლიტერატურული აღმანახი, ბიბლიოგრაფია 178

სერგო თურნაშვილი — გრ. ქვანია ბორის ძეგლი, ბიბლიოგრაფია 181

ახალი წიგნები 183



პასუხისმგებელი რედაქტორი
ირაკლი აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია:

სიმონ შარვაშიანი (პასუხისმგებელი მდივანი), ლევან ასათიანი, შალვა აფხაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ილო შოსაშვილი, შალვა რადიანი, ლეო ქიაჩელი, სიმონ ჩიქოვანი, ოთარ ჩხიძე, სერგი შილაია.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/VIII-51 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 111/2. შპ 03848. შეკ. № 467. ტირაჟი 5.500.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიული მრეწველობის, გამოცემლობისა და წიგნის ექსპორტის საქმეთა სამმართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

ფან 8 ა.

7 მნ
დვარდზე 22
რკ პარტკაბინეტ

ნაგ 6/35

საბჭოთა
საბჭოთა



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„М Н А Т О Б И“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ